ალ. ჩაკოვსკი



ბლოკადა

რომანი
წიგნი I

გამომცემლობა „ინტერპრესი“
ცნინვალი - 1975

ილ. ჩაკოვსკის ახალი რომანის პირველი წიგნის მოქმედება იწყება დიდი სამამულო ომის წინადღეს.

„ბლოკადა" ხსნის ძირითად მიზეზებს — ფარულსა და აშკარას — იმ საშინელი ომისა, რომელიც ფაშიზმმა თავს მოახვია საბჭოთა ხალხს. მკითხველი მოწმე ხდება მოლოტოვის დიპლომატიური ვიზიტისა ფაშიზმის ბუნაგში, ჩვენს ქვეყანაზე ჩამოწოლილი საფრთხის ასაშორებლად პარტიისა და მთავრობის რთული და გულმოდგინე მზადებისა სტალინის მეთაურობით.

რომანში ნაჩვენებია აგრეთვე ომისწინანდელი ლენინგრადი, რიგითი საბჭოთა ადამიანების ბედი, რომელთა ცხოვრებაშიც ომი მოულოდნელად შეიჭრა.

რომანი დაწერილია დამაჯერებლად და მიმზიდველად, დიდი სამამულო ომის ისტორიის რთულ საკითხებსა და ნაწარმოების სიუჟეტთან ურთიერთკავშირში მყოფ ისტორიულ თუ გამოგონილ პირთა ფსიქოლოგიაში ღრმა წვდომით.

თარგმნა ბ. ჩიქობავამ.

I

— აბა, ახლა კი მომიყევი, მაინც როგორ გაბედე, როგორ?

ისინი ისხდნენ სასტუმრო „მოსკოვის“ პატარა ნომერში, სადაც ზვიაგინცევი ის-ის იყო სხვა ოთახიდან შემოასახლეს. კრემლიდან ზვიაგინცევი ყოველთვის კოროლიოვთან ერთად ბრუნდებოდა. უკვე ხუთი დღეა ერთად ცხოვრობდნენ, ერთ სასტუმროში, ერთსა და იმავე სართულზე, ოღონდ პოლკოვნიკი კოროლიოვი ცალკე ნომერში, მაიორი ზვიაგინცევი კი — ხუთსაწოლიან საერთო ოთახში.

დღეს კი, როცა სართულის მორიგე ქალს ჩაუარეს და კოროლიოვმა თავისი ოთახის გასაღები აიღო, ხოლო ზვიაგინცევმა დერეფანში გაიარ-გამოიარა იმ ფიქრით, რომ ჩვენს ნომერში უთუოდ ვინმე იქნებაო, იგი ქალის ხმამ შეაჩერა.

— თქვენ სხვაგან შეგასახლეს, ამხანაგო მეთაურო, — უთხრა ტანდაბალმა, ხანშესულმა, ქერა, მეტად ფერმკრთალმა და მკვეთრად ტუჩებშეღებილმა მორიგე ქალმა. — თქვენი ბარგი უკვე გადატანილია ცალკე ნომერში, პატარა ჩემოდანიც.

— მე მეუბნებით? — გაოცებით ჰკითხა ზვიაგინცევმა. — ჩვენ ხომ ამ საღამოს მივდივართ „სტრელათი“.

— არ ვიცი, არ ვიცი, დირექციის განკარგულებაა. — მან ზვიაგინცევს გასაღები გაუწოდა, თან მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმა, რითაც აგრძნობინებდა, რაც ვიცი, ყველაფერს როდი ვამბობო.

— აი მესმის! — ჩაიცინა კოროლიოვმა. — ზუსტად მუშაობენ! აბა, მაიორო, წავიდეთ, შენი ახალი სამფლობელო მიჩვენე.

— რაღა საჭირო იყო? — გაოცებით აზიდა წარბები ზვიაგინცევმა, როცა ისინი შევიდნენ ნომერში, სადაც სივიწროვის მიუხედავად ბლომად იდგა ავეჯი: საწერი მაგიდა, ორი სავარძელი, საწოლი და შუა ოთახში, ჭერიდან ჩამოშვებულ მწვანე ქსოვილის აბაჟურქვეშ, კიდევ მეორე მრგვალი პატარა მაგიდა.

ნახევრად ღია კარი საბაზანოში გადიოდა.

— აბა, აქ რა უნდა გავაკეთო? — დაბნეულად მიმოიხედა ზვიაგინცევმა, — სამი საათის შემდეგ ხომ...

მან გიმნასტურის სახელო გადაიწია და საათზე დაიხედა.

— რა უნდა აკეთო? — ეს მე მკითხე, მე ვიცი, — თქვა კოროლიოვმა და სწრაფად მივიდა საწერ მაგიდასთან, ტელეფონის ყურმილი აიღო, სამი ციფრი აკრიფა და ჩასძახა:

— რესტორანია? მაშ, ასე...

...და აი ისინი მრგვალ, პრიალა მაგიდას უსხედან. ოფიციანტმა დიდი ლანგრით შემოიტანა კოროლიოვის მიერ დაკვეთილი ვახშამი — ბიფშტექსი, ზედ ღრმა თეფშებდამხობილი, რომ არ გაცივებულიყო, პატარა ქვაბით კარტოფილი, რგოლებად დაჭრილი ხახვით შემკობილი ქაშაყი, ერთი ბოთლი კონიაკი და ჭიქები. ეს ყველაფერი მაგიდაზე დაალაგა და გავიდა.

— ახლა კი, აი რას გეტყვი, — უთხრა კოროლიოვმა, დაჯდა და მაგიდის ქვეშ გაშალა პრიალაჩექმებიანი ფეხები. — პირს არაფერს დავაკარებ, არც შენ დაგაცლი, სანამ არ მეტყვი, როგორ გაბედე? აბა, დაიწყე, დაიწყე! მიამბე.

ზვიაგინცევმა მხრები აიჩეჩა და დარცხვენილმა გაიღიმა:

— ბარათი გავგზავნე პრეზიდიუმში. არც კი ვიყავი დარწმუნებული, თუ მიაღწევდა... სულ ეს იყო.

— იცი, რას გეტყვი!..

კოროლიოვმა გაოცებით გაშალა ხელები, შემდეგ აიღო ბოთლი, მაგიდაზე კორპსაძრობი მოათვალიერა, ვერ იპოვა. ბოთლს თავისი დიდი ხელი მოუჭირა, მაგრად შეანჯღრია და როცა სითხე ბოთლის ყელს შადრევანივით მიაწვა, ძირს მძლავრად ამოჰკრა ხელისგული და საცობი ამოაგდო.

— აი, ეს მესმის, — გაიღიმა ზვიაგინცევმა.

— მამაჩემი შეფორნე იყო. ერთი ცხენის ძალის ჭაპან-

ტრანსპორტის პატრონი. იგი საცობის საძრობელას ვერ ხმარობდა. წინათ კი ბოთლებს ნამდვილ საცობებს უცობდნენ. ასე რომ, ეს უნივერსიტეტი მე ბავშვობაშივე დავამთავრე.

მან კონიაკი ჭიქებში ჩამოასხა, ზვიაგინცევს შეხედა, იჭვნეულად გააქნია თავი და ჩაიცინა:

— მაშ მეუბნები, რომ ბარათი გაგზავნე? ამოიღე ბლოკნოტი, ორიოდე სიტყვა ჩაწერე და მორჩა?

ზვიაგინცევი დუმდა.

— შენი ვინაობა მაინც თუ ჩაწერე? — არ ეშვებოდა კოროლიოვი. — იქნებ ვინმე გენერალი ეგონეთ? წოდება, შენი წოდება თუ აღნიშნე?

— მოდი დავლიოთ, პავლე მაქსიმოვიჩ, — უთხრა ზვიაგინცევმა, უცებ მეტისმეტი დაღლილობა იგრძნო და ჭიქას ხელი წაატანა.

— არა, მოიცა! — შესძახა კოროლიოვმა და თავისი ფართო ხელისგული სწრაფად დააფარა ზვიაგინცევის ჭიქას. — მინდა გავარკვიო. ვთქვათ, ვინმემ მითხრა, ალიოშკა ზვიაგინცევი შეტევაზე პირველი გადავიდაო, დავიჯერებ. თავისი საკუთარი ხელით უცნობი კონსტრუქციის ნაღმი განმუხტაო... დასაშვებად მიმაჩნია, სავსებით შესაძლებელია. მაგრამ აქ... ერიჰაა, სტალინი! სახკომი! მარშლები! ირგვლივ გენერლები და ადმირალები... და უცებ: „სიტყვა ეძლევა ამხანაგ ზვიაგინცევს, ლენინგრადის სამხედრო ოლქი!“ პირველად ვერც კი მივხვდი: თითქოს ოლქის მთელ ჩემს უფროსობას ვიცნობ, ეს ზვიაგინცევი ვიღაა-მეთქი! გავიხედე და — დედავ, რას ვხედავ — მისი აღმატებულება ალექსი ვასილის ძე გასასვლელში მიაბიჯებს... დაიჯერე, იმ დროს ფეხზე რომ ემდგარიყავი, შენს მაგიერ შიშით მუხლთ მომეკვეთებოდა!

კოროლიოვმა კვლავ გაშალა ხელები, შემდეგ თავისი მძიმე თავი გადააქნია და თქვა:

— კეთილი, დავლიოთ, მომილოცავს! არა, მოიცა! — თქვა მან და ისევ დააფარა ზვიაგინცევის ჭიქას ხელისგული, — ჯერ ყველაზე მთავარი: რა გითხრა ამხანაგმა სტალინმა?

— ხომ მოისმინე.

— მოვისმინე, მოვისმინე! განა მარტო ის კმარა, რომ პირადად მის სიტყვებს ისმენ, თავბრუ დაგეხვევა. ყველა ორატორი ჩავიწერე, აქ კი გამოვტოვე. აი, შეხედე...

და კოროლიოვი სკამიანად შეტრიალდა, საწერ მაგი-

დაზე დადებულ თავის პლანშეტს მისწვდა, დიდი ბლოკნოტი ამოიღო, ფურცლავდა და თან ბუტბუტებდა:

— ასე... მერეცკოვი... გრენდალი... კუზნეცოვი... შენ სადღა ჩაგწერე? აი, ხომ ხედავ, გამომიტოვებიხარ, მაიორო! ღმერთმანი, გამომიტოვებიხარ! შენს მაგიერ ისე განვიცდიდი, რომ არც კი ჩამიწერიხარ. კარგი, ამაზე მერე ვილაპარაკოთ. ახლა კი ამხანაგ სტალინის რეპლიკა გამიმეორე, ჰა? ოღონდ სიტყვასიტყვით უნდა იყოს.

კოროლიოვმა გიმნასტურის გულჯიბიდან ავტოკალამი ამოიღო, თალფაქი ამოხრახნა, შეანჯღრია კალმისტარი და საწერად მოემზადა.

— სიტყვასიტყვით არ მახსოვს, — უთხრა ზვიაგინცევმა.

— ის, რაც სტალინმა თქვა, არ გახსოვს? — გულწრფელად გაიოცა კოროლიოვმა.

— სიტყვასიტყვით არ მახსოვს, — წყნარად გაიმეორა ზვიაგინცევმა. — მეც ხომ ძალიან ვღელავდი... მოიცა. მე, მგონი, ვთქვი, რომ ჩვენ არ გვყოფნიდა ტექნიკა, რათა...

— მე იმას როდი გეკითხები, რაც შენ თქვი, — გაჯავრებით შეაწყვეტინა კოროლიოვმა, — მე იოსებ ბესარიონის ძის სიტყვების ჩაწერა მინდა!

— მეც ხომ სწორედ იმას ვამბობ, — მისთვისვე მოულოდნელი ბრაზმორევით უთხრა ზვიაგინცევმა. — როცა ამაზე ვლაპარაკობდი მან შემაწყვეტინა და მკითხა: „ერთი ეს მითხარით, თქვენ მიგაჩნიათ, რომ საინჟინრო ნაწილებს უნდა ჰქონდეთ“...

— მოიცა, ნუ ჩქარობ! — სასოწარკვეთილებით წამოიძახა კოროლიოვმა. — სტენოგრაფისტი ხომ არა ვარ? ცოტა ნელა ილაპარაკე. — მან იდაყვით გასწია ბიფშტექსიანი თეფში, ბლოკნოტი წინ დაიდო და საწერად მოეწყო, — „ერთი მითხარით“... — გაიმეორა კოროლიოვმა და მთელი გულისყურით დაიწყო წერა.

— მე დარწმუნებული არა ვარ, რომ მან სწორედ ეს სიტყვები წარმოთქვა, — შეაწყვეტინა ზვიაგინცევმა. — მაგრამ ვფიქრობ, მთავარია ნათქვამის აზრის გადმოცემა და არა სიტყვასიტყვით ჩაწერა.

— ტა-ტა-ტა-ტა! „აზრისო“, ერთი შეხედეთ! — გამოაჯავრა კოროლიოვმა და ხმაში უკვე წყენა დაეტყო: — ჰო, რასაკვირველია, რად უნდა შეიწუხოს თავი მაიორმა ზვიაგინცევმა ვიღაც პოლკოვნიკ კოროლიოვისათვის! მას ხომ თვით სტალინი უსმენდა, იმდენი მარშალი და გენერალი

რომ არ ვახსენოთ! — მან ხშირი, ოდნავ შეჭაღარავებული წარბები მოჭმუხნა. და უკვე სულ სხვა, ცივი, დამრიგებლური ტონით დასძინა: — მე კი ისე აღმზარდეს, რომ სტალინის სიტყვებს ზუსტად უნდა ციტირებაო... სხვებისა არ ვიცი, და მე კი...

— პავლე მაქსიმოვიჩ, რატომ აგრე... — ისევ შეაწყვეტინა ზვიაგინცევმა, თან გრძნობდა, რომ აღელვება დაუცხრა და თვითონვე უკვირდა, მართლაც და როგორ უნდა დავიწყებოდა სტალინის სიტყვები, — საკითხის აზრი კი არა; არა, ეს მას მშვენივრად ახსოვდა, არამედ თვით სიტყვები.

ზვიაგინცევი შეეცადა გულისყური მოეკრიბა, გაეხსენებინა და ხელახლა მთელი თავისი არსებითა და ფიქრებით იქ გადავიდა, სადაც უკანასკნელი ოთხი დღე გაატარა...

ფინეთთან ახლახან დამთავრებული ომის შედეგებისადმი მიძღვნილი საპასუხისმგებლო თათბირის მოსკოვში მოწვევის შესახებ ზვიაგინცევმა ჯერ კიდევ ორი კვირის წინათ იცოდა. ეს მას უთხრა ოლქის საინჟინრო სამმართველოს უფროსმა, როცა უბრძანა საინჟინრო ჯარების მოქმედებათა შესახებ მასალების მომზადება და თუ საჭირო იქნებოდა, ამ მასალებიანად მოსკოვში გამგზავრება.

ეს საღამო ჟამს იყო, სწორედ სამუშაო დღის ბოლოს.

ზვიაგინცევი გამოვიდა ურიცკის, ყოფილ დვორცოვაიას მოედანზე მოთავსებულ შტაბის შენობიდან. ლიტეინის პროსპექტამდე ფეხით უნდა გაეელო 25 ოქტომბრის პროსპექტი, რომელსაც ძველი ჩვეულებისამებრ ნევისას ეძახდნენ. მერე ავტობუსში უნდა ჩამჯდარიყო. სამუშაოდან დაბრუნებისას ზვიაგინცევი ყოველდღე ამ გზით დადიოდა. ყოველდღე ასე იქცეოდა მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირ-ფინეთის ომი დამთავრდა და შინ, ლენინგრადში დაბრუნდა. თუმცა წინათ, ომამდე, სამუშაოდან რომ ბრუნდებოდა, დროის მოსაგებად ნევის პროსპექტის დასაწყისშივე, გოგოლის ქუჩის კუთხეში ჯდებოდა ხოლმე ტრამვაიში.

ომის დღეებში ზვიაგინცევს მხოლოდ ერთხელ მოუხდა ქალაქში ყოფნა, რამაც განაცვიფრა იგი. ფრონტიდან მოკლე ხნით შტაბში დაბრუნებულმა პირველად ნახა წყვდიადში ჩაძირული ლენინგრადი. იქ, კარელიის ყელზე სიბნელე, რომელსაც სასიგნალო შუშხუნების ცეცხლი თუ გაკვეთდა ხოლმე, ბუნებრივად მოჩანდა, მიუხედა-

ვად იმისა, რომ დროდადრო ქუხდა არტილერია და სნაიპერთა ტყვიები ისე სისინებდნენ, თითქოს ბიჭუნა გაწაფული ხელით წყლის ზედაპირზე ბრტყელ კენჭებს ისვრისო.

მაგრამ აქ ყველაფერი სხვანაირად გამოიყურებოდა. აქ არ იყო სროლა, არ იყო თოვლის ნამქერები, მაგრამ ეს უზარმაზარი ქალაქი, რომელიც რაც ზვიაგინცევს თავი ახსოვდა, ყოველ საღამოს ათეულ ათასობით ჩირაღდნის შუქით ჩახჩახებდა, ახლა წყვდიადში ჩაძირულიყო და მძიმე, შემზარავ შთაბეჭდილებას ახდენდა.

და განა მხოლოდ მასზე? ფინეთთან ომს ყველა ლენინგრადელი გაცილებით მწვავედ განიცდიდა, ვიდრე დანარჩენი საბჭოთა ადამიანები. რევოლუციური ბრძოლებით გამოწვეული ნგრევის დღეების შემდეგ ქალაქი პირველად იდგა წყვდიადში; ფინეთის ავიაციის თავდასხმას მოელოდნენ. ჰოსპიტლებსა და საავადმყოფოებში დაჭრილი და მოყინული ადამიანები მოჰყავდათ.

...თუმცა ომის დამთავრებიდან უკვე რამდენიმე კვირა გასულიყო, ზვიაგინცევს ჯერ კიდევ უდიდეს სიამოვნებას ჰგვრიდა კვლავ გაჩირაღდნებული ფანჯრები და ვიტრინები, გაკაშკაშებულ ნევის პროსპექტზე გავლა. ახარებდა იმის შეგრძნება, რომ ყველაფერი ძველებურად იყო და რომ მისთვის ჩვეული სამყარო ურყევია.

მოხდა ისე, რომ ზვიაგინცევი, ოლქის საინჟინრო ჯარების სამმართველოს ერთი ინჟინერთაგანი, ომის თვეებში სამმართველოს უფროსის უშუალო თანაშემწე გახდა. ყოფილი მოადგილე კი ომის მეორე დღესვე მოწინავე ხაზის სიმაგრეთა ინსპექტირების დროს ყუმბარის ნატეხით მძიმედ დაიჭრა თავში.

ზვიაგინცევი სულ ოცდარვა წლისა იყო. ორი წლის წინათ დაამთავრა სამხედრო-საინჟინრო აკადემია და, გამოცდილების მიხედვით, თითქოს შეუფერებელი იყო ამ მაღალი თანამდებობისათვის. მიუხედავად ამისა, თავის სიმაღლეზე აღმოჩნდა. თანაც იგი უყვარდათ. ისევე როგორც პოლკოვნიკი კოროლიოვი, ისიც ორჯერ აირჩიეს საოლქო შტაბის პარტიული ორგანიზაციის ბიუროს წევრად.

და აი ახლა, მოსკოვის მომავალი თათბირისათვის მასალების მომზადების შესახებ ბრძანების მიღების შემდეგ, ზვიაგინცევი ნელა მიაბიჯებდა ნევის პროსპექტზე მოსეირნეთა შორის. წინ ხვდებოდნენ და უსწრებდნენ ბერე-

ტიანი ქალიშვილები, რომელბსაც ეცვათ უკანასკნელ ხანს მოდაში შემოსული გრძელი, ვიწრო ქვედაკაბები და დაბალქუსლიანი ფეხსაცმელები. ვაჟებიც ბოლო ხანებში მიღებული მოდის მიხედვით, ნაცრისფერი ფლანელის შარვლებითა და წელში ვიწროდ გამოყვანილი პიჯაკებით, ცისფერი, კუთხეებში წაწვეტებული საყელოიანი პერანგებითა და ფართო კვადრატულად გამონასკვული ჰალსტუხებით იყვნენ გამოწყობილი. ყოველ კუთხეში იყიდებოდა ყვავილები. განთქმულ კაფე „ნორდთან“ პატარა რიგი იდგა... ყოველივე ეს ზვიაგინცევისათვის ისე ნაცნობი იყო, ისე ჩვეულად ახარებდა მის თვალს, რომ მოგონებები ამასწინანდელ ხანმოკლე, მაგრამ სისხლისმღვრელ ომზე, როგორღაც მკრთალდებოდნენ და იკრიკებოდნენ.

...ისიც, რომ მოსკოვს უნდა წასულიყო, ზვიაგინცევმა გამგზავრებამდე სულ ორი დღით ადრე გაიგო.

დანარჩენი სწრაფად მოხდა და მოფიქრების დრო არ იყო.

„სტრელათი“ ჩამოსული ლენინგრადელი არმიელები და მეზღვაურები ავტობუსებმა დილაადრიან სასტუმრო „მოსკოვში“ მიიყვანეს, სადაც ყველას, წოდებისა და თანამდებობის შესაბამისად, მზად დახვდა ბინა და სპერთო საცხოვრებელი. მათ მხოლოდ ჩემოდნების დადგმა და სახელდახელოდ პირის მოპარსვა მოასწრეს და კრემლისაკენ გაეშურნენ. სასტუმროდან მაცხოვრის კოშკის ჭიშკარი ძლიერ ახლოსაა — მხოლოდ წითელი მოედანი უნდა გადაეკვეთათ, მაგრამ კომენდატურაში ფანჯარასთან, სადაც საშვებს იძლეოდნენ, შეყოვნდნენ, რადგან ძლიერ ბევრი ხალხი იყო.

კრემლის დიდი სასახლის ანდრეევსკის დარბაზში ყველანი მაინც თავის დროზე შევიდნენ და მხოლოდ აქ, დარბაზში რომ მოხვდა, წითელი არმიისა და ფლოტის უმაღლესი სარდლებსა და სხვადასხვა სახის ჯარების, ქვეითთა, არტილერისტთა, მფრინავთა და მეზღვაურთა მეთაურებსა და უფროსებს შორის, ზვიაგინცევი მიხვდა, სად აღმოჩნდა ასე, სრულიად მოულოდნელად.

თათბირს ესწრებოდა სტალინი.

სტალინი ორი-სამი ნაბიჯით უკან მიმყოლი მარშლებისა და გენერლების თანხლებით პრეზიდიუმის გვერდით კარიდან გამოვიდა და წითელმაუდგადაფარებული გრძელი მაგიდის გასწვრივ ჩაიარა. დარბაზში ყველანი წამოდ-

ენენ და ტაშის გრიალი სკამების საჯდომთა უკუგდების ჯახუნს შეერთო.

მაგრამ თავმჯდომარის ადგილი მან კი არა, ვოროშილოვმა დაიკავა. გვერდით მიუჯდა საბჭოთა კავშირის მარშალი ტიმოშენკო.

სტალინი, რომელსაც ზვიაგინცევი თვალს არ აშორებდა, პრეზიდიუმის ერთ-ერთი ბოლო რიგის განაპირას დაჯდა. რამდენიმე წუთის შემდეგ ჯიბიდან ჩიბუხი ამოიღო, წამოდგა და პრეზიდიუმში მსხდომთა ზურგს უკან ბოლთის ცემა დაიწყო. მას პორტრეტებიდან ყველასათვის ცნობილი ნაცრისფერი კიტელი და ჩექმებში ჩატანებული სამოქალაქო ფორმის შარვალი ეცვა. ნახევრადმოხრილ ხელში ჩიბუხი ეჭირა და ნელა მიმოდიოდა. ხან ჩამოჯდებოდა და ხან ისევ განაგრძობდა ნელ სვლას.

დროდადრო სტალინი სიტყვაში გამოსულთ შეკითხვებით ან მოკლე რეპლიკით აჩერებდა.

დარბაზში სიჩუმე იდგა, ხოლო როცა სტალინი ისევაც ნელსა და უხმაურო ნაბიჯს შეანელებდა და დაჟინებით შეაცქერდებოდა ორატორს ან ოდნავ ასწევდა ჩიბუხიან ხელს, სიჩუმე კიდევ უფრო საგრძნობი ხდებოდა, რადგან ყველა გრძნობდა: მას რაღაცის თქმა სურდა. და მაშინ ის, ვინც ტრიბუნაზე იდგა, უნებლიეთ ჩუმდებოდა და სტალინისაკენ შემობრუნდებოდა ხოლმე.

თათბირი რამდენიმე დღეს გაგრძელდა. პირველი დღიდანვე მან მწვავე სადისკუსიო ხასიათი მიიღო. ერთიმეორის მიყოლებით ადიოდნენ ტრიბუნაზე მხედართმთავრები. მათი სახელები ზვიაგინცევმა კარგად იცოდა და პორტრეტებით სახეზეც ცნობდა. სიტყვით გამოსულები ერთსულოვნად აღნიშნავდნენ, წითელ არმიას საომედო შეიარაღება აქვსო. მიუხედავად ამისა, ორატორები ამტკიცებდნენ, რომ არმიის პირადი შემადგენლობა, განსაკუთრებით ქვეითი ჯარისა, არასაკმარისად იცნობს სამხედრო ტექნიკას და არ იცის მისი გამოყენება ზამთრის პირობებში. თითქმის ყველამ თქვა ის, რომ ჩრდილო-დასავლეთისა და ჩრდილოეთის საომარ მოქმედებათა არმიები ცუდად იყვნენ მომზადებული ოპერაციებისათვის. იგრძნობოდა ნაღმსატყორცნებისა და თხილამურების ნაკლებობა, ფინელებს კი იგი დიდი რაოდენობით ჰქონდათ: არასაიმედოდ იყო დაყენებული რადიოტექნიკური კავშირისა და მართვის საქმე, მოუხერხებელი იყო ჩვენი საზამთრო ტანსაცმელი...

იმ წუთებში ზვიაგინცევისათვის ვინმეს რომ ეთქვა, ტრიბუნაზე ადი და სიტყვაში გამოდიო, იგი ამას ისე მიიღებდა, როგორც თვითმფრინავიდან უპარაშუტოდ გადმოხტომის წინადადებას.

მაშ, მაინც რატომ გაბედა? როგორ მოხდა ეს?..

ეს კი ასე მოხდა.

რომელიმე სამხედრო ხელმძღვანელთაგანს ალბათ, მოეჩვენა, თათბირმა მეტისმეტად მწვავე, კრიტიკული ხასიათი მიიღო. ან ზოგიერთმა მხედართმთავარმა იფიქრა, ჩემს თავმოყვარეობას, პრესტიჟს ვაითუ ძლიერი დარტყმა მოხვდესო. ასე იყო თუ ისე, ზვიაგინცევმა თათბირის დამთავრების წინადღეს ზოგიერთი ორატორის სიტყვაში წინა გამოსვლებისათვის უჩვეულო, მშვიდი ტონი იგრძნო.

ერთ-ერთმა მარშალმა მთელი თავისი სიტყვა წითელი არმიის ძლიერებასა და მამაცობას მიუძღვნა, რომელმაც მანერჰაიმის მიუვალი ხაზი გაარღვია და ერთი სიტყვაც არ უთქვამს იმაზე, რა ფასად დაგვიჯდა ეს გარღვევა.

„რატომ ლაპარაკობს ამაზე აქ, ასეთ თათბირზე?!“ — გამწარებით ეკითხებოდა თავის თავს ზვიაგინცევი. იგი ხომ მთელი ომის განმავლობაში არმიაში იმყოფებოდა და სხვებზე ნაკლებ როდი იცნობდა მანერჰაიმის ხაზის მიუვალობას, რომელიც მანამდე ცნობილ სიმაგრეთა შორის უძლიერესი იყო, და უნახავს ამ ხაზის მოიერიშე წითელარმიელთა შემართება.

და რაც ამის შესახებ გაზეთებში იწერებოდა, ზვიაგინცევს ყველაფერი მართებულად მიაჩნდა.

მაგრამ აქ, ასეთ თათბირზე, თვით სტალინის თანდასწრებით, ვინც სრული სიმართლე უნდა იცოდეს ამ ომის შესახებ...

უცებ ზვიაგინცევს მოეჩვენა, რომ იგი ისევ იქ, კარელიის ფრონტზეა. და ყოველივე კვლავ თვალწინ წარმოუდგა: თოვლის ნამქერებში ჩაფლული ქვემეხები, დამსხვრეული ტანკები, მოყინული ადამიანები, ჩაბნელებული ლენინგრადი... ყურებში ქარის სისინი ჩაესმა და ამ ქარის, ტყვიამფრქვევთა ჯერისა და სნაიპერთა ტყვიების წივილის გარდა სხვა აღარაფერი ესმოდა. შემდეგ კი ყველაფერი გაქრა, ყველაფერი, გარდა მის წინ პიუპიტრაზე გაშლილი ბლოკნოტის თეთრი ფურცლისა.

და მაშინ ანგარიშმიუცემლად, თითქმის ავტომატურად დაწერა იმ ფურცელზე: „გთხოვთ მომცეთ სიტყვა“.

თავისი წოდება და გვარი. ამოხია ფურცელი და სრულიად მექანიკურად მის წინ მჯდომ თავმოპარსულ გენერლის მხარს შეეხო.

იგი ოდნავ მობრუნდა, ზვიაგინცევს ცერად შემოხედა. ზვიაგინცევმა გენერალს ოთხად გადაკეცილი ბარათი ხელისგულში ჩაუდო.

ყოველივე ამის რეალობის შეგრძნებამ ზვიაგინცევამდე ერთი წუთის მოგვიანებით მიაღწია. იგი მიხვდა, რომ გამოუსწორებელი სისულელე ჩაიდინა: ორატორთა უმრავლესობისაგან განსხვავებით, მოუმზადებლად, წინასწარ დაწერილი ტექსტის გარეშე ასეთ თათბირზე სიტყვა ითხოვა!

შემდეგ გაიფიქრა: შეეჩერებინა ბარათი, პრეზიდიუმამდე არ მიეშვა, დაებრუნებინა, ნაკუწებად ექცია. ზვიაგინცევმა ადგილიდან წამოიწია კიდეც, მის წინ მსხდომთა ზურგებს მიაჩერდა, ცდილობდა რა მათი მოძრაობის მიხედვით მიმხვდარიყო, სახელდობრ, ვინ და ვის გადასცემდა ამ წუთში იმ ბედშავ ფურცელს. მაგრამ ამაოდ! წინა რიგებში მსხდომნი თითქოს გაუნძრევლად ისხდნენ ან გულდასმით ავსებდნენ ჩანაწერებით თავიანთ ბლოკნოტებს.

მაშინ ზვიაგინცევმა თავი დააიმედა: ალბათ, ჩემი ბარათი რიგებს შორის მოგზაურობაში დაიკარგა, ვინმემ, მორიგი ორატორის სიტყვის მოსმენით გატაცებულმა. განზე გადადო, წინ გადაცემა დაავიწყდა ან უბრალოდ, ხელიდან გაუვარდაო.

ზვიაგინცევმა მზერა გადაიტანა პრეზიდიუმზე, უფრო სწორად ბარათების ყუთზე, რომელიც პატარა მაგიდაზე იდგა. მაგრამ პირველი რიგებიდან თითქოს არავინ არ მისულა იმ მაგიდასთან.

და როცა მაღალი, აკვალთული, კარგი სამწყობრო გამართულობის სამხედრო პირი საიდანღაც გვერდიდან გამოჩნდა, მაგიდასთან მივიდა და ყუთში ხელი ჩაყო, რომ იქ დაგროვილი ბარათები ამოეღო და პრეზიდიუმისათვის გადაეცა, ზვიაგინცევი თითქმის დამშვიდდა: იგი დარწმუნებული იყო, რომ მისი ბარათი ყუთში არ იქნებოდა.

სრულიად მექანიკურად გააყოლა თვალი იმ სამხედრო პირს. მან წინ გაიწოდა ბარათებჩაბღუჯული ხელი და მსუბუქად აუყვა პრეზიდიუმის პატარა კიბეს. გადადგა რამდენიმე ნაბიჯი რიგების შემოსავლელად და, ეტყობოდა ტიმოშენკოსთან აპირებდა მისვლას, რომელიც იმჯერად

თავმჯდომარეობდა, მაგრამ დაინახა პირდაპირ მისკენ მომავალი სტალინი. სწრაფად, მთლად სამოქალაქო პირიკით შეტრიალდა, შემდეგ უკან გაიქცა, მაგიდის კიდესთან მჯდომ გენერალს ბარათები წინ დაუწყო, კიბე ჩაირბინა და სადღაც გაქრა. გენერალმა გადაუკითხავად აკურატულად დააწყო ბარათები და გადასცა მეზობელს — პორტრეტების მიხედვით კარგად ცნობილ გენერალს. ბარათებმა ასე მოგზაურობით მთელი რიგი გახვლეს და ტიმოშენკომდე მიაღწიეს.

„ვაი, თუ... ჩემი ბარათიც იქ არის? — კვლავ შეშფოთებით გაიფიქრა ზვიაგინცევმა. — იქნებ ვერ შევნიშნე, როგორ გადასცეს...“

„ეჰ, რას მივედ-მოვედები!“ — დაიმშვიდა თავი. დაეუშვათ თუნდაც, რომ ბარათი პრეზიდიუმამდე მივა ან უკვე მიეიდა, მას ხომ მაინც არ მისცემენ სიტყვას. ვინ არის იგი, ვინ იცნობს? თანაც ამბობენ, თათბირი ხვალ უნდა დამთავრდეს და თვით სტალინი გამოვაო...

ზვიაგინცევს სიტყვა მისცეს საღამოს სხდომაზე.

თავმჯდომარემ რომ მისი გვარი გამოაცხადა, პირველ წამს ზვიაგინცევი ადგილიდან არ დაძრულა. იგი მხოლოდ მაშინ მიხვდა, რომ უცნაურად, სულელურად იქცეოდა, როცა დარბაზი ოდნავ ამოძრავდა და ხალხმა დასახელებული ორატორის ძებნაში აქეთ-იქით დაიწყო ცქერა.

მაშინ კი წამოიჭრა ზვიაგინცევი და სწრაფი ნაბიჯით, თითქმის სირბილით გაეშურა იგი შორეული და საშინელი კიბისაკენ, რომელიც პრეზიდიუმში ადიოდა.

...არ ახსოვდა, როგორ ლაპარაკობდა, მაგრამ კარგად იცოდა, რას ლაპარაკობდა. წინასწარ მომზადებული ტექსტის გარეშე, კონსპექტის გარეშე ზვიაგინცევმა ხმამაღლა თქვა ის, რასაც დილის სხდომაზე გამოსული იმ მარშლის ლაპარაკის დროს ფიქრობდა, რომლის სიტყვებიც ისე უსიამოვნოდ მოხვდა გულში. დავიწყებოდა ზურგს უკან მსხდომნიც, — მარშლები, გენერლები და ადმირალები, რომელთა გვერდით ყოფნას ჩვეულებრივ დროს ფიქრშიაც ვერ წარმოიდგენდა.

ზვიაგინცევი ლაპარაკობდა იმაზე, რაც ახლახან თვითონ განიცადა, რაზეც უკვე რამდენჯერმე უსაუბრია თავის მეგობრებთან. მან თქვა, რომ ფინელებმა თავდაცვის მთავარი ზოლის წინ შექმნეს წინაზოლი, ანგრევდნენ უკან მიტოვებულ ხიდებსა და გზებს და შუალა ზღუდეებზე მეტად მედგარ წინააღმდეგობას გვიწევდნენ. მათი წინააღ-

მდეგობის დაძლევა მოკლე ვადაში მხოლოდ მაშინ იქნებოდა შესაძლებელი თუ სრულფასოვანი და სწორად განაწილებული ტექნიკური საშუალებანი გვექნებოდა...

— ...ჩვენ კი ეს არ გვქონდა, არ გვქონდა! — აგზნებითა და სიმწრით ლაპარაკობდა ზვიაგინცევი. — გადალახული გზის თითოეული მეტრი, მოწინააღმდეგის სნაიპერთა ცეცხლქვეშ ჩასობილი თითოეული ხიმინჯი, გადებული ხიდის თითოეული მალი დიდძალ სისხლის ფასად გვიჯდებოდა... ჩვენ არ ვწუწუნებთ, არა, — კიდევ უფრო მღელვარედ განაგრძობდა ზვიაგინცევი, — ჩვენ ვიცით, რომ ომი — ეს სისხლიცაა და გაჭირვებაც, მაგრამ საკმარისად რომ გვქონოდა საინჟინრო ტექნიკა, რომ გვყოლოდა ნამდვილად მოძრავი მესანგრეთა ნაწილები, მაშინ...

და ამ მომენტში ზვიაგინცევს შეაწყვეტინა სტალინმა. ზვიაგინცევი ვერ ხედავდა სტალინს და ვერ მიხვდა, რომ მას რაღაცის თქმა უნდოდა. მიუხედავად იმისა, რომ მთელი დარბაზი ხედავდა, როგორ მივიდა სტალინი პრეზიდიუმის მაგიდის შორეულ ტორსთან, ოდნავ გამოვიდა ავანსცენაზე და ნელა ასწია ჩიბუხიანი ხელი, როგორც ამას აკეთებდა ხოლმე, როცა ორატორისადმი მიმართვას აპირებდა, ზვიაგინცევი მაინც განაგრძობდა. მეტიც, როცა შენიშნა, რომ ყველას მზერამ, დარბაზის მთელმა ყურადღებამ, სადღაც სხვა მხარეს გადაინაცვლა და მოისაზრა, კიდეც, რომ სტალინს რაღაცის თქმა სურდა, ზვიაგინცევი მაინც შეუჩერებლივ ლაპარაკობდა.

მას უბრალოდ შეეშინდა, რომ არ დააცლიდნენ იმ მთავარის თქმას, რისთვისაც იგი ტრიბუნაზე ავიდა და სხაპასხუპით განაგრძობდა სათქმელს.

იგი მხოლოდ მაშინ გაჩუმდა, როცა გარკვევით დაინახა, რომ ყველამ თავი მარცხნივ, სტალინისაკენ შეატრიალა. მაშინ, როგორც იქნა, მიხვდა ზვიაგინცევი თავისი საქციელის უტაქტობას. იგრძნო, როგორ აეწვა სახე და დაწყებული აზრის დაუმთავრებლად შუა სიტყვაზე შეჩერდა.

და ახლა გაიგონა მან სტალინის წყნარი, რაიმე ინტონაციას მოკლებული ხმა:

— ერთი მითხარით, ამხანაგო ზვიაგინცევ, თქვენ, მაშასადამე, მიგაჩნიათ, რომ საინჟინრო ჯარებს ისეთივე მოძრაობითი შესაძლებლობის ტექნიკა უნდა ჰქონდეთ, რო-

გორიც სხვა დანარჩენ სახეობათა ჯარებს? სწორად გაგიგეთ?

ზვიაგინცევი რამდენიმე წამს დუმდა. ისე შერცხვა, სტალინის მიმართვამ ისე დაასხა თავს რეტი, რომ შეკითხვის არსსაც ვერ ჩაწვდა. მოეჩვენა, რომ სტალინს მისთვის კიდევ რაღაც უნდა ეთქვა და იგი, ზვიაგინცევი, ახლა უნდა გაჩუმებულიყო. გაჩუმებულიყო და ესმინა.

მაგრამ სულ მალე დარბაზის დაძაბულმა სიჩუმემ, იმ ადამიანთა სახეებმა, რომელნიც კვლავ მას მისჩერებოდნენ, მიახვედრეს, რომ უნდა ეპასუხა, დაუყოვნებლივ ეპასუხა.

„ნეტა რა მკითხა? რა?“ — სასოწარკვეთილებით ცდილობდა ზვიაგინცევი გაეხსენებინა გულში. „ჰო, მართლა, საინჟინრო ჯარების მოძრაობითი შესაძლებლობა!“ — იმ წამსვე გაიმეორა თავისთვის.

და მაშინ ძალიან ხმამაღლა თქვა:

— დიახ, ამხანაგო სტალინ, სწორედ ეგრეა!

და სასწრაფოდ, თითქოს წუხდა, სტალინი ჩემი პასუხის აზრს ვერ გაიგებსო, დასძინა:

— ჩვენ ხომ მხოლოდ ამ შემთხვევაში შეეძლებთ უზრუნველყოთ დანარჩენი სახეობის საბრძოლო ძალის, განსაკუთრებით ტანკებისა და არტილერიის სწრაფი გადაადგილება.

სტალინმა ჩიბუხიანი ხელით გააკეთა ისეთი მოძრაობა, რომელიც მრავალნაირად შეიძლებოდა გაგებულ. აქ ისიც იგულისხმებოდა, რომ ზვიაგინცევის თვალსაზრისს იზიარებდა. მაგრამ ზვიაგინცევს მოეჩვენა, რომ სტალინმა მაინც ვერ გაუგო.

და მაშინ იმის შიშით, რომ ახლა სტალინი იტყოდა ისეთ რამეს, რაც გააბათილებდა, უკუაგდებდა მის აზრს, როგორც რაიმე არაარსებითს, ზვიაგინცევმა აჩქარებითა და არევით დაიწყო ლაპარაკი, ყვებოდა იმაზე, თუ რა ხდება ბრძოლის ველზე, როცა ტანკები და ჯავშნოსნებიწინ გაიჭრებოდნენ, შემდეგ კი უმწეოდ დადგებოდნენ აფეთქებული ხიდების, ბოძკინტებისა და ტანკსაწინააღმდეგო თხრილების წინ, იმიტომ რომ მესანგრეები მათ სადღაც, შორს ჩამორჩნენ, ანდა სასწრაფო სამუშაოებისთვის მექანიზმები არ გააჩნდათ.

იგი გონს მოვიდა მხოლოდ მაშინ, როცა უკვე თავის ადგილზე იჯდა. აღარ ახსოვდა, როგორ დაამთავრა სიტყ-

ვა, როგორ გამოიარა თავის შორეულ რიგამდე ის გასასვლელი.

ტრიბუნაზე უკვე იდგა სხვა ორატორი, გენერალი, რომლის გვარი ზვიაგინცევმა ვერ გაიგონა, და მას საერთოდაც აღარაფერი ესმოდა და ველარაფერს ხედავდა. სულ მთლად შეეპყრო გადამხდარი ამბის შთაბეჭდილებას და ჯერ კიდევ ვერ გრძნობდა იმ განუზომელ შვებას, რომელიც რამდენიმე წუთის შემდეგ დაეუფლა.

თათბირზე სიტყვით ყველაზე ბოლოს გამოვიდა სტალინი.

...და აი, ახლა, როცა სასტუმროს იმ ნომერში იჯდა, სადაც ასე მოულოდნელად გადაიყვანეს და რომელიც ფაქტიურად უკვე აღარ სჭირდებოდა, და თავისი თანაძოსაძსახურის პოლკოვნიკ კოროლიოვის დაჟინებულ შეკითხვებს ისმენდა, ზვიაგინცევი ისევ და ისევ ცდილობდა აღედგინა მეხსიერებაში, რა თქვა სტალინმა — ის რეპლიკა კი არა, არამედ მთელი სიტყვა.

მის რიგში მეზობლად მსხდომებივით კი არ ჩაუწერია სიტყვები. ის დაატყვევა თვით ფაქტმა, რომ იგი უშუალოდ უსმენს სტალინს. ზვიაგინცევი მხოლოდ სტალინს უსმენდა და უცქეროდა, ცდილობდა არ გამორჩენოდა არა თუ მისი ერთი სიტყვაც კი, არამედ დაემახსოვრებინა ყველაფერი: შესახედაობა, ხელის მოძრაობა, ლაპარაკის მანერა...

მაგრამ სიტყვის ჩაწერაში ზვიაგინცევს სხვა რამეც უშლიდა ხელს.

საქმე ის იყო, რომ სტალინის მიერ წარმოთქმული პირველი ფრაზებიდანვე იგი მიხვდა, სტალინის ლაპარაკში იმალებოდა რაღაც მთავარი, ჯერ კიდევ გამოუთქმელი აზრი, რაღაც ფარული ქვეტექსტი. და ეს შეგრძნება ზვიაგინცევს თანდათან უძლიერდებოდა.

ზვიაგინცევი ამას უცბად ვერ მიხვდა.

სტალინი ლაპარაკობდა იმაზე, თუ რა იყო კიდევ გასაკეთებელი არმიის მეთაურთა, განსაკუთრებით უმცროს მეთაურთა საბრძოლო მომზადების გასაუმჯობესებლად. ლაპარაკობდა დისციპლინაზე, პოლიტიკურ მუშაობაზე, ნაღმსატყორცნი შეიარაღების გაძლიერებაზე, ჯარების სახეობათა ურთიერთმოქმედებაზე. თქვა, რომ სამოქალაქო ომის ტრადიციებისა და გამოცდილების კულტმა ხელი

შეუშალა ჩვენს მეთაურთა შემადგენლობას, სწრაფად გარდაქმნილიყო ახალ ყაიდაზე, გადასულიყო თანამედროვე ომის რელსებზე. და თქვა მრავალი სხვა რამე, რის გახსენებაც ზვიაგინცევმა ახლა ვეღარ შეძლო. ჰო, იგი ლაპარაკობდა ფინეთის ომზეც, და ყველა მისი მაგალითი, ყველა ფაქტი, რომელსაც იმოწმებდა, ამასწინანდელი ბრძოლების პრაქტიკიდან იყო აღებული.

და მაინც სტალინის გამოსვლაში იყო რაღაც არაპირდაპირ თქმული მთავარი, შემაშფოთებელი აზრი. ზვიაგინცევმა კარგად შეიგრძნო ეს.

და როცა ამ აზრმა ბოლოს და ბოლოს მიაღწია ზვიაგინცევის გონებამდე, მთელი მისი ყურადღება გამახვილდა სწორედ მასზე, ამ მთავარ აზრზე, რომელიც წყალქვეშა ნავივით ხან ოდნავ ამოტივტივდებოდა ზედაპირზე, ხან ჩაიძირებოდა სიღრმეში.

ახლა ზვიაგინცევს ეშვი აღარ ეპარებოდა, როცა სტალინი ფინეთის კამპანიაზე ლაპარაკობდა, სულ სხვა. ბაცილებით უფრო საშიშ, თავისი მასშტაბებით შეუდარებელ, იმ გადამწყვეტ ბრძოლაზე ფიქრობდა, რომელიც მოგვეელოდა და რომელზეც ამ წლების განმავლობაში ყოველთვის ფიქრობდა თითოეული სამხედრო კაცი. ეს იყო ჰიტლერულ გერმანიასთან ომის გარდაუვალობა. ეს აზრი სტალინის სიტყვიდან სრულიად თვალსაჩინოდ მაშინ გამოიკვეთა, როცა მან თქვა, ჰიტლერული საომარი მანქანა ფინურზე ბევრად უფრო ძლიერიაო.

ეტყობოდა, სტალინს უნდოდა ამ დარბაზში მყოფებს, მთელ არმიას, მთელ ხალხს გაეგო, რომ მოგვეელოდა საშინელი, გამანადგურებელი ომი, ორი სისტემის ორი შეურიგებელი იდეოლოგიის — კომუნისტურისა და ფაშისტურის — ერთმანეთის წინააღმდეგ ბრძოლა.

ზვიაგინცევი ახლა ამ მთავარი, გადამწყვეტი აზრის შთაბეჭდილების ქვეშ იმყოფებოდა, რომელსაც თავისდა შეუცნობად დაქინებით უფანტავდა კოროლიოვი.

— ...მაშ, არ გახსოვს სტალინის სიტყვები? — კვლავ შეეკითხა პოლკოვნიკი. — ასაკისათვის შეუფერებელი სკლეროზისმაგვარი რაღაც გჭირს. ჰო, კარგი, — უიმედოდ ჩაიქნია ხელი, — სხვებსაც ვკითხავ. ასეა თუ ისე — გილოცავ! აბა, არ აღვნიშნოთ ეს ამბავი? — და მათ დალიეს. კოროლიოვმა ჩანგლით გადაიღო ქაშაყის ნაჭერი, ხახვს ახრამუნებდა და ისევ განაგრძობდა:

— რასაკვირველია, მას რომ თავის სიტყვაში შენ

თვის პირდაპირ დაეჭირა მხარი — ხვალ უკვე პოდპოლკოვნიკად შეგეძლო ჩაგეთვალა თავი. მაგრამ ისედაც — ერთიც ვნახოთ და!.. ისეთ თათბირზე მოგცეს სიტყვა, მისი ყურადღება მიიპყარი, ეს ხუმრობაა! — ნაცვალსახელზე დასვა მახვილი კოროლიოვმა. — შეხე, რა მონდომებით შეასრულეს ინტენდანტებმა! — თვალი ჩაუკრა და ოთახი მოათვალიერა. — ზოგნი, პოლკოვნიკებიც კი, ორორნი მოათავსეს. შენ კი... ერთი სიტყვით, მოდი, კიდევ გადავკრათ!

მათ ისევ დალიეს.

კოროლიოვმა გიმნასტურის საყელო შეიხსნა, ქამარი მოიშვა, სკამის საზურგეს მიეყრდნო და ჰკითხა:

— მაინც რა დასკვნა გამოიტანე მისი სიტყვიდან?

— საჭიროა არმიის განმტკიცება, — ჩაფიქრებით უპასუხა ზვიაგინცევმა.

— ეს ხომ ნათელი ფაქტია, — მოუთმენლად შენიშნა კოროლიოვმა, — მაგრამ ახლა ამაზე როდი გეკითხები. როგორ ფიქრობ, იქნება ცვლილებები?

ზვიაგინცევმა კითხვის გამომეტყველებით შეხედა მას.

— რა მოგივიდა, ბავშვი ხომ არა ხარ? — უკმაყოფილოდ განაგრძო კოროლიოვმა. — ჩვენი ოლქი მაქვს მხედველობაში. გადაყვან-გადმოყვანა თუ იქნება? ჰოდა... საერთოდაც. ჰა? ჩემი აზრით, ეს გარდაუვალია.

იგი კვლავ დაიხარა მაგიდაზე, საქმიანი სახით ჩამოასხა კონიაკი ჭიქებში და ბიფშტექსის ჭამას შეუდგა.

— მე სხვა დასკვნა გამოვიტანე, — თქვა ზვიაგინცევმა. — ჩემი აზრით, სხვა რამ არის გარდაუვალი. ჰიტლერთან ომი მოგვიხდება.

— ჰა-ჰა-ჰა-ჰა! — გაიცინა კოროლიოვმა და ჩანგალი, რომელზეც ხორცის ნაჭერი წამოეგო, ზევით ასწია. — დახეთ, ამ წინასწარმეტყველს! რაღა თქმა უნდა მოგვიხდება! ადრე თუ გვიან. ეს ბალღისთვისაც ცხადია.

— კარგი იქნება, თუ ადრე... ან გვიან არ მოგვიხდა, — ჩუმად თქვა ზვიაგინცევმა.

უცებ კოროლიოვის სახემ სერიოზული გამომეტყველება მიიღო.

— ამაში, ძგონი, მართალი ხარ, — თქვა კოროლიოვმა და ოფლით დანესტიანებული საყელოს თეთრი სარჩული გაისწორა. — ახლა, ვგონებ, ცოტა ადრეც იქნებოდა, ჰა? აი, როცა ჩვენ ზოგ დასკვნებს გავაკეთებთ, მაშინ მოეთ-

რიონ. ჰოდა, — ჩაიქნია მან ხელი. — მოდი, ხორცი ვჭამოთ, თორემ გაცივდება.

მან მაგიდასთან მიიწია და ისევ ბიფშტექსის ჭამას შეუდგა. ერთხანს მდუმარედ ჭამდნენ. კოროლიოვი მადიანად შეექცეოდა, ზვიაგინცევი კი უმადოდ ძიძგნიდა ჩანგლით მაგარ ხორცს. ბოლოს მან თეფში განზე გასწია.

კოროლიოვის ქცევა, მისი ლაპარაკის მანერა აღიზიანებდა ზვიაგინცევს. შტაბის უფროსის მოადგილე მას საკმაოდ ჭკვიან და სულით ხორცამდე სამხედრო კაცად მიაჩნდა. ფიქრობდა, ჩექმებსა და გიმნასტიორკაში გამოწყობილი დაიბადაო. პიჯაკითა და ჩაშვებული შარვლით მისი წარმოდგენა ზვიაგინცევს არ შეეძლო. შტაბის მუშაკებმა კარგად იცოდნენ, კოროლიოვმა მთელი შეგნებული ცხოვრება არმიის რიგებში გაატარა და ყველა მისი ინტერესი, ყველა აზრი მუდამ არმიასთან იყო დაკავშირებული. ზვიაგინცევმაც იცოდა ეს. მაგრამ ახლა ისეთი თათბირის შემდეგ, სადაც მსჯელობდნენ არა მარტო არმიის, არამედ მთელი ქვეყნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საქმეებზე, კოროლიოვი რომ ასეთი დაუდევარი ფანფარული მანერით ელაპარაკებოდა, ეს აღიზიანებდა ზვიაგინცევს. „იქნებ იმიტომ მელაპარაკება ასე, რომ უნდა, ასე ვთქვათ, ჩემი ადგილი მიმიჩინოს? — გაიფიქრა მან. — ეშინია, არ გავყოყოჩდე? უნდა ხაზი გაუსვას, რომ, თუმცა მე ისეთ საპასუხისმგებლო თათბირზე მომცეს სიტყვა, მისთვის, პოლკოვნიკისთვის, სამოქალაქო ომის მონაწილისთვის, მაინც ახალგაზრდული ასაკიდან ნაადრევად გამოსულ ბიჭუნად დავრჩი?“

ამ აზრმა, რა თქმა უნდა, არათუ დაამშვიდა ზვიაგინცევი, არამედ კიდევ უფრო მეტად გააცეცხლა.

— ვერ გამიგია, პავლე მაქსიმოვიჩ, — თქვა მან, — ნუთუ სწორედ ახლა გაგეღვიძა ჭამის მადა?

— მერე რა? — ცოტა არ იყოს უხეშად შეუბრუნა კითხვა კოროლიოვმა. — ჯარისკაცისათვის დანაყრება პირველი საქმეა. მშიერი ჯარისკაცი ჯარისკაცი არ არის. გირჩევ, შეითვისო.

„არ უნდა სერიოზულად მელაპარაკოს, — კიდევ უფრო მეტი წყენით გაიფიქრა ზვიაგინცევმა, — ოხუნჯობით მიშორებს თავიდან. ჰგონია, რომ სერიოზული საუბრისთვის ჯერ კიდევ მოუმწიფებელი ვარ“.

და რაც უფრო მეტს ფიქრობდა ამაზე ზვიაგინცევი,

ძით უფრო უნდოდა, აეძულებინა კოროლიოვი სერიოზულად ელაპარაკა მასთან.

— აი, შენ თქვი, პავლე მაქსიმოვიჩ, საჭიროა საკუთარი თავისათვის ზოგი რამ დასკვნის გამოტანაო, — ისევ შეტევაზე გადავიდა ზვიაგინცევი, — მაგრამ რა დასკვნების? რას გულისხმობ?

კოროლიოვმა ერთი წუთით მოაშორა თვალი თეფშს, თავი ასწია და, როგორც ზვიაგინცევს მოეჩვენა, ოდნავ შესამჩნევი ირონიული ღიმილით შეხედა მას.

— რა დასკვნების? — გაიმეორა კითხვა და გიმნასტურაში გაჭედილი ფართო მხრები შეარხია, — ეგ დასკვნები ხომ უკვე გამოიტანე! ბრძოლა მოგვიხდება.

და თუმცა მან ეს სიტყვები წინანდებურად ირონიულ-უდარდელი ტონით წარმოთქვა, რაც აშკარად ეწინააღმდეგებოდა მათ აზრს, ზვიაგინცევი სასწრაფოდ ჩაეჭიდა სწორედ მას.

— დიახ, დიახ! — წამოიძახა მან, — ჩვენ კი?..

და იგი გაფაციცებითა და კითხვის გამომეტყველებით მიაცქერდა კოროლიოვს.

მან ისევ ასწია თავი. მათი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ. ამჯერად ზვიაგინცევს პოლკოვნიკის სახეზე არ დაუნახავს ჩაცინების ან თუნდ ღიმილის ნიშანი.

— ჩვენ რა? — მოულოდნელად შეჭმუხვნითა და იჭვნეულად გაუმეორა კითხვა კოროლიოვმა. — ყველაფერს, რის მიცემაც არმიისათვის ქვეყანას შეუძლია, აძლევს.

— პავლე მაქსიმოვიჩ, — გადაჭრით უთხრა განაწყენებულმა ზვიაგინცევმა, — აბა, რად ამბობ ასე?! შენ ხომ მშვენივრად გესმის, რაზეც ელაპარაკობ! თუ სერიოზული საუბრის ღირსად არ მთვლი, ეგეც მითხარი.

კოროლიოვმა ჩაიცინა.

— ღირ-სად არ მთვლი! — ჩამარცვლით განაგრძო მან. — შეხეთ, რა სიტყვები გამოსძებნა! რაო, თავადი ან ვინმე ფონ-ბარონი ხომ არ გგონივარ, რომ ღირ-სად არ ჩაგ-თვალო?

— მაშ საუბარს გვერდს რად უხვევ? — გაცხარებით წამოიძახა ზვიაგინცევმა.

— არსაითკენაც არ ვუხვევ. ხომ ხედავ, აქ, შენს წინ ვზივარ.

ამ მახვილსიტყვაობას მოკლებულმა ხუმრობამ უფრო გააგულისა ზვიაგინცევი.

— არა, უხვევ! — უფრო მეტი დაჟინებით გაიმეორა

მან. — და ეს... არ არის სწორი! შენს გარდა ვის უნდა ვესაუბრო! ჩვენ ხომ ერთად ვმსახურობთ, ერთად ვიყავით კრემლში, ამხანაგი სტალინი ხომ ჩვენც — მეც და შენც — მოგვმართავდა!.. შეუძლებელია, ამას აზრებისათვის ბიძგი არ მიეცა! შენ კი...

— რა, მე? — ხარივით თავის წახრით შეაწყვეტინა კოროლიოვმა. — როგორც ხედავ, ვზივარ, გისმენ, მაინტერესებს, ბიძგისაგან რომელი მხარისაკენ დაიძრა შენი აზრები. აბა, მომახსენე, ფილოსოფოსო.

სიტყვა „ფილოსოფოსი" მან უკანასკნელ მარცვალზე ირონიული მახვილის დასმით წარმოთქვა.

— რა შუაშია აქ ფილოსოფია! მე მინდა ვილაპარაკო უაღრესად პრაქტიკულ საკითხებზე, რომლებთანაც დაკავშირებულია მთელი ჩვენი სიცოცხლე! სიცოცხლეც და მოვალეობაც! რაო, შენ გგონია, თუ მე მესანგრე ინჟინერი ვარ, ჩემს ცხვირს იქით არ უნდა გავიხედო? და თუ...

— ჰო, გეყოფა თავის მართლება! — მოუთმენლად შეაწყვეტინა კოროლიოვმა. — თქვი, რის თქმაც გინდა!

— კარგი, გეტყვი, — ალელვებით თქვა ზვიაგინცევმა. იგი ერთხანს დუმდა და აზრებს იკრებდა. — მაშ, ომი გარდაუვალია, ხომ?

— დავუშვათ, რომ ასეა, — დაეთანხმა კოროლიოვი.

— მაშასადამე, შეიძლება ხვალაც დაიწყოს, სწორია?

— „ხვალის" შესახებ, ჩემი აზრით, აჭარბებ. მაგრამ თეორიულად — დავუშვათ, შემდეგ?

— შემდეგ კი წარმოიშობა გარდაუვალი კითხვა: მზად ვართ თუ არა? მე, ბუნებრივია, ჩვენს ოლქზე ვამბობ, დანარჩენებზე არ ვიცი და არც შემიძლია ვიცოდე. და ჩვენს ოლქშიც ჩემთვის ყველაზე ნაცნობია საინჟინრო ჯარები, გამაგრებანი და სხვა მისთანები. აი, ახლა ჩვენ ფინეთის კამპანიის შედეგებს ვაჯამებთ, ხომ მართალია? შენ დარწმუნებული ხარ, რომ მომავალი ომი ყველაფერში ფინეთის ომის მსგავსი იქნება?

— ახლა ისეთი სულელი ვიღაა, რომ ეგრე იფიქროს.

— მაგრამ ხომ ყველაფრიდან ჩანს, რომ ზოგიერთებს აგრე მიაჩნიათ! ვითომ ჩვენ იმ ომშიც ყველგან მანერჰაიმის ხაზების გარღვევა მოგვიხდება.

— არ მესმის.

— ეჰ, აბა როგორ არ გესმის! ჩვენს ოლქში ხომ ახლა მხოლოდ მსხვილი კალიბრის ზარბაზნებს მოერეკებიან!

სად არის საზენიტო? სად არის ტანკსაწინააღმდეგო? შეგხვედრია? თვითმფრინავები? — შენ გგონია, საკმაო რაოდენობით გვაქვს? მისმინე, პავლე მაქსიმოვიჩ, — ხმას დაუდაბლა და მაგიდაზე წაიხარა ზვიაგინცევი, — დარწმუნებული ხარ, რომ ჩვენ ის მითითება უკუვაგდეთ?

— რომელი მითითება?

— აი, ის, მხოლოდ ნაკლები სისხლითა და მხოლოდ სხვის ტერიტორიაზეო?

— აი, რა, ზვიაგინცევ, — უთხრა კოროლიოვმა და მის ხმაში ახალი, ცივი, მკაცრი ინტონაცია გაისმა, — მაგ დემაგოგიას თავი დაანებე. შენ, როგორც შტაბის მუშაკმა და პარტიულის წევრმა, კარგად იცი, რომ პარტიამ ის მითითება, როგორც თვითდამამშვიდებელი, დაგმო. მაშ, მორჩი ლაყბობას! — მოულოდნელად დაიყვირა მან და თავისი ფართო ხელისგული მაგიდას დასცხო.

ზვიაგინცევმა გაოცებითა და დაბნევით შეხედა მას, თან ცდილობდა, მოესაზრებინა, რას შეეძლო გამოეწვია კოროლიოვის ასეთი აფეთქება.

მაგრამ კოროლიოვი დუმდა და სახე წითლად აფორეჯებოდა.

— ვერ გამიგია, რატომ ბრაზობ, — გაუბედავად თქვა ზვიაგინცევმა. — მე, მგონი ისეთი არაფერი მითქვამს...

იგი მოლოდინით შესცქეროდა მდუმარე კოროლიოვს.

„გასაოცარი კაცია! — ჩაიცინა გუნებაში ზვიაგინცევმა. — საკმარისია რაიმე ოფიციალური მითითება კრიტიკულად ახსენო, რომ გაშმაგდეს. თუნდაც ეს მითითება ისევე ოფიციალურად უკვე გაკრიტიკებული იყოს“.

დიახ, „ნაკლები სისხლით“ გამარჯვების მოპოვების ლოზუნგი ფინეთის მძიმე და მომქანცველი კამპანიის დამთავრებისთანავე ცენტრალურმა კომიტეტმა დაუყოვნებლივ დაგმო, როგორც არასწორი, არმიისათვის იოლი გამარჯვების ორიენტაციის მიმცემი.

მაგრამ იგი წლების განმავლობაში ინერგებოდა და ბუნებრივია, არ შეეძლო კვალი არ დაეტოვებინა წითელი არმიის ასი ათასობით მებრძოლისა და მეთაურის შეგნებაში. და არაფერი იყო გასაბრაზებელი იმაში, რომ ზვიაგინცევმა ამაზე შეახსენა, შეშფოთება გამოთქვა.

მაგრამ ამ სიტყვებმა კოროლიოვზე ზვიაგინცევისთვის სრულიად მოულოდნელი ეფექტი მოახდინა. მას პოლკოვნიკი მიაჩნდა პატიოსან, საკმაოდ ჭკვიან, პირდაპირ,

თუმცა ცოტა ეშმაკ კაცად, რომელიც წმინდად იცავდა სამხედრო სუბორდინაციის პრინციპებს. მისმა ასეთმა რეაქციამ ახლახან არმიაში პოპულარული მითითების გულუბრყვილო კრიტიკაზე აღაშფოთა ზვიაგინცევი.

კოროლიოვი კი ისევ ისე დუმდა. დაძაბულად და ბრაზით უცქეროდა ზვიაგინცევს, რომელსაც ეგონა, პოლკოვნიკი ეძებს სიტყვებს, რომ უფრო სრულად გამოხატოს თავისი აღშფოთებაო. მაგრამ ზვიაგინცევი ცდებოდა. მდუმარების ამ წუთებში კოროლიოვი იმაზე ფიქრობდა, რაც თავისი დაბალი სამსახურებრივი მდგომარეობის გამო ზვიაგინცევს არ შეეძლო სცოდნოდა.

პოლკოვნიკს გაახსენდა, თუ როგორ გამოიძახეს ამ ერთი თვის წინათ სარდალმა და სამხედრო საბჭოს წევრმა საოლქო შტაბის ხელმძღვანელი შემადგენლობა მოსკოვში შემდგარი მთავარი სამხედრო საბჭოს სხდომაზე ინფორმირებისათვის. სხდომაზე ლაპარაკი იყო ფინეთის წინააღმდეგ მიმართულ სამხედრო მოქმედებათა გეგმაზე, რადგან მთავრობის ყველა ცდა — მშვიდობიანად მოწესრიგებულიყო ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთ საზღვრების უშიშროების საკითხი — უშედეგოდ რჩებოდა და საზღვარზე კვლავ გრძელდებოდა ფინელთა შეიარაღებული პროვოკაციები.

სარდლის ინფორმაცია მშრალი და შეკუმშული იყო. მაგრამ ჩანდა, რომ გენშტაბის უფროსის მარშალ შაპოშნიკოვის ხელმძღვანელობით შემუშავებული გეგმა სტალინმა მკაცრად გააკრიტიკა. შაპოშნიკოვს ბრალად წაუყენეს წითელი არმიის ძალთა შეუფასებლობა და ფინეთის არმიის შესაძლებლობათა გადამეტფასება. მისი გეგმა უარყვეს.

კოროლიოვისა და სარდალთან თათბირზე მყოფთათვის კი მთავარი ის იყო, რომ სწორედ ლენინგრადის სამხედრო ოლქის ხელმძღვანელობას ევალებოდა მთავარი სამხედრო საბჭოს კრიტიკული შენიშვნების საფუძველზე შეედგინა ფინეთის კამპანიის ახალი გეგმა.

იმ გეგმის შედგენაში, რომელსაც საფუძვლად ედო „ნაკლები სისხლით" ომის წარმოების პრინციპი, ესე იგი შეზღუდული ძალებითა და აუცილებელი რეზერვების თავმოყრის გარეშე მტრის სწრაფად დამარცხება, მონაწილეობა მიიღო საოლქო შტაბის ათეულობით მუშაკმა, მათ შორის ზვიაგინცევმაც.

მაგრამ ძალიან ცოტა მათგანმა იცოდა, რომელთაც

ზვიაგინცევი, ცხადია, არ მიეკუთვნებოდა, იმ მეორე, უარყოფილი გეგმის შესახებ.

კოროლიოვი კი იმ მცირეთაგანი იყო. და მისი ფიქრები არაერთხელ უბრუნდებოდა ამას, როცა ფრონტიდან მიღებულ ცნობებს კითხულობდა. როცა კარელიის ყელიდან ჩამოსულ მოყინულსა და ხველებით გათანგულ მეთაურებს ესაუბრებოდა, თვალწინ ედგა თოვლით დაფარული გზები, რომლებზეც არტილერიის, სნაიპერთა ცეცხლისა და ორმოცგრადუსიანი ყინვით მიყენებული დიდი დანაკარგის ფასად მძიმედ მიიწევდნენ წინ წითელი არმიის ნაწილები. კოროლიოვისა და შტაბის სხვა ხელმძღვანელებისთვისაც ახლა უკვე ცხადი იყო, რომ დაშვებულია სერიოზული შეცდომა — როგორც ჩანდა, მეორე, მოსკოვში უარყოფილი გეგმა უფრო სწორი ყოფილა. და მაინც იგი არასოდეს არ მისცემდა ნებას თავის თავს. ხმამაღლა ეღიარებინა ეს...

ის დღე, როდესაც მოსკოვში გადაწყვიტეს, დაბრუნებოდნენ ძველ გეგმას, როდესაც თავი მოუყარეს საჭირო რეზერვებს და დამატებითს შეიარაღებას და ლენინგრადის სამხედრო ოლქის ბაზაზე შექმნილ დასავლეთის ფრონტის ჯარების, ფლოტისა და ავიაციის მხარდაჭერით შეძლეს გადამწყვეტ შეტევაზე გადასვლა, ის დღე კოროლიოვისათვის დღესასწაული იყო.

მანერჰაიმის ხაზის გარღვევა, რამაც წინასწარ განსაზღვრა ჩვენი ჯარების გამარჯვება, დაეხმარა მას ომის დაუსრულებელი პირველი კვირეებით მიყენებული სიმწრის გადატანაში.

იგი ცდილობდა არ გაეხსენებინა წარსული და თავის თავს არწმუნებდა იმაში, რომ უკვე მომხდარი ამბებიდან ყველა აუცილებელი დასკვნა გაკეთებულია.

...მაგრამ ახლა ზვიაგინცევის მიერ პირველულად დასმულმა შეკითხვამ განარისხა იგი. ამ ყმაწვილმა კაცმა ხომ არ იცოდა ყველაფერი ის, რისი უსიტყვოდ გადატანაც მოუხდა კოროლიოვს.

მას უყვარდა ზვიაგინცევი. ნიჭიერ შტაბისტად და გაბედულ მეთაურად მიაჩნდა, თუმცა ერთგვარ სიფრთხილეს იჩენდა მისი სიფიცხისა და მსჯელობისადმი მიდრეკილების გამო. ასეთ შემთხვევებში იგი, ცოტა არ იყოს, უწყინარი უხეშობით შეაწყვეტინებდა ხოლმე ზვიაგინცევს: „კარგი, ნუ ქარაფშუტობ!“

ახლა კი კოროლიოვმა თავი ვეღარ შეიკავა...

ზვიაგინცევი კი, რომელიც მოულოდნელად დიდად გააოცა კოროლიოვის ამ, თითქოსდა გამოუცნობმა განრისხებამ, შესცქეროდა მას და ფიქრობდა: „ნუთუ არ შეიძლება მასთან გულღია საუბარი? ნუთუ ყოველთვის, როცა გავბედავ სუბორდინაციის საზღვრებს გავცდე და ვიმსჯელო ისეთ საქმეებზე, რაც ჩინის მიხედვით ჩემთვის „არ არის დაწესებული“, იგი მუდამ ასეთ ბურბონ-სამსახურის კაცად გადაიქცევა? მე კი ბევრ რამეზე მინდოდა მასთან საუბარი. მინდოდა მეკითხა, იმის შუქზე, რაც დღეს სტალინმა თქვა, საკმარისად მიაჩნია თუ არა ჩვენი სიმაგრენი ჩრდილოეთში? და ხომ არ ფიქრობს სარდლობა, საზღვართან უფრო ახლოს მისწიოს საველე ნაწილები? და შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ ჯარებში მალე გამოიგზავნება ახალი ტანკები, ეს „ტ-34“, რომლის შესანიშნავი იარაღითა და ჩინებული ჯავშნით აღჭურვილი საცდელი ეგზემპლარების ნახვა მოვახერხე ერთხელ სამხედრო ნაწილებში?“

...ახლა, სტალინის სიტყვის შემდეგ, მომავალი ომის გარდაუვალობაში დარწმუნებულ ზვიაგინცევს გონებაში წამოეჭრა ათობით კითხვა, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც წინათ არასოდეს არ მოსვლია თავში. იგი შესცქეროდა ჯერ კიდევ გულისწყრომადაუმცხრალ კოროლიოვს და ფიქრობდა: „მაშ კარგი. შენ ძველი, გამოცდილი სამხედრო მუშაკი ხარ. მაგრამ ოლქის ნაწილებში განა ბევრი დარჩა ეგეთი? შენზე უკეთ ვინ იცის, რომ ჩვენთვის ცნობილი მიზეზების გამო, დივიზიებისა და პოლკების მეთაურთა თითქმის ორი მესამედი — ეს ახალი, არა უმეტეს ერთი წლის ნამუშევარი ხალხია. მართალია, მათ ფინეთის ომში გამოცდილება შეიძინეს, მაგრამ საკმარისია თუ არა ეს გამოცდილება იმ, მომავალი ომისათვის?..“

ზვიაგინცევს გუნებაში ჩაეცინა, როცა წარმოიდგინა, რა გუნებაზე დადგებოდა კოროლიოვი თუ ამ სიტყვებს პირში ეტყოდა.

კოროლიოვი კი თანდათან გონს მოეგო და მწარედ ფიქრობდა იმაზე, თუ რარიგ უცნაურად მოეჩვენა, ალბათ, ზვიაგინცევს მისი მოულოდნელი აფეთქება.

მაგრამ იგი არაფრის გულისათვის, არავითარი საბაბით არ მისცემდა ნებას, აეხსნა მისი ჭეშმარიტი მიზეზი. იმის შესახებ, რომ ჩვენი ვარაუდი ელვისებურ ომზე, ფინელების სასწრაფო კაპიტულაციაზე, არ გამართლდა, იცოდა და ესმოდა ყველას, ვინც კარელიის ყელზე იყო ნამ-

ყოფი. მაგრამ მათ არ იცოდნენ და არც უნდა სცოდნოდათ, რომ არსებობდა ომის სხვა გეგმა და შესაძლოა ის რომ მიეღოთ, უფრო მალე და ნაკლები დანაკარგით შეეძლებდით გამარჯვებას. და იგი, კოროლიოვი, ვერ გახდება უმაღლესი სარდლობის მოქმედებისადმი ზვიაგინცევის სულში თუნდაც მცირეოდენ ეჭვის დამთეს კაცად.

ასეთი იყო ფიქრები ამ ორი ადამიანისა, რომლებიც ერთმანეთის პირისპირ ისხდნენ მრგვალ მაგიდასთან, სასტუმრო „მოსკოვის“ გაჩირაღდნებულ ნომერში, 1940 წლის გაზაფხულზე.

სიჩუმე პირველად ზვიაგინცევმა დაარღვია.

— კეთილი, პავლე მაქსიმოვიჩ, — შემარიგებლურად თქვა მან, — იქნებ, მართლაც ისე ვერ ვთქვი.

— ჰოდა, ეგრე, — წაიბურტყუნა კოროლიოვმა. იგი მიხვდა, ზვიაგინცევი ახლა იმას კი. არ ამბობდა, რასაც ფიქრობდა. თვითონ კოროლიოვმაც არ თქვა ის, რაც შეეძლო და უნდოდა. და დასძინა: — მოდი, ვეჭამოთ, თორემ გაცივდება.

მაგრამ ზვიაგინცევი კვლავინდებურად უძრავად იჯდა.

— რატომ არ ჭამ? ფიქრები აგეშალა, განა? — უკვე თავისი წინანდელი ირონიულ-მოწყალე მანერით შეეკითხა კოროლიოვი.

— ამეშალა, — სერიოზულად უპასუხა ზვიაგინცევმა. იგი უკვე შეურიგდა იმას, რომ კოროლიოვი არ იმსჯელებდა იმ საკითხზე, რასაც ასე თუ ისე, ნამდვილად თუ მხოლოდ მის წარმოდგენაში შეეძლო შეელახა უმაღლესი სარდლობის პრესტიჟი. ახლა მაიორი სხვა ფიქრს მისცემოდა. ეს „სხვა“, ისევე როგორც მისი ახლანდელი მღელვარების მომგვრელი ყველა აზრი, აგრეთვე მომავალ ომს უკავშირდებოდა, მაგრამ ამჟამად ამაზე იგი ფიქრობდა უკვე არა როგორც სამხედრო პირი, არამედ როგორც უბრალოდ ადამიანი, ჩვეულებრივი საბჭოთა ადამიანი, სასკოლო ასაკიდანვე დარწმუნებული, რომ არაფერია იმ იდეალებზე უფრო ძვირფასი და უფრო სამართლიანი, რომლებსაც ეძღვნება მილიონობით მისი თანამემამულის სიცოცხლე.

— გამაგებინე, პავლე მაქსიმოვიჩ, — უთხრა ზვიაგინცევმა, — მაინც როგორ შეიძლება ეს მოხდეს?

— რა? — გაფაციცებით შეაგება კითხვა კოროლიოვმა.

— აი ის... აბა როგორ გითხრა... — ზვიაგინცევმა შუბ-

ლი შეიჭმუხნა და თითები ისე აამოძრავა, თითქოს უნდოდა დაეჭირა, ჩამოეყალიბებინა მის გონებაში ჯერ კიდევ საბოლოოდ მოუმწიფებელი აზრი. — შენ, ცხადია, დამეთანხმები, რომ იდეები, რომლებსაც ჰიტლერი ქადაგებს, ეს საზიზღარი, ბილწი იდეებია?

— ეს ფაქტია, — ხალისით დაეთანხმა კოროლიოვი. იგი გუნებაში კმაყოფილი იყო რომ საუბარმა ნაკლებად სარისკო თემაზე გადაინაცვლა.

— ნუთუ გერმანელები სიცოცხლეს გასწირავენ მათთვის? — შეეკითხა ზვიაგინცევი.

კოროლიოვი წამოდგა. მოშვებული ქამარი მოიჭირა, ვიმნასტურის საყელო შეიბნია და პირდაპირ ჰკითხა:

— საით გადაუხვიე, მაიორო?

— არსაით. ისე, მინდა გავიგო: ნუთუ მილიონობით ადამიანი მზად არის სიცოცხლე შესწიროს უსამართლო საქმეს?

— ამჟამად, იქნებ მზადაც არიან... — მოულოდნელად ჩაფიქრებით მიუგო კოროლიოვმა.

— რას ნიშნავს „ამჟამად?“ — მოუთმენლად ჰკითხა ზვიაგინცევმა.

— ვხედავ, რომ ვერ მიხვდი, — ჩაიცინა კოროლიოვმა. — ფსიქოლოგად კი მოგაქვს თავი. კეთილი. უფრო ნათლად გეტყვი. სანამ ფაშისტს ზურგს უკან ძალა ეგულება, იგი წამოვა... ცხელ გულზე სიკვდილსაც არ დაერიდება. ნამდვილი იდეა კი რით იზომება? შეგნებული მზადყოფნით გასწირო მისთვის სიცოცხლე. და არა მხოლოდ მაშინ, როცა შენს მხარეზე ძალაა და არა მხოლოდ ცხელ გულზე, არამედ სიკვდილის პირისპირ ორთაბრძოლაში. კომუნისტს ეს შეუძლია. ფაშისტს კი ამის უნარი არ გააჩნია.

— შენ გგონია, ხელებს მაღლა ასწევენ?

— არა, არა მგონია. გარკვეულ დრომდე არ ასწევენ. შემოგვესევიან ღრიალით: „ჰაილ ჰიტლერ!“ ხოლო როცა ჩვენ ღდინს გავაცლით, მაშინ ყველა იმათ იდეას ბოლო ჰოეღება.

— და მაშინ ხელები მაღლა?

— არა. ჯერ კიდევ არა. შიში ექნებათ. ცხოველური შიში. სიკვდილი ხომ არავის არ უნდა. სიცოცხლისათვის ბრძოლაში შესაძლოა ყელშიაც სწვდე. მაგრამ ეგ უკვე სხვა საქმეა, უკანასკნელი ამოსუნთქვა. ფაშისტს ძალლივით სიკვდილი მოელის. და რა უნდა უთხრას ფაშისტ-

მა ხალხს სიკვდილის წინ? „ჰაილ?“ თუ „გაუმარჯოს მსოფლიოზე ბატონობას?“ არ გამოდის, არ ეღერს!.. აი პასუხი შენს შეკითხვაზე: იდეით კი არ მოხვეტა ჰიტლერმა თავისი მილიონები. ტკბილ ცხოვრებას შეჰპირდა ხალხს, ძარცვე სხვები და იცხოვრე, დასტკბიო!

— მაგრამ როგორ მოახერხა ეს?.. — ჯიუტად ეკითხებოდა ზვიაგინცევი.

— შენ, რა, ძართლაც მაბრიყვებ, ბოლოს და ბოლოს! — წამოიძახა კოროლიოვმა. — ვინ გასწავლიდა აკადემიაში? განმარტებანი გინდა ჩემგან მიიღო? ჰა, ინებე! — მან იდაყვში მოხრილი ხელი ასწია და თითების რიგრიგობით მოკეცვით დაიწყო ლაპარაკი: — ჰიტლერმა მოხერხებულად გამოიყენა სიტუაცია, რომელშიც აღმოჩნდა გერმანია პირველ მსოფლიო ომში დამარცხების შემდეგ. ეს ერთი. იმპერიალიზმი, გერმანული ვერმახტი თავის უკანასკნელ ფსონს ჩადის ფაშიზმის სახით. მისცეს მას მილიონობით მანეთი... რა ჰქვია... მარკები. ეს ორი. და ჰიტლერი საერთაშორისო იმპერიალიზმისთვისაც ხელსაყრელია. საყრდენია კომუნიზმის წინააღმდეგ. ეს სამი. აი, ეგ არის მთელი მექანიკა. გასაგებია?

ზვიაგინცევი ფანჯარასთან მივიდა, ფარდა გადასწია.

იქ, ფანჯრის იქით, ხმაურობდა ოხოტნი რიადი, მიჰქროდნენ მანქანები, საყვირებით აფრთხობდნენ გამვლელთ მაღალი კვადრატული „ემადინები“ და ჩვენი საავტომობილო მრეწველობის ამასწინანდელი სიახლე „ზის-101“-ები. სახკომსაბჭოს სახლში, მოპირდაპირე მხარეზე, მიუხედავად იმისა, რომ სამუშაო დღე უკვე დამთავრდა, თითქმის ყველა ფანჯარა განათებული იყო.

და იმ წუთში ზვიაგინცევს თვალწინ წარმოუდგა ჩაბნელებული ნევის პროსპექტი.

იგი შეშფოთდა, მთელ სხეულში ცივმა ჟრუანტელმა დაუარა და გაიფიქრა: „ნუთუ შეიძლება როდისმე ეს აქაც მოხდეს?.. ჩაქრეს ჩირაღდნები, გაქრეს მთელი ეს ცოცხალი, ნათელი სამყარო?...“

ამის გაფიქრებაზე ისეთმა შიშმა აიტანა, როგორც კარელიის ყელზე ყოფნის დროსაც არ განეცადა და გაახსენდა ვერა—კოროლიოვის ძმისწული. იგი სულ ახლახან, ფინეთის ომის დამთავრების შემდეგ გაიცნო, კოროლიოვმა რომ გამარჯვების აღსანიშნავ საოჯახო ზეიმზე დაპატიჟა.

...მან ქალს ყურადღება მხოლოდ მაშინ მიაქცია, როცა კოროლიოვმა პატეფონი მომართა და ახალგაზრდებს ხთხო-

ვა ეცეკვათ. თვითონ კი თავის უფროს ძმასთან, კიროვის ქარხნის ოსტატ ივანე მაქსიმეს ძესთან ჭადრაკის სათამაშოდ მეორე ოთახში გავიდა.

სტუმრებს შორის „ახალგაზრდობა" ცოტა იყო. ზვიაგინცევის გარდა აქ იყვნენ მხოლოდ უფროსი კოროლიოვის ქალიშვილი—ვერა, მისი მეგობარი ქალი, რომელსაც თავისი ნაცნობი ვაჟი—კონსერვატორიის სტუდენტი ახლდა და კიდევ ორი ახალგაზრდა ქალი — კოროლიოვის მეზობლები, თავიანთი ქმრებით.

როცა მაგიდა კედლისაკენ მისწიეს, რათა მეტი ადგილი ჰქონოდათ და ცეკვა დაიწყეს, „თავისუფალი" დარჩა მხოლოდ ვერა — მისი მეგობარი ქალი თავის კონსერვატორიელ ჭაბუკთან ცეკვავდა, ცოლები — თავიანთ ქმრებთან. ზვიაგინცევს სხვა არაფერი დარჩენოდა, მისულიყო დივანზე მარტოდ მჯდომ ქალიშვილთან და საცეკვაოდ გაეწვია.

ქალიშვილმა უპასუხა:

— სჯობს, დაბრძანდეთ და ვისაუბროთ. — და ჰკითხა:— თქვენ, მგონი, ახლახან დაბრუნდით ფრონტიდან?

ვაჟი დივანზე ჩამოჯდა. ვერამ როგორღაც ძალიან ბუნებრივად და უბრალოდ ახლოს მიიწია მასთან, პირდაპირ ჩახედა თვალებში და კვლავ ჰკითხა:

—ყოველივე იმის შემდეგ, რაც თქვენ გადაიტანეთ, ალბათ, ძალიან სასიამოვნოა ასე, სითბოში, ელექტრონის შუქზე ჯდომა, არა?

იგი ყოველგვარი აფექტაციისა და კეკლუცობის გარეშე აძლევდა კითხვებს ზვიაგინცევს, თან ისეთი ყურადღებითა და ჩაციებით უცქეროდა, თითქოს სურდა დაერწმუნებინა, რომ ვაჟის პასუხები მისთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო.

მიუხედავად ამისა, ზვიაგინცევი პირველად ვერას დაბნეულად და ნახევრად ხუმრობით პასუხობდა. თვალი უფრო მის ლამაზ მეგობარ ქალიშვილისაკენ გაურბოდა, რომელიც თავდავიწყებით ცეკვავდა თავის სტუდენტთან ტანგოს „შავი თვალების" ჰანგზე. ეს ცეკვა უკვე რამდენიმე წელია მოდიდან არ გადიოდა. გამხდარი, ტანმორჩილი, ბავშვივით ფართოდგახელილი ცნობისმოყვარე თვალებით ვერა ნამდვილად ვერ შეედრებოდა თავის გრძელკანჭება ლამაზ მეგობარ ქალიშვილს და ზვიაგინცევმა სინანულით გაიფიქრა, თაყვანისმცემლით ნეტა ვერა მოსულიყო და არა მისი მეგობარიო.

მან რამდენჯერმე უშედეგოდ სცადა დაეჭირა იმ მეო-

რე ქალიშვილის მზერა, ხოლო როცა შენიშნა, ვერა კვლავინდებურად მოთმინებითა და ლოდინით შესცქეროდა, უთხრა:

— რა თქმა უნდა, ომი თაფლის ჭამა როდია.

და იმ წამს ვერას ჩაციებულ მზერაში ისეთი საყვედურის მსგავსი რამ შენიშნა, თითქოს ქალიშვილი მისგან სულ სხვა პასუხს ელოდა.

ზვიაგინცევი ისე დაიბნა, თითქოს ბავშვი მოეტყუებინოს და ღიმილით უთხრა, რომ „ომი ომია", როგორც ფრანგები იტყვიანო, და ამჯერად უკვე საბოლოოდ დაიბნა, რადგან მიხვდა, რომ უხამსად იქცეოდა.

ვერამ თავი გაიქნია და რბილად, მაგრამ დარწმუნებით თქვა:

—არა, ეს არ არის პასუხი. ერთ-ერთ ჰოსპიტალში პრაქტიკას გავდიოდი, იქ მოყინულებს მკურნალობდნენ. მე მიხდებოდა მათთან საუბარი. ისინი საშინელ ამბებს ჰყვებოდნენ. მითხარით, თქვენ ფრონტზე იყავით?

პირველ წამს ზვიაგინცევს ეწყინა კიდეც. მაგრამ ვერას სახეზე ეტყობოდა, რომ მისი თავმოყვარეობის შელახვას სულაც არ ფიქრობდა. აშკარად ჩანდა, რომ ამ გულუბრყვილო კითხვებს იგი სრულიად გულწრფელად იძლეოდა.

მაშინ ვაჟმა უპასუხა, რომ ომის სამივე თვე ფრონტზე, საინჟინრო ნაწილში დაჰყო.

— ბევრი ქალიშვილი იყო იქ? — ჰკითხა ვერამ.

— ქალიშვილები? — გაოცებით გაიმეორა ზვიაგინცევმა, მაგრამ მაშინვე მიხვდა, რომ იგულისხმებოდა სამხედრო მოსამსახურეები და უპასუხა, ქალიშვილებიც იყვნენ, განსაკუთრებით სამედიცინო პერსონალიო.

თანდათანობითა და თავისდა შეუმჩნეველად ზვიაგინცევი საუბარში ჩაერთო და უკვე აღარ ნანობდა, რომ იმ გრძელკანჭება ქალიშვილთან არ ცეკვავდა.

იგი გრძნობდა, ვერა მას რაღაც ალერსიანი დაინტერესებულობით ექცეოდა. ზვიაგინცევს ეს სიამოვნებდა. ქარელიის ყელზე იმ მუდმივ სიცივეში გატარებული სამი გაუთავებელი ყინვიანი თვის შემდეგ, რომლისგანაც ვერც კოცონი გიხსნიდა და ვერც რკინის დროებითი ღუმელი, იგი პირველად მოხვდა მშვიდ, მყუდრო ოჯახურ გარემოში. და ომის შემდეგ გაცნობილი პირველი ქალიშვილი იყო ვერა, რომელიც მას გულწრფელი ინტერესით მოექცა.

ზვიაგინცევი უცოლო იყო. იგი მშობლებთან ერთად შორეულ ციმბირის ქალაქში ცხოვრობდა. საშუალო სკოლის

დამთავრების შემდეგ კომკავშირული მობილიზაციით სამხედრო-საინჟინრო ჯარის ნაწილში გაგზავნეს. შემდეგ ზვიაგინცევი სამხედრო-საინჟინრო აკადემიაში შევიდა. წარმატებით დაამთავრა და შტაბში სამუშაოდ მიავლინეს.

იგი კაპიტანი გახდა, კარგი თანამდებობა მიიღო. ფინეთის კამპანიაში თავი გამოიჩინა და წითელი დროშის ორდენით დააჯილდოეს, მაიორის წოდებაც მისცეს... დაოჯახება კი ჯერ ვერ მოასწრო.

რასაკვირველია, ვერასთან შეხვედრამდე მას ჰქონდა გატაცებანი. მაგრამ ვერას ისეთ მომენტში შეხვდა, როცა უძილო ღამეებით განაწამები, გადაქანცული ზვიაგინცევი მთელი თავისი არსებით აჰყვებოდა ყოველ ქალიშვილს, რომელიც კი მისდამი ყურადღებას გამოიჩენდა.

...ვერას მამა შინ ადრე წავიდა, როცა სხვა სტუმრებიც აიშალნენ, ზვიაგინცევმა სთხოვა ვერას, გაგაცილებო.

პოლკოვნიკი კოროლიოვი ლიტეინზე ცხოვრობდა, ვერა კი სადღაც შორს, ნარვის საგუშაგოს იქით. ისინი ავტობუსით გაემგზავრნენ, მაგრამ ნარვის საგუშაგომდე ორი-სამი გაჩერებით ადრე ზვიაგინცევმა დაითანხმა ვერა, ჩასულიყვნენ და დანარჩენი გზა ფეხით გაევლოთ.

დაახლოებით ნახევარი საათით პატარა სკვერში დასხდნენ. ასე ეგონათ, თითქოს იქ, კოროლიოვებთან და ახლაც, ვერას სახლისაკენ მიმავლებმა, მთელი ქვეყნის ამბებზე მოასწრეს ლაპარაკი. ზვიაგინცევმა გაიგო, რომ ვერა სამედიცინო ინსტიტუტში სწავლობს, ოცი წლისაა, გაუთხოვარია და მალე ბავშვთა ექიმი გახდება. ახლახან წაკითხული წიგნებიდან ყველაზე უფრო მოეწონა ტანკერი „დერბენტი“. უყვარს ლექსები და წარსული დროის პოეტებიდან მის გულთან ყველაზე ახლოა — ბლოკი, თანამედროვეთაგან კი — დიმიტრი კედრინი...

როდესაც ისინი პატარა სკვერში ისხდნენ, ვერამ მოულოდნელად ჰკითხა:

— როგორ გგონიათ, მე შევძლებდი... ვთქვათ... ფრონტზე ყოფნას?

ზვიაგინცევმა ხუმრობით უთხრა, რაკი ასეთი სპეციალობა აგირჩევია, შეძლებდიო. ექიმ ქალებს ხომ სამხედრო სამსახურში მამაკაცების თანაბრად იწვევენო.

მაგრამ ვერამ თქვა:

— არა, მე ამას როდი გეკითხები. ისე მაინტერესებს: მე თუ გავუძლებდი?..

თავისდაუნებურად ზვიაგინცევმა წარმოიდგინა ვერა. იქ,

კარელიის ქარბუქიან გზებზე, გაწამებული, გათოშილი და უცებ შეებრალა.

მან ხელზე მოჰკიდა ხელი, თავისი ფართო ხელისგული მის პატარა თითებს დააფარა, თითქოს უნდა გაათბოსო, თუმცა სრულებითაც არ ციოდა, გაზაფხული მოახლოებულიყო.

მას წინააღმდეგობა არ გაუწევია და ზვიაგინცევის შეხება თითქოს სულაც ვერ იგრძნო, ფიქრებში გართული სადღაც შორს იცქირებოდა.

შემდეგ თითქოს ისევ მიწაზე დაეშვა, შუბუქი, ოდნავ საგრძნობი მოძრაობით გაითავისუფლა ხელი, გაიღიმა და თქვა:

— ალბათ, რა კარგია იმ ჯოჯოხეთიდან გაჩახჩახებულ, მშვიდობიან ქალაქში დაბრუნება... იცით, ალექსეი, მე მშურს თქვენი.

— შესაშური არაფერია, — უპასუხა ზვიაგინცევმა, რადგან ეგონა, ფრონტზე ჩემს ყოფნას გულისხმობსო, — თითოეული ჩვენგანი აკეთებს იმას, რაც ევალება. მე კი სამხედრო კაცი ვარ.

— არა, ამაზე კი არ ვამბობ, — წყნარად მიუგო ვერამ. — უბრალოდ, თქვენ ახლა ყველაფერს სხვა თვალით ხედავთ. ამ ქუჩებსაც, ფანრებსაც, ხალხსაც... ხედავთ იმას, რასაც ვერ ვხედავ მე... თქვენ არ გეჩვენებათ, ალიოშა, რომ ამ გაცვეთილმა ფრაზამ იმის შესახებ, რომ ყველაფერი შედარებისას შეიცნობა, ახლა თქვენთვის და ყველა იმათთვის, ვინც ფრონტზე იყო, განსაკუთრებული აზრი შეიძინა? თქვენ ხომ სხვა სამყაროში, ასე ვთქვათ, რომელიღაც სხვა განზომილებაში შეიხედეთ... შემდეგ კი ჩვენსაში დაბრუნდით და თქვენ ყველაფერს სხვაგვარად უნდა ჰვრეტდეთ. ჩირაღდნებს — უფრო კაშკაშად, ფერებს — უფრო მკაფიოდ.

ვერას სახლის შესასვლელთან კიდევ რამდენიმე წუთს იდგნენ.

— ახლა კი გამომშვიდობების დროა, — უთხრა ვერამ და დასძინა: — მე ძალიან მოხარული ვარ, რომ ერთმანეთი... გავიცანით.

ქალიშვილმა ხელი გაუწოდა. ვაჟმა წამით შეაჩერა თავის ხელისგულში მისი პატარა, წვრილი ხელის მტევანი.

შემდეგ ზვიაგინცევი მარტო იდგა შესასვლელთან, რომელშიც რამდენიმე წამის წინ ვერა მიიმალა და ანცვიფ-

რებდა იმ სიცარიელის შეგრძნება, რომელიც მას დაუფ-ლებოდა.

და მაინც ზვიაგინცევი მაშინ ამ შეხვედრას დიდ მნიშ-ვნელობას არ ანიჭებდა.

—იგი შინ ძალიან გვიან მივიდა. კიდევ კარგი, მეორე დღე კვირა იყო და შეეძლო კარგად გამოეძინა. ლოგინ-ში იმ რწმენით ჩაწვა, გათენდება და ვერა აღარც გამახსე-ნდებაო. მაგრამ დილით, თვალის გახელისთანავე მასზე ფიქრი ისე აჰყვა, თითქოს სიზმარშიც კი ვერაზე ეფიქროს. „სისულელეა, — არწმუნებდა თავის თავს ზვიაგინცევი, — ყოველივე ამას მე ვთხზავ. იმ ქალიშვილში განსაკუთ-რებულს ვერაფერს იპოვის კაცი. თუმცა, იქნებ არის კი-დეც, მაგრამ მე ხომ ამისთანა რამეს ვერც დავინახავდი. განა რა მოხდა ჩვენს შორის? ცოტაოდენი ვისაუბრეთ, შემდეგ ავტობუსით ვიმგზავრეთ, მერე სულ რაღაც ო�oდე წუთი ფეხით ვიარეთ, სკვერში ვისხედით... ეშმაკმა დალახვროს, მე ხომ ასჯერ უფრო მორიდებით ვექცეოდი, ვიდრე სხვა ქალიშვილებს, რომლებიც კი მომწონებია. მო-წაფეებივით მივდიოდით, ხელმკლავიც კი არ გამიყრია. და არც ისეთ რამეზე გვილაპარაკია. არავითარი ფლირტი, არავითარი გადაკრული სიტყვები, ან როგორც ახლა მო-დაში შემოდის, ლაპარაკი ქვეტექსტით. მაშ, რა მოხდა? რატომ ვფიქრობ სულ მასზე?"

კიდევ რამდენიმე დღე გავიდა და ზვიაგინცევი მიხვ-და, რომ ძალიან უნდოდა კვლავ ენახა ვერა. დაარწმუნა თავისი თავი, რომ ქალიშვილს მხოლოდ იმისთვის უნდა შეხვედროდა, რათა შეეწყვიტა მასზე ფიქრი. უკანასკნე-ლად ენახა და დაევიწყებინა.

მაგრამ მან არ იცოდა ვერას ტელეფონის ნომერი. იმ-დღევანდელი შეხვედრისას არც კი უკითხავს, ჰქონდა თუ არა მას ტელეფონი.

რჩებოდა მხოლოდ ერთი შესაძლებლობა — კოროლი-ოვისთვის დაეტყუებინა ნომერი.

იგი შევიდა პოლკოვნიკის კაბინეტში, საქმეებზე ილა-პარაკა, შემდეგ მოჩვენებითი გულგრილობით უთხრა, გა-სულ კვირას ვერამ მთხოვა, გამეგო, ერმიტაჟში სურა-თების ფერადი კატალოგი თუ იყიდებაო. მეც დავეთანხ-მე, ერმიტაჟი ხომ აქვე გვერდითაა — ფანჯრიდანაც მო-ჩანს და ახლა გთხოვთ გადასცეთო...

რასაკვირველია, შეიძლება კოროლიოვი დათანხმებუ-ლიყო ამ დავალების შესრულებაზე. მაშინ ხომ ზვიაგინ-

ცევი სულელურ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა. წარმოიდგინა, როგორი განცვიფრებით მოუსმენდა ვერა პოლკოვნიკს, როდესაც იგი ერმიტაჟის შესახებ მთელ ამ მონაჩმახს გაუმეორებდა.

მაგრამ ამ თამაშის მოგების შანსიც არსებობს და ზვიაგინცევმა მოიგო. კოროლიოვი მაგიდაზე გაშლილ რუკებს ჩასცქეროდა და ზვიაგინცევს თავაუღებლივ უპასუხა, დავალების შესრულება შენ თვითონ მოახსენეო.

ზვიაგინცევმა გულგრილადვე შენიშნა, ვერას ტელეფონის ნომერი არ ვიცი და კოროლიოვმაც ავტომატურად დაუსახელა ნომერი.

იმ საღამოს ზვიაგინცევმა ქალიშვილს დაურეკა. დიდხანს ფიქრობდა პირველად სათქმელ ფრაზაზე და ოდნავ უხეშოხუნჯური სიტყვები შეარჩია: „ამხანაგი ვერა ბრძანდებით? მოგახსენებთ მაიორი ზვიაგინცევი“...

ქალს, ეტყობა, გაეხარდა მისი ხმის გაგონება. ისინი შეხვდნენ ერთმანეთს და უამინდობის მიუხედავად, კუნძულებზე პარკში წავიდნენ. ზვიაგინცევს ვერა ახლა გაცილებით უფრო მიმზიდველი ეჩვენა, ვიდრე წინა შეხვედრისას. მას ვიწრო, წელში გამოყვანილი, გემოვნებით შეკერილი პალტო ეცვა, ბერეტი ხელში ეკავა და ქარი ოდნავ ურხევდა რბილ, გვერდზე გაყოფილ ქერა თმას.

ისინი კაფეში შევიდნენ. შემდეგ განცალკევებით მდგარ მერხზე ჩამოსხდნენ და მაშინ ზვიაგინცევმა სცადა მოხვეოდა ვერას და თავისკენ მიეზიდა.

მაგრამ მოხდა ის, რასაც იგი სრულებითაც არ მოელოდა. ვერამ ისეთი გაკვირვებით შეხედა, თითქოს პირველად ხედავდა. მერე თავაზიანად, მაგრამ მტკიცე გადაწყვეტილებით გაითავისუფლა თავი მისი მკლავებისაგან, თავისი ფართოდ გახელილი თვალებით შეაჩერდა, თავი გაიქნია და უთხრა:

— ნუ იზამ ამას, ალიოშა.

ზვიაგინცევს მისი ჟესტისა და სიტყვებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა არ მიუცია და რამდენიმე წუთის შემდეგ კვლავ იგივე გაიმეორა: ამჯერად ვერა არც კი შერხეულა, მხოლოდ უთხრა:

— მე ხომ გთხოვეთ, ალიოშა, ნუ იზამთ!

ქალმა ეს სიტყვები რაღაცნაირი ახალი, შეცვლილი, მშრალი და გულგრილი ხმით წარმოთქვა.

ვერას რომ ზვიაგინცევი ხელისკვრით მოეშორებინა,

მასზე ეს ისე ძლიერ არ იმოქმედებდა, როგორც ამ სიტ-
ყვებმა იმოქმედეს.

ვაუმა მორჩილებით დაუშვა მკლავები და იგრძნო, რომ
მათ შორის ერთბაშად აღიმართა გამქვირვალე, მაგრამ გა-
დაულახავი კედელი.

რამდენიმე ხანს დუმდნენ, შემდეგ ვერამ უთხრა:

— მე მესმის თქვენი, ალიოშა. ალბათ, გაწყენინეთ.
ჩემთვის ძალიან სასიამოვნო იყო თქვენთან ყოფნა, რო-
გორც ამხანაგთან. ეს კი — სხვა რამ არის...

მათ შორის დამყარებული მორიდებულობა უკვე აღარ
ქრებოდა. მან ვერა შინ ტაქსით მიაცილა, ისინი ახალი შე-
ხვედრის დაუთქმელად დაემშვიდობნენ ერთმანეთს.

და მაინც ერთი კვირის შემდეგ მან ვერას ისევ დაუ-
რეკა.

— გამარჯობათ, ვერა, — მიესალმა ზვიაგინცევი. — ეს
მე ვარ!... ცხადია, თქვენ უკვე დაგავიწყდით...

მან თვითონ დააპატიჟებინა თავი. გამოიგონა რაღაც
ლათაია, შენს რაიონში, შენი სახლის სულ ახლოს მოვ-
ხვდიო და თანხმობის მიღებისთანავე თავქუდმოგლეჯით
გამოვარდა სატელეფონო ჯიხურიდან, რომ ტაქსი დაეჭი-
რა და სარწმუნოდ მოკლე დროში მისულიყო.

გზაში იმაზე ფიქრობდა, ვერა მარტო დახვდებოდა თუ
მშობლებიც შინ იქნებოდნენ. და მაშინ როგორ დაეჭირა
თავი მათ წინაშე.

ყველაფერი კი სულ სხვაგვარად წარიმართა, ვიდრე
მას შეეძლო წარმოედგინა. ვერას მშობლები შინ არ აღ-
მოჩნდნენ, მაგრამ ქალიშვილი მარტო არ იყო. ზვიაგინ-
ცევს შეეგება ახოვანი, სპორტული ტიპის ლამაზი ჭაბუკი,
ხელის გაწოდებისას თვალები ოდნავ მოჭუტა და სახე-
ლით კი არ გაეცნო, როგორც ეს ახალგაზრდებს შორის
არის მიღებული, არამედ გვარით:

— ვალიცკი...

რამდენიმე წუთის შემდეგ ზვიაგინცევი უკვე მიხვდა,
რომ იგი იქ ზედმეტი იყო. ის ისე, უბრალო თავაზიანობა-
სათვის მიიპატიჟეს.

ეს ვალიცკი, რომელსაც ვერა ტოლენკას ეძახდა, თავისი
სიმაღლით, თავისი ხმითა და თავისი სიცილით თითქოს
მთელ ოთახს ავსებდა. იგი თითქოსდა ზვიაგინცევსა და
ვერას შუა იდგა და საკუთარი არსებით სულ მთლად გა-
დაფარეოდა ქალიშვილს.

ზვიაგინცევი მალე წავიდა. იგი გაჯავრებული, ნაწყე-

ნი, შეცბუნებული ჩადიოდა კიბეზე და ცდილობდა. თავი დაემშვიდებინა:

„ძალიანაც კარგი. ჰოდა, აგრე იყოს, ახლა მაინც შემიძლია ყოველივე ეს თავიდან ამოვიგდო. წარმოგიდგენიათ ასეთი სისულელე? მთელი კვირა გაოგნებული დავდიოდი მხოლოდ იმიტომ, რომ აბეზარი ფიქრი ამეკვიატა. იმან კი არაფრად ჩამაგდო! რა ეშმაკად დავურეკე, ძალად დავეპატიჟე... რას ვიზამთ, ჭკუის სასწავლებელია“.

ამ შინაგანი მონოლოგის ბოლოს ზვიაგინცევი უკვე დარწმუნებული იყო, რომ ვერასადმი სავსებით გულგრილადაა.

მაგრამ იგი ამჯერადაც შეცდა.

მოგვიანებით, როცა ზვიაგინცევი ისევ და ისევ ცდილობდა თავისი გრძნობების გაანალიზებას და თავის თავს ეკითხებოდა, თუ რა მოსწონდა ვერაში, ამას ერთი სიტყვით პასუხობდა: „უმწეობა“.

დიახ, დიახ, სწორედ ასეთად ეჩვენებოდა მას ვერა. ეს მაშინ იგრძნო, როდესაც იგი ანატოლის გვერდით ნახა. გრძნობდა, რომ უზარმაზარ, თავის თავში დარწმუნებულ ჭაბუკს შეეძლო როგორც მოისურვებდა, ისე მოპყრობოდა ქალიშვილს. ვაჟი ჯაბნიდა მას.

როგორ? რატომ? რით?.. ამ კითხვებზე ზვიაგინცევი პასუხს ვერ გაგცემდათ. მისი შეგრძნება ინტუიციური იყო, ყოველგვარ ფაქტებს მოკლებული. იქნებ, მას სიამოვნებდა, სურდა ეფიქრა კიდეც, რომ ვერას უნდა მისი დახმარება. მაგრამ, როგორც ყველაფრიდან ჩანდა, ქალიშვილი ამას არ საჭიროებდა...

ამ ხნის განმავლობაში ზვიაგინცევმა მაინც რამდენჯერმე დაურეკა ტელეფონით, ორჯერ თეატრში წაყვანაზეც დაიყოლია...

იგი როგორღაც შეეჩვია აზრს, რომ ადრე თუ გვიან ვერასთვის საჭირო გახდებოდა — როდისმე ქალიშვილს რაიმე საშიშროება ან ამგვარი რამ დაემუქრებოდა და მაშინ ვერა სულ სხვა თვალით შეხედავდა მას.

... ქალიშვილი ერიდებოდა მასთან შეხვედრას. ვაჟი გრძნობდა ამას და მაინც უნდოდა მისი ნახვა. თუნდაც იშვიათად. ტელეფონით ურეკავდა. პასუხობდნენ, შინ არ არისო. ისევ ურეკავდა...

ზოგჯერ ზვიაგინცევი აიძულებდა საკუთარ თავს, აღარ ეფიქრა ვერაზე. მაგრამ ამას ცოტა ხნით ახერხებდა. და მაშინ იგი ისევ ურეკავდა.

მაგრამ ყველაფერი ისევ ძველებურად რჩებოდა...

„... და რა მოუვა მაშინ მას?“ — შეეკითხა ფიქრში წასული ზვიადგინცევი თავის თავს, როცა ღია ფანჯარასთან იდგა და მოსეირნე ხალხით სავსე გაკაშკაშებულ ქუჩას გასცქეროდა.

ამ დროს მძიმე ფიქრებიდან გამოიყვანა კოროლიოვის სიტყვებმა:

— მომისმინე, მაიორო, — მისთვის უჩვეულო ყრუ ხმით თქვა კოროლიოვმა. — როგორ გგონია... იგი... ჰო. იგი... დარწმუნებულია, რომ ომი მოგვიხდება? მიაჩნია, რომ ვიქნებით?.. დანამდვილებით?

— ვფიქრობ, დარწმუნებულია, — მტკიცედ მიუგო ზვიადგინცევმა.

ისინი ერთ წუთს დუმდნენ.

— მაშ, ასე, — თქვა კოროლიოვმა, — თან გიმნასტურის ნაკეცები გაისწორა და ისევ მაგიდასთან მივიდა. — აბა, მოდი თითო-თითოც დავლიოთ და წავალ, ბარგს ჩავალაგებ. — საათს დახედა. — ორმოცი წუთის შემდეგ ვაგზალზე უნდა ვიყოთ...

II

1940 წლის 12 ნოემბერს უნტერ-დენ-ლინდენზე, ცივი და მედიდური ბერლინის ერთ დროს ამ ულამაზესსა და ხალხმრავალ ქუჩაზე, მიემართებოდა ავტომობილების კორტეჟი — ოთხი შავი „მერსედესი“.

წინ მიდიოდნენ „სს“-ის ფორმაში გამოწყობილი, ფოლადის მუზარადიანი მოტოციკლისტები. პირველი „მერსედესის“ ფარებს ზემოთ ფრიალებდნენ ალმები: გერმანული — სვასტიკიანი და საბჭოთა — ნამგლითა და უროთი.

პირველ მანქანაში ისხდნენ საბჭოთა დელეგაციის მეთაური, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი მოლოტოვი და გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი იოახიმ ფონ რიბენტროპი. ისინი უკან ისხდნენ, მათი თარჯიმანები კი — წინ, გადასაწევ სავარძლებზე.

სახკომი დუმდა. იგი გაუნძრეველად იჯდა. ერთბორტიანი შავი პალტოს ყველა ღილი შეკრული ჰქონდა. მუქ-ნაცრისფერი ოდნავ აკეცილფარფლებიანი შლაპა ეხურა და უმოძრაო მზერა წინ მიეპყრო.

ეს აღიზიანებდა რიბენტროპს, „ცხადია, — ფიქრობდა

იგი, — მინისტრი ნაწყენია იმ გულცივ-ფორმალური მიღებით, რაც ეს-ეს არის ანჰალტის ვაგზალზე გაუმართეს". რას იზამ, ყველაფერი ნოტების მიხედვით გათამაშდა. შეხვედრის ცერემონიალი თვით ფიურერმა განსაზღვრა: უბრალო ხელის ჩამორთმევა. არავითარი ღიმილი. რიბენტროპსა და კაიტელს გარდა, არც ერთი წარჩინებული მოხელე ან გენერალი, მხოლოდ სამინისტროს მეორეხარისხოვანი ჩინოვნიკები და საბჭოთა საელჩოს მუშაკები. ვაგზლის შენობის ორივე მხარეს ორი პატარა საბჭოთა ალამი, შუაში კი — რამდენიმე სვასტიკიანი დიდი, მძიმე დროშა. საპატიო ყარაულის გავლა უნდა ყოფილიყო მრისხანე, დიდებული და შემართული, როგორც მეცხრე ტალღა.

ფიურერს უნდოდა, რომ ამ კაცს, საბჭოთა სახკომს, დაადგამდა თუ არა ფეხს ბაქანზე, ეგრძნო, რომ ჩამოსულია მესამე რაიხის ცენტრში, დიდი გერმანიის დედაქალაქში. იგი უნდა განცვიფრდეს, სული დაუმძიმდეს ამ სახელმწიფოს პირქუში სიდიადით. იმ წამსვე იგრძნოს, რომ აქ ნაკლებად არიან მიჩვეული მორჩილებას, ვიდრე მბრძანებლობას. ყველაფერი იქით იყო გამიზნული, რომ პირველივე წუთებიდან გამაოგნებელი შთაბეჭდილება მოეხდინათ ამ ძველმოდურ პენსნეიან ტანმორჩილ პედანტ კაცზე.

მაგრამ ჩანდა, სახკომი მზად იყო ასეთი შეხვედრისათვის. მისალმებისას ქუდი ოდნავ ზეაწია. ხელის ჩამორთმევისას თავისი ცივი, თითქოს გაშეშებული თითებით ნელა შეეხო რიბენტროპის ხელს. უძრავად მდგომ ჯარისკაცებს რომ ჩაუარა, მხოლოდ წამით შეავლო მათ ინტერესსმოკლებული მზერა.

რიბენტროპი ცერად შესცქეროდა სახკომს და ბოროტ კმაყოფილებას განიცდიდა.

მას უხაროდა, ყველაფერი ისე რომ გაკეთდა, როგორც წინასწარ განზრახული იყო. თანაც ფიქრი იმაზე, რომ იგი, რიბენტროპი ესოდენ მნიშვნელოვან როლს ასრულებს ისტორიაში, პატივმოყვარეობას უღვივებდა. ხოლო რიბენტროპს ეჭვი არ ეპარებოდა იმაში, რომ ის, რაც ახლა ხდებოდა, უთუოდ ისტორიის კუთვნილებად იქცეოდა, ისევე, როგორც ყველაფერი რაც შემდეგ მოხდებოდა.

შამპანური ღვინოების ყოფილი ვაჭარი განდიდებისა და არასრულფასოვანების შერეული კომპლექსით იყო დაავადებული. მისმა ვარსკვლავმა, რომელსაც მაშინ ჯერ

კიდევ ვერავინ ხედავდა, 1933 წელს იწყო ამოსვლა. ერთ საღამოს ორი კაცი შეუმჩნევლად გამოძვრა გერმანიის პრეზიდენტის რეზიდენციიდან. მათ არ ისურვეს სამსახურის მანქანის გამოყენება და ჩახტნენ იმ პირველსავე ტაქსში, რომელიც მოიხელთეს. შოფერს მისამართი მისცეს — ბერლინის მივარდნილი გარეუბანი, ვინმე ბატონ რიბენტროპის ბინა.

ესენი იყვნენ სახელმწიფო მდივანი მაისნერი და პრეზიდენტ ჰინდენბურგის ვაჟი ოსკარი. არც ერთმა არ იცოდა, რა კაცი იყო ეს ყველასათვის უცნობი ნაცისტი. მათ მხოლოდ ის ჰქონდათ მოსმენილი, რომ ეს იყო მეგობარი ფონ პაპენისა, რომელსაც, მგონი ჯერ კიდევ მსოფლიო ომის დროს თურქეთის ფრონტზე გაეცნო.

საერთოდ მათ არაფრად მიაჩნდათ ვიღაც რიბენტროპი. მათ გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი მიზანი ჰქონდათ — შეხვედროდნენ სხვა კაცს, სახელად ადოლფ ჰიტლერს, რომლის პარტიამ რაიხსტაგის უკანასკნელ არჩევნებში გაიმარჯვა. ენახათ ამ პარტიის ბელადი, რომელზეც ჰინდენბურგმა თქვა, სანამ ცოცხალი ვარ, არ დავუშვებ, რომ ვიღაც ყოფილმა ეფრეიტორმა გერმანიის კანცლერების სავარძელი დაიკავოსო.

მათ კარი გაუღო კაცმა, რომელიც პარიზელ ბულვარდიესა თუ ალექსანდერპლაცზე მდებარე საეჭვო დაწესებულების მეპატრონეს ჰგავდა და სახეზე გაიძვერული, ქარაფშუტული ღიმილი დასთამაშებდა. სწლად პომადაწასმული თმა უბზინავდა. მაისნერმა და ოსკარ უაილდმა ყურადღებაც არ მიაქციეს ამ პრანჭიას. მის მიერ ჩურჩულით ნათქვამი მრავალმნიშვნელოვანი სიტყვის შემდეგ „აქაოო", ზედაც აღარ შეუხედავთ.

დიახ, ჰიტლერი იყო აქ, ამ სახლში, აქვე იყვნენ პაპენი, გერინგი და ფრიკი.

იქ მყოფნი და, უწინარეს ყოვლისა თვით რიბენტროპი, რომელმაც სხვებზე ნაკლებ როდი იცოდა ჰინდენბურგის დამოკიდებულება ფიურერისადმი, გაოცდნენ, როცა პრეზიდენტის ვაჟი ოსკარი შეხვედრიდან რამდენიმე წუთის შემდეგ ჰიტლერთან ცალკე ოთახში განმარტოვდა.

არავინ არ იცოდა, რაზე ილაპარაკეს.

ასე იყო თუ ისე, ერთ-ერთი გადამწყვეტი პაემანი რიბენტროპის სახლში შედგა. ეს შეხვედრა წინ უსწრებდა ჰინდენბურგის მიერ ფიცის გატეხვას და ჰიტლერის კანცლერად დანიშვნას.

რიბენტროპს ეს ყოველთვის გაუნელებელი სიამაყის გრძნობით ახსოვდა და, რაც მთავარია, ეს თვით ჰიტლერსაც არ დავიწყებია. სულ მალე რიბენტროპი დაემშვიდობა იმ მივარდნილ ადგილს, სადაც წლების განმავლობაში ცხოვრობდა და გადავიდა ერთ-ერთ მდიდრულ ბინაზე კუდამში — ასე უწოდებდნენ ბერლინურ ჟარგონზე კურფიურსტენდამს, დედაქალაქის ერთ-ერთ ფეშენებლურ ქუჩას და ნაცისტური პარტიის საგარეო პოლიტიკის ბიუროს ხელმძღვანელი გახდა.

რიბენტროპი გაუნათლებელი, ზარმაცი მაგრამ პატივმოყვარე და ამპარტავანი იყო, როგორც ყველა პრუსიელი არისტოკრატი.

მისთვის დიდად სამწუხაროდ, იგი არ იყო არისტოკრატი და მისი ყოველი ცდა — მიმსგავსებოდა მაინც, უშედეგოდ მთავრდებოდა.

მალული შურის გრძნობით აცქერდებოდა რაიხსვერის კადრის გენერლების ხმელ-ხმელ, ჩამოგრძელებულ, ქედმაღლურ, მოყვითალო სახეებს, მათ თითქოსდა დაბადებიდანვე თანდაყოლილ მონოკლებს.

ერთი ხანობა თვითონაც სცადა მონოკლის ტარება, მაგრამ წყეული მინა სტკენდა თვალბუდეს და წამდაუწუმ უხსლტებოდა. გარდა ამისა, მონოკლი რიბენტროპს მხედველობასაც უშლიდა. ამას მალე მიუხვდნენ ისინი, ვისაც ყოველდღე ხვდებოდა. ვერადა ვერ დაივიწყა ერთხელ ფიურერის საყვარელმა კაცმა, წყეულმა გერინგმა, ღორმა, უცერემონიო ხეპრემ ქაღალდი რომ გაუწოდა წასაკითხად და დაცინვით უთხრა:

— ოღონდ მონოკლი მოიძრეთ, რიბენტროპ, ეს მნიშვნელოვანი დოკუმენტია...

მიუხედავად ამისა, რიბენტროპის ვარსკვლავი სულ ზევით და ზევით მიიწევდა. 1936 წელს ჰიტლერმა იგი ელჩად დანიშნა ინგლისში და მთავარ მიზნად დაუსახა ამ სახელმწიფოსთან შეთანხმების შესაძლებლობის მოსინჯვა რუსეთის წინააღმდეგ.

ამბობდნენ, რომ რიბენტროპის არაკომპეტენტურობაზე გამოთქმული შენიშვნის პასუხად ჰიტლერმა სწორედ მაშინ თქვა: „რიბენტროპმა კარგად იცის, ვინ არის ღმერთი და ვინ ეკედრება მას“.

ან რისთვის სჭირდებოდა რიბენტროპს კომპეტენტურობა ამ სიტყვის მოძველებული ინტელიგენტური გაგებით! შუალამითაც რომ გამოეღვიძებინათ, განა ციტატე-

ბად ვერ წარმოთქვამდა ჰიტლერის „მაინ კამპფი“-დან დიად, წინასწარმეტყველურ სიტყვებს: „ჩვენ, ნაციონალ-სოციალისტები ვიწყებთ იმ ადგილიდან, სადაც შევჩერდით შვიდასი წლის წინათ!“ რამდენჯერ გაუმეორებია რიბენტროპს ეს სიტყვები ლუდის დასალევად თავმოყრისას, ქუჩის კრებებზე! ეს სიტყვები იყო წინასწარმეტყველება, პროგრამა, ინსტრუქცია... „ჩვენ ვწყვეტთ გერმანელთა დაუსრულებელ მოძრაობას ევროპის სამხრეთისა და დასავლეთისაკენ და მზერას აღმოსავლეთის მიწებს მივაპყრობთ. როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ ევროპაში ახალი ტერიტორიების შესახებ, უწინარეს ყოვლისა, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ რუსეთი და მისი მოსაზღვრე ვასალური სახელმწიფოები. თვით განგება გვიბიძგებს ჩვენ იქითკენ“. ამ სიტყვებში იგულისხმებოდა ყველათერი. რაც უნდა სცოდნოდა ადამიანს, რომელმაც თავისი სიცოცხლე ფიურერს მიუძღვნა.

მაგრამ მხოლოდ ეს სასოებით დაზეპირებული სიტყვები ხომ მაინც არ კმაროდა ინგლისში გერმანიის ელჩის პოსტის დასაკავებლად. თუმცა, ჯერ ერთი, პარტიის საგარეო პოლიტიკის ბიუროში მუშაობის პერიოდში რიბენტროპმა ზოგი რამ ისწავლა. მეორეც, მან კარგად იცოდა „ვინ არის ღმერთი და ვინ ეყედრება მას“... მესამეც... ეს მესამე კი, თავისი მნიშვნელობით სრულებითაც არაუკანასკნელი გარემოება იმაში მდგომარეობდა, რომ რიბენტროპს ლონდონში კავშირი ჰქონდა ისეთ ადამიანებთან, რომლებიც ბერლინში ახალი გერმანიის მეგობრებად მიაჩნდათ.

ლონდონში რიბენტროპი დიდხანს არ მჯდარა. 1938 წლის დასაწყისში ჰიტლერმა მოახდინა თავისი კაბინეტის რეორგანიზაცია, გამოაგდო იქიდან ბლომბერგი და ნაირატი, რომლებიც მეტად „ძველი მოდისა“ და ვაიმარის რესპუბლიკის ტრადიციებით გაჟღენთილებად ეჩვენებოდა. საგარეო საქმეთა მინისტრის ადგილი ვაკანტური აღმოჩნდა. ჰიტლერმა ამ თანამდებობაზე დანიშნა „დინამიკური“ რიბენტროპი, რომელმაც კარგად აითვისა ნაცისტური დიპლომატიის პრინციპები.

შემოდგომის ერთ დღეს რიბენტროპმა ფიურერის დავალებით ბერლინში ხელი მოაწერა ანტიკომინტერნულ პაქტს იაპონიასთან და იმავე საღამოს ხალხმრავალ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, ამიერიდან გერმანიამ და იაპონიამ ერთად უნდა დაიცვან დასავლეთის ცივილიზაციაო.

მან პასუხის ღირსად არ ჩათვალა ერთ-ერთი ჟურნალისტის იქედნური შეკითხვა — რანაირად აპირებს დასავლეთის დაცვას იაპონია, რომელიც, როგორც ცნობილია, მდებარეობს შორეულ აღმოსავლეთშიო და ყურადღება არ მიაქცია ამ შეკითხვით გამოწვეულ საერთო სიცილს. 1938 წელს რიბენტროპის ვარსკვლავი უკვე ზენიტზე იყო.

...და აი ახლა, სიამაყისა და საკუთარი სიდიადის შეგრძნებით აღსავსე, იგი სამინისტროს უზარმაზარი მანქანით მისრიალებდა უნტერ-დენ-ლინდენზე. ალმაცერად უცქერდა მდუმარე საბჭოთა სახკომს, რომელსაც შარშან მოსკოვში შეხვედა.

მოლოტოვის სახეს არავითარი ემოციის ნიშანი არ ეტყობოდა. ეს აღიზიანებდა გერმანიის მინისტრს. „გიმნაზიის მასწავლებლის ორდინარული სახე აქვს, — ფიქრობდა თავისთვის რიბენტროპი. — საინტერესოა, თუ შეიძლება მისი წარმოდგენა მონოკლით? ნეტა რად ურჩევნია სათვალეს ძველმოდური პენსნე? გერმანიაში ასეთ პენსნეს ატარებდნენ მხოლოდ იუველირები და კბილის ექიმები, უმთავრესად ებრაელები“...

— როგორაა საქმეები მოსკოვში? — ნაძალადევი ღიმილით ჰკითხა რიბენტროპმა, რომ ეს გულისდამამძიმებელი დუმილი დაერღვია.

— მოსკოვში საქმეები კარგად მიდის, — მიუგო სახკომმა მოსაუბრისაკენ თავის ოდნავ მიბრუნებით.

— როგორ ბრძანდება ბატონი სტალინი?

— ჩინებულად.

— რას იტყვით დიდ თეატრზე? — განაგრძობდა კითხვებს რიბენტროპი.

— დიდი თეატრი თავის ადგილზეა.

— შეტად სასიამოვნოა ამის მოსმენა. „გედის ტბა“ ჩემი ერთ-ერთი დაუვიწყარი შთაბეჭდილებაა. თეატრალური სეზონი, ცხადია, უკვე დაიწყებოდა?

— დიახ, პირველ სექტემბერს დაიწყო, — ლაკონურად უპასუხა პენსნეიანმა კაცმა.

— როგორ არის სწორუპოვარი ლეპეშინსკაია?

— ვინ?

— მხედველობაში მყავს თქვენი გამოჩენილი ბალერინა.

— იგი ცეკვავს.

მოლოტოვმა უგულისყუროდ გაიხედა სარკმელში. ტროტუარებზე უამრავი მოიერიშე და პოლიციელი იდგა.

რიბენტროპმა იცოდა, რომ მათ დღეს დავალებული ჰქონდათ არა მარტო კორტეჟის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, არამედ სასურსათო მაღაზიებთან ჩვეულებრივ რიგში მდგომთა გარეკვაც.

როცა ღამის დაბომბვის ახალ კვალს — ნანგრევებს ჩაუარეს, რიბენტროპმა კვლავ ცერად გახედა მოლოტოვს.

მაგრამ სტუმარი კვლავინდებურად უძრავად იჯდა და ისევ წინ იცქირებოდა. „მერე რა, — გაიფიქრა რიბენტროპმა. — მით უკეთესი!“ ყოველი შემთხვევისათვის თქვა:

— რამდენიმე დღის წინათ ინგლისელებმა ასი თვითმფრინავით შემოუტიეს ბერლინს. სასოწარკვეთილების რეიდი იყო. მხოლოდ სამმა შეძლო შემოღწევა. გუშინწინ ლუფტვაფემ ჩაატარა საპასუხო დამსჯელი აქცია ხუთასი თვითმფრინავით! თითქმის ყველამ მიზანს მიაღწია. ლონდონი ნანგრევებად იქცა, ამის მშვენიერი ფოტოსურათები მივიღეთ.

— მართლა? — თავშეკავებით ჰკითხა მოლოტოვმა.

„საინტერესოა, როგორ ამღერდებით მაშინ, როცა ჩვენი თვითმფრინავები კრემლს დაბომბავენ!“ — ღვარძლიანად გაიფიქრა რიბენტროპმა. ამ აზრმა ერთგვარი შინაგანი შვება აგრძნობინა. შემდეგ ჩაფიქრდა იმ მოლაპარაკებაზე, რომელსაც მალე უნდა შედგომოდნენ. ამაზე ფიქრი სასიამოვნო იყო. სასიამოვნო იმიტომ, რომ ამ მოლაპარაკებაში უდიდესი უპირატესობა მის მხარეზე აღმოჩნდებოდა. მნიშვნელობა არ ჰქონდა იმას, თუ რა ითქმებოდა. მნიშვნელოვანი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნებოდა ის, რასაც არ იტყოდნენ.

ამან, ამ ტანმორჩილმა, პენსნეიანმა კაცმა, და იმანაც, მეორემ, ულვაშებიანმა, ნახევრადსამხედრო ფორმაში გამოწყობილმა და ყველამ, ვინც მათ უკან დგანან, ამ არასრულფასოვანი რასების წარმომადგენლებმა, არ იციან, რომ მათი აღსასრული ფაქტიურად უკვე დადგა, რომ მალე ისინი თავიანთ წყეულ ქვეყანასთან ერთად განადგურდებიან.

დიახ, საბედნიეროდ, ამათ არ იციან, რომ გიგანტური მანქანა უკვე ამუშავებულია და რომ საათის მექანიზმის ისარი აუჩქარებლად, აუცდენლად გარს ურბენს მისთვის დაწესებულ წრეებს... „ისინი ყველანი დაიღუპებიან, ყველანი, ყველანი, გიგანტურ კატაკლიზმში, ცეცხლისა და ყინულის ჭიდილში“, — უმაღლეს ნაცისტურ წრეში ფარ-

თოდ გავრცელებული მისტიკური ტერმინოლოგიის ჩვეულებრივი გამოყენებით თქვა გუნებაში რიბენტროპმა.

უნდა ითქვას, რომ სულის სიღრმეში იგი შორს იდგა ყოველგვარი მისტიციზმისაგან. იქ, ბერხტესჰადენში, მაღლა, ბავარიის ალპურ მთებს შორის, ბერგჰოფში — ჰიტლერის ქალაქგარეთა რეზიდენციაში, ყურადღებით ისმენდა ფიურერის შავბნელი იდუმალებით აღსავსე წინასწარმეტყველებას იმაზე, რომ მთელი მსოფლიო დგას იმ გრანდიოზული მუტაციის ზღურბლზე, რომელიც მიანიჭებს ადამიანს იმგვარ უძლეველობას, როგორსაც წინაპრები ღმერთს მიაწერდნენ.

მთელი ეს ლაილაი ყინულისა და ცეცხლის მარადიულ ბრძოლაზე, ზეადამიანებზე, რომლებიც სადღაც მიწის ქვეშ, ღრმა გამოქვაბულებში მიმალულან და მალე გამოჩნდებიან, რომ მართონ ადამიანები, რიბენტროპისთვის გაუგებარი იყო. იგი მხოლოდ მაშინ მოდიოდა გუნებაზე, როდესაც საუბარი უაღრესად პრაქტიკულ საქმეებზე გადავიდოდა.

მაგრამ რაღაც ფარულ გრანდიოზულ ჩანაფიქრში თავისი მონაწილეობა რიბენტროპს საკუთარი მნიშვნელობის შეგრძნებას უძლიერებდა. იგი თითქოს თანდათან უნათესავდებოდა იმ დემონურ ზეადამიანებს. და რიბენტროპმა უდიდესი უპირატესობის გრძნობით შეხედა თავის გულცივ მეზობელს. „ერთი მაშინ დამანახვა შენი სახე, შენი ოვალურმინებიანი პენსნეს ამოფარებული უმოძრაო თვალები, — გესლიანად ფიქრობდა ის, — როცა შეიტყობ იმას, რაც ჯერ მხოლოდ რამდენიმე ათეულმა კაცმა იცის ზერმანიაში! იცის იოდლმა, რომელსაც ფიურერმა ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ ნათლად გააგებინა, რომ დაპყრობილი პოლონეთის ტერიტორია მიჩნეულ უნდა იქნეს მხოლოდ როგორც პლაცდარმი გერმანელთა არმიის ახალი, გადამწყვეტი ნახტომისათვის. იცის იოდლის მოადგილემ პოლკოვნიკმა ვალტერ ვარლიმონტმა, რომელსაც სამი თვის წინათ ფიურერმა ნება დართო ვერმახტის შტაბის ოფიცერთა ვიწრო წრისათვის გაენდო თავისი მტკიცე გადაწყვეტილება, ორმოცდაერთი წლის გაზაფხულზე იერიში მიეტანა საბჭოთა კავშირზე. იციან ჰესმა, გერინგმა, გებელსმა, ბორმანმა, კაიტელმა, ბრაუხიჩმა, ჰალდერმა. ყველა ამათთვის ცნობილია ფიურერის ნორდული ეშმაკობით სავსე გრანდიოზული ჩანაფიქრი და ყველა მათგანმა იცის საიდუმლოს შენახვა“...

...საბჭოთა დელეგაციას რეზიდენციად მიუჩინეს სასახლე ბელვიუ. მანქანებმა გრძელი, ხშირ მწკრივებად მდგარი ცაცხვების ხეივანი გაიქროლეს და საპარადო შესასვლელთან შეჩერდნენ.

— ეს სასახლე, — ამაყად თქვა რიბენტროპმა, როცა მან და მოლოტოვმა პარკში გაიარეს, — ოდესღაც კაიზერის საკუთრება იყო. ახლა იგი გერმანიისაა...

რიბენტროპმა იმ წამსვე იგრძნო ნათქვამის უხერხულობა: „სხვა არა იყოს რა, მოლოტოვი იფიქრებს, რომ ველაქუცები", — და გაცილებით მშრალად დაურთო:

— ფიურერმა ეს სასახლე გერმანიის მთავრობის სტუმრებისათვის გამოყო.

მან სახლში საპარადო ოთახებით გაატარა. ისინი მდუმარედ მიდიოდნენ. რიბენტროპი ცერად გასცქეროდა პენსნეიან კაცს. ცდილობდა გამოეცნო, რა შთაბეჭდილებას ახდენდა მასზე აქაურობა — ძველთაძველი გობელენებით დაფარული კედლები, ძვირფასი ფაიფური, ვარდების უზარმაზარი თაიგულები ლარნაკებში, სასახლის უძველესი ავეჯი და კარებთან გაშეშებული ოქრომკედით მოქარგულ ტანსაცმელში გამოწყობილი მსახურები.

მაგრამ მოლოტოვს, ჩანდა, ყველაფერი ეს სულაც არ აინტერესებდა. იგი თავაზიანობის გულისთვისაც არ შეჩერებულა არც ერთ გობელენთან, არ დამდგარა არც ერთი სურათის წინ, არ დამტკბარა არც ერთი ვარდის ცქერით.

რიბენტროპმა ბოლმით გაიხსენა, რომ თვითონ აღტაცებისაგან თავი ვერ შეიკავა, როცა გასულ წელს კრემლის საპარადო დარბაზებში გაატარეს. დღეს კი ეს პათიური სლავი გერმანიის ერთ-ერთი უშესანიშნავესი სასახლის ფასდაუდებელ ხალიჩებზე დადის იმ სურათებისა და გობელენების გასწვრივ, რომლებიც მსოფლიოს ცნობილ მუზეუმებსაც დაამშვენებდა და მიაბიჯებს ისე, თითქოს ყველაფერი ეს არც კი არსებობდეს.

რიბენტროპი შეჩერდა მარმარილოს ფართო კიბის წინ, რომელიც ადიოდა მეორე სართულზე, სადაც საცხოვრებელი ოთახები იყო განლაგებული.

— ფიურერს თქვენ ნახავთ დღის მეორე ნახევარში, ბატონო მინისტრო, — მრავალმნიშვნელოვნად თქვა მან. — თუ საწინააღმდეგო არაფერი გექნებათ, ჩვენ შევძლებთ ზოგიერთი საკითხის წინასწარ განხილვას. რა თქმა უნდა, თქვენი დასვენების შემდეგ...

— ნახევარი საათის შემდეგ მზად ვიქნებით, — უთხრა მოლოტოვმა. ეს იყო პირველი სიტყვები, რომლებიც მან ციხე-დარბაზში შესვლის შემდეგ თქვა.

რიბენტროპმა სახკომს სიგარეტები და სიგარები შესთავაზა, თუმცა იცოდა, რომ იგი არ ეწეოდა. შემდეგ თვითონ მოუკიდა სიგარას. გააბოლა, მერე თავაზიანად გაიქნია ხელი, რათა ბოლს სტუმრამდე არ მიეღწია და გაღიმებულმა ერთგვარი საზეიმო ტონით თქვა:

— ამრიგად, ბატონო მინისტრო, დადგა დრო, როცა ოთხმა დიდმა სახელმწიფომ, — ბუნებრივია, მხედველობაში მყავს რუსეთი, გერმანია, იტალია და იაპონია — განსაზღვრონ თავიანთ ინტერესთა სფეროები. ფიურერის აზრით, — ეს სიტყვა ხმის აწევით თქვა, — ამ ქვეყნების მთელი მისწრაფება სამხრეთისაკენ უნდა იყოს მიმართული, იტალია, როგორც ვიცით, უკვე დაადგა ამ გზას. რაც შეეხება გერმანიას, იგი აპირებს მომავალში თავისი სასიცოცხლო სივრცე ცენტრალური აფრიკის მიწების ხარჯზე გაიფართოოს. სასურველია ვიცოდეთ, რას ფიქრობს რუსეთი, — თავისი თანამოსაუბრისაკენ ოდნავ გადახრით თქვა რიბენტროპმა და დიდი პაუზა გააკეთა.

მაგრამ პენსნეიანი კაცი, ეტყობოდა, არ აპირებდა მაგრად მოკუმული ტუჩების გახსნას. წამიერი დუმილის შემდეგ რიბენტროპმა მკვეთრად განაგრძო:

— ხომ არ მიაჩნია რუსეთს, რომ მისთვის ბუნებრივი იქნებოდა მზერა მიეპყრო სამხრეთისკენ, ესე იგი სამხრეთის ზღვისკენ? ვფიქრობ, ახალი საზღვაო გასასვლელი რუსეთისათვის იქნებოდა...

— რომელი ზღვისაკენ? — მოულოდნელად შეაწყვეტინა რიბენტროპს სახკომმა. მის ინტონაციაში რაღაც დაცინვისმაგვარი გაისმა. რიბენტროპმა გაკვირვებით ასწია წარბები, თითქოს სურდა ეკითხა: ნუთუ კრემლში ცუდად იციან გეოგრაფია? მაგრამ მოლოტოვი დუმდა კითხვის გამომეტყველებით შეჰყურებდა რიბენტროპს.

ეს უკანასკნელი დაიბნა და უნდოდა ეთქვა, გეოგრაფიული პუნქტების დაზუსტება ამგვარ სიტუაციებში დიპლომატიის ტრადიციებს არ შეეფერებაო. მაგრამ ამჯობინა სულაც არ ეპასუხა ასე სწორხაზოვნად დასმულ კითხვაზე. ხელით გაურკვეველი ჟესტი გააკეთა, თითებში ჩაბღუჯული სიგარით ნახევარწრე შემოხაზა, და მოჰყვა მსოფლიო-

ში უდიდესი ცვლილებების შესახებ, რომლებიც აუცილებლად მოხდება მას შემდეგ, როცა გერმანია მის მიერ დაწყებულ ძლევამოსილ ომს დაამთავრებს.

— მე დარწმუნებული ვარ, — დაასრულა ჩამქრალი სიგარის ანთებასთან ერთად რიბენტროპმა, — რომ ისტორიული პაქტის დადებით ორივე ჩვენმა ქვეყანამ მოიგო. განა ბუნებრივად არ თვლის ბატონი მინისტრი, რომ გერმანიასა და რუსეთს შორის მომავალი, ომისშემდგომი თანამშრომლობაც სარგებლობას მოუტანდა ჩვენს ხალხებს?

ამ სიტყვების წარმოთქმისას რიბენტროპს გაახსენდა ფიურერის დირექტივა, რომელიც მან მისცა უმაღლესი სარდლობის სამხედრო ეკონომიკის სამმართველოს უფროსს გენერალ ტომასს. მისი აზრი იმაში მდგომარეობდა, რომ გერმანია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მასალების რუსეთისათვის მიწოდება დაგეგმილიყო მხოლოდ ორმოცდაერთი წლის გაზაფხულამდე. მხოლოდ გაზაფხულამდე!..

რიბენტროპმა კვლავ ღიმილით შეხედა იმ ქვეყნის წარმომადგენელს, რომლის ბედ-იღბალი უკვე გადაწყვეტილი იყო.

— რომელი ზღვისკენ? — მოულოდნელად გაიმეორა თავისი კითხვა ამ კაცმა, თითქოს რიბენტროპის მიერ ამ წუთში ნათქვამი არც გაუგონიაო.

გერმანიის მინისტრმა უკმაყოფილოდ შეარხია მხრები და მკვეთრი მოძრაობით ჩააქრო სიგარა, მიასრისა რა იგი ბროლის საფერფლის ძირს.

„მერე რა, — გაიფიქრა მან, — ბოლოს და ბოლოს მე არავითარი რისკის გაწევა არ მიხდება".

— მე მიმაჩნია, — თქვა მან, — რომ რუსეთს შეეძლო სერიოზული სარგებლობა ენახა, თუ სპარსეთის ყურესა და არაბეთის ზღვაზე გაამახვილებდა ყურადღებას.

— თქვენ ასე მ-მიგაჩნიათ? — გაუმეორა კითხვა მოლოტოვმა და აქ პირველად გამოამჟღავნა თავისი ჩვეულება — ოდნავი ენაბლუობა, რაც რიბენტროპს ასე ანერვიულებდა ჯერ კიდევ მოსკოვში, ვინაიდან ამით ხშირად ამ კაცის სრულიად უბრალო სიტყვებს მრავალმნიშვნელოვანი ან გესლიან-დამცინავი ხასიათი ეძლეოდა.

რიბენტროპი ჩააშტერდა სახკომს. უნდოდა გაერკვია, წმინდა რიტორიკული იყო მისი შეკითხვა, თუ მასში რაიმე განსაკუთრებული აზრი იყო ჩაქსოვილი.

მაგრამ პენსნეიანი კაცის სახე კვლავინდებურ მშვიდ

გამომეტყველებას ინარჩუნებდა. „ეს ბოლშევიკი აბუჩად აგდებას ხომ არ მიპირებს? — გაიფიქრა რიბენტროპმა. — როგორ პასუხს-ღა ელის ჩემგან? საინტერესოა, რომ იცოდეს ამ წარმოსახვის უნარს მოკლებულმა გულცივმა ბოლშევიკმა რამხელა ფსონი დევს ამ თამაშში, როგორ ხასიათს მიიღებდა ეს საუბარი!"

რიბენტროპმა ისევ გაიხსენა გულში ჰიტლერის ბრძანება გენერალ ტომასისადმი, მაგრამ იმწამს მოლოტოვმა მოულოდნელად თქვა:

— მე შეკითხვა იმიტომ დავსვი, რომ ყოველგვარი პერსპექტივის განსაზღვრის დროს აუცილებელია სიზუსტე და... ს-სიფხიზლე. განსაკუთრებით მაშინ, როცა ლაპარაკია გერმანიასა და საბჭოთა კავშირზე.

რიბენტროპი წამით შეცბა. მოეჩვენა, რომ მოლოტოვმა რაღაც სასწაულით გაიგონა ეს სიტყვები, რომლებიც მან მხოლოდ გულში გაიფიქრა. „სისულელეა, უბრალო დამთხვევაა", — მაშინვე დაიმშვიდა თავი რიბენტროპმა და ოდნავ ხმამაღლა, მოგონილი გაოცებით ჩაეკითხა:

— თქვენ თქვით „სიფხიზლეო?" სწორად გაგიგეთ? — ამჯერად იგი თარჯიმანს მიუბრუნდა.

— დიახ, სიფხიზლეც, — გაიმეორა სახკომმა.

რიბენტროპმა გაფაციცებით შეხედა თანამოსაუბრეს და გაიფიქრა: „რის თქმა უნდა ამით? სურს გამაგებინოს, რომ რაღაც იცის გერმანიის ნამდვილი ზრახვების შესახებ? არა, ეს შეუძლებელია. იგი მხოლოდ თავს იფასებს. ისე მოქმედებს, ვითომ რაიმე ცნობებს ფლობდეს. რა გაეწყობა, ერთი სცადოს ამ გზით სიარული, როცა ფიურერს შეხვდება!

ო, ამ პენსნეიანმა კაცმა არ იცის, რა ელის! ის მიჩვეულია უბრალო მოკვდავებთან ურთიერთობას, მაგრამ მას მოუხდება ძლევამოსილის, მეხთამფრქვევის ჩახვა, მაგიდაზე მისი მუშტის გამანადგურებელი ბრაგუნის მოსმენა... იქნებ მაშინ მიხვდეს ეს უნერვებო კაცი, რომ მესამე რაიხის მიწაზე, ევროპის პატრონისა და მსოფლიოს ხვალინდელი მბრძანებლის წინაშე იმყოფება..."

და რიბენტროპმა ღიმილითა და შესამჩნევი თავაზიანობით უთხრა მოლოტოვს, რომ მისთვის გასაგებია ბატონ მინისტრის სერიოზული და ფრთხილი მიდგომა წამოჭრილი პრობლემებისადმი. მაგრამ იგი დარწმუნებულია, რომ ფიურერთან შეხვედრის დროს ეს პრობლემები მშვიდობიანად გადაიჭრება.

ამ საუბრისას რიბენტროპი ცდილობდა ეპოვა ის ძლივს შესაგრძნობი წახნაგი, ზღვარი, რომელიც თავაზიანობას განასხვავებს მკვეთრი დაცინვისაგან. იგი წონასწორობას იცავდა ამ ხაზზე და მზად იყო თანამოსაუბრის რეაქციისდა მიხედვით დაუყოვნებლივ გადასულიყო ერთსა ან მეორე მხარეზე.

მაგრამ მოლოტოვზე რიბენტროპის სიტყვები არავითარ რეაგირებას არ ახდენდა. მას ცოტათი გადაეწია თავი თარჯიმნისკენ და დინჯად უსმენდა. მერე ოდნავ შესამჩნევად დაუკრა თავი, გაიბრწყინეს მისი პენსნეს შუშებმა და წამოდგა.

წინასწარი მოლაპარაკება დამთავრდა.

III

ბოლო წლებში ჰიტლერს უძილობა დასჩემდა. გვიან წვებოდა და ადრე დგებოდა.

დილის შვიდ საათზე მიუტანდნენ უბრალო გერმანულ საუზმეს, ყოველგვარი ზედმეტების გარეშე: ერთ ჭიქა რძეს ან ხილის წვენს, ერთ-ორ ფუნთუშას, მარმელადის ნაჭერს. მაინცდამაინც დიდი პირის პატივი არ უყვარდა. შემდეგ სეირნობდა, ფიქრობდა, ხანდახან წერდა, ხანაც ასტროლოგთან საუბრობდა... სამუშაო დღეს იწყებდა (გულში ჭირივით სძულდა ეს საქმიანობა) სახელმწიფო ქაღალდების გადასინჯვით. მხოლოდ ფიქრიც კი იმაზე, რომ ეს აუცილებელი იყო, გუნებას უფუჭებდა და კაბინეტში — ამ უზარმაზარ ოთახში, სადაც კედლებზე გობელენები ეკიდა, იატაკზე ფუმფულა ხალიჩები ეფინა, იდგა ფართო და გრძელი საწერი მაგიდა, გლობუსი შავი ხის ქვესადგამზე — იგი გუნებაწამხდარი შედიოდა.

მას დოკუმენტებისა და პატაკების სწრაფად და სიტყვასიტყვით დამახსოვრების შესაშურებელი უნარი ჰქონდა.

და მაინც სძულდა ქაღალდები, ვინაიდან ისინი ყრუები და მუნჯები იყვნენ. მას ეზიზღებოდა ესენი, რადგან არ შეეძლოთ ეყვირათ, გამოეცათ აღტაცების გამაყრუებელი, თავდამავიწყებელი, საზეიმო შეძახილი, რომელსაც მისი ყურთასმენა უკვე დიდი ხანია საუკეთესო მუსიკად აღიქვამდა.

ამ მოსაწყენი ქაღალდების კითხვა, უბრალო გადაფურცვლაც კი მისთვის წამება იყო. მას საერთოდ სძულდა დეტალები. სწამდა, რომ მთელი ქვეყნის, ევროპის, სამ-

ყაროს, კოსმოსის მასშტაბებით აზროვნებდა. სხვადასხვა სახის დოკუმენტების წასაკითხად გათვალისწინებული დრო — მისთვის ყველაზე არასასიამოვნო დრო იყო, თუ გამოვრიცხავთ ღამეს, იმ რამდენიმე საათს, როცა იგი ამაოდ ცდილობდა დაძინებას.

ქაღალდებს რომ მორჩებოდა, გამოუძახებდა თავის ადიუტანტს და იმწამსვე შეიცვლებოდა. ცხოვრება მისთვის ისევ იძენდა აზრს, რაკი თანამოსაუბრე, უფრო სწორად, მსმენელი ჰყავდა.

ისეთი პროზაული საქმიანობის დროსაც კი, როგორიც იყო ადიუტანტთან ერთად მომავალი დღის პროგრამის განხილვა, იგი ახერხებდა ვრცლად ელაპარაკა პოლიტიკაზე, ვეგეტარიანობაზე, რელიგიაზე, ბოლშევიკებზე, ძალების წვრთნაზე ან დირიჟორ ფურტვენგლერის ღირსებებზე.

შემდეგ იგი, ჩვეულებრივ, ღებულობდა სამხედრო პირებს — გენშტაბის ხელმძღვანელებს. ისმენდა მათ მოხსენებებს. ოღონდ ბოლომდე არასოდეს. ეს ხომ მისი ძალღონის უზომო დაძაბვას გამოიწვევდა. ისინი, ვინც მოახსენებდნენ, დიდი ხანია, გაწაფულიყვნენ იმაში, თუ როდის უნდა დადუმებულიყვნენ და მოეხმინათ მონოლოგი, რომელსაც ხშირად არავითარი კავშირი არა ჰქონდა მოხსენებასთან. მაგრამ ხანდახან ისინი ვერ ასწრებდნენ დროზე გაჩუმებას. მაშინ სიტყვათა ჩანჩქერი უეცრად დაატყდებოდათ თავს. ხშირად ამას მაგიდაზე მუშტების ბრახუნი და მეხთამფრქვევის მსწრაფლ აქნეული ხელით მაგიდიდან გადმოყრილი ქაღალდების შრიალი ახლდა. დადიოდა ხმები, რომ ასეთ მდგომარეობაში მას შეეძლო ხალიჩები და ფარდები კბილებით დაეგლიჯა.

მაგრამ ყველაფერს თავისი დასასრული აქვს. იგი მშვიდდებოდა და მაშინ შეეძლო ნორმალურად ესაუბრა. კარნახობდა გადაწყვეტილებებს. ეს მას ძალიან უყვარდა. კარნახობდა მკვეთრი, ნაწყვეტ-ნაწყვეტი, ოდნავ ხრინწიანი ხმით, თან სივრცეს გასცქეროდა და ეგონა, მის წინ სტენოგრაფისტი კი არაა, რომელიც ბლოკნოტს თვალს ვერ აცილებდა, არამედ მთელი კაკობრიობა — მილიონობით ადამიანი, მორჩილებითა და თრთოლვით რომ იჭერს მის ყოველ სიტყვას...

შემდეგ სადილობდა მოხარშული ბოსტნეულით, ბოსტნეულის წვნიანით, ბოსტნეულისავე ომლეტით და ხილის კომპოტით.

იგი ვეგეტარიანელი იყო. თამბაქოს არ ეწეოდა და არ სვამდა.

როგორც წესი, სადილობდა რამდენიმე ადამიანთან ერთად. თუმცა მოწვეულთა წრე, ჩვეულებრივ, მეტად ვიწრო იყო: პირადი მდივანი, ადიუტანტი, ბეჭდვითი სიტყვის უწყების ხელმძღვანელი და ავიაციის სარდალი — მსუქანი, მუდამ მომღიმარე, შესახედად გულკეთილი, სრულიად ძიწიერი კაცი. ჩვეულებრივ, ლაპარაკობდნენ ორნი — მასპინძელი და ჩასუქებული: პირველი მონოლოგებს ამბობდა, მეორე მოწონების ნიშნად მარილიან ოხუნჯობასა და გულიან ხარხარს ჩაურთავდა ხოლმე. სადილის შემდეგ იგი თავის კაბინეტში ბრუნდებოდა. იწყებოდა თათბირები, თავისი ქვეყნის საგარეო მინისტრთან, აუდიენციის მომლოდინე სხვა ქვეყნების მინისტრებთან, პარტიული ხელმძღვანელობის წევრებთან. ხანდახან შეხვედრები გადაჰქონდათ მაღალი კედლებით გარშემორტყმულ ახლო მდებარე პარკში.

დროდადრო მუდამ მზადმყოფ დაცვის თანამშრომელთა ყურამდე აღწევდა გაშმაგებული ყვირილი, მრისხანე წამოძახილები ან საზეიმო დეკლარაციები.

...საღამოს, თუ იგი ქვეყნის რომელიმე მხარეში არ მოგზაურობდა და მის მყეფარე ხმას არ გადასცემდა ათასობით რეპროდუქტორი, თავის პირად კინოდარბაზში, რომელიც მისი სამსახურის კაბინეტიდან რამდენიმე ნაბიჯზე იყო, უყურებდა ფილმებს — ჰოლივუდის სეზონურ სურათებს და სამხედრო ქრონიკას.

თითქმის პათოლოგიურად იყო გატაცებული ვაგნერის ოპერებით, თუმცა ხანდახან „მეტროპოლშიც“ დადიოდა, სადაც კოხტა ქალიშვილები ცეკვავდნენ.

შინ, ჩვეულებრივ, მას არავინ არ ელოდებოდა. იგი უცოლო იყო, ამბობენ, რომ ქალები არავითარ როლს არ ასრულებდნენ მის ცხოვრებაში, რომელიც მთლიანად გერმანელთა მსოფლიო ბატონობისთვის ბრძოლას ეწირებოდა.

არა და არ შეირთო ცოლი. ქალს, რომლის სახელს მისი მესაიდუმლენი მას უკავშირებდნენ, თავისთან ჩამოსვლის უფლებას ხშირად როდი აძლევდა: მთელ თავის დროს ბელადი ხალხს სწირავდა...

იგი დაბალი და არაპროპორციული აგებულებისა იყო. ჰქონდა შედარებით გრძელი ტანი და მოკლე ფეხები.

ჩაცმულობის მხრივ იგი მოკრძალების განსახიერება იყო. ზაფხულში იცვამდა სამხედრო ნიმუშის შარვალს შიგ ჩატანებული ყავისფერი პერანგით, ჩექმებს, ხანდახან მომწვანო-თაგვისფერ ფრენჩს. წელიწადის ცივ დროში კი ტყავის პალტოს აწეული საყელოთი. იხურავდა მაღალციან ქუდს.

მისი თანამებრძოლნი ორდენებში ბრწყინავდნენ, თვითონ კი მხოლოდ ერთ უბრალო ჯარისკაცულ რკინის ჯვარს ატარებდა.

წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა ამ კაცს მხოლოდ მიუნხენის ლუდხანების მუდმივი სტუმრები იცნობდნენ. თითქმის ყველას დაავიწყდა ის წლები, როცა იგი და მისი მცირერიცხოვანი პარტია ღარიბები იყვნენ, იტანდნენ დაცინვასა და შეურაცხყოფას, როცა მხოლოდ ცოტამ, მაგრამ უძლიერესმა ადამიანებმა განჭვრიტეს მასში ბელადი.

პირველად გერმანიის ფოლადის კონცერნის მეთაურმა ფრიც ტისენმა და რურის ქვანახშირის მეფემ ემილ დორფმა გაბედეს და მხარი დაუჭირეს მას.

მათი პირველი წვლილი შედარებით მოკრძალებული იყო — გენერალ ლიუდენდორფის ხელით გადაცემული ასი ათასი ოქროს გერმანული მარკა.

შემდეგ ფული წყალივით წამოვიდა: როცა საკითხი შეეხო მარქსიზმის, პროფკავშირებისა და მუშათა კლასის წინააღმდეგ ბრძოლას, ეს ხალხი სახსრებს არ იშურებდა. ტისენისა და კირდორფის მაგალითს მიბაძეს ფონ შნიტცლერმა, „ი. გ. ფარბენი"-დან, ავგუსტ როსტერგმა და ავგუსტ დლინმა, კონომ სანაოსნო კომპანიიდან „ჰამბურგი — ამერიკა", გერმანიის ბანკმა, საკომერციო ბანკმა, „ალიანსმა" — უმსხვილესმა გერმანულმა სადაზღვეევო საზოგადოებამ...

მაგრამ მისი მოღვაწეობის ერთობ უბრალო დასაწყისი მხოლოდ ცოტა ვინმეს-ღა ახსოვდა. დანარჩენთათვის იგი ღვთით შოვლენილი მხსნელი იყო გერმანიისა, მისი აწმყო და მომავალი.

მას ადოლფ ჰიტლერი ერქვა, მაგრამ ვერავინ, ყველაზე ახლო მეგობრებიც კი ვერ უბედავდნენ სახელით მიემართათ.

მათთვის იგი იყო „ფიურერი". „ჩემი ფიურერი". ისევე როგორც მილიონობით სხვა გერმანელისთვისაც, — ნა-

ხევარლმერთი, რომელსაც მთელ მსოფლიოზე, მთელ კაცობრიობაზე უნდა დაემყარებინა ერთი სახელმწიფოს — გერმანიის, ერთი ნაციის — გერმანელთა ბატონობა.

... იმ საღამოს ჰიტლერი უახლოეს მეგობრებს მასპინძლობდა ბერგჰოფში. ეს იყო მისი საყვარელი რეზიდენცია, დასასვენებელი ადგილი, ფიქრებისათვის გახკუთვნილი თავშესაფარი.

შესაძლოა, ჰიტლერს განსაკუთრებით იმიტომ უყვარდა ეს დიდი თეთრი ვილა, რომ იგი მდებარეობდა მაღალ მთებში, ბავარიის ალპებში.

ოდნავ ბეჭებში მოხრილს ხელები ძირს დაეშვა და მუცელს ქვემოთ ერთმანეთში ჩაეხლართა თითები. მოკლე ფლატუნა ნაბიჯებით უზარმაზარ სასტუმრო დარბაზში ბოლთას სცემდა და ხანდახან მარჯვენა მხარი უთრთოდა.

ზოგჯერ მაღალ და განიერ ფანჯარასთან ჩერდებოდა. თვალწინ გადაშლილი პეიზაჟი — მხოლოდ ცა და მთები — მოაგონებდა მას, რაოდენ მაღლა დგას იგი ადამიანებზე და ზეცასთან უფრო ახლოა, ვიდრე ადამიანებთან.

სტუმრები დაბალი გრძელი მაგიდების გასწვრივ საკარძლებში ისხდნენ: გენერალ-ფელდმარშალი კაიტელი, ბორმანი, ევა ბრაუნი, ლამაზი და ინდივიდუალობას მოკლებული სატრფო ფიურერისა, პრესის შეფი დოქტორი ოტო დიტრიხი, შრომის ფრონტის საიმპერიო ხელმძღვანელი ლეი ცოლით და ამას წინათ რაიხსკანცლერის ადიუტანტად დანიშნული არნიმ დანეიცი.

უზარმაზარ ბუხარში ცეცხლი გიზგიზებდა. ბუხრის წინ გროვად ეწყო ერთ ზომაზე დაჭრილი შეშა. იქვე იწვა და ცეცხლს ეფიცხებოდა ჰიტლერის საყვარელი ნაგაზი ბლონდი.

ხანდახან ფიურერი ბუხართან მივიდოდა, რომ ძაღლისთვის ხელი გადაესვა, შეშა შეეკეთებინა, ან გრძელი შაშით ნახშირი გამოეჩხრიკა.

თამბაქოს მოწევა აკრძალული იყო. არ ჩანდა სპირტიანი სასმელებიც. იყო მხოლოდ ყავა და ჩაი, რასაც დროგამოშვებით აწოდებდნენ სტუმრებს ქათქათა თეთრ მუნდირებში გამოწყობილი ესესელები.

შუაღამე ახლოვდებოდა. სტუმრები დაიღალნენ. მათ უკვე მოისმინეს ფიურერის რამდენიმე მონოლოგი. ინგლისზე — ამ ვაჭრუკანებისა და გაბღენძილი სნობების

წყეულ ნაციაზე, რომელმაც ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში შეირცხვინა თავი იმით, რომ პრემიერ-მინისტრის სავარძელზე ებრაელი დასვა. ფრანგებზე — ცოცხლად ლპობად ბრბოზე, ამ გარყვნილ, საზიზღარ მებაყაყეებზე, რომლებსაც არ გააჩნიათ რწმენა, ერთიანობა, დაუშვეს „სახალხოდ“ წოდებული ბლოკის შექმნა. რუზველტზე — პოლიომიელიტისაგან ფეხებწართმეულ პლუტოკრატზე და ტიპიური პრაგმატული გონების პოლიტიკურ კომბინატორზე; დიდ გერმანელ პიანისტ ვალტერ გიზეკინგზე, რომელმაც არ მიბაძა თომას მანის ან ფოიხტვანგერის ტიპის ბილწ მჯღაბნელებს და კი არ დატოვა დიდი გერმანია, არამედ გებელსის ნებართვით გაემგზავრა საერთაშორისო ტურნეზე, რათა ასახელოს იგი; კოსმოსური ყინულისა და დედამიწის სიცარიელის თეორიაზე...

იგი არ შეხებია მხოლოდ ერთ თემას. სწორედ იმას, რომელიც დღეს ყველაზე ძლიერ აინტერესებდათ სტუმრებს — მოლოტოვთან მომავალ შეხვედრას.

ჰიტლერის დღევანდელი სტუმრები მხოლოდ სწორედ ამაზე ელოდნენ მის აზრს. აქ თავმოყრილი ადამიანები ხომ კარგად იცნობდნენ ფიურერის უაღრესად საიდუმლო გეგმებს.

მათ იცოდნენ, მაგალითად, რომ რუსეთთან ომი წინწინასწარ განსაზღვრულია — ამის შესახებ ფიურერმა უკვე მიიღო ურყევი გადაწყვეტილება. მეტიც: ომი გაჩაღებულიც იქნებოდა, კაიტელსა და ჰალდერს წმინდა სამხედრო მოსაზრებათა გამო რომ არ დაერწმუნებინათ ჰიტლერი, მომავალი წლისათვის გადაეტანა მისი დაწყება.

არა, ისინი თვით ჩანაფიქრის წინააღმდეგი როდი იყვნენ — ეს იცოდა ყველამ, ვინც ახლოს იყო ფიურერთან. უბრალოდ დაარწმუნეს იგი, რომ ასეთ მოკლე დროში შეუძლებელი იყო დასავლეთიდან აღმოსავლეთში საჭირო სამხედრო კონტინგენტის დროულად გადასროლა. დაუმტკიცეს, რომ ასეთი დიდი კამპანიის წამოწყება ზამთრის პირას არახელსაყრელი იყო.

ფიურერი არც თუ დიდი ხალისით დაეთანხმა მათ მოსაზრებებს და გამოაცხადა, ახალ დიად გამარჯვებათა წელი ამიერიდან მომავალი 1941 წელი უნდა გახდესო.

სამწუხაროდ, უკანასკნელ ხანებში ამ საკითხზე კრემლში ეჭვები მნიშვნელოვნად გაიზარდა. ეს აქ შეკრებილთათვისაც არ იყო საიდუმლო და უფრო ცხადი გახდა მო-

ლოტოვისა და ტიპელსკირხის ამასწინანდელი შეხვედრის შემდეგ.

აქ თავმოყრილთ ყველას ახსოვს, ამ ორიოდე თვის წინათ ამავე სასტუმრო ოთახში, სავარძელში მჯდომი გაღიზიანებული ფიურერის წინ რიბენტროპი რომ იდგა და ამ შეხვედრის შესახებ უამბობდა. მოხსენების დაწყებისთანავე ჰიტლერი უკვე ბრაზმა აიტანა და რიბენტროპის მიერ ტიპელსკირხის პირველსავე ხსენებაზე იგი ლანძღვით მოიხსენია. გაუგებარი იყო რატომ. საკმაებით ბუნებრივი იყო ტიპელსკირხის საბჭოთა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში წასვლა; ელჩი გრაფი შულენბურგი ხომ შვებულებით ბერლინში იმყოფებოდა, ხოლო დროებით რწმუნებულად სწორედ ვერნერ ფონ ტიპელსკირხი რჩებოდა. ცხადია, ყოველივე, რაც შემდეგ მოხდა, რწმუნებულის დიპლომატიური უნიჭობით კი არ განისაზღვრებოდა, არამედ იმ დავალების ხასიათით, რომელიც თვით ჰიტლერმა დააკისრა მას.

ტიპელსკირხს უნდა ეცნობებინა კრემლისათვის, რომ იაპონია, იტალია და გერმანია უახლოეს დღეებში აპირებენ ურთიერთშორის სამხედრო კავშირის დადებას.

ამისათვის მზადება ძლიერ საიდუმლოდ მიმდინარეობდა. მაგრამ რამდენიმე დღით ადრე, სანამ საიდუმლო გამომჟღავნდებოდა, ფიურერმა დაავალა თავის საელჩოს მოსკოვში, ეცნობებინათ საბჭოთა მთავრობისათვის მომავალი სამმხრივი ხელშეკრულების დადების შესახებ.

რწმუნებულს ევალებოდა ჩანაფსახშივე ჩაეხშო ამასთან დაკავშირებული ყოველგვარი ეჭვი, რომელიც შეიძლებოდა კრემლში აღძროდათ.

ჰიტლერს ახასიათებდა თავისი დღევანდელი და ხვალინდელი მოწინააღმდეგეების არაჯეროვნად შეფასება. მაგრამ იგი საკმაოდ ჭკვიანი იყო საიმისოდ, რომ ტიპელსკირხის მისიის წარმატება მხოლოდ რწმუნებულის უნართან არ დაეკავშირებინა და მოსკოვისათვის არასასიამოვნო ცნობა შემოვლითი ფრაზებით შეენიღბა. ამიტომ ტიპელსკირხს დაევალა დამატებითი ცნობის მიცემა საბჭოთა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატისათვის და ეს ცნობა უნდა ყოფილიყო კრემლისადმი ფიურერის უსაზღვრო ნდობის დამამტკიცებელი საბუთი. ნავარაუდევ ხელშეკრულებაში იქნებოდა სპეციალური საიდუმლო მუხლი, რომ იგი მიმართულია არა საბჭოთა კავშირის, არამედ აშშ-ის წინააღმდეგ.

...როდესაც რიბენტროპი ბერგჰოფში გამოცხადდა და ტიპელსკირხის მისიის შედეგები მოახსენა ჰიტლერს, ამ უკანასკნელმა ეს ამბები უკვე კარგად იცოდა საელჩოდან მიღებული იმ პატაკების მიხედვით, რომლებიც გესტაპოსა და აბვერის წარმომადგენლებმა გადმოსცეს.

რიბენტროპს ისღა დარჩენოდა, ყოველივე ეს ტიპელსკირხისა და, რაღა თქმა უნდა, მოლოტოვის წინააღმდეგ იმთავითვე მტრულად განწყობილი ჰიტლერის წინაშე მსახიობივით გაეთამაშა.

ამრიგად, თანახმად გერმანიის საქმეთა რწმუნებულის დაშიფრული შეტყობინებისა, საბჭოთა სახკომმა იგი საკმაოდ გულცივად მოისმინა და მოკლე ნოტაცია წაუკითხა. მისი აზრი მდგომარეობდა იმაში, რომ თანახმად საბჭოთა კავშირ-გერმანიის პაქტის მეოთხე მუხლისა, შემდგომში გერმანიის მიერ დასადები ყოველგვარი საერთაშორისო შეთანხმების ტექსტი წინასწარ უნდა იქნეს ნაჩვენები საბჭოთა მთავრობისათვის.

სწორედ რომ „წინასწარ" და არა „წინადღით", ხაზგასმით თქვა მოლოტოვმა და დაურთო: „ყოველგვარი საიდუმლო ოქმისა ან რაიმე არაგასამჟღავნებელი მუხლის ჩათვლით".

ტიპელსკირხი ცდილობდა, — განაგრძობდა თავის მოხსენებას რიბენტროპი, — უარეყო ეს პრეტენზიები და მიზეზად ასახელებდა ომის დროის პირობებს, რომელშიც იმყოფებოდა გერმანია, იმ პირობებს, რომლებიც გარდაუვალად არღვევენ დიპლომატიურ შეთანხმებათა პროცედურას. მაგრამ მოლოტოვმა მოულოდნელი შეკითხვით მკვეთრად შეაწყვეტინა.

საბჭოთა მთავრობას, თქვა მან, სურს დაწვრილებით იცოდეს გერმანიისა და ფინეთის შეთანხმების შესახებ ფინეთის ტერიტორიაზე გერმანელთა ჯარების ყოფნის თაობაზე... რიბენტროპის ამ სიტყვებზე ჰიტლერი სავარძლიდან წამოხტა და მუშტების ქნევით დაიწყო ყვირილი, რომ გერმანია არაა ვალდებული ვინმეს ანგარიშები აბაროს და თუ მსგავსი რამის თქმას მოლოტოვი ან სხვა ვინმე მას, ჰიტლერს გაუბედავდა განადგურებულ იქნებოდა, ფერფლად იქცეოდა, აღიგვეებოდა პირისაგან მიწისა. ამას მოჰყვა ზიზღის გამომხატველი რამდენიმე ფრაზა მანერჰაიმის, ამ დედაბრისა და გაიძვერა მელიის მისამართით, რომელსაც ჯერ ისევ აკანკალებს „რუსეთის" ხსენებაზე, თუმცა მასთან ომი უკვე რამდენიმე თვეა დამ-

თავრდა. ეს უკანასკნელი ჰიტლერმა კიდევ მრავალი უხამსი ეპითეტით შეამკო და ძალაგამოცლილი ჩაჯდა, უფრო სწორად, ჩაეხეთქა ისევ სავარძელში, თან რიბენტროპს ხელით ანიშნა, განაგრძეო.

რიბენტროპმა, რომელიც მოყვასისათვის კვანტის გამოდების ხელსაყრელ მომენტს ხელიდან არასოდეს არ გაუშვებდა, საჩქაროდ დაუმატა, რომ ტიპელსკირხი, ჩანს დაიბნა, რადგან დაშიფრულ წერილში არ იტყობინება რა უპასუხა მოლოტოვს. მხოლოდ მისი სიტყვები მოპყავს საბჭოთა მთავრობის დაეჭვების გამო, რომელმაც კარგად იცისო, რომ მარტო უკანასკნელ დღეებში გერმანელთა შეიარაღებული ძალები ფინეთის სულ ცოტა სამ პორტში შეეიდნენ.

ჰიტლერმა კვლავ იფეთქა. იგი ისევ წამოხტა სავარძლიდან, ფეხი წაჰკრა ბუხრის წინ დაყრილ შეშის გროვას, რომელიც გრუხუნით ჩამოინგრა და აყვირდა, რომ ვერ მოითმენს ამ აღმაშფოთებელ დაეჭვებას, ვინაიდან კრემლისთვის ნათქვამი ჰქონდათ, რომ გერმანელთა ჯარები მიემართებიან არა ფინეთ-„ში", არამედ „მასზე" გაკლით — სორეეგიაში...

ჰიტლერი ყვიროდა სულ უფრო ხმამაღლა, სულ უფრო გაშმაგებით. თუმცა თვითონაც და მასთან დაახლოებულმა პირებმაც იცოდნენ, რომ სიტყვა ეხება ტრიუკს, მანევრს, კამუფლიაჟს; რომ ფინეთში გაგზავნილ ჯარებს ნაბრძანები აქვთ, დარჩნენ იქ და მოემზადონ რუსეთზე თავდასხმისათვის ჩრდილოეთიდან, რაც, უწინარეს ყოვლისა, ლენინგრადს ემუქრებოდა. თავისი სიტყვა ფიურერმა დაასრულა წამოძახილით, რომ რაკი ასეა, იგი აღარ დაელოდება მომავალ წელს და დღესვე გასცემს ბრძანებას, აღგავონ რუსეთი პირისაგან მიწისა...

მაგრამ ასეთი ბრძანება არ გაცემულა. მსოფლიოზე ბატონობის წყურვილით შეპყრობილ ამ მანიაკში, რომელიც თითქოსდა არ სცნობდა არავითარ საღ გაანგარიშებას. უვიცობა და სიგიჟე შერწყმული იყო სატანურ ეშმაკობასთან. კონკრეტული პოლიტიკური სიტუაციის ჩინებულ მიხვედრასთან და გარდაუვალად მოსალოდნელ წინააღმდეგობებზე თამაშის უნართან. ამრიგად, ჰიტლერს იმ დღეს არ გაუცია ბრძანება „აღეგავათ რუსეთი პირისაგან მიწისა"... მეტიც, გერმანიის დიპლომატიას დაავალა, მთელი ძალ-ღონე იქით წარემართა, რომ მიეძინებინა კრემლის დაეჭვება.

ახლა მისი ფსონი იყო მოლოტოვის მიწვევა ბერლინში

გერმანია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის ნორმალიზაციისა და ყველა სადავო საკითხის გარკვევის საბაბით. ამ შეხვედრისას აუცილებელი იყო რუსეთის თვალი აერიდებინათ გერმანიის სამხედრო მზადებისათვის და სულ სხვა მხრით წარემართათ იგი.

...და აი დღეს ბერგჰოფში თავმოყრილ რჩეულთა ჩვეულებრივი წრე მოუთმენლად ელოდა, როდის შეეხებოდა ფიურერი ამ მეტისმეტად აქტუალურ თემას. მოლოტოვი ხომ ორი დღის შემდეგ ბერლინში იქნება...

მაგრამ ჰიტლერი ამ თემის გარდა რაზე აღარ ლაპარაკობდა. ბოლოს და ბოლოს მისმა დაქანცულმა სტუმრებმა რაიმე ახლის გაგების იმედი დაკარგეს და მოუთმენლად ელოდნენ იმ წუთს, როცა დასაძინებლად წასვლის ნებას მიიღებდნენ.

მაგრამ ჰიტლერი, თითქოს არ აპირებდა წასვლას. დაავიწყდა, რომ უკვე გვიანი იყო. დაავიწყდა თავისი სტუმრებიც და საერთოდ ყველაფერი, რა გარემოცვაშიც იმყოფებოდა.

მაგრამ მთავარი, რომ ზეგ ბერლინში საბჭოთა კავშირის წარგზავნილთან შეხვედრა ელოდა, მას კარგად ახსოვდა. ახლაც სწორედ ამაზე ფიქრობდა. ფიქრობდა მდუმარედ, ვიდრე ყველანი საერთოდ არაფრად მიაჩნდა ადამიანები, მასთან მეტად დაახლოებული ის პირებიც კი, რომლებიც ახლა ამ სასტუმრო ოთახში ისხდნენ.

რა თქმა უნდა, გერინგთან, ჰესთან, ბორმანთან, გებელსთან და რიბენტროპთან ერთად მან ჯერ კიდევ წინასწარ უწვრილმანესი დეტალების გათვალისწინებით, შეხვედრიდან გაცილებამდე, შეიმუშავა ყველაფერი, რაც უნდა განეხორციელებინა ზეგ. დარწმუნებული იყო, რომ წარმატებას მიაღწევდა.

და მაინც ახლა იგი ელოდებოდა მორიგ „ნათელხილვას", ბრწყინვალე იდეას, რომელიც დაეხმარებოდა მას, შეეტყუებინა მოლოტოვი ისეთ ხაფანგში, რომლიდანაც გამოსავალს ვეღარ იპოვიდა.

...არეული ნაბიჯით, სხვადასხვა მიმართულებით იგი ბოლთას სცემდა სადარბაზო ოთახში. თითქოს იმ გეგმის აბლაბუდას ქსოვდა, რომელშიც მოსკოვის წარმოგზავნილი უნდა გახლართულიყო და ბოლოს და ბოლოს ილაჯგაწყვეტილი ბუზივით ჩამოკიდებულიყო.

მოქმედების გეგმა ძირითადად უკვე შემუშავებული იყო. მას ჰქონდა ორი მხარე: პოლიტიკური და, ასე ვთქვათ,

ემოციური. პირველის აზრი იმაში მდგომარეობდა, რომ დაემშვიდებინათ რუსეთი, მიეძინებინათ მისი დაეჭვება, დაერწმუნებინათ ბოლშევიკები—გადაეტანათ ყურადღება ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან სამხრეთისაკენ და ამრიგად საშუალება მიეცათ გერმანიისათვის, დაესრულებინა მზადება აღმოსავლეთში გადამწყვეტი დარტყმისათვის.

მეორე, ასე ვთქვათ, ემოციური მხარე ამ გეგმისა ის იყო, რომ ჩაეხშოთ — არა, უფრო სწორად, აღენთოთ მოლოტოვის წარმოსახვა. საბჭოთა მინისტრს უნდა დაენახა წარმტაცი, მიმზიდველი მირაჟი და მასში დაჯერებულს, თავისკენ გადაებირებინა სტალინი და ყველა დანარჩენებიც.

და სანამ ისინი გაერკვევიან, რომ მათ წინაშე მირაჟია, მანამდე საკმარისი დრო გაივლის, რომ გერმანიამ დაასრულოს საჭირო სამზადისი იმ მძლავრი დარტყმისათვის, რომელიც გადაწყვეტს არა მარტო რუსეთის ბედს, არამედ მთელი ევრეთ წოდებული მსოფლიო ცივილიზაციისას, რომელსაც უკვე ყავლი გაუვიდა.

დიახ, გეგმა კარგად იყო მოფიქრებული. ჰიტლერს მაინც ეჩვენებოდა, რომ ამ გეგმას აკლდა რომელიღაც უკანასკნელი, გადამწყვეტი შტრიხი, ბერკეტი, რომელზედაც ხელის დაჭერით შეეძლებოდა ხაფანგის მაგრად ჩარაზვა.

ამ ბერკეტის მისაგნებად აუცილებელი იყო „ნათელხილვა". ის კი არ ეევლინებოდა...

სტუმრებმა უკვე იმედი დაკარგეს, რომ ფიურერისაგან გაიგებდნენ მათთვის უცნობ რაიმე ახალ დაწვრილებით ამბებს საბჭოთა კომისრის მომავალი ვიზიტის შესახებ. ელოდებოდნენ იმ წუთს, როცა ოთახში მორიგი გარბენის შემდეგ ჰიტლერი აღარ მიუბრუნდებოდა ბუხარს, ძაღლს მოუხმობდა, კარისკენ მიმავალი გამომშვიდობების ნიშნად, ჩვეულებისამებრ, ზღურბლიდან დუნედ აუქნევდა ხელს სტუმრებს.

ამ სადარბაზო ოთახში შეკრებილთაგან მხოლოდ ერთ კაცს არ სწყუროდა დასვენება და არ ოცნებობდა იმაზე, რომ ფიურერი წასულიყო. მისი სურვილი იყო, თუ ვერ მოუსმენდა, ეცქირა მაინც მისთვის. ეცქირა ძარად, დღისითა და ღამით. დაეჭირა მისი ყოველი მოძრაობა, ყოველი გამოხედვა... იგი გრძნობდა, რომ დანარჩენი სტუმრები დაიღალნენ, უნდათ მალე აიშალნონ და თავიანთ ოთახებს მიაშურონ, უკვდრდა მათი და ამის გამო ისინი სძაგდა კიდეც...

კაცი, რომელიც ერთგულ მზერას არ აშორებდა ოთახში მოსიარულე ჰიტლერს, იყო არნიმ დანეიცი. ოიდლის

შტაბის ეს ოცდაათი წლის მაიორი ახლახან დაბრუნებულიყო ოკუპირებული პოლონეთიდან, სადაც გაემგზავრა ფიურერის პირადი საიდუმლო დავალებით, რომელიც უკვე რამდენიმე თვეა, განსაკუთრებით კეთილად იყო განწყობილი მისადმი.

არნიმ დანვიცი იყო მიუნხენის „ლუდხანის პუტჩის" მონაწილის, ნაცისტური პარტიის ერთ-ერთი უძველესი წევრის შვილი. ხელისუფლების სათავეში ჰიტლერის მოქცევიდან სულ მალე ეს კაცი მიიცვალა. მის ვაჟს კი დაუსწრებლად ჭაბუკობიდანვე უყვარდა ჰიტლერი.

არა მხოლოდ მამის ანდერძის გულისათვის, არამედ საკუთარი მხურვალე სურვილითაც არნიმმა გადაწყვიტა, მთელი თავისი სიცოცხლე ფიურერის სამსახურისათვის შეეწირა.

წარსულში ჰიტლერიუგენდის წევრმა არნიმმა საწესდებო ასაკს მიაღწია თუ არა ნაცისტურ პარტიაში შევიდა. დანვიცის შემდგომი კარიერა იმ დღეს განისაზღვრა, როცა მას წილად ხვდა ბედნიერება სხვა ახალგაზრდა ნაცისტებთან ერთად სახელმწიფო ოპერის შენობაში დასწრებოდა „ჰელდენგედენკენტაგს" — პირველ მსოფლიო ომში დაღუპულ გერმანელ გმირთა ხსოვნისადმი მიძღვნილ ზეიმს. —

იმან, რაც არნიმის თვალმა იქ იხილა, წმიდათა წმიდა გრძნობით აათრთოლა მისი სული.

დარბაზში მან დაინახა სამხედრო მუნდირების ზღვა. სცენაზე გაქვავებულიყვნენ რაიხსვერის ჯარისკაცები, რომლებსაც ხელთ ეპყრათ მოკაშკაშე პროექტორების შუქით განათებული გერმანული საბრძოლო დროშები... დროშების ტარებსა და ჯარისკაცთა თავებს ზემოთ ირხეოდა უზარმაზარი მოვერცხლისფერ-მოშავო რკინის ჯვარი. როცა ორკესტრმა ბეთჰოვენის სამგლოვიარო მარში დაუკრა, სამეფო ლოჟაში გამოჩნდა ჰიტლერი და ხელგაშვერილი თავის ჯარებს მიესალმა. არნიმ დანვიცი დარბაზის ერთ-ერთ გასასვლელში იდგა. გაშეშებული თითებით ნაცისტური დროშის ტარს ჩაფრენოდა და მთელი მისი არსება მოწიწებისა და აღტაცების გრძნობას შეეპყრო.

იმ დღიდან მას უკვე სხვა კარიერაზე აღარ უფიქრია გარდა სამხედროსი. წარმატებით დაამთავრა სამხედრო სასწავლებელი, უურადღება მიიპყრო და სამუშაოდ გაგზავნეს სახმელეთო ჯარების გენერალურ შტაბში, რომელსაც ჰალდერი მეთაურობდა. მაგრამ დანვიცი გერმანიის მთელ შეიარაღებულ ძალთა ოპერატიული ხელმძღვანელობის შტაბ-

ში მუშაობაზე ოცნებობდა, რადგან ამ შტაბს მეთაურობდა ალფრედ იოდლი.

ჰალდერი ძველი გერმანული გენერალიტეტის წარმომადგენელი იყო. მის მიმართ ნაცისტები მუდამ შურით, მტრობითა და იჩქვეთ იყვნენ განწყობილნი. ხოლო იოდლი ახალი, ნაცისტური ფორმაციის გენერალი იყო და ყველამ იცოდა, ფიურერის სიმპათიებით რომ სარგებლობდა.

გერმანიის მიერ პოლონეთზე თავდასხმის შემდეგ სულ მალე დანვიცმა მოახერხა იოდლის შტაბში გადასვლა.

მისი ბედის შემოტრიალება საიდუმლოსთან იყო დაკავშირებული. და ეს ამბავი მის გულს სიამაყით ავსებდა.

1939 წლის 17 აგვისტოს იგი გამოიძახა ჰალდერმა და უთხრა, რომ მას, არნიმ დანვიცს, მაშინ ჯერ კიდევ კაპიტანს, ავალებენ სახელმწიფო მნიშვნელობის საქმეს. იგი სრულიად საიდუმლოდ უნდა იქნეს დაცული. მან სიტყვა გადაუკრა იმაზე, რომ სს-ის რაიხსფიურერმა ჰიმლერმა პირადად მიუთითა დანვიცზე, როგორც გენშტაბის ოფიცერზე, რომელიც შეიძლება დაიშვეს ამ საიდუმლო ოპერაციაზე.

დანვიცი იცნობდა ჰიმლერს. ის მამამისის ძველი პარტიული ამხანაგი იყო და ჯერ კიდევ ადრე, 1933 წლამდე. ესე იგი გარმანიის სათავეში ჰიტლერის ჩადგომამდე, ჰათ ოჯახში დადიოდა ხოლმე.

არნიმმა მოისმინა ჰალდერის ინსტრუქციები, ქუსლი ქუსლს შემოჰკრა, მარჯვენა ხელი წინ გამოსწია და აჩქარებით გავიდა გენერლის კაბინეტიდან.

გენშტაბის უფროსმა კი თავის დღიურში, რომელსაც ყოველდღე აწარმოებდა, გააკეთა უცნაური ჩანაწერი: „ჰიმლერი, ჰაიდრიხი, ობერზალცბერგი: პოლონური ფორმის ტანსაცმლის 150 კომპლექტი ყოველივე აუცილებლით, ზემო სილეზიისათვის“.

ის, რაც შემდეგ მოხდა, ასობით მილიონმა ადამიანმა გერმანიაში, პოლონეთში, მთელ მსოფლიოში მხოლოდ 31 აგვისტოს შეიტყო, ამ დღეს ბერლინის რადიომ გამოაცხადა: პოლონელ ჯარისკაცთა რაზმი გლაივიცის მახლობლად გერმანიის ტერიტორიაზე შეიჭრა და ბრძოლით ხელთ იგდო გერმანელთა რადიოსადგური. მაგრამ რაიმე გამომწვევი მიზეზის გარეშე ჩადენილი აგრესიის ეს აქტი გათავხედებულ პოლონელ მტარვალებს ეცოტავათ, — აღშფოთებით განაგრძობდა დიქტორი, — პოლონელებმა არა მხოლოდ ხელთ იგდეს გერმანელთა რადიოსადგური, არამედ გამჯიყე-

ნეს იგი პოლონურ ენაზე ანტიგერმანული გადაცემებისათვის. მთელ მსოფლიოს შეეძლო მოესმინა დიდი გერმანიისა და მისი ბელადისადმი გამოხდომებით აღსავსე ეს თავხედური გადაცემა... .

დიახ, ეს სიმართლე იყო: ასეთი გადაცემა რამდენიმე საათის შემდეგ გაისმა ეთერში. მაშასადამე, პოლონელებმა ისარგებლეს გერმანელთა რადიოსადგურით?!

ჰო, რაღა თქმა უნდა! აი სწორედ ამ პოლონელებმა, რომელთა ფოტოსურათებიც გერმანიის ყველა საღამოს გაზეთმა გამოაქვეყნა. თუმცა სურათებზე გამოსახულ ადამიანებს ვერაფერს ვერ შეეკითხებოდით. ისინი მკვდრები იწვნენ გერმანელთა მიწაზე, გლაივიცის მახლობლად, რადიოსადგურის შენობის ფონზე. რას იზამ, ესეც ბუნებრივად გამოიყურებოდა: დამპყრობთა ნაწილი ვერმახტის მამაცმა ჯარისკაცებმა გაანადგურა, დანარჩენები უკანვე გაიქცნენ პოლონეთში.

ფიურერმა უბრძანა გერმანელთა ჯარებს ამ თავხედური პროვოკაციის პასუხად გადაელახათ პოლონეთის საზღვარი...

რადიოსადგურისათვის ბრძოლაში დახოცილი დამპყრობლები რამდენიმე დღეს ეყარნენ იქვე, სადაც სიკვდილმა უწიათ. გერმანელმა და უცხოელმა ფოტორეპორტიორებმა დახოცილები აღბეჭდეს იმ ომის მატიანესათვის, რომელიც ის-ის იყო დაიწყო.

და არც ერთმა მათგანმა არ იცოდა, რომ ეს „პოლონელები" ჯერ კიდევ რამდენიმე დღის წინათ წმინდა სისხლის გერმანელები, დახაუს საკონცენტრაციო ბანაკის სიკვდილმისჯილი პატიმრები იყვნენ. არავინ არ იცოდა, რომ მათ სიცოცხლესა და თავისუფლებას შეჰპირდნენ, თუ პოლონურ სამხედრო ფორმას ჩაიცვამდნენ და მონაწილეობას მიიღებდნენ ოპერაციაში, რომლის კოდური სახელწოდება იყო „კონსერვები".

როცა გერმანელმა სამხედრო ექიმმა ყველას იქვე, რადიოსადგურის შენობასთან, პარტახტიანი ტიფის საწინააღმდეგო აცრა გაუკეთა, პატიმრებმა რა იცოდნენ, თუ დაიხოცებოდნენ. მათ უთხრეს, ეს სიფრთხილის მიზნით აუცილებელია: გვერდით ხომ ისეთი ბინძური და მათხოვრული სახელმწიფოს საზღვარია, როგორიც პოლონეთია. ისინი დაიხოცნენ ინექციიდან ოთხი წუთის შემდეგ. ტყვიებით მიყენებული ჭრილობებისაგან, რომლებიც ასე კარგად აისახა ფოტოსურათებზე, უკვე აღარც იტანჯებოდნენ, რადგან

მკვდრები ტკივილებს არ გრძნობენ, თუნდაც ავტომატი დაუშინონ თავში.

მაგრამ ყოველივე ამის შესახებ არავინ არაფერი არ იცოდა. ის რამდენიმე კაცი, რომლებსაც გაანდეს საიდუმლო და მისი შენახვაც იცოდნენ, ანგარიშში არ ითვლებოდა.

ამათ შორის იყო კაპიტანი დანვიციც, რომელიც უზრუნველყოფდა ოპერაციის სამხედრო მხარეს — პოლონური ფორმის ტანსაცმლისა და შეიარაღების ადგილზე მიტანა.. ყოველივე დანარჩენზე პასუხს აგებდა გესტაპო.

მოხდა ისე, რომ სწორედ დანვიცს, როგორც ამ ამბის თვითმხილველს ჩატარებული ოპერაციის შესახებ იოდლისათვის უნდა ჩაებარებინა პატაკი. ამ უკანასკნელის შეკითხვაზე, თუ რა ჯილდოს მიღებას ისურვებდა, დანვიცმა უპასუხა: „თქვენი ხელმძღვანელობით სამსახურს, ბატონო გენერალო".

შესაძლოა, სანამ დანვიცს ჰიტლერისათვის პატაკის მისაცემად წარყვანდა, იოდლმა უამბო ფიურერს ახალგაზრდა ერთგული ნაცისტი-ოფიცრის შესახებ, რომელიც დიდ იმედებს იძლეოდა და საიდუმლოს შენახვა იცოდა. იქნებ, თვით ჰიტლერმა მიაქცია ყურადღება იოდლის დავალებათა შემსრულებლის უზადო არიულ გარეგნობას: — მაღალი, ქერათმიანი, სახენაყვავილარი და წელზე მჭიდროდ ქამარშემორტყმული დანვიცის ფოლადისფერ თვალებში ისეთი ძაღლური ერთგულება ამოიკითხა, რომ მისდამი სიმპათიით განიმსჭვალა.

ასე იყო თუ ისე, ერთი თვის შემდეგ დანვიცს მაიორის წოდება მიენიჭა. მომდევნო სამი თვე რომ გავიდა, ფიურერის ერთ-ერთი ადიუტანტი გახდა. ხოლო ნახევარი წლის მერე მისგან მიიღო საგანგებო დავალება, რომლის შესასრულებლად უკვე დაპყრობილ პოლონეთში გაემგზავრა.

მივლინებიდან დანვიცი მხოლოდ დღეს დილით დაბრუნდა. ჩამოვიდა თუ არა ბერლინში, ბრძანება მიიღო, დაუყოვნებლივ გამოცხადებულიყო ფიურერთან ბერგჰოფში.

...და აი არნიმ დანვიცი უკვე რამდენიმე საათია ზის ჰიტლერის სადარბაზო ოთახში და ცდილობს არ გამორჩეს მისი არც ერთი სიტყვა, არც ერთი ჟესტი.

იგი მუდამ აღმერთებდა თავის ფიურერს.

მაგრამ ოპერაცია „კონსერვებში" მონაწილეობის შემდეგ დანვიცის გრძნობას განსაკუთრებული ელფერი მიეცა. არნიმს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ მთელი ეს იდეა ფიურერის გენიალურ ტვინში დაიბადა. ამგვარად, მონაწილეობდა რა

ბის განხორციელებაში, დანვიცი, თითქოსდა თავისი ბელადის იდუმალ ზრახვათა მოზიარე, მათი უშუალო შემსრულებელი ხდებოდა.

მაშასადამე, აგზნებით მსჯელობდა დანვიცი, მათ — დიდ ფიურერსა და არნიმს, — რაღაც იდუმალი, ადამიანთათვის უხილავი კავშირი აერთიანებს. იგი, დანვიცი, თითქოს თვით ფიურერის ნაწილაკი გახდა, დაე, უმცირესი, მაგრამ მაინც მისი ნაწილაკი.

ეს აზრი აბრუებდა დანვიცს. იგი ისევ და ისევ უბრუნდებოდა მას, როცა უმზერდა დიდ ადამიანს, რომელმაც ეს მოკრძალებული მაიორი თავის წმიდათა წმიდა სამყოფელში შეუშვა.

როცა შავ ხის ჩარჩოში ჩასმულმა კედელთან მდგარმა მაღალმა საათმა ორის ნახევარი დაჰკრა, დანვიცი მიხვდა, რომ დღეს უკვე ვერ მოახერხებდა ფიურერისათვის მოეხსენებინა თავისი მგზავრობის შედეგები.

მან უკვე არაერთხელ სცადა დაეჭირა ჰიტლერის მზერა, როცა იგი გვერდით ჩაუვლიდა ხოლმე. სურდა მისი თვალების გამომეტყველების მიხედვით მიმხვდარიყო, ბერგჰოფში დარჩენილიყო თუ დაბრუნებულიყო ბერლინში და ფიურერის იქ ჩასვლას დალოდებოდა. მაგრამ ჰიტლერი თითქოს ვერ ამჩნევდა თავის ადიუტანტს და საკუთარ ფიქრებში ჩაძირული ოთახში ბოლთის ცემას განაგრძობდა.

ბოლოს იგი კარისკენ გაემართა, დამშვიდობების ნიშნად ოდნავ ასწია მარჯვენა ხელისგული და გავიდა.

სტუმრები მაშინვე გამოცოცხლდნენ და ხმაურით ემშვიდობებოდნენ ერთმანეთს.

კაიტელი, ლეი ცოლითურთ და, რა თქმა უნდა, ევა ბრაუნი ღამის გასათევად ბერგჰოფში რჩებოდნენ.

დანვიცი იდგა დიდ ჰოლში, რომლის კედლები ირმის რქებითა და „ნიბელუნგთა რქალების“ თემებზე შესრულებული გრავიურებით იყო მორთული და ფიქრობდა, ბერლინში დაბრუნებულიყო თუ აქ, ვილაში, დაცვისათვის განკუთვნილ ბინაში გაეთია ღამე. ამ დროს მასთან ჰიტლერის პირადი შოფერი მივიდა, ქუსლი ქუსლს შემოჰკრა და ხმადაბლა უთხრა:

— ფიურერი გელოდებათ, ბატონო მაიორო. იგი თავის კაბინეტში გახლავთ.

...ჰიტლერი ტყავის ღრმა საავარძელში იჯდა. ფრენჩი გაეღიღა, ფიხები წინ გაეშალა, რომლებზეც მაღალყელიანი ჩექმები შემოტმასნოდა. საავარძელი ფანჯარასთან იდგა და

დანვიცმა უკვე იცოდა, რომ ეს იყო ფიურერის საყვარელი სავარძელი. ჩვეულებრივ, იგი მასში ისვეხებდა. ოთახის ძარცხენა ნაწილი სამუშაო იყო. იქ იდგა ყითელი ხის განიერი საწერი მაგიდა და დიდი გლობუსი, რამდენადმე იმაზე მომცრო, რომელიც დახვიცს უნახავს ფიურერის ოფიციალურ რეზიდენციაში, ახალი საიმპერიო კანცელარიის კაბინეტში.

დანვიცი კარის ზღურბლზე გაქვავდა. ხელი დაძაბულად ასწია და ხმადაბლა, მაგრამ გრძნობით, როგორც ერთგულების ფიცი, ისე წარმოთქვა „ჰაილ ჰიტლერ!" ფიურერმა რამდენსამე წამს არ უპასუხა მისალმებაზე და დაჟინებით მიშტერებოდა. ბოლოს ოდნავ შესამჩნევად დაუქნია თავი, გაუღიმა და მრავალმნიშვნელოვნად ჰკითხა:

— აბა... დანვიც.

— ჩემო ფიურერ, მე დავბრუნდი ბერლინში დღეს თოთხმეტსა და ნოლ ნოლზე, — უპატაკა დანვიცმა, — თქვენი ბრძანება სრულდება ზუსტად, საჭირო საიდუმლოების დაცვით.

— უფრო დაწვრილებით! — მკვეთრი ხმით უბრძანა ჰიტლერმა.

ისევ იმ პოზაში მყოფმა დანვიცმა მოახსენა, რომ ახალი სამხედრო კონტიგენტებისათვის კლუბებისა და სპორტული ნაგებობების ნიღბით მზადდება ბინები, ითხრება მიწისქვეშა საწყობები საბრძოლო მასალებისათვის. ყველა სამუშაო, როგორც წესი, მიმდინარეობს საღამოს თერთმეტიდან დილის სამ საათამდე, ესე იგი შუაღამისას. არ არის არავითარი ნიშანი იმისა, რომ ისინი შეემჩნიათ რუსებს.

— დარწმუნებული ხართ? — ცქვიტა ყურები ჰიტლერმა და კვლავ მიაპყრო დანვიცს თავისი განმსჭვალავი იქვნეული მზერა.

— უმალ მოვკვდებოდი, ვიდრე თავს ნებას მივცემდი შეცდომაში შემეყვანეთ, ჩემო ფიურერ,—კვლავინდებურად სამხედრო პატაკის ტონით, მისი მბურღავი მზერის წინაშე თავის დაუხრელად უპასუხა დანვიცმა.

— ჩინებულია! — შესძახა ჰიტლერმა. რამდენიმე ხანს იგი დუმდა, შემდეგ კი უკვე ჩვეული უფერული ხმით ჰკითხა:

— რაზე ლაპარაკობენ?

— მოლოტოვის მომავალ ჩამოსვლაზე. — მოკლედ უპასუხა დანვიცმა.

— უფრო ზუსტად.

— ბევრს მიაჩნია, რომ მოლაპარაკება განამტკიცებს ჩვენს ხელშეკრულებას და...

ეს საკმარისი გახდა იმისათვის, რომ ჰიტლერი წამომხტარიყო, თითქოს სავარძლიდან უხილავ კატაპულტას ამოეგდოს და მუშტების ქნევით წამოიყვირა:

— გულუბრყვილოები, სულელები! მონების თაობა! ისინი მხიშვნელობას ანიჭებენ ფარატინა ქაღალდებს, მოლაპარაკებებს! თუმცა-ღა, — დაასრულა მან უკვე დამშვიდებით, — ეს ბუნებრივია იმათთვის, ვისი შეგნებაც ჯერ კიდევ სულელური ცრურწმენის ტყვეობაშია, იმათთვის ვისაც არ შესწევს ძალა გადააბიჯოს მონასა და ბატონს შუა აღმართულ საუკუნოვან ზღვარს.

და ჰიტლერი კვლავ შეუდგა აჩქარებით ბოლთის ცემას. თითქოს მხოლოდ მისთვის ხილულ რაღაცას უნდა დაეწიოსო.

დანვიცი მოწიწებით ელოდა ფიურერის დიადი აზრების გაგრძელებას, მაგრამ მან მოულოდნელად სხაპასხუპით ჰკითხა:

— კვირაში რამდენი ეშელონის გადასროლა შეიძლება შეუმჩნევლად ზღვისპირა რაიონებში?

— ეს დამოკიდებულია წელიწადის დროზე, ბნელ ღამეებსა და მატარებლების უკანასკნელი გაჩერებიდან საზღვრამდე არსებულ მანძილზე, ჩემო ფიურერ, — უპასუხა დანვიცმა.

მან გააკეთა პაუზა და უკვე, ასე ვთქვათ, საკუთარი რისკით დაუმატა:

— რა თქმა უნდა, თუ მოლოტოვთან მოლაპარაკება ცუდად დამთავრდება და ჩემი ფიურერი გადაწყვეტს...

მაგრამ იმ წამში ჰიტლერმა შეაწყვეტინა. სიტყვებში მან ზიზღის მთელი ძალა ჩააქსოვა და ისე წამოიძახა:

— მოლაპარაკებანი, ხელშეკრულებანი!.. ყველა კავშირი აბდაუბდაა, არაფრად არა ღირს!

იგი აუჩქარებელი, საზეიმო ნაბიჯით მიუახლოვდა დანვიცს, ნიკაპში წაავლო ხელი, თავი ცოტათი აუწია და თვალებში ჩახედა.

შემდეგ მძიმედ დაუშვა ხელი მაიორის მხარზე:

— მისმინე, ჩემო დანვიც და სამუდამოდ დაიმახსოვრე: თანამედროვე პოლიტიკის ანბანი. სანამ არსებობს ბოლშევიკური რუსეთი, ჩემი მიზანი — გადავაქციო გერმანია მსოფლიოს მბრძანებლად — მიუღწეველია. გასაგებია შენთვის ეს, დანვიც?

— დიახ, ჩემო ფიურერ, — აჩქარებით უპასუხა დანვიცმა და დაუმატა:

— ისტორიის როგორი უაზრო შეცდომაა! ბოლშევიზმი საერთოდ არ იარსებებდა, თვრამეტ წელს გერმანელთა არმია რომ არ დამარცხებულიყო...

— სიცრუეა, სიცრუე! — შერბილებული ხმით წამოიყვირა ჰიტლერმა და ფეხი დააბაკუნა. — საზიზღარი ზღაპრებია! — მუშტების ქნევით ყვიროდა იგი. — გერმანელთა არმია არ დამარცხებულა! არა, იგი გასცეს! გერმანიამ, გერმანელმა ჯარისკაცებმა როდის წააგეს ეს ომი. მათ ზურგიდან ჩასცხეს მახვილი, ზურგიდან! — იმეორებდა ჰიტლერი, თან იგუდებოდა და დორბლებს ჰყრიდა. — ებრაელებმა და ბოლშევიკებმა — აი ვინ გასცა ისინი, როცა გამარჯვება უკვე მოახლოებული იყო!

იგი დადუმდა. სიშმაგის შეტევამ ძალა გამოაცალა და ლაპარაკი ვეღარ განაგრძო.

დანვიცი დუმდა. წამოცდენილი სიტყვებისათვის გულში ლანძღავდა თავის თავს. ჰო, რა თქმა უნდა, როგორ შეეძლო მას დავიწყებოდა ფიურერის დიადი აზრი, რომელიც მას არაერთხელ გამოუთქვამს თავის სიტყვებში, სტატიებში და ბოლოს „მაინ კამპფში“! ჰო, რაღა თქმა უნდა მსოფლიო ომში გერმანიას უღალატეს. მისი ჯარისკაცები უკვე მარშით დადიოდნენ უკრაინაში. რკინის მუშტით უსწორდებოდნენ ბოლშევიკებს და მზად იყვნენ, დაეწყოთ შეტევა პეტროგრადზე, როცა საკუთარ ზურგში, ბერლინში, გერმანიის გულში ბოლშევიკთა აგენტებმა, ებრაელმა გამცემლებმა ლიბკნეხტმა და ლუქსემბურგმა აჯანყება წამოიწყეს...

— მაპატიეთ, ჩემო ფიურერ, — ხმის კანკალით თქვა დანვიცმა, — მე სისულელე წამომცდა. უბრალოდ, იმ აზრმა, რომ ბოლშევიზმის მოხრჩობა აკვანშივე შეიძლებოდა, ყველა სხვა აზრი დამიჩრდილა. დამნაშავე ვარ.

მაგრამ ეს სიტყვები ჰიტლერის ყურთასმენას თითქოს არც გაჰკარებია. იგი იდგა დანვიცისაკენ ზურგშექცევით. პირი მიექცია უზარმაზარ ფანჯრისაკენ, რომლის სქელ, ტყვიაგაუმტარ შუშის იქით მთვარით განათებული მთები მოჩანდა.

და ჰიტლერი თითქოს მათ, ამ სუსტი შუქით განათებულ მწვერვალებს მიმართავდა, როგორც ქადაგი ეკლესიის კათედრიდან, ახლა უკვე ნელა და მძიმედ ლაპარაკობდა:

— მხოლოდ ერთ ქვეყანას შეუძლია ჰქონდეს პრეტენზია, იქცეს ევროპის უდიდეს ძალად. ეს არის გერმანია.

თითქმის ყველა დანარჩენი ერი გადაშენების გზას ადგას. მაგრამ გადაშენება მეტად ნელა მიმდინარეობს. ჩვენ შეგვიძლია დავაჩქაროთ ეს გარდაუვალი პროცესი. მივეშველებით მათ, აღიგავონ პირისაგან მიწისა ან იმ ხვედრის მოპოვებაში, რომელიც დაიმსახურეს, — მონის ხვედრისა. გერმანია მსოფლიოს პატრონი გახდება, ვინაიდან სახელმწიფო, რომელიც გადაგებულია თავისი საუკეთესო რასობრივი ელემენტების გაზრდაზე, არ შეიძლება დამარცხებულ იქნეს...

ჰიტლერი კვლავ შეტრიალდა სახით დანვიცისაკენ, მაგრამ მისი თვალები თითქოს ვერ ამჩნევდნენ მაიორს.

ამ დროს დიდმა საათმა ორჯერ ყრუდ ჩამოჰკრა. ამ ხმამ თითქოს ახალი ბიძგი მისცა ფიურერის ფიქრებს.

— ქამმა დარეკა! — ზეიმით წარმოთქვა მან. — გესმით, დანვიც? ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება და მას აღარ გადავუხვევთ. რუსეთი გაისრისება. პირველად ლენინგრადი დაეცემა, მერე — მოსკოვი. ბოლშევიკების ხელმძღვანელობას მოკლებული რუსები დაიჩოქებენ. ტევტონური სული ამოუცნობი საიდუმლოების მატარებელია. იგი იძორჩილებს სუსტებს. მე ვწინასწარმეტყველებ, დანვიც, ნაციონალ-სოციალიზმთან პირველი შეტაკებისთანავე რუსეთი მტვრად და ფერფლად იქცევა. ხუთი კვირის შემდეგ იმ დღიდან, როცა ეს ხელი, — წიხ გაიშვირა ხელი, — გზას მიუთითებს გერმანულ ჯარებს, ჩვენ ვიზეიმებთ გამარჯვებას. და არაფერს არ ძალუძს ჩვენი შეჩერება!

— ჩემო ფიურერ! — წამოიძახა დანვიცმა. — მე მინდა გთხოვოთ მაღალი ჯილდო! იმ დროს, როცა თქვენი ხელი მაგ გზაზე მიგვითითებს, მე მინდა ვიყო იქ, აღმოსავლეთში. ჩვენი ჯარების პირველ რიგებში! მე მინდა ვიყო პირველი, ვინც თქვენ დიად გამარჯვებას გაცნობებთ!

რამდენიმე წამს ჰიტლერი ჩააშტერდა მას. მიუახლოვდა. ფრენჩის გადანაკეცებში ჩაავლო ხელები, მკვეთრი მოძრაობით თავისკენ მიიზიდა. ყრუდ, თითქოს საიდუმლოს ანდობსო წარმოთქვა:

— ის სამყარო, რომელსაც მე ავაშენებ, ისეთების კუთვნილება გახდება, როგორიც შენ ხარ, დანვიც!

IV

...საბჭოთა კავშირიდან ჩამოსული სტუმრების მიღება ჰიტლერის რეზიდენციაში — ახალ საიმპერიო კანცელარიაში — დავალებული ჰქონდა სტატსმდივან ოტო მაისნერს.

მაგრამ დანვიცმა, როგორც ფიურერის ერთ-ერთმა ადიუტანტმა, შარიანად შეამოწმა მიღებისათვის სამზადისი.

აი, ამ ჭიშკარში გამოჩნდება მანქანები, რომლებშიც ისხდებიან რუსები. ნელი სვლით — საათში ხუთი კილომეტრის სიჩქარით — გაივლიან ნაცრისფერი გრანიტის ფილებით მოფენილ შიდა ეზოს.

აი, აქ, მაღალი, ბრინჯაოთი მოპირკეთებული კარებიდან თხუთმეტი მეტრის დაშორებით მოლოტოვსა და მის თანამგზავრებს დაელოდება მაისნერი. იგი გადადგამს რამდენიმე ნაბიჯს მოლოტოვის შესაგებებლად. მაგრამ უცბად კი არა. მისცემს მას საშუალებას, თვალი შეავლოს საიმპერიო კანცელარიის შენობას — ახლახან დამთავრებულ დიდებულ არქიტექტურულ ნაწარმოებს. თუმცა, ზოგიერთებს იგი არ მოსწონთ. ადამიანები, რომელთა გემოვნება დამახინჯებულია ეგრეთ წოდებული ცივილიზაციით, არქიტექტორს სტილების აღრევას უსაყვედურებენ. პიგმეები! მათთვის გაუგებარია, რომ გენიალურმა ხუროთმოძღვარმა შპეერმა თავის ქმნილებაში ხორცი შეასხა ფიურერის აზრებსა და შექმნა ახალი არქიტექტურული სტილი — ნაციონალ-სოციალისტური.

ამრიგად, აქ, კარგად შესამჩნევ სპეციალურად გაკეთებულ თეთრ ხაზთან უნდა შეჩერდეს პირველი მანქანა. დაახლოებით ამ კვადრატში მოლოტოვს მოუხდება ერთი წუთით შეყოვნება, სანამ მასთან მივიდოდეს მაისნერი. საინტერესოა, როგორ იგრძნობს თავს ბოლშევიკი მწყობრად მდგარ ვერმახტის ჯარისკაცთა და ამ მაღალი ნაცრისფერ-მარმარილოსებრი სვეტების გარემოცვაში.

აი, ამ გზით მოუწევდა ბოლშევიკთა წარმოგზავნილს ასვლა თავის გოლგოთაზე.

აქ, კანცელარიის შესასვლელში, დანვიციც შეუერთდება პროცესიას, რომ მოლოტოვი უშუალოდ ფიურერის კაბინეტამდე მიაცილოს.

არცთუ ისე მოკლე იქნება ეს გზა! გაყვება ოთახების ანფილადას, კედლებთან გაქვავებულ ვერმახტის ოფიცერთა მწკრივებს, გაივლის სს-ისა და სდ-ის ჩინოსანთა შუა და დასრულდება წმინდათა წმინდა კართან, რომელიც უშუალოდ ფიურერის კაბინეტში გადის. ეს ყველაფერი ასე იქნება.

...ავტომანქანათა რიგი კანცელარიის შიდა ეზოს ჭიშკარში პირველ საათსა და თხუთმეტ წუთზე გამოჩნდა. პირ-

ველი მანქანა — შავი გრძელი „მერსედესი“ — შოფრისათვის მიცემული ინსტრუქციის თანახმად თეთრ ხაზთან გაქვავდა.

შოფრის გვერდით მჯდომი საგარეო საქმეთა სამინისტროს ჩინოვნიკი მანქანიდან გადმოხტა და კაბინის უკანა კარი გამოაღო. იქიდან აუჩქარებლად გადმოვიდნენ მოლოტოვი და მისი თანმხლებნი.

მოლოტოვმა წამიერად მიმოავლო თვალი საპატიმროსა თუ საყარაულოს მსგავს კვადრატულ პლაცს და თითქოს ვერც არწივები შეამჩნია კლანჭებში რომ სვასტიკები ეჭირათ, ვერც კატალიფსიურ პოზაში მდგარი ჯარისკაცები, ნავარაუდევი პაუზის გარეშე მკვეთრი ნაბიჯებით გაემართა შენობაში შესასვლელი კარისაკენ.

და შესასვლელთან მდგომ მაისნერს სხვა გზა აღარ დარჩენოდა, სასწრაფოდ უნდა შეგებებოდა, თორემ სახკომი უკვე ყოველგვარი ესკორტის გარეშე ერთ წამში თვითონ მიაღწევდა მაღალ, ბრინჯაოთი მოპირკეთებულ კარს.

მაისნერს თითქმის სირბილი დაჭირდა, რომ შუა გზაზე მაინც მოესწრო მოლოტოვის მიღება.

და მოხდა ისე, რომ მიღების მთელი ცერემონიალი: ქუდების მოხდა, ხელის ჩამორთმევა — თავისთავად მოიხსნა მოლოტოვი შეუჩერებლივ, ოღონდ ნაბიჯის ოდნავ შენელებით ისე მიესალმა მაისნერს, აბეზარ მთხოვნელს ზრდილობიანად რომ მოიშორებ.

დანვიცი ამ სცენას ვესტიბიულის ფანჯრიდან ადევნებდა თვალს და შეურაცხყოფისა და ბრაზისაგან კანში ვეღარ ეტეოდა. მისი ფიქრით, მაისნერს — განსვენებულ ჰინდენბურგის ამ ლაქიას, ტყუილად დაავალეს მოლოტოვის მიღება. სს-ის ყოველი ოფიცერი ამ ძველი მოდის დიპლომატიის ცრურწმენით სავსე კაცზე ბევრად უკეთ გაართმევდა თავს საქმეს.

მაისნერის. მოლოტოვისა და მის თანმხლებთა ვესტიბიულში გამოჩენამ დანვიცს ფიქრები შეაწყვეტინა.

იმ წუთში, როცა სტუმრები მას გაუსწორდნენ, იგი სამწყობრო წესით მობრუნდა და პროცესიას შეუერთდა.

ისინი მიჰყვებოდნენ იმ უფანჯრებო ოთახების დაუსრულებელ ანფილადას, რომლებიც დღედაღამ მხოლოდ ელექტროშუქით იყო განათებული. გრძელ მწკრივებად მდგომი ოფიცრები ქუსლს ქუსლზე ირტყამდნენ და ისეთი სისწრაფითა და ძალით იქნევდნენ წინ მარჯვენა ხელს, რომ მათ

შუა მიმავალთ შეიძლება მოჩვენებოდათ თითქოს მათ უპირებდნენ გარტყმას.

ეს რიტუალი თავისი პირქუში ზეიმურობით გულის დამამძიმებელი იყო. მხოლოდ ქუსლების ტყაპუნი. მხოლოდ ხელების მკვეთრად აქნევა. ამ სალუტში ერთად შერწყმულიყო მუქარაც და მორჩილების მკაცრი ბრძანებაც.

მაგრამ, ეტყობოდა, მოლოტოვზე ეს ადამიანები ქარის წისქვილებზე მეტ შთაბეჭდილებას როდი ახდენდნენ.

დანვიცმა განზრახ აუჩქარა ნაბიჯს და ახლა თითქმის მოლოტოვის გვერდით, ოღონდ ცოტა მოშორებით, მიდიოდა ახლა მას შეეძლო დაენახა სახკომის სახე — მოყვითალო პირისკანი, შეჭაღარავებული ულვაშები, მჭიდროდ მოკუმული ტუჩები, პენსნე, დიდი შუბლი, გულდასმით დავარცხნილი შუაზე გაყოფილი თმა.

ერთხანს დანვიცს მოეჩვენა, რომ მოლოტოვმა ძლივს შეიკავა ზიზღნარევი ღიმილი და ტუჩები შეარხია. ქვეყნად ყველაფერზე უფრო მეტად ახლა დანვიცმა ინატრა დაეყვირა „ჰალტ!“, შემდეგ კი ებრძანებინა: შეეპყროთ ეს კაცი, მკლავები გადაეგრიხათ და ძირს დაენარცხებინათ...

მაგრამ, აი, წინ დღის შუქი შემოეყარათ, ანფილადა მრგვალი, დიდფანჯრებიანი ჰოლით თავდებოდა.

იგი გაჭედილი იყო ხალხით: ისინი ისხდნენ კედლების გასწვრივ დადგმულ დივნებზე, ირეოდნენ საუზმით გაწყობილ მაგიდასთან, ტყავის სქელი საქაღალდეებით ხელში წინ და უკან მიმოდიოდნენ სამოქალაქო და სამხედრო პირები...

და მხოლოდ ჭერამდე აწვდილი მაღალი კარების წინ, სადაც ორი ესესელი გაშეშებულიყო, რჩებოდა თითქოსდა მკვდარი სივრცე. ამ კართან ახლოს ვერავინ მიდიოდა. როგორც კი ჰოლში გამოჩდნენ მოლოტოვი და ისინი, ვინც მას მიჰყვებოდნენ, ირგვლივ სიჩუმე ჩამოვარდა. ვისაც ხელში თეფშები ეჭირათ სასწრაფოდ დააწყეს მაგიდაზე. დივნებზე მსხდომნი სწრაფად წამოდგნენ. ყველას ყურადღება საბჭოთა დელეგაციამ მიიპყრო. მოლოტოვმა თავაზიანად, მაგრამ ცივად, ოდნავ დახარა თავი, სახის გამომეტყველება არ შეცვლია.

ჩამოვარდნილ სიჩუმეში გაისმა დანვიცის სიტყვები. აღელვების, მომენტის სიდიადის შეგნების გამო ჩავარდნილი ხმით მან თქვა, რომ ბატონ-მოლოტოვსა და მის თანმხლებ პირებს ფიურერი თავის კაბინეტში ელოდება.

და მაშინვე ჰოლში შეჯგუფულმა ადამიანებმა აჩქარებით დაიხიეს უკან, კედლებისაკენ. გუშაგად მდგომმა ესესე-

ლებმა ორივე კარი შეაღეს, მკვეთრად შებრუნდნენ და მარჯვენა ხელები ზევით აიქნიეს.

მოლოტოვი, მისი მოადგილეები და თარჯიმნები ჰიტლერის კაბინეტში შევიდნენ. მათ უკან კარი უხმაუროდ დაიხურა.

... შეიძლება ითქვას, ბერლინში ჩამოსვლის შემდეგ მოლოტოვი პირველად მხოლოდ ახლა შეცბუნდა ოდნავ. კაბინეტი ცარიელი გეგონებოდათ. საბჭოთა წარმომადგენლები იდგნენ დიდ, თითქოს მეჯლისებისათვის განკუთვნილ დარბაზში. კედლებზე უზარმაზარი გობელენები ეკიდა. ფლმფულა ნოხს იატაკი დაეფარა. შემოსასვლელის მარჯვნივ მრგვალი მაგიდა და რამდენიმე სავარძელი იდგა. მაგიდაზე არ იყო არც ქაღალდები, არც ფანქრები, მხოლოდ აბაჟურიანი დიდი ანთებული ლამპა იდგა.

ალბათ, ამ ლამპის შუქის გამო ყველაფერი, რაც ოთახის სიღრმეში იდგა, ბინდბუნდში იყო ჩაძირული. თუმცა სწორედ იქ, შორს, გაარჩევდით დიდი საწერი მაგიდის მოხაზულობას და საყრდენზე დადგმულ უზარმაზარ, ადამიანის სიმაღლე გლობუსს.

სანამ მოლოტოვი გადაწყვეტდა, სად დალოდებოდნენ კაბინეტის პატრონს — შუა ოთახში, თუ მრგვალ მაგიდასთან მიდგმულ სავარძლებში, შორიდან გამოჩნდა ფრენჩში გამოწყობილი პატარა ღონემიხდილი ფიგურა. იგი თითქოს იატაკის ქვეშიდან ამოძვრა და მოლოტოვი ახლა მიხვდა, რომ ვერ შეამჩნია საწერ მაგიდასთან მჯდომი ჰიტლერი. ის ბინდბუნდში ოდნავ მოჩანდა გობელენების, გლობუსის, მაღალზურგიანი სკამების — ამ ზომაზე მეტად დიდი საგნების — ფონზე.

მაგრამ მოლოტოვის თვალი თანდათან შეეჩვია გარემოს. იგი ხედავდა, რომ ჰიტლერი წამოდგა და საწერ მაგიდაზე ორივე ხელით დაყრდნობილი ჩაციებით უცქეროდა ოთახის შუაში მდგომ ადამიანების ჯგუფს.

ეს სულ რამდენიმე წამს გაგრძელდა.

შემდეგ ჰიტლერი მაგიდას მოსცილდა და მოლოტოვისკენ გამოემართა.

ახლა უკვე შეიძლებოდა მისი ფრენჩის მომწვანო ფერისა და მკერდის მარცხენა მხარეზე მიბნეული შავი სამხედრო ჯვრის გარჩევა.

მოლოტოვისაგან რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით ჰიტ-

ლერი უეცრად შეჩერდა და დუნედ აიქნია ხელი. ეს არ ჰგავდა ხელის იმ მოძრაობას, როგორითაც აქეთკენ მომავალ მოლოტოვს სალუტს აძლევდნენ ოფიცრები.

შემდეგ იგი მივიდა მოლოტოვთან და უწინდებურად მდუმარედ გაუწოდა ხელი. ისინი ერთმანეთს მიესალმნენ.

ხელის ჩამორთმევის პროცესმა რამდენიმე წუთს გასტანა. ჰიტლერი სათითაოდ მიდიოდა საბჭოთა წარმომადგენლებთან, თარჯიმნებთან და ხელს უწვდიდა.

მთლად მოდუნებული, მომჩვარებული ჩანდა. მხრები ჩამოეშვა, ხელი თითქოს უძვლო ჰქონდა; ნაცრისფერ პირისკანს სიცოცხლის ფერი არ ედო.

და მხოლოდ თვალები, პატარა, მახვილი, შეშუპებული ქუთუთოებით ნახევრად დაფარული თვალები ნაცარში შეხვეული ნაკვერცხლებივით უელავდა.

შემდეგ ჰიტლერმა სწრაფად, მაგრამ მონოტონურად, თითქოს სავალდებულო ბეგარას იხდისო, თქვა, რომ მოხარულია მიესალმოს მოსკოველ სტუმრებს ბერლინში.

თარჯიმანი, რომელიც ისე შეუმჩნეველად გაჩნდა, თითქოს კედლიდან გამოძვრაო, იმგვარადვე უფერულად, ჰიტლერის იმიტირებით რუსულად იმეორებდა ციკი მისალმების სიტყვებს.

მოლოტოვმა ხმის ამოუღებლად დახარა თავი. ჰიტლერმა ხელის ზანტი ჟესტით ანიშნა მრგვალ მაგიდასა და სავარძლებზე და პირველი წაცუნცულდა იქითკენ. ვერავინ შენიშნა, როგორ და საიდან გაჩნდა ოთახში რიბენტროპი, რომელსაც თან ახლდნენ ჰიტლერის პირადი თარჯიმანი სქელ-სქელი შმიდტი და გერმანიის საელჩოს მრჩეველი მოსკოვში, ხმელ-ხმელი ჰილგერი.

მას შემდეგ, როცა ყველანი დასხდნენ, რამდენიმე ხანს სიჩუმე იდგა. ჰიტლერი წელში მოხრილი იჯდა, სავარძლის საიდაყვეს ოდნავ გადაყრდნობილი.

მოულოდნელად იგი გაიმართა. თავი უკან გადასწია და ისე, რომ პირდაპირ არავისთვის არ მიუმართავს, ჭერში თვალაპყრობით დაიწყო ლაპარაკი.

სიტყვის დასაწყისი მშვიდი, მონოტონურიც კი იყო. ლაპარაკობდა რამდენადმე დაღლილი კაცის იერით.

ჰიტლერმა დაიწყო იმით, რომ ინგლისის დამარცხება — ეს არსებითად, უკვე მომხდარი ფაქტია. ხშირი ნისლი რომ არ ყოფილიყო, რომელიც წელიწადის ამ დროს, ჩვეულებრივ დაბურავს ხოლმე ბრიტანეთის კუნძულებს, ინგლისის დელეგაცია ფორმალური კაპიტულაციით ხელში უკვე ამ

შენობის ზღურბლთან იდგებოდა მიღების მოლოდინში. მაგრამ ნისლის პერიოდი მალე დამთავრდება და გერმანელთა ავიაცია საბოლოოდ დარტყმას განახორციელებს.

ჰიტლერი ლაპარაკობდა უღიმღამო, ინტონაციას მოკლებული ხმით, მაგრამ შეუფერხებლად და წაუბორძიკებლად, თითქოს წინასწარ დაწერილ ტექსტს კითხულობსო. ჩანდა, იგი განზრახ, წინასწარი მოფიქრებით არ აქსოვდა თავის სიტყვებში არავითარ ემოციას, რითაც სურდა ეთქვა, რომ ყველაფერი, რაზეც ვლაპარაკობ, არსებითად აქსიომაა. სასაცილოა აღელდე არქიმედეს კანონის გადმოცემისას. კანონი კანონია, აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება იგი შეახსენო, მაგრამ მისი დაურღვევლობის მტკიცება ახირებულობაა.

სწორედ ამაში მდგომარეობდა ჰიტლერის ორატორული ხერხის მიზანი — იგი ლაპარაკობდა ინგლისის დამარცხებაზე, როგორც გადაწყვეტილ, საყოველთაოდ ცნობილ, უდავო რამეზე, რაც არგუმენტაციას არ საჭიროებს. იმისთვისაც კი არ იწუხებდა თავს, რომ სახეზე შეეხედა თანამოსაუბრეთათვის, რათა განესაზღვრა, თუ რა შთაბეჭდილებას ახდენდა მათზე მისი სიტყვა. მას ეპვი არ ეპარებოდა ამ შთაბეჭდილების ძალაში. ლაპარაკის დროს ჰიტლერი სადღაც, მის წინ მსხდომთა თავს ზევით იყურებოდა.

— ... ამრიგად, — განაგრძო მან, — ჩვენთვის აზრი არა აქვს ინგლისის პრობლემის განსახილველად დროის ხარჯვას. ინგლისს ბოლო მოვუღეთ, — თქვა მან ხმის ცოტა აწევით და ისე მკვეთრად გაიქნია ხელი, თითქოს განზე გადაისროლა, საბოლოოდ ჩამოწერა განადგურებული ინგლისი. შემდეგ წამით დადუმდა და პირველად შეხედა პირდაპირ მოლოტოვს.

მაგრამ იგი სავარძლის საიდაყვეებზე ხელებდაწყობილი უძრავად და მშვიდად იჯდა.

მხოლოდ იშვიათად, თარგმანის მოსმენისას, იგი ოდნავ შესამჩნევად იხრებოდა ხოლმე თარჯიმანისაკენ.

— არის, რა თქმა უნდა, ამერიკის პრობლემა, — თქვა ჰიტლერმა, — მაგრამ მას ჯერჯერობით მხოლოდ წმინდა თეორიული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან შტატები ვერ შეძლებენ დაემუქრონ „ახალ ევროპას“ სამოცდაათიან ან ოთხმოციან წლებამდე... ვერ შეძლებენ! — გაიმეორა მან და უკვე რამდენადმე გაღიზიანებით, რადგან მოეჩვენა, რომ „ახალი ევროპის“ ხსენებისას მოლოტოვის სახეზე ოდნავ შესამჩნევმა დამცინავმა ღიმილმა გაიელვა.

შაგრამ ჰიტლერმა იქვე ალაგმა თავისი გაღიზიანება.

— ახლა, — განაგრძო ჰიტლერმა, — ისტორიული მოშენტის სიდიადისა და ჩვენი ქვეყნის წინაშე გადაშლილ შესაძლებლობათა შესაბამისად, ჩვენ უნდა განვიხილოთ პირველხარისხოვანი საკითხი: რა იქნება მომავალში?

იგი სავარძლის საზურგეს გადაეყრდნო და სათითაოდ შეათვალიერა დამსწრენი. სიჩუმე არ დარღვეულა. ჰიტლერი თავისი სიტყვის მეორე ნაწილისათვის ემზადებოდა.

მართალია, რიბენტროპმა სულ ერთი საათით ადრე მოახსენა მას, რომ ბელვიუს ციხე-დარბაზში წინასწარი მოლაპარაკების დროს მოლოტოვზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება არ მოუხდენია გერმანიასა და რუსეთს შორის მსოფლიოს განაწილების პერსპექტივას. მაგრამ ჰიტლერს ამ ინფორმაციისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა არ მიუცია და გადაწყვიტა თავისი სიტყვის გეგმა არ შეეცვალა. მას ვერ წარმოედგინა, რომ საბჭოთა სახკომი არ ჩაეჭიდებოდა გულუხვ წინადადებას, როცა მას თვით ჰიტლერი შესთავაზებდა. მისი აზრით, იგი არ მოიკლებდა სიამოვნებას, — მოეხსენებინა სტალინისათვის, რომ წარმატებით შეასრულა თავისი მისია, უზრუნველყო რა რუსეთისათვის წარმტაცი პერსპექტივები.

ჰიტლერმა ხატოვნად და ტემპერამენტიანად დაახასიათა ორი სახელმწიფოს ინტერესთა დამთხვევა. ილაპარაკა რუსეთისათვის „ოკეანეზე გასვლის ისტორიულად გამართლებული წყურვილის“ დაკმაყოფილებაზე. მაგრამ მოლოტოვზე არც მის სიტყვას მოუხდენია რაიმე შთაბეჭდილება.

და ამას ჰიტლერი წონასწორობიდან გამოჰყავდა. მან რიბენტროპის ნაპატივებ სახეზე ჩაცინების მსგავსი რამეც დალანდა. მრისხანე მზერა სტყორცნა თავის მინისტრს. ადგილიდან წამოვარდა და სიშმაგის შემოტევისაგან თავშეკავების ღონე რომ აღარ ეყო, ხმამაღლა და არეულად მორთო ყვირილი, რომ ისტორია და რუსი ხალხი არასოდეს არ აპატიებენ საბჭოთა მთავრობას, თუ იგი არ გამოიყენებს მის წინ გადაშლილ შესაძლებლობებს.

იგი სულმოუთქმელად ყვიროდა და როცა ჰაერის ჩასასუნთქად შეჩერდა, მოლოტოვის მიერ ხმადაბლა წარმოთქმული სიტყვები მოესმა:

— მე მ-მინდა შევნიშნო, — თქვა სახკომმა, — რომ ბატონ რაიხსკანცლერის მსჯელობა რამდენადმე ზოგადი ხასიათისაა.

ჰიტლერმა თავი ისე იგრძნო, თითქოს გაქანებული სირ-

ბილის დროს მოულოდნელად შეაჩერესო. ნერვიულად მოილოკა გამშრალი ტუჩები და როგორღაც უცნაურად გაიქნია თავი, თითქოს უნდოდა დარწმუნებულიყო, რაც ახლა ხდება, ზმანებაა თუ ამ პენსნეიანმა კაცმა ნამდვილად გაბედა იმის თქმა, რაც მოვისმინეო.

მაგრამ მოლოტოვი, თითქოს ვერ ამჩნევდა ჰიტლერის მდგომარეობას. იგი მოთმინებით ელოდა პასუხს.

ოთახში მყოფთა ერთი ნაწილი გუნებაში იცინოდა, სხვები გარდაუვალი ქარიშხლის წინათგრძნობით თრთოდნენ.

მოლოტოვი აღარ დაელოდა ჰიტლერის პასუხს და ახლა უკვე აშკარად აგრძნობინა, რომ არავითარ მნიშვნელობას არ აძლევს აქამდე ნათქვამს და განაცხადა:

— საბჭოთა მთავრობამ მოსკოვიდან გამომგზავრების წინ მომცა სრულიად ზუსტი ინსტრუქციები, რომლებიც საჭიროა დავიცვა. უწინარეს ყოვლისა, მე ვაპირებ განვაცხადო ის, რაც პირველ რიგში აინტერესებს ჩემს მთავრობას.

მოლოტოვმა წარმოთქვა ეს სიტყვები დინჯად, როგორღაც განკერძოებით და ჩვეულების წინააღმდეგ თითქმის ენის წაუბორძიკებლად.

კაბინეტში ერთი წუთის წინაც სიჩუმე იდგა, მაგრამ ახლა იგი განსაკუთრებით საგრძნობი გახდა. მთელი თავისი ტონით, სახის ცივი და მკაცრი გამომეტყველებით მოლოტოვი თითქოსდა ამბობდა: „ის, რაც ხდებოდა აქ ამ წამამდე, არაარსებითია. ახლა კი იწყება მთავარი, რისთვისაც, სწორედ რომ ვთქვათ, ჩვენ აქ შევიკრიბეთ“.

ასე ჯერ არავის არ ულაპარაკია არათუ თვით ჰიტლერთან, არამედ მისი თანდასწრებითაც კი. იგი ვარაუდობდა, თუ მოლოტოვი არ „წამოეგება“ მისთვის მომზადებულ სატყუარაზე, ყოველ შემთხვევაში, ჩათრეული მაინც აღმოჩნდება განხილვაში, თუნდაც დავაში ჰიტლერის წინადადების ღირსება-ნაკლოვანებათა შესახებ.

მაგრამ ფიურერის სიტყვების ასე ხელაღებით უკუგდება, აგდებულად თავიდან მოშორება! ეს გაუგონარი რამ იყო.

ჰიტლერი იკრუნჩხებოდა. უხმოდ აღებდა და კუმავდა პირს, თითქოს ჰაერს იჭერსო. რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ მოლოტოვმა ერთი სიტყვის თქმაც არ აცალა. პასუხისთვის არ დაუცდია ისე განაგრძო:

— საბჭოთა მთავრობა კვლავ დაჟინებით მოითხოვს განმარტებებს: რას აპირებენ გერმანელთა ჯარები ფინეთში? რას ნიშნავს ცნება „ახალი წესრიგი ევროპასა და აზიაში“,

რაც არაერთხელ აქვს გამოყენებული ბატონ ჰიტლერს თავის სიტყვებში? რაში მდგომარეობს სამი სახელმწიფოს პაქტის ნამდვილი აზრი?

ქვის ლოდების ცვენას გავდა მისი კითხვები. უკანასკნელი კითხვის შემდეგ მოლოტოვმა მოკლე პაუზა გააკეთა და, ეტყობა, ჰიტლერის დაბნეულობით კმაყოფილმა, თითქოს სასხვათაშორისოდ დასძინა:

— გვაქვს სხვა საკითხებიც, რომლებშიც გარკვეულობა უნდა იქნეს შეტანილი. ეს საკითხები დაკავშირებულია ბალკანეთის ქვეყნების მომავალთან, უფრო ზუსტად, ბულგარეთის, რუმინეთისა და აგრეთვე თურქეთის დამოუკიდებლობის პრობლემასთან.

მან ისევ გააკეთა პაუზა და მერე მოკლედ და დაჟინებით თქვა:

— ჩვენ ველოდებით პასუხებსა და განმარტებებს.

როგორც ჩანდა, ახლა განსაკუთრებული რაღაც უნდა მომხდარიყო. ვერც ერთ მათგანს ვინც თვალს ადევნებდა ჰიტლერს ხელისუფლების სათავეში ჩადგომიდან დღემდე, ვერ წარმოედგინა იგი ისეთ კაცად, რომელსაც შეიძლება დაკითხვა მოუწყო.

ჰიტლერს ნაცრისფერი სახე ოდნავ წამოუწითლდა, პირზე დორბლი მოადგა, ხელებით საკარძლის იდაყვსაყრდენებს ჩაებღაუჭა...

მაგრამ აფეთქება არ მომხდარა. რიბენტროპის, შმიდტისა და ჰილგერის გასაოცრად, ჰიტლერი უცებ რაღაცნაირად მოიღვენთა. მარჯვენა მხარი ჩვეულებისამებრ რამდენჯერმე შეუთრთოლდა, ტუჩები ენით მოილოკა, საათს შეხედა და ყოყმანით თქვა:

— წამოჭრილი საკითხების განხილვა, როგორც ვფიქრობთ, დროს მოითხოვს... მოლაპარაკების გაგრძელება ხვალისათვის გადავდოთ. მით უმეტეს, ჩვენი ცნობების მიხედვით, მალე მტრის ავიაციის თავდასხმა მოგველის...

იგი წამოდგა. ადგილებიდან წამოდგნენ სხვებიც. შეხვედრა დამთავრდა, რომელიც ხვალ დღის ოთხ საათზე კვლავ უნდა განახლებულიყო...

სიძულვილის ძალა ჰიტლერში ვერ ახშობდა ციკი ანგარიშიანობის უნარს. მას შეეძლო დამაჯერებლად მჭევრმეტყველი ყოფილიყო, როცა მოლაპარაკებას აწარმოებდა იმ ქვეყნის წარმომადგენლებთან, რომლის დაპყრობაც გადაწყვეტილი ჰქონდა, მაგრამ რომელიც ჯერ კიდევ სერიოზულ სამხედრო და პოლიტიკურ ძალად რჩებოდა.

ახლა მას სჭირდებოდა, თუნდაც მოსაჩვენებელი მეგობრული ურთიერთობა რუსეთთან. სჭირდებოდა იმისათვის, რათა დრო მოეგო და ჯარების საჭირო კონტიგენტი გადაესროლა ფინეთში — საბჭოთა კავშირის ჩრდილოეთ საზღვრებისაკენ, პოლონეთში — დასავლეთ საზღვრებისაკენ და მოესწრო მის მიერ უკვე დაპყრობილ ქვეყნებში მრეწველობის სამხედრო ყაიდაზე გარდაქმნა.

ამიტომ ჰიტლერი, მიუხედავად იმისა, რომ მის პრესტიჟს მოლოტოვმა აშკარა დარტყმა მიაყენა, კმაყოფილი იყო თავისი ქცევით. კმაყოფილი იყო იმით, რომ არ დაუშვა მოლაპარაკების ჩაშლა. დრო მოიგო — თუნდაც ერთი დღე-ღამე, რათა მომზადებულიყო მისი მეორე ეტაპისათვის.

საღამოს მან ვიწრო წრის თათბირი მოიწვია: გერინგი, რიბენტროპი, იოდლი, ჰალდერი.

პირველი ორი დაჟინებით მოითხოვდა „მტკიცე ხაზს“. ძალა ფიურერისა იმაშია, რომ იგი ფიურერია. როგორც არ უნდა იქცეოდეს მოლოტოვი მოლაპარაკებაზე, სტალინს აუცილებლად მოახსენებს რაც სჭირდება გერმანიას, აგრძნობინებს, რომ მასთან ხუმრობა არ შეიძლება.

სტალინმა, რომელიც აქამდე არ შეხვედრია თავის ღირსეულ მოწინააღმდეგეს ,არ შეიძლება არ შეიგნოს, რომ აწ მის წინ დგას რკინისებური ნებისყოფის კაცი. არ შეიძლება არ იგრძნოს, რომ მასთან ხუმრობა არ გაუვა.

გენერლები განსაკუთრებით ჰალდერი, შეედავენენ. ცხადია, ისინი სავსებით მხარს უჭერდნენ ჰიტლერს რუსეთზე თავდასხმის გადაწყვეტილებაში. მაგრამ ფიურერი ბრძნულად დათანხმდა მოსამზადებლად მიეცა მათთვის ერთი წელიწადი. ახლა უკვე დარჩენილიყო მხოლოდ რამდენიმე თვე! „მტკიცე ხაზი“, მოლაპარაკების ჩაშლა გაართულებს საქმეს, მეტად გააძლიერებს რუსეთის დაეჭვებას. ასეთ პირობებში გაძნელდება მოსამზადებელ სამხედრო ღონისძიებათა საიდუმლოდ შენახვა. გენერლები მოუწოდებდნენ ჰიტლერს, გამოეჩინა ტევტონური ეშმაკობა.

რიბენტროპმა გამოთქვა ვარაუდი, ხვალ მოლოტოვი შეცვლის თავის ტაქტიკასო. ბოლოს და ბოლოს, მშვიდობის შენარჩუნება — კრემლის იდეფიქსია. და ეს გასაგებიცაა: მოსკოვსაც სჭირდება დროის მოგება. მოლოტოვს შეეშინდება სტალინთან არაფრისმთქმელი პასუხით დაბრუნება. იგი ახლა უთუოდ თვითონვე ნანობს თავის დღევანდელ საქციელს...

ჰიტლერმა შეწყვიტა თათბირი. მან თქვა, რომ გადაწყვე-

ტილებას მოგვიანებით მიიღებს და შესთავაზა ენახათ დასავლეთის ფრონტიდან მიღებული უკანასკნელი დოკუმენტური კინოდადაღებები. ყველანი კინოდარბაზში გავიდნენ...

უჩვენეს ინგლისთან ომისადმი მიძღვნილი მოკლემეტრაჟიანი ფილმი. ინგლისის კუნძულების პანორამა მშვიდობიანობის დროს. ქუჩები სავსეა ხალხით. ავტომობილების ნაკადი. მაღაზიების ვიტრინები, აბრა „კოლონიური საქონელი". დიქტორი ლაპარაკობს, დიდი ბრიტანეთის ძლიერება, მისი სიმდიდრე ზღვისგაღმა კოლოსალურ სამფლობელოებს ემყარებაო. კოლონიებისა და დომინიონების პანორამა. კუნძულები წყნარ ოკეანეში. ინდოეთი. აფრიკა. მალტა. შორეული აღმოსავლეთი. უსაზღვრო ტერიტორიები. მილიონობით ადამიანი. და ყოველივე ამას ფლობს დიდი ბრიტანეთი უფრო სწორედ, ინგლისი. პატარა თავი გიგანტურ სხეულზე...

მერე გერმანელთა თვითმფრინავები ინგლისის თავზე. ხანძრები ლონდონში. ჩერჩილი ხელჯოხით, კბილებში სიგარითა და მხარზე აირწინაღის ჩანთით. სახეზე აშკარა შიში აწერია. ისევ ავიაბომბების აფეთქება. პანიკით მოცული ადამიანები გარბიან ქუჩებში. ისევ გადმოსცემს დიქტორი: ბრიტანეთის იმპერიის კრახის კვირაძალია. ძალაგამოლეული ტანი წაიქცევა, თუ მას თავს წააცლიან. დიდი ბრიტანეთის თავი ისტორიის სანაგვე ყუთში ჩასავარდნადაა გამზადებული. იგი უკვე ძლივს დგას ფეხზე... ისევ ბომბების დარტყმა. ჩერჩილის თავი კრუნჩხვით კრთის კვადრატულ მოუხეშავ ტანზე.

„ხორსტ ვესელის" მელოდია გერმანიის ჰიმნის „გერმანია, გერმანია უპირველეს ყოვლისა"... დიად ჰანგებში გადადის. დასასრული. დარბაზში შუქი ინთება.

ჰიტლერის გარდა, ყველანი წამოდგნენ. იგი ზის გაუნძრევლად, ჩუმი, ჩაფიქრებული. დანარჩენები ისევ გაუბედავად ჩაეშვნენ სავარძლებში...

...მოლოტოვი კი ამ დროს უნტერ-დენ-ლინდენზე საბჭოთა ელჩის კაბინეტში, თავის თარჯიმანთან ერთად იჯდა და ცკ-სა და მთავრობისადმი გასაგზავნ მოხსენებაზე მუშაობდა. მეთოდურად, თანმიმდევრობით, დეტალურად აღწერდა ყოველივეს, რაც მოლაპარაკებაზე ხდებოდა. საღამოსთვის მოხსენება მზად იყო. თითქმის შუაღამისას ვრცელი შიფროგრამა მოსკოვში გაიგზავნა.

შემდეგ მოლოტოვი და მისი დელეგაციის წევრები თავიანთ რეზიდენციაში გაემგზავრნენ და დასაძინებლად დაწ-

ვნენ. მხოლოდ ერთი თარჯიმანი, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა კაცი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის მუშაკი, რომელმაც ბრწყინვალედ იცოდა გერმანული ენა, რისთვისაც სწორედ მასზე შეაჩერა მოლოტოვმა თავისი არჩევანი, გვიანობამდე იჯდა პატარა ოთახში. წესრიგში მოჰყავდა თავისი ჩანაწერები და იდუმალად იმედოვნებდა, რომ დადგებოდა დრო, როცა შეძლებდა მათ გამოქვეყნებას...

მეორე დღეს ისინი კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს.

მოლოტოვმა პირველმა მოითხოვა სიტყვა. რიბენტროპის წინასწარმეტყველების წინააღმდეგ იგი მშვიდი და თავის თავში დარწმუნებული იყო. მისი პატაკის პასუხად მოსკოვიდან ინსტრუქცია ჯერ კიდევ შუადღისას მოვიდა.

მოლოტოვს ისევ ფინეთი აინტერესებს, როგორც ახსოვს, ბატონ რაიხსკანცლერს გუშინ პასუხი არ გაუცია მის შეკითხვებზე. რა გაეწყობა, იგი მზად არის გაიმეოროს ის შეკითხვები. ამრიგად, რა საფუძველით აგზავნის გერმანია ფარულად თავის ჯარებს ფინეთში? როგორია ამ ჯარების რაოდენობა? რა უნდა გააკეთონ მათ ფინეთში? ოკუპირებას თუ უპირებენ? იგი პასუხს უცდის.

ჰიტლერი მხრებს იჩეჩავს. გაოცებას გამოთქვამს საბჭოთა წარმომადგენლის უცნაური ტერმინოლოგიის გამო „ოკუპაცია?“ იგი განცვიფრებულია, როგორ მოუვიდა კრემლს ასეთი ფიქრი. ეგ ელემენტარული ტრანზიტია. გერმანული ნაწილები ნორვეგიაში მიემართებიან. გერმანიისათვის ყველაზე მოკლე და მოსახერხებელი გზა ფინეთზე გადის. განა ყოველივე ეს გერმანიის ელჩმა მოსკოვში უკვე არ განუმარტა საბჭოთა მთავრობას? როგორც გეოგრაფიიდან ვიცით, ფინეთი ნორვეგიას ესაზღვრება, და ამიტომ...

—ფინეთი საბჭოთა კავშირსაც ესაზღვრება, — მშვიდად, მაგრამ მტკიცედ შეაწყვეტინა ჰიტლერს მოლოტოვმა, — კერძოდ, უდიდესი საბჭოთა ეკონომიური და პოლიტიკური ცენტრი — ქალაქი ლენინგრადი — ფინეთის საზღვრიდან არც ისე შორს მდებარეობს.

ჰიტლერი კვლავ მხრებს იჩეჩავს. როგორც კი სიტყვა ფინეთზე ჩამოვარდება, ბატონი მოლოტოვი უცნაურ დაინტერესებას იჩენს. ხოლო ეს შემაშფოთებელ ფიქრებს აღძრავს. იქნებ თვით საბჭოთა კავშირს აქვს რაიმე განსაკუთრებული გეგმები, რომლებიც ამ სახელმწიფოს შეეხება?

მოლოტოვი უპასუხებს, რომ საბჭოთა კავშირის საზღვრების უშიშროებაზეა ლაპარაკი.

მაგრამ ჰიტლერი ამას თავისებურ განმარტებას აძლევს. მან თქვა, რომ მოლოტოვის პასუხი, ცოტა არ იყოს, მიკიბულ-მოკიბულად ეჩვენება. მას სურს გააფრთხილოს საბჭოთა კავშირის მთავრობა: ბალტიკაში ომი მეტად გაართულებდა რუსეთისა და გერმანიის ურთიერთობას. მეტიც, იგი გაუთვალისწინებელ შედეგებამდე მიგვიყვანდა და...

მოლოტოვმა მკვეთრად შეაწყვეტინა:

— ეს მუქარაა?

ლაპარაკში მოულოდნელად რიბენტროპი ჩაერია. მან ფარ-ხმალის დამყრელი ღიმილით თქვა, განა ღირს ფინეთისათვის ამდენი დროის დათმობა. ბოლოს და ბოლოს, გერმანიისა და რუსეთის წინაშე წამოჭრილი საერთო ამოცანების ფონზე ეს საკითხი მეორეხარისხოვანზე უფრო უმნიშვნელოა...

ყველაფერი თითქოს ნოტების მიხედვით სრულდებოდა. ასე შეთანხმდნენ ჯერ კიდევ გუშინ კინოდარბაზში. თუ მოლოტოვი კვლავ ჩამოაგდებს სიტყვას ფინეთში გერმანელთა კონტინგენტების გაგზავნაზე, რიბენტროპი ჩაერევა ლაპარაკში და ფიურერს საშუალებას მისცემს განახორციელოს გეგმა, რომელიც გუშინ ყოველივე წვრილმანის გათვალისწინებით იქნა მოფიქრებული.

ჰიტლერი წამოდგა, ხელი ასწია, თითქოს ყველას სთხოვდა, თავთავიანთ ადგილებზე დარჩენილიყვნენ. ოთახში რამდენიმე ნაბიჯი გადადგა. შემდეგ თავისი სავარძლის ზურგს უკან შეჩერდა და მშვიდად, შემარიგებლურად თქვა:

— რიბენტროპი მართალს ამბობს. ჩვენ თემას გადავუხვიეთ. ყველა ეს წვრილმანი ჩინოვნიკებსა და ექსპერტებს დავუტოვოთ განსახილველად. ჩვენი საერთო ჭრები მეტად იოლად გაიმარჯვებდნენ, თუ გერმანიასა და რუსეთს შორის შუღლის ჩამოგდებას შეძლებდნენ რაღაც წმინდა ტექნიკური პრობლემების გამო, როგორიცაა ფინეთზე გავლით გერმანიის ჯარების ტრანზიტი...

მან აგდებით ჩაიქნია ხელი. ისევ შემოუარა მაგიდას, შეჩერდა სავარძელთან, რომელზეც მოლოტოვი იჯდა, ოდნავ შეეხო მის მხარს, ხელის მოძრაობით მიიწვია და თვითონაც წავიდა მოშორებით მდგარი გლობუსისაკენ.

მოლოტოვი წამოდგა. სახეზე ცოტა გაოცება აღებეჭდა, მაგრამ ჰიტლერს მაინც გაჰყვა.

დანარჩენებიც მიჰყვნენ.

ჰიტლერი შავი ხის საყრდენზე დამაგრებულ გლობუსს მიუახლოვდა, შეჩერდა, დაადო ხელი და უბიძგა მრავალფეროვან სფეროს. გლობუსმა იწყო სწრაფად ტრიალი თავისი ღერძის გარშემო. ჰიტლერმა იგი ხელის სწრაფი მოძრაობით შეაჩერა და საზეიმო ხმით წარმოთქვა:

— ბატონო მოლოტოვ! ჩვენი ორი დიდი ქვეყანა მსოფლიოს ნამდვილი ბატონ-პატრონები არიან. მოდით ბატონ-პატრონებივით ვიაზროვნოთ და ვილაპარაკოთ!

იგი მისთვის ჩვეულ წინასწარმეტყველის, ზეადამიანის როლში შედიოდა.

— შეხედეთ ამ გლობუსს, — განაგრძობდა ჰიტლერი, — აი აქ! — მან თითით უჩვენა ინგლისის კუნძულები. — ეს არის ინგლისი, მსოფლიოს გუშინდელი მბრძანებელი, ზღვათა მფლობელი. დღეს იგი სულს ღაფავს! ხვალ იგი შეწყვეტს არსებობას! — აქ ჰიტლერმა თითები გაპარჭყა და ხელი მძლავრად დაჰკრა გლობუსის იმ ადგილს, სადაც ინგლისის მოხაზულობა მოჩანდა, მერე გამარჯვებულივით შეხედა მოლოტოვს, რომლის ფართო სახეზე დამორცხვების მსგავსმა გამომეტყველებამ კმაყოფილება მოჰგვარა. მოლოტოვი, მართლაც ცოტათი დამორცხვებული ჩანდა. იგი, უბრალოდ არ იყო მიჩვეული ამგვარ სპექტაკლებს. გარდა ამისა, მას გაახსენდა ჩაპლინის ფილმი „დიქტატორი". სურათი ახლახან გამოჩნდა ეკრანზე და ამერიკის საელჩომ ფირის ეგზემპლარი კრემლში გაგზავნა გასასინჯად. ფილმი სასაცილო და მძაფრი იყო, — თუმცა, ვინც იგი კრემლში ნახა, ამბობდნენ: საკმაოდ მძაფრი და ღრმააზროვანი არ არისო. გადაწყვიტეს, სურათი არ ეყიდათ. და არც შეიძლებოდა მისი ყიდვა გერმანიასთან დადებული ხელშეკრულების პირობებში: ეს გახდებოდა საბაბი, ატეხილიყო ხმაური არამეგობრული აქტის შესახებ. თანაც ფილმს ძალზე ძვირს აფასებდნენ...

და აი ახლა, გლობუსთან მდგომ ჰიტლერს რომ უცქეროდა, მოლოტოვს გაახსენდა ანალოგიური კადრი „დიქტატორი"-დან და ძლივს შეიკავა ღიმილი.

მაგრამ თვით ფიურერმა მოლოტოვის სახის გამომეტყველება თავისებურად გაიგო.

იგი განაგრძობდა ლაპარაკს და მის ხმას სულ უფრო აშკარად ეძლეოდა საზეიმო ტონი:

— ამრიგად, ხვალ ინგლისს მოვუღებთ ბოლოს. მაგრამ ხვალვე წამოიჭრება სხვა, ერთობ მნიშვნელოვანი საკითხი: რა ვუყოთ დიდ ბრიტანეთს? რა ვუყოთ ორმოცი

მილიონი კვადრატული კილომეტრის სიდიდის გიგანტურ გაკოტრებულ მამულს?

მან ისევ დაადო ხელისგული გლობუსს და პათოსით წარმოთქვა:

— ბატონო მოლოტოვ, გერმანია სთავაზობს რუსეთს მონაწილეობა მიიღოს ამ მამულის გაყოფაში!

და ჰიტლერმა ხელის აქნევით შეკრებილნი კვლავ მრგვალ მაგიდასთან მიიწვია, თითქოს იმისათვის, რომ მისი წინადადების განხორციელებას შედგომოდნენ.

როდესაც ყველანი თავიანთ ადგილებზე დასხდნენ, ჰიტლერმა თითების დაუდევარი მოძრაობით უკან გადაიწია ოფლიან შუბლზე მიწებებული თმა და საქმიანი ტონით თქვა:

— დიდი ბრიტანეთის გაყოფაში დაინტერესებულმა სახელმწიფოებმა აუცილებლად უნდა შეწყვიტონ ერთმანეთს შორის დავა. ასეთი დავით მხოლოდ მსოფლიო პლუტოკრატია გაიმარჯვებს. ჩვენ ყურადღება უნდა მივაპყროთ დიადი გაყოფის საკითხებს. მხედველობაში მყავს გერმანია, იტალია, იაპონია, და, ცხადია, რუსეთი.

ამას რომ ამბობდა ჰიტლერი, მაღლა, ჭერში იცქირებოდა, მაგრამ სიტყვა „რუსეთის" წარმოთქმისას სწრაფად გადაიტანა მზერა მოლოტოვზე, რათა დაენახა, როგორი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე ამ კოზირით სვლამ, ამ მაცდუნებელმა წინადადებამ.

მაგრამ მოლოტოვის სახეზე მოსალოდნელი აღტაცების ნაცვლად მან აშკარა მოწყენილობა დაინახა. მოლოტოვი რამდენიმე წამს გულგრილად უყურებდა ჰიტლერს. შემდეგ აუჩქარებლად მოიხსნა პენსნე, შუშები დაორთქლა, ქათქათა ცხვირსახოცით ნელა გაწმინდა, ისევ ცხვირზე დაიმაგრა და დინჯად თქვა:

— დიდი ბრიტანეთის გაყოფის საკითხი ჩვენ მიგვაჩნია... არააქტუალურად. არის სხვა საკითხები, რომლებიც საბჭოთა კავშირს პირველ რიგში აინტერესებს. ზოგი მათგანი ჯერ კიდევ გუშინ დავასახელეთ. და თუმცა მათზე დღესაც არ მიგვიღია დამაკმაყოფილებელი პასუხი, გვინდა იმ საკითხებს ზოგი სხვაც დავუმატოთ.

იგი ოდნავ დაიხარა მაგიდაზე და უკვე სხვა, მკვეთრი ტონით განაგრძო:

— ვილაპარაკოთ გულახდილად: როგორც ვიცით, გერმანიამ გარკვეული გარანტიები მისცა რუმინეთს. იქ სულ ახალი და ახალი გერმანული ნაწილები ჩამოდიან. ჩემს

მთავრობას ყველა საფუძველი აქვს იფიქროს, რომ ეს ეგრეთ წოდებული გარანტიები მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ჰიტლერს სახეზე აღშფოთება გამოესახა.

— მე არ მესმის, — წამოიწყო მან, — რა საფუძველია...

მაგრამ მოლოტოვმა შეაწყვეტინა.

— ბოდიშს ვითხოვ, ბატონო რაიხსკანცლერო, მაგრამ მე არ დამიმთავრებია, — ისევ ისე მკაცრად და დამრიგებლურად თქვა მან, — საბჭოთა მთავრობამ დამავალა განვაცხადო, რომ იგი დაეინებით მოითხოვს ამ გარანტიების გაუქმებას.

— რაო?! — აღშფოთდა ჰიტლერი და საეარძლიდან წამოხტა. მან ვრცელი სიტყვა გადმოაფრქვია. უჩიოდა რუსეთის უმადურობას, რომელიც უარს აცხადებდა მიეღო გერმანიის გულუხვი წინადადება. ბრალს სდებდა საბჭოთა მთავრობას ეჭვიანობაში, არაგულწრფელობაში. გაჰყვიროდა, რომ გერმანია თავის საუკეთესო გრძნობებში მოტყუებული რჩებოდა.

მან თავისი სიტყვა დაამთავრა განცხადებით, რომ გერმანია არასოდეს და არავითარ პირობებში არ წაიღებს უკან გარანტიებს, რომლებიც მისცა რუმინეთს.

სიჩუმე ჩამოვარდა. მოლოტოვმა შეხედა ჰიტლერს, თითქოს ჯერ კიდევ ეეჭვებოდა, დაამთავრა თუ არა მან თავისი უსასრულო სიტყვა და თქვა:

— კარგი. მაშინ მე მაქვს შეკითხვა: დავუშვათ, საბჭოთა კავშირი, რომელიც, ბუნებრივია, დაინტერესებულია თავისი სამხრეთ-დასავლეთი საზღვრების უშიშროებით, გარანტიებს მისცემს ბულგარეთს იმავე პირობებით, როგორითაც გერმანიამ და იტალიამ მისცეს ისინი რუმინეთს...

— განა მეფე ბორისმა გთხოვათ ასეთი გარანტიები? — აჩქარებით შეაწყვეტინა ჰიტლერმა.

— ეს მეორე საკითხია, — უპასუხა მოლოტოვმა. — მე მინდოდა პირველის პასუხი მიმეღო.

ჰიტლერმა თითები ნერვიულად დაარაკუნა საეარძლის იდაყვსაყრდენებზე. ცდილობდა სწრაფად გაეაზრებინა შექმნილი სიტუაცია. მისთვის უკვე ნათელი იყო, რომ წინასწარ შემუშავებული გეგმა ჩაიფუშა. სწორედ ეს ფაქტი აწუხებდა მას ყველაზე მეტად ვიდრე მეორე — მოლოტოვის წმინდა პოლემიკური შეკითხვა.

იგი დაჟინებით მოითხოვდა საბჭოთა წარმომადგენლის ჩამოსვლას ბერლინში დარწმუნებული იმაში, რომ ფანტასტიკური პერსპექტივებით თვალს მოსჭრიდა და კრემლის დეზორიენტირებას მოახდენდა.

მაგრამ გამოვიდა ისე, რომ საბჭოთა წარმომადგენელმა ბერლინში ჩამოსვლა გამოიყენა იმისათვის, რათა მიეცა იგივე შეკითხვები, რომლებიც კრემლმა უკვე წაუყენა გერმანიის ელჩს მოსკოვში.

მაგრამ ელჩი მაინც ელჩია. მას ყოველთვის შეეძლო მოემიზეზებინა ჩემი მთავრობისაგან სათანადოდ ინფორმირებული არა ვარო. მოეთხოვა დრო აუცილებელი კონსულტაციებისათვის, და ბოლოს, გამოეგონა, ესა თუ ის დამამშვიდებელი ვერსია და შემდეგ უარეყო, სხვით შეეცვალა. ამ თვალთახედვით ჰიტლერს ახლა მიუტევებელ სისულელედ მიაჩნდა მოლოტოვის მოწვევა ბერლინში და უშუალოდ გერმანიის მთავრობის მეთაურისათვის შეკითხვების დასმის საშუალების მიცემა.

და ახლა მას გამსჭვალავი და ამავე დროს აშკარად დაბნეული მზერა მიეპყრო რიბენტროპის, შმიდტისა და ჰილგერისაკენ. თითქოს შველას ემუდარებოდა და თანაც ადანაშაულებდა იმაში, რაც მოხდა.

მაგრამ ისინი დუმდნენ, თვით ჰიტლერს კი არაქათი გამოლეოდა. ამ წინასწარ შემუშავებულ გეგმას მთელი თავისი ხელოვნური მგზნებარება, მთელი თავისი, ასე ვთქვათ თვითაგზნება შეალია და ახლა ქანცი გაუწყდა.

ბოლოს, მან ყრუ და ფენიათო ხმით ჩაიბურტყუნა, რომ სანამ დასმულ კითხვას პასუხს გასცემდეს, კონსულტაცია უნდა გამართოს მუსოლინისთან.

ყველაფერი, რაც ამის შემდეგ მოხდა, გუშინდელი შეხვედრის დასასრულის უსუსური გამეორება იყო. ჰიტლერმა საათს შეხედა, მოიმიზეზა, უკვე გვიანია და შესაძლოა საჰაერო თავდასხმაც დაიწყოსო.

უშედეგოდ დამთავრდა მეორე შეხვედრა, რომლის შესახებ გებელსმა წინასწარ უბრძანა გაზეთებს, შეეფასებინათ როგორც „ისტორიული“ და გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის „გამაღრმავებელი“.

მომზადებული სტატიები საღამოს გაზეთებში არ გამოქვეყნებულა. გვიან საღამოს საბჭოთა საელჩოში დარბაზობა გაიმართა.

დარბაზობაზე ჰიტლერი არ მივიდა.

დიახ, იგი არ მოვიდა დარბაზობაზე, თუმცა მისი აქ

დასწრების შესახებ წინასწარ იქნა მიღწეული ფარული შეთანხმება. რაიხსკანცლერს რიბენტროპი სცვლიდა დარბაზობაზე.

ამ დაუსწრებლობით ჰიტლერს სურდა კრემლისათვის მოლაპარაკების მსვლელობით თავისი უკიდურესი უკმაყოფილება ეჩვენებინა. მან იცოდა, რომ გერმანიის მოქმედებისა და განზრახვების შესახებ ეჭვი თანდათან იზრდებოდა. მაგრამ იმაშიც დარწმუნებული იყო, რომ კრემლი ცდილობდა რადაც უნდა დაჯდომოდა, შეენარჩუნებინა მშვიდობა.

სტალინის მიერ დროის მოგების ამ სურვილს ითვალისწინებდა სწორედ თავის თამაშში ჰიტლერი. სწორედ მასზე აძყარებდა იგი თავის რწმენას, რომ რუსეთის ცდები მოლაპარაკებისას გერმანია ჩიხში მოემწყვდია, მხოდოლ ბლეფია, ტაქტიკური ხერხია. კრემლის სტრატეგია კი მშვიდობის შენარჩუნებისაკენ იყო გამიზნული.

ეს რწმენა მარტო იმას როდი ემყარებოდა, რომ სტალინს მშვიდობა სჭირდებოდა თავისი ქვეყნის ინდუსტრიული ძლიერების განვითარებისათვის, არმიის ხელახლა შეიარაღებისათვის, რაც უკვე დაიწყო და ეს ჰიტლერმაც იცოდა.

იგი იმასაც ითვალისწინებდა, რომ, თუ საბჭოთა კავშირს გერმანიაზე თავდასხმა უნდოდა, ახლავე დაიწყებდა სანამ გერმანელთა ძალების ნაწილი დასავლეთში იყო კონცენტრირებული.

ჰალდერმა ერთ-ერთ თათბირზე თავს იმის ნებაც კი მისცა უგუნურად ეთქვა, წითელ არმიას ახლა გერმანიაზე შეტევა რომ დაეწყო, სანამ ვერმახტი სერიოზული წინააღმდეგობის გაწევის ორგანიზებას შეძლებდა, იგი ბერლინს მოადგებოდაო.

რუსეთის სამხედრო შესაძლებლობათა შესახებ ჰალდერის სიტყვებმა მწვავე ჭრილობა მიაყენა ჰიტლერის პატივმოყვარეობას, მაგრამ იმავე დროს დამშვიდდა, რადგან ეჭვიც არ ეპარებოდა იმაში, რომ სტალინს გერმანიაზე თავდასხმის სურვილი არ ჰქონდა. ამიტომ, ფიქრობდა ჰიტლერი, ახლა მთავარი ისაა, რომ დაარწმუნო რუსეთი, გერმანია მზად არის განავითაროს და განამტკიცოს მასთან მშვიდობიანი ურთიერთობა. და მაშინ არაფერი არ შეუშლის ხელს მომდევნო ნახევარ წელიწადში გერმანია ყოველმხრივ მოემზადოს აღმოსავლეთზე დასარტყმელად.

მაგრამ ფაქტები ფაქტებად რჩებოდა — შეთავაზებულ-ია სატყუარამ კრემლი ვერ შეაცდინა. ვერც „ხელების თავისუფლებამ“ სამხრეთში, ვერც ბრიტანეთის „მამულის“ განაწილებამ იგი ვერ მოხიბლა.

ამიტომ მომდევნო ღამისა და მეორე დღის ნახევარი ჰიტლერმა, რიბენტროპმა, გერინგმა, გებელსმა და კაიტელმა რუსეთისადმი მისაცემ წინადადებათა ახალი ვარიანტის შემუშავებას მოანდომეს.

იმ დღეს უნდა შემდგარიყო გერმანია-საბჭოთა კავშირის წარმომადგენელთა უკანასკნელი შეხვედრა — საბჭოთა საელჩომ უკვე შეატყობინა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს, მოლოტოვი გასამგზავრებლად ემზადებაო.

ამჯერად ჰიტლერმა გადაწყვიტა, რომ დასკვნითს მოლაპარაკებაში მონაწილეობას არ მიიღებდა. ეს გადაწყვეტილება მიიღო არა მარტო იმიტომ, რომ სჯეროდა მის მიერ მოფიქრებული გერმანიის მშვიდობისმოყვარეობის ახალი დემონსტრირების უცილობელი დამაჯერებლობა, არამედ იმიტომაც, რომ თავისი დაუსწრებლობით ხაზი გაესვა მოლოტოვის ქცევით უკმაყოფილებისათვის და ამით ზეგავლენა მოეხდინა კრემლზე.

...საგარეო საქმეთა სამინისტროს საპარადო შესასვლელის მძიმე კარი მოლოტოვისა და მისი თანამგზავრების მოლოდინში ფართოდ გაეღოთ. ამით ხაზგასმით გამოხატავდნენ მათი მობრძანების საზეიმო ხასიათს, ვინაიდან ჩვეულებრივ შემთხვევებში მხოლოდ გვერდით მდებარე პატარა გასასვლელს აღებდნენ ხოლმე.

მოლოტოვი შევიდა და აღმოჩნდა გრანიტის ორ უზარმაზარ სფინქსს შორის, რომლებიც უცნაურად შესცქეროდნენ მას. ქანდაკებებს თვალი შეავლო და, ეტყობოდა, რაღაც თავისი აზრების პასუხად ჩაიღიმა.

მაისნერმა აჩქარებით გაატარა სტუმრები თეთრ ვესტიბიულში და ხელით ანიშნა, ასულიყვნენ მარმარილოს ფართო კიბეზე.

რიბენტროპს კაბინეტი ბელეტაჟზე ჰქონდა და კიბის ბაქნიდან დაწყებული იქამდე იატაკზე წითელი ნოხი ეფინა. ამ წითელი ნოხისა თუ ჰოლებსა და კაბინეტებში დადგმული წითელი ხის ავეჯის მიზეზით სამინისტროს მოხელეთა ჟარგონზე ამ სართულს „ღვინისა“ ერქვა.

შეხვედრა შედგა დღის მეორე ნახევარში რიბენტროპის კაბინეტში. მაგრამ მას არ ეწერა იქ დამთავრება. რი-

ბენტროპმა ერთხელ კიდევ გადაიხადა მადლობა საბჭოთა საელჩოში გუშინდელი მიღებისათვის, მოიკითხა, როგორ გრძნობდა თავს მოლოტოვი. მისი პირველი სიტყვების თქმისთანავე გაისმა სირენის სიგნალი.

რიბენტროპმა ხელები გაასავსავა, საათზე დაიხედა, ინგლისელები უდროო დროს მოფრინდნენო, თქვა და იქ მყოფთ ბომბსაფარში ჩასვლა შესთავაზა. იგი კარგად მოწყობილი სადგომი აღმოჩნდა, რომელიც ლამის რიბენტროპის კაბინეტის დუბლირებას წარმოადგენდა, ოღონდ უფანჯრებოდ: კედლებზე მძიმე ფარდები, წითელი ხის ფართო მაგიდა, კუთხეებში ფრიდრიხ დიდისა და ბისმარკის მარმარილოს ბიუსტები, მაღალ ჭერზე ბროლის ჭაღი. რიბენტროპმა მოლოტოვს საწერ მაგიდასთან მდგარი ტყავის ღრმა სავარძელი შესთავაზა, თარჯიმნებს კი — იქვე ნახევარწრედ დაწყობილი მაღალზურგიანი სკამები.

— ამრიგად, — ღიმილით თქვა რიბენტროპმა, როცა ყველანი დასხდნენ, — ვერავითარი მტერი, — საჩვენებელი თითი ზევით ასწია, რითაც აშკარად ინგლისის ავიაციას გულისხმობდა, — ვერ შეძლებს გერმანია-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკების ჩაშლას. ვერ გაგვთიშავენ ჩვენ ვერც იქ, მიწაზე, ვერც აქ, მიწის ქვეშ.

რიბენტროპის სახეს ღიმილი მაშინაც არ მოშორებია, როცა მის სიტყვებს თარჯიმანი თარგმნიდა.

მოლოტოვი დუმდა, თითქოს გაგრძელებას ელოდა. მაგრამ ამან რიბენტროპი როდი დააბნია.

— აქ, — მკერდის მარცხენა მხარეზე ხელის დადებით ამაყად თქვა მან, — დევს დოკუმენტი, რომელიც, დარწმუნებული ვარ, ახალ ერას დაიწყებს გერმანია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობაში...

მოლოტოვმა პენსნეს ოვალურ მინებს ზემოთ გაოცებით აზიდა წარბები.

— დიადი გერმანია, — განაგრძო რიბენტროპმა, — საანახევროდ არაფერს აკეთებს. თუ მახვილი მოიქნია, მტრის თავს არ დააცდენს. თუ მეგობრობის ხელს გაიწვდის, მხოლოდ იმიტომ, რომ მეგობარს მაგრად ჩამოართვას ხელი. აი...

და მან პიჯაკის შიდა ჯიბიდან ამოიღო ოთხად დაკეცილი ფურცელი, გაშალა, ცალი კუთხით დაიჭირა და ჰაერში დააქნია.

მოლოტოვის თვალებში, თითქოს, ცნობისმოყვარეობამ გაიღვიძა, იგი ყურადღებით უცქეროდა ქაღალდის

ფურცელს, რომელსაც რიბენტროპი იქნევდა და რამდენადმე წინ გადაიხარა კიდეც.

— ახლა კი, — თქვა რიბენტროპმა, თან გაჭიმულ ხელში ისევ ეჭირა ქაღალდი, — მე მინდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს მივცე საგანგებო მნიშვნელობის წინადადება...

იგი წამოდგა. წამოდგა მოლოტოვიც.

— ჩვენ მივმართავთ რუსეთს, — აუჩქარებლად, თითოეული სიტყვის გამოკვეთით განაგრძო რიბენტროპმა, — შემოუერთდეს სამ სახელმწიფოს: გერმანიის, იტალიისა და იაპონიის პაქტს, — რომელიც ამ წუთიდან ოთხმხრივი გახდება. ხელშეკრულების პროექტი ხელთა მაქვს...

და რიბენტროპი გაჩუმდა, თან გამარჯვებულის იერით შესცქეროდა მოლოტოვს. უნდა ითქვას, მან ერთგვარად მართლაც მიაღწია თავის მიზანს — განაცვიფრა სახკომი. მოლოტოვმა მხარი აიწურა, მოიხსნა პენსნე, ბეცი თვალები მოჭუტა და მინების წმენდას შეუდგა...

— ვაცხადებ, — კვლავ ალაპარაკდა რიბენტროპი, — ხელშეკრულების პროექტს იმისათვის, რომ შეეძლოთ მისი განხილვა და აუცილებელ შესწორებათა შეტანა...

მან სავარძელზე მიუთითა მოლოტოვს, რომელსაც უკვე გაეკეთებინა პენსნე და თვითონაც დაჯდა.

რიბენტროპს ჰქონდა გულის გამაწყალებელი ჩვეულება; საუბრის დროს ადგილს უცვლიდა მაგიდაზე დადებულ საგნებს. პრესპაპიეს, ფანქრებს, სახაზავს, სამაგრებს ერთი ადგილიდან მეორეზე გადადგამდა, შეაერთებდა, ისევ განაცალკევებდა.

ახლაც ჩაეშვა თუ არა სავარძელში, წინ სწრაფად დაილაგა პრესპაპიე, სიგარებიანი კოლოფი, ბრინჯაოს თავსახურიანი სამელნე და ცოტა მოშორებით დადო ავტოკალამი.

— ამრიგად, — განაგრძობდა რიბენტროპი, — მსოფლიოს პოლიტიკური კონფიგურაცია შეიცვლება. ასობითა და ათასობით კილომეტრით დაშორებული ქვეყნები გაერთიანდებიან. — ფართოდ გაშალა ხელები, მაგიდას მოუსვა და ერთ გროვაში მოაქცია პრესპაპიე, სიგარების კოლოფი და სამელნე, მაგრამ კალმისტრისათვის ხელი არ უხლია. შემდეგ სავარძელს ზურგით გადაეყრდნო, კვლავ აიღო ხელში დოკუმენტი და კითხვას შეუდგა...

მოლოტოვი კვლავ დუმდა და ყურადღებით უსმენდა

რიბენტროპს, თან ცოტა გაოცებით ადევნებდა თვალს მის მანიპულაციებს მაგიდაზე.

პირველი პუნქტები, რომლებიც საერთაშორისო შეთანხმებისათვის ჩვეულებრივ ჩამოთვლებსა და ფორმულებს შეიცავდა, რიბენტროპმა სხაპასხუპით წაიკითხა. მაგრამ კითხვის ტემპი თანდათან ნელდებოდა.

— „...მუხლი მეთერთმეტე, — ხმამაღლა წარმოთქვა რიბენტროპმა, პაუზა გააკეთა და განაგრძო, მაგრამ ახლა უკვე სულ ნელა, ჩუმად, იდუმალი ხმითაც კი, თითქოს მოლოტოვს უდიდესი სახელმწიფო მნიშვნელობის საიდუმლოება უნდა გაანდოსო. — მუხლი მეთერთმეტე, საიდუმლო... ხელშეკრულების მონაწილენი ვალდებულებას კისრულობენ არ შეეცილონ ერთი მეორეს გავლენის ბუნებრივ სფეროებში და, კერძოდ, რუსეთისა, რომელიც, უეჭველია, დაინტერესებული უნდა იყოს ინდოეთის ოკეანეზე გასასვლელში“...

რიბენტროპმა პაუზის შემდეგ დასძინა:

— ცხადია, ამას და მისი განმარტების მუხლებს ჩვენ არ გამოვაქვეყნებთ. ყოველივე დანარჩენის საჯაროდ გამოტანა შეიძლება თუნდაც ხვალ.

რიბენტროპმა ქაღალდი მაგიდაზე დადო, ხელისგული დააჭირა, მეორე ხელის სწრაფი მოძრაობით მისწია კალმისტარი, რომელიც ცალკე იდო, სამ სხვა, ადრე გადაადგილებულ საგანთან. ახლა მისი აზრით გერმანია, იტალია, იაპონია და რუსეთი გაერთიანებული იყვნენ. და მან გამარჯვებული სახით შეხედა მოლოტოვს.

მოლოტოვი იჯდა, ქუთუთოები ნახევრად დაეშვა. მერე თქვა:

— საბჭოთა კავშირი სრულებითაც არ არის დაინტერესებული ინდოეთის ოკეანით. იგი მისგან საკმაოდ შორს მდებარეობს...

შემდეგ, მოულოდნელად რიბენტროპისკენ წაიხარა და ენერგიულად განაგრძო:

— ევროპის საქმეებითა და ჩვენი სამხრეთ საზღვრების უშიშროებით კი დაინტერესებული ვართ. და ამის შესახებ უკვე ორჯერ მოხსენდა ბატონ რაიხსკანცლერს. ჩვენ არც სიტყვები გვაინტერესებს და არც ფარატინა ქაღალდები, — სულ უფრო ხმამაღლა და დაჟინებით განაგრძობდა იგი, — არც სიტყვები და არც ფარატინა ქაღალდები ჩვენ გვაწუხებს რუმინეთისა და უნგრეთის ბედი. მე კიდევ და კიდევ ერთხელ ვეკითხები გერმანელთა მხარეს:

როგორია ღერძის სახელმწიფოთა განზრახვები იუგოსლავიისა და საბერძნეთის მიმართ? რა მოელის მომავალში პოლონეთს? როდის წავლენ გერმანიის ჯარები ფინეთიდან? თუ აპირებს გერმანიის მთავრობა შვეიცის ნეიტრალიტეტისადმი ანგარიშის გაწევას?

მოლოტოვმა თავისი შეკითხვები ჩამოთვალა სწრაფად და მკაფიოდ, თითქოს არ სურდა პასუხების მოფიქრების დრო მიეცა რიბენტროპისათვის.

შეკითხვების მიცემის დროს იგი სულ უფრო და უფრო იხრებოდა წინ, რიბენტროპს უახლოებდა სახეს და ბოლოს გაჩუმდა.

დუმილი ჩამოწვა. საიდანღაც ზევიდან ბომბების აფეთქების ყრუ ხმა და საზენიტო ქვემეხების ჯერი მოისმოდა.

— ეს რაა: დაკითხვაა? — აუჩქარებლად, თითქოსდა შეკითხვით, თითქოსდა მუქარით წარმოთქვა ბოლოს რიბენტროპმა.

მოლოტოვი სავარძლის საზურგეს გადაეყრდნო და მხრები აიჩეჩა:

— რათა? უბრალოდ საბჭოთა მთავრობა მადლობელი იქნებოდა შესაბამისი განმარტებისათვის...

— მაგრამ ყველა ეს მეორეხარისხოვანი პრობლემებია! — თითქმის სასოწარკვეთილებით წამოიძახა რიბენტროპმა. — ამასთანავე თქვენც აქამდე არ გაგიცია პასუხი ფიურერის მთავარ შეკითხვაზე: აპირებს თუ არა რუსეთი ჩვენთან თანამშრომლობას ინგლისის იმპერიის ლიკვიდაციის საქმეში?

მოლოტოვმა თვალები მოჭუტა.

— თქვენ ნამდვილად დარწმუნებული ხართ, რომ ინგლისს ბოლო მოუღეთ? — ჰკითხა მან.

— უეჭველად!

— მაშინ, — უკვე დაცინვის დაუფარავად თქვა მოლოტოვმა, — ნება მიბოძეთ მოგცეთ უკანასკნელი შეკითხვა: თუ ეს ასეა, მაშ რ-რატომ ვსხედვართ ახლა ამ ბომბსაფარში? და ვისი ბომბები ცვივა ზემოდან?..

...იმავე დღეს საღამოს რიბენტროპმა მოახსენა ჰიტლერს, რომ მოლაპარაკება უშედეგო აღმოჩნდა — მოლოტოვმა არავითარი ინტერესი არ გამოიჩინა სამთა პაქტში მონაწილეობისადმი და უკან გამგზავრების სურვილი განაცხადა.

V

...მე ვაგონის სარკმელთან ვიდექი. მატარებელმა სვლას უკლო. გამოჩნდა ბელოკამენსკის ჩემთვის ნაცნობი ნიშნები: მეისრის ჯიხური, სერზე აგებული სკოლის შენობა. დაბალი გალავნით შემოზღუდული სტადიონი.

რა სიამოვნებით, რა სიხარულით ვფიქრობდი, რომ რამდენიმე წუთის შემდეგ ჩავალ. ხვალ კი დილით ადრე გავიღვიძებ პატარა, სუფთად დალაგებულ ოთახში და გაუნძრევლად ნახევრადმთვლემარე, დიდხანს ვინებივრებ ლოგინში. მოვისმენ ოდნავ ჟანგმოკიდებულ, წვრილ, გრძელ ძეწკვზე საწონჩამოკიდებული შეღებილი კედლის საათის ტაკატუკს, მამლის ყივილს, ფორნის რახრახს და ფლოქვების თქარუნს — ყველა ამ საყვარელ, უბრალო, დამამშვიდებელ ხმას, როგორსაც არასოდეს არ გაიგონებ ლენინგრადში.

წინ ორნახევარი თვე წყნარი, უდარდელი ცხოვრება. არდადეგები. რა კარგია!..

ყველაფერი უკან დარჩა. ჩათვლები, ანატოლი, ზვიაგინცევი და მისი ტელეფონით რეკვა, მამა, დედა, ბიბლიოთეკის დარბაზი, ანატომისტი ქალი, ეს წამლების სუნი— იოდის, ფორმალინისა და კარბოლმჟავას ნარევი, კანში რომ ჩაჯდება ხოლმე, მუდამ დროის უქონლობა, მუდმივი ფაციფუცი — ყველაფერი, ყველაფერი უკან დარჩა!

ახლა მატარებელი გაჩერდება, ვაგონიდან გავალ და დეიდა მაშასა და ძია ეგორს დავინახავ. ისინი, როგორც სჩვევიათ, ბაქნის ცენტრში, საათის ქვეშ იდგებიან. ჩემს დანახვაზე ტაშს შემოკრავენ და შესახვედრად გამოეშურებიან. ყველაფერი ეს მე წინასწარ ვიცი, ვინაიდან უკვე მიეჩვიე. — ასე იყო შარშანაც, შარშანწინაც, შარშანწინისწინაც. რამდენიმე წელია, რაც ზედიზედ ჩამოვდივარ აქ არდადეგებზე — ოდესღაც მოწაფე, ახლა კი უკვე სტუდენტი.

ამრიგად, ორნახევარ თვეს ისე ვიცხოვრებ, რომ არაფერზე არ ვიფიქრებ. ხელში არც ერთ წიგნს არ ავიღებ. ადრე ავდგები ხოლმე, დიდხანს ვიბანავებ პატარა წყნარ, ალერსიან მდინარე ზნამენკაში. ნასადილევს წავიძინებ, საღამოობით კინოში ვივლი, მეორე და მესამეჯერ ვნახავ იმ სურათებს, რომლებსაც ლენინგრადში ნახევარი წლისა ან ერთი წლის წინათაც უჩვენებდნენ. ადრე დავწვები ხოლმე, ბორბლების რახარუხსა და მამლის ყივილზე გავიღვიძებ... რა კარგია!

ჩემს თაროს დავუბრუნდი. ჩემოდანი ჩამოვიღე, თანამგზავრებს დავემშვიდობე და გასასვლელისაკენ მივიკვლევ გზას.

რასაკვირველია, ყველაფერი ისე მოხდა, როგორც მოველოდი: ერთი წამის შემდეგ უკვე ფიცრით მოგებულ ბაქანზე გავრბოდი დეიდა მაშასა და ძია ეგორის შესაგებებლად. ჩემოდანს მივათრევდი და თან ჩემი დედ-მამისაგან მოკითხვას გადავცემდი მათ... ძია ეგორმა აიღო ჩემი ჩემოდანი, ძველი ჩვეულებისამებრ მხარზე შეიგდო — იგი ოდესღაც მზიდავად მუშაობდა. — და აი, ჩვენ სამივენი უკაცური ბაქნით მივდივართ იქით, ვაგზლისპირა პატარა მოედნისაკენ, სადაც ბოლო გაჩერებაზე მგზავრების მომლოდინე ავტობუსი დგას.

მე რაღაცას განუწყვეტლივ ვტიტინებ, თითქოს ოცისა კი არა, თოთხმეტი წლისა ვიყო, როგორც მაშინ, როცა აქ პირველად ჩამოვედი დამოუკიდებლად, უდედოდ. ძია ეგორი კი როგორც ყოველთვის, დროგამოშვებით ჩაურთავს ხოლმე თავის მოკლე შეკითხვებს: „როგორ არის დედაშენი?“, „როგორაა მამაშენი?“, „როგორ ცხოვრობს ქალაქი პიტერი?“

და უეცრად გავშეშდი. შორს, ბაქნის ბოლოში, დგას ანატოლი. ერთ ხელში ჩემოდნით, მეორეში თეთრი ლაბადით — ერთად რომ ვიყიდეთ ქარვასლაში.

იგი დგას და მეც ვდგავარ. დეიდა მაშა და ძია ეგორი გაოცებით შემომცქერიან: მივდიოდი, მივდიოდი და უცებ თითქოს ლანჩები ფიცრებს მიკროდეს.

ახლა აღარ ვიცი, რა ვქნა. როგორ მოხვდა იგი აქ? განა ჩვენ წუხელ არ დავემშვიდობეთ ერთმანეთს ვარშავის ვაგზალზე და მან მითხრა, რომ არდადეგებზე სოჭში აპირებს წასვლას. ჩემი ბელოკამენსკის მისამართიც კი არ უთხოვია, და მე მეწყინა, თუმცა სადღაც გუნებაში შვება ვიგრძენი: ანატოლიზე ფიქრებით, ცოტა არ იყოს, დავიღალე კიდეც...

მას კი... აი, თურმე რა უნდოდა! ასე გამოდის, როცა ჩვენ ვაგზალში ერთმანეთს ვემშვიდობებოდით, მას უკვე ჰქონია იმავე მატარებლის ბილეთი და, ალბათ, თავის ვაგონში ჩემოდნის შეტანაც ჩემთან შეხვედრამდე მოუსწრია.

და აი ანატოლი დგას ბაქნის ბოლოში და ისე მიცქერის, თითქოსდა არც კი დავმშვიდობებივართ ერთმანეთს. მე გავბრაზდი და თანაც გამეხარდა. ყველაფერი ერთად მომი-

ვიდა. „შემოდგომამდის, ნახვამდის“, — რაღაც მეტისმეტად მშვიდად მითხრა მან გუშინ. აი, თურმე რა ყოფილა მის მიერ გათამაშებული გულგრილობის მიზეზი!

— რა მოგივიდა, ვერუნკა? — გაოცებით მეკითხება ძია ეგორი.

ვუპასუხებ:

— არა, არა, არაფერი... ქუსლს რაღაც მოუვიდა, ღრიჭეში ჩამეჭედა.

ჩვენ ბაქნის გასწვრივ მივდივართ. ანატოლი ისევ უძრავად დგას, შემდეგ თავის დახვეულ ლაბადას მკლავიდან დაუდევრად მოიგდებს მხარზე და ვითომც აქ არაფერიაო, პატარა ჩემოდანს ოდნავ აქანავებს და ჩვენ შესახვედრად მოემართება.

თვალს ვაშორებ, ვცდილობ ძისკენ არ გავიხედო, მაგრამ ვგრძნობ, მშვენივრად ვგრძნობ, რა სისულელეა ყოველივე ეს. მოვიხედავ და ჩაშტერებით ვუცქერი. როცა ჩვენ მხოლოდ რამდენიმე ნაბიჯი-ღა გვაშორებდა, ანატოლიმ ცუდად გათამაშებული განცვიფრებით ფართოდ გააღილა თვალები, დადგა თავისი ჩემოდანი და თეატრალურად შესძახა:

— ვეროჩკა?! აი ესეც შეხვედრა!..

ვგრძნობ, რომ ვწითლდები, ნაბიჯი ვეღარ გადამიდგამს. დეიდა მაშა და ძია ეგორიც შეჩერდნენ და გაოცებითა და კითხვის გამომეტყველებით შემოგვცქერიან ხან მე, ხან მას. რამდენიმე წამი გავიდა, სანამ ვიტყოდი:

— გამარჯობა, ტოლია! აქ როგორ მოხვდი?

გამოვტყდები, ესეც გულუბრყვილოდ, არაბუნებრივად და როყიოდ გამოვიდა და აჩქარებით დავძინე:

— გაიცანით. ანატოლი, გახლავთ... ესეც ლენინგრადელია.

ჩემი ეს სიტყვები უკვე მთლად შეუსაბამოდ ჟღერენ, პირდაპირ ბავშვურად. მაგრამ იმ წუთში სხვანაირად როგორ შემეძლო ამეხსნა ჩვენი ნაცნობობა?

ანატოლი თავის დაკვრით მიესალმა მათ. ამ დროს რბილი თმა ჩამოეშალა და ხელის სწრაფი მოძრაობით უკან გადაიწია.

— გადავწყვიტე ამ ღვთით კურთხეულ პატარა ქალაქში დავისვენო ალალ-მართალი შრომის შემდეგ, — თქვა ანატოლიმ გადაჭარბებულად დაუდევარი ტონით, თან გაუგებარი იყო, მე მომმართა თუ ჩემს თანამგზავრებს. ჩვენ ყველანი ჯერ კიდევ ბაქანზე ვიდექით.

— მაშ, აგრე, — ხანმოკლე დუმილის შემდეგ გაეხმაურა ძია ეგორი, — ალბათ, აქ ნათესავები ან ნაცნობები გეყოლებათ?

— ო, არა, საიდან! — ხელის ჩაქნევით უპასუხა ანატოლიმ. — უბრალოდ, ჩვენი კურსის ბიჭები სოჭში აპირებდნენ, მე კი, როგორც ხედავთ, ორიგინალობა გამოვიჩინე. მაგიდაზე რუკა გავშალე, ჩემი თითი ბელოკამენსკს მოხვდა. ჰოდა, ვიფიქრე, ლამაზი სახელია...

— მაშ, აგრე, — გაიმეორა ძია ეგორმა. — დიდი ხნით ჩამობრძანდით?

— ვინ იცის! — უდარდელად მიუგო ანატოლიმ. — დღეს ოცდაერთი ივნისია, ჰოდა, ორი თვითა და ათი დღით თავისუფალი კაზაკი გახლავართ.

— მაშ, თავისუფალი ხართ, რაღა, — გაიმეორა ძია ეგორმა და ჩემი ჩემოდანი მხარზე შეიგდო. — აბა, დავიძრათ, თორემ ავტობუსის ლოდინი დიდხანს მოგვიწევს.

იგი და დეიდა მაშა, როგორც მომეჩვენა, განზრახ აჩქარებით წავიდნენ წინ. მე და ანატოლი მათ უკან მივაბიჯებდით.

— ბრაზობ? — ჩუმად მკითხა მან.

— არაფერსაც არ ვბრაზობ, — ვუთხარი გაჯავრებით, — ოღონდ... ოღონდ ეს... რაღაცნაირი ავანტიურაა! რად მოიქეცი ასე?

— იმიტომ, რომ შენი ნახვა მინდოდა, — მიპასუხა ანატოლიმ.

— შენ დღესვე უნდა დაბრუნდე უკან! — ვუთხარი ყოყმანით.

— არცა ვფიქრობ. აბა, სად უნდა წავიდე? სოჭში? და ვუცქირო როგორ იტყლარჭებიან პლიაჟზე პიონი ვაჟები და ქარაფშუტა ელლოჩკები?

არ დავფარავ, ყოველივე ამის მოსმენა მსიამოვნებდა. მაგრამ არ შევიმჩნიე და ვუთხარი:

— ნუთუ შენ არ გესმის, რომ ეს... უხამსობაა! ისინი ხომ ჩემი ნათესავები არიან. დეიდა მაშა — და არის დედაჩემისა. რუკაზე თითის მოხვედრა!.. შენ რა, ბავშვები ხომ არ გგონია ისინი?

— აბა, რა უხამსობაა ამაში? — შემომიბრუნა კითხვა და მხრები აიჩეჩა. — დღეს ხომ არ გაგიცანი. თქვენს სახლშიც ნამყოფი ვარ. დედაშენიც მიცნობს. ახლა კი მისი დაც გავიცანი. ვერ გამიგია, რად ართულებ ასე ყველაფერს?

— შენ კი აუბრალოებ! — ვუპასუხე მე და სულ ეს იყო, რის თქმაც მოვახერხე.

იგი მიხვდა, რომ გაიმარჯვა, ოდნავ გაიღიმა და თქვა:

— ყველაფერზე ეტყობა, კარგი, წყნარი ქალაქია. როგორც ტორჟოკი.

— რა შუაშია აქ ტორჟოკი?

— აბა... „გამომქრელი“... გახსოვს? იგორ ილინსკისთან ერთად.

— არაფერიც არ მახსოვს, — ჩავიბურტყუნე მე.

„მიყვარს იგი თუ არა?“ — შეეეკითხე ჩემს თავს, როცა ოთახში მარტო დავრჩი.

...მე და ანატოლი ეს-ეს არის ერთმანეთს დავშორდით. ავტობუსით ერთად ვიმგზავრეთ და ახლა იგი ჩვენთან ერთად მოდიოდა აქ, ახალშეღებილი ლარტყის გალავნით შემოზღუდული პატარა ნაცნობი სახლისაკენ. იგი განუწყვეტლივ ყბედობდა, ალბათ, უხერხულობის გასაფანტავად.

მეც საშინლად ვღელავდი.

როცა კართან სულ ახლოს მივედით, არ ვიცოდი რა მექნა და სიტყვები: „დაბინავებას სადღა აპირებ, ტოლია?“ — უკვე ენის წვერზე მადგა.

მაგრამ ამ დროს ძია ეგორმა მოულოდნელად მიწაზე დადგა ჩემი ჩემოდანი და ანატოლის მიუბრუნდა:

— აი, ჩვენ უკვე მოვედით. თქვენ სადმე ახლო აპირებთ დაბინავებას?

ვხედავდი, რომ ანატოლი აშკარად დაიბნა, გაწითლდა და ყრუდ უპასუხა:

— ო, არა... მე მხოლოდ ისე... გამოგაცილეთ.

— მაშ, ბინა არა გაქვთ? — მოულოდნელად ჩაერია აქამდე გაჩუმებული დეიდა მაშა და მის ხმაში თანაგრძნობა გაისმა.

— სწორედ აგრეა! — წამოიძახა ანატოლიმ უკვე ენერგიულად და თამამადაც. — ასე ვთქვათ, უპასპორტო მაწანწალა ვარ.

— მაწანწალობა ახლა ვის გამოადგება, — დამრიგებლურად თქვა ძია ეგორმა. — თვითონ უფრო ძვირად დაუჯდება. თუკი საცხოვრებელი ადგილის შოვნა გიჭირთ, მარია დაგეხმარებათ. გესმის, მარია, მიიყვანე ეს ახალგაზრდა დენისოვიანთსა. მათ, მგონი, შარშან ჰყავდათ მოაგარაკენი.

— ო, რასაკვირველია, რასაკვირველია! — დაფაცურდა

დეიდა მაშა. უხაროდა, რომ ყველაფერი ასე უბრალოდ და კეთილად გვარდებოდა. — ახლავე წავალთ! ისინი, დენისოვები, აქ ახლოს ცხოვრობენ, სამი კვარტალიც არ იქნება, აი მხოლოდ ვეროჩკა მოვაწყოთ...

— ვეროჩკას მოსაწყობი არაფერი სჭირს. — შეაწყვეტინა ძია ეგორმა. — ის ხომ თავის სახლში მოვიდა. ჰოდა მისთვის ყველაფერი მზად არის. შენ კი წადი, დროს ნუ კარგავ. ეგ ახალგაზრდაც ნამგზავრია, ალბათ, დასვენება უნდა...

ერთმანეთს დავემშვიდობეთ. უკვე მიმავალმა ანატოლიმ მომაძახა, საღამოხანს, რვა საათისათვის შემოგივლიო.

...და, აი ახლა ვზივარ ჩემს პატარა ოთახში მეორე სართულზე, სწორედ სხვენს ქვემოთ, ფრანგები, ალბათ, მას „მანსარდას“ დაარქმევდნენ, და ჩემს თავს სულ ერთსა და იმავეს ვეკითხები: მიყვარს იგი თუ არ მიყვარს?

ჩემს მომცრო „მანსარდაში“ დგას მონიკელებული ბურთულებიანი რკინის საწოლი, ორი ტაბურეტი, ტუმბოზე ქილა ყვავილებით, საწოლს ზემოთ კედელზე ჰკიდია ნაქსოვი პატარა ხალიჩა, რომელზეც გამოსახულია ოკეანეზე როგორ მიცურავენ გედები. ნაპირზე კი დგას მეფისწული ბოვა. ტანთ ხიფთანი აცვია, ფეხთ ჭვინტიანი წაღები და გედებს გასცქერის.

ვზივარ ტაბურეტზე და ფანჯრიდან ვიცქირები.

ჯერ კიდევ სინათლეა და არც ისე დიდი დრო გასულა — ექვსი საათი და რაღაც წუთებია.

ჩემი ბარგი რა ხანია გავხსენი და ტანსაცმელი ჩამოვკიდე. მთელი კედელი დაიკავა.

ახლა კი ფანჯარასთან ვზივარ, იდაყვებით რაფას დაყრდნობილი და თავზე ხელებშემოწყობილი და თვალყურს ვადევნებ ქუჩას.

იქ კი განსაკუთრებული არაფერი ხდება. აუჩქარებლად მიდიან ადამიანები თავიანთ საქმეებზე. იშვიათად გაივლის მანქანა, უფრო ხშირად კი ორთვალა ან ფორანი, რომლებსაც ლენინგრადში ახლა ველარც ნახავ, ხმაურითა და ღრჭიალით მიაქროლებს ველოსიპედს ბიჭუნა. ეს არის სულ ქუჩის მთელი მოძრაობა.

ვზივარ და მინდა ვიფიქრო იმაზე, რა სიწყნარეა, რა კარგია აქ, ბელოკამენსკში. არაფერი მაქვს გასაკეთებელი და არსად არ მიმეჩქარება. ასე იქნება ხვალაც, ზეგაც და კიდევ მრავალ, მრავალ დღეს.

გულში ისე ვიმეორებ, თითქოს ჩემს თავს ვაჰიპნოზებდე: ყოველგვარი მღელვარება უკან მოვიტოვე, წინ მყუდრო, გულმშვიდი დასვენებაა, მაგრამ ვიცი, რომ ყველაფერი უკვე აღარც მთლად ასეა.

სადგურის ბაქნის შორეულ კუთხეში ანატოლი რომ დავინახე, იმ წუთიდან ჩემთვის ყველაფერი შეიცვალა.

...ჩვენ ერთმანეთი შარშანწინ გავიცანით, თეთრი ღამეების გაცილებისას. შემთხვევით, სხვას კი არ გავუცვნივართ. ვერ ვიტან ქუჩაში გაცნობას, თუმცა მესმის, რომ ეს ფაქტი თავისთავად ცუდს არაფერს არ ნიშნავს.

აქ კი ასე მოხდა. ჩვენ, ინსტიტუტის მთელი კამპანია, კინოს შემდეგ საღამოს ათი საათი იქნებოდა, რომ პარკისკენ გავემგზავრეთ. მე ნავით სეირნობა ავიჩემე. ყველანი ერთად დავეშვით ნავების სადგურისაკენ. იქ სარკმელთან კი რიგი იყო. სულ ოთხიოდე კაცი იდგა, მაგრამ სადგურის დახურვის დროსაც ცოტა-ღა უკლდა და ცხადი იყო, ჩვენ რიგი არ მოგვიწევდა.

ჩემი თანამგზავრები შარწმუნებდნენ, ხელი ამეღო ამ განზრახვაზე, კაფეში ან რესტორანში შევსულიყავით.

მაგრამ მე ადგილიდან არ დავძრულვარ და დავიჟინე, ნავით უნდა ვისეირნო-მეთქი, თუმცა თვითონვე ვგრძნობდი, რომ ეს სულელური გაჯიუტება იყო.

ბიჭები ბრაზობდნენ, მეუბნებოდნენ, კამპანიას გვირღვევო, აქ ლოდინს გადავიყვებით და ვერც კაფეში მოვხვდებით და ვეღარც რესტორანშიო. მე კი თითქოს რაღაც შემიჩნდა. მესმოდა, რომ ისინი მართალი იყვნენ, ნავის მიღების არავითარი იმედი არ ჩანდა. მაგრამ თუთიყუშივით ერთსადაიმავეს ვიმეორებდი: „მე მაინც დაველოდები“.

„ჰოდა, დაელოდე!“ — დამიყვირა ბოლოს რომელიღაცამ ბრაზით და ყველანი კიბეს აჰყვნენ.

მივხვდი, ბიჭები აღარ ხუმრობდნენ და ერთი წუთის შემდეგ მართლაც მარტოდ დავრჩებოდი. უკვე მზად ვიყავი დამეძახა მათთვის და გავყოლოდი, მაგრამ ამ დროს ვიღაცის ხმა შემომესმა:

— ქალიშვილო! ნავი თქვენ გელოდებათ!

მიმოვიხედე, რომ ის ბედნიერი ქალიშვილი დამენახა, ხმა კი კვლავ გაისმა:

— მე თქვენ მოგმართავთ, ლურჯბერეტიანო ქალიშვილო! მობრძანდით, ეს თქვენი ნავია!

მე მართლაც ლურჯი ბერეტი მეხურა. ქვემოთ, წყალში ჩავიხედე და დავინახე, რომ ფერდით ქიმინჯს ოდნავ ეხლე-

ბოდა და მისადგომთან ქანაობდა პატარა ნავი. მასში კი წონასწორობის დასაცავად ფართოდ გალაჯული იდგა მაღალი, მხარბეჭიანი, ცისფერ პერანგსა და ფლანელის ნაცრისფერ შარვალში გამოწყობილი ჭაბუკი.

ყოყმანით ჩავედი მისადგომთან.

— ეს თქვენი ნავია, — თქვა მან ღიმილით. შეირხა, ერთი ხელით ხიმინჯს ჩაეჭიდა და ნავს მისადგომისაკენ ეწეოდა, მეორე ხელი კი მე გამომიწოდა.

ვყოყმანობდი, არ ვიცოდი რა მექნა. დაბნევით მივიხედ-მოვიხედე, მაგრამ ჩემი ამხანაგები უკვე აღარ ჩანდნენ.

„ჰოდა გავისეირნებ კიდეც!" — ჯიუტად გადავწყვიტე და ფეხი შევდგი წყალზე მოქანავე ნავში.

...ყველაფერი სწორედ აქედან დაიწყო. ჩვენ ხან ხშირად ვხედავდით ერთმანეთს, ხან უფრო იშვიათად. მაგრამ კვირა ისე არ გაივლიდა, ერთმანეთს რომ არ შევხვედროდით ან ტელეფონით არ გველაპარაკა.

ერთხელ მოვინდომე ტოლია მამაჩემისათვის გამეცნო, მაგრამ ვერაფერი სახარბიელო შეხვედრა გამოვიდა. მამაჩემი მშრალი, უთქმელი კაცია და ადამიანებს რაღაცნაირი ძველმოდური, მკაცრი, მხოლოდ თვითონ მისთვის გასაგები საზომით უდგება. უცნაურადაც კი მეჩვენება, რომ ისეთი ადამიანი, როგორიც მამაჩემია, პარტიის ძველი წევრი, რევოლუციური ბრძოლების მონაწილე, პირწმინდად მოკლებულია რომანტიკის გრძნობას. ზოგჯერ ვუცქერი ხოლმე და ვფიქრობ, რომ ის ბუღალტერს უფრო წააგავს, ვიდრე კადრის მუშას, უზარმაზარი საამქროს ოსტატს. პედანტიას სამუშაო თუ უქმე დღეებში დილით ყოველთვის წუთის გაუცდენლად ერთსა და იმავე დროს დგება; უნდა დახვდეს ფაქიზად დაკეცილი გაზეთი, და სანამ ის არ წაიკითხავს ვერც მე, ვერც დედაჩემი ხელს ვერ ვახლებთ, როცა მამაჩემი სამუშაოდან მოვა, სადილი მაგიდაზე გაწყობილი უნდა იყოს. ხოლო შჩი, რომელსაც პირველ კერძად თითქმის ყოველთვის მიირთმევს, მდუღარესავით ცხელი უნდა იყოს, ექიმებისა მამაჩემს არაფერი სწამდა, ხოლო თუ ზოგჯერ ავად გახდებოდა, მკურნალობდა იმ ბალახებით, რომლებიც დედაჩემს მუდამ ჰქონდა პაკეტებში სამზარეულოს კარადის ცალკე თაროზე...

მამაჩემის შესახებ ზოგი რამ ვუამბე ანატოლის და იგი, ასე ვთქვათ, უკვე მომზადებული მოვიდა. ალბათ, ამიტომაც გადაწყვიტა მამაჩემისათვის ეამებინა და რაღაც რევოლუციაზე წამოიწყო ლაპარაკი. თანაც, მგონი, დააყოლა. „მე მუდამ ვნანობ, რომ იმ დროს არ მომიხდა ცხოვრება..."

მამაჩემი მოღუშულიყო და სულ დუმდა. მაშინ ტოლიამ ჰკითხა, ზამთრის სასახლის იერიშში უშუალო მონაწილეობის მიღება თუ მოგიხდათო.

მამაჩემმა მშრალად და მოკლედ უპასუხა, იმ ღამეს ზამთრის სასახლეს ახლოსაც არ გავკარებივარ, რევკომის დავალებით ნარვის კარიბჭესთან იარაღის საწყობის გუშაგად ვიდექი და არაფერი არ შემმთხვევიაო.

ანატოლიმ ვრცლად და მგზნებარედ დაიწყო მტკიცება, არსებითი ის კი არ არის, სახელდობრ, სად იმყოფებოდა კაცი იმ ღამეს, არამედ იმის შეგნება, რომ იგი საერთო რევოლუციურ საქმეში მონაწილეობდაო. შემდეგ ჰკითხა მამაჩემს, საგუშაგოზე დგომისას რაზე ფიქრობდითო. მან კი, როგორც გაჯავრების დროს იცოდა ხოლმე, თვალები მოჭუტა და ისე უპასუხა, იმ ღამეს ძლიერი ყინვა იყო და იმაზე ვფიქრობდი, მოიფიქრებენ თუ არა ჩემი ამხანაგები, ტყაპუჭი მომიტანონო.

ერთი სიტყვით, მათ საუბარი ვერ ააწყვეს და ტოლიას კინოში წასვლა შეეთავაზე.

როცა შინ დავბრუნდი, მამას არ ეძინა და მკითხა:

— რაო, შენი არშიყია, თუ?

შემრცხვა და ვუპასუხე, რომ ჯერ ერთი, ვერ ვიტან ამ მეშჩანურ სიტყვას, მეორეც, არ მესმის, რისთვის არ მოეწონა მას ტოლია.

— მერე და ვინ გითხრა, რომ არ მომეწონა? — მიპასუხა მამამ, მხრები აიჩეჩა და დაუმატა: — ოღონდ ბევრი ლაპარაკი ჰყვარებია. რამდენი წლისაა?

— ოცდასამის.

— შეიძლება კიდეც ივარგოს, როცა გამოიჯეკება, — ჩაცინებით თქვა მამაჩემმა.

მე მეწყინა და ვუთხარი, რომ ტოლია ყბედი და უსუსური კი არ არის, იგი სტუდენტია, მომავალი არქიტექტორი. ინსტიტუტში კომკავშირის კომიტეტის წევრია, და თუ მართალი გნებავთ, მთელი ის ლაპარაკი მან მხოლოდ თავაზიანობის გამო წამოიწყო.

— აჰა-ა, მაშ, ამით ჩემდამი პატივისცემის გამოხატვა უნდოდა... მე სულელი კი ვერ მივხვდი, — კვლავ თვალების მოჭუტვით თქვა მამაჩემმა.

— შენ, ჩანს, ბევრი რამ არ გესმის, — ვუთხარი გულამომჯდარმა და პირი ვიბრუნე.

დარწმუნებული ვიყავი, რომ მამაჩემი ახლა გაჯავრებით შემაწყვეტინებდა, რადგან ვერ იტანდა, თუ მას და დედა-

ჩემს საჭირო თავაზიანობით არ ველაპარაკებოდი, მაგრამ ამის მაგივრად მოულოდნელად ხელები მხრებზე დამაწყო, თავისკენ მიმაბრუნა, დაჟინებით ჩამაცქერდა თვალებში და მერე თავის ოთახში გავიდა.

მაშინ კი მე მივხვდი, ყველაფერს მივხვდი. მას, უბრალოდ, ეშინოდა ჩემი დაკარგვის. ეშინოდა, რომ დადგება დღე და მე ანატოლის გავყვები... მან რომ იცოდეს!... მე ხომ არასოდეს გამოვუტყდები იმაში, რომ მიყვარს ანატოლი, მიყვარს და... მეშინია მისი დაკარგვისა! იმისიც კი მეშინია, რომ ამაში ჩემს თავსაც გამოვუტყდე.

... უცებ თითქოს რაღაცამ მიბიძგა და შიშით შეეხედე საათს. შვიდის ნახევარია. იგი დამპირდა, შვიდზე მოვალო. კიდევ ნახევარი საათი დარჩა!..

ნეტა რაზე ვიჭყლეტავ ტვინს, რად ვუსვამ თავს ყველა ამ სასაცილო, რიტორიკულ კითხვას: „მიყვარს — არ მიყვარს?" განა არ მესმის, რომ, როდესაც ანატოლის ვუწყრები და ისე ვექცევი, თითქოს უიმისოდ უკეთ ვიქნები, ამას თავდაცვის მიზნით ჩავდივარ, რომ მოვატყუო იგი, არ მივახვედრო, რომ მე ისეთი უნებისყოფო ვარ, რომელიც მისი გულისათვის ყველაფერს იკისრებს.

როცა იქ, სადგურის ბაქანზე გავუწყერი, როცა ჩემს თავს ვარწმუნებდი, რომ მისგან დავიღალე, ყველაფერი ეს სიცრუე იყო. ჩემს თავსაც და მასაც ვატყუებდი.

სიმართლე კი ის არის, რომ ტოლიას დაკარგვის მეშინია. და ვიცი, რომ დავკარგავ, აუცილებლად, ვინაიდან, გატაცება დიდხანს ვერ გასტანს. იგი არასოდეს არ მოინდომებს თავისი ცხოვრება მე დამიკავშიროს და მართალიც იქნება. იგი ლამაზია, ჭკვიანი, ცნობილი ლენინგრადელი არქიტექტორის ვაჟია, რომელ ქალიშვილს არ ეამება ასეთი ჭაბუკის ყურადღება. მე ვინ-ღა ვარ? როგორც იტყვიან, არაფრით არ გამოვირჩევი, არავითარი ტალანტი არ გამაჩნია. და, როგორც მამაჩემი ხშირად შემახსენებს ხოლმე, „საბჭოთა ხელისუფლება რომ არ ყოფილიყო", ინსტიტუტშიც ვერ მოვხვდებოდი. მთელი ცხოვრების განმავლობაში მკერავად ან შინამოსამსახურედ დავრჩებოდი.

და თუ ანატოლი თავს დამანებებდა, აღარ შემხვდებოდა ხოლმე, ალბათ, შვებას ვიგრძნობდი. ჩემს თავს დავარწმუნებდი, დავაჯერებდი, რომ ასე უნდა მომხდარიყო.

არა, ნამდვილად ვერ დავარწმუნებდი... აკი ვცადე. წარმოვიდგენდი ხოლმე, რომ ანატოლი არ არსებობს და ვცდი-

ლობდი დამეჯერებინა ჩემი თავი, რომ უამისოდ შვებას ვგრძნობ და უკეთ ვარ.

მაგრამ ვერ შევძელი ჩემი თავის დაჯერება. ვერც მარტოდ ყოფნისას, ვერც მაშინ, როცა გვერდით მყავდა ალიოშა ზვიადგინცევი.

თუმცა ალექსი და მე იშვიათად ვხვდებოდით ერთმანეთს. მე არ მინდოდა შეხვედრა. ხშირად არ მივდიოდი ტელეფონთან, როცა იგი მირეკავდა. მართალია, იგი ორჯერ თუ სამჯერ იყო ჩვენთან ოჯახში, თეატრშიც ვყოფილვართ ერთად, მაგრამ ძალიან იშვიათად. ის კი მირეკავდა და მირეკავდა... ზოგჯერ მინდოდა მეთქვა: „არ არის საჭირო, ალიოშა, არ არის საჭირო!..“

ჰო, რა თქმა უნდა, თვითონა ვარ დამნაშავე. პირველ ხანებში მასთან ყოფნა მაინტერესებდა. ჩვენ ერთმანეთი გავიცანით თეთრფინელებთან ომის დამთავრებიდან ცოტა ხნის შემდეგ. მინდოდა ამ ომის შესახებ რაც შეიძლებოდა მეტი რამ გამეგო. მინდოდა წარმომედგინა, ვუსმენდი და ვცდილობდი დამენახა ყოველივე, როგორც ცხადში, და ვფიქრობდი: არა, მე ამას ვერასოდეს ვერ გავუძლებდი — სიცივე, ქარი, სიკვდილი, ყოველ ნამქერთან რომ მოგელის...

მან კი, ალიოშამ, ყოველივე ეს სულ სხვანაირად აღიქვა. მას მოეჩვენა, რომ მისდამი ჩემი დამოკიდებულება სულ სხვანაირია. პირველად ეს აზრადაც არ მოსვლია. ამას მივხვდი მხოლოდ იქ, პარკში, მერხზე, როცა სცადა მომხვეოდა...

ჰო, რა თქმა უნდა, ყველაფერში თვითონ ვარ დამნაშავე. მაშინვე უნდა მეთქვა მისთვის, რომ ეს სულ სხვა რამ არის, რომ ჩვენი ურთიერთობა მხოლოდ მეგობრული უნდა იყოს. სხვა რამ კი ჩვენს შორის შეუძლებელია...

მაგრამ... რატომღაც ენა ვერ მომიბრუნდა, ვშიშობდი, არ ვაწყენინო-მეთქი. დედაჩემს კი ის მოსწონს. ერთხელ, როცა მორიგი დარეკვისას ვთხოვე მას, ტელეფონთან მისულიყო და თუ ალიოშა მირეკავდა, ეთქვა, რომ მე შინ არ ვიყავი, იგი გამიჯავრდა. მითხრა: „ავდგები და ყველაფერს ვუამბობ! ვეტყვი, ცრუობს-მეთქი! მეტი აღარ დაურეკოთ-მეთქი. ასეთი კარგი კაცი, მაიორი, დამოუკიდებელი, უცოლო! აბა, რომელი გოგო ეტყვის უარს...“

მე კი პასუხად მხოლოდ გავიცინე. ვიცოდი, ალიოშა კარგი ადამიანი იყო: როგორ წაუხდა გუნება, როცა ეუთხარი, მთელ ზაფხულს სხვაგან გავატარებ-მეთქი!.. მაგრამ ანატოლიმ ჩემთვის ყველა დაჩრდილა. მიყვარს იგი და მუდამ

ვშიშობ, უკანასკნელად ხომ არ ვხედავ-მეთქი. ვშიშობ, რომ წავა და აღარ დამიბრუნდება.

...მაგრამ იგი არ მიდის. აი აქაც, ბელოკამენსკშიც ჩა-ჰოვიდა.

ისევ საათს დავხედე, ადგილს მოვწყდი და სწრაფად შევუდექი ტანისამოსის გამოცვლას, იგი ათი წუთის შემდეგ უნდა მოსულიყო...

ისინი პატარა, საზაფხულო ტიპის კინოდარბაზში ისხდნენ და უყურებდნენ სურათს, რომელიც ორივეს უკვე რამდენჯერმე ჰქონდა ნანახი.

ფილმს „პეტერი" ერქვა. მასში ნაჩვენები იყო თავშესაქცევი ამბავი თანამედროვე გულუბრყვილო გოგოსი, რომელიც გარემოებისა და საკუთარი მომხიბვლელობის წყალობით გზას იკაფავს კეთილდღეობისაკენ და თავის ბედს ლამაზ, ცოტა ქარაფშუტა ახალგაზრდა ექიმს უკავშირებს.

ყველაფერი ისე მიმდინარეობდა, როგორც პროვინციულ პატარა კინოში უნდა მომხდარიყო. ბიჭუნები, რომლებსაც პირველი რიგები დაეკავებინათ, ხმაურით აწკლაპუნებდნენ ტუჩებს, როცა ეკრანზე ქალ-ვაჟი ერთმანეთს კოცნიდა. როცა ფირი წყდებოდა, ბიჭუნებიც და მოზრდილებიც ერთად აბრახუნებდნენ ფეხებს.

და ყველანი თვალმოუცილებლად უყურებდნენ ეკრანზე შიმდინარე ამბებს, რომლებშიც გადაშლილიყო სხვისი ცხოვრება — არეკლილი მაღაზიების სარკიან ვიტრინებში, ელეგანტური ავტომანქანების მინებში და გამქელილთა გაპრიალებულ ფეხსაცმელებში.

როცა გაისმა ჰანგები განთქმული ტანგოსი, რომელსაც კომიკურად ცეკვავდა მამაკაცის კოსტუმში გადაცმული გმირი ქალი, ტანგოსი, რომელიც უკვე დიდი ხანია საბჭოთა საცეკვაო მოედნებისა და რესტორნების აუცილებელ „მშვენებად" იქცა, ანატოლიმ თავისი ფართო ხელისგული ვერას მუხლზე დადო.

ქალიშვილი შეკრთა, მაგრამ განზე არ გაიწია, არ მოიშორა მისი ხელი, ჩვეულებრივი „არაა საჭიროც" არ წასჩურჩულა. ვერ მოახერხა ეს, საამისოდ ძალა არ ეყო. ეამა და თანაც შეეშინდა, უფრო მეტად შეეშინდა, ვიდრე იქ, ლენინგრადში, რადგან აქ, ამ პატარა ქალაქში ისინი განმარტოებული, თითქოსდა მთელ ქვეყანას მოწყვეტილი იყვნენ.

ვერამ გაუბედავად დაადო ხელისგული ვაჟის ხელს ისე, რომ ჯერ არც კი იცოდა, მის მოსაცილებლად გააკეთა ეს თუ, პირიქით, ალერსითვე უპასუხა. მაგრამ როგორც კი იგრძნო მისი ხელისგულის სითბო, მიხვდა, ამ სითბოს შეგრძნების შეწყვეტის მიზნით იგი არაფერსაც არ გააკეთებდა. ასე იყო წინათაც. ანატოლი ეხვეოდა მას კინოდარბაზების სიბნელეში, დამშვიდობებისას კოცნიდა, მაგრამ ჰაშინ ქალიშვილი შიშს არ გრძნობდა.

ახლა კი ყველაფერი სხვაგვარად შეიგრძნობოდა...

როგორც იქნა, ფილმი დამთავრდა. დარბაზში შუქი აანთეს. ისინი ქუჩაში გამოვიდნენ. კინოთეატრთან მომდევნო სეანსის მომლოდინე ხალხი შეჯგუფულიყო.

— მესამეჯერ ვუყურებ ამ მონაჩმახს, — თქვა ანატოლიმ. — და მესამედაც მსიამოვნებს. ბრაზიც კი მომდის. შენ მერამდენეჯერ უყურებ?

— მეც მესამეჯერ, — უპასუხა ვერამ. — ძალიან კარგი მსახიობია ფრანჩესკა გალი, ოღონდ ძნელი წარმოსადგენია, რომ ეს ხდება გერმანიაში.

— სახელდობრ რა?

— აი, მთელი ეს ცხოვრება... იდამიანებიც ეგეთი მშვიდობიანები არიან, მახვილგონიერნი, კეთილმოსურნენი...

— მე მგონია, ფილმი ავსტრიაშია გადაღებული და არა გერმანიაში.

— ჰოდა, გაზეთებში წერენ, არც ავსტრიაში ყოფილა ტკბილი ცხოვრება. ისე კი... იცი, ახლა რა გავიფიქრე? რაიმეს ხომ არ ვაზვიადებთ მეთქი.

— რა მხრივ?

— იქნებ, ყველაფერი, რაც იქ ხდება, არ ეხება... აბა, როგორ გამოვთქვა, მთელ ხალხს? სადღაც რაღაცას არბევენ, ვიღაცას სცემენ, აწამებენ, ხალხის ყურამდე კი ეს არც მიდის და იგი კვლავ თავისი ცხოვრებით განაგრძობს ცხოვრებას. აი, სწორედ იმ ცხოვრებით, რომელიც ახლა ვნახეთ ნუთუ შეიძლება ასე იყოს?

— ჯერ ერთი, ის, რაც ახლა ვნახეთ, ხალხის ცხოვრება არ არის, — დამრიგებლურად თქვა ანატოლიმ. — სერიოზულად თუ მივუდგებით, სწორედ ეს „პეტერი" ტიპიური წვრილბურჟუაზიული ფილმია და სხვა არაფერი. სურთ დათესონ ილუზია, რომ ბედნიერება ხელმისაწვდომია ყოველი...

— შენ არ უპასუხე ჩემს კითხვას.

— შენს კითხვაზე პასუხის გაცემა ძალიან ადვილია. ფა-

შიზმის საშიშროების შემცირებულად წარმოდგენა სერიოზული შეცდომის დაშვებას ნიშნავს.

— მე არ ვუშვებ „სერიოზულ შეცდომას“, — უწყინარი ირონიით თქვა ვერამ, — უბრალოდ მაინტერესებს. თუ შეიძლება აგრე იყოს. რაღაც საშინელი, უჩვეულო ხდება, გვერდით კი ცხოვრება მშვიდად მიედინება. და იმასა და ამას შორის თითქოს კედელი აღმართულა.

— რა თქმა უნდა, ობივატელებისთვის ცხოვრება ყოველთვის...

— ცხადია, შენ მართალი ხარ, — შეაწყვეტინა ვერამ.

მთავარ ქუჩაზე სეირნობა იყო გამართული. ხალხი ნელა მიჰყვებოდა ტროტუარს; ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ გაზიანი წყლის სატურატორთან, ბურახიან კასრთან, ხედებოდნენ ნაცნობებს, შუა ტროტუარზე ერთად ჩერდებოდნენ და სხვა მოსეირნეთ იძულებულს ხდიდნენ გზა აევლოთ მათთვის; მოსეირნეთა შორის დაძერებოდნენ ბიჭუნები, რომლებსაც პირში შაქარყინულის მამლები ედოთ და გარეთ მარტო ჩხირები-ღა გამოეყოთ. უჩინარი რეპროდუქტორი ქალაქს დუნაევსკის სიმღერათა მელოდიებს აფრქვევდა.

ახლა ისინი მიდიოდნენ ტროტუარიდან ცოტა მოშორებით, უშენ ადგილზე გამართულ ტირთან, რომელიც კაშკაშა შუქით განათებისა და შეღებილ სამიზნეთა გამო თოჯინების თეატრს მიაგავდა.

თარჯთან ბავშვები შეჯგუფულიყვნენ.

— მოდი, ცოტა ხანს ვისროლოთ? — მოულოდნელად შესთავაზა ანატოლიმ.

„ეს რა ბავშვობაა!“ — გაიფიქრა ვერამ, მაგრამ ანატოლიმ მას უკვე მიარბენინებდა ბარიერისაკენ, რომელიც მაღაზიის დახლივით ფართო იყო და თან ელაპარაკებოდა:

— შენ არასოდეს არ გინახავს, როგორ ვისვრი, ხომ? არასოდეს? ახლა ნახავ!..

ანატოლიმ ქაღალდის მანეთიანი გაუწოდა დახლს იქით ტაბურეტზე მჯდარ კაცს და უთხრა:

— ამისი სულ. თუ ქვეიფია, ქვეიფი იყოს.

კაცი წამოდგა. ვერამ შეამჩნია, რომ მას ცალი ფეხი ხისა ჰქონდა, კაცმა იატაკზე მდგარ მუყაოს დიდ კოლოფში ხელი მოაფათურა და ანატოლის გაშვერილ ხელისგულში ერთი მუქა წვრილი, მუქი-ნაცრისფერი ტყვიები ჩაუყარა. შემდეგ შაშხანა მიაწოდა.

— აბა, მითხარი, რა გინდა რომ მოვკლა? — ჰკითხა ანა-

ტოლიმ. მკვეთრი მოძრაობით ორად მოკეცა შაშხანა და ვაზნა ლულაში ჩადო. — კურდღელი?

ვერამ სამიზნეს შეხედა. თითქოს იქ, მათგან ათიოდე მეტრის დაშორებით, რაღაც უცნაური, საოცარი სამყარო თავისი საკუთარი ცხოვრებით ცხოვრობდა. კბილებს კრეჭდა ფაშისტი, რომელსაც გულის მაგივრად შავი, ობობასებური სვასტიკა ჰქონდა. მთელი სისწრაფით სადღაც გარბოდა კუდაპრეხილი კურდღელი. მურა დათვი უკანა თათებზე შემდგარიყო. ლურჯ ცაზე დასრიალებდა ფრთაგაშლილი არწივი. არაბუნებრივად მწვანე ბარდების თავზე მიფრინავდნენ იხვები. იქით გოპაკს ცეკვავდა „ბატკა“ მახნო.

— კურდღელს ნუ ესვრი, ჯობია ფაშისტს ესროლო, — უთხრა ვერამ.

— სიკვდილი ფაშიზმს! — მხიარულად გამოეხმაურა ანატოლი და შაშხანა მოიმარჯვა.

ბიჭები განაბულიყვნენ და გაფაციცებით უცქეროდნენ მას. გაისმა სროლის ხმა. ფაშისტური სვასტიკა — გული — შეტრიალდა, ჩამოვარდა და ახლა მომწვანო-ნაცრისფერი მუნდირიანი ფიგურის მუცელზე გადაინაცვლა.

ანატოლიმ შაშხანა ჩამოუშვა და ღიმილით მიუბრუნდა ვერას.

— აბა, ახლა ვინ მოვკლა? თუმცა, ვიცი, — გაიცინა მან, — შენ კლასობრივი მტრების მოკვლა გირჩევნია.

მან ხელახლა გატენა თოფი, ასწია და თითქმის დაუმიზნებლად გაისროლა. მახნოს ბანჯგვლიანი თავიდან ბოხოხი განზე გადავარდა.

— აი, მესმის! — ღლაცებით ჩაილაპარაკა თარჯთან შეჯგუფული ბიჭებიდან რომელიღაცამ. ისინი უფრო მჭიდროდ შემოერტყნენ გარს ანატოლის.

— აბა, ახლა ვინ? ყველანი ზედიზედ?.. — ჰკითხა მან. — ჯერჯერობით რვა ვაზნა კიდევ დამრჩა.

— იცი, რას გეტყვი, ჯობია გავისეირნოთ. თავი მიბრუის ამ სროლისაგან, — უთხრა ვერამ, თან ეშინოდა გულახდილად ეთქვა, რომ მას სრულიად ბავშვურად შეებრალა ეს უშნო დათუნები, კურდღლები და ფრინველები, რომლებიც ახლა ანატოლის სამიზნეები უნდა გამხდარიყვნენ.

— ამ ვაზნებს რა ვუყო? — დაბნეულად ჰკითხა ანატოლიმ.

— ვაზნები ბიჭუნებს მიეცი. მათაც სურთ სროლა. ფული კი არა აქვთ. ხომ მართალია, ბიჭებო?

— იდეაა! — წამოიძახა ანატოლიმ და დახლზე გროვად

დაყრილ ვაზნებზე ბიჭებს თითით ანიშნა. — დააფრინ-
დით!

რამდენიმე წყვილი ხელი ელვის უსწრაფესად წარიმარ-
თა დახლისაკენ.

— როგორ მოგეწონა, — ღიმილით ჰკითხა ანატოლიმ,
ტირიდან რომ გამოვიდნენ, — ხომ ვარ ტალანტი?

— ღმერთმა ქნას, მაგ ტალანტის გამოყენება არასოდეს
დაგჭირვებოდეს, — წყნარად და რაღაცნაირად დედაბრული
მწუხარებით თქვა ვერამ.

— შენ რას გულისხმობ? — უცბად დასერიოზულდა ანა-
ტოლი. — „თუ ხვალ ომი დაიწყო?" სამწუხაროდ, ომი გარ-
დაუვალია. ამას შენი მაიორიც კი დაადასტურებს. — უკანას-
კნელ ფრაზაში მან ირონიაც გაურია.

მაგრამ ვერამ ამას ყურადღება არ მიაქცია. მან უცებ
გაიფიქრა, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში „ომი"
ყოველთვის სიტყვა „გარდაუვალის" გვერდით იხმარებოდა.

ორი თითქოს ერთმანეთს შეზრდილი სიტყვა: „ომი გარ-
დაუვალია"... ეს უკვე როგორღაც თავისთავად იგულისხმე-
ბოდა. მას არ ახსოვდა არც ერთი საჯარო სიტყვა, არც ერთი
საერთაშორისო მდგომარეობისადმი მიძღვნილი საგაზეთო
სტატია, რომელშიც ომის საშიშროებაზე არ ყოფილიყო ლა-
პარაკი. ამ აზრით იყო გამსჭვალული მრავალი თანამედროვე
რომანი, კინოსურათი, უპოპულარული სიმღერა. მას უკვე
ყველა შეეჩვია. და გეგონებოდა, თუ ხვალ უცბად გამოაც-
ხადებდნენ, ომი დაიწყოო, ეს არავისთვის არ იქნებოდა
მოულოდნელი.

— რას გაჩუმებულხარ? — ჰკითხა ანატოლიმ.

— არ ვიცი, — უპასუხა ვერამ. — ალბათ, იმიტომ, რომ
ომზე ვფიქრობდი. საშინელება იქნება, თუ იგი მართლა
დაიწყება. ასე მგონია, მხოლოდ ახლა ვიწყებთ ნამდვილ
ცხოვრებას. მამაჩემიც ყოველთვის ასე ამბობს, დედაჩემიც.
ხან ნგრევა, ხან შიმშილი, ხან წიგნაკები... ის აღარ არის,
ეს აღარ იშოვება... ახლა კი ყველაფერი სხვანაირად არის.

— აი, ამ ვიტრინებში მეტი ფართო მოხმარების საქონე-
ლია, — თქვა ანატოლიმ.

— კინოზე ამბობ? ჰო. ოღონდ ვერ წარმომიდგენია, თუ
შეეძლებდი იმათებურად მეცხოვრა. შენ?

— მე ეგეთი ცხოვრება მეზიზღება, — დაბეჯითებით მი-
უგო ანატოლიმ, — გონებაჩლუნგი მეშჩანები. გუშინდელი
დღე დღევანდელს ჰგავს და ხვალინდელიც ასეთივე იქნება.
ყველაფერი პატარა, ვიწრო მდინარის მღვრიე წყალივით

მდორედ მიედინება... იცი, — ხმის დაწევით უთხრა, მან, — ხანდახან მინდა, რომ ომი მალე დაიწყოს.

— რას ამბობ, ხომ არ გაგიჟდი?

— არა, არა, მე ყველაფერი მესმის... ყველაფერი. ომი — უბედურებაა... მაგრამ მგონია, მასში მალე მოვნახავდი ჩემს ადგილს. რატომაც არა? სროლა ვიცი...

— გაჩუმდი!

— რა თქმა უნდა, ყოველივე ეს რამდენადმე... სულელურად ეღერს, — თქვა ანატოლიმ. — და მაინც მე... აბა, რა-გორ აგიხსნა, მინდა ნამდვილი ბრძოლა, საშიშროებანი, რაღა... მე მესმის, ამის თქმა ბავშვობაა. მაგრამ გულწრფელად ვამბობ. ხანდახან მეჩვენება, როცა ინსტიტუტს დავამთავრებ, უკვე ყველაფერი უკან მოტოვებული მექნება. ყოველივე მთავარი აშენებული იქნება, ძირითადი საქმეები გაკეთებული... აბა, იფიქრე, უკვე რამდენი რამ გამოგვრჩა: კომსომოლსკი — უჩვენოდ აშენდა, კუზნეცკი და მაგნიტოგორსკი — უჩვენოდ, დნეპროსტროი — უჩვენოდ. ყოველივე მთავარი — უჩვენოდ. მაგრამ ომი კი გვერდს ვერ აგვივლის!

— გაჩუმდი! — კვლავ უთხრა ვერამ.

ვაჟი გაჩუმდა.

ვერაც დუმდა. მაგრამ ანატოლის ბოლო სიტყვებმა ბიძგი მისცა მის ფიქრებს. მან გაიფიქრა: „ვინ იცის, რა მოხდება, თუ ომი იქნება?..“ ასეთი შეშფოთებით უწინ არასოდეს არ უფიქრია ამაზე და ამასწინანდელი ამბები რომ არ მომხდარიყო, ალბათ, ვერც კი წარმოიდგენდა, თუ რას ნიშნავს „ომი.“ წიგნებში, რომლებიც წაუკითხავს ვერაა, კინოსურათებში, რომლებიც უნახავს, არაიშვიათად ასახული იყო ომები — მსოფლიო და სამოქალაქო. მაგრამ ის იყო შორეული და როგორღაც არარეალური. თითქოს მასში მონაწილეობდნენ სულ სხვა ადამიანები, რომლებიც არ ჰგავდნენ იმათ, რომელთა შორის ვერა ცხოვრობდა. მათ მხოლოდ ძველი ალბომების ფოტოსურათებით იცნობდა. — ულვაშოსნებს, წვეროსნებს, ჩაცმულებს ისე, როგორც უკვე აღარავინ იცვამს დღეს... ქალაქები და სოფლები, სადაც ეს ადამიანები ცხოვრობდნენ, კერძო მესაკუთრეთა გრძელი და ფართო ფირნიშიანი სახლებით, ქუჩები კომიკური, თითქოს ჰაერით გაბერილ ტლანქ პოლიციელთა ფიგურებით, დაუვარცხნელი, ქალამნიანი გლეხები — ყველაფერი ეს ვერას თეატრალურ რამედ ეჩვენებოდა. ისე შორეულად, როგორც

ყველაფერი ის, რის შესახებაც ისტორიის სახელმძღვანელოში წაუკითხავს ხოლმე.

სამოქალაქო ომი მისთვის უფრო ნაცნობი ამბავი იყო: მასში ხომ მამამისი მონაწილეობდა, რასაც ხშირად გაიხსენებდნენ ხოლმე. თუმცა, ვერას ეს ომიც შორეულად, მარადისობაში ჩაძირულად ეჩვენებოდა, ისევე როგორც მისთვის მხოლოდ წიგნებითა და კინოფილმებით გაცნობილი მთელი სამყარო. სამყარო ასფალტის მოსადუღებელ ქვაბებში ღამის მათევარი უპატრონო ბავშვებისა, მეტომრეებით გაჭეღილი ვაგზლების, სატვირთო მატარებლების სახურავებზე მოკალათებული მგზავრების, ცხენებზე ვაქაცურად ამხედრებული ბუდიონოველებისა და თეთრგვარდიელი ოფიცრების, რომლებიც ვიდრე ტყვედ ჩავარდნილ წითელარმიელთა წამებას შეუდგებოდნენ პორტსიგარებს ატაცუნებდნენ და პაპიროსს სთავაზობდნენ მათ.

კარელიის ყელზე ამასწინათ მომხდარმა ამბებმა ვერას შეგნებაში სიტყვა „ომი" კონკრეტულად შესაგრძნობი გახადა, ვინაიდან ახლა უკვე არა რომელიღაც, მისთვის ნაკლებად ნაცნობი ქალაქი, არამედ მისი მშობლიური ლენინგრადი ყოველღამ სიბნელეში იძირებოდა ხოლმე და ადამიანები, რომლებიც გუშინ ქალიშვილის გვერდით იყვნენ, დღეს ფრონტზე მიდიოდნენ...

ყოველგვარ უბედურებას ადამიანი მით უფრო ძლიერ აღიქვამს, რამდენადაც მეტი აქვს დასაკარგი. ახლა ვერა თავის პირველ ნამდვილ სიყვარულს განიცდიდა და ფიქრი იმაზე, რომ ახალი ომის შედეგად იგი დაკარგავს ანატოლის, აუტანელ საშინელებად ეჩვენებოდა.

იქნებ იმიტომ გამოჰკითხა ამ რამდენიმე თვის წინათ ასე დაჟინებით, ასე დაწვრილებით ამასწინანდელი ომის შესახებ ალექსი ზეიაგინცევს, რომ ქვეცნობიერად სურდა გაეგო. შეძლებდა თუ არა ომის დროსაც არ განშორებოდა ანატოლის. ყოფილიყო იქ, სადაც ანატოლის მოუხდებოდა ყოფნა.

იმაში კი, რომ ანატოლი ომის პირველი დღიდანვე ფრონტზე მოხვდებოდა, ვერას ეჭვი არ ეპარებოდა.

... იმ წუთში ანატოლი საკუთარ ფიქრებში იყო, თუ ინტუიციით ვერას შეშფოთება იგრძნო, დაბეჯითებით თქვა:

— საერთოდ კი ახლო მომავალში არავითარი ომი არ იქნება.

— რატომ ხარ ასე დარწმუნებული? — აჩქარებით ჰკითხა ვერამ, რომელსაც ამ წამს ყველაფერზე მეტად სურდა

მოესმინა ისეთი სიტყვები, ამ უეცარ მღელვარებას რომ გაუფანტავდნენ.

— იმიტომ, რომ ჰიტლერს შეეშინდება ახლა ჩვენსკენ წამოსვლა. — დარწმუნებით თქვა ანატოლიმ.

— მამაჩემი ამას წინათ ქალაქკომში იყო თათბირზე, — ხმის დაწევით თქვა ვერამ, — იქ უთქვამთ, რომ შესაძლოა ყველაფერი მოხდესო.

— ჰო, ამას სიფხიზლის მიზნით იტყოდნენ! ჩვენც გვქონდა ამას წინათ კომკავშირის კრება, პოლკის კომისარი გამოვიდა... მაგრამ ყველასათვის, ვინც კი პოლიტიკაში ერკვევა, ნათელია, რომ ჯერჯერობით ომი არ იქნება. საკდესის ცნობა თუ წაიკითხე?

— კი, წავიკითხე. — წყნარად თქვა ვერამ.

— ჰოდა, ასე! ასეთ ამბებს ტყუილუბრალოდ როდი აქვეყნებენ, — დარწმუნებით თქვა ანატოლიმ.

მან მკლავში ხელი გაუყარა ვერას. მისმა მტკიცედ ნათქვამმა სიტყვებმა და მისმა შეხებამ ვერა დაამშვიდა. მართლაც, ასე უცბად რამ აფორიაქა? და რატომ წამოიწყეს ლაპარაკი ომზე? რა შუაშია აქ ომი? ყველგან სიწყნარე და სიმშვიდეა. ანატოლი გვერდით ჰყავს. წინ უამრავი კარგი სასიხარულო დღეა...

— საით მივდივართ? — ჰკითხა ვერამ, როცა მთავარი ქუჩიდან დაუხვიეს და ქვევით მიმავალ ცუდად განათებულ შესახვევს გაჰყვნენ.

— მდინარისაკენ, — რაღაც გადაჭარბებული უდარდელობით მიუგო ანატოლიმ, — აქ მშვენიერი პატარა მდინარეა. დღისით ვიბანავე კიდეც. ზნამენკა იცი?

აბა როგორ არ ეცოდინებოდა! წყნარი, ალერსიანი პატარა მდინარეა. ასიოდე მეტრი დალმართია, შემდეგ უნდა გაუხვიო მარჯვნივ და ისევ მარჯვნივ. ოღონდ იქ ნაპირი საკმაოდ მაღალი და ფლატეებიანია. თუ ცოტას გაივლი, იქით დამრეცი, ქვიშნარია.

ვერამ მალულად დახედა საათს. თერთმეტის ნახევარი იყო.

— მომისმინე, ტოლია, უკვე გვიანია, — უთხრა ვერამ და მისი ხმა მოულოდნელად მუდარასავით შესაბრალისად გაისმა.

— მერე რა? — მხიარულად გაეხმაურა ანატოლი. — შინ არც მამიკოა და არც დედიკო, ვისი უნდა გეშინოდეს...

მას ხელი ჩაეკიდა ვერასათვის და წინ მიუძღოდა.
ასფალტი მოთავდა. ახლა ისინი ბინდში ოღროჩოღრო ნაპირს მიუყვებოდნენ.

მიდიოდნენ ისინი სიბნელეში მდინარის ფლატეებიანი ნაპირისაკენ. ვერამ იცოდა ეს გზა. გასულ წლებში არაერთხელ უვლია აქ მარტოს. მაგრამ ეს იყო დღისით, ახლა კი თანდათან უფრო ღამდებოდა. ცა იყო უმთვარო, ქარი სულ უფრო ძლიერდებოდა და უცებ აცივდა კიდეც.

— საით მივდივართ? — კვლავ ჰკითხა ვერამ.

— მდინარისაკენ... იქ დავსხდეთ, — უპასუხა ანატოლიმ ყრუდ, ფარული მღელვარებით.

უეცრად იგი შეჩერდა და თქვა:

— აქ!

იგი მოწყვეტით დაეშვა მიწაზე, თან ვერაც მიიზიდა. ისიც დაჯდა, რაღაც ეკლიან ტოტზე მუხლი მტკივნეულად გაიფხაჭნა და იმწამსვე ანატოლიმ ხელი მოჰხვია და მაგრად ჩაიხუტა.

— არ გინდა... ტოლია! — ჩაიჩურჩულა ვერამ, თან მსუბუქი ხელის კვრით მოიშორა იგი.

— არა, ასე, ასე მინდა! — გაიგონა ქალიშვილმა მისი ხრინწიანი ხმა. — დავიღალე, გესმის, დავიღალე. შენ არ გიყვარვარ, ან არა გჯერა ჩემი...

— არა, არა, მიყვარხარ, მჯერა, — ძლივს გასაგონად ეუბნებოდა ვერა.

მაგრამ ვაჟს აღარ ესმოდა მისი ნათქვამი. ქალიშვილსაც აღარ ესმოდა თავისივე სიტყვები. გული ისე უცემდა, რომ ეს ხმა ქვეყნად ყველაფერს, ყველაფერს ახშობდა; იგი ირგვლივ ვერაფერს ხედავდა და ვეღარაფერს გრძნობდა, ვეღარაფერს, გარდა ვაჟის მკლავებისა, გარდა მისი ხელისგულებისა, გარდა თითებისა, რომლებიც თითქოს მას მთლიანად, მისი სხეულის ყოველ ნაწილს ფარავდნენ.

ქალიშვილი შიშმა შეიპყრო. მაგრამ ეს იყო ახალი, მანამდე უცნობი შიში, ანგარიშმიუცემელი, რაღაც გარდაუვალის მოახლოებასთან შერწყმული.

— ტოლია, ტოლენკა, მოიცა, მოიცა! — წამოიძახა მან.

და უცებ იგრძნო, რომ თავისუფალია. წამის წინ ეგონა, რომ გალიაშია დამწყვდეული, უხილავ ცხელ კედლებში ჩაჭედილი. ახლა კი თითქოს კედლები ჩამოინგრაო, ცივმა ქარმა დაჰკრა და თავით ფეხებამდე დაუარა...

— მაშ კარგი, — გაიგონა მან ანატოლის უცხო ხმა, — კარგი, ასე იყოს. აქედან და აქამდე. ყველაფერი ზუსტია. ყველაფერი მოზომილია. სწორედ ამას ჰქვია სიყვარული...

ვაჟი უწინდებურად აქ, გვერდით იყო, მაგრამ მისი სიტყვები თითქოს საიდანღაც შორიდან მოისმოდა.

— არა, ტოლია, არა, — სასოწარკვეთილებით უთხრა ვერამ, — შენ არა ხარ მართალი. მე მიყვარხარ, შენზე მახლობელი არავინ არა მყავს, უბრალოდ მეშინია, რომ ჩემგან წახვალ...

— წავალ? — გაოცებით ჩაეკითხა ანატოლი და ვერამ იგრძნო, როგორი გაღიზიანებით აუთრთოლდა მას მხრები. — აჰა... აი თურმე რას ფიქრობ...

— არა, არა! — ქალიშვილმა ისე ჩაავლო მხრებში ხელი, თითქოს უნდოდა დაეკავებინა იგი. — შენ ვერ გამიგე. უბრალოდ მეშინია, ამის მეშინია, ბოლოსდაბოლოს ხომ შეგიძლია გამიგო!...

მოულოდნელად ვერამ იგრძნო, რომ რაღაცამ ყელში წაუჭირა, იგი აქვითინდა,

— ვერა, ვეროჩკა, რა მოგივიდა, რა მოგივიდა? — შიშითა და თანაგრძნობით იმეორებდა ანატოლი. — კარგი, გეყოფა, მაპატიე.

— არა, არა, — შეაწყვეტინა ვერამ, — დაე ყველაფერი იყოს, დაე, მე არ მინდა, იფიქრო, რომ შენი მეშინია, რომ რაღაცაზე იმედს ვამყარებ, დაე, ყველაფერი იყოს, დაე!..

ქალიშვილმა მკლავები კისერზე შემოაჭდო და ათრთოლებით მიიზიდა იგი თავისკენ. და ისევ იგრძნო, როგორ დაფარეს მისი ტანი ვაჟის ვეებერთელა ხელისგულებმა...

უცებ ვერას თვალი მოსჭრა კაშკაშა სინათლემ. მათთან სულ ახლოს ორი ჭაბუკი იდგა. ერთ მათგანს ხელში ჯიბის ფარანი ეჭირა.

მოულოდნელობისაგან ვერამ მკვეთრი ხელისკვრით მოიცილა ანატოლი, ხოლო ჯერ კი ვერაფერს ხედავდა, გარდა თვალებში მიშუქებული სინათლის მძაფრი სხივისა. გაისმა ხმამაღალი, გაზვიადებით ხმამაღალი, თავხედური სიცილი.

მაგრამ წამიც და სიცილი მოულოდნელად შეწყდა, რადგან ანატოლი ეცა მასთან ახლოს მდგარ ჭაბუკს. ფარანი დავარდა და ახლა უზარმაზარ ციცინათელასავით ეგდო ბალახში. მიწაზე გართხმულ შუქში ბალახის ღეროები არაბუნებრივად დიდად და მსხვილად მოჩანდნენ. ისინი ჩხუბობდნენ უხმოდ, გაშმაგებით, მაგრამ ცოტა ხანს. შემდეგ ვერამ გაი-

გონა დაცემის ხმაური, წყლის ტლაშუნი და სიცილი, ამჯერად მოკლე და ნაწყვეტ-ნაწყვეტი.

— ტოლია, ტოლია! — დაიყვირა ვერამ.

ფარნის შუქი ისევ ზეაღიმართა, შემდეგ იქით, ქვევითკენ გადაინაცვლა და ვერამ დაინახა, რომ ანატოლი მუხლამდე წყალში იდგა.

— ტოლია, ტოლია! — ეძახდა სასოწარკვეთილი ვერა. ახლა-ღა შეამჩნია, რომ მისგან ორ ნაბიჯზე ფლატე იყო. ფეხზე წამოიჭრა, ნაბიჯი გადადგა ფლატისაკენ...

ერთ-ერთმა ბიჭმა უხეშად სტაცა ხელი მხარში და სიცილით უთხრა:

— შემიძლია შევენაცვლო, ქალიშვილო! რაღად გინდა ეგეთი... ამოლუმპული...

— მე შენ გიჩვენებ, არამზადავ! — გაისმა ქვემოდან ანატოლის ხმა.

შემდეგ კვლავ გაისმა დაცემის ხმაური. ეტყობოდა, ანატოლი ცდილობდა ფლატეზე ზემოთ ამოცოცებას, მაგრამ ფეხი დაუცურდა და ისევ ჩავარდა.

ის ორნი იცინოდნენ.

ვერა ვერ ხედავდა მათ სახეებს. ესმოდა მხოლოდ მათი ხმები, მათი თავხედური სიცილი. ქალიშვილი ანგარიშმიუცემლად მკვეთრად მოტრიალდა და სცადა სახეში სილა გაეერტყა ბიჭისათვის. მაგრამ ვერ მოახვედრა, ბიჭმა ადვილად აიცდინა, ისევ მიანათა ფარნის შუქი ანატოლის, რომელიც დაბნეული იდგა ნაპირზე და წყალი წურწურით ჩამოსდიოდა. შემდეგ შუქმა კვლავ ვერა გაანათა.

— თავი დაანებე მაგას, კოლტია, — ზოზინით უთხრა მეორე ბიჭმა, — მე მაღალხარისხოვანი საქონელი მეგონა. ეგ კი, ისე რა... ჭივჭავია...

ფარნის სინათლე ჩაქრა და ვერას ესმოდა როგორ ტაკაცუნობდნენ შტოები იქით მიმავალთა ფეხქვეშ.

— ღობეზე გადაკიდე შენი არშიყი, დე გაშრეს! — მოისმა შორიდან. და ისევ სიცილი, მერე ყველაფერი ჩიყუჩდა.

— ტოლია, საყვარელო, როგორა ხარ? — შესძახა ვერამ.

მას მოესმა ვაჟის ნელი ნაბიჯების ჭყაპუნი მარჩხობზე.

— ტოლია, მომიცადე, ახლავე ჩამოვალ შენთან! — თითქმის ტირილით თქვა ვერამ, თან სიბნელეში ამაოდ ეძებდა ჩასასვლელს.

სიჩუმე. არავითარი გამოხმაურება. მხოლოდ იქით მიმავალი ნაბიჯების ჭყაპუნის ხმა მოისმის ქვემოდან.

— ტოლია, ტოლია! — კიდევ ერთხელ სასოწარკვეთილებით დაიყვირა მან.

ანატოლი პასუხს არ იძლეოდა. სირცხვილისა და დამცირებისაგან გაოგნებული უხმოდ მიჰყვებოდა მდინარის ნაპირს.

წვიმა წამოვიდა. სულ უფრო ძლიერ ქროდა ცივი ქარი. ანატოლი კი მიდიოდა და მიდიოდა ნაპირზე, გზის გაურჩევლად და ცდილობდა, რაც შეიძლებოდა მალე გასცლოდა ამ ადგილს...

ვერა დარწმუნებული იყო, რომ ანატოლი დილით უსათუოდ მოვიდოდა მასთან. მაგრამ იგი არ ჩანდა. მან იცოდა, სადაც ცხოვრობდა ანატოლი, მაგრამ მისვლა ვერ გადაეწყვიტა.

მთელი ღამე თეთრად გაათენა. ეჩვენებოდა, თითქოს იდგა ისევ იქ, უმწეო, ფარნის შუქმინათებული და ყველა ხედავდა.

ანატოლიზე იგი წყენანარევი სიბრალულით ფიქრობდა. ესმოდა, თუ რა განცდა ექნებოდა მას, როცა მთლად შლამში ამოსვრილი მუხლებამდე წყალში იდგა და ხულიგნები დასცინოდნენ.

და ყოველივე ეს ხომ მან ვერას გულისთვის გადაიტანა.

დიახ, ვერას ესმის: გაღიზიანება, მამაკაცური თავმოყვარეობა, უმწეობის განცდა, მთელი სიტუაციის კომიკური სისაძაგლე... და მაინც როგორ შეძლო მან წასულიყო, მარტოდმარტო მიეტოვებინა იგი ნაპირზე ღამით!.. ის ბიჭები რომ დაბრუნებულიყვნენ?..

დიახ, მას შეეცოდა ვაჟი, შეეცოდა თავისი თავიც. ვერას სირცხვილის ალმური ეკიდებოდა სახეზე, როგორც კი გაახსენდებოდა, რაც მოხდა. მაგრამ მაინც ვერ აიძულა თავი წასულიყო ანატოლისთან.

„იგი მოვა, — არწმუნებდა თავს ვერა, — არ შეიძლება არ მოვიდეს. შეუძლებელია, ვერ მიხვდეს, რას განვიცდიმე ახლა. იგი მოვა!“

მაგრამ ანატოლი არ მოდიოდა.

...ვერა მთელ დილას ელოდა მას. მერე მეტი ვეღარ მოითმინა; მოდი მდინარეზე წავალო, თქვა და კაბის ქვეშ საცურაო კოსტუმი ჩაიცვა, ჩანთაში ჩაიწყო ხალათი, რეზინის ქუდი, პირსახოცი და შინიდან გამოვიდა, მაგრამ მდინარისაკენ არ წასულა. ანგარიშმიუცემლად გაემართა იმ ქუჩისაკენ,

სადაც ანატოლი ცხოვრობდა, იმ იმედით, რომ შემთხვევით მას შეხვდებოდა.

არა, ვერ შეხვდა. შორიდან შეავლო თვალი იმ სახლს, სადაც ანატოლი დაბინავდა; ანატოლიმ ის ჯერ კიდევ გუშინ დაანახვა, როცა კინოს შემდეგ ქალაქში გაიარეს. ეს პატარა ერთსართულიანი ხის სახლი ადვილი მისაგნები იყო წყალსადენის წერტილით, რომელიც იქვე შავად მოჩანდა...

იგი ოციოდე წუთს იდგა, სახლს უთვალთვალა, მაგრამ ორსაფეხურიან მოჩუქურთმებულ კიბეზე არავინ გამოჩენილა. სახლში არავინ არ შესულა და შიგნიდან არავინ გამოსულა.

ვერას სმენამდე მოაღწია შორეულმა კაკუნმა, თითქოს კოდალა აკაკუნებსო. რამდენიმე წამი გავიდა, სანამ იგი მიხვდებოდა, რომ ეს ქუჩის რეპროდუქტორი გადმოსცემდა ზუსტი დროის სიგნალებს.

მან უნებურად დაიხედა საათზე. თერთმეტს ერთი წუთი უკლდა. მხოლოდ თერთმეტია!.. ამან იგი ცოტა დაამშვიდა. ჯერ ადრეა. ასაღელვებელი არაფერია. იქნებ ეს-ეს არის გაიღვიძა ან იქნებ ჯერ კიდევ სძინავს. ან იქნებ ახლახან გავიდა შინიდან და ერთმანეთს ასცდნენ.

ვერა მოტრიალდა და უკან დაბრუნდა. მაგრამ მდინარისაკენ კი არ წასულა, შინისაკენ გაემართა. იფიქრა, ანატოლი შეიძლება სწორედ შინ მოვიდეს, როცა იგი შინ არ იქნება და ფეხს აუჩქარა.

ახლა უჩინარი რეპროდუქტორებიდან სიმღერა ისმოდა. „საყვარელ ქალაქს შეუძლია მშვიდად იძინოს“... — გარკვევით გამოთქვამდა მომღერალი მამაკაცი.

„რა სისულელეა, რომ აქ დილიდან საღამომდე ღრიალებს რადიო“, — გაჯავრებით გაიფიქრა ვერამ. ეს აზრი მას მხოლოდ ახლა დაებადა. გუშინ იგი რეპროდუქტორის ხმას არც კი უსმენდა. ხოლო ახლა გაახსენდა, რომ გასულ წლებშიც რადიო აქ მთელი დღე, დილიდან შუაღამემდე, ხმაურობდა. ჩანს, ასე იყო მიღებული. სიმღერები, ლექციები, პიესები — ყველაფერი ზედიზედ...

ათი წუთის შემდეგ იგი ისევ თავის ოთახში იყო. არა, არავინ არ მოსულა, არავის არ უკითხავს იგი.

მოულოდნელად ვერას მწარე აზრი დაებადა: „იგი აქედან გაემგზავრა!“ ჯერ კიდევ ამ დილით ლენინგრადში გაემგზავრა. მოხდა ის, რისიც ქალიშვილს მთელი ამ თვეების მანძილზე ეშინოდა. ანატოლის, ალბათ, ყველაფერი მობეზრდა და წავიდა. მან ჯერ კიდევ გუშინ, იქ, ნაპირზე გადაწყ-

ვიტა წასულიყო. ვერამ საათს დახედა. თორმეტს თხუთმეტი წუთი უკლია. იგი არ არის. დარდისაგან ვერა საწოლზე დაემხო, სახე ბალიშში ჩარგო, რომ არაფერი დაენახა და არაფერი გაეგონა, მაგრამ ფარნის მკვეთრი, ხანჯალივით მახვილი სხივი, თითქოს ბალიშში გადიოდა და თვალებს სჭრიდა.

ყოველგვარი ტანჯვა, რის გადატანაც სხვადასხვა მიზეზით ადამიანს მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე უხდება, ფარდობითია და მისი ნამდვილი სიღრმე მხოლოდ შედარებისას შეიცნობა.

და ვერას რომ შეძლებოდა წარმოედგინა, თუ რის გადატანა მოუხდებოდა უახლოეს მომავალში, მაშინ ყველაფერი, რასაც ამ წუთში განიცდიდა, მწუხარებად კი არა, სიხარულადაც მოეჩვენებოდა.

დიახ, სიყვარულის გამო ამ პირველ თავზარდაცემას იგი შეიგრძნობდა, როგორც ბედნიერებას. ვინაიდან ეს მოხდა ჯერ კიდევ „იმ დღეებში", როცა მას ცა უღრუბლოდ, ცხოვრების წესი გონივრულად და უცვლელად ეჩვენებოდა. როცა დიდ საერთო სახალხო მწუხარებასა და გაჭირვებაზე წარსული დროით ლაპარაკობდნენ, უკაკშირებდნენ რა მათ სამოქალაქო ომს, ინტერვენციას, ნგრევას.

და თუმცა ქვეყნის ცხოვრება, რომელშიც, როგორც ერთი მემილიონედი, ვერას ცხოვრებაშიც ჩაქსოვილიყო, ულრუბლო სულაც არ ყოფილა. მის სირთულეთა და წინააღმდეგობათა შეცნობასა და ამოხსნას ადამიანები მრავალი წლის შემდეგ შეეცდებიან. ვერასა და მილიონობით მის თანამედროვეს ეს ცხოვრება ნათელი ფერებით მოსილ შემოქმედებითი შრომის ხანად წარმოედგინათ.

ადამიანთა თვალებში პირველი ხუთწლედების ჩირაღდანთა ანარეკლები კიაფობდნენ. სოციალური სიამაყე, საერთო საქმისათვის თავის განსაწირავად მზადყოფნა, შეგნება იმისა, რომ ისინი მსოფლიოს ახლებურად, სამართლიან საწყისებზე გარდამქმნელ მებრძოლთა პირველ რიგებში დგანან, განსაზღვრავდა მათ საქციელს...

ცხოვრება უკეთესი და საამური გახდა, ამას ეთანხმებოდნენ მოხუცებიც და ახალგაზრდებიც.

არა, ეს არ იყო სიუხვის წლები. ადამიანებს ჯერ კიდევ ბევრი რამ აკლდათ. მაგრამ ხანშესულთ შეეძლოთ შედარება მოეხდინათ. მათ თვალწინ წარსულს ჩაბარდა საბარათო სისტემა და მასთან ერთად გამოფხეკილი, მარტო რკოს ყავის ქილებითა და ლორის მულაჟებით მორთული ვიტრინები, გაუთავებელი რიგები კარტოფილსა და პურზე, გა-

თენებამდე რომ დგებოდნენ ადამიანები... ცხოვრება გაუჭ-ჯობესდა.

სიცოცხლე საამური გახდა და ეს პირველად ახალგაზრ-დობამ იგრძნო. ისინი ავსებდნენ უთვალავ საცეკვაო მოე-დანს, კაფეებს. ზაფხულში საღამოობით სახლების ფანჯრე-ბიდან ისმოდა პატეფონის ხმა, ესტრადებზე გრიალებდნენ ჯაზ-ორკესტრები... და გეგონებოდა მუდამ ასე იქნებოდა, რომ წლიდან წლამდე ცხოვრება უკეთესი. და უფრო საამუ-რი გახდებოდა.

და თუმცა უკანასკნელ ხანს ამ შეგრძნებას სულ უფრო ხშირად შეერეოდა ხოლმე ომის მუქარასთან დაკავშირე-ბული საშიშროების გრძნობა, მას არ შეეძლო ჩაეხშო ხალხ-ში რწმენა, რომ ხვალინდელი დღე დღევანდელზე უკეთესი, უფრო ნათელი და მდიდარი იქნებოდა.

ასე ფიქრობდა, ასე სჯეროდა ვერასაც.

მას ჯერ კიდევ რასთან უნდა შეედარებინა თავისი დღე-ვანდელი პატარა მწუხარება და ამიტომ ეჩვენებოდა იგი ზზომად და გამოუსწორებლად.

„მეც წავალ, — თავისთვის თქვა ვერამ, — მეც დაებ-რუნდები ლენინგრადში. აბა, რა გავაკეთო ამ მოსაწყენ, უგ-ვანო, ულმობელ პატარა ქალაქში“.

„მაგრამ, თუ იგი არ წასულა? — იმედით გაიფიქრა მან. — არა, სულ ერთია. მაშინ მე წავალ“.

იგი წამოიჭრა და აჩქარებით შეუდგა საკიდარებიდან თა-ვისი კაბების ჩამოხსნას. მერე საწოლის ქვემოდან ცარიელი ჩემოდანი გამოაჩოჩა, გახსნა...

ქვემოდან კარის ჭრიალი გაისმა. ეს, ალბათ, დეიდა მაშა დაბრუნდა ბაზრიდან. ოღონდ ზევით არ ამოვიდეს, ვერას სამზადისი არ დაინახოს...

ვერა უძრავად იდგა. დაე, დეიდა მაშას ეგონოს, რომ იგი შინ არ არის. საოჯახო საქმით გაერთოს, ღუმელი გაახუ-როს, ქვაბები და ჭურჭელი ააჩხრიალოს. მაშინ იმ ხმაურში ჩალაგებასაც მოასწრებს.

ქუჩიდან ღია ფანჯარაში რადიოს ხმა შემოდიოდა. „იწ-ყება ბელოკამენსკის სამშენებლო ტექნიკუმში შესვლის მსურველთა განცხადებების მიღება...“

სიტყვამ „სამშენებლო“ მისი ფიქრები ისევ ანატოლისკენ მიაბრუნა — იგი ხომ სამოქალაქო ინჟინერთა ინსტიტუტში სწავლობდა. ალბათ, ახლა უკვე მიქრის იმ მატარებლით, რო-

მელიც ბელოკამენსკიდან დილის 7 საათსა და 30 წუთზე გავიდა. ვერა ყოველთვის ამ მატარებლით ბრუნდებოდა შინ, ლენინგრადში. მგონი, არის კიდევ მეორე მატარებელიც, უფრო გვიან. აი იმით გაემგზავრება კიდეც დღეს. არა, განა იმიტომ, რომ იქ, ლენინგრადში, ანატოლი ნახოს. იგი მას აღარასოდეს არ ნახავს. აღარასოდეს! შეძლებს მოერიოს თავის თავს. ხვალვე დაიწყებს მეცადინეობას, მომდევნო სასწავლო წლისათვის მზადებას. ზაფხულობით კარგია საჯარო ბიბლიოთეკაში ჯდომა. დარბაზები ნახევრად ცარიელია...

და თითქოს მის დასაცინად, რადიორეპროდუქტორიდან სიმღერა მოისმა. მღეროდა გუნდი, სმენადობა ცუდი იყო, მაგრამ სიტყვები „შორეულ გზას გავუდგეთ", ვერამ ადვილად გაარჩია.

„ეგრე იყოს, მაშ გავუდგეთ გზას!" — გამწარებით გაიმეორა თავისთვის ვერამ. საწოლიდან კაბა აიღო და გახსნილ ჩემოდანში ჩააგდო.

ქვემოდან მოისმა ნაცნობი ხმები; დეიდა მაშა ღუმელის დასანთებ ნასხეპებს ამზადებდა, მერე ფლატუნა ნაბიჯები, სამზარეულოს ჭურჭლის დაწყობის ხმაური...

რადიო მიჩუმდა, მაგრამ ვერას ეს არც შეუმჩნევია. იგი აჩქარებით ყრიდა ჩემოდანში თავის კაბებს, თეთრეულს, საბანაო ნივთებს. გადაწყვიტა დაეკვიწყებინა ყოველივე, რაც მოხდა. დაევიწყებინა ადამიანი, რომელიც მისი სიხარულისა და მტანჯავი ეჭვების წყარო იყო. ხაზი გაესვა წარსულისათვის და ცხოვრების ახალ ეტაპს შესდგომოდა. და ახლა რომ მისთვის ვინმეს ეთქვა ორი, არა, ერთი წუთის შემდეგ მარტო ის, ვერა კი არა, ქვეყნის თვალუწვდენელ სივრცეზე მილიონობით ადამიანი იძულებული გახდება გამმიჯვნელი ხაზი გააკეთოს თავის წინანდელ ცხოვრებას და ახალი, შფოთიანი, საშინელი, შავბნელი შეუცნობლობით აღსავსე ეტაპი დაიწყოს, ვერა გაოცებით აიჩეჩავდა მხრებს.

ფიქრებში გართული, იგი მექანიკურად ალაგებდა ნივთებს და ვერც კი გაიგონა დიქტორის ზვავივით მომსკდარი პირველი სიტყვები.

— ყურადღება!.. ყურადღება!.. ლაპარაკობს მოსკოვი... მუშაობს საბჭოთა კავშირის ყველა რადიოსადგური...

ქუჩაში გამოსული ვერა სახტად დარჩა. არაფერი არ შეცვლილიყო. მზე კაშკაშებდა. მაღაზიების კარები ღია იყო.

თავის მაგიდასთან ტაბურეტზე იჯდა თეთრხალათიანი ნაყინის გამყიდველი. თუმცა, ვერას რომ დრო ჰქონოდა, და ქუჩას დაჰკვირვებოდა, შეამჩნევდა ცვლილებებს: ადამიანები ტროტუარზე კი არ მიდიოდნენ, არამედ იდგნენ. თავები იქით მიებრუნებინათ, საიდანაც რეპროდუქტორის ხმები მოდიოდა. ლაპარაკობდა მოლოტოვი. მაგრამ ვერას მისი სიტყვა მთლიანად არ მოუსმენია. გერმანელები რომ საბჭოთა კავშირს თავს დაესხნენ, ეს მან დასაწყისშივე თქვა.

იგი გარბოდა იმ სახლისაკენ, სადაც ანატოლი ცხოვრობდა. „იქნებ ის ჯერ კიდევ იქ არის, იქნებ ჯერ არ წასულა“ — რეკავდნენ საფეთქლები. მაშინ ისინი ერთად უნდა იყვნენ. ასეთ წუთს ისინი გვერდში უნდა ედგნენ ერთმანეთს. მთელი მათი შელაპარაკება — სისულელეა, მ ტ ვ ე რ ი ა ყველას თავს დამტყდარ საშინელ უბედურებასთან შედარებითი. ისინი ახლავე შინ, ლენინგრადში უნდა გაემგზავრონ.

ერთსართულიან პატარა სახლთან რომ მიირბინა, ვერას უკვე სუნთქვა ეკვროდა. ერთი ნახტომით მოექცა თავს ორსაფეხურიან კიბეს და ხელი ჰკრა კარს.

კარი ჩაკეტილი იყო. ვერამ ორივე ხელით მაგრად დააბრახუნა. როგორც იქნა კარი გაიღო. ზღურბლზე ხანშესულ ზორზოხა ქალი იდგა, ხელში პირსახოცი ეჭირა.

— მაპატიეთ, მე მინდა გავიგო... — სირბილისა და მღელვარებისაგან დაქანცული ვერა ნაწყვეტ-ნაწყვეტი ხმით ალაპარაკდა.—ანატოლი.. სტუდენტი ლენინგრადიდან... თქვენთან ცხოვრობს?

— ვინ? — დაბნეულად ჰკითხა ქალმა და ვერას მოეჩვენა, რომ ქალი თუმცა შესცქეროდა მას, მაგრამ ვერაფერს ვერ ხედავდა.

... ანატოლი იწვა საკუჭნაოს მსგავს პაწაწა ოთახში, სადაც მხოლოდ საწოლი და სკამი ეტეოდა. შუბლზე ვიწროდ დაკეცილი პირსახოცი ეფარა..

— შენა ხარ? — თქვა ანატოლიმ თავის მოუბრუნებლად.

— რა მოგივიდა, ტოლია? — ჰკითხა შეშინებულმა ვერამ.

— არაფერი. ზორბა ბუღას ფილტვების ანთება შეეყარა. — იგი მოთენთილი და ბრაზიანი ხმით ლაპარაკობდა. მძიმედ და ხრინწიანად სუნთქავდა.

ვერა, რომელსაც ჯერ კიდევ ვერ მიეცა თავისი თავისთვის ანგარიში იმაში, რაც მოხდა, სკამზე დაეშვა და შის

შუბლზე დადებულ პირსახოცს შეეხო. ის მშრალი და თბილი იყო. მან ააცალა პირსახოცი და ცხელ და სველ შუბლზე ხელი დაადო.

— შენ მაღალი ტემპერატურა გაქვს, ტოლია! — წამოიძახა ვერამ.

— უფრო ზევით ვეღარ ავა, — ჩაიცინა ანატოლიმ, — ექიმმა თქვა, ოცდაცხრამეტი და რვა ხაზიაო. მომეშველე, მე ახლავე წამოვდგები... ვიცოდი, რომ მოხვიდოდი და მომეშველებოდი...

მან ვერას მხრებზე დაადო ხელები და წამოდგომა სცადა.

— არა, არა, იწექი, ისეთი სიცხე გაქვს, შენი წამოდგომა არ შეიძლება, — დაჟინებით უთხრა ვერამ, თან მხრებიდან მისი ხელები ჩამოიღო, — შენ უნდა იწვე!

— შენ... შენ გესმის, რას ამბობ! — წამოიყვირა ანატოლიმ, — ნუთუ არ მოუსმინე რადიოს?! დაუყოვნებლივ უნდა წავიდე ლენინგრადში!

— ჩვენ ხვალ წავალთ, — უთხრა ვერამ და მხრები ბალიშზე დაადებინა. — ხვალ სიცხე დაგიწევს და გავემგზავრებით.

— დიასახლისს დაუძახე, უთხარი, ჩემი ტასაცმელი მოგცეს, — უთხრა ანატოლიმ ისე, რომ ქალიშვილის სიტყვებისათვის ყურადღებაც არ მიუქცევია.

ვერა მეორე ოთახში გავიდა. ის ქალი ახლა მაგიდასთან იჯდა თავდახრილი და ვერას ისევ მოეჩვენა, რომ იგი ფიქრებით სადღაც შორს იყო და ირგვლივ წეღანდელივით ვერაფერს ხედავდა.

ვერა დაბრუნდა და დაბნეულად აიჩეჩა მხრები.

— სულ ერთია, — თქვა ანატოლიმ, — მე უნდა...

ფრაზა ვერ დაამთავრა, ულმობელი ხველა აუვარდა და აძიგძიგდა.

შემდეგ ხველამ გაუარა. ახლა ანატოლი ძალაგამოლეული იწვა და სახეზე ოხშივარი ასდიოდა.

— უნდა გავემგზავრო... — ოდნავ გასაგონად თქვა მან, — ეს არაფერია... დაუყოვნებლივ უნდა გავემგზავრო...

VI

1941 წლის შუა ივნისში ლენინგრადის ოლქის სარდლობა ჯარების ინსპექტირებასა და ტაქტიკურ მეცადინეობას ატარებდა.

ეს ხდებოდა ჩრდილოეთში, მურმანსკის ახლოს. ისე

როგორც კარელიის ყელი, ოლქის ჯარებისათვის ეს მიმართულებაც უმნიშვნელოვანეს ოპერაციულ მიმართულებად რჩებოდა.

მაიორი ზვიაგინცევი შტაბის იმ მეთაურთა შორის იყო, რომლებიც სარდლობის ბრძანებით ჯერ კიდევ ივნისის პირველ რიცხვებში გაემგზავრნენ ჩრდილოეთისაკენ, რომ სწავლის დაწყებამდე ყველაფერი მოემზადებინათ.

მაგრამ როცა უკვე ადგილზე გამოცხადდა, ზვიაგინცევმა თავისი უფროსებისაგან ახალი მითითება მიიღო. მას უბრძანეს, ვიბორგის გამაგრებულ რაიონში წასულიყო და ახალ რკინა-ბეტონის თავდაცვითს ნაგებობებში საარტილერიო სისტემების სწრაფი და საბოლოო დამონტაჟებისათვის ყველა აუცილებელი ზომა მიეღო. გამაგრებული რაიონის შტაბის უფროსთან, პოდპოლკოვნიკ გოროხოვთან ერთად, ზვიაგინცევი მთელ დღეებსა და ღამეების დიდ ნაწილს დოტებისა და დზოტების საბრძოლო მზადყოფნის, მშენებელთა და მესანგრეთა ბატალიონების ნამუშევართა ხარისხის შემოწმებას ანდომებდა და მუდამ ახსოვდა მთავარი მითითება — რაც შეიძლებოდა მალე დაემთავრებინა მონტაჟი.

...ის დღეც ჩვეულებრივ ერთად დაალამეს ზვიაგინცევმა და გოროხოვმა ობიექტების ინსპექტირებაზე. თეთრი ღამეები უკვე მოძალებულიყო, ამიტომ სამუშაო დღე ჭიანურდებოდა. როცა ზვიაგინცევი და გოროხოვი ერთმანეთს დაეშვიდობნენ, რომ დილაადრიან ისევ შეხვედრილიყვნენ, უკვე შუალამე იყო.

ზვიაგინცევი მეთაურთა საერთო საცხოვრებელში მისთვის გამოყოფილ ოთახში დაბრუნდა. გიმნასტურა გაიხადა და არმიელთა ჩვეულებისამებრ წელზე პირსახოცშემორტყმულმა აიღო სასაპნე, კბილის ჯაგრისი და პირსაბანი ოთახისკენ აპირებდა წასვლას, რომ კარზე დააკაკუნეს. ზვიაგინცევმა კარი გააღო. მის წინ წითელარმიელი იდგა. მან ერთი ნაბიჯით უკან დაიხია და შუბლზე ჩამოფხატულ პილოტურასთან ხელის მიტანით მოახსენა, პოდპოლკოვნიკი გოროხოვი სთხოვს ამხანაგ მაიორს, დაუყოვნებლივ შტაბში მოვიდესო.

ზვიაგინცევმა გაკვირვებით აიჩეჩა მხრები და მოკლედ უპასუხა: „მოახსენეთ, ახლავე მოვა-თქო“. ისევ გადაიცვა გიმნასტურა, ქამარი შემოირტყა და ოთახიდან გავიდა.

პოდპოლკოვნიკი თავის კაბინეტში ელოდებოდა ზვიაგინცევს და როგორც კი იგი გამოჩნდა, უთხრა:

— აი, რაშია საქმე. ამხანაგო მაიორო, — მაპატიეთ, რომ

დაძინება არ გაცალეთ... ეს-ეს არის მესაზღვრეებმა დამირეკეს. სასწრაფოდ მიხმობენ. იქ მათი კაცი საზღვარს იქით გასულა და ისევ დაბრუნებულა. საინტერესო რამეებს ჰყვება... — გოროხოვმა მაგიდაზე დაარაკუნა თითები და გაიმეორა: — მერე და როგორ საინტერესოს!.. ჰოდა, ვიფიქრე, ურიგო არ იქნებოდა, თქვენც მოგესმინათ იმ კაცისათვის. მესაზღვრეებს მე მოველაპარაკე — საწინააღმდეგო არაფერი აქვთ...

ზვიაგინცევს არ უნდოდა ჩარეულიყო ისეთ საქმეებში, რაც არ ეხებოდა. მაგრამ გოროხოვის დაჟინებამ დააინტერესა. მან იცოდა, რომ მესაზღვრეები, ისე, როგორც შინაგან საქმეთა სახკომის სისტემის ყველა მუშაკი, ჩვეულებრივ, საიდუმლოდ იცავდნენ ყველაფერს, რაც მათი კომპეტენციის საქმეებთან იყო დაკავშირებული.

მან წამიერი, გამომცდელი მზერა შეავლო პოდპოლკოვნიკს. იგი აშკარად ღელავდა. რა დროსაც არ უნდა ენახა ზვიაგინცევს გოროხოვი, მას თმა ყოველთვის საგულდაგულოდ ჰქონდა გაყოფილი და დავარცხნილი. ახლა კი გაყოფის ხაზი საქოჩრეზე აწეწილ თმებში აღარ ეტყობოდა.

— კარგი, — მოკლედ უთხრა ზვიაგინცევმა და წამოდგა. — მე მზადა ვარ.

... პოლკოვნიკის მიერ გამოძახებულმა „ემკამ" თხუთმეტ წუთში მიიყვანა ისინი მესაზღვრეთა განლაგებაში. შტაბი წითელი აგურის ერთსართულიან შენობაში იყო მოთავსებული. გუშაგმა იცოდა მეთაურთა ჩამოსვლის შესახებ და გასასვლელში გოროხოვს ხმადაბლა უთხრა:

— პოლკოვნიკმა ბრძანა, რომ თქვენ ჯერ მორიგესთან გაიაროთ.

მორიგე, წითელ სამკლაურიანი უმცროსი ლეიტენანტი მაგიდას უჯდა. იგი წამოხტა.

— ახლავე მოვახსენებ, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო. ერთ წუთას...

ისინი ჩამოსხდნენ ფიცრით შეჭედილ მაგიდასთან, რომელზეც იდო ყავისფერ საკანტორო ყდაში ჩასმული სქელი ჟურნალი — მორიგეობის ჩასაწერად, ჭადრაკის დაფა, ჟურნალების „პოგრანიჩნიკისა" და „ოგონიოკის" რამდენიმე დაფურცლული ნომერი.

მალე კარი გაიღო და ზღურბლზე ტანდაბალი, ზორზოხა პოლკოვნიკი გამოჩნდა. გოროხოვი და ზვიაგინცევი წამოდგნენ.

— მოხვედით? — თქვა პოლკოვნიკმა, თავი დაუქნია გო-

როხოეს და ზვიაგინცევს მიაჩერდა. იგი წარუდგა. — ვაშ ასე, წამობრძანდით, მოუსმინეთ, — უთხრა პოლკოვნიკმა.— საიდუმლოს დაცვის შესახებ, ვფიქრობ, გაფრთხილება არ გჭირდებათ, — დაუმატა მან უფრო ზვიაგინცევის მისამართით. იგი კიდევ ერთ წუთს იდგა ადგილზე და არავისთვის არ მიუმართავს, ისე თითქოს თავისთვის ჩაიბუტბუტა: — არ მომწონს მისი ხმა...

შემდეგ ხელის აქნევით მიიწვია მოსულნი, მომყევითო.

პოლკოვნიკის კაბინეტში დიდ, ძველმოდურ საწერ მაგიდაზე მწვანე მინის აბაჟურიანი საკანცელარიო ლამპა იდგა. მისი შუქი მაგიდას იცემოდა და ამიტომ ზვიაგინცევმა იქვე მჯდარი კაცი უცბად ვერ გაარჩია.

როცა ზვიაგინცევი და გოროხოვი შემოვიდნენ, ეს კაცი წამოდგა.

— იჯექი, იჯექი, ტოივო, — რაღაც განსაკუთრებული ყურადღებითა და ალერსითაც კი უთხრა პოლკოვნიკმა. — ამხანაგი პოდპოლკოვნიკი ჩვენი არმიული მეზობელია, მაიორი კი — საოლქო შტაბიდანაა... დაბრძანდით, ამხანაგებო, — დაუმატა მან და კედელთან მდგარ სკამებზე მიუთითა.

ახლა ზვიაგინცევს შეეძლო შეეთვალიერებინა ის, ვისაც პოლკოვნიკი უბრალოდ სახელს ეძახდა: „ტოივო“.

ეს იყო ორმოცდაათიოდე წლის კაცი, ტანმორჩილი, გლეხურად ჩაცმული. მას გამომეტყველებასმოკლებულ, მჭკნარ სახეზე უფერული წარბები თითქმის არც კი ეტყობოდა. გეგონება ამ სახეზე ყველაფერი — ტუჩები, ცხვირი, წარბები—მხოლოდ პუნქტირით იყო მოხაზული. ასეთ სახეს ვერ დაიხსომებდი. ძნელი იყო წარმოსახვით მისი აღდგენა.

პოლკოვნიკი მაგიდასთან მდგარ ხის სავარძელში ჩაჯდა.

— აბა, ტოივო, — თქვა მან და ბლოკნოტი მოიმარჯვა, — შოდი თავიდან დავიწყოთ. ამხანაგებმაც მოისმინონ. ამრიგად...

— იქ... ბევრი გერმანელია, — თქვა პაუზის შემდეგ ტოივომ.

მის წყნარ ხმას, ისევე როგორც სახეს, არავითარი გამომეტყველება არ გააჩნდა. ჩვეულებრივი ხმებისაგან იგი მხოლოდ ფინური კილოთი გამოირჩეოდა.

— არა, არა, — უთხრა პოლკოვნიკმა, — შენ, ამხანაგო ტოივო, თანმიმდევრობით მოგვიყევი. რაითნი, დრო, ერთი სიტყვით, როგორც მე მიამბობდი.

— როვანიემის რაიონია, — ისევე მკრთალად თქვა ტოივომ, — ბევრი გერმანელია. ბევრი მსუბუქი მანქანაა.

— რამდენია? — შეაწყვეტინა პოლკოვნიკმა.

— ყოფილი სკოლის შენობასთან, გაჩერებაზე, თორმეტია. შოფრები სამხედროებია. ოცდაათი წუთის დაკვირვების განმავლობაში მოვიდა და წავიდა კიდევ ათი მანქანა.

„რა შეიძლებოდა არ მოსწონებოდა პოლკოვნიკს მის ხმაში? — გაკვირვებული ფიქრობდა ზვიაგინცევი. — ჩვეულებრივი ხმაა. კარელიელი გლეხის ჩვეულებრივი მეტყველება".

— ჰოდა, რა უნდა იყოს, შენი აზრით, იმ სკოლაში? — ისევ ჰკითხა პოლკოვნიკმა.

— შტაბი, — უპასუხა ტოივომ.

— დავუშვათ, ასეა. მაგრამ რომელი შტაბი? — ჩაერია გოროხოვი.

— არ ვიცი.

— კარგი. ვცადოთ, ჩვენ თვითონ განვსაზღვროთ, — თქვა პოლკოვნიკმა და მახვილი მზერა სტყორცნა ზვიაგინცევს. — ამრიგად, შენობასთან გაჩერებაზე თორმეტი მსუბუქი მანქანაა. დაახლოებით ამდენივე ოცდაათი წუთის განმავლობაში მოვიდა შესასვლელთან. გერმანელი ოფიცრები დაინახე?

— დიახ. ოცდაათ წუთში — თერთმეტი. შედიოდნენ და გამოდიოდნენ. სამი ობერ-ლეიტენანტი იყო, ორი პოლკოვნიკი, ერთი გენერალი. სხვების წოდებები ვერ გავარჩიე.

— ისინიც ოფიცრები იყვნენ?

— კი.

ყოველი სიტყვის წარმოთქმის შემდეგ ზვიაგინცევი სულ უფრო მეტი ყურადღებით უსმენდა, თუ რას ამბობდა ეს შეუხედავი კაცი. ასეთი ტოივო წარმოიდგინა მან ფინეთის პატარა ქალაქის ქუჩაში. როგორ დგას იგი, მიყრდნობია კედელს და მის ფონზე თითქმის განურჩეველი, იცქირება წინ თავისი მოთეთრო წარბებქვეშ მოჭიეული უფერული, უშინაარსო თვალებით და გგონია ვერაფერს ამჩნევსო, ნამდვილად კი ყველაფერს ხედავს.

— კიდევ რა შენიშნე, ტოივო? — ჰკითხა პოლკოვნიკმა.

— ფელდკავშირის ორი მოტოციკლი. ორივე მივიდა შენობასთან.

— იმავე ოცდაათი წუთის განმავლობაში? — ჰკითხა ზვიაგინცევმა.

— კი.

— ერთდროულად?

— არა. ჯერ ერთი. ათი წუთის შემდეგ — მეორე.

— მომისმინე, .ტოივო. — უთხრა პოლკოვნიკმა და მაგიდაზე მისკენ გადაიხარა, — ხომ არ აზვიადებ? მანქანებისა, ოფიცერთა რაოდენობას?..

— თქვენ გსურთ, რომ შევამცირო? — მოულოდნელად გაჯავრებით, თითქოსდა შოლტის გადაკვრით, მოიგერია ტოივომ.

„მას, მართლა უსიამო ხმა ჰქონია", — გაიფიქრა ზვიაგინცევმა, რომელიც ამ წუთამდე არც კი დაეჭვებულა, რომ შეიძლებოდა ერთი და იმავე კაცის ლაპარაკის მანერის ასე შეცვლა.

ჩანდა, პოლკოვნიკიც ცოტათი შეცბა ასეთი მკაცრი შეტევით.

მას ხველა აუვარდა. მაგიდაზე მდებარე „ბელომორის" კოლოფიდან პაპიროსი ამოაძრო, თითებით მოსრისა, მუნდშტუკში ჩადო და გააბოლა.

— მაშ, კარგი, — შემარიგებლურად თქვა პოლკოვნიკმა. — თუ აგრეა, აგრე იყოს. მადლობა მნიშვნელოვანი ცნობებისათვის. ახლა წადი, დაისვენე. დილისათვის, ალბათ, ზემოდან მოვლენ ამხანაგები და კიდევ მოინდომებენ მოსმენას. მანამდე კი წადი, დაიძინე. კიდევ ერთხელ გმადლობ...

როცა ისინი მანქანით უკან ბრუნდებოდნენ, გოროხოვმა ჰკითხა ზვიაგინცევს:

— აბა, მაიორო, რას ფიქრობ?

ზვიაგინცევმა მხრები აიჩეჩა:

— ფინეთში გერმანელთა ჯარების კონცენტრაციის შესახებ ცნობები ახალი ამბავი როდია. ნორვეგიაშიც ბლომად არიან ისინი.

— ასე, — თქვა გოროხოვმა, თან ნეკით ჩამოფერთხა ფერფლი ცერსა და საჩვენებელ თითებს შუა მოქცეული პაპიროსიდან, — ახალი არ არის, მაშ...

შტაბამდე მდუმარედ მგზავრობდნენ.

— მინდა ორიოდე შეკითხვა მოგცე, ამხანაგო მაიორო ზვიაგინცევ, — უთხრა გოროხოვმა, როცა მანქანიდან გადმოვიდნენ. — მაგრამ ჯერ უნდა აღვნიშნო, რომ იმ კაცს მესაზღვრეები ისე ენდობიან, როგორც საკუთარ თავს. იგი გამოცდილი მზვერავია და თანაც პარტიის წევრი. გასაგებია?

გოროხოვმა ეს ისეთი ტონით თქვა, თითქოს ზვიაგინცევს კამათში იწვევსო.

მაგრამ ზვიაგინცევმა ოდნავ გაშალა ხელები და უპასუხა:

— ჰოდა, მათთვის უფრო ნათელი იქნება. დაზვერვა ჩემი პროფესია არ არის.

— გეტყობა კიდეც, — ოდნავ ჩაცინებით შენიშნა გოროხოვმა, — დაზვერვა რომ შენი პროფესია ყოფილიყო, არ იდგებოდი ისე, ვითომც აქ არაფერიაო. კარგი. აი ჩემი შეკითხვები, — შენი კი არა, ჩემი შემოწმება მინდა. შენ როვანიემის რაიონს იცნობ?

— წმინდა გეოგრაფიულად, — ცოტა წყენით მიუგო ზვიაგინცევმა.

— სწორედ გეოგრაფიაზე გეუბნები. საზღვრიდან რამდენ კილომეტრზეა ეს რაიონი, წარმოდგენილი გაქვს?

— ვგონებ, ორმოციოდე კილომეტრზე იქნება.

— ოცდახუთზე, — შეუსწორა გოროხოვმა, — მეორე შეკითხვა: თუ იმ ტოივოს დავუჯერებთ, — მე კი მჯერა მისი! — როგორ განსაზღვრავდი იმ სკოლაში განლაგებული შტაბის დონეს? ჰა?

ზვიაგინცევმა გონებაში აღადგინა ყოველივე, რაც ტოივომ თქვა, გაიანგარიშა თავისთვის და ყოყმანით თქვა:

— შესაძლოა, დივიზიის შტაბი იყოს.

— უფრო მაღლა აუწიე, — უთხრა გოროხოვმა ზვიაგინცევს და მისკენ გადაიხარა, — კორპუსისა! გენერალი, ორი პოლკოვნიკი, ორი ათეული მანქანა, ფელდკავშირის მოტოციკლები... კორპუსია, მე შენ გეუბნები!

— იქნებ ეგრეცაა, გამორიცხული როდია, რომ კორპუსიც იყოს, — ყოყმანით დაეთანხმა ზვიაგინცევი.

— ჰოდა, თუ გამორიცხული არ არის, — ხმის დაწევით თქვა გოროხოვმა და უფრო მიუახლოვდა ზვიაგინცევს, — მაშინ მინდა დაგისვა მესამე, ასე ვთქვათ, რიგგარეშე შეკითხვა. რა ოხრად უნდა გერმანულ კორპუსს ჩვენს საზღვართან ასე ახლოს განლაგება, ა?

და მან დაჟინებით, მძიმედ და იჭვნეულად შეხედა ზვიაგინცევს.

მოულოდნელად ზვიაგინცევმა იგრძნო, რომ შეშფოთების გრძნობა ეუფლებოდა.

— ეს მართლაცდა უცნაურია... — თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა მან.

— ჰოდა, მეც ასე ვფიქრობ, — კმაყოფილებით თქვა გოროხოვმა. — მაშ, რა ვქნათ?

ზვიაგინცევმა კითხვის გამომეტყველებით შეხედა პოდპოლკოვნიკს, თითქოს უნდოდა ეთქვა, რომ მისი შეკითხვა არ ესმოდა. იგი მართლაც ცოტა შეფიქრიანებულიყო.

— ვფიქრობ, რომ მესაზღვრეები დაშიფვრით აცნობებენ ზევით, — თქვა ბოლოს ზვიაგინცევმა.

— ჭკვიანურია! — გესლიანი ჩაცინებით წამოიძახა გოროხოვმა, — ესე იგი, ამბობ, რომ ცნობის დაშიფრულად გაგზავნაა საჭირო. ამას, რა თქმა უნდა, გააკეთებენ. მესაზღვრეებმა იციან თავიანთი სამსახური. ერთ საათში უთუოდ აცნობებენ.

ზვიაგინცევმა მხრები აიჩეჩა.

— ჩემგან რაღა გინდა? — შეეკითხა იგი.

— აი, რა, — უთხრა გოროხოვმა და ზვიაგინცევთან უფრო ახლოს მიიწია. — შენ კომუნისტი ხარ, ხომ? ჰოდა, პირობა მომეცი, როცა ოლქში დაბრუნდები, სარდალთან გამოცხადდები და რაც მოისმინე, ყოველივეს პირადად მას მოახსენებ. პირადად! შეგიძლია დაუმატო, რომ ეგ ტოიეო ცხრამეტი წლიდან პარტიის წევრია. გააკეთებ?

— შევეცდები, — უპასუხა ზვიაგინცევმა.

— მაშ, წადი, დაიძინე. და მაპატიე, რომ შეგაწუხე. ხვალ როდის დავიწყოთ? შვიდზე, როგორც ჩვეულებრივ?

— შვიდზე.

— აგრე იყოს. კიდევ ერთხელ მაპატიე.

ზვიაგინცევს კარისკენ უნდოდა წასვლა, მაგრამ დაბრუნდა.

— მომისმინე, — უთხრა მან. — თუ მიხვდი, რატომ არ მოეწონა პოლკოვნიკს იმ ტოიეოს ხმა?

გოროხოვი ერთხანს დუმდა, თავი გადააქნ-გადმოაქნია და უპასუხა:

— მგონი, მივხვდი. მეტისმეტად უყოყმანოა. ეჭვისთვის ადგილს არ ტოვებს.

ზვიაგინცევი ნელა წავიდა საერთო საცხოვრებლისაკენ. დღესავით იყო. თეთრი ღამის მქრქალ სინათლეზე ყველა შენობა, შტაბთან მდგარი შავი „ემკა“, ტელეგრაფის ბოძები, რადიოანძა მკვეთრად შემოხაზული და უხილავი სხივებით გაშუქებული ჩანდნენ.

ზვიაგინცევმა საზღვრის მხარეს, შორეთს გახედა. მან კარგად იცოდა, რამდენი დოტი და დზოტი, რამდენი ბეტონის სიმაგრეა თავმოყრილი ტყეშიც და გრანიტის უზარმაზარ ქვათა ქაოსშიც.

ისიც იცოდა ზვიაგინცევმა, რამდენი ძალ-ღონე და სახსრები იყო დახარჯული ამ ჭიანჭველების გროვათა მსგავსი სიმაღლეების აგებაზე, რომლებიც ბეტონისა და ლითონის არმატურის მიწისქვეშა ნაგებობებს აგვირგვინებდნენ.

მაგრამ მისთვის მეორე რამეც კარგად იყო ცნობილი: საზღვრის საფარის ახალი გეგმის მიხედვით, რომელიც სულ თვენახევრის წინათ იქნა შემუშავებული, ეს ნაგებობები გაცილებით მეტი უნდა ყოფილიყო.

თუმცა, მშენებლობისათვის ჯერ კიდევ ჰქონდათ დრო, — გეგმა საზღვრის საბრძოლო მზადყოფნას, როგორც იტყვიან სრულ ჩაკეტვას, წლის ბოლომდე ითვალისწინებდა. მაშ ასე, ოთხი-ხუთი თვის განმავლობაში კიდევ ბევრი რამის გაკეთება შეიძლება!..

„მაგრამ ომი რომ უფრო ადრე დაიწყოს?" — შეეკითხა თავის თავს ზვიაგინცევი და იმ წუთას ისეთივე შეშფოთების გრძნობა დაეუფლა, როგორც მაშინ, როცა ტოიკოს მონათხრობს ისმენდა...

გეგმით განსახორციელებელი მუშაობა ყოველ შტაბში — საოლქოდან დაწყებული პოლკის შტაბით დამთავრებული — საბრძოლო ატმოსფეროს ქმნიდა. ხოლო საოცარი ის იყო, რომ იგივე მუშაობა, თითქოს აჰიპნოზებდა მასში მონაწილეთ, მის შემსრულებელთ...

„ჩვენ ხომ ვმუშაობთ, გამუდმებით ვმუშაობთ, არ ვიძინებთ, გულარხეინად არა ვართ! — ეუბნებოდა თავს ზვიაგინცევი, თან ცდილობდა ჩაეხშო ის შეშფოთება, რომელიც ტოიკოს ნათქვამმა გამოიწვია. — კიდევ რის გაკეთება შეგვიძლია, გარდა იმისა, რომ დღედაღამ ვიმუშაოთ ჩვენი საზღვრების გასამაგრებლად?.. განა ჩვენ უდარდელები ვართ? და, საერთოდ, ვის შეუძლია ჩვენს ქვეყანაში უდარდელად ყოფნა?.."

ამის გაფიქრებისას მას ჩაეცინა. მოწაფეობის წლებიდან, მას შემდეგ, რაც ზვიაგინცევმა მოზრდილთა ნათქვამის ნამდვილი აზრის გაგება შეძლო, მას შემდეგ, რაც გაზეთების კითხვა დაიწყო, იგი შეეჩვია იმას, რომ ჩვენთან ყველანი უწინარეს ყოვლისა, შრომაში იყვნენ ჩაბმული. შრომას ყოველთვის პირველი ადგილი ეჭირა. მას მიჰქონდა მთელი დრო, გარდა ძილისა. მას ანდომებდნენ დასვენების დღეებს. მას ეძღვნებოდა არა მარტო საგაზეთო სტატიები, არამედ რომანებიც და კინოფილმებიც...

ზვიაგინცევს რამდენიმე წლის წინათ გარდაცვლილი მამა მოაგონდა. ამ მაღალი კვალიფიკაციის ხარატმა შეძლო წარმოებიდან მოუწყვეტლივ დაემთავრებინა უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი და თავისი ცხოვრების უკანასკნელ ორ წელიწადს დიდი ჩარხსაშენებელი ქარხნის საამქროს უფროსად მუშაობდა.

იმ იშვიათ მომენტშიც, როცა სამივეს — მამას, დედას და ალიოშას ერთად მოუხდებოდათ სადილობა, მამა მხოლოდ საწარმოზე ლაპარაკობდა. თუ საამქრო გეგმას ვერ ასრულებდა, ამას მთელი ოჯახი განიცდიდა. თუ გეგმა სრულდებოდა, მაშინ დღესასწაული ჰქონდათ, გეგონება ყველაფერი საამქროს გეგმის შესრულებაზე იყო დამოკიდებული — არა მარტო მამის გუნება, არა მარტო შინაური ატმოსფერო, არამედ საერთოდ ყველაფერი ალიოშას ირგვლივ, მთელი ქვეყნის ცხოვრება...

და ახლა მაიორ ზვიაგინცევის ცნობიერებაში კვლავ ამოტივტივდნენ ბავშვობისა და ადრეული სიყმაწვილის მოგონებები და დღევანდელ შემაშფოთებელ ფიქრებს გადაეხლართნენ.

აი როგორ ხდება ყოველივე ეს, ფიქრობდა ზვიაგინცევი. როცა დიდი ქარხნის დირექტორი მნიშვნელოვანსა და სასწრაფო სახელმწიფო შეკვეთას მიიღებს, ის მხოლოდ იმაზე ფიქრობს, როგორ შეასრულოს იგი წინასწარ გათვალისწინებულ ვადაში.

მთელი მისი შრომა, მთელი მისი აზრები მხოლოდ აქეთაა მიმართული. და ისინიც, ვისზეც დამოკიდებულია საბოლოოდ შეკვეთის შესრულება, — საამქროთა უფროსები, ოსტატები, ბრიგადირები, მუშები — მთელ თავიანთ ძალ-ღონეს ძაბავენ რათა ვადაზე შეასრულონ დავალება.

და მაშინ არც ერთი მათგანი — დირექტორიდან მუშამდე — უკვე აღარ ფიქრობს იმაზე, რომ შეიძლება სიტუაცია შეიცვალოს, რომ შემკვეთს — მთავარ სამმართველოს, სახალხო კომისარიატსა და საბოლოო ჯამში სახელმწიფოს — მოცემული პროდუქცია შესაძლოა მოულოდნელად უფრო ადრე დასჭირდეს, ვიდრე ამას გეგმა ითვალისწინებს.

და ყველა, დირექტორიდან მუშამდე, სულდგმულობს რწმენით, რომ მთავარია გეგმის ვადაზე შესრულება, რომ ქვეყანას შეიძლება ზარალი მოუვიდეს მხოლოდ ამ ვადის დარღვევის შემთხვევაში.

ხოლო სანამ მუშაობა გრაფიკის მიხედვით მიმდინარეობს, ყველაფერი კარგად წარიმართება და არაფერი არ მოხდება.

„გეგმის ასეთ ჰიპნოზში ხომ არ იმყოფება ახლა ათობით გენერალი, ათასობით უფროსი მეთაური, რიგოსანი, პოლიტმუშაკი, ინჟინერი, მესანგრე, ლენინგრადის სამხედრო ოლქის მშენებელი?“ — ჰკითხა თავის თავს ზვიაგინცევმა.

არა, მოსალოდნელ ომზე ფიქრს ყველა ისინი არაერთხელ დაბრუნებიან.

და მაინც შეგნება იმისა, რომ გეგმის შესრულება 1941 წლის ბოლოსათვის არის დანიშნული და ამრიგად მათს განკარგულებაში კიდევ რამდენიმე თვეა, ახშობდა შეშფოთებას...

იმ დღეებში ზვიაგინცევმა ჯერ კიდევ ბევრი რამ არ იცოდა—არ იცოდა, რომ სულ სხვადასხვა დონის შტაბებში მიდიოდა სააგენტურო, სახმელეთო, საავიაციო დაზვერვათა პატაკები. ეს პატაკები სავსე იყო საგანგაშო ცნობებით საბჭოთა საზღვრებზე გერმანელთა ჯარების კონცენტრაციის შესახებ. ეს პატაკები უყურადღებოდ როდი რჩებოდა. არა, მათი შედეგი იყო ახალი შეფუცხუნება: აჩქარებდნენ მრეწველობას — რომ უფრო სწრაფად ეწარმოებინა საჭირო სამხედრო ტექნიკა; აჩქარებდნენ საოლქო შტაბებს — რომ უფრო სწრაფად დაენერგათ ეს ტექნიკა, უფრო სწრაფად ეწარმოებინათ საზღვრების გასამაგრებელი სამუშაოები. ხოლო მეტისმეტი შეშფოთების ყოველგვარ გამოვლინებას, ჯარების დიდ მოძრაობასთან დაკავშირებულ წინადადებებს გმობდნენ, ვინაიდან არ უნდა მიეცათ საბაბი პროვოკაციებისათვის, — ასე თქვა სტალინმა.

და თუ მისი გეგმა განსაზღვრულ ვადას ითვალისწინებს, იმ ვადაზე ადრე არაფერი არ უნდა მოხდეს, არ შეიძლება მოხდეს. „იგი უკეთ ხედავს"... და საკდესის ახლახან გამოქვეყნებულ ცნობაში ნათქვამი იყო, სსრ კავშირისა და გერმანიის ურთიერთობა ნორმალურად ვითარდებაო.

ობიექტური და სუბიექტური სიძნელეების, წინააღმდეგობათა მთელი კომპლექსის გაგება და გაანალიზება იმ დროს, ბუნებრივია, არ შეეძლო არა მარტო ისეთ შედარებით დაბალი რანგის მეთაურს, როგორიც ზვიაგინცევი იყო, არამედ იმათაც, ვისაც გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი თანამდებობები ეკავათ.

... და ახლა თეთრი, მკრთალი შუქით განათებულ პატარა მოედანზე, ვიბორსკის გამაგრებული რაიონის შტაბის წინ იდგა ზვიაგინცევი და ვერ გარკვეულიყო ესოდენ ურთიერთ საწინააღმდეგო ფაქტორების რთულსა და დრამატულ შეხამებაში. ყოველთვის, როცა მის ცნობიერებაში მტკივნეულად იელვებდა მტრის მიერ უეცარი თავდასხმის აზრი, ის სხვა, პრაქტიკულ საქმეებთან დაკავშირებულ, მისთვის დავალებული სამუშაოს შესრულების ნაკადში იკარგებოდა.

საშიშროება იმისა, რომ ომი შესაძლოა დღეს თუ არა ხვალ ატყდეს, შეერეოდა ხოლმე ათობით კონკრეტულ საზრუნავს — ნაღმებზე, რომლებიც ჯერ კიდევ ცოტა ჰქონდათ, საზღვართან ახლოს საწყობების მშენებლობაზე.

ამჯერად ზვიაგინცევის ცნობიერებაში წარმოიშვა ახალი ფაქტორი, რომელმაც აიძულა ოგი კვლავ ეფიქრა მომავალ ომზე არა როგორც უახლოეს დროში გარდაუვალ მოვლენაზე, მაგრამ მაინც რეალურზე; მოახლოებულ საშინელ უბედურებაზე, რომელიც შეიძლება ყოველ წუთს დასტყდომოდა თავს ქვეყანას.

ეს ახალი ფაქტორი ტოიოსთან შეხვედრა იყო. ის, რომ გერმანელები თავს უყრიან ჯარებს ფინეთსა და ნორვეგიაში, ზვიაგინცევისათვის, რა თქმა უნდა, ახალი არ იყო. ამის შესახებ არაერთხელ ყოფილა ლაპარაკი საოლქო შტაბის მრავალ ოპერატიულ თათბირზე.

მაგრამ „იქითა მხარეს“ ნამყოფ კაცს მან პირველად მოუსმინა.

გორბოვთან საუბრის შემდეგ მარტოდ დარჩენილ ზვიაგინცევს უკვე აღარ შეეძლო შებრძოლებოდა მოახლოებული გარდაუვალი უბედურების შეგრძნებას.

„დიახ, — ფიქრობდა ზვიაგინცევი, — აუცილებელი როდია მზვერავი ან მსხვილი ოპერატორი იყო, რომ იცოდე, რა შემთხვევაში განლაგდება კორპუსის შტაბი და ისიც ფინეთისა კი არა, გერმანიის ჯარებისა, უშუალოდ ასე ახლოს საზღვართან. ძნელად მოიძებნებოდა სამხედრო კაცი, რომელიც ვერ უპასუხებდა კითხვას: „რისთვის არის საზღვართან ასე ახლოს წამოწეული სავარაუდო მოწინააღმდეგის კორპუსის შტაბი?“

დიახ, რა თქმა უნდა, ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს. და არა მარტო ოლქის შტაბს, არამედ მოსკოვსაც. გორბოვმა თქვა, რომ დაშიფრული ცნობა ერთი საათის შემდეგ გაიგზავნებაო. ჰო, ცხადია, ის პოლკოვნიკი უფრო ადრე ვერ მოასწრებს — ხომ უნდა შეადგინოს პატაკი, ლოგინიდან ააყენოს დამშიფვრელი...

და მაინც გორბოვი მართალია. ჩავა თუ არა ლენინგრადში ზვიაგინცევი, დაუყოვნებლივ უნდა წავიდეს სარდალთან. რა თქმა უნდა, იმ დროისათვის — მივლინების ვადა მას ერთი კვირის შემდეგ უთავდება — სარდალს მესაზღვრეთა დაშიფრული ცნობა უკვე წაკითხული ექნება. ზვიაგინცევს კი შეიძლება შენიშვნაც მისცეს, სხვის საქმეში

ნუ ეჩრები, როცა შენიც ბევრი გაქვსო. და მაინც წავა დ: ეტყვის ყველაფერს, რაც მოისმინა.

ზვიაგინცევი ნელი ნაბიჯით გაემართა მეთაურთა შემადგენლობის საერთო საცხოვრებლისაკენ. თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ იგი ლოგინში იწვა და ცდილობდა დაეძინა: გათენებამდე ხუთი საათი-ღა დარჩენილიყო.

მაგრამ ძილი არ ეკარებოდა. ნერვიული აგზნებისა თუ იმის გამო, რომ ფანჯრებიდან თეთრი ღამის შუქი შემოდიოდა, დაძინება ვერ შეძლო.

თეთრი ღამე ახლა მასში ზიზღს იწვევდა. ზვიაგინცევმა უცებ წარმოიდგინა, რომ არაბუნებრივ დღის სინათლეზე ყველაფერი ჩანს, ყველაფერი — მისი დაუმთავრებელი დოტებიც, საწყობებიც, ნაწილთა განლაგებაც და თვით იგიც, ზვიაგინცევი, — ყველაფერს, როგორც ხელისგულზე, ისე ხედავს მტერი.

იგი იწვა და ფიქრობდა. ისე მოეძალა ფიქრი, რომ უკვე ვერ შეძლო დაძინება, ერთი ფიქრი მეორეს ჩაებღაუჭებოდა, თითქოს მეორე პირველიდან გამომდინარეობდა და თავის მხრივ მესამეს ბადებდა...

ზვიაგინცევმა საათს დახედა — ორი სრულდებოდა.

„უნდა შევწყვიტო ეს უმიზნო ფიქრები და მაინც ვცადო დაძინება“.

...მაგრამ ზვიაგინცევს დილამდე ძილი მაინც არ დასცალდა.

კაკუნმა გააღვიძა. მან ჯერ საათს დახედა — მხოლოდ ოთხის ნახევარი იყო — და უკმაყოფილოდ იკითხა:

— ვინ არის? რა მოხდა?

— ამხანაგ მაიორ ზვიაგინცევს ტელეფონთან სთხოვენ! ლენინგრადი გეძახით! სასწრაფოდ! — მოისმა ხმა დერეფნიდან.

რამდენიმე წუთში ზვიაგინცევმა ჩაიცვა ბრიჯი და პერანგზევე გადაიცვა ნაცრისფერი წყალგაუმტარი ლაბადა. იგი თითქმის სირბილით შეევიდა შტაბის შენობაში.

აპარატიდან გადმოღებული ყურმილი მაგიდაზე იდო. მორიგემ მას ხელი სტაცა და ზვიაგინცევს გაუწოდა.

ზვიაგინცევმა მიკროფონს ჩაბერა და ხმამაღლა ჩასძახა: „მაიორი ზვიაგინცევი გისმენთ“ — და მაშინვე გაიგონა ოლქის შტაბის უფროსის მოადგილის პოლკოვნიკ კოროლიოვის ნაცნობი ხმა:

— ლენინგრადში დაბრუნდი, მაიორო! სასწრაფოდ!

რამდენიმე საათის შემდეგ, დაღლილი, უძილობისაგან თვალებჩაწითლებული ზვიაგინცევი ხელში პატარა ჩემოდნით პირდაპირ კოროლიოვის კაბინეტს მიადგა. საინჟინრო სამმართველოს უფროსი, რომელსაც იგი უშუალოდ ექვემდებარებოდა, ადგილზე არ იყო. ზვიაგინცევს კი თავის სამმართველოში მოვალეობის მიხედვით მუდმივი საქმიანი კავშირი ჰქონდა საინჟინრო საკითხებზე შტაბის ოპერატიულ განყოფილებასთან. სულ ათი დღე იყო, რაც მას კოროლიოვი არ ენახა, მაგრამ მაშინვე შეამჩნია, რომ ამ ხნის განმავლობაში იგი შეცვლილიყო.

ვეებერთელა, ზორზოხა, მაგრამ მუდამ აკვალთული, სუფთად გაპარსული, მჭიდროდ ქამარშემოჭერილი კოროლიოვი ამჯერად რაღაც აბურძგნილად გამოიყურებოდა. გიმნასტურის საყელო გაღეღოლა და ქვესაყელოც არც თუ ისე სუფთა ჰქონდა.

კოროლიოვი რუკებით გადატვირთულ გრძელ მაგიდაზე დახრილიყო. როცა ზვიაგინცევი შევიდა, წელში გაიმართა, მისალმებაზე მოღუშულმა დაუქნია თავი და თითქოს ერთმანეთს არც კი დასცილებიანო, უკმაყოფილოდ ჰკითხა:

— ვიმედოვნებ, გახსოვს სამმართველოში თქვენს მიერ შემუშავებული ნაღმური ღობურის გეგმა საზღვრის სასწრაფოდ დასაფარად?

ზვიაგინცევს, ცოტა არ იყოს, ეხამუშა ასეთი მიმართვა.

— ზოგადად, რა თქმა უნდა მახსოვს, ამხანაგო პოლკოვნიკო, — მშრალად და ოფიციალურად მოახსენა მან. თან უკვირდა მისი იერი და ტონი, მისი აზრით, კოროლიოვთან ხომ მეგობრულ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა. — მაგრამ მე ეს-ეს არის მივლინებიდან დაებრუნდი, გეგმა კი, როგორც ცნობილია, ინახება...

— კარგი, — შეაწყვეტინა კოროლიოვმა, — ვიცი, სადაც ინახება. გასაგებია, რომ ჯიბით არ დაათრევ. დაჯექი.

ზვიაგინცევი მორჩილად დაეშვა საწერ მაგიდასთან მდგარ სკამზე.

კოროლიოვი კი კაბინეტის კართან მივიდა, ოდნავ გამოაღო, ისევ მიხურა და საკეტში ჩაჩრილი გასაღები გადაატრიალა.

ზვიაგინცევი ცოტა გაოცებით და შეშფოთებით ადევნებდა თვალს მის მოძრაობას. როცა კოროლიოვი მაგიდასთან მივიდა და საკარძელში მძიმედ ჩაეშვა, ჰკითხა:

— რა მოხდა, პავლე მაქსიმოვიჩ?

— არაფერიც არ მომხდარა. — მკვეთრად, როგორც

ზვიაგინცევს მოეჩვენა, უგუნებოდაც კი უპასუხა კორიოლიოვმა. მაგრამ წამის შემდეგ დაუმატა: — სიტუაცია არასახარბიელოა. აი, რა მოხდა. როგორ მიდის საქმეები იქ, საზღვარზე?

ზვიაგინცევმა საარტილერიო სისტემების სამონტაჟო სამუშაოთა მდგომარეობაზე ლაპარაკი დააპირა, მაგრამ კოროლიოვმა ისევ შეაწყვეტინა:

— ყველაფერი ეს მე უშენოდაც ვიცი! „მზადყოფნის ოთხმოცი პროცენტი, მზადყოფნის სამოცი პროცენტი", — გამოაჯავრა მან. — მე შენ როგორც მესანგრეს ისე კი არ გეკითხები, არამედ როგორც ცოცხალ, თვალხილულ ადამიანს! ეჩვეულო რამ შეინიშნება საზღვარზე?

— შემთხვევით ხომ არ გინახავთ იქაური მესაზღვრეების გამოგზავნილი დაშიფრული ცნობა? — შეუბრუნა კითხვა ზვიაგინცევმა.

— არ მინახავს. ალბათ, სადაზვერვო განყოფილებამ მიიღო. რა, დაშიფრული ცნობაა?

და მაშინ ზვიაგინცევმა დაწვრილებით უამბო ყველაფერი, რაც ტოიოვისაგან გაიგონა.

— მაშ, ასე, ერთი მეორეს ემატება... — დაღვრემილად თქვა კოროლიოვმა, როცა ზვიაგინცევი გაჩუმდა. იგი „ჩრდილოეთის პალმირის" კოლოფს გადაწვდა, პაპიროსი ამოიღო, პირში ჩაიდო, კბილები მაგრად დააჭირა და მოუკიდა. მერე მოლურჯო ბოლის სქელი ბოლქვი გამოუშვა და ჩაფიქრებით გაიმეორა: — ერთი მეორეს ემატება.

— ნუ აქიანურებ, პავლე მაქსიმოვიჩ, ბოლოს და ბოლოს, მითხარი რამე გარკვეული! — სთხოვა ზვიაგინცევმა.

— აბა, „გარკვეული" რა უნდა გითხრა, რა? — გაღიზიანებით გაეპასუხა კოროლიოვი. — საზღვარზე ჯარებს თავს უყრიან ფინელები და გერმანელებიც. მათ რომ თავისი ჯარისკაცები ნორვეგიიდან ფარულად ფინეთში გადაჰყავთ, ეს ჩვენ დღეს როდი გავიგეთ. ახლა კი გამოდის, რომ ფინეთში კი არა, პირდაპირ ჩვენს საზღვართან გადმოჰყავთ. და კიდევ: ლენინგრადში მომავალი გერმანელთა სავაჭრო გემები უკანვე გაბრუნდნენ, ნავსადგურში არ შემოსულან.

— ჩემი წინადადებაა, დაუყოვნებლივ მოვახსენოთ სატალს ტოიოს ნათქვამი და...

— რისთვის? — მხრები აიჩეჩა კოროლიოვმა. — თუ დაშიფრული ცნობა მიღებული აქვთ, იმას ისედაც მოახსენებენ. მოსკოვსაც შეატყობინებენ. თანაც გენერალი საზღვრიდან ჯერაც არ დაბრუნებულა...

— მაგრამ მთავარია დრო! — წამოიძახა ზვიაგინცევმა. — სარდალმა თვითონ რომ დაურეკოს უფროსებს...

— ის არ დაურეკავს, — დაღლილი კაცის კილოთი თქვა კოროლიოვმა.

— რატომ?

— უკვე დაურეკა. მეცადინეობათა ადგილიდან. მოახსენა, გერმანული თვითმფრინავები ძლიერ თავხედურად დაფრენენ, საზღვარს გადმოდიანო...

კოროლიოვმა გაფაციცებით შეხედა კარს და ხმის დაწევით თქვა:

— მერე რა უპასუხეს?

— „გიჯობს პანიკიორობას კი არა, საცეცხლე მომზადებას მოჰკიდო ხელი, რაც ოლქში არაფრად არ გივარგაო". აი, რა უპასუხეს უფროსებმა.

კოროლიოვი გაჩუმდა. პაპიროსის ნამწვი საფერფლეში ჩააგდო და საწერ მაგიდაზე დადებულ მინას ხელისგული დასცხო.

— კარგი! უმაღლესი სარდლობის საქმეებში ნუ ვეჩრებით. წესი არ არის, ჩვენს საქმეებს კი მიეხედოთ: წადი და დაწერე დაშიფრული მოხსენება ნაღმურ ღობურათა შესახებ. როცა დაწერ, ხელის მოსაწერად მომიტანე. ოღონდ სწრაფად.

ზვიაგინცევი წამოდგა. რამდენიმე წამს იგი ისე იდგა, თითქოს მერყეობსო, შემდეგ არეული ნაბიჯით გაემართა კარისაკენ.

— აბა? — უკმაყოფილოდ წარმოთქვა კოროლიოვმა. — რას ტოკავ?

ზვიაგინცევი მობრუნდა და ისევ მაგიდასთან მივიდა.

— პავლე მაქსიმოვიჩ, — ხმადაბლა უთხრა მან, — ნუ აბუნდოვნებ. პირდაპირ მითხარი: რაღაც ხომ მოხდა? რაზე გამომიძახეს ასე სასწრაფოდ? საზღვარზე კიდევ ბევრი დაუმთავრებელი საქმეა, პირველი დღე ხომ არა ვარ არმიაში და მესმის, რომ თუ...

— მაიორო ზვიაგინცევ, შეასრულეთ ბრძანება! — გაღიზიანებით უთხრა კოროლიოვმა.

ზვიაგინცევი მკვეთრად შეტრიალდა.

— მოიცა! — შეაჩერა კოროლიოვმა, როცა ზვიაგინცევი უკვე კართან იყო მისული. — შენ მართალი უნდა იყო, ალექსი, — უთხრა მან და უფრო მიუახლოვდა ზვიაგინცევს, — რა საჭიროა გაბუნდოვნება. თანაც შენ შტაბის პარტბიუროს წევრი ხარ. სახალხო კომისარიატიდან მოვიდა დეპეშა. გვა-

ფთხილებენ, რომ უახლოეს ორ-სამ დღეში შესაძლებელია... პროვოკაციები, ნაბრძანებია, პროვოკაციებს არ ავყვეთ, მაგრამ ვიყოთ სრულ საბრძოლო მზადყოფნაში. საღამოს სმოლნში მოწვეულია პარტიული აქტივი, აი ამჟამად ყველაფერი. წადი.

VII

რაიხსკანცლერის კაბინეტში შეკრებილნი: გერინგი, გებელსი, ფელდმარშალი კაიტელი, გენერლები იოდლი, ბრაუხიჩი, ჰალდერი, ვერმახტის შტაბის ოპერატიული სამმართველოს რამდენიმე ოფიცერი და ორი სტენოგრაფისტი უკვე ნახევარი საათია უცდიდნენ ჰიტლერს.

ფიურერი დაგვიანებით მოვიდა. იგი სიტყვით გამოსულიყო ბერლინის დასავლეთ ნაწილში, ლაპარაკს გაეტაცნა და საათზე დახედვა დავიწყებოდა. მას შემდეგ, რაც ინგლისის ავიაცია საჰაერო თავდასხმებს უწყობდა გერმანიას — ეს ჩვეულებრივ საღამო ხანს ხდებოდა ხოლმე — ჰიტლერი პროპაგანდისტულ მოღვაწეობას მხოლოდ დღის პირველ ნახევარში ეწეოდა. მას დიდი ხანია მოთხოვნილებად გადაქცეოდა ხშირ-ხშირი გამოსვლა მიუნხენის „ლიოვენბრაუს“ ლუდის სარდაფში — ფიურერის საყვარელ აუდიტორიაში. ბერლინის „სპორტპალასში“ თუ სხვა ადგილებში.

ახლა კი, „დიადი გადაწყვეტილების დღის“ წინ, ამ საქმემ იგი პირდაპირ გაიტაცა.

ჰიტლერი ამბობდა, რომ ყოველდღე უნდა ჩახედოს თვალებში თავის ხალხს, რომელსაც სულ მალე მოუხდება გადამწყვეტ ბრძოლაში ჩაბმა, და მათ არ უნდა მოაკლდეთ ბედნიერება ყოველდღე ნახონ თავიანთი ფიურერი.

საიმპერიო კანცელარიაში გამართულ თათბირზე ჰიტლერმა დაიგვიანა. ყველა გამოძახებული უკვე იქ იყო. მას ზედაც არავისთვის შეუხედავს, ისე შევიდა კაბინეტში და მისალმების ნიშნად ერთი წამით ოდნავ ასწია ხელისგული.

მან მაშინვე დაიწყო ლაპარაკი. არ დაელოდა ადგილებიდან წამომხტარი ხალხის დასხდომას. ბოლო ხანებში ესეც ჰიტლერის მანერა გახდა — თითქმის კარის ზღურბლიდანვე იწყებდა ლაპარაკს, რითაც ხაზს უსვამდა, ტყუილ-უბრალოდ ერთი წუთის დაკარგვაც არ მინდოო.

ახლაც ასე მოხდა. ჰიტლერმა სწრაფად გადაკვეთა კაბინეტი, თავის უზარმაზარ მაგიდასთან შეჩერდა და თითქოს უკვე დაწყებულ სიტყვას განაგრძობსო, თქვა:

— საიდუმლოება დაცულ უნდა იქნეს აბსოლუტურად.

გადაწყვეტილება, რომელსაც თქვენ ახლა მოისმენთ, ჩემს მიერ დეტალურად არის მოფიქრებული. მან უნდა განსაზღვროს „ბარბაროსას“ გეგმის განხორციელება, მოგვიანებით იოდლის შტაბი ამას ბრძანებით გააფორმებს. ამრიგად... — მან დამსწრეთ მჩხვლეტავი მზერა მოაესლო. — ამრიგად, პირველი, რაც გენერლიდან დაწყებული ჯარისკაცამდე ყველამ აუცილებლად უნდა შეითვისოს: რუსეთის წინააღმდეგ არ შეიძლება რაინდულად ვიომოთ. წარსულის არც ერთ ომთან მისი შედარება არ შეიძლება. ეს იქნება იდეოლოგიურ და რასობრივ დაპირისპირებათა ომი. და უნდა ვიომოთ უპრეცენდენტო, ულმობელი ხერხით!

ჰიტლერმა ხელის მკვეთრი აქნევით ხაზი გაუსვა ამ ბოლო ორ სიტყვას.

მან რამდენიმე ნაბიჯი გადადგა წინ, სავარძლებში მსხდომთ მიუახლოვდა და თქვა:

— იდეოლოგია, რომლის განადგურება, ძირფესვიანად მოთხრა, უკვალოდ მოსპობა მოგვიწევს, ჰაერში როდია გამოკიდებული. არა! მას ბევრი კონკრეტული მიმდევარი ჰყავს. მთავარი კი კომისრები არიან. ამ სიტყვას თავისი ისტორია აქვს. და ბოლშევიკები ფართო გაგებით ხმარობენ. მაგრამ ამჟამად მხედველობაში მყავს წითელი არმიის კომისრები. ოფიციალურად ყველა მათგანი როდი ატარებს ამ წოდებას. კომისართა არცთუ მცირე ნაწილი მოქმედებს პოლიტხელების, პარტიულ ორგანიზაციათა მდივნების, ეგრეთ წოდებული პოლიტგანყოფილებათა ოფიცრების, ინსტრუქტორებისა და სხვა ამგვარი სახელწოდებებით. და აი, მე მივიღე კარდინალური და უდავოდ შესასრულებელი გადაწყვეტილება. მასში ნათქვამია...

ჰიტლერმა ირიბად გადახედა სტენოგრაფისტებს, დაინახა რომ ისინი ქაღალდიდან ფანქრის მოუწყვეტლივ წერდნენ და ნელ-ნელა წარმოთქვა:

— ...ბოლშევიკი კომისრები, რაც არ უნდა ერქვათ მათ, ფიზიკურად მოსპობილ უნდა იქნენ. ყველა. უკლებლივ.

თითქოს წუთის წინ წარმოთქმული სიტყვების შაბნელი აზრით ტკბებაო, კარგა ხანს გაყუჩდა. შემდეგ მაგიდას მიუახლოვდა, იქ მყოფთ მოუტრიალდა და მიაძახა:

— შეკითხვები?

შეკითხვა მისცა პედანტურმა ჰალდერმა, სახმელეთო ჯარების შტაბის უფროსმა. ყველამ იცოდა, ომის დროის ოპერატიული სამუშაოებით დიდი დატვირთვის მიუხედავად, იგი რეგულარულად აწარმოებდა დღიურს. ჰიმლერის კა-

ცებმა ორ-სამჯერ შეძლეს ამ დღიურში ჩახედვა. მათ ვერაფერი ვერ იპოვეს მასში, გარდა მიღებულ ბრძანებათა ჩანაწერების, დღის განმავლობაში ჩატარებული საუბრების მოკლე შინაარსისა, საღამოობით დროს ტარების და დაძინების საათის აღნიშვნისა. ერთი სიტყვით, არაფერი საძრახისი არ იყო.

ჰიმლერმა ჰალდერს უნდილი ღიმილით უწოდა „გენერალ-ბუღალტერი" და დამშვიდდა.

ახლა ჰალდერმა ჰიტლერის გეგმა —„უდიდესი და კოლოსალური, ისევე როგორც ფიუერერის ყველა წამოწყება" — მთლიანად მოიწონა, მაგრამ დაინტერესდა, როგორი ახსნა უნდა მიეცეს მომავალში ზოგიერთ გარდაუვალ წინააღმდეგობას ამ გეგმასა და ჰააგის კონვენციას შორის.

ჰიტლერი დაიმანჭა და უპასუხა: რუსეთი კონვენციაში არ მონაწილეობს და, მაშასადამე, მასთან დაკავშირებული არავითარი უფლება არა აქვსო.

ეს იყო სიცრუე, ვინაიდან ყველამ, ვინც ასე თუ ისე იცნობდა საერთაშორისო სამართალს, იცოდა, რომ ჯერ კიდევ 1918 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ ლენინის მიერ ხელმოწერილ ოფიციალურ დოკუმენტში სცნო ჟენევისა და ჰააგის ყველა კონვენცია. მაგრამ არც ერთს იქ დამსწრეთაგანს ამაზე სიტყვაც არ წამოსცდენია. მხოლოდ გებელსმა ადგილიდან ირონიულად შენიშნა, რომ არსებობს პროპაგანდის სამინისტრო და სახმელეთო ჯარების შტაბი რად უნდა დაიტვირთოს ისეთი საზრუნავით, რომელსაც მასთან პირდაპირი დამოკიდებულება არა აქვსო.

ჰიტლერი კვლავ ალაპარაკდა. მან განაცხადა, რომ ალმოსავლეთში ოპერაციის დაწყებისთანავე აუცილებელია გერმანიის სამხედრო-საველე სასამართლოთა ფუნქციების შეზღუდვა. ამიერიდან გერმანელ სამხედრო მოსამსახურეთა ყველა მოქმედება, რომელიც კი სხვა პირობებში შესაძლოა უკანონოდ ჩათვლილიყო, ამ სასამართლოებში განხილვას არ ექვემდებარება: სამხედრო-საველე სასამართლოთა საქმიანობა უნდა განისაზღვროს დისციპლინისა და გერმანელთა შეიარაღებული ძალების უშიშროების დაცვით, და მორჩა. თუ რომელიმე რუსი, ასე თუ ისე, ემუქრება ამ უშიშროებას, მხოლოდ სულელს შეუძლია მოითხოვოს სასამართლო პროცედურა. ეს რუსი უნდა მიუყვანონ უბრალოდ გერმანელ ოფიცერს, რომელიც ერთპიროვნულად გადაწყვეტს, დამნაშავეა იგი თუ არა. თუ დამნაშავეა, სასჯელი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი: დახვრეტა.

შემდეგ ჰიტლერმა გასცა რამდენიმე მნიშვნელოვანი განკარგულება. მან ჰიმლერი ორ დაპირისპირებულ პოლიტიკურ სისტემას შორის ბრძოლიდან გამომდინარე „სპეციალურ ამოცანათა“ გადაწყვეტის რწმუნებულად დანიშნა. მიანიჭა უფლება — იმოქმედოს თავისი პირადი პასუხისმგებლობითა და არმიისაგან დამოუკიდებლად.

გერინგი ინიშნებოდა გერმანიის ინდუსტრიისათვის საბჭოთა კავშირის მთელი ეკონომიური რესურსების გამოყენების რწმუნებულად.

როზენბერგს ევალებოდა რამდენადმე უფრო შორეული ამოცანის გადაწყვეტა: საომარ მოქმედებათა დამთავრების შემდეგ რუსეთის სახელმწიფო წყობილების პროექტის შემუშავება. ჰიტლერი მიუახლოვდა თავის უზარმაზარ გლობუსს და მოკლედ განმარტა ძირითადი პრინციპები, რომლებიც საფუძვლად უნდა დასდებოდა ამ პროექტს. ხელისგული გლობუსის ზედაპირს გადაუსვა და განაცხადა, რომ რუსეთის ევროპული ნაწილი დაყოფილ უნდა იქნეს სახელმწიფო პროტექტორატებად, უკრაინა უნდა გადაიქცეს ბუფერულ, გერმანიის მოკავშირე სახელმწიფოდ. ბალტიისპირეთის სამი სახელმწიფო და ბელორუსია შემოუერთდება გერმანიას. კავკასია კი თავისი ნავთობიანი რაიონებით გერმანელი რწმუნებულის მმართველობას დაექვემდებარება.

ჰიტლერი კიდევ დიდხანს ლაპარაკობდა მოკლე, ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფრაზებით, მკვეთრი, მყეფარე ხმით. რასაც ახლა იგი ლაპარაკობდა რაიხსკანცლერის კაბინეტში შეკრებილთათვის ახალი ამბავი როდი იყო. უფრო მეტიც, აქ მოწვეულნი — გერინგიც, ჰიმლერიც და გებელსიც, — ყველანი მონაწილეობდნენ ფიურერის გეგმის ამა თუ იმ ნაწილის შემუშავებაში. და, მიუხედავად ამისა, ჰიტლერმა ვერ დათმო სიამოვნება, კიდევ ერთხელ გამოცხადებულიყო შეკრებილთა წინაშე მომავლის მკვრეტელისა და მსოფლიოს ბედიღბლის გადამწყვეტის მისთვის საყვარელ როლში...

როგორც წესი, ჰიტლერი უმეცარ კაცად მიაჩნდათ. თუ სიტყვა „განათლებულობა“ ნიშნავს რომელიმე განსაზღვრულ დარგში ღრმა, სისტემატიზებულ ცოდნას და სხვებში მეტ-ნაკლებ ორიენტირებას, მაშინ გერმანიის რაიხსკანცლერი, ცხადია, უმეცარი იყო. მას არც სასწავლებელში, არც დამოუკიდებლად თანმიმდევრულად და ობიექტურად არ

შეუსწავლია რომელიმე საგანი. ამას უნდა დავუმატოთ ის, რომ მთელი სიცოცხლის მანძილზე მას არ წაუკითხავს, ალბათ, არც ერთი რომანი, არც ერთი პოემა, — ყოველ შემთხვევაში ასე ამბობდნენ მასთან დაახლოებული პირები.

და მაინც ჰიტლერის უმეცრება განსაკუთრებული ხასიათისა იყო, რამდენადაც მას წაკითხული ჰქონდა უამრავი წიგნი, უმთავრესად ისტორიის საკითხებზე.

ეს იყო უწესრიგო, უსისტემო კითხვა. იმ წიგნებს, რომელთაც უეჭველი სამეცნიერო ღირებულება ჰქონდათ, ენაცვლებოდა ათასგვარი პროპაგანდისტული ბროშურა ან უცნობი ავტორების ფსევდომეცნიერული გამოცემები, სადაც კაცობრიობის ისტორია განხილული იყო რასისტული, ვიწროგეოგრაფიული ან მისტიკური თეორიების თვალსაზრისით.

სულ მალე წიგნებისადმი ჰიტლერის ინტერესს გარკვეული ხასიათი მიეცა. იგი მხოლოდ იმას კითხულობდა და იხსომებდა, — მეხსიერება კი მას მშვენიერი ჰქონდა — რაც პირდაპირ საკუთარი აზრებისა და მიზნების დასადასტურებლად გამოადგებოდა. ეს იყო აზრები არიული რასის — უწინარეს ყოვლისა, გერმანელების რჩეულობაზე და სხვა რასების არასრულფასოვნებაზე, ძალაზე, როგორც ყველა ისტორიული დავის გადამწყვეტ არგუმენტზე. მიზანი კი მდგომარეობდა მსოფლიოზე გერმანიის ბატონობის დამკვიდრებაში.

მსოფლიოს დაპყრობის მისწრაფებაში ჰიტლერი ორიგინალური არ ყოფილა. არც რასიზმია მისი გამოგონილი. მას პირველს როდი ეკუთვნოდა იდეა ჯვაროსნული ლაშქრობისა კომუნიზმის წინააღმდეგ.

მაგრამ ეს ჩანაფიქრები და იდეები არსად ასე უცნაურად არ გადახლართულან, როგორც ჰიტლერის თავში.

რა თქმა უნდა, ჰიტლერის მოქმედებაში მთავარი და გადამწყვეტი ყოველთვის იმპერიალისტის ლოგიკა იყო. ძალაუფლებით უმაღლესი ტკბობის წუთებშიც კი მას ყოველთვის ახსოვდა, ვინ ჩააბარა მას ეს ძალაუფლება. ჰიტლერი პოლიტიკური შანტაჟის ოსტატი იყო. თუმცა მისი ინტრიგების განხორციელებას საგრძნობლად აადვილებდა ის, რომ იგი დასავლეთის სახელმწიფოთა მიუნხენის პოლიტიკის ატმოსფეროში მოქმედებდა, იყენებდა რა მათს სიძულვილს კომუნიზმისადმი, საბჭოთა კავშირის თვით არსებობის ფაქტისადმი.

მაგრამ სოციალურ სფეროში ყველა მოვლენა შეიცავს

არა მხოლოდ ზოგად კანონზომიერებებს, არამედ თავის კონკრეტულობასაც.

და ჰიტლერი რომ კაცობრიობის ისტორიაში მსოფლიოზე ბატონობის პირველი პრეტენდენტი არ ყოფილა, როდი ჩრდილავს მის სპეციფიკურ თვისებებს. ეს თვისებები არ იყვნენ გადამწყვეტნი, მაგრამ მის საქციელს მით უფრო მანიაკურს ხდიდნენ.

როდესაც გერმანელი ფაშიზმის სულიერ სათავეებზე ლაპარაკობენ, ხშირად ახსენებენ ნიცშეს, უფრო ზუსტად, მის მიერ შექმნილი „ქერათმიანი გაიძვერის", „ზეადამიანის" სახეს, რომელსაც მხოლოდ საერთოდ მიღებულ ყოფაქცევის ნორმათა ფეხქვეშ გამთელავი ძალის კულტი სწამს. ასახელებენ აგრეთვე ჰუსტონ სტიუარტ ჩემბერლენს, გასულ საუკუნეში გერმანიაში გადმოსახლებულ ინგლისელს, რასიზმის იდეებით გამსჭვალული წიგნების ავტორს.

გაცილებით ნაკლებად არის ცნობილი სახელი იმ ადამიანისა, რომლის გავლენა ჰიტლერზე უეჭველი იყო. მას ერქვა ჰანს ჰიორბიგერი. ამ სახელით ხელმოწერილი იყო ერთნაირი შინაარსის წერილები, რომლებსაც 1925 წლის ზაფხულში ათობით და შეიძლება ასობით გერმანელი და ავსტრიელი მეცნიერი ღებულობდა. ამ წერილის რამდენიმე სტრიქონმა ადრესატების უდიდესი აღშფოთება გამოიწვია. აი, ეს სტრიქონებიც: „ახლა თქვენ მოგიწევთ გააკეთოთ არჩევანი, ვისთან იქნებით — ჩვენთან თუ ჩვენს წინააღმდეგ. ჰიტლერი გაწმენდს პოლიტიკას, ჰანს ჰიორბიგერი კი აღგვის ცრუ მეცნიერებებს. გერმანელთა ეროვნული აღორძინების სიმბოლო მარადიული ყინულის დოქტრინა იქნება. გაფრთხილებთ! ჩადექით ჩვენს მწყობრში, სანამ გვიან არ არის!"

ულტიმატუმს გულისწყრომით და ირონიით შეხვდნენ, თუმცა წერილის ავტორი სრულებითაც არ ყოფილა ჩვეულებრივი უგუნური. ჰანს ჰიორბიგერს გერმანიაში ბევრი იცნობდა. იცოდნენ, როგორ გამოიყურებოდა ეს სამოცდახუთი წლის გოლიათი უზარმაზარი თეთრი წვერით. გარდა ამისა, იგი ბევრ სხვადასხვა სახის დიპლომს ფლობდა და დაწერილი ჰქონდა რამდენიმე წიგნი. იყო ავტორი იმ თეორიისა, რომელიც ზოგ წრეში მოდაში შემოდიოდა. ეს თეორია უარყოფდა თანამედროვე ასტრონომიასა და მათემატიკას. მას საფუძვლად ედო ძველი მითები.

ჰანს ჰიორბიგერი იყო შემქმნელი მომაჯადოებელ-რომანტიკული აბრაკადაბრისა — ეგრეთ წოდებული მოძღვრე-

ბისა კოსმოსური ყინულის „ველტაისლერის“, ანუ შემოკ-ლებით „ველის“ შესახებ.

ოციანი წლებიდან მოყოლებული, მიუნხენის განთქმული „ლუდის პუტჩის“ შემდეგ, ჰიტლერის სახელი მედარებით ცნობილი გახდა. მასზე ხშირად წერდნენ გერმანულ გაზეთებში, ხანდახან მსოფლიო პრესაშიც ახსენებდნენ. მისი ლოზუნგები, მისი ტერმინოლოგია, რაგინდ სხვადასხვა აზრისაც უნდა ყოფილიყვნენ ადამიანები მათ მიმართ, მსოფლიო პოლიტიკის ცენტრში მყოფ პრობლემებს ეხებოდნენ და ამიტომ ბუნებრივ ინტერესს იწვევდნენ.

ჰიორბიგერს კი მხოლოდ გერმანიაში იცნობდნენ. დანარჩენი მსოფლიოსათვის ეს სახელი არაფერს არ ნიშნავდა. მისი მტკიცება, რომ „მეცნიერება — დეკადენტური ფეტიშია“ ან რომ „მათემატიკა — გროშად ღირებული სიცრუეა“, თავისი აღმაშფოთებელი აბსურდულობით თუღა ჰიპაყრობდა ყურადღებას. და, ცხადია, თავდაპირველად არავის მოსვლია ფიქრად, რაიმე კავშირი დაემყარებინა ცრუმეცნიერ, მისტიკოს ჰიორბიგერსა, ვისი აგზნებული აზრიც სადღაც „მარადიული ყინულის“ იდუმალ სივრცეებში ტრიალებდა და „მედაფდაფე“ პრაქტიკოსს შორის. იგი მოითხოვდა ვერსალის ხელშეკრულების მოსპობას, ებრაელებისა და მარქსისტების ამოხოცვას და გერმანიის შეიარაღებას. ამ კავშირს ვერავინ ვერ ამჩნევდა.

თუმცა „ვერავინ“ — მაინც გაზვიადებულად არის ნათქვამი. სულ ცოტა, ორი კაცი მაინც გრძნობდა დასაწყისშივე ამ გარეგნულად შეუმჩნეველ კავშირს. ერთი მათგანი თვით ჰიტლერი იყო. მეორე — ჰაინრიხ ჰიმლერი. იგი მეფრინველეობის ფერმის მფლობელი იყო და ჯერჯერობით იმ პირველის ჩრდილში იმალებოდა.

ეს ორი კაცი ჯერ კიდევ მაშინ, ოციან წლებში, ინახავდნენ თავიანთ საკუთარ ასტროლოგებს, ჰიორბიგერის მოწაფეებს. მხოლოდ მრავალი წლის შემდეგ ჩაიწერა ისტორიაში, რომ ჰიტლერის ასტროლოგს, ბედის ირონიის წყალობით, ფიუერერი ერქვა. ეს მოხდა მაშინ, როცა მას ოფიციალური წესით მიანიჭეს უაზროდ მკლერი წოდება — „მათემატიკურ, ასტრონომიულ და ფიზიკურ მეცნიერებათა სრულმპყრობელი“.

ჰიტლერმა ბევრი რამ ისწავლა ჰიორბიგერისაგან, თუ სიტყვა „ისწავლა“ აქ უადგილო არ იქნება, მაგრამ არც ამ უკანასკნელისთვის ჩაუვლია უკვალოდ ჰიტლერის გაკვეთილებს. მარადიული ყინულის თეორიის მიმდევარნი, მოი-

ერიშეთა მსგავსად, ჯგუფად ერთიანდებოდნენ. და თუ მათს „ველს“ ვინმე ვერ აღიქვამდა, მუშტებითა და კასტეტით ჩაუქედდნენ ამას ზედმიტად ფხიზელ თავში.

ერთი შეხედვით კაცს უცნაურ დამთხვევად მოეჩვენებოდა, რომ სწორედ ფირმების იმ მფლობელებმა რომლებიც ჰიტლერს აფინანსებდნენ, ერთი შეორის მიყოლებით „ველი“ თავიანთ ოფიციალურ იდეოლოგიად გამოაცხადეს. იმ დროს, როცა ჰიორბიგერის თეორიის მქადაგებელნი ცემა-ტყეპით უმასპინძლდებოდნენ მეცნიერებს, რომელნიც მარადიული ყინულის თეორიას უმეცრულ ბოდვას უწოდებდნენ, თვით მესია კი უნივერსიტეტის აუდიტორიებში აკრავდა პროკლამაციებს („როცა ჩვენ გავიმარჯვებთ, თქვენ ხელგამოწვდილნი იდგებით ქვაფენილზე!“), მთელი რიგი ბანკების, სადაზღვევო კომპანიებისა და ქარხნების მფლობელები თავიანთი მოსამსახურეებისაგან მოითხოვდნენ დაედოთ სპეციალური ფიცი, რომელიც შეიცავდა სიტყვებს: „ეფიცავ, რომ მწამს მარადიული ყინულის თეორია!“

მათთვის, ვინც გაუბედავად იძლეოდა კითხვას, რა არის ეს „მარადიული ყინული“ და ჩრდილოეთის პოლუსი ან ანტარქტიდა ხომ არ იგულისხმებაო, იბეჭდებოდა პოპულარული ბროშურები. მათში ბუნდოვნად, მაგრამ ამასთანავე ენერგიულად იყო გადმოცემული ამ იდუმალი მიძღვრების აზრი. ერთ-ერთ ასეთ ბროშურაში ნათქვამი იყო:

„ჩვენი ნორდული წინაპრები ყინულსა და თოვლში გახდნენ ძლიერნი. ამიტომ კოსმოსური ყინულისადმი რწმენა— ნორდული ადამიანის ბუნებრივი მიმკვიდრეობაა. ავსტრიელმა ჰიტლერმა განდევნა ებრაელი პოლიტიკანები. ავსტრიელი ჰიორბიგერი განდევნის ებრაელ მეცნიერებს. თავისი ცხოვრების მთელი გამოცდილებით ჩვენმა ფიურერმა გვიჩვენა შთაგონების უპირატესობა პროფესიონალიზმთან. საჭირო გახდა მეორე შორსმჭვრეტელი, რომ მოეცა ჩვენთვის კოსმოსის სრული გაგება“.

ძნელი წარმოსადგენია, თუ ვინმე შეძლებდა ბოლომდე გარკვეულიყო ამ მისტიკურ აბდაუბდაში. ამ წარმართულ ქადაგებისა და ყაჩაღობისკენ მოწოდებათა პრეტენზიულ ნარევში.

მაგრამ ჰიტლერი პატივს სცემდა ჰიორბიგერს და მისი ქადაგების მოსმენისას ეგზალტაციის მდგომარეობაში ვარდებოდა.

ჰიორბიგერის ზეშთაგონებათაგან ერთი ჰიტლერმა კარგად შეითვისა. მისი აზრი იმაში მდგომარეობდა, რომ მეცნ-

ნიერების როლი დაყვანილ უნდა იქნეს მხოლოდ იმის დასაბუთება-დადასტურებამდე, რაც ირაციონალური გზით, როგორც რაღაც ნათელხილვა, გამოეცხადა „ზეადამიანს“.

ეს აზრი ჰიტლერის გულს ინადირებდა, ვინაიდან მისთვის აუცილებელი იყო გადაეჩვია ხალხი ლოგიკურ აზროვნებისათვის, მიზეზებისა და შედეგების დაპირისპირებისა და მოვლენათა გაანალიზებისათვის. ამის ნაცვლად მათ უნდა ესწავლათ მხოლოდ აღქმა, ესე იგი, ფიურერის მიერ წარმოთქმული ყოველი სიტყვის შეუკამათებლად დაჯერება.

ნარკოტიკული გაბრუების მდგომარეობაში მყოფ ადამიანებს ქიმერები ეუფლება. ჰიტლერისათვის მთავარი იყო მიეღწია იმისათვის, რომ ადამიანები მუდმივი სისასტიკის ევფორიის მდგომარეობაში ყოფილიყვნენ.

კომუნიზმი, როგორც რეალური ძალა და როგორც იდეოლოგია, ფაშიზმისათვის ნომერ პირველი მტერია. გენოციდი კი ყოველთვის მსოფლიოზე ბატონობისათვის ბრძოლის აუცილებელი თანამგზავრია. და მაინც იმისათვის, რომ მილიონობით ადამიანი ჩაეთრიათ ხალხების მასობრივ მოსპობაში, რომ ყოველდღიურობაში შემოეღოთ კრემატორიები ცოცხლებისათვის, გამოეგონათ გაზის კამერები, საჭირო იყო არა მარტო ადამიანის სინდისის ქიმერად გამოცხადება, არამედ უნდა ეცადათ ეხსნათ იგი ამ ქიმერისაგან. თუკი კაცობრიობის მთელი მეცნიერული ისტორია მხოლოდ ინტელიგენტური გამონაგონი იყო, რომელიც ფარავდა „ნამდვილ“ ისტორიას თავისი წარღვნებით, სტიქიათა ბრძოლით, ხალხთა გადასახლებებით, გიგანტებითა და მონებით, თუკი ასეთი იყო კაცობრიობის წარსული, რატომ არ უნდა იყოს ასეთივე მისი მომავალიც?

ჰიტლერმა ახალ საიმპერიო კანცელარიაში, რომ დაამთავრა თათბირი, მერე ბერგჰოფისკენ გაემართა.

ბერლინში, ნიურნბერგში იგი თავს გრძნობდა ტრიბუნად — მედაფდაფედ, სარდლად. ალპების დიდებულ მთებს შორის ტაფობში მდებარე ბერგჰოფი კი ჩვეულებრივ, საზეიმო-პირქუშ გუნებაზე აყენებდა. მას თავი წარმოედგინა მოკვდავთა თვალისათვის მიუწვდომელ გენიოსად, მათი ბედ-იღბლის უზენაეს გამგებლად. იგი მიემგზავრებოდა მატარებლით — ორვაგონიანი ორთქლმავლით. ერთი ვაგონი დაცვას ეკავა. მეორე სალონ-ვაგონის ფანჯარასთან თვითონ

იჯდა და კვლავ ცდილობდა წელან დამთავრებული თათბირის დეტალების მეხსიერებაში აღდგენას.

ახლა თითქოს შორიდან ხედავდა თავის თავს. იგი იდგა გიგანტურ, შავი ხის საყრდენზე დამაგრებულ გლობუსთან, უძრავად მსხდომ ადამიანთა ჯგუფის წინაშე, რომელთა მზერა მისკენ იყო მიპყრობილი.

ჰიტლერმა თვალები მილულა და მოეჩვენა, თითქოს ეს გლობუსი დედამიწის ბირთვის ოდენად გაიზარდა. მაგრამ უცებ სულ სხვა სურათი წარმოესახა. მოულოდნელად გლობუსი თავის ჩვეულებრივ ზომამდე დაპატარავდა. მასთან იდგა იგი, ჰიტლერი, მაგრამ არათანაზომიერად პატარა, დორბლიანი ქონდრის კაცი ნერვიულად აცმაცუნებული ულვაშებით და კომიკური ჟესტიკულირებით.

ეს იყო კადრი ამერიკული კლოუნის, ჩაპლინად წოდებული საცოდავი კომედიანტის სურათიდან. მიუხედავად ათეულ, ასეულ ათასობით მარკისა გერმანიის მთავრობამ რომ გაიღო ბევრი ამერიკელი ჩინოვნიკის მოსასყიდად... გასულ წელს მან მაინც შეძლო დაემთავრებინა თავისი ბილწი შენათითხნი და გაუშვა იგი მსოფლიოს ეკრანებზე სამოგზაუროდ.

ჰიტლერს მოახსენეს, რომ ანტიამერიკული საქმიანობის საგამომძიებლო კომისიამ წამოიწყო საქმე ამ საძაგელი ტაკიმასხარას წინააღმდეგ, რომელმაც დიდი სახელმწიფოს მეთაურს დასცინა.

„კომისიები, კონგრესები, პარლამენტები!..—თქვა გულში ჰიტლერმა და ამ სიტყვებში სიძულვილისა და ზიზღის მთელი ძალა ჩააქსოვა. — გახრწნილი, დამპალი ცივილიზაციის ნაყოფი! საბედნიეროდ, ევროპის დიდ ნაწილში ამას უკვე ბოლო მოეღო“.

მან ჩაიცინა, წარმოიდგინა რა, როგორ იკლაკნება ზორბა ესესელთა ხელში ჩაბღუჯული ქუსლებმოქცეული, ეიწრო პიჯაკიანი სულელურ ქვაბუნაქუდიანი ქონდრისკაცი. და თვითონ ჰიტლერი აგემებს ამ პიგმეის პირველ დარტყმას — მუშტებს სიფათში და წიხლებს ლაჯებში...

ჰიტლერს უნებურად შეეკუმშა მუშტები. რამდენიმე წამს იგი ულმობელი სიხარულის შეგრძნებით ტკბებოდა. მერე ნებისყოფა მოიკრიბა, მეხსიერებიდან ამოიგდო, წაშალა ეს საძაგელი ფილმიც და ნაძირალა კომედიანტის სახეც.

ახლა მან წარმოიდგინა უზარმაზარი ტერიტორია, რომელიც არასოდეს თვალით არ უნახა. ქალაქები, სოფლები,

ტუეები, მთები, მინდვრები, ადამიანები. და ყოველივე ამას ცეცხლი მოსდებოდა, ცა ალისფრად კაშკაშებდა...

ბერგჰოფში ჰიტლერს დანვიცი ელოდებოდა. ფიურერის ამ რჩეულს უკვე მიეღო მრმავალ გრანდიოზულ საომარ მოქმედებაში მონაწილეობის მიღების უფლება. ერთი კვირის შემდეგ იგი აღმოსავლეთ პრუსიაში უნდა გამგზავრებულიყო და „ჩრდილოეთის" კოდური სახელწოდებით ფორმირებულ არმიათა ჯგუფის ერთ-ერთ ნაწილში ქვეიოი ბატალიონის მეთაურის თანამდებობა დაეკავებინა.

ჰიტლერს უყვარდა, ირგვლივ ისეთი ადამიანები ჰყოლოდა, რომლებიც მზად იყვნენ დამორჩილებოდნენ მის ნათქვამ პირველსავე სიტყვას. მის გაკეთებულ პირველსავე ქესტს. ისეთი ადამიანები, რომელთა აზრები და სურვილები მისი საკუთარი აზრებისა და სურვილების გაგრძელება იქნებოდა.

დანვიცი სწორედ ასეთი იყო. მაგრამ ჰიტლერმა იგი მარტო ამისათვის როდი ამოირჩია. ფიურერი მასში თავისი სისტემის, თავისი აღზრდის რაღაც იდეალურ პროდუქტს ხედავდა.

მაღალ პოლიტიკაში დანვიცი არავითარ როლს არ ასრულებდა. მას ნაკლებად იცნობდნენ. მაგრამ ჰიტლერს არ შეეძლო მის თვალებში არ შეემჩნია ფიურერის მუდმივი გაღმერთება, მისდამი მიმართული პირველი სიტყვებიხთანავე მდუმარე ეგზალტაცია, საოცარი ამთვისებლობა იმ ბუნდოვან-მისტიკური ქადაგებისა, რომელსაც თვითონ დროგამოშვებით გადმოაფრქვევდა ხოლმე.

დანვიცის მხურვალე თხოვნაში, უფრო სწორად ვედრებაში ფრონტზე გაგზავნის შესახებ, ჰიტლერმა დროების ნიშანი დაინახა. მას სურდა ეხილა თავისი არმია, შემდგარი სწორედ ისეთი ადამიანებისაგან, როგორიც დანვიცი იყო. ფრონტზე ამ ოფიცრის გაგზავნით ჰიტლერი თითქოს სიმბოლურ აქტს ასრულებდა — აგზავნიდა იქ თვით თავის ნაწილაკს, უმცირესს, მაგრამ მაინც ნაწილაკს.

...მან დაჟინებული მზერით შეათვალიერა თავისი კაბინეტის ზღურბლთან გაშეშებული, მისალმების ნიშნად წინ ხელგაშვერილი დანვიცი, რომელსაც უკვე სამხედრო-საველე ფორმა ეცვა.

— მაშ ასე, მიემგზავრები, დანვიც? — საზეიმო ხმით წარმოთქვა ჰიტლერმა.

— დიახ, ჩემო ფიურერო, — იმ წამსვე გადაიღო ჰიტლერის ინტონაცია და ისეთივე პირქუში საზეიმო კილოთი უპასუხა დანვიცმა. — მე გეახელით, რომ დაგემშვიდობოთ.

მან სწრაფად დაუშვა ხელი, მაგრამ კვლავ უძრაველად იდგა ჰიტლერი ნელა წამოდგა და დანვიცს მიუახლოვდა.

— რის გაგონებას ისურვებდი შენ ჩემგან დამშვიდობებისას? — ჰკითხა ჰიტლერმა.

— მხოლოდ ერთი სიტყვისა, ჩემო ფიურერო: „წადი".

— შენ გაიგონებ ერთ სიტყვაზე უფრო მეტს.

ცოტა ხნის წინათ ჰიტლერი იძულებული იყო სამი საათის განმავლობაში ესმინა გენერლების მშრალი, წარმოსახვას მოკლებული პატაკები. თვითონ კი გაითამაშა თავისი ერთ-ერთი საყვარელი როლი — სარდლის როლი, ცეზარის, ნაპოლეონისა და მოლტკესი ერთად შეერთებული. მისი სიტყვები კატეგორიული იყო, ფრაზები მოკლე, რეპლიკები შეუვალი. ახლა ჰიტლერი დიდხანს და მჭევრმეტყველურად ლაპარაკის სურვილმა შეიპყრო.

მან ხელით ანიშნა დანვიცს, გამომყევიო და ვენეციური ფართო ფანჯრისაკენ გაემართა. გაზაფხულის მზე დაჰქათქათებდა აქა-იქ თოვლით დაფარულ ალპიურ მწვერვალებს.

— შეხედე, დანვიც, ამ მთებს, — ხმამაღლა წარმოთქვა ჰიტლერმა. — დატკბი ამ ხედით. შენ ხომ მალე მოგიწევს ძირს დაშვება. მილიონობით ჩემს ჯარისკაცთან ერთად შენ გაემგზავრები ბნელსა და პირქუშ ქვეყანაში. მისმინე, დანვიც, — თავი უკან გადაეწია და განაგრძობდა ჰიტლერი. — ბევრნი ფიქრობენ, რომ მე მინდა ამ ქვეყნის დაპყრობა. ისინი ცდებიან, მე მინდა მისი მოსპობა. და რაც უნდა გახდე ფრონტზე — პოლკოვნიკი თუ გენერალი, რასაც უნდა ეთაურობდე — ბატალიონს, პოლკსა თუ დივიზიას, — შენი მთავარი უნდა იყოს ეს ჩემი ჩანაფიქრი. ხომ გაიგე? თუ ვერა, შემეკითხე. მე გელოდები!

— მე ვფიქრობ, გაგიგეთ, ჩემო ფიურერო! — ყრუდ წარმოთქვა დანვიცმა, თან თვალს არ აშორებდა ჰიტლერს. — მე უნდა დავხოცო მტრები. არ დავინდო ისინი ბრძოლაში.

— არა! — წამოიყვირა ჰიტლერმა.— ეს არ კმარა, არ კმარა! მე მინდა ეს სახელმწიფო აღვგავო პირისაგან მიწისა. მინდა, რომ მოსკოვისა და ლენინგრადის ადგილას ტბები დადგეს. მინდა ფიზიკურად გავანადგურო ეს სლავიანურ-მონგოლური რასა, მთელი ეს ნარევი აზიელებისა, ებრაელებისა, ბოშებისა, არაკაცებისა, რომელთაც თავი ადამიანებად წარმოუდგენიათ! იქნებ იფიქრო, რომ ჭურვები და

ბომბები არ გვეყოფა? მაგრამ მე მათ არა მარტო ჭურვებითა და ბომბებით გავანადგურებ...

მას მარჯვენა მხარი აუთამაშდა, თვალები ჩაუწითლდა, სახე დანვიცის სახესთან მიიტანა.

— მისმინე, — ხმის დაწევით ხრინწიანად უთხრა ჰიტლერმა. — ჩემი დიადი გეგმა უკვე შემუშავებულია. მას შემდეგ, რაც ბოლშევიკურ არმიას დავამარცხებთ, — ამას რამდენიმე კვირა მოუნდება, — მთელი სურსათი, რუსეთის მთელი მინერალური სიმდიდრე გაიგზავნება მხოლოდ გერმანიაში. რუსეთში დაიწყება შიმშილი. საყოველთაო, ულმობელი შიმშილი. იგი შავ ჭირზე უფრო საშინელი იქნება. დაიღუპებიან მილიონები, მაგრამ ეს შედის ჩემს გეგმაში. გადარჩებიან ათასები, ან იქნება, ათეულ ათასები. ისინი, ვინც მოჰკიდებენ ხელს თოხითა და ბარით მიწის ჩიჩქნას. ისინი, ვინც მოემსახურებიან გერმანელ ბატონებს, გამიგე შენ, დანვიც?

დიახ, დანვიცმა გაუგო. იგი თავისი ფიურერის თვალებით უცქეროდა ყვილაფერს.

ახლა დანვიცის აგზნებული გონების თვალწინ სისხლის ზღვა გადაიშალა. იგი ამ ზღვაში თავის თავს ხედავდა მუხლამდე მდგომს, მსგავსად ზიგფრიდისა, რომელიც მის მიერ დამარცხებული გველეშაპის შავ სისხლში რიტუალურ განბანვას ასრულებდა.

— მე გაგიგეთ თქვენ, ჩემო ფიურერო! — ამაყად განაცხადა მან.

ჰიტლერმა კმაყოფილებით დაუქნია თავი და უთხრა:

— რა თქმა უნდა, უმაღლეს მეთაურებს ექნებათ საჭირო ინსტრუქციები, მაგრამ შენ ხარ — ჩემი თვალები. შენ ხარ — ჩემი ყურები. და თუ ისეთ რაიმეს გაიგებ, რაც ჩემს ზრახვებს არ ეთანხმება, დაუყოვნებლივ უნდა მაცნობო. მე მივცემ მითითებას ფონ ლეიბს, რომ შენი პატაკები სასწრაფოდ გადმომცენ ხოლმე.

მან ოთახში გაიარ-გამოირა.

— როგორც უკვე ვთქვი, მთელ კამპანიას მოუნდება ერთნახევარი, მაქსიმუმი ორი თვე, — თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა ჰიტლერმა ისე, რომ დანვიცს არ უცქეროდა, — ამის შემდეგ დარჩება, ასე ვთქვათ დეტალები. ადმინისტრაციის შექმნა, ჰიმლერის ღონისძიებანი და ასე შემდეგ... ზოგ-ზოგნი ცდილობენ რუსული ზამთრით დამაშინონ. მაგრამ ჩვენ ზამთარში როდი ვიბრძოლებთ — მოულოდნელად ფალცეტით წამოიყვირა ჰიტლერმა. — თუმცა, —

დასძინა მან უკვე მშვიდად, — წლევანდელი ზამთარი რუსეთში რბილი იქნება.

— ეს მეტეოროლოგების პროგნოზია? — გაუბედავად ჰკითხა დანვიცმა, რომელსაც არაერთხელ გაეგონა რუსეთის საშინელი ზამთრის შესახებ.

— ეშმაკს წაუღია მეტეოროლოგია! — ისევ გაშმაგებით დაიყვირა ჰიტლერმა. ხელისგული გადაისვა ოფლიან შუბლზე და ზედ მიკრული თმა უკან გადაიყარა. შემდეგ ხმის დაწევით თქვა:

— ჩვენ შევდივართ ახალ ციკლში. მარადიული ყინულიდან მივემართებით ცეცხლის ციკლისაკენ. ჩემი ჯარისკაცები — ესენი არიან მაგიური ცეცხლის პირველი მატარებელნი. ზამთარი პირქვე დაემხობა მათ წინაშე.

იგი კვლავ მიუახლოვდა დანვიცს და, თითქოს მას კი არა, სხვა უხილავ მსმენელებს მიმართავსო, შესძახა:

— არა, ჩვენ არ ვიბრძოლებთ ზამთარში! რუსები ექვს კვირაზე მეტ ხანს ვერ გაუძლებენ გერმანიის არმიასთან შერკინებას. მე ვიცი ეს, ვიცი! — მან ზევით აიშვირა საჩვენებელი თითი, თითქოს ფიცს იძლევაო.

— მისმინე, — განაგრძო მან და კვლავ მოჯადოებულივით მდგარ დანვიცს მიუბრუნდა. — რუსებთან პირველივე შეხვედრისას დარწმუნდები ჩემი სიტყვების სიმართლეში. გამოსცადე პირველივე ტყვედ ჩავარდნილი რუსი. მისი გაძლეობა, მისი სულის სიმტკიცე. გამონახე ყოველივე ამის შემოწმების ხერხი. და შენ გაიგებ, რომ არც ერთ მათგანს არ ძალუძს წინ აღგვიდგეს. ჩვენთან პირისპირ რომ აღმოჩნდებიან, გაშიშვლდება მათი არსების მთელი არარაობა. მთელი მათი იდეოლოგია, მათი ერთგულება კომუნიზმისადმი — ყველაფერი ჩენჩოსავით დაცვივა, დაიფანტება მაშინვე, როგორც კი მათ თავზე ნაციონალ-სოციალიზმის მახვილი აღიმართება. ახლა კი გზას გაუდექი, მაიორო დანვიც! საბრძოლო საყვირის ხმაზე შენს ადგილზე უნდა იყო, პირველ რიგებში. მშვიდობით!

VIII

მთელი მსოფლიო — მათ შორის თითქმის ყველა საბჭოთა ადამიანი დარწმუნებული იყო, რომ სტალინი ცხოვრობს კრემლში, სწორედ იმ პატარა სამოთახიან ბინაში, რომელიც ანრი ბარბიუსმა თავის ფართოდ ცნობილ წიგნში აღწერა.

მაგრამ სტალინი, თუმცა ჰქონდა ბინა კრემლში — ხელახლა გადაკეთებული სქელკედლებიანი და მაღალჭერიანი სადგომი სენატის ძველ შენობაში — უკვე რამდენი წელი იყო, ფაქტიურად იქ აღარ ცხოვრობდა.

ოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული მისი მუდმივი და საყვარელი სახლი იყო აგარაკი მოსკოვის მახლობლად, დაბა ვოლინსკოეში, კუნცევოს გვერდით.

სტალინის სამუშაო კაბინეტი კრემლში მოთავსებული იყო იმავე შენობის მეორე სართულზე, სადაც ბინა ჰქონდა.

ამიტომ მუშაობის შემდეგ — მისი ოფიციალური სამუშაო დღე საღამოს შვიდი-რვა საათისათვის მთავრდებოდა — სტალინი სადილისათვის ქვემოთ ჩადიოდა.

ჩვეულებრივ, სადილი დიდხანს გასტანდა ხოლმე — სტალინი ვერ იტანდა მარტოობას და შინ მარტო იშვიათად ბრუნდებოდა. მიუხედავად ამისა, კრემლში არასოდეს არ რჩებოდა ღამის გასათევად და საღამოს თერთმეტი საათისათვის სუფრას ტოვებდა, რათა ვოლინსკოეში წასულიყო.

კრემლის ბოროვიცკის ჭიშკრიდან გრძელი შავი ავტომანქანები გამოდიოდნენ. ერთ მათგანში იჯდა სტალინი.

იქ, სადაც ქალაქი თავდებოდა და დოროგომილოვის ქუჩა მინსკის გზატკეცილზე გადიოდა, მანქანები მარცხენა პარალელურ ხეივანში ჩაიქროლებდნენ ხოლმე.

ხეივნის დასაწყისში ეკიდა ნიშანი, რომელიც ყოველგვარი ტრანსპორტის მოძრაობას კრძალავდა.

შავი მანქანები ხეივანში სვლას უმატებდნენ, შემდეგ მარცხნივ მეორე პერპენდიკულარულ ხეივანში შეუხვევდნენ, მერე, — მარჯვნივ, მესამეში. რომელიც მთისკენ მიემართებოდა...

აღმართი „სპვერიტიან" ჭიშკართან თავდებოდა. მანქანების მიახლოვებისას ჭიშკარი ისე იღებოდა, რომ მათ დაუყოვნებლად შეეძლოთ შიგ შესვლა.

აქ, მოსკოვთან ახლოს, მაგრამ მისი ხმაურისაგან დაშორებით, ხის მაღალი ღობის შიგნით, რომელსაც თითქმის ზედ ეკვროდა ხშირი ტყე, იდგა ხის სახლი, რომელშიც სტალინი უკანასკნელ წლებში ატარებდა ყოველ დილას, ყოველ საღამოსა და ღამეს.

...იმ ღამეს სტალინი, ჩვეულებრივ, სამის ნახევრამდე მუშაობდა. გრძელი სასადილო მაგიდის ერთი ბოლო ქა-

ღალდებითა და გაზეთებით იყო დატვირთული. ეს მაგიდა, ჩვეულებრივ, საწერი მაგიდის მაგივრობას უწევდა სტალინს.

მისი სამუშაო განრიგი ასეთი იყო — ღამის სამი საათისათვის სტალინი გადადიოდა პატარა ოთახში, რომლის კედლები ზუსტად ისეთივე იყო, როგორც კრემლის კაბინეტში — ნაღვენთი მუხით მოპირკეთებული ფირფიცარი, ზემოთ კი ლინკრუსტი. დასაძინებლად წვებოდა დივანზე, რომელზეც ღამით ლოგინს უშლიდნენ. გვერდით, პატარა მაგიდაზე, ედგა ტელეფონი — კრემლის „ტრიალა", მაგრამ ღამის საათებში მას, ჩვეულებრივ, არ იყენებდა.

მას გვიანობამდე ეძინა — დღის თერთმეტ-თორმეტ საათამდე. შემდეგ დგებოდა და ბაღში გამართულ ტალავარში შიდიოდა. იქ მოუტანდნენ საუზმეს, გაზეთებსა და დილის ფოსტას.

დღის ორ საათზე შავი ავტომანქანები გამოდიოდნენ კუნცევოს აგარაკის ჭიშკრიდან, ერთ მათგანში — არავინ იცოდა თუ სახელდობრ რომელში — იჯდა სტალინი.

მანქანები ჩვეული მარშრუტით მიქრდნენ და კრემლის ბოროვიცკის ჭიშკარში უჩინარდებოდნენ.

ასეთი იყო სტალინის დღის განრიგი. იგი საეალდებულო იყო ყველასათვის, ვისთანაც მას ჰქონდა ან შეიძლებოდა ჰქონოდა ურთიერთობა — პოლიტბიუროს წევრებისათვის, სახკომებისათვის, მხედართმთავრებისათვის!

ასეთი იყო ეს განრიგი შაბათსაც, 1941 წლის ოცდაერთ ივნისს.

...ღამის სამის ნახევარზე სტალინი დასაძინებლად წავიდა. ნახევარი საათის მოგვიანებით ლოგინში ჩაწვა დაცვის სამმართველოს უფროსი, ტანმორჩილი, ზონზროხა გენერალიც.

ფანჯრებში შუქი ჩაქრა.

როცა დაცვის უფროსის ოთახში ტელეფონის ზარი გაისმა, გენერალმა მაშინვე ვერ გაიგონა. მრავალი წლის განმავლობაში იგი მიჩვეულიყო, როცა სტალინი დასაძინებლად დაწვებოდა, დროის მსვლელობა თითქოსდა ყველასთვის ჩერდებოდა. ვინც კი მისი ჩვეულება იცოდა, ვერავინ გაბედავდა დღე-ღამის ამ დროს აქ დარეკვას.

ამიტომ გენერალს ღრმად ეძინა, ხოლო როცა გამოიღვიძა, მაშინვე ვერ მოისაზრა, რომ სწორედ ტელეფონი რეკავდა. უკმაყოფილოდ შეიჭმუხნა, შუქი აანთო და საათს დახედა. ისრები ხუთის ათ წუთს აღნიშნავდნენ. გაოცების, ცნობისმოყვარეობისა და ამ უდროო დროის დამრეკავის შეხუ-

რების სურვილის შერეული გრძნობით მან ყურმილი აიღო და უკმაყოფილოდ იკითხა:

— ვინ არის?

მან მაშინვე იცნო მოლაპარაკის ხმა. ეს იყო წითელი არმიის გენერალური შტაბის უფროსი.

— სთხოვე ამხანაგ სტალინს, — მკვეთრად მოითხოვა ნაცნობმა ხმამ.

— რა? ახლა? — განცვიფრებით უპასუხა დაცვის უფროსმა. — ამხანაგ სტალინს სძინავს.

— მე შენ გეუბნები, გააღვიძე! — ბრძანების კილოთი იყვირა ყურმილმა. — გერმანელები ბომბავენ ჩვენს ქალაქებს!

დაცვის უფროსი რამდენიმე წამს დუმდა, სულ უფრო მაგრად უჭერდა ხელს ტელეფონის ყურმილს. ბოლოს ყრუდ წარმოთქვა:

— მოიცადე.

მან ყურმილი მაგიდაზე დადო, გაოფლიანებული ხელისგული პერანგზე შეიმშრალა, შემდეგ მხრებზე ლაბადა მოიხურა და აჩქარებით გავიდა ოთახიდან.

...გავიდა რამდენიმე წუთი, სანამ სტალინმა ყურმილი აიღო.

— სტალინი, — თქვა მან ხმადაბლა.

— ამხანაგო სტალინ,— გაისმა გენშტაბის უფროსის მკაფიო ხმა, — თავდაცვის სახკომის დავალებით გირეკავ. გერმანელები ბომბავენ ჩვენს ქალაქებს...

იგი დადუმდა. დუმდა სტალინიც. ისმოდა მხოლოდ მისი, თამბაქოს მწეველი კაცისათვის დამახასიათებელი მძიმე ხრინწიანი სუნთქვა.

— სად არის სახკომი? — იკითხა ბოლოს სტალინმა და მავთულის მეორე ბოლოში მყოფ გენერალს მოეჩვენა, ეს კითხვა მხოლოდ იმიტომ მისცა, რომ დრო შეეჩერებინა, შეეკავებინა, გაეჭიმა.

— მაღალი სიხშირის ტელეფონით კიევის ოლქს ელაპარაკება, — აჩქარებით უპასუხა შტაბის უფროსმა.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

„რატომ დუმს იგი, რატომ?..“ — ეკითხებოდა თავის თავს მოუთმენლობით გაწამებული გენშტაბის უფროსი. მაგრამ ასეთ მომენტშიც ვერ გაბედა დუმილის დარღვევა. არმიის გენერალი გაბედული, გულადი კაცი იყო. იგი თითქოს ომისთვის იყო დაბადებული. მისთვის არსებობდა მხოლოდ ომის კანონები — ქვეყნის თავდაცვის ლოგიკა, რომლის წი-

ნაში გადამწყვეტ მომენტში უკანა პლანზე იხევდნენ ადამიანები, წოდებები, სუბორდინაცია. მაგრამ ვერც იგი ბედავდა დაერღვია სტალინის დუმილი.

გენერალი მოთმინებით ელოდა, როდის დაილაპარაკებდა სტალინი, თვალწინ კი ის სცენა ედგა, რომლის მოწმედ და მონაწილედ ყოფნა გუშინ დღისით მოუხდა.

...მარშალთან ერთად იგი გამოცხადდა სტალინთან განსაკუთრებული მნიშვნელობის ცნობის მოსახსენებლად. საქაღალდეში, რომელიც გენშტაბის უფროსმა თან მოიტანა, კიევის სამხედრო ოლქიდან მიღებული დაშიფრული ცნობა იდო. სარდალი უპატაკებდა ჩვენი ჯარების განლაგებაში გადმოსული გერმანელი ჯარისკაცის შესახებ. ამ ჯარისკაცმა განაცხადა, რომ მის ნაწილში გამოცხადებული ბრძანებით ხვალ გარიჟრაჟზე იწყება საომარი მოქმედება სსრ კავშირის წინააღმდეგ, როგორც ჯარისკაცი ამბობს, იგი კომუნისტია, საბჭოთა კავშირის მეგობარი და გადაწყვიტა საკუთარი სიცოცხლის რისკით გაეფრთხილებინა რუსეთი იმ საშიშროების შესახებ, რომელიც მას ემუქრება.

დაშიფრულ ცნობასთან ერთად საქაღალდეში იდო ბრძანების პროექტი დასავლეთის ოლქების ჯარების სრულ სამხედრო მზადყოფნაში მოყვანის შესახებ. სწორედ ეს პროექტი წარუდგინეს განსახილველად სტალინს.

...იგი იდგა კედელთან, მარქსისა და ენგელსის პორტრეტების ქვეშ, დინჯად ეწეოდა ჩიბუხს და მდუმარედ ისმენდა მარშალის მოხსენებას. შემდეგ ნელი, უხმაურო ნაბიჯით გაემართა სხდომების გრძელი მაგიდისაკენ, სპილენძის ბასიურ საფერფლეში ჩააგდო ასანთის ნამწვი, აუჩქარებლად მიუბრუნდა უძრავად მდგომ ორ სამხედრო პირს და მშრალად ჰკითხა:

— თქვენ შეგიძლიათ იყოთ იმის თავდები, რომ თქვენი გადმოსული თვით გერმანელების მიერ არ არის გადმოსროლილი?

და მან ოდნავ მოჭუტა მომცრო თვალები და ციცი მზერა მიაპყრო თითქმის ერთიმეორის მხარი-მხარ მდგომი საბოლოისა და გენერლის სახეებს.

ისინი დუმდნენ.

— დარწმუნებული ხართ, რომ ეს პროვოკაცია არ არის? — ოდნავ ხმის აწევით ჩაეკითხა სტალინი ამჯერად გენშტაბის უფროსს.

ვინც სტალინის გარშემო ტრიალებდა, მასთან შესვლის ნება ჰქონდა, მასთან საუბრობდა, მათ შორის, ალბათ, არ

ჰოიძებნებოდა ადამიანი, რომელიც გაბედავდა კატეგორიული ფორმით უარყოფითი პასუხი გაეცა მის ვარაუდზე.

ვინაიდან მათ იცოდნენ: აზრი შესაძლებელი პროვოკაციის შესახებ რათა ომში ჩაეთრიათ საბჭოთა კავშირი, არასოდეს არ შორდებოდა სტალინს და განუყრელად უკავშირდებოდა მეორე აზრს, არ აჰყოლოდა ამ პროვოკაციას.

და ამავე დროს ყოველი ადამიანი, რომელსაც ჰქონია შესაძლებლობა ელაპარაკა სტალინთან ან თუნდაც მოესმინა ჰისთვის, ეჭვმიუტანელ ფაქტად თვლიდა, რომ სტალინს მასზე მეტი ესმის, მასზე შორს ხედავს, ფლობს ცნობებს, რომლებიც მხოლოდ მან ერთმა იცის.

ამჯერად სტალინთან ურთიერთობის ლოგიკა, მისი ინტელექტუალური უპირატესობის შეგნება, ხალხში წლობით განმტკიცებული მისი ყველაზე შორს და ყველაზე ღრმად ხედვის უნარი აიძულებდა მის წინ მდგომ სარდალსა და გენერალს დასთანხმებოდნენ, საფუძვლიანად მიეჩნიათ მისი ეჭვები.

მაგრამ ამჯერად სხვანაირად მოხდა.

გენშტაბის უფროსმა მძიმე, მასიური თავი ოდნავ უკან გადასწია და მტკიცედ თქვა:

— არა, ამხანაგო სტალინ. გადმოსული არ ტყუის.

გვერდით მდგომ მარშალს მოეჩვენა, რომ ახლა გენერლისათვის გამოუსწორებელი რამ მოხდებოდა. მან იცოდა, სტალინი ხმას არ აუწევდა, არ აღშფოთდებოდა, არავითარ გაღიზიანებას არ გამოამჟღავნებდა. მაგრამ, შესაძლოა, მან წარმოთქვას თავისი მოკლე, უაპელაციო, დამამცირებელი, აფორიზმივით მჟღერი ერთი იმ ფრაზათაგანი, რომლებმაც ესოდენ დიდი ხნით უკვე განსაზღვრეს მრავალი ადამიანის ბედ-იღბალი.

მაგრამ ამის მსგავსი არაფერი მომხდარა.

სტალინი რამდენიმე წამს მდუმარედ უცქეროდა შტაბის უფროსს. აუჩქარებლად მიიტანა ჩიბუხი პირთან, ღრმა ნაფაზი დაარტყა, ოთახში დინჯად გაიარ-გამოიარა. ეტყობოდა, იგი არ ამჟღავნებდა ასეთ სიტუაციაში ესოდენ ბუნებრივ აღელვებას არც ჟესტით, არც სიტყვით, არც სიარულით. ბოლოს სტალინი გრძელ მაგიდასთან შეჩერდა და ხმადაბლა თქვა:

— წაიკითხეთ ჯარებისადმი თქვენი დირექტივის პროექტი.

გენშტაბის უფროსმა საჩქაროდ ამოიღო საქაღალდი-

დან ფურცელი, საქაღალდის დასადებად აქეთ-იქით მიმოიხედა, მაგიდასთან მივიდა, საქაღალდე დადო, სწრაფად დაბრუნდა თავის ადგილზე და ხმამაღლა კითხვას შეუდგა...

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. სტალინმა გულდასმით ამოჩხრიკა ჩიბუხი და საფერფლეში ჩაფერთხა თამბაქოს დაუწვავი ნარჩენები.. მერე მაგიდიდან „გერცეგოვინი ფლორის“ კოლოფი აიღო და გახსნა. ორი პაპიროსი ამოიღო, თამბაქო დაფშვნა, გამოცარიელებული ქაღალდის ჰილზები საფერფლეში ჩააგდო და კვლავ ჩიბუხის გატენას შეუდგა.

აუჩქარებლად მიმოავლო ანთებული ასანთი თამბაქოს ზედაპირზე, გააბოლა და თქვა:

— ამგვარი დირექტივა უნდა ჩავთვალოთ... ნაადრევად. მოამზადეთ სხვა, უფრო მოკლე. მასში უნდა გატარდეს აზრი, რომ ოცდაორი ივნისის წინაღამეს საზღვარზე შესაძლოა მოხდეს პროვოკაციები. საამისოდ მზად უნდა ვიყოთ, მაგრამ მათზე... — ოდნავ პაუზის შემდეგ ჩიბუხიანი ხელი ისე ჩაიქნია, თითქოს რაღაც უხილავს იშორებსო და გაიმეორა: — მაგრამ მათზე არ უნდა წამოვეგოთ.

...სტალინი კვლავინდებურად დუმდა. დუმდა მავთულის მეორე ბოლოში მყოფი გენერალიც. მას კრემლის „ტრიალა“ ტელეფონის აპარატის ყურმილი ისე მაგრად ჩაებღუჯა, რომ ხელში ტკივილს გრძნობდა. თვალწინ კი ედგა ყოველივე ის, რაც თორმეტი საათის წინ კრემლში, სტალინის კაბინეტში მოხდა.

„რას ფიქრობს ახლა იგი, რას ფიქრობს?! — მოუთმენლად სურდა გენერალს მიხვედრილიყო.

სტალინი კი საწოლად გადაქცეულ დივანზე ნახევრად ჩაცმული იჯდა, ტელეფონის მაგიდას დაყრდნობოდა და გრძნობდა, რომ რაღაც უზარმაზარი სიმძიმე სულ ქვევით და ქვევით, მიწისაკენ ეწეოდა. ყურმილი მაგიდაზე დაუშვა, მაგრამ ხელი არ მოუცილებია. და მასაც თვალწინ იგივე სურათი ედგა, როგორიც იმ კაცს, ახლა რომ ყურთან ყურმილმიჭერილი უდიდესი შეშფოთებითა და განცვიფრებით ფიქრობდა. რატომ დუმს სტალინი? დიახ, ისინი ამ წამებში ერთმანეთს ხედავდნენ. ხედავდნენ იმ

სახით, როგორითაც თორმეტი საათის წინ, უკანასკნელი შეხვედრისას იდგნენ ერთიმეორის პირისპირ.

თითოეული მათგანი თავისებურ ფიქრებს შეეპყრო.

„შეცდომა იყო, — ფიქრობდა გენერალი, — შეცდომა იყო, რომ სტალინმა არ დაუჯერა იმ გერმანელ ჯარისკაცს, არ დაგვიჯერა ჩვენ. აკრძალა ნაწილთა და შენაერთთა მეთაურებისათვის ხელების გახსნის ბრძანება... ახლა რატომ დუმს, რატომ თავისი ჩვეული გაბედულებით არ გასცემს ამ წუთში ერთადერთ შესაძლებელ განკარგულებას?..“

„მაინც რა ხდება იქ, საზღვარზე? — ფიქრობდა სწორედ იმავე დროს მაღალი ღობით ტყისგან გამოყოფილ მყუდრო ხის სახლში კაცი და ხელში ტელეფონის ყურმილი ჩაებღუჯა. — პანიკა ხომ არ არის ყოველივე ეს? იქნებ იმ ადამიანთა დამახასიათებელი ისტერიკაა, რომლებსაც მოვლენათა არსში ჩაწვდომის უნარი არ გააჩნიათ და მხოლოდ ზედაპირულად სჯიან? მათ, ეტყობა, არ ეეჭვებათ, რომ ის ჯარისკაცი მართალი იყო. მაგრამ განა სიცრუე ხშირად უდავო სიმართლის სამოსელით არ გვევლინება ხოლმე? განა არ შეიძლება ეს დაბომბვა, რომელსაც უთუოდ აზვიადებენ პანიკიორები, მხოლოდ კარგად მოფიქრებული პროვოკაციის რგოლი იყოს?

არა, შეუძლებელია ჰიტლერი ისე სულელი გამოდგეს, რომ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომი წამოიწყოს, სანამ ინგლისს დაამარცხებდეს. ეს დაბომბვა — უეჭველი პროვოკაციაა. და იგი სწორედ ასეთი გრანდიოზული მასშტაბისა უნდა იყოს, რომ პანიკაში ჩააგდოს სუსტნერვებიანი ადამიანები. ჰიტლერი უთუოდ მოელის ისეთ საპასუხო მოქმედებას, რომელიც მისცემს მას საშუალებას, დაარწმუნოს გერმანელები და ყველა თავისი სატელიტი აგრესიაში საბჭოთა კავშირის მხრივ. განა გამორიცხულია, რომ მან მაინც შეძლოს ინგლისთან შეთანხმება? იქნებ იმ ბებერმა მელამ, კომუნიზმის იმ დაუძინებელმა მტერმა ჩერჩილმა დაარწმუნა გერმანელები შეეცვალათ დარტყმის მიმართულება და ახლა ჰიტლერს მსოფლიო საზოგადოებრიობის თვალში თავისი მომდევნო ნაბიჯის გადადგმის გამართლება სჭირდება?..“

და რაც უფრო მეტს ფიქრობდა სტალინი ამაზე, მით უფრო რწმუნდებოდა თავის ვარაუდთა სამართლიანობაში. ბოლოს ყურთან მიიტანა მან ტელეფონის ყურმილი და აუჩქარებლივ, მაგრამ ხმადაბლა, მისი ლაპარაკის ჩვეული მანერისათვის მეტად ჩუმად წარმოთქვა:

— დაუყოვნებლივ მოდით კრემლში. სახკომთან ერთად.

მან ყურმილი ჩამოკიდა, პასუხს აღარ დაელოდა.

...ნახევარი საათიც არ იქნებოდა გასული, და გრძელი შავი მანქანები ღია ჭიშკრიდან გამოსრიალდნენ. სელექტორით გაფრთხილებულმა ქუჩაში მოძრაობის მარეგულირებელი განყოფილების მუშაკებმა სასწრაფოდ გადართეს შუქნიშნები წითელ შუქზე დოროგომილოვისა და არბატის მთელ სიგრძეზე. ბოროვიცკის ჭიშკრის შესასვლელთან გუშაგის ჯიხურში გამაფრთხილებელი ზარი აწკრიალდა. ამ კვირადღის განთიადზე ერთეული გამვლელები პატივისცემით აყოლებდნენ თვალს ქვაფენილის ცენტრალურ ნაწილზე მიმავალ მანქანებს. ექვი არ ეპარებოდათ, რომ ერთ-ერთში სტალინი იჯდა. და ფიქრობდნენ: „საქმეები... საქმეები! ასე გვიანია, მას კი არ სძინავს... მას არ სძინავს... საქმეები აქვს!..“

ადამიანები შინისაკენ მიიჩქაროდნენ სტუმრობიდან, რესტორნებიდან, შაბათსაღამოს წვეულებებიდან. ზოგს ხელში ეკავა პატეფონი, პატარა ჩემოდანი ფირფიტებით, ზოგნი კუთხეებში მოგროვილიყვნენ და თავისუფალ ტაქსს იძებდნენ. ყველანი შინისაკენ ეშურებოდნენ, სიამოვნებით ოცნებობდნენ ხვალინდელ უქმე დღეზე, რომ უფრო მეტ ხანს შეეძლოთ ძილი. თუ ხვალ კარგი ამინდი გამოვა, წავლენ ხიმიკში, ან სერებრიანი ბორში, ან სოფლის მეურნეობის გამოფენაზე...

ყველაფერი, ყველაფერი შეუძლიათ გააკეთონ, რადგან ვისზეც დამოკიდებულია მათი ხვალინდელი დღე, მათი მომავალი, ისინი ღამითაც არ იძინებენ. და მათ შორის არის სტალინი — ყველაზე ბრძენი, ყველაზე საქმიანი, შორსმჭვრეტელი, დიდი ადამიანი... რომელმაც არ იცის არც ძილი, არც დასვენება და იცავს მათ ყოველგვარი საშიშროებისაგან, მტრების ყველა ხრიკისაგან...

როცა მარშალი და არმიის გენერალი შეეიდნენ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის კრემლის კაბინეტში, რომელიც მუხის პანელითა და ლინკრუსტით იყო მოპირკეთებული, პოლიტბიუროს წევრები უკვე სხდომებისათვის განკუთვნილი გრძელი მაგიდის ორივე მხარეს ისხდნენ.

სტალინს ხელში ეჭირა თამბაქოთი დატენილი, მაგრამ მოუკიდებელი ჩიბუხი. მან არ უპასუხა სამხედრო პირთა მისალმებას და ყრუდ წარმოთქვა:

— დაიწყეთ მოხსენება.

მარშალმა ლაკონურად მოახსენა შექმნილ მდგომარეობაზე: მტერი ბომბავს მურმანსკს, ტალინს, კიევს, მოგილიოვს, ოდესას... მისი ჯარები უტევენ საზღვარს მთელ დასავლეთის ფრონტზე.

იგი ცდილობდა დინჯად ელაპარაკა და სიტყვებისათვის ემოციური შეფერილობა არ მიეცა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ეს სიტყვები აქ ჭექა-ქუხილივით ისმოდა, როცა მარშალმა დაასრულა, სიჩუმე ჩამოვარდა. ყველა იქ მყოფს თვალები სტალინისაკენ მიეპყრო. მაგრამ სტალინიც დუმდა და ჩიბუხში ცერით გულდასმით ტენიდა თამბაქოს.

ბოლოს გაისმა მისი ხმა:

— ერთი მითხარით, არ გეჩვენებათ, რომ ყოველივე ეს შესაძლებელია პროვოკაცია იყოს?

ეს სიტყვები მან თითქოს ჩვეულებრივი, მკრთალი, თითქმის უინტონაციო ხმით თქვა. მაგრამ ყველა, ვისაც ხშირად მოუსმენია სტალინისათვის, ახლა მის ტონში რაღაც ახალ, წინათ წარმოუდგენელ, თითქოს თხოვნის კილოს შეამჩნევდა.

და ამის გამო ოთახში შეშფოთებამ უფრო იმატა.

სტალინი კი პასუხს ელოდებოდა. იგი კითხვის გამომეტყველებით შესცქეროდა სამხედროებს, თავი ოდნავ გადაეწია და ნიკაპი ცოტათი წინ წამოეწია; ჩიბუხიანი ხელი, საათის ისრებივით რომ ხაზავდა ნარნარა ნახევარბრუნებს, ჰაერში გაშეშებოდა.

და ყველამ, ვინც ამ დიდ ოთახში იმყოფებოდა, იგრძნო, სტალინის ყველაზე დიდი სურვილი ახლა დადებითი პასუხის მიღება იყო. ეს განსაკუთრებით ნათლად იგრძნო ორმა სამხედრომ — ხმელ-ხმელმა, მარშლის ვარსკვლავებიანმა და ტანმორჩილმა, მასიურთავიანმა არმიის გენერალმა.

შემთხვევით თუ განზრახ, პასუხის მოლოდინში სტალინმა სწორედ გენერალზე შეაჩერა მზერა და იგი მიხვდა, პასუხის გაცემა მას მოუხდებოდა.

გენერალმა კარგად იცოდა, რომ ადამიანები არაიშვიათად აძლევდნენ ამ ნაცრისფერ ქურთუკსა და რბილ ჩექმებში გამოწყობილ ტანმორჩილ კაცს ისეთ პასუხებს, როგორიც მას სურდა მოესმინა. ისინი ამას ალღოთი გრძნობდნენ.

და იქნებ ამ მწარე გრძნობის გავლენით გენერალმა

უფრო ხმამაღლა, უფრო მკვეთრად და სწორხაზოვნად უპასუხა, ვიდრე აპირებდა:

— რაღა პროვოკაცია შეიძლება იყოს ეს, ამხანაგო სტალინ? ჩვენს ქალაქებს ხომ ბომბებს უშენენ!

სტალინმა მოუთმენლად გააქნია ხელი და უკმაყოფილოდ თქვა:

— გერმანელები — პროვოკაციების ცნობილი ოსტატები არიან. ამის გულისათვის ისინი თავიანთი ქალაქების დაბომბვასაც არ მოერიდებიან.

მან თვალი შეავლო დამსწრეთ, თითქოს ჩვეულ მხარდაჭერას ეძებსო.

მაგრამ ყველანი დუმდნენ.

სტალინმა ოთახში რამდენიმე უხმაურო ნაბიჯი გადადგა და მაგიდასთან მჯდომი მოლოტოვის პირდაპირ შეჩერდა.

— სასწრაფოდ უნდა დაუკავშირდეთ ბერლინს, — თქვა მან და ჩიბუხის მოღუნული ტარით მოლოტოვს მიუთითა, — გერმანიის საელჩოში უნდა დავრეკოთ.

ყველამ თითქოს თავისუფლად ამოისუნთქა: სტალინის სიტყვები ერთგვარ მოქმედებას შეიცავდა, ხოლო რა მოქმედებას, რა ბრძანებას — ამას სტალინისაგან ელოდნენ.

მოლოტოვი აჩქარებით წამოდგა და დიდ საწერ მაგიდასთან მდგარ ტელეფონებიან პატარა მაგიდას მიაშურა. ერთ-ერთი ყურმილი აიღო და ხმადაბლა გადასცა მითითება საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის მორიგეს.

სიჩუმე ჩამოვარდა. სტალინი კვლავ კედლის გასწვრივ ბოლთის ცემას შეუდგა. იგი უწინდებურად ჩამქრალი ჩიბუხით ხელში დადიოდა და მხოლოდ დროდადრო მოაბრუნებდა თავს და კიდევ უფრო შეანელებდა ნაბიჯს, თითქოს ყურს უგდებსო. და მათ, ვინც ამ ოთახში შეკრებილიყვნენ, ეჩვენებოდათ, რომ მას იმ შორეული კანონადის ხმის გაგონება უნდოდა.

გაისმა ტელეფონის ზარი. მოლოტოვი პატარა მაგიდას არ მოშორებია, ისე აიღო სწრაფად ყურმილი. რამდენიმე წამს იგი მდუმარედ უსმენდა. შემდეგ წარმოთქვა: „მოვიდეს“, ყურმილი დადო, სტალინს მიუბრუნდა და ენის ოდნავ ბორძიკით თქვა:

— შ-შულენბურგს დაუყოვნებლივ უნდა ჩემი ნახვა. ამბობს, მნიშვნელოვანი ცნობა მაქვსო. მე ვუთხარი: მოვიდეს-მეთქი.

— წადი, — მოკლედ მოსჭრა სტალინმა.

მოლოტოვი ჩქარი ნაბიჯით გავიდა ოთახიდან.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. მარშალი და გენერლები ისევ ისე ოთახის შუაგულში იდგნენ. არავინ სთავაზობდა მათ დამსხდარიყვნენ. თვით სტალინიც ფეხზე იდგა. ასე, რომ ყველაფერი ბუნებრივად გამოიყურებოდა. აი, სწორედ ასე იდგნენ ისინი თორმეტი, არა, ახლა უკვე ცამეტი საათის წინ, როცა ჩვენს მხარეზე გადმოსულ კაცზე ლაპარაკობდნენ. ყველანი იმავე ადგილებზე იდგნენ. „რომ შეიძლებოდეს დროის დაბრუნება, მისი შეჩერება, ცამეტი საათით უკუგდება!" — გაიფიქრა გენშტაბის უფროსმა და იმავე წამს სტალინმა თვალი თვალში გაუყარა.

და გენერალს მოეჩვენა, რომ სტალინმა ამოიკითხა მისი აზრები და ახლა აღარ აშორებს თავის ცივ, გამსჭვალავ მზერას, თითქოს ყველრებით ეუბნება: „ეს ჯერ კიდევ ვნახოთ, ამხანაგო არმიის გენერალო! სამხედრო საქმეებში თქვენ ერკვევით, მაგრამ პოლიტიკა გაცილებით ნაკლებად გაგეგებათ. თქვენ არ შეგიძლიათ ჩაწვდეთ მტრის ვერაგულ ზრახვებს. მე კი, მათ კარგად ვხედავ. და დრო დაამტკიცებს ამას".

გენერალმა იცოდა, რომ სტალინი ვერ იტანდა, როცა მისი დაჟინებული მზერისაგან თვალებს დახრიდნენ. თუ ადამიანი გაუძლებდა მის მზერას და თვალს არ მოარიდებდა, სტალინს ეს გულწრფელობის, ფარული აზრის უქონლობის ნიშნად მიაჩნდა.

მაგრამ ახლა არმიის გენერალი, ეს დაბალი, განიერ სწორ მხრებზე აღმართული დიდი თავის და მძიმე ნიკაპის მქონე კაცი იმიტომ კი არ უცქეროდა სტალინს ჩაშტერებით, რომ ეშინოდა.

არა, მას უბრალოდ ძალიან უნდოდა, რომ სტალინი მართალი გამოსულიყო, სტალინის დაჟინებულ მზერაში გენერალს უნდოდა ამოეკითხა მტკიცე რწმენა, რაღაც ისეთის ცოდნა, რაც ამ ოთახში მყოფთა შორის არც ერთმა არ იცოდა, მაგრამ რაც საბოლოო ანგარიშში ძირეულად შეცვლიდა მდგომარეობას.

ბოლოს სტალინმა თვალი მოაშორა გენერალს და კედლის გასწვრივ ისევ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა. ხალიჩაზე სავსებით უხმაუროდ დააბიჯებდა, გენერალს კი მოეჩვენა, რომ ნაბიჯების ხმა ყურში ჩაესმოდა.

იგი არავის აღარ უცქეროდა. ყველა იქ მყოფის მზერა კი მასზე იყო მიჯაჭვული და თითქოს უხილავი ძაფებით

მასთან შეერთებული. სტალინი ოთახის შორეულ ბოლოსკენ გაემართებოდა, ყველა თავს იქით მიაბრუნებდა ბოლომდე. როცა უკან ბრუნდებოდა, ყველა განუწყვეტლივ ჩასცქეროდა მისი სახის გამომეტყველებას, რაღაც მნიშვნელოვან, გადამწყვეტ სიტყვებს ელოდა.

მაგრამ სტალინი დუმდა.

დაძაბულ სიჩუმეში თითქოს ვერავინ შეამჩნია, ოთახში ისევ როგორ გაჩნდა მოლოტოვი. ყრუ ხმით, ისე რომ ცალკე არავისთვის არ მიუმართავს, მან წარმოთქვა:

— გერმანიის მთავრობამ ომი გამოგვიცხადა.

ამ სიტყვებმა სტალინს მაშინ მოუსწრო, როცა იგი ოთახის შორეული კუთხისაკენ მიემართებოდა.

ამის გაგონებაზე იგი უცბად შემოტრიალდა. და სწორედ ამ წამს ყველამ დაინახა, რომ მასში რაღაც შეუმჩნეველი, მაგრამ უეჭველი ცვლილება მოხდა.

მან რამდენიმე არამტკიცე ნაბიჯი გადადგა, მაგრამ ჩვეული მარშრუტით კი არა, არამედ ოთახის სიღრმეში. შემდეგ თითქოს ვერაფერს ხედავსო, მაგიდას მიუახლოვდა და ნელა დაეშვა თავისუფალ სკამზე. იგი მოხრილი იჯდა, თავი დაეხარა. დატენილი, მაგრამ გაუჩაღებელი ჩიბუხი მაგიდაზე დაედო. მილიონობით ადამიანის წარმოსახვით სტალინის ხელთან სამუდამოდ შერწყმული, თითქოს ამ ხელის ბუნებრივი გაგრძელება პატარა მოღუნული ხის ნაჭერი გამოუსადეგრად იდო ფართო მაგიდაზე. ბოლოს სტალინმა თავი ასწია, საჩვენებელი თითი სამხედრო პირებისაკენ გაიშვირა და თქვა:

— მიეცით დაუყოვნებლივ დირექტივა, რომ ჩვენმა ჯარებმა უკუაგდონ მტრის იერიშები. მაგრამ, — განაგრძობდა იგი მოულოდნელად ხმის აწევით და თითქოს უხილავ ოპონენტს ეკამათებაო, — უბრძანეთ, ჯერჯერობით საზღვარი არ გადალახონ, — იგი წუთით გაჩუმდა და უკვე ხმადაბლა დაუმატა. — ავიაციის გარდა. წადით.

უკანასკნელი სიტყვა მან თითქმის თავისი ჩვეული დინჯი, მბრძანებლური კილოთი წარმოთქვა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ყველამ მწარედ იგრძნო, რომ ამჯერად მისი ხმა როგორღაც არაბუნებრივად გაისმა.

არც მეორე დღეს, არც მომდევნო ორი დღე-ღამის განმავლობაში ვერც სტალინს, ვერც მის უახლოეს ხელმძღვანელ ამხანაგებს ჯერ კიდევ ვერ წარმოედგინათ, როგორ

განვითარდებოდა ომის ამბები. წინასწარ ბოლომდე ვერ განეკვრიტათ ჩვენს ქვეყანაში ჩამოწოლილი საშიშროების მასშტაბები.

სტალინიც და პოლიტბიუროს წევრებიც დარწმუნებული იყვნენ წითელი არმიის ძლიერებაში. მათ ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ მტერი უახლოეს ხანში მოგერიებულ და საბჭოთა ტერიტორიიდან უკუგდებულ იქნებოდა. მესაზღვრეთა თავდადებული წინააღმდეგობისა და უკრაინაში ჩვენი ჯარების მედგარი თავდაცვის შესახებ ცნობები თითქოს ადასტურებდნენ ამ გულდაჯერებულობას.

შაულიაისა და რავა-რუსკაის მიმართულებებით ჩვენს ტერიტორიაზე შემოჭრილი მტერი დამარცხებულ და უკუგდებულ იქნა საზღვრის იქით. სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებაზე საბჭოთა ჯარებმა დაიბრუნეს გერმანელების მიერ აღებული პერემიშლი...

მაგრამ ამავე დროს გროვდებოდა სხვა შემაშფოთებელი, საშიშარი ფაქტები.

22 ივნისს ჯერ კიდევ დღის მეორე ნახევარში ფრონტებს მიეცათ ბრძანება გადასულიყვნენ გადამწყვეტ შეტევაზე მტრის მთავარი დარტყმების მიმართულებაზე. მომდევნო სამი დღის განმავლობაში ცხადი გახდა, რომ ჩატარებულმა კონტრშეტევამ, თუმცა მტრის წინსვლა უეჭველად შეაკავა, მაგრამ დასახულ მიზანს ვერ მიაღწია. სულ ახალ-ახალი პატაკები მოწმობდა იმას, რომ საპასუხო დარტყმის ჩანაფიქრი და საბრძოლო მოქმედებათა მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე გადატანა ვერ ხერხდებოდა. დიდი დანაკარგებით დასუსტებულ საბჭოთა ჯარებს, მიუხედავად იმისა, რომ თავგანწირვით იბრძოდნენ, არ შეეძლოთ არც მტრის შეჩერება, არც მის მიერ მოხდენილი ღრმა გარღვევების ლიკვიდირება. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეიქმნა ბელორუსიაში.

გვიან საღამოს სტალინი და მისი თანმხლები პოლიტბიუროს რამდენიმე წევრი მოულოდნელად მოვიდნენ თავდაცვის სახალხო კომისარიატის შენობაში ფრუნზეს ქუჩაზე.

სახკომის კაბინეტში შესვლისას სტალინი დამშვიდებული და თავის თავში დარწმუნებული იყო. მაგრამ სწორედ იქ, სახელმწიფოს ხელმძღვანელობის ცენტრში, მან მთელი კონკრეტულობით პირველად შეიგრძნო მოახლოე-

ბული საშიშროების მასშტაბები. მოწინააღმდეგის სატანკო ჯგუფები ცდილობდნენ მარწუხებში მოემწყვდიათ მინსკი და გეგონებოდა, მათს წინსვლას ვეღარაფერი აღუდგებოდა. მტრის დარტყმისაგან უკანდახეულ ჩვენს ჯარებთან კავშირი დარღვეული იყო...

გარეგნულად ჩვეულებრივ მშვიდმა, საუბარსა და მოძრაობაში დინჯმა სტალინმა ამჯერად თავი ვერ შეიკავა. იგი მრისხანე საყვედურებით დაესხა თავს სახალხო კომისარიატსა და გენშტაბის ხელმძღვანელებს. შემდეგ, ზედ არავისთვის შეუხედავს, თავდახრილი, მხრებჩამოყრილი გავიდა შენობიდან, ჩაჯდა მანქანაში და კუნცევოში წავიდა.

...არავინ არ იცოდა, რას ფიქრობდა სტალინი მომდევნო რამდენიმე ათეული საათის განმავლობაში. იგი არავის არ უნახავს. იგი არ გამოჩენილა კრემლში. არავის არ მოუსმენია მისი ხმა ტელეფონის ყურმილში. მას არავინ არ გამოუძახია. და ვერც ერთ მათგანს, ვინც იმ დღეებში ყოველ საათს ელოდა გამოძახებას, ვერ გადაეწყვიტა გამოუძახებლად ხლებოდა მას...

პოლიტბიუროს წევრებს, სახკომებს, თავდაცვის სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელებს, გენშტაბსა და არმიის პოლიტიკურ სამმართველოს ერთბაშად თავს დაატყდა ზურგში და ფრონტებზე საომარ ღონისძიებათა განხორციელებასთან დაკავშირებული ათასობით დიდი და პატარა საქმე. უმოქმედოდ არავინ არ დარჩენილა.

დილიდან ნაშუაღამევამდე გადაუდებელი საქმეებით დაკავებულნი ხშირად ეკითხებოდნენ ერთმანეთს: სად არის სტალინი, რატომ დუმს იგი?

ჰოდა რას აკეთებდა, რას ფიქრობდა იგი იმ გრძელ, საშინელ საათებში? ამის შესახებ მხოლოდ მკითხაობა თუ შეიძლება. იმ ღამეს იგი გამოვიდა თავდაცვის სახალხო კომისარიატის შენობიდან, როგორც ტრანსში ჩავარდნილი, ვერაფერს და ვერავის ხედავდა. მანქანაში ჩაჯდა. ციალებდნენ შუქნიშნები, საყვირის ხმაზე გვერდს უქცევდნენ შემხვედრი ავტომობილები. უხმაუროდ გაიღო კუნცევოს აგარაკის ყრუდ დახურული ჭიშკარი...

შესაძლოა, იგი მდუმარედ შევიდა ოთახში, რომელიც სასადილოსა და კაბინეტის მაგივრობას უწევდა. ქაღალდებისა და გაზეთების გროვა განზე გასწია და დაჯდა. გულის არეში ძლიერი ტკივილი იგრძნო. უნდობლად მიუგდო ყური ამ ტკივილს. იგი იშვიათად ავადმყოფობდა და

ექიმებს მაგარი, ჯანმრთელი კაცის უგულებელყოფით ეჭცეოდა.

თუმცა წელიწადში ერთხელ თუ ორჯერ მაინც აძლევდა ნებას ექიმს, გაესინჯა იგი. სასადილო ოთახში, ჭურჭლის კარადაში, ყოველ შემთხვევისათვის იდგა რამდენიმე წამლის შუშა, მაგრამ სტალინი ამ წამლებს არასოდეს არ ღებულობდა.

და აი ახლა შევიდა სასადილო ოთახში, მივიდა კარადასთან, გამოაღო, მრავალი წლის მანძილზე იქნებ პირველად დააცქერდა წამლის შუშებს. და ხელიც არ უხლია, სრულიად მექანიკური მოძრაობით მიხურა კარი.

ნელი, მისთვის უჩვეულო ფრატუნა ნაბიჯებით გაიარა რბილ სქელ ხალიჩაზე — თითქმის ერთადერთ ფუფუნების საგანზე, რომელიც დაშვებულ იქნა ამ სახლში — ფანჯარასთან შეჩერდა, ბაღში გადაიხედა.

დილის საათებში მას უყვარდა ალუბლის ხეებით გარშემორტყმულ ტალავარში ჯდომა და კითხვა. უყვარდა ვაშლის ხის თეთრი ფერის ცქერა.

მან ფანჯარა გამოაღო, ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა, მაგრამ ვერ იგრძნო მცენარეთა ჩვეულებრივი სურნელება. მოეჩვენა, რომ ჰაერში დამწვრის მწვავე სუნი ტრიალებდა. ფანჯარა მიხურა, მაგიდასთან დაბრუნდა და ისევ დაჯდა.

„როგორ შეიძლებოდა ეს მომხდარიყო? როგორ?.. რატომ იხევენ უკან ჩვენი ჯარები?“ — ეკითხებოდა თავის თავს სტალინი.

და ეს იყო სწორედ ის კითხვა, რომელსაც სულ მალე დაუსვამდა თავის თავს მილიონობით საბჭოთა ადამიანი ზურგსა და ფრონტზე.

იგი ვერ პოულობდა ამ კითხვის პასუხს. რეფლექსი, ჩვეულებრივ, უცხო იყო სტალინისათვის. იგი ყოველთვის გამბედავ, თავისი მთლიანობითა და მიზანსწრაფვით უხეში ბუნების ადამიანადაც კი ჩანდა. დაეჭვება, ყოყმანი სტალინს ადამიანის სერიოზულ მანკად მიაჩნდა — მის მიერ ყველაზე უფრო ათვალწუნებული სახე მსოფლიო ლიტერატურაში ჰამლეტი იყო.

და მაინც სტალინის თითქოსდა მთლიან ხასიათსა და ქცევას სერიოზული წინააღმდეგობანი ახასიათებდა.

დიახ, ერთი მხრივ იგი იყო კომუნიზმის აშენების იდეის უსაზღვროდ ერთგული რევოლუციონერი. მისი ინიციატივით ღებულობდნენ და მისი ხელმძღვანელობით

ხორციელდებოდა ჩვენს ქვეყანაში ყველა კარდინალური გადაწყვეტილება. მის სახელთან იყო დაკავშირებული პარტიის ბრძოლა სხვადასხვაგვარი ოპოზიციის წინააღმდეგ, რომლებსაც აერთიანებდა საერთოდ რწმენის უქონლობა რუსეთში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობის ან მისი მშენებლობისათვის აღებული ტემპების შესახებ. იგი ცენტრალურ კომიტეტს სათავეში ედგა იმ წლებში, როცა ხორციელდებოდა ქვეყნის კოლექტივიზაცია და ინდუსტრიალიზაცია — პროცესები, რომლებისათვის მილიონობით ადამიანის ფსიქიკაზე თავის გავლენის, მათთან დაკავშირებული ტექნიკური პროგრესის სიღრმის მიხედვით შეიძლებოდა გვეწოდებინა მეორე რევოლუცია. მის სახელთან იყო დაკავშირებული საბჭოთა კავშირის ძლიერ ინდუსტრიულ სახელმწიფოდ გარდაქმნა. გეგონებოდა, სტალინი ყოველთვის მიდიოდა წინ, უკან მიუხედავად.

მასში ცოცხლობდა გამახვილებული გრძნობა დროისა, მისი დინებისა. სტალინის მიერ მიღებულ მთავარ გადაწყვეტილებებს საფუძვლად ედო დროის ლიმიტი, შეგნება იმისა, რომ „ეს უნდა მოვასწროთ", „მოვასწროთ", სანამ გვაქვს „შესვენება"; გამოვიყენოთ კომუნიზმის მტრების ბანაკში არსებული წინააღმდეგობანი, მოვიგოთ დრო საბჭოთა ქვეყნის ძლიერების განსამტკიცებლად.

და აქამდე როგორც ამ გადაწყვეტილებათა მიღებაში, ისე მათი განხორციელების ხელმძღვანელობაში სტალინი მუდამ სწორე იყო.

მაშ რა მოხდა ახლა? მაინც რათ გაჩაღდა ომი, წინააღმდეგ მისი მტკიცე რწმენისა, რატომ იხევენ ჩვენი ჯარები?..

...იჯდა იგი ერთბაშად რამდენიმე წლით დაბერებული. სულ არ ჰგავდა იმ პორტრეტებზე გამოსახულ სტალინს, რომელსაც წელიწადში ორჯერ ხალხი ლენინის მავზოლეუმის ტრიბუნაზე ხედავდა. არ ჰგავდა იმ მარად მხნე სტალინს, რომელსაც სახეზე არ ეტყობოდა ნაყვავილარი და შაე თმაში ჭაღარა არ ეკარებოდა; სტალინს, რომელიც თითქოს არასოდეს არ იხდიდა ყველა ღილზე შეკრულ ქურთუკს და არ იშორებდა მოღუნულ ჩიბუხს, იმ სტალინს, რომელსაც ხანდახან თვითონაც შესამე პირით იხსენიებდა ხოლმე... იჯდა მაგიდაზე დახრილი და მწარედ ეკითხებოდა საკუთარ თავს: როგორ მოხდა, რომ ყველაზე

მრისხანე მოვლენა, რაზეც მუდამ ფიქრობდა და რომლის საშიშროებაზე არაერთხელ გაუფრთხილებია პარტია და ხალხი თავის სიტყვებსა და მოხსენებებში, მაინც ასე მოულოდნელად დაატყდა თავს?

რაშია შეცდომა, რაში?! რატომ იხევენ უკან ჩვენი ჯარები?

იქნებ, ქვეყნის თავდაცვას საკმარისი ყურადღება არ ეთმობოდა? იქნებ, თანხები არ ემეტებოდათ ამისათვის? იქნებ, ქვეყნის საუკეთესო მეცნიერები არ იყვნენ მოწვეული უახლესი სამხედრო ტექნიკის შესაქმნელად? იქნებ, არმიისა და ხალხის აღზრდა არ ხდებოდა მობილიზაციისათვის მუდმივი მზადყოფნის სულისკვეთებით? იქნებ, სათანადოდ ვერ შეაფასეს ჰიტლერი, მისი არმია, მიეიწყვეს გერმანული ფაშიზმის საშიშროება, დაამშვიდეს თავიანთი თავი და ხალხი წითელი არმიის უძლეველობის შთაგონებით?

„არა, არა!" — უპასუხებდა გულში სტალინი.

ხომ არ გამოუტანიათ არც ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება ომის საშიშროების გათვალისწინების გარეშე. ყოველ საათს, დღე-ღამეს, თვეს აღიქვამდნენ მხოლოდ როგორც შესვენებას, რომელიც ძალ-ღონისა და საშუალებათა დაუზოგავად უნდა გამოეყენებინათ. განა რაღაც ათი წლის განმავლობაში ჩვენი არტილერია შვიდჯერ არ გაიზარდა, ტანკსაწინააღმდეგო და სატანკო კი — ჩვიდმეტჯერ? ჩვიდმეტჯერ! არსებითად ახლად შეიქმნა ჩვენი სატანკო ჯარები. ექვსჯერ გაიზარდა თვითმფრინავების რაოდენობა! სამხედრო-საზღვაო ფლოტმა ხუთასი ახალი ხომალდი მიიღო — განა ეს ცოტაა? განა შეიძლებოდა უფრო მეტი მოგვეთხოვა ხალხისაგან, რომელსაც სულ რაღაც ათი წელი ჰქონდა იმისათვის, რომ თვალუწვდენელ ვეებერთელა, ღატაკ, გლეხურ ქვეყანაში შეექმნა თავისი საკუთარი ინდუსტრია, შეექმნა გამოცდილების უქონლად, გაჭირვებისა და ტანჯვის ფასად, გარედან ყოველგვარი დახმარების გარეშე?

განა მომავალ ომზე შეშფოთების აზრით არ იყო გამსჭვალული მწერალთა ნაწარმოებები, კინოფილმები, განა არ ისმოდა იგი სიმღერებში, არ ყვიროდა პლაკატებიდან? განა თვითონ მას, სტალინს, წარმოუთქვამს თუნდაც ერთი მოხსენება, რომელშიც არ გამოეთქვა გაფრთხილება ომის საშიშროებაზე?

მაშ მაინც მთიდან მოწყვეტილი ზვავივით რათ, დაგ-

ვატყდა თავს ომი? რატომ იწვის აეროდრომზე ჩვენი თვითმფრინავები, რატომ არ მისცემს თავის ყოვლისგამანადგურებელ ზალპს არტილერია, რათ იხევენ უკან მებრძოლები?

...იგი მხრებში მოხრილი გაუნძრეველად იჯდა გრძელ, ვიწრო მაგიდასთან, რომელზეც უწესრიგოდ ეყარა ქაღალდები და გაზეთები. ფართო ფანჯრის იქით მზე კაშკაშებდა, ბაღი სურნელებას აფრქვევდა. ქალაქგარეთ მდებარე, ტყით გარშემორტყმულ ამ სახლში გარედან არავითარი ხმაური არ შემოდიოდა.

აქ შემოსვლის უფლების მქონეთაგანს არც ერთს არ უნახავს სტალინი ასეთი — არც დაცვის უფროსს თავისი მრავალრიცხოვანი შტატით, არც მოხუც ქალს, დაწესებულ დროს დივანზე ლოგინს რომ უგებდა და შუადღისას, როცა სტალინი ტალავარში წავიდოდა, ისევ აალაგებდა ხოლმე...

ისინი ფრთხილად იქყიტებოდნენ სასადილო ოთახის ნახევრადღია კარში, მალულად თვალყურს ადევნებდნენ უძრავად მჯდომს. ეგონათ, რომ მას ეძინა.

მაგრამ სტალინს არ ეძინა. მის ყურებში, მის ცნობიერებაში ისმოდა ხმები, გრიალებდა საარტილერიო ზალპები. და მას სურდა თავისი შინაგანი ხმით ჩაექრო, დაეძლია, ჩაეხშო ყველა ეს ხმა.

„არა, არა! — ეპასუხებოდა შინაგანი ხმა. — ჩვენ ვემზადებოდით ომისათვის, არ ვთვლემდით! ერთი კვირაც არ გავიდოდა ისე, რომ სამხედრო პირებს პოლიტბიუროს თვის არ მოეხსენებინათ ახალ სამხედრო შეიარაღებათა პროექტები, ყოველთვიურად მივემგზავრებოდით აეროდრომებსა და პოლიგონებზე, რომ პირადად დავრწმუნებულიყავით ახალი ტექნიკის ბრძოლისუნარიანობაში. განა სულ ახლახან არ მოახდინეს „ტ-34“ ტანკის შესანიშნავ ღირსებათა დემონსტრირება? განა რომელიმე არმიას მსოფლიოში მოეპოვება ასეთი ტანკი? განა ჩკალოვის, გრომოვის, კოკინაკის, გრიზოდუბოვას გაფრენები ჩვენი საავიაციო ტექნიკის ძლიერებისა და მფრინავთა შესანიშნავი ხელოვნების ობიექტური საბუთი არ იყო?

მაგრამ, მაშინ იქნებ სხვა რამეშია შეცდომა? იქნებ. იგი საბჭოთა კავშირ-გერმანიის პაქტში იმალება?

არა! ეს ხელშეკრულება აუცილებელი, გარდაუვალი იყო. ამის გადაწყვეტა ადვილი როდი იყო, მაგრამ ამას მოითხოვდა ქვეყნის ინტერესები.

განა დასავლეთის სახელმწიფოები საბოტაჟს არ უწევ-დნენ ჩვენს მრავალი წლის ცდებს — შეგვექმნა ფაშისტური აგრესიის საწინააღმდეგოდ კოლექტიური უშიშროება? განა მათ არ უღალატეს მშვიდობას მიუნხენში? განა ჩემბერლენმა და დალადიემ არ გამოგზავნეს მოსკოვში პაიკები, რომელთაც ჰიტლერის საწინააღმდეგო ქმედითი პაქტის დადებისა კი არა კერძო ხასიათის სამხედრო გადაწყვეტილების მიღების რწმუნებაც არა ჰქონდათ.

რა გვიპასუხეს მათ, კომუნიზმის ამ დაუძინებელმა მტრებმა, როცა ჩვენ გვინდოდა დავხმარებოდით ჩეხოსლოვაკიას და მის დაპყრობაში ჰიტლერისათვის ხელი შეგვეშალა? რა გააკეთა საფრანგეთმა? სამხედრო დახმარებაზე უარი უთხრა ჩეხოსლოვაკიას. რა გვიპასუხა პოლონეთის მთავრობამ? „პოლონეთის ტერიტორიაზე არც ერთ საბჭოთა ჯარისკაცს არ გავატარებთო!“ როგორ მოიქცა ბენეში? მან ამჯობინა უგულებელეყო საბჭოთა კავშირის მხრივ დახმარება და ჰიტლერის წინაშე კაპიტულაცია განაცხადა. ინგლისი და საფრანგეთი ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ ჰიტლერის „გული მოეგოთ“, ოღონდ კი იგი მიბრუნებულიყო აღმოსავლეთისაკენ, რა უნდა გვექნა?!

დიახ, ამ პაქტის დადება ადვილი როდი იყო... მაგრამ განა ამან არ მოგვცა საშუალება, რომ თითქმის ორი წელი მშვიდობიანად გვეცხოვრა, როცა ევროპაში უკვე ომი ბობოქრობდა? განა ჩვენ ვერ შევძელით შორს გადაგვეწია ჩვენი საზღვრები? და განა ეს მორჩილების პაქტი იყო? არა, ჩვენ ფხიზლად ვადევნებდით თვალს მტრის ხრიკებს. როცა საჭირო იყო ჩვენ არ გვეშინოდა დიდ სახელმწიფოს ხმით მასთან ლაპარაკისა, განა მოლოტოვი ბერლინში ისე ჩავიდა, როგორც მთხოვნელი?

მაშ, მიუხედავად ყოველგვარი ზომების მიღებისა, რათ დაგვატყდა თავს გერმანელთა დარტყმა მოულოდნელად? რატომ? — სიმწრით, გულის ტკივილით ეკითხებოდა თავის თავს სტალინი. — იქნებ რაიმე საბედისწერო შეცდომა დავუშვით, თუ ვერაფერს ვუსაყვედურებ ჩემს თავს?“.

და იგი ვერ პოულობდა პასუხს ამ ულმობელ კითხვაზე. იმ დღეებში მას არ შეეძლო პასუხის მონახვა, რადგან ეს კაცი არა მარტო ნებისყოფის სიძლიერით გამოირჩეოდა, არამედ უდიდესი პოლიტიკური გამოცდილებით, გონებითა და კომუნიზმის საქმისადმი ერთგულებით. მაგრამ ამათთან ლოგიკურად თითქოს შეუთავსებელი სხვა

თვისებებიც ჰქონდა: თავის შეუმცდარობაში წლიდან წლამდე თანდათან განმტკიცებული რწმენა, ეჭვიანობა და გაუმართლებელი სისასტიკე — არა უბრალოდ რევოლუციის მტრებთან ბრძოლაში აუცილებელი სისასტიკე, არამედ სწორედ ის სისასტიკე, როგორითაც ასე ხშირად თავისიანებსაც ურტყამდა.

არა, მიზეზი იმაში არ მდგომარეობდა, რომ ომისათვის არ ვემზადებოდით. უკანასკნელ წლებში, თვეებში არმიაზე ზრუნვა პარტიისა, ცკ-სი და მთავრობის მთავარი საზრუნავი იყო. ცდილობდნენ არმიისათვის მიეცათ იმის მაქსიმუმი, რის წარმოებაც შეეძლო ახლად შექმნილ სოციალისტურ ინდუსტრიას.

და რასაკვირველია, ჰიტლერთან დადებულ პაქტში კი არ მდგომარეობდა სტალინის შეცდომა, — ეს იყო არამტკიცე ხელშეკრულება, იძულებითი, გარდაუვალი. წინასწარგანსაზღვრული იმ დიდი კაპიტალისტური სახელმწიფოების მიერ მიუნხენის ღალატით, რომლებსაც მიზნად ჰქონდათ დასახული ხელები გაეხსნათ გერმანელებისათვის, საბჭოთა ქვეყნისაკენ მიემართათ იგი.

შეცდომა სხვა რამეში იყო. და სწორედ ამაში გამოიხატა სტალინის წინააღმდეგობათა შემცველი ხასიათი, მისი აზროვნების ავტორიტარულობა, მასში შემოქმედებითი და დოგმატური ელემენტების უცნაური შეთავსება.

ხელისუფლების სათავეში ჰიტლერის ჩადგომის მომენტიდან საბჭოთა კავშირზე მის არა თუ შესაძლებელ, გარდაუვალ თავდასხმაშიც დარწმუნებული იყო სტალინი. ამ თავდასხმას ყოველ საათს ელოდა, როცა ცხადი გახდა, რომ ინგლისსა და საფრანგეთს არა სურთ საბჭოთა კავშირთან ერთად ჰიტლერის მოთოკვა და პირიქით, ცდილობენ, რომ გერმანელმა დიქტატორმა ომი აუტეხოს სოციალისტურ ქვეყანას. მაგრამ როცა ჰიტლერმა მოლოდინის წინააღმდეგ დასავლეთში დაიწყო ომი, სტალინი გაუმართლებლად დამშვიდდა.

მან ისევ დაძაბა ყურადღება გერმანიასა და საფრანგეთს შორის „უცნაური ომის" პერიოდში მაჟინოს ხაზზე გერმანელთა ჯარების საეჭვო უმოქმედობის დროს. იმ აზრმა, რომ ჰიტლერი ამ დროს მოლაპარაკებას აწარმოებდა საფრანგეთის გამყიდველ მთავრობასთან, სტალინის სიფხიზლე ისევ გაამახვილა.

მაგრამ როცა გერმანიამ ომი დაუწყო ინგლისს, სტალინი დარწმუნდა, რომ ჰიტლერი დიდი ხნით ჩაეფლო. მხო-

ლოდ და მხოლოდ გერმანიის ავიაციის ძალებით ინგლისის დაპყრობა, რა თქმა უნდა, მას არ სჯეროდა. ხოლო გერმანელთა ჯარების ლამანშზე გადავლით კუნძულებზე გადასხმა ძნელ საქმედ ჰქონდა წარმოდგენილი. ეს ჰიტლერისაგან ადამიანთა უზარმაზარ რეზერვებსა და ტექნიკას მოითხოვდა. თავის დროზე ამის მსგავს ცდაზე ტყუილად როდი თქვა უარი თითქოსდა უძლეველმა ნაპოლეონმა.

ასეა თუ ისე, სტალინი ვარაუდობდა, თუ ჰიტლერი გადაწყვეტს ინგლისის ტერიტორიაზე ომის გადატანას, საბჭოთა კავშირს მინიმუმი ერთი წელიწადი ექნებოდა რეზერვში. იმის შესაძლებლობა კი, რომ გერმანია თავს დაესხმის საბჭოთა კავშირს ინგლისთან მომქანცველი ომის წარმოებასთან ერთდროულად, სტალინს არარეალურად მიაჩნდა. რასაკვირველია, ფიქრობდა იგი, მთელი ეს ამბები თუმცა გადადებს, მაგრამ არამც და არამც არ სპობს საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის პერსპექტივებს. მაგრამ ვარაუდი გვიკარნახებს, რომ ჰიტლერმა გინდაც დაიპყროს ინგლისი და მსოფლიოზე ბატონობის წყურვილით შეპყრობილმა, თავისი არმია აღმოსავლეთისაკენ შეაბრუნოს, ამ ახალ ომს იგი დაიწყებს მნიშვნელოვნად დასუსტებული, წარმატების რეალური შანსების გარეშე.

რა თქმა უნდა, ფიქრობდა სტალინი, ალბათ რჩება სხვა საშიშროება: დიდი ბრიტანეთის მმართველნი დღემდე ვერ განშორებიან თავიანთ ჯერ კიდევ განუხორციელებელ ოცნებას — მიუსიონ ჰიტლერი საბჭოთა კავშირს. შექმნილ პირობებში ასეთი ჩანაფიქრის განხორციელებას ინგლისისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნებოდა, რადგან მისი არსებობის საკითხი წყდებოდა.

იმპერიალისტთა ბანაკში სოციალისტური ქვეყნის ხარჯზე შეთანხმების შესაძლებლობას სტალინი არასოდეს არ გამორიცხავდა. მაშასადამე არ გამორიცხავდა ისეთ სიტუაციასაც, რომლის დროსაც ინგლისი შეძლებდა დაერწმუნებინა ჰიტლერი არ დალოდებოდა, ვიდრე საბჭოთა კავშირის ძლიერება კიდევ უფრო გაიზრდებოდა. შერიგებოდა ბრიტანეთს, მოკავშირედ გაეხადა ან ნეიტრალურად ექცია და დაერტყა აღმოსავლეთისათვის.

ასეთ პირობებში, სტალინის რწმენით, საბჭოთა კავშირის აშკარა საომარი-აქტივიზაცია, სამობილიზაციო გეგმის შეუპოვარი განხორციელება, უეჭველად შეამსუბუქებდა ინგლისის განზრახვებს და ჰიტლერთან საიდუმლო თამაშში კოზირად გადაიქცეოდა.

მაშასადამე, ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ მოგვეგო დრო. იგი ჩვენი, საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ მუშაობდა, რათა კიდევ წელიწადი-წელიწადნახევარი არმიის გეგმაზომიერი ხელახალი შეიარაღებისათვის გამოგვეყენებინა. ამასთანავე პროვოკაციების საბაბი არ მიგეცა. ასეთი იყო სტალინის ვარაუდი. და მას ასეთი ვარაუდისათვის ჰქონდა ლოგიკური, პოლიტიკური და სტრატეგიული საფუძველი.

მაგრამ ყველაზე სწორი ვარაუდის დოგმად გადაქცევა კარგავს თავის პირვანდელ აზრს. ამ შემთხვევაში ყველა ახალი ფაქტი, თუ ის რამდენადმე ეწინააღმდეგება ადრე მიღებულ გადაწყვეტილებას, უარყოფილი იქნება.

ცნობებს, რომლებიც მოწმობდნენ ჰიტლერის მზადებას სსრ კავშირზე თავდასხმისათვის, სტალინს ატყობინებდნენ საბჭოთა მზვერავები. ზოგიერთ ამ ცნობათაგანს იგი არად აგდებდა, ზოგს არ აძლევდა ისეთ მნიშვნელობას, როგორსაც ის იმსახურებდა. მეტიც, ინგლისელთა ან თვით ჰიტლერის მხრივ რაიმე ეშმაკური ნაბიჯის გადადგმის ყოველდღიურ მოლოდინში, სტალინი ხანდახან მზვერავთა ამ მონაცემებში ხედავდა სწორედ მათ საიდუმლო ჩანაფიქრთა ანარეკლს. დარწმუნებული იყო, რომ გამაფრთხილებელ შეტყობინებათა ავტორები უნებლიე იარაღად ქცეულიყვნენ მტრების ხელში.

ეს საიდუმლო ჩანაფიქრები მარტო სტალინის წარმოდგენაში როდი არსებობდა. მას კარგად ახსოვდა ჩემბერლენის მიერ მის თანამოაზრეთა წრეში თავის დროზე წარმოთქმული სიტყვები: „ჩვენთვის, რასაკვირველია, ყველაზე კარგი იქნებოდა, ჰიტლერი და სტალინი რომ დაეტაკებოდნენ და დაგლეჯდნენ ერთმანეთს". სტალინის ყურადღების დაძაბვა მართებული იყო.

მაგრამ იგი ცდებოდა, როცა თვალს ხუჭავდა თავისი პროგნოზის, თავისი ვარაუდის საწინააღმდეგო სულ ახალ-ახალ ფაქტებზე. დასავლეთში გაჩაღებული ომის დაუმთავრებლად ჰიტლერის მიერ ახალი ომის დაწყებას დაუშვებლად თვლიდა სტალინი და იგი ლოგიკურად მართალი იყო. მას გერმანელი დიქტატორი ისეთ უგუნურად არ მიაჩნდა, რომელიც თავს მოიხვევდა მეორე გახანგრძლივებულ ფრონტს.

მაგრამ ჰიტლერი სხვაგვარად მსჯელობდა, ვიდრე სტალინი. ჰიტლერს არ სჯეროდა საბჭოთა ხალხის ერთსულოვნება და სიმტკიცე. არ სჯეროდა წითელი არმიის ძალიე-

რე. მას არ დაუგეგმია ხანგრძლივი ომი. ფიქრობდა, რომ „ბლიცკრიგის“ გზით რამდენიმე კვირაში დაამარცხებდა საბჭოთა კავშირს.

მაგრამ ჰიტლერის აზრი ასეთ ვარაუდზე, ფიქრადაც არ მოსვლია სტალინს. იგი დარწმუნებული იყო საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერებაში. ისიც სჯეროდა, რომ ჰიტლერიც მხედველობაში მიიღებდა ამ ფაქტორს.

მოიქცა თუ არა სტალინი წინდაუხედავად, როცა მტკიცედ სჯეროდა, რომ ომი ერთ წელზე უფრო ადრე ვერ დაიწყებოდა? არა, ასეთი მტკიცება სწორი არ იქნებოდა. ჯერ კიდევ საბედისწეროდ ქცეული 1941 წლის დასაწყისში გენშტაბმა სამხედრო ოლქებთან და ფლოტებთან ერთად შეიმუშავა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საზღვრის დაცვის ახალი გეგმა. იმავე თვეში მთავრობამ შეიარაღებულ ძალთა მობილიზაციის გეგმა დაამტკიცა. თანახმად ამ გეგმისა, ჩატარდა მიწერილი შემადგენლობის სასწავლო შეკრება — კიდევ მილიონამდე კაცმა ჩაიცვა სამხედრო ფორმა. მაისში გენშტაბმა მიიღო მითითება, დაუყოვნებლივ შედგომოდა საფრონტო საკომანდო პუნქტების მშენებლობას და დაემთავრებინა გამაგრებული რაიონების მშენებლობა.

და მაინც დარტყმა მოულოდნელი აღმოჩნდა. „რატომ მოხდა ასე, რატომ? მაშ, რაში მდგომარეობდა შეცდომა?“ — ისევ და ისევ ეკითხებოდა თავს სტალინი.

მაგრამ ანალიზს, რის გაბედვაც ამ კაცს შეეძლო, თავისი საზღვარი ჰქონდა. იგი სტალინი აღარ იქნებოდა, ყოველთვის პირდაპირ და მიუდგომლად რომ შეძლებოდა ყველა თავისი ვარაუდისა და საქციელის შეფასება.

სტალინად ყოფნა კი ძალიან ბევრს ნიშნავდა:

ეს ნიშნავდა სიცრუისადმი სიძულვილს და არაიშვიათად ტყუილისადმი დამორჩილებას, ადამიანების დაფასებას და მათ არდანდობას, თავისი გემოვნების მიხედვით სპარტანელად ყოფნას და პომპეზობის წაქეზებას, კომუნიზმისათვის საკუთარი სისხლის წვეთ-წვეთობით გაღებისათვის მზადყოფნას, დოგმატიზმისა და ქება-დიდების სიძულვილსა და მათი გავრცელების ხელშეწყობას, ბელადთა კულტის ესერულ ცდომილებად მიჩნევას და საკუთარ კულტზე თვალის დახუჭვას...

თავისი უცოდველობისადმი, თავისი წინასწარხედვის

შეუცდომლობისადმი, ერთადერთ მართებულ გადაწყვეტილებათა მიღების მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი უნარისადმი რწმენა, რაც წლების განმავლობაში განუმტკიცდა, სტალინს დღესაც საშუალებას არ აძლევდა, მოენახა სწორი პასუხი კითხვაზე, „რაში მდგომარეობდა შეცდომა“.

თავის თავში რომ ეპოვა ძალა, გამბედაობა და სურვილი ობიექტურად და შეუბრალებლად შეეფასებინა თავისი საქციელი, სხვა რამეც გარდაუვლად უნდა გახსენებოდა მას. უნდა გახსენებოდა რომ სწორედ მისი ნებით, მისი გაუმართლებელი, ჯანსაღი აზრის საზღვარს გადაცილებული ეჭვიანობით წინა წლებში არმიამ ესოდენ მძიმე ზარალი განიცადა კადრების მხრივ.

...მაგრამ ახლა ქაღალდების გროვაზე მძიმედ დახრილ სტალინს საეჭვოა ეფიქრა ყოველივე ამაზე. შესაძლოა, მთელი ეს მწარე ფიქრები მოგვიანებით აღეძრას მას. ყოველ შემთხვევაში სულ მალე მისმა რკინისებურმა ნებისყოფამ დაძლია თავზარდაცემულობა და იგი ისევ გახდა სტალინი, როგორიც წინათ-უნახავთ.

ჯერ კი ისევ გრძელ, ვიწრო მაგიდას უჯდა მარტოდმარტო, გულის დამამძიმებელ სიჩუმეში.

სადღაც აქედან მრავალი ასეული კილომეტრის იქით, ბარენცის ზღვიდან შავ ზღვამდე უკვე ქუხდა ომი. სადღაც იდგნენ სასიკვდილოდ თავგანწირული საბჭოთა ადამიანები და სტალინის სახელით, სამშობლოს სადიდებლად კვდებოდნენ. მათ არ ყოფნიდათ იარაღი — მძლავრი მანევრისუნარიანი, საიმედო ჯავშნით დაცული ტანკები. არ ყოფნიდათ ტანკსაწინააღმდეგო და საზენიტო არტილერიის ქვემეხები, სხვადასხვა კალიბრის ზარბაზნები. არ ყოფნიდათ ავტომატები... ჩვენი ჯარები აღმოჩნდნენ განლაგებული ოთხნახევარი ათასი კილომეტრის სიგრძისა და ოთხას კილომეტრზე მეტი სიღრმის ფრონტზე. და იმ პირველ ტრაგიკულ დღეებში მტრის დამრტყმელ დაჯგუფებათა პირისპირ იდგნენ მხოლოდ მესაზღვრეთა ნაწილები და მხოლოდ საზღვრის ახლოს მყოფი, პირველი ეშელონების მსროლელთა ცალკეული დივიზიები...

და ყოველივე ამაში საეჭვოა, რომ ჯერჯერობით ანგარიშს აძლევდა თავის თავს სტალინი. მაგრამ ერთი რამ კი იცოდა: მოხდა რაღაც გაუთვალისწინებელი, მრისხანე, რამაც გადაატრიალა მისი ვარაუდები...

მტერთაგან ვინმეს სასწაულის ძალით რომ ენახა ამ წუთებში სტალინი, იგი ღვარძლიანად წინასწარ დატკბებოდა გამარჯვებით, დიდი სოციალისტური სახელმწიფოს კრახით.

ეს გარდაუვალია — იტყოდა, ალბათ, მტერი — მილიონობით საბჭოთა ადამიანი ხომ მუდამ ჩვეული იყო ენახა სტალინი მოვლენათა მწვერვალზე. განა მას არ ხატავდნენ ყველა პლაკატზე, ლენინის მსგავსად, მომავლისაკენ მიმართული, გზის მაჩვენებელი ხელით? განა მისი სიტყვები არ გაისმოდა ქვეყნის ყველაზე მაღალი ტრიბუნებიდან? განა მის მიერ წამოყენებული ლოზუნგები არ ედო საფუძვლად ყველა დიადი საქმის აღსრულებას? განა იგი არ აწერდა ხელს ყველა მთავარ გადაწყვეტილებას? განა მისგან არ მოელიან მუდამ უსაჭიროეს, უმნიშვნელოვანეს სიტყვას?..

და აი იგი ზის მდუმარე, მძიმე ფიქრებში ჩაფლული, ხალხისაგან დაშორებით იმ წუთებში, როცა მისი ქვეყანა დგას სასიკვდილო საშიშროების წინაშე. მაშასადამე, ეს ქვეყანა განწირულია!

ალბათ, სწორედ ასე იმსჯელებდა გამარჯვებით წინასწარ დამტკბარი ჩვენი მტერი.

მაგრამ ეს იქნებოდა უხეში, საბედისწერო შეცდომა, და არა მხოლოდ იმიტომ, რომ გაივლის სულ რამდენიმე ათეული საათი და სტალინი იპოვის თავის თავში ძალასა და გამბედაობას სათავეში ჩაუდგეს არმიის უმაღლეს სარდლობასაც და ქვეყნის თავდაცვის კომიტეტსაც. საქმე სხვა რამ იყო...

სწორედ ამ ტრაგიკულ დღეებში უდავოდ ნათელი გახდა, რომ სტალინში კი არ მდგომარეობს, უწინარეს ყოვლისა, ჩვენი ქვეყნის უძლეველი ძალა, არამედ მის სოციალურ წყობილებაში, კომუნიზმის საქმისადმი მილიონობით ადამიანის ერთგულებაში.

და სწორედ იმ წუთებში, როცა სტალინი ჯერ კიდევ მძიმე ფიქრთა ტყვეობაში იყო, ასობით, ათასობით ადამიანი, სამოქალაქო თუ სამხედრო — საკ კპ(ბ) ცკ-ში, მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტში, საოლქო კომიტეტსა და რაიკომებში, შტაბებსა და სამხედრო კომისარიატებში — უმოქმედოდ როდი იმყოფებოდა. ათობით მანქანა მიქროდა მოსკოვის დაცარიელებულ ქუჩებში იქით, ძველი მოედნისაკენ, ცკ-ს შენობისაკენ, ბულვარის ლითონის გალავანთან მწკრივში დგებოდ-

ნენ და მანქანებიდან აჩქარებით გამოსული ადამიანები სახლების შესასვლელებში უჩინარდებოდნენ...

მანქანებისა და ადამიანების ასეთივე მოძრაობა შეინიშნებოდა იმ გარეჯრაუზე მოსკოვის სხვა რაიონშიც ფრუნზეს ქუჩასა და გოგოლის ბულვარზე, სადაც განლაგებული იყო თავდაცვის სახალხო კომისარიატი, გენერალური შტაბი და წითელი არმიის მთავარი პოლიტიკური სამმართველო...

მოსკოვის ქუჩებში მოტოციკლებითა და ავტომანქანებით დაქროდნენ ფელდმეკავშირეები, აგროვებდნენ რუსსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა სარდლობის მთავარბანაკის შექმნის შესახებ ცკ-სა და სახკომსაბჭოს გადაწყვეტილების პროექტზე პოლიტბიუროს წევრების, ცკ-ის მდივნებისა და სახალხო კომისართა ხელმოწერებს, გენშტაბში ცდილობდნენ დაემყარებინათ უწყვეტი კავშირი ოლქების შტაბებთან, რომლებიც ახლა ფრონტების სამმართველოები ხდებოდნენ, თუმცა ეს კავშირი ახალ, საომარ პირობებში ჯერ კიდევ არამყარი იყო...

IX

ლენინგრადში ივნისის საღამო ოდნავ თუ განსხვავდებოდა დღისაგან. განსაკუთრებით შაბათ საღამოს. თუმცა თერთმეტი საათი სრულდებოდა, 25 ოქტომბრის, ყოფილი ნევის პროსპექტი ისე გამოცოცხლებულიყო როგორც შუადღისას. ქუჩების კუთხეებში ყიდდნენ ყვავილებს — იმ ზაფხულს ლენინგრადში ძალიან ბევრი ყვავილი იყო. კაფე „ნორდთან“ გროვდებოდა ახალგაზრდობა. სასტუმროების „ევროპეისკაიას“ და „ასტორიას“ ხალხით გაჭედილი რესტორნების ესტრადებზე ადგილებს იკავებდნენ მუსიკოსები. დასასვენებელი ბაღის ხეივნებში ნელა მიედინებოდნენ მოსეირნეთა ნაკადები. სახლების ფართოდ გაღებული ფანჯრებიდან პატეფონის ხმები და სიცილ-კისკისი ისმოდა.

ნევაზე მშვიდად მიცურავდნენ სასეირნო კანჯოები. თითქოს არავინ არ ფიქრობდა ძილზე, დაუსრულებლად გრძელდებოდა მხიარული დღე.

მაგრამ ცენტრიდან დაშორებით, სმოლნის რაიონში, სადაც მოთავსებული იყო პარტიის საოლქო და საქალაქო კომიტეტები, ამ გვიან საღამოს სულ სხვა ატმოსფერო სუფევდა.

განიერ ჭიშკარში ერთიმეორის მიყოლებით შემოდიო-

დნენ შანქანები. გრძელი, დაბალი „ზის-101“-ები; მაღალი, ზანდუკის მსგავსი „ემკები“. სმოლნის შენობისაკენ დაწალიკებით მიდიოდნენ ადამიანები.

შემთხვევით გაძვლელები, რომლებიც იმ საათში სმოლნის ახლოს აღმოჩნდნენ, ამ მოძრაობას განსაკუთრებულ ყურადღებას არ აქცევდნენ, — უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში ქალაქკომის პლენუმი მიმდინარეობდა. ამას იუწყებოდნენ გაზეთები, ხოლო, რომ იგი ამ დილით დამთავრდა, მხოლოდ ცოტამ თუ იცოდა.

და მხოლოდ ადამიანთა მეტად განსაზღვრულმა წრემ იცოდა, რომ შუაღამისას ქალაქკომის მდივანთან ვასნეცოვთან შედგებოდა პარტიული აქტივის საგანგებო სხდომა.

აქტივი უეცრად მოიწვიეს. დღის მეორე ნახევარში, ქალაქკომის პლენუმის დამთავრებიდან სულ რაღაც ორი-სამი საათის შემდეგ, რაიკომების მდივნების, დიდი ქარხნების დირექტორების კაბინეტებსა და პარტიულ კომიტეტებში აწკრიალდა ტელეფონები.

იმათთვის, ვინც შუაღამისათვის გამოიძახეს სმოლნში, გამოძახების მიზეზი არ უცნობებიათ.

მაგრამ მაიორმა ზვიაგინცევმა ეს მიზეზი იცოდა. მას საღამოს ათ საათზე პოლკოვნიკმა კოროლიოვმა გამოუძახა და გადასცა სამხედრო საბჭოს წევრის ბრძანება — ღამის თორმეტი საათისათვის ყოფილიყო სმოლნში. მზად ჰქოლდა პასუხები მოსალოდნელ კითხვებზე საზღვარზე თავდაცვითი სამუშაოების მდგომარეობის შესახებ, ვინაიდან ზვიაგინცევი ის-ის იყო იქიდან ჩამოვიდა, ხოლო საინჟინრო სამმართველოს უფროსი ჯერ ისევ სასაზღვრო რაიონში იმყოფებოდა.

შტაბის „ემკამ“ ზვიაგინცევი სმოლნის შესასვლელთან მიიყვანა. თორმეტს რომ თხუთმეტი წუთი აკლდა, დაცვისათვის საბუთების ორჯერ ჩვენების შემდეგ, იგი სხვებთან ერთად აჰყვა განიერ ქვის კიბეს მეორე სართულზე და გრძელი დერეფნის ბოლოში მოთავსებულ ქალაქკომის მდივნის კაბინეტისაკენ წამოვიდა. ურიცკის, ყოფილი დვორცოვაიას მოედნიდან, სადაც ლენინგრადის სამხედრო ოლქის შტაბი იყო, მანქანამ, რომელსაც ზვიაგინცევი მიჰყავდა, მთელი ნევის პროსპექტის გასწვრივ ჩაიქროლა, ემკის ღია სარკმლებიდან ესმოდა მას ხმაური უდარდელი მოზეიმე ხალხისა, რომლითაც გაჭედილი იყო ტროტუარები.

და სმოლნში რომ აღმოჩნდა, სწორედ ამიტომ შეიგრძნო მან ასე მკვეთრად აქ გამეფებული დაჭიმული, შემაშფოთებელი ატმოსფერო.

თითქოს დაუსრულებლად გრძელ დერეფანში მკრთალად ანათებდნენ კედლის სანათები. სიჩუმე იდგა. ადამიანები მდუმარედ და უხმაუროდ დადიოდნენ: ფართო ხალიჩის საფენი ახშობდა მათ ნაბიჯებს.

...ქალაქკომის მდივნის გაკაშკაშებული კაბინეტის ფანჯრებზე მჭიდროდ ჩამოეფარებინათ მძიმე ფარდები.

როცა ზვიაგინცევი ამ ოთახში შეავიდა, იქ უკვე ბევრი ხალხი იყო. მოსულნი კედლების გასწვრივ ჩამწკრივებულ სკამებზე და გრძელი, მწვანე მაუდგადაფარებული, სხდომებისთვის დანიშნულ მაგიდის ორივე მხარეს დამსხდარიყვნენ.

ქალაქკომის მდივანი ვასნეცოვი მაღალი ხმელ-ხმელი, შავთმიანი, მოგრძო სახის ახალგაზრდა კაცი იყო. ღრმად ჩაცვენილ თვალებს ზემოთ ხშირი წარბები ლამის შეერთებოდა. მას ზვიაგინცევი პორტრეტებიდან იცნობდა. ის იდგა საწერ მაგიდასთან, კარს შესცქეროდა, რომელიც წამდაუწუმ იღებოდა და ხმადაბლა იმეორებდა:

— შემოდით, ამხანაგებო, შემოდით...

ზვიაგინცევი კედელთან თავისუფლად დარჩენილი სკამებისკენ გაემართა. გზადაგზა მისალმების ნიშნად წელში სწორდებოდა. ვასნეცოვმაც საპასუხოდ თავი დაუკრა, თან თქვა: „გაიარეთ, ამხანაგებო, გაიარეთ..."

ზვიაგინცევი დაჯდა და ხალხი შეათვალიერა.

ზოგ მათგანს იგი პირადად შეხვედრია, ზოგის ფოტოსურათები კი ბევრჯერ უნახავს გაზეთებში, შემოვიდა პოლკოვნიკი—ქალაქის საჰაერო თავდაცვის უფროსი, შემდეგ — კიროვის ქარხნის დირექტორი, მერე — შინსახკომის სამმართველოს უფროსი... შემოვიდა, შეკრებილთ თავი დაუკრა და ვასნეცოვისკენ გაემართა ლენსაბჭოს თავმჯდომარე პოპკოვი — კანის გალურჯებამდე გაპარსული, გიმნასტურაში გამოწყობილი მხარბეჭგანიერი კაცი. ისევ გაიღო კარი და ამჯერად შემოვიდა მაღალი, ხმელ-ხმელი ულვაშა მოხუცი, რომელსაც ძველმოდური შავი კოსტიუმი ეცვა და ვიწრო ნაქსოვი ჰალსტუხი ეკეთა.

„— ეს ხომ ვერას მამაა! — თქვა გუნებაში ზვიაგინცევმა და ძლივს შეიკავა თავი, რომ მის შესაგებებლად არ წამომხტარიყო. — ეს საიდანღა მოხვდა აქ?"

მაგრამ ზვიაგინცევი მაშინვე მიხვდა ამ კითხვის პასუხს.

მან იცოდა, რომ ვერას მამა — კადრის პუტილოველი მუშაა და მისი აქ ყოფნა იმაზე მეტყველებდა, რომ ალბათ, ქარხნის პარტკომის ან რაიკომის ბიუროს წევრიც კი იყო.

მაგრამ ყოველივე ამან მხოლოდ გაიელვა ზვიაგინცევის ცნობიერებაში და იმ წამსვე განიდევნა შემაშფოთებელი აზრით: „სად არის ვერა?"

მან ივანე მაქსიმეს ძე კოროლიოვთან მისვლა დააპირა, რომ ეკითხა გაემგზავრა სადმე ვერა თუ, საბედნიეროდ, არსად არ წასულა. მაგრამ მოხუცმა ვასნეცოვს თავი დაუკრა და თავისი გრძელი ხელების ოდნავი რხევით მოპირდაპირე კედლისაკენ გაემართა.

... როცა ყველანი დასხდნენ, ვასნეცოვმა მაგიდიდან აიღო ქაღალდის ფურცელი და ხმადაბლა თქვა:

— ქალაქკომის ბიურომ შეგკრიბათ, თქვენ, ამხანაგებო, იმისათვის, რომ მოსკოვიდან მიღებული დეპეშა გაგაცნოთ.

აუჩქარებლივ, ცალკეული ფრაზების გამოყოფით, დაიწყო მან კითხვა. დეპეშაში ლაპარაკი იყო იმაზე, რომ 22-23 ივნისს, ესე იგი ხვალ ან ზეგ, შესაძლებელია მოხდეს გერმანელ ფაშისტთა ჯარების უეცარი თავდასხმა რიგ საზღვრისპირა ოლქების, მათ შორის ლენინგრადის ტერიტორიაზეო. ამოცანა ასეთია — არ ავყვეთ არავითარ პროვოკაციას, მაგრამ ოლქის ჯარებს ნაბრძანები ჰქონდათ 22 ივნისის ღამეს ფარულად დაეკავებინათ საცეცხლე წერტები სახელმწიფო საზღვრის გამაგრებულ რაიონებში, ხოლო გარიჟრაჟის წინ თავი მოეყარათ ავიაციისათვის საველე აეროდრომებზე და საგულდაგულოდ შეენიღბათ იგი.

ვასნეცოვმა კითხვა დაამთავრა, ქაღალდი მაგიდაზე დადო და დაჯდა.

სიჩუმე ჩამოვარდა. დუმდა ვასნეცოვიც, თითქოს სურდა საშუალება მიეცა შეკრებილთათვის შეეფასებინათ სიტუაცია, ბოლომდე შეეგრძნოთ მოახლოებული საფრთხე.

დუმილი რამდენიმე წამს გრძელდებოდა. ზოგი თავდახრილი იჯდა, ზოგი დაძაბული იყურებოდა წინ.

დუმდა ზვიაგინცევიც. უკვე რამდენჯერმე გადაავლო თვალი ბლოკნოტში თავის ჩანაწერებს და შლიდა იმ შემთხვევისთვის არასაჭიროს, თუ ლაპარაკი მოუხდებოდა. ზვიაგინცევს ნაბრძანები ჰქონდა თავისი შეტყობინება შემოეფარგლა საზღვრის გამაგრებულ რაიონებში საინჟინრო სამუშაოთა მოკლე დახასიათებით.

მოულოდნელად გაისმა ხმა, რომელმაც აიძულა ზვიაგინცევი სწრაფად აეწია თავი.

— ეს რაა? ომია?!

იკითხა ივანე მაქსიმეს ძე კოროლიოვმა. მას მუხლებზე დაედო ფართო ხელისგულები და ოდნავ წინ წახრილი იჯდა.

— არ ვიცი, — დაუყოვნებლივ უპასუხა ვასნეცოვმა. — დეპეშაში ნათლად არის ნათქვამი: შესაძლებელია პროვოკაციები მოხდესო. — წამით გაჩუმდა და უკვე ხმის დაწევით დაურთო: — შესაძლოა, ივანე მაქსიმოვიჩ, ომიც...

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. ვასნეცოვმა მზერა ზვიაგინცევზე გადაიტანა და თქვა:

— ამხანაგებო, აქ გვესწრება მაიორი... ამხანაგი ზვიაგინცევი ოლქის შტაბიდან. თქვენ იცით, რომ ფინეთის საზღვრის გამაგრებულ რაიონებში დიდსა და სასწრაფო სამუშაოებს ვატარებთ. ამხანაგი ზვიაგინცევი ეს-ეს არის დაბრუნდა საზღვრიდან, სადაც ამ სამუშაოთა მიმდინარეობას ამოწმებდა. არის წინადადება, მოვისმინოთ, როგორ მიდის ამჟამად თავდაცვითი მშენებლობის საქმეები.

ხალხი ხმადაბლა, მაგრამ მოწონების ნიშნად ახმაურდა, რადგან სიჩუმის დარღვევით შვება იგრძნო.

ზვიაგინცევი წამოდგა. ყველა საჭირო შენიშვნა წინასწარ ბლოკნოტში ჰქონდა ჩაწერილი. ახლა ეს ბლოკნოტი ეჭირა და სიტყვის თქმას აპირებდა.

და თუმცა სულ ერთი წუთის წინ ზვიაგინცევმა გარკვევით იცოდა, რით უნდა დაეწყო თავისი სიტყვა და რით დაემთავრებინა, მაგრამ ახლა, როცა ყველა მას ელოდა, იგი თითქოს დაბნეული დუმდა.

გავიდა რამდენიმე წამი და ზვიაგინცევმა დაინახა, ვასნეცოვი რაღაცნაირი გაოცებით, ხშირი წარბების ოდნავ აზიდვით შესცქეროდა მას. მიხვდა, დაუყოვნებლივ უნდა დაეწყო ლაპარაკი.

და მაინც დუმდა...

ზვიაგინცევის მიერ დასახული და სარდლობასთან შეთანხმებული მისი გამოსვლის გეგმა უკიდურესად მოკლე და ნათელი იყო. მას უნდა ეცნობებინა, რომ საზღვარზე ინტენსიურად მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები, რაც სათანადო ვადებში მთლიანად დამთავრდება და, რომ იტყვიან, საზღვარი ჩაიკეტება. მაგრამ ეს სამუშაოები ახლა გაცილებით უფრო სწრაფად უნდა წარმოებდეს. და

ვინაიდან ოლქში ჯერ არ ყოფნით ინჟინერ-მშენებლები, მეტად სასურველი იქნებოდა სამოქალაქო ინჟინერთა გარკვეული რაოდენობა თადარიგიდან გაეწვიათ.

ერთი სიტყვით, აზრი ზვიაგინცევის სიტყვისა, რომელიც ახლა უნდა წარმოეთქვა, იმაში მდგომარეობდა, რომ საჭიროა საზღვრის კიდევ უფრო გამაგრება. მაგრამ ამჟამადაც ყველაფერი რიგზეა. თუ მტერი გაბედავს თავს დაგვესხას, გამანადგურებელ დარტყმას იგემებს.

ასეთი იყო სამოქალაქო აუდიტორიაში სამხედრო პირთა სიტყვით გამოსვლის მიღებული ყველა სქემა. ზვიაგინცევიც ამ სქემას უნდა მიჰყოლოდა.

რამდენიმე წუთის წინ ასეთი გამოსვლის კანონზომიერება მასში არავითარ ეჭვს არ იწვევდა. წლების განმავლობაში ზვიაგინცევი მიეჩვია იმ ამბავს, რომ საქმის რეალურ მდგომარეობაზე სამხედრო პირები ერთმანეთში და სამსახურებრივ თათბირებზე ხშირად გულწრფელად ლაპარაკობდნენ, მაგრამ სამოქალაქოთა წინაშე მათს გამოსვლას საფუძვლად ედო უცვლელი გეგმა-კონსპექტი: საჭიროა სიფხიზლე, თოფისწამალი მშრალად უნდა ვიქონიოთ, მაგრამ თუ დაგვჭირდა, მტრის ყოველგვარ დარტყმას სამმაგი დარტყმით ვუპასუხებთ, საკუთარ ტერიტორიაზევე ვურტყამთ.

ასეთი იყო სქემა და ზვიაგინცევს იგი ბუნებრივად და თითქოს თავისთავად გასაგებად მიაჩნდა.

და, მიუხედავად ამისა, სწორედ იმ მომენტში, როცა მას მართლაც ამ სქემის მიხედვით უნდა დაეწყო ლაპარაკი, უცბად მიხვდა, რომ არ შეუძლია ასე თქმა. არ შეუძლია, რადგან განსაკუთრებული ძალით შეიგრძნო, რომ ახლა დგას პარტიის წინაშე, რომ მას ღელვითა და მოლოდინით შესცქერიან ადამიანები, რომლებიც ასეული ათასობით კომუნისტის მიერ არიან არჩეული, და საქმის ნამდვილი მდგომარეობის მათგან დაფარვის ყოველი ცდა უპატიოსნება, ბოროტმოქმედება იქნებოდა.

ოთახში გაოცების ჩქამი გაისმა. ვასნეცოვმა კიდევ უფრო მაღლა აზიდა წარბები. უკვე აშკარა გაკვირვების და უკმაყოფილების გამომეტყველებით უცქეროდა ზვიაგინცევს, როცა მან ყველასთვის და, უწინარეს ყოვლისა, თავისდა მოულოდნელად თქვა:

— ამხანაგებო, მე ეს-ეს არის დავბრუნდი საზღვრიდან. მდგომარეობა უაღრესად ძერიოზულია...

იმწამსვე სიჩუმე ჩამოვარდა. ყველა თვალმოუწყვიტ-

ლივ შესცქეროდა ზვიაგინცევს. ყურადღებით უცქეროდა მას ვასნეცოვიც. მაგრამ მის სახეზე ახლა მშფოთვარე მოლოდინი აღბეჭდილიყო.

ზვიაგინცევი ყოველივე ამას თითქოს ვერ ამჩნევდა. მას საკუთარი დაეუფლა იგივე გრძნობა, რომელიც განიცადა მაშინ, თითქმის წელიწადნახევრის წინათ, როცა კრემლის ტრიბუნაზე იდგა. და არაფერზე ფიქრობდა — არც იმ შთაბეჭდილებაზე, რომელიც იქ შეკრებილებზე შეეძლო მოეხდინა მის სიტყვას, არც თავის მომავალ ბედზე — და რაღაც მომენტში თვით სტალინის იქ ყოფნაც კი დაავიწყდა. — მღელვარედ და აჩქარებით ლაპარაკობდა იმაზე, რაც გულში დაუგუბდა, რაც უსათუოდ უნდა ეთქვა.

და აი ახლა ზვიაგინცევი მოჰყვა რაც მზვერავ ტოიევოსგან მოისმინა, დაწვრილებითა და დაუფარავად გააცნო შეკრებილებს თავდაცვითი ნაგებობების მზადყოფნის მდგომარეობა და დაამთავრა ვარაუდით, რომ თუ გერმანელებმა თუნდაც მხოლოდ პროვოკაცია ჩაიფიქრეს, მით უფრო, მზად უნდა ვიყოთ ყველაფრისთვისო.

ისევე მოულოდნელად დაამთავრა მან ლაპარაკი, როგორც დაიწყო. დაჯდა და იქ დამსწრეთ თვალი გადაავლო. არავინ შერხეულა. სიჩუმეში ისმოდა, როგორ აკაკუნებდა ვასნეცოვი ფანქარს მინაზე, რომელიც საწერ მაგიდას ფარავდა.

ზვიაგინცევი მიხვდა, რომ ზედმეტის თქმა მოუვიდა. მისი სიტყვა თუ პირდაპირ არ ეწინააღმდეგებოდა ვასნეცოვის მიერ გამოცხადებულ დეპეშას, მაინც აშკარად სცილდებოდა მის ფარგლებს.

ზვიაგინცევის ყურში ჯერ კიდევ ჟღერდა მისი საკუთარი, წელან წარმოთქმული სიტყვები. მხოლოდ ერთი წუთის მოგვიანებით თითქოს შორიდან მოაღწია მასთან ვასნეცოვის ხმამ.

ქალაქკომის მდივანი არავითარ კომენტარებს არ უკეთებდა ზვიაგინცევის სიტყვას — თითქოს ის არც კი ყოფილიყო. იგი ლაპარაკობდა იმაზე, რომ მიღებული დირექტივა ითვალისწინებს ზოგიერთი ქალაქისა და სამხედრო ობიექტების ჩაბნელებას, მორიგეობის დაწესებას და ადგილობრივი საპაერო თავდაცვის აქ დამსწრე წარმომადგენლებს, უფრო მსხვილ საწარმოთა ხელმძღვანელებს ევალებათ მოგვახსენონ ამ დირექტივის შესრულებისათვის მზადყოფნის შესახებ.

— მე მესმის, — განაგრძობდა ვასნეცოვი, რომ, რაკი

ამ თათბირის მიზანი წინასწარ არ იყო გამოცხადებული, თქვენ გკირდებათ დრო მოფიქრებისათვის. ამიტომ ვაცხადებთ შესვენებას ათი წუთით.

იგი დაჯდა, რაღაც ქაღალდები თავისკენ მიიწია, პლასტმასის პატარა ჭიქიდან ფერადი ფანქარი ამოიღო და კითხვას შეუდგა.

ხმადაბალი ლაპარაკი გუგუნში გადაიზარდა. ადამიანები ადგილებიდან წამოდგნენ, ჯგუფ-ჯგუფად გროვდებოდნენ, ზოგიერთი თამბაქოს მოსაწევად დერეფანში გავიდა.

ზვიაგინცევმა დაბნევით მიმოიხედა, შემდეგ მზერა ვასნეცოვზე შეაჩერა. უნდოდა მისულიყო მასთან და ვითომც სხვათაშორის ეკითხა:

„ნამეტანი ხომ არ გადავუხვიე?“ — გაეგო, როგორი შთაბეჭდილება მოახდინა მისმა სიტყვამ.

მაგრამ ვასნეცოვს თავი არ აუწევია. „რა თქმა უნდა, ოლქის პოლიტსამმართველოს შეატყობინებს, — მწარედ გაიფიქრა ზვიაგინცევმა, — ახსნა-განმარტების დაწერა მომიწევს... ჰოდა, აგრე იყოს! — უთხრა თავის თავს რაღაცნაირი თავზე ხელაღებული უდარდელობით. — მოედანზე ხომ არ მილაპარაკია. აქ სხვედან ქალაქკომის ბიუროს წევრები, რაიკომების მდივნები, უმსხვილეს საწარმოთა დირექტორები. მათ წინაშე ტყუილის თქმა არ შეიძლება. მათ ყველაფერი უნდა იცოდნენ, ყველაფერი“.

მან თავი გააქნია. დაინახა, რომ ივანე მაქსიმეს ძე კოროლიოვიც კარისკენ გაემართა. ვერა გაახსენდა და მის მამას დაედევნა.

დერეფანში მან ოდნავ შეახო ხელი კოროლიოვის მხარს და როცა იგი შემობრუნდა, უთხრა:

— გამარჯობათ, ივანე მაქსიმოვიჩ, ჩვენ ხომ ვიცნობთ ერთმანეთს.

— გაგიმარჯოს, მაიორო, — მიუგო კოროლიოვმა, თან დაჟინებით ჩააცქერდა, — მახსოვს. პავლეს თანამშრომელი ხართ. ხომ?

— დიახ, დიახ, — აჩქარებით დაუდასტურა ზვიაგინცევმა.

— მაშ რა, ომია? — მკაცრად ჰკითხა კოროლიოვმა.

— ჯერჯერობით ძნელია თქმა, — უპასუხა მისი მომთხოვნ-მკაცრი მანერით შეცბუნებულმა ზვიაგინცევმა, — მოსალოდნელია პროვოკაციები. მაგრამ...

— რა ყველას დაგიჩემებიათ — „პროვოკაციები, პრო-

ვოკაციები"!.. — შეაწყვეტინა კოროლიოვმა. — მე საქმის არსზე გეკითხები, სახელწოდებაზე კი არა.

— არა მგონია, რომ მათ მართლაც გაბედონ, — ყოყმანით წამოიწყო ზვიაგინცევმა, თან ცდილობდა, ახლა მაინც გაექარწყლებინა შთაბეჭდილება თავისი აშკარად თვითნებური სიტყვისაგან, მაგრამ კოროლიოვმა ისევ შეაწყვეტინა.

— არა გგონია!.. — სიტყვების ოდნავ გაჭიანურებით გაიმეორა მან.

მან ხელი ისე გააქნია, თითქოს უნდა ზვიაგინცევი თავიდან მოიშოროსო. ჯიბიდან „რაკეტის" კოლოფი ამოიღო და იქით მიბრუნდა.

— ივანე მაქსიმოვიჩ, მე მინდა გკითხოთ... — მოულოდნელი მორცხვობით წარმოთქვა ზვიაგინცევმა.

კოროლიოვი დინჯად აბოლებდა პაპიროსს და მას არ უყურებდა.

— მე მინდა გკითხოთ, — გაიმეორა ზვიაგინცევმა, — ვერას შესახებ... სად არის იგი? უკანასკნელად, ტელეფონით რომ ვილაპარაკეთ, მითხრა, გამგზავრებას ვაპირებო...

კოროლიოვმა ყვითელ თითებში ატრიალა მომწვარი ასანთი, ისევ კოლოფში ჩადო და ჩაიბუტბუტა:

— წავიდა. ბელოკამენსკში. დეიდამისთან.

— მე მგონია, სასწრაფოდ უკანვე უნდა გამოვიძახოთ. რა თქმა უნდა, ჩრდილოეთი არ არის, ბელოკამენსკს არაფერი არ ემუქრება, მაგრამ მაინც...

ამჯერად კოროლიოვი დაჟინებით დააცქერდა ზვიაგინცევს.

— მეუბნები, გამოვუძახო?.. — გაიმეორა მან. შემდეგ ზვიაგინცევს ორი თითი ჩაავლო სამხარიღლივეში, ოდნავ თავისკენ მიიზიდა და ხმის დაწევით ჰკითხა: — მაშ, იქნება ომი, მაიორო?

— ვშიშობ, რომ იქნება, ივანე მაქსიმოვიჩ, — ძლივს გასაგონად უპასუხა ზვიაგინცევმა.

— მაშ ასე, — თავი გააქნია კოროლიოვმა. შემდეგ ამოიღო საათი, თავსახური ახადა, დახედა და თქვა: — დროა. გავიდა ჩვენი ათი წუთი..

ამ წუთში ვასნეცოვის კაბინეტის კარი გაიღო და ვიღაცამ ხმამაღლა დაიძახა:

— მაიორ ზვიაგინცევს ტელეფონთან სთხოვენ!

ზვიაგინცევი აჩქარებით დაბრუნდა კაბინეტში. ვასნეცოვი ისევ ისე იჯდა კითხვით გართული. ერთ-ერთი ტე-

ლეფონის ყურმილი მოხსნილი იყო და მაგიდაზე იდო.

როცა ზვიაგინცევი მიუახლოვდა, ვასნეცოვმა მაღლა აუხედავად ყურმილზე თავით ანიშნა და მოკლედ უთხრა:

— შტაბიდან არის.

ზვიაგინცევმა ხელი სტაცა ყურმილს და მაგრად მიიჭირა ყურთან. მოესმა უცნობი ხმა:

— მაიორი ზვიაგინცევი ხართ? გელაპარაკებათ მორიგე. გამოძახებული ხართ შტაბის უფროსთან. თქვენს წამოსაყვანად გაძოსულია მანქანა.

ზვიაგინცევს კინაღამ წამოსცდა: „რამე მოხდა? მნიშვნელოვანი?“ მაგრამ დროზე შეიკავა თავი და მხოლოდ ეს ჰკითხა:

— მარტო მე?

ამას მოჰყვა მოკლე პაუზა. შემდეგ კვლავ გაისმა მორიგის ხმა, ამჯერად რამდენადმე ყრუდ და არც ისე მტკიცედ:

— არა... საერთო განგაშია. ოცდაათ წუთში უნდა გამოცხადდეთ.

ზვიაგინცევმა გიმნასტურის სახელო აიწია და მაჯის საათს დახედა.

ღამის პირველი საათი იყო. დაიწყო 1941 წლის 22 ივნისი.

X

საბჭოთა საელჩოდან დილიდანვე დაიწყეს რეკვა. რეკავდნენ სხვადასხვა ტელეფონით — საოქმო განყოფილებაში, პოლიტიკურ დეპარტამენტში, მინისტრის სამდივნოში და მოითხოვდნენ, რომ რიბენტროპს საბჭოთა ელჩი მიეღო. პასუხები სტერეოტიპური იყო: ბატონი მინისტრი ადგილზე არ იმყოფება, იგი ქალაქგარეთ არის და არ ვიცით, როდის დაბრუნდება. რამდენიმე ხნის შემდეგ სამინისტროში კვლავ ისმოდა რეკვა... რეგულარულად, ყოველ ნახევარ საათში. ამ რეკვის მიხედვით შეიძლებოდა დროის შემოწმება.

ასრულებდა რა ჰიტლერის ინსტრუქციას, რიბენტროპი შაბათს სულ არ გამოჩენილა თავის სამინისტროში ვილჰელმშტრასეზე. ფრთხილობდა, რომელიმე ჩინოვნიკი დაინახავდა და რუსებს უპასუხებდა, ბატონი მინისტრი თავის კაბინეტშიაო.

რიბენტროპმა იცოდა, რატომ უნდოდა ასე დაჟინებით

საბჭოთა ელჩს მასთან შეხვედრა. უკანასკნელ დღეებში საელჩოს წარმომადგენლები არაერთხელ მოსულან საგარეო საქმეთა სამინისტროში მოთხოვნით, ეცნობებინათ გერმანიის მთავრობისათვის საბჭოთა პრეტენზიები: გერმანიის შეიარაღებულ ძალთა თვითმფრინავები სისტემატურად არღვევენ საზღვარსო. ამჯერად საელჩომ, როგორც ჩანს, გადაწყვიტა მორიგი პროტესტი უშუალოდ თვით მინისტრისათვის განეცხადებინა.

მაგრამ ასეთი შეხვედრა რიბენტროპის განზრახვებს არ ეფარდებოდა. მას 22 ივნისის დილის სამ საათზე უნდა ენახა საბჭოთა ელჩი. სწორედ ამ დროს — საბჭოთა კავშირზე გერმანელთა ჯარების თავდასხმიდან ერთი საათის შემდეგ — რიბენტროპს უნდა გამოეძახა საბჭოთა ელჩი და განეცხადებინა, რომ მის სახელმწიფოსთან ომი დაიწყო. ამ შეხვედრისათვის იგი დაძაბულად ემზადებოდა.

იმ შაბათ დღეს რიბენტროპს მშფოთვარე და ერთმანეთის საწინააღმდეგო ფიქრები დაეუფლა. იგი განიცდიდა სულიერ აღფრთოვანებას, სასიხარულო მღელვარებას და იმავე დროს რაღაცნაირ, თვით მისთვის ბოლომდე შეუცნობელ შეშფოთებას, შიშსაც კი გრძნობდა.

ამ შეგრძნებას არაფერი არ ჰქონდა საერთო იმასთან, რასაც ჩვეულებრივ სინდისის ქენჯნას უწოდებენ. რიბენტროპს სძაგდა თვით ცნება „სინდისი“, როგორც საცოდავი ლიბერალური, ქრისტიანული გამონაგონი. როგორც თავისებური ბორკილი, რომელიც ზღუდავს ჭეშმარიტი ნაციონალ-სოციალისტის გონებასა და საქციელს.

მორალის საკითხებისადმი ასეთი დამოკიდებულებაც შეთვისება რიბენტროპისათვის მეტად ადვილი იყო, ვინაიდან ბუნებით იგი სასტიკი, ეშმაკი და ძალაუფლების მოყვარული კარიერისტი იყო.

აქტიურ ნაციონალ-სოციალისტთა დიდ უმრავლესობას სწორედ ასეთი ჯურის ადამიანები წარმოადგენდნენ. მაგრამ ყველა მშიშარები როდი იყვნენ. რიბენტროპი კი მშიშარა იყო. სამაგიეროს გადახდის შიში თითქმის ყოველთვის ბუდობდა მის ცნობიერებაში. იგი მოგაგონებდათ თვალშეუდგამ სიმაღლეზე აყვანილ კაცს, რომელიც დროდადრო მაინც იხედება ქვევით, უფსკრულში და გულის კანკალით განიცდის შესაძლებელი ჩამოვარდნის მთელ საშიშროებას. უფრო ხშირად რიბენტროპი ახერხებდა ამ გრძნობის იმდენად ჩახშობას, რომ იგი სრულე-

ბითაც აღარ ეგრძნო. მაგრამ ხანდახან ეს გრძნობა იღვიძებდა და მაშინ მთელ მის არსებას შიში მოიცავდა.

ის, რომ სწორედ მას უნდა გაეკეთებინა საბჭოთა ელჩისათვის ისტორიული განცხადება, რიბენტროპის მთელ არსებას საკუთარი თავის დიდი მნიშვნელობით თავმოწონების შეგრძნებით ავსებდა. თუ დღემდე საეჭვო იყო შეეა იგი მსოფლიო ისტორიაში, თუ სამუდამოდ დაიფარება თავისი ფიურერის უზარმაზარი პირქუში ჩრდილით, ხვალინდელი დღის განთიადზე ყველა. ეს ეჭვი გაქრება. ამაზე ფიქრი რიბენტროპს ნამდვილ სიამოვნებას ჰგვრიდა. იგი იდგა უზარმაზარი სარკის წინ თავის საწოლ ოთახში, რომელიც ქალის ბუდუარს ჰგავდა. გულში იმ სიტყვებს იმეორებდა, რომლებიც ხვალ საღამოსვე მთელი მსოფლიო პრესის ფურცლებზე მისი პორტრეტის გვერდით უნდა მოთავსებულიყო.

სასიამოვნო, სასიხარულო იყო ამით წინასწარ ტკბობა. თავისი გრძნობებისათვის განსაკუთრებული სიმახვილე რომ მიენიჭებინა, რიბენტროპი შეეცადა მეხსიერებაში აღედგინა მისთვის მეტად დამამტკიცებელი ეპიზოდები მოლოტოვთან შეხვედრების დროს. როგორ იტანჯებოდა, როგორ ეწამებოდა იგი, რომ არ შეეძლო, უფლება არ ჰქონდა ეთქვა ამ პენსნეიანი კაცისათვის, თუ როგორი მომავალი მოელოდა მის უკვე განწირულ ქვეყანას, გამოეცხადებინა მისი სასიკვდილო განაჩენი!

რიბენტროპს სძულდა ეს ქვეყანა, მისი თვალუწვდენელი, ათეულობით გერმანიის ოდენა სივრცეები, მისი იდუმალი, გაუვალი ტყეები, მისი თავის ძალაში დარწმუნებული ხალხი, რომლისთვის მლიქვნელურად უნდა გაეღიმა ხოლმე მოსკოვში თავისი ვიზიტის დროს...

ის, რომ ახლა სწორედ მას უნდა მოეხდინა ისტორიული მნიშვნელობის აქტი — გამოეცხადებინა საბჭოთა ელჩისათვის, ომი უკვე დაიწყო და არ არსებობს ისეთი ძალა, რომელსაც შეუძლია შეაჩეროს გერმანელთა ჯარების ზვავი, — რიბენტროპს ბედნიერებას ანიჭებდა, წინასწარ ტკბებოდა იმ როლით, რომელიც ისტორიის სცენაზე უნდა შეესრულებინა.

და მაინც... ამ სიხარულის, სიამაყისა და ღვარძლიანობის გრძნობას ერწყმოდა სავსებით სხვა რამეც: შიში.

შიში განა მარტო რიბენტროპს ახასიათებდა. ნაცისტური პარტიისა და სამხედრო თავკაცთაგან მომავლის წინაშე შიშს ბევრი განიცდიდა. რიბენტროპის მსგავსად,

ეს ადამიანები ერეკებოდნენ ამ გრძნობას, ახშობდნენ მას წარსულ გამარჯვებათა მოგონებებით, გერმანელთა არმიის უძლეველობაზე, გერმანიის ისტორიულ მისიაზე ფიქრებით. მაგრამ მათ ცნობიერებაში შიში არასოდეს არ ქრებოდა საბოლოოდ. ეს იყო შიში მოთამაშისა, რომელიც უზარმაზარ ფსონს ჩადის. და თუმცა მოთამაშემ იცის, რომ მისი ბანქო დანიშნულია და ამიტომ დარწმუნებულია მოგებაში, წაგების მაინც ეშინია.

ეშინია, რადგან ფსონი უზარმაზარია, რადგან იგი მოიცავს არა მარტო ყველაფერს, რასაც ფლობს მოთამაშე, არამედ თვით მის სიცოცხლესაც. ბანქომ ხომ მაინც შეიძლება. კაცს უმტყუნოს, ხომ ყოველთვის არის წაგების სულ რაღაც მცირეოდენი შესაძლებლობა და მაშინ განკითხვის ჟამი გარდაუვალია.

სწორედ შიშის ეს ჯერ კიდევ ბუნდოვანი, შეუცნობელი გრძნობა ხელს უშლიდა ახლა რიბენტროპს სრულიად დამტკბარიყო იმ როლით, რომელიც უნდა შეესრულებინა. იგი იცილებდა ამ გრძნობას და ისევ და ისევ იმეორებდა გუნებაში ფიურერის სიტყვებს, რომ რუსეთს სულ რამდენიმე კვირაში მოეღება ბოლო. მეხსიერებაში აცოცხლებდა ვარშავის ნანგრევებს, ავსტრიის, ჩეხოსლოვაკიის, ბელგიის ქუჩებს, რომლებიც სავსე იყო მარშით მავალ გერმანელთა ჯარებით, პარიზის ეიფელის კოშკს, უზარმაზარი ნაცისტური დროშით დაგვირგვინებულს... და მაინც სევდის მგვრელი შფოთის გრძნობა არ შორდებოდა.

რიბენტროპმა სამინისტროში დარეკა. მდივანმა მოახსენა, რომ საბჭოთა საელჩოდან კვლავ დაჟინებით ცდილობენ მიაღწიონ ბატონ მინისტრთან შეხვედრას...

რიბენტროპმა დაადასტურა წინანდელი ინსტრუქცია: იგი არ არის ქალაქში, არ ვიცით, სად იმყოფება. ხელმძღვანელთა შემადგენლობა და თავმჯდომარეები სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ არ დაიშალონ. არავითარი დათხოვნა. არავითარი საშაბათო გასვლა ქალაქგარეთ. ადგილზე უნდა იყვნენ მთელი საღამო. მთელი ღამე...

მან ყურმილი ჩამოკიდა და ისევ ფიქრებში ჩაიძირა. შეეცადა წარმოედგინა ხვალინდელი ბერლინის ქუჩები: გაზეთის გამყიდველთა ყვირილი, მოზეიმე ადამიანთა ბრბოები, საბჭოთა საელჩოს შენობა უნტერ-დენ-ლინდენზე — პირველი დაპყრობილი საბჭოთა ტერიტორია...

დილის სამი საათისათვის საბჭოთა საელჩოში ტელეფონმა დარეკა. საგარეო საქმეთა სამინისტროს მოხელემ

მშრალად და მოკლედ გადმოსცა, შეეტყობინებინათ ელჩისათვის, რომ ბატონი რიბენტროპი სთხოვს სასწრაფოდ მივიდეს მასთან.

...რიბენტროპმა კი ამ დროს თავის სამსახურის კაბინეტში უკვე მრავალჯერ გაიარა იმის რეპეტიცია, რაც დანიშნულ საათს უნდა მომხდარიყო. ჯდებოდა მაგიდასთან დიდებული და პირქუში, მის გაპრიალებულ ზედაპირზე ორივე ხელის დაყრდნობით ნელ-ნელა დგებოდა, თან წარმოიდგენდა, როგორ შემოდის საბჭოთა ელჩი ფართოდ გაღებულ კარში. ქედმაღლურად, ხელის ჩამოურთმევლად, თავის დაქნევით შესთავაზებდა ელჩს დამჯდარიყო და თვითონ პირველი ჩაეშვებოდა სავარძელში. ისევ და ისევ იმეორებდა სიტყვებს, რომლებიც ელჩს უნდა მოესმინა. ბოლოს ისევ დგებოდა, რომ უკვე სრული ფორმით გადაეცა საჭოთა წარმომადგენლისათვის ოფიციალური მემორანდუმი — ასლი იმ დოკუმენტისა, რომელსაც სწორედ იმავე დროს შულენბურგი გადასცემდა მოლოტოვს მოსკოვში.

ამრიგად, თითქოს ყველაფერი წინასწარ მოფიქრებული და შესწავლილი იყო. რიბენტროპს მომავალი ცერემონიის მსვლელობისათვის წუხილის საფუძველი არ გააჩნდა. როლს რომლისთვისაც იგი გუშინდელი დღიდან, — არა, მთელი უკანასკნელი წლების მანძილზე! — ემზადებოდა, ბრწყინვალედ შეასრულებს. და მაინც, როცა დიდი დასადგმელი საათის ისრები სამს მიუახლოვდა, რიბენტროპმა კვლავ განიცადა ის გულისამრევი მწიწკნავი გრძნობა, რომელსაც შიში ეწოდება.

არა, იმისი როდი ეშინოდა, რომ შეიძლება შეეშალოს, დაიბნეს და ცერემონია წახდეს. იგი სხვა რამეზე ფიქრობდა. ეს ხომ სწორედ მას მოელის გახდეს ის ადამიანი, რომელიც ფორმალურად გამოუცხადებს ომს რუსეთს!.. და ამას მსოფლიო არასოდეს არ დაივიწყებს. უკვე არასოდეს და არავითარ პირობებში რიბენტროპი ვერ მოახერხებს უარყოს, რომ სწორედ იგი იყო ეს ადამიანი...

მთელ უკანასკნელ თვეებში იგი ნატვრით ელოდებოდა ამ ისტორიულ მომენტს. მხურვალედ უჭერდა მხარს ფიურერის ყველა გეგმას, რომელიც რუსეთთან მომავალ ომს ეხებოდა. აი, ახლაც, რომ შეიძლებოდეს აქ, კაბინეტში ყოველგვარი მოწმის გარეშე ღილაკზე ხელის დაჭერა და მთელი იმ სახელმწიფოს თავისი ხალხიანად, ქალაქებიანად, სოფლებიანად აფეთქება, რიბენტროპი ამას უდიდე-

სი სიამოვნებით გააკეთებდა და ოდნავ არ დაჰქეჯნიდა სინდისი.

სინდისის ქენჯნას რიბენტროპი არც ახლა განიცდიდა. მაგრამ სულ უფრო და უფრო ეუფლებოდა ქვეცნობიერი შიში იმისა, რომ შესაძლოა დადგეს სხვა ჟამი და მოუხდეს პასუხის გება.

გაივლის წლები და თარჯიმანი შმიდტი, რომელიც აკვირდებოდა რიბენტროპს საბჭოთა ელჩის გამოჩენის წინა წუთებში, დაწერს, რომ არასოდეს არ უნახავს თავისი შეფი ესოდენ აღელვებული, გალიაში მოხვედრილი მხეცივით უზარმაზარ კაბინეტში წინ და უკან მორბენალი...

საბჭოთა ელჩი სულაც ვერ მიხვედრილიყო ღამით გამოძახების მიზეზს იგი, დარწმუნებული, რომ ამის საბაბი მისი პირადი დაჟინებითი თხოვნა იყო, რიბენტროპის კაბინეტში ზუსტად სამ საათსა და ოცდაათ წუთზე გამოჩნდა.

მისალმებისას მან ხელი გაუწოდა მინისტრს, რომელიც მაგიდასთან იჯდა და წამოდგა. ეს რიბენტროპს არ გაუთვალისწინებია და გააკეთა რამდენიმე გაუბედავი, ნერვიული მოძრაობა, ხელის ხან ოდნავ აწევითა და ხან დაწევით, სანამ გადაწყვეტდა ელჩისათვის სწრაფად ჩამოერთმია ხელი. შემდეგ ქედმაღლური თავის დაქნევით ელჩს ანიშნა დამჯდარიყო და თვითონ პირველი ჩაეშვა სავარძელში. თუმცა რიბენტროპმა მრავალჯერ გაიარა იმის რეპეტიცია, რაც ახლა უნდა მომხდარიყო, ისე ძლიერ ღელავდა, რომ პირველ წამებში ერთი სიტყვაც ვერ წარმოთქვა.

ელჩმა რიბენტროპის სიჩუმე თავისებურად ახსნა. მან გაიფიქრა, რომ მინისტრი უბრალოდ ელოდება, რომ გააცნონ მას ის საქმე, რის გულისთვისაც ასე დაჟინებით ცდილობდნენ მასთან შეხვედრას, და პირველმა დაიწყო ლაპარაკი.

მან განაცხადა, რომ აქვს რიგი შეკითხვები, რომლებსაც სჭირდებათ დაუყოვნებლივი განმარტება და რომ საბჭოთა მთავრობა დაჟინებით მოითხოვს, რომ...

მაგრამ ამ მომენტში რიბენტროპმა შეაწყვეტინა ელჩს. ხმამაღლა, წივილით, თითქოს თავისი შინაგანი ხმის ჩახშობა სურსო, თქვა, იმას, რის შესახებაც ელჩი ლაპარაკს აპირებს, ახლა არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ახლა სულ სხვა რამეზე იქნება საუბარი... და დაიწყო მაგიდა-

ზე მდებარე საგნების შფოთიანად გადაადგილება და სიტყვების კორიანტელი დააყენა.

მოულოდნელობისა და განცვიფრებისაგან გაოგნებულ ელჩს იგი უყვიროდა, რომ გერმანია ჩასწვდა ვერაგი საბჭოთა კავშირის საიდუმლო ზრახვებს, რომ ფიურერმა უტყუარი წყაროებიდან შეიტყო რუსეთის მზადების შესახებ გერმანიაზე თავდასასხმელად და იძულებული გახდა მიეღო ქმედითი კონტრზომები... შემდეგ რიბენტროპს სუნთქვა შეეკრა, პაუზა გააკეთა და ზეიმით განაცხადა: გერმანელთა ჯარებმა იერიში მიიტანეს საბჭოთა კავშირის საზღვარზე...

საბაბის გარეშე, რაიმე გაფრთხილების გარეშე ომის გამოცხადების თვით ფაქტი თავისთავად საკმარისი იყო, რომ ელჩი გაშტერებულიყო.

არანაკლებ განაცვიფრა იგი რიბენტროპის ურცხვმა, აღმაშფოთებელმა სიცრუემ საბჭოთა კავშირის „საიდუმლო ზრახვებისა" და „კონტრზომების" შესახებ.

რიბენტროპი, როგორც იქნა, გაჩუმდა. წამოდგა, მაგიდიდან აიღო წინასწარ დაბეჭდილი მემორანდუმი და თეატრალური ჟესტით გადასცა იგი ელჩს.

ელჩიც წამოდგა, არც კი წაუკითხავს, ისე დაკეცა ოთხად ქაღალდი და ჩაიდო პიჯაკის ჯიბეში.

დუმილი რამდენიმე წამს გრძელდებოდა. რიბენტროპის მძიმე სუნთქვა ისმოდა. ცხვირის წვერზე მას ოფლის დიდი წვეთი ეკიდა.

და ბოლოს ელჩმა თავშეკავებით, ცივად და გარეგნული სიმშვიდით სინანული გამოთქვა იმ ამბების გამო, რაზეც მთლიანად და სრულად პასუხისმგებლობა გერმანიას ეკისრება. „რა თავხედური აგრესიაა! თქვენ ინანებთ ამას..." — უთხრა ელჩმა. თავისი უკანასკნელი სიტყვების წარმოთქმისას იგი რიბენტროპს პირდაპირ თვალებში უცქეროდა. შემდეგ ოდნავ დაუქნია თავი, შებრუნდა და ნელა გაემართა კარისკენ.

მაგრამ ელჩის სწორედ ამ უკანასკნელმა სიტყვებმა გამოიწვია რიბენტროპში ის ნაცნობი გრძნობის მოზღვავება, რომელსაც იგი ასე დიდხანს და ამაოდ ებრძოდა. მან ნერვიულად შეარხია მხრები, როგორც ეს ჰიტლერმა იცოდა. თარჯიმანისთვის მოულოდნელად იგი თითქმის სირბილით გამოუდგა ელჩს, გვერდით გაჰყვა და დროდადრო პიჯაკის სახელოზე ხელით ეხებოდა, ეტყობოდა, რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ სიტყვებს ვერ პოულობდა.

ასე მივიდნენ ისინი კარებამდე. რიბენტროპი ხან ჩამორჩებოდა, ხან წინ უსწრებდა ელჩს.

და უცებ ზედ კართან მისვლისას რიბენტროპმა კვლავ შეაკავა ელჩი სახელოთი და ძლივს გასაგონად, არეულად და სხაპასხუპით უთხრა:

— აუწყეთ იქ... მოსკოვში... მე... არ მინდოდა ეს... მე... მინდოდა დამეჯერებინა ფიურერი, მაგრამ...

უკანასკნელი სიტყვები მან ცარიელ სივრცეში წარმოთქვა, ვინაიდან ელჩი უკან მოუხედავად და ნაბიჯის შეუნელებლად თავისი თარჯიმნის თანხლებით უკვე გასული იყო კაბინეტიდან.

რიბენტროპი ერთხანს დაბნეული ტოკავდა ზღურბლთან. მერე მოტრიალდა და მაგიდისაკენ გაემართა. გზად საათს შეხედა, ოთხს აკლდა ოცი წუთი. ომის დაწყებიდან უკვე საათი და ორმოცი წუთი გასულიყო. და ქვეყნად არ არსებობდა ისეთი ძალა, რომელიც შეძლებდა მის შეჩერებას.

...რიბენტროპმა შეხედა კედელთან აქამდე ისევ ისე უხმოდ მდგარ შმიდტს, ჩაიცინა და თქვა:

— გადაწყდა ბედი!

მინისტრს ეგონა, რომ თარჯიმანი პასუხად რამეს ეტყოდა, მაგრამ იგი დუმდა.

— გადაეცით, რომ ათი წუთის შემდეგ ჩემთან შეიკრიბოს სამინისტროს ხელმძღვანელი შემადგენლობა, — გაღიზიანებით უბრძანა რიბენტროპმა, როცა შმიდტმა თავი დაუკრა და კარისკენ გაემართა, მიაძახა: — არა, ოცი წუთის შემდეგ!

...მას სჭირდებოდა ეს ოცი წუთი, რათა გონს მოსულიყო, დამშვიდებულიყო. ასე აფორიაქებული დაეძებს მკვლელი თავისი მსხვერპლისათვის ზურგში დანის ჩაცემის შემდეგ წყნარ და მოფარებულ ადგილს სულის მოსათქმელად, ხელების სისხლის ჩამოსარეცხად, თავის დასამშვიდებლად, რომ მას არაფერი არ ემუქრება.

რიბენტროპმა მაგიდის ერთ-ერთი უჯრა გამოაღო და პატარა, ოვალური ვერცხლის ჩარჩოში ჩასმული სარკე ამოიღო. ეს სარკე მუდამ ხელთან ახლოს ჰქონდა, რათა საჭირო მომენტში დარწმუნებულიყო, რომ სრულ ფორმაში იმყოფებოდა. რიბენტროპი იყო უხეში, თავისნათქვამა და ამავე დროს კეკლუცი. თავი გერმანიაში ულამაზეს კაცად მიაჩნდა. საბაზანო ოთახის თაროებზე გამწკრივებული ჰქონდა სუნამოსა და ოდეკოლონის ფლაკო-

ნები, ათასგვარი კრემიანი ქილები. მუდამ იმის ცდაში იყო გადასლექილი, ბრილიანწასმული თმა ყოველთვის უზადოდ გაყოფილი ჰქონოდა, ხოლო პირის კანი კი სუფთა და ნაზი.

ამჯერად კი რიბენტროპმა სარკეში რომ ჩაიხედა, დაინახა, სახე ოფლის წვეთებით დაფარვოდა და სველი თმები შუბლზე მიწებებოდა. მან სწრაფად ჩადო სარკე ისევ უჯრაში. კაბინეტის გვერდით მდებარე დასასვენებელ ოთახში გავიდა და აჩქარებით შეუდგა თავისი თავის წესრიგში მოყვანას.

როცა რიბენტროპი ისევ კაბინეტში შემოვიდა, დანიშნულ თათბირამდე კიდევ ათი წუთი იყო დარჩენილი.

მან ელექტროშუქი ჩააქრო და ფარდები გასწია. უკვე თენდებოდა. ფანჯარა გააღო. რამდენიმე წამს დაჟინებით უყურებდა უკაცრიელ ქუჩას. „რა თქმა უნდა, — გაიფიქრა მან, — ხალხმა ჯერ კიდევ არაფერი არ იცის. რადიოთი გადაცემამდე და დილის გაზეთების გამოსვლამდე ორი საათი დარჩა“...

დღის სინათლემ რიბენტროპი დაამშვიდა. იწყებოდა წყნარი, უღრუბლო მზიანი დილა. გულში შეღწეული შიშის გრძნობა თანდათან უნელდებოდა. იგი გადავიდა მეორე ფანჯარასთან, რომელიც პარკში გადიოდა. ისევე, როგორც ვილჰელმშტრასეზე მდებარე შენობა, ესეც ისტორიული პარკი იყო. ოდესღაც ამ პარკში დასეირნობდა ხოლმე გერმანიის მომავალზე ფიქრებით გართული თავადი ბისმარკი. ამ კაცს გერმანია-რუსეთის კავშირი თავისი საგარეო პოლიტიკის უდიდეს მიღწევად მიაჩნდა... რიბენტროპს გაახსენდა, თუ როგორ დაიმოწმა ბისმარკი, ორი წლის წინათ ამავე კაბინეტში, როცა თავის უახლოეს თანამშრომლებს გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის ახლახან დადებული პაქტის შესახებ ინფორმაცია მისცა. მაშინ რიბენტროპი ამავე ფანჯარასთან იდგა და ხელის გაშვერით თქვა: „ამ პარკის განსვენებულ პატრონს რომ ახლა ჩვენი ნათქვამის მოსმენა შეეძლოს, მისი პირველი სიტყვები მოწონების სიტყვები იქნებოდა“. ამ გამოსვლაში მან საერთოდ არაერთხელ დაიმოწმა ბისმარკი... „სისულელეა!“ — შეწყვიტა ფიქრი რიბენტროპმა და ფანჯარას მოშორდა. „ახლა მეცხრამეტე საუკუნე კი არ არის. ბოლშევიკურ რუსეთს არაფერი აქვს საერთო იმასთან, მეფის რუსეთთან. ფიურერი კი ბისმარკზე უფრო მაღლა დგას. უფრო მაღლა, უფრო მაღლა!“

მას სიამოვნებას ჰგვრიდა ამ სიტყვების გუნებაში გაჭეორება. და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ამშვიდებდნენ მას, უმტკიცებდნენ დაწყებული კამპანიის წარმატების რწმენას. იყო სხვა მიზეზიც. ყოველთვის, როცა რიბენტროპი ბისმარკის სახეს წარმოიდგენდა, აღტაცებისა და არაკეთილგანწყობილების შერეულ გრძნობას განიცდიდა. იგი ამაყობდა იმით, რომ ხელმძღვანელობდა გერმანიის საგარეო პოლიტიკას, რომელიც ოდესღაც თვით „რკინის კანცლერის" პრეროგატივას წარმოადგენდა. და იმავე დროს რიბენტროპმა იცოდა, რომ ეს გულხეადი და უფლებამოსილი არისტოკრატი, ქედმაღალი სნობი რიბენტროპს, უგვარტომო კაცს, თავისი კაბინეტის ზღურბლთანაც კი არ მიუშვებდა.

...გადიოდა წუთები და მის გუნებაში გადამწყვეტი გარდატეხა ხდებოდა. არა, მას არ ჰქონდა მღელვარების ძიზეზები. გერმანელთა არმია უძლეველია. ხოლო გამარჯვებულებს არ ასამართლებენ. ისინი თვით ასამართლებენ...

და მაინც, მსგავსად მკვლელისა, რომელიც ჩადენილი ბორტმოქმედების შემდეგ პირველ წამებში შიშით კანკალებს იმაზე ფიქრით, ვაითუ შემნიშნესო, ხოლო როცა დარწმუნდება, საფრთხე არ მომელისო, მშვიდდება, რიბენტროპმაც ბოლოს საესებით დაიმორჩილა თავი და როცა გამოძახებული მოხელეები კაბინეტში შემოვიდნენ დაინახეს წინანდელი, მათთვის კარგად ცნობილი რიბენტროპი, სალუქი, თავის თავში დარწმუნებული, ქედმაღალი...

ნელა, ზეიმით აუწყა მან შეკრებილთ რუსეთთან ომის დაწყება. შემდეგ ხმის დაწევით, საიდუმლოდ დაუმატა: ფიურერმა მიიღო ინფორმაცია, რომ სტალინი დიდ ძალღონეს ახმარდა წითელი არმიის განმტკიცებასა და მისი ძლიერების ზრდას, რათა შესაფერის მომენტში თავს დასხმოდა გერმანიასო. მაგრამ ფიურერმა გამოიცნო და ჩაშალა ბოლშევიკთა განზრახვები. მას არ შეეძლო დაეშვა, რომ გერმანიის კეთილდღეობა ბეწვზე ყოფილიყო დაკიდებული. მან პირველმა დაარტყა. ახლა ჩვენი ზურგი სტალინის კეთილგანწყობილებაზე არ იქნება დამოკიდებული. ჩვენი მომავალი ჩვენს ხელთ არის. ჰაილ ჰიტლერ!

მან მოწყალედ დართო ნება მიეცათ მისთვის შეკითხვები. მას ჰკითხეს: როგორი პროგნოზებია ომის ხანგრძლიობის შესახებ? რიბენტროპმა მოკლედ და გარკვევით უპასუხა: მაქსიმუმი რვა კვირა. მეტი არა? არავითარ შემ-

თხვევაში. ასე თქვა ფიურერმა! მაინც ხომ ორ ფრონტზე იქნება ომი? ეს არაფერია! ორი თვის განმავლობაში შეეძლებთ, თუკი ეს აუცილებელი იქნება, ორ ფრონტზეც ვიომოთ, მაშასადამე ჩვენი საგარეო პოლიტიკა მთლიანად იცვლება...

ეს უკანასკნელი შეკითხვა მისცა ვინმე რიხტერმა. საგარეო საქმეთა მინისტროს ერთ-ერთმა უხუცესმა მოხელემ. იგი იყო ერთ-ერთი იმ მეტად მცირერიცხოვან მოხელეთაგან, რომლებიც ნაირატის მოხსნისა და პირადი შემადგენლობის წმენდის შემდეგ შემორჩენოდნენ სამსახურს. მაშინ რიხტერი დაინდეს, გულმოწყალებით კი არა, უბრალოდ ეს ბებრუხუნა, რომელმაც სამინისტროში ორმოცამდე წელიწადი იმსახურა, გერმანიის საგარეო პოლიტიკის ცოცხალ ენციკლოპედიად ითვლებოდა. მისი მეხსიერება ინახავდა ფაქტებსა და მოვლენებს, რომელთაც ვერ აღადგენდნენ ვერავითარი საარქივო დოკუმენტებით. იგი სასარგებლო კაცად ითვლებოდა.

მაგრამ ახლა, რიხტერის შეკითხვის გაგონებაზე, რიბენტროპმა დაუფარავი ბრაზით შეხედა მას. უეჭველია, ამ ბებრუხუნას მექანიკურმა მეხსიერებამ სიტყვასიტყვით ჩაიწერა ის, რაც თქვა რიბენტროპმა მაშინ, ოცდაცხრამეტი წლის აგვისტოში, გერმანია-საბჭოთა კავშირის პაქტის დადებისას. აი, ეს სიტყვებიც: „რუსეთთან ჩვენი ხელშეკრულება საშუალებას გვაძლევს შიში არ ვიქონიოთ გერმანიის ზურგისათვის და ლიკვიდაციას უკეთებს საფრთხეს ორ ფრონტზე ომისა, რომელმაც ჩვენი ქვეყანა ერთხელ უკვე მიიყვანა კატასტროფამდე. დადებული კავშირი ჩემი საგარეო პოლიტიკის უდიდეს მიღწევად ჩამაჩნია...“

დიახ, სწორედ ასე განაცხადა რიბენტროპმა ორი წლის წინათ... მაშ, რის თქმა უნდა ამ ნაირატის ლაქიას, რომლის ტვინი ძველმოდური ლიბერალური დიპლომატიის ასმანაკში გახლართულა? იმის ხომ არა, რომ არსებული საერთაშორისო ტრადიციების მიხედვით შექმნილ სიტუაციაში აუცილებელია იგი, რიბენტროპი, სამსახურიდან გადადგეს?

მან რიხტერის შეკითხვას მოკლედ, მაგრამ ღვარძლიანად უპასუხა, გერმანიის მომავალი ფიურერის ხელშია. იმათ, ვისაც ამაში ეჭვი ეპარებათ, ჩვენ რკინის მუშტით გავუსწორდებით.

ეს იყო და ეს. რიბენტროპმა დახურა თათბირი. რო-

დესაც ყველა დაიშალა სამინისტროს პირადი შემადგენლობის უფროსი დაიბარა და უთხრა, რომ ახალი, გადამწყვეტი ომის პირობებში, მაქსიმალური სიფხიზლე უნდა იქნეს გამოჩენილი. ყველა, ვინც თუნდაც მცირეოდენ ეჭვს იწვევს თავის ლოიალობაში ფიურერისა და დიადი გერმანიისადმი, გაძევებულ უნდა იქნენ დაუყოვნებლივ. მაგალითად, ეგ, რიხტერი... არა, არა, არავითარი პენსია. გერმანია ვერ დაუშვებს, მისი ფული წვრილმან რამეებზე იფლანგებოდეს იმ დროს, როცა ყოველი მარკა საჭიროა ომის საწარმოებლად. ეს იქნებოდა ღალატის თანაბარი...

ცხრა საათი რომ დაიწყო, რიბენტროპმა დატოვა სამინისტრო, შოფერს უბრძანა ნელი სვლით ევლო ბერლინის ქუჩებში. ახლა ხომ ორ საათზე მეტი იყო გასული მას შემდეგ, რაც რადიომ გერმანელ ხალხს გამოუცხადა გერმანიის ისტორიაში მომხდარი უდიდესი მოვლენის შესახებ...

თუმცა მის ყურამდე აღწევდა დილის გაზეთების გამყიდველთა წამოძახილები: „— ომი რუსეთთან!" „ფიურერმა გადადგა გადამწყვეტი ნაბიჯი!" — მაგრამ მას ბერლინის ქუჩებში არ შეუმჩნეია არც გამოცოცხლება, არც ზეიმი. პირიქით — რაღაცნაირი სიჩუმე და გულის დამამძიმებელი ატმოსფერო იგრძნობოდა. ადამიანები თავჩაქინდრულად მიდიოდნენ. რიბენტროპმა სარკმლის მინა ჩასწია და ისე დაჯდა, რომ გამვლელებს დაენახათ და ეცნოთ. გზაჯვარედინებზე მდგომი მოიერიშენი ხელის სწრაფი აქნევით ესალმებოდნენ რიბენტროპს. ფეხარევით მიმავალმა სახეშეღებილმა შეზარხოშებულმა მეძავმა ქალმა ნაცისტური სალუტი მისცა თუ ჰაეროვანი კოცნა გამოუგზავნა, ხმამაღლა ხრინწიანად დაიყვირა: „ჰაილ ჰიტლერ!" მაგრამ ამ დილაადრიან ქარხნებისაკენ მიმავალი მუშები და მოსამსახურენი კი თითქოს არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ არც რიბენტროპის უზარმაზარ შავ მანქანას, არც თვით მას.

მან გაიხსენა 1939 წლის აგვისტოს დღე, როცა რადიომ გერმანია-საბჭოთა კავშირის პაქტის დადების შესახებ გამოაცხადა. გესტაპოს ცხობებიდან შეიძლებოდა იმ დასკვნის გამოტანა, რომ ხალხმა შვებით ამოისუნთქა. მომდევნო ცნობებშიც არაიშვიათად მოჰყავდათ გამონათქვამები, რომლებშიც არსებითად, ერთი აზრი გამოიხატებოდა: „ფიურერი სწორად მოიქცა, მოსკოვთან ხელშეკრულება რომ დადო. ან რატომ უნდა ვიომოთ საბჭოებ-

თან? განა უკეთესი არ არის მივიღოთ მათგან ხელშეკრულებით საჭირო სურსათი დაზგებზე და მანქანებზე გაცვლით? იქნებ ახლა უფრო გაადვილდეს ცხოვრება...“

„არაფერია, — თქვა გულში რიბენტროპმა, — მალე ყველაფერი გამოიცვლება! გერმანელები მალე გაიხარებენ, როგორც კი გაიგებენ აღმოსავლეთის ფრონტიდან მიღებულ პირველ გამარჯვებათა ცნობებს, როგორც კი გერმანიისაკენ დაიძრება რუსული კარაქითა და ღორის ლორით დატვირთული მატარებლები და ავტომანქანები...“

მან უბრძანა ზოფერს უნტერ-დენ-ლინდენით გაევლო. კაბინის სარკმელი გამოაღო და შუა ადგილისკენ გაიწია, როცა მანქანა საბჭოთა საელჩოს შენობას უახლოვდებოდა, უცბად მუშტები შეკუმშა. დაინახა საელჩოს შენობაზე. აფრიალებული ალამი, — უზარმაზარი წითელი ბაირაღი ნამგლისა და ჩაქუჩის გამოსახულებით.

„რა თავხედობაა! ასეთ მომენტში...“ ღვარძლიანი კმაყოფილების გრძნობით შეამჩნია მან, რომ საელჩოს ფანჯრები ყრუდ იყო ფარდამიფარებული, თვით შენობას კი გარს ერტყა პოლიცია. მოპირდაპირე სახლთან იდგა რამდენიმე ესესელი, მოტოციკლები კიდელზე მიეყუდებინათ... „დასანანია, რომ ამ სურათის დანახვა არ შეუძლია ფიურერს, — გაიფიქრა რიბენტროპმა. — საბჭოთა კავშირი შეიარაღებული გერმანელების ალყაში. სიმბოლოა“...

დიახ, ჰიტლერს არ შეეძლო ამ სურათის დანახვა, თუმცა, იგი უეჭველად გაახარებდა.

ამ დროს იგი ბერლინიდან შორს იმყოფებოდა. საერთოდ უკანასკნელ ხანს როგორც დედაქალაქში, ისე თავის საყვარელ ბერგჰოფში ჰიტლერი მხოლოდ ცოტა ხნით თუ შეიცლიდა ხოლმე. პოლონეთზე თავდასხმის დროს მისი შტაბ-ბინა მოთავსებული იყო სპეციალურ მატარებელში, რომელიც კოგოლინის მახლობლად იდგა. რამდენადმე მოგვიანებით იგი გადაბარგდა სასტუმრო სოპოტაში.

დასავლეთის კამპანიის დაწყებისას მან თავისი ბანაკი გადაიტანა ბუნკერში ბად ნაუჰაიმის ახლოს. მოგვიანებით კი იგი აღმოსავლეთ პრუსიაში, რასტენბურგის მახლობლად ტყეში დამკვიდრდა.

თავის ამ ბანაკს ჰიტლერმა „მგლის ბუნაგი“ უწოდა... საერთოდ მგლისადმი ფიურერი განსაკუთრებული სიმპათიით იყო გამსჭვალული. მგელი მის საყვარელ პოეტურ

სახეს წარმოადგენდა. მის ნაგაზს ბლონდის ძნელად თუ გაარჩევდით მგლისაგან. ზოგჯერ მისტიკური ფიქრებით შეპყრობილი ჰიტლერი თავის თავსაც მგლის სახედ წარმოიდგენდა — ძლიერ, მტაცებელ, ვერაგ, მუდამ მშიერ, მსხვერპლს მოწყურებულ მხეცად, ბნელ ტევრთა ბინადრად...

...იმ დროს, როცა რიბენტროპი გალიაში მოხვედრილი მხეცივით წრიალებდა თავის სამინისტროს კაბინეტში, ჰიტლერმა უკვე გასცა ყველა საჭირო ბრძანება რამდენიმე საათის შემდეგ მთელ გერმანია-საბჭოთა კავშირის საზღვარზე შეტევის დაწყების შესახებ. მან ის-ის იყო დაამთავრა უკანასკნელი მოლაპარაკება გენერლებთან, რომლებიც სათავეში ედგნენ არმიის ჯგუფებს „ჩრდილოეთი", „ცენტრი" და „სამხრეთი". ახლა იჯდა ყოველ მხრიდან ულრანი ტყით დაფარულ თავის „ბუნაგში" და მუსოლინისადმი წერილს უკარნახებდა.

ჰიტლერისათვის ეს ადვილი საქმე არ იყო. იგი მთლიანად არავის არ ენდობოდა, მათ შორის მუსოლინსაც.

ამიტომ ჰიტლერი უკანასკნელ მომენტამდე უმალავდა თავის მთავარ მოკავშირეს საბჭოთა კავშირზე თავდასხმის თარიღს და მხოლოდ ოცდაერთ ივნისს, საღამოს თერთმეტ საათზე შეუდგა იტალიელ დუჩესადმი გასაგზავნი ბარათის კარნახს. მისთვის არაერთხელ უწოდებია საჯაროდ თავისი მასწავლებელი და ერთგული მეგობარი.

ეს იყო საინტერესო დოკუმენტი, რომელიც ჰიტლერის ხასიათის ერთ მხარეს ცხადჰყოფდა. მის ფურცლებზე უბრალოდ მატყუარა კი არა, შთაგონებული მატყუარა იყო წარმოსახული. ერთი შეხედვით, თითქოს უაზრობა იყო ჰიტლერს მოეტყუებინა მუსოლინი: კაცი, რომელმაც ჩინებულად იცოდა ფიურერის ჭეშმარიტი ზრახვები და მისი ყველა წამაქეზებელი მოტივი? იტალიელი დიქტატორი არანაკლებ სისხლისმსმელი და ძალაუფლებისმოყვარული იყო, ვიდრე გერმანელი დიქტატორი. უბრალოდ, დუჩეს შესაძლებლობანი უფრო შემოფარგლული იყო, ვიდრე ფიურერისა. მათ შორის ხანდახან ამოტივტივდებოდა ხოლმე მტაცებელ მხეცთა შორის გარდაუვალი ზოგიერთი წინააღმდეგობა. მაგრამ ჰიტლერის ძირითადი გეგმები — საბჭოთა კავშირზე თავდასხმა, ცხადია, ამ გეგმებში შედიოდა — მუსოლინიმ იცოდა და მოსწონდა კიდეც.

და მაინც ჰიტლერმა, დარწმუნებულმა, რომ ამჯერა-

დაც შეძლებს მსოფლიოს მოტყუებას, გამონაკლისი არც მუსოლინის მიმართ გააკეთა, თუმცა ამას არავითარი საჭიროება არ მოითხოვდა. იქნებ მას მაინც ეშინოდა ისტორიის განაჩენისა და ახლა ცდილობდა არა მარტო თანამედროვეთა, არამედ შთამომავალთა მოტყუებასაც?..

ჰიტლერი თავისი მიწისქვეშა შტაბის ფართო კაბინეტში ბოლთას სცემდა და უკარნახებდა:

— „დუჩე! მე გწერთ ამ წერილს თქვენ იმ მომენტში, როცა მტანჯველი ფიქრებისა და ნერვიული დაძაბულობის თვეები დამთავრდა ერთ-ერთი ყველაზე დიადი გადაწყვეტილებით, როგორიც კი ჩემს სიცოცხლეში ოდესმე მიმიღია“...

იგი ვრცლად და მაღალფარდოვნად გადმოსცემდა მიზეზებს, რომლებმაც აიძულეს იგი მიეღო ეს გადაწყვეტილება. ო, არა, სისასტიკე და მსოფლიო მბრძანებლობის წყურვილი კი არ ამოძრავებდა მას, არამედ მოვლენათა ულმობელი ლოგიკა. ახლა, როცა საფრანგეთი დამხობილია, ინგლისი კი სულს ღაფავს, მთელი მისი წინააღმდეგობა, ყველა იმედი დაკავშირებულია რუსეთთან. რუსეთის დაპყრობა ავტომატურად ნიშნავს ინგლისის დაცემას. სანამ არსებობს რუსეთი, ინგლისი წინააღმდეგობას გასწევს... ინგლისელებს ყოველთვის უნდოდათ, რომ ომი დაწყებულიყო სწორედ იქ, აღმოსავლეთში, — განაგრძობდა კარნახს ჰიტლერი, მაგრამ წინათ ეს მათთვის ხელსაყრელი იქნებოდა. ახლა ეს ომი მათ დაღუპვას ნიშნავს...

იგი შესჩიოდა მუსოლინის, რომ აქამდე არასოდეს არ ჰქონდა საშუალება ინგლისზე დარტყმისათვის მოეგროვებინა მთელი თავისი ძალები, რადგან სახმელეთო ჯარებისა და საჰაერო ფლოტის ძირითადი ნაწილი აღმოსავლეთში უნდა ჰყოლოდა, მაგრამ ახლა, რუსეთს რომ გავუსწორდები...

შემდეგ ჰიტლერმა დაიწყო გეგმების გადმოცემა, რომლებიც ეხებოდა რუსეთის სწრაფად დამარცხებას, პოზიციას საფრანგეთის მიმართ, შეხედულებებს ჩრდილოეთ აფრიკის, ესპანეთის, ეგვიპტის მომავალი ბედის შესახებ... გააკეთა პაუზა, დააფიქრა თავში უეცრად მოსულმა აზრმა, რომელიც ამ წერილზე მუსოლინის შესაძლებელ რეაქციასთან იყო დაკავშირებული. შემდეგ აჩქარებით უკარნახა:

— „ვუბრუნდები რა რუსეთთან ომის საკითხს, მინდა გითხრათ, რომ ამ კამპანიას ჩვენს თავზე ვღებულობთ,

თქვენ არ დაგჭირდებათ ჩვენს აღმოსავლეთ ფრონტზე იტალიელთა ჯარების გაგზავნა“...

მან ისევ პაუზა გააკეთა. წარმოიდგინა მუსოლინი წერილის კითხვის დროს. საეჭვოა მას მოეწონოს ეს უკანასკნელი სტრიქონები. ასეა, ყველას თავისი უნდა მიეზღოს. რუსულ ღვეზელს გერმანია თვითონ შეექცევა. რაც შეეხება დუჩეს...

— „...ხოლო რაც შეეხება იტალიას, — ისევ განაახლა კარნახი ჰიტლერმა, — იგი სერიოზულ დახმარებას გაგვიწევდა ჩრდილოეთ-აფრიკაში თავისი ჯარების გაძლიერებით და საფრანგეთზე გასალაშქრებლად საჭირო მომზადების ჩატარებით, თუ ვიში არ დაიცავს ხელშეკრულებას ან თუ იქ სხვა რაიმე უწესრიგობა წარმოიშობა“...

მან ჩაიცინა და გაიფიქრა, რომ ეს კარგი სატყუარა იქნება ახალ ტერიტორიებს დახარბებულ დუჩესათვის.

ჰიტლერმა ხელი მოაწერა გადაბეჭდილ წერილს, რომელიც თავდებოდა სიტყვებით: „გულითადი და საბრძოლო სალმით“ — და ბრძანა თვითმფრინავით გადაეგზავნათ იგი რომში.

ღამის ორის ნახევარზე, ესე იგი სსრ კავშირზე გერმანიის თავდასხმამდე ნახევარი საათით ადრე, გერმანიის ელჩმა იტალიაში ფონ ბისმარკმა ლოგინიდან წამოაყენა საგარეო საქმეთა მინისტრი ჩიანო და მოსთხოვა დაუყოვნებლივ ჩაებარებინა ჰიტლერის ბარათი კურორტზე მყოფი მუსოლინისათვის.

როცა ჩიანომ საქალაქთაშორისო ტელეფონის ზარით გააღვიძა დუჩე და უთხრა ჰიტლერის ბარათი მივიღეთო, მან გაღიზიანებით ჩაიბურტყუნა, შუაღამისას მსახურებსაც კი არ აღვიძებენო...

მაგრამ მუსოლინის იმ წამსვე დაავიწყდა ძილი, როგორც კი ჩიანოსაგან გაიგო, თუ რაზე იყო მასში ლაპარაკი, და მან ბრძანა, დაუყოვნებლივ მოემზადებინათ დეკლარაცია იმის შესახებ, რომ იტალია იმყოფება რუსეთთან საომარ მდგომარეობაში...

ეს ხდებოდა სწორედ იმ წუთებში, როცა გერმანელთა არტილერიამ უკვე დაუშინა ცეცხლი საბჭოთა საზღვარს. ბომბებით დატვირთული ლუფტვაფეს თვითმფრინავები კი საბჭოთა ქალაქებისაკენ გაემართნენ.

საბჭოთა კავშირზე გერმანიის თავდასხმისა და გუდერიანის ტანკების ძლევამოსილი წინსვლის შესახებ ცნობების გაგებისთანავე მილიონობით ადამიანი გერ-

ძანიაში და მთელ მსოფლიოში დარწმუნებული იყო, რომ ჰიტლერის მთავარი მიზანი მოსკოვის აღება იყო.

მაგრამ ეს მხოლოდ ნაწილობრივ იყო მართალი. ვინაიდან, თუმცა მოსკოვის ხელში ჩაგდება ჰიტლერის პირველრიგისეულ გეგმაში შედიოდა, მისი უახლოესი მიზანი ლენინგრადი იყო.

ამ ქალაქის დაცემას ჰიტლერი უდიდეს სტრატეგიულსა და პოლიტიკურ მნიშვნელობას ანიჭებდა. ლენინგრადი ხომ სიდიდით საბჭოთა კავშირის მეორე ქალაქი იყო. უდიდესი სარკინიგზო კვანძი და მნიშვნელოვანი სამხედრო-საზღვაო ბაზა. ლენინგრადის ხელში ჩაგდებით ჰიტლერი მნიშვნელოვანი ბაზების გარეშე დატოვებდა საბჭოთა სამხედრო ფლოტს. ამ შემთხვევაში გერმანელთა გემები და წყალქვეშა ნავები არა მარტო ბალტიკაში გაბატონდებოდნენ, არამედ უზრუნველყოფდნენ საიმედო საზღვაო კომუნიკაციებს თავიანთ ჯარებთან მთელი ჩრდილო-დასავლეთის სტრატეგიული მიმართულებით. და ბოლოს, ლენინგრადის დაცემა გერმანელთა ჯარების ფინელთა ჯარებთან შეერთებას ნიშნავდა.

სწორედ ამიტომ № 21 ბრძანებაში („ბარბაროსას" ვარიანტი) და დირექტივაში ჯარების თავმოყრის შესახებ („ბარბაროსას" გეგმა) ლენინგრადის დაკავება „გადაუდებელ ამოცანად" იყო გამოცხადებული. მისი განხორციელება ჯარების ჯგუფის „ჩრდილოეთის" მძლავრი დარტყმითა და ლადოგის ტბის აღმოსავლეთიდან ფინეთის ჯარების შეტევით ნავარაუდევი იყო მაქსიმალურად მოკლე ვადაში.

მაგრამ იყო სხვა რამეც, რაც თვით ზესაიდუმლო დოკუმენტებშიც არ იყო ნახსენები და ლენინგრადის აღების ამოცანას განსაკუთრებულ, წმინდა სამხედრო ჩანაფიქრზე გაცილებით მეტ მნიშვნელობას ანიჭებდა.

ეს „სხვა რამე" იყო ჰიტლერის ფანატიკური სიძულვილი ნევაზე გაშენებული ქალაქისადმი.

ასეთი სიძულვილისათვის მას ბევრი მიზეზი ჰქონდა. პეტერბურგის, სლავური რუსეთისათვის ევროპაში გასასვლელი ამ ჭიშკრის, წარმოშობის თვით ფაქტში ჰიტლერი რაღაც წამბილწველ-არაბუნებრივს ხედავდა.

ლენინგრადი იყო ყველა ანტიავტორიტარულ აჯანყებათა ცენტრი. როგორც იდეოლოგები აქ დაიბადნენ, გაიზარდნენ და ჩამოყალიბდნენ ადამიანები, რომელთა სახელებთან დაკავშირებული იყო ჰიტლერის სიძულვილი რუ-

სეთში შეტანილი განმანათლებლობის, დემოკრატიისა და კომუნიზმის იდეების გამო. სწორედ აქ დაიბადა საბჭოთა ხელისუფლება.

პეტერბურგის — პეტროგრადის — ლენინგრადის მთელი არსებობის მანძილზე რომ მის ტერიტორიაზე მტრის არც ერთ ჯარისკაცს ფეხი არ დაუდგამს, ეს უფრო აღვივებდა ჰიტლერის სამხედრო გულისთქმას და ამ ქალაქის პირველ რიგში დაპყრობის იდეას სიმბოლურ ხასიათსაც აძლევდა.

წინამორბედ დამპყრობელთა შორის საკუთარ პერსონას ჰიტლერი მხოლოდ იმიტომ კი არ გამოჰყოფდა, რომ მას საერთოდ ახასიათებდა ყოველგვარ მსგავს დაპირისპირებაში თავისი თავისთვის უპირატესობის მიკუთვნება.

საკუთარ ისტორიულ გამორჩეულობას იგი იმაში ხედავდა, რომ მიზნად დაისახა არა მარტო ქვეყნებისა და ხალხების დაპყრობა, არამედ მთელი იმ იდეოლოგიის განადგურება, რომელიც მილიონობით ადამიანის გონებას დაუფლებოდა. და სიტყვა „ლენინგრადი" მისთვის ამ იდეოლოგიის ერთ-ერთ სინონიმად გადაიქცა.

იდუმალებით მოცულ გაუვალ ჭაობებში დაბადებული, თითქოს თეთრ ღამეებში მცურავი ეს ქალაქი ჰიტლერში შიშსაც იწვევდა და სიძულვილსაც.

და მას უნდოდა მოესპო მეორე საბჭოთა დედაქალაქი ჯერ კიდევ ომის პირველსავე კვირეებში. კი არ დაეპყრო, არამედ მოესპო, წაეშალა გეოგრაფიული რუკიდან. იმ მიწისათვის, რომელზეც ეს ქალაქია განლაგებული, დაებრუნებინა თავისი პირვანდელი სახე, გადაექცია გაუვალ ჭაობებად, რომელსაც ბოლქვ-ბოლქვად აუვიდოდა შხამიანი ოხშივარი...

XI

ლენინგრადის პარტაქტივის კრებაზე, რომელიც თითქმის ღამის ორ საათამდე გაჭიანურდა, გადაწყვიტეს ხვალ დილის ათ საათზე საჰაერო განგაში გამოეცხადებინათ. ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობეს რადიო კომიტეტსა და ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის რაიონულ შტაბებს.

განგაშს სასწავლო ერქვა და საჰაერო თავდაცვის გრაფიკით იყო გათვალისწინებული, მაგრამ ადვილად შეიძ-

ლებოდა საბრძოლოდ ქცეულიყო, თუ კი დილით მდგომარეობა შეიცვლებოდა.

შემდეგ ვასნეცოვმა თათბირი დახურულად გამოაცხადა. დამსწრენი გააფრთხილა, რომ ამ საათიდან დაწყებული პარტიისა და კომკავშირის რაიკომებში, აგრეთვე საწარმოთა დირექციებში დღედაღამ ყოფილიყვნენ ტელეფონებთან მორიგეები და ისევ მის წინ გაშლილ ქაღალდებში ჩაეფლო.

ხალხმა აჩქარებით დატოვა კაბინეტი.

გავიდა რამდენიმე წუთი და ვასნეცოვმა გაიგონა ხმადაბლა ნათქვამი სიტყვები:

— სერგი ათანასევიჩ, მინდა შეგეკითხოთ...

ვასნეცოვი, რომელსაც ეგონა, მისი კაბინეტი უკვე დაცარიელებული იყო, მოულოდნელობისაგან შეკრთა, თავი ასწია და კოროლიოვი დაინახა. იგი მაგიდასთან იდგა და ხელში ჭმუჭნიდა თავის დაძველებულ ქუდს.

— გისმენ, ივანე მაქსიმოვიჩ, — დაღლილი ხმით უთხრა ვასნეცოვმა და თავის ქნევით მიუთითა მაგიდასთან მდგარ ტყავის საფარძელზე. მაგრამ კოროლიოვი ისევ ფეხზე იდგა.

— სად არის ანდრეი ალექსანდრეს ძე? — ხმადაბლა ჰკითხა მან.

ვასნეცოვმა დაჟინებით შეხედა მას. შემდეგ თავი ჩაღუნა, თითქოს ისევ ქაღალდებში ჩაეფლოო და კოროლიოვისათვის არ შეუხედავს, ისე უპასუხა:

— შვებულებაშია.

გავიდა კიდევ რამდენიმე წამი. ვასნეცოვმა თავი ასწია და დაინახა, კოროლიოვი უწინდებურად მდუმარედ იდგა მაგიდასთან.

— ჰა, რას გაჩუმებულხარ? — მოულოდნელად გაღიზიანებით, ხმამაღლა წარმოთქვა ვასნეცოვმა და ხელის წაკვრით მისწია იქით ქაღალდები. — გინდა მკითხო: რატომ ასეთ დროს... ჰო? ჰოდა გეტყვი: მას გულის ანგინა სჭირს. იცი, რა არის ეგ? მის მაგიდაზე პალეხური კოლოფი შეგინიშნავს? დასამშვენებლად კი -არ უდევს! იმაში ნიტროგლიცერინს ინახავს. ოთხი წელია შვებულებაში არ ყოფილა და ახლაც არ უნდოდა წასვლა. ჩემი თანდასწრებით ლაპარაკობდა მაღალი სიხშირის ტელეფონით, არწმუნებდა გარემოება ნებას არ მაძლევსო...

— მერე... რა გამოვიდა? — ისევე ხმადაბლა ჰკითხა კოროლიოვმა.

— პასუხი მიიღო, შვებულებაში ახლა უნდა წახვიდეო. საერთოდ ისტორია ადასტურებს, მტერი თუ ომს იწყებს, ეს, ჩვეულებრივ, ხდება შემოდგომაზე, როცა მოსავალი აღებულია. მაშასადამე, ივლისის ბოლომდე შეუძლია შვებულების გამოყენება... არ მეეჭვება, რომ მექმნილ მდგომარეობაში იგი დაუყოვნებლივ დაბრუნდება, — დაუმატა ვასნეცოვმა პაუზის შემდეგ. — კიდევ გაქვს შეკითხვები?

— მაქვს, — მკვეთრად და მომთხოვნი კილოთი თქვა კოროლიოვმა.

იგი დაჯდა, უკმაყოფილოდ შეიქმუხნა, როცა რბილი სავარძელი ღრმად ჩაზნიქა და უფრო მაგარი კიდისკენ გადაიწია. ვასნეცოვს ჩაშტერებით შეხედა და მხოლოდ ერთი სიტყვა წარმოთქვა:

— ომია?

რამდენიმე ხანს ვასნეცოვიც თვალებში შესცქეროდა მას. შემდეგ თავი დახარა.

პირველ წამს მას უნდოდა ეთქვა, ახლახან წაკითხულ დეპეშაში, რაც წერია, იმის მეტი არაფერი არ ვიცი და ახლა ყავის ნალექით მკითხაობა კი არ არის საჭირო, არამედ დასახულ თავდაცვით ღონისძიებათა ცხოვრებაში სწრაფი გატარებაო... უნდოდა ეთქვა, მაგრამ არ თქვა.

მის წინ იჯდა პიტერის ერთ-ერთი უხუცესი მუშა. პარტიის წევრი 1916 წლიდან, კიროვის ქარხნის პარტკომის წევრი, რაიკომის ბიუროს წევრი, წითელგვარდიელთა რაზმის ყოფილი მეთაური, ზინოვიეველებთან და ტროცკისტებთან ბრძოლის აქტიური მონაწილე. ვასნეცოვს არ შეეძლო ამ კაცისათვის ზოგადი ფრაზებით ეპასუხა. არ შეეძლო. არ ჰქონდა ამის უფლება.

მაგრამ სხვას რას უპასუხებდა ვასნეცოვი, ქალაქკომის ერთ-ერთი მდივანი, რომელიც ყველა შესაძლო განსაკუთრებულ საიდუმლო ხასიათის ინფორმაციას ღებულობდა მხოლოდ ედანოვის მეშვეობით, რომელიც უკვე რამდენიმე დღეა, რაც ქალაქში არ იმყოფებოდა?!

— თუ ის, რასაც ეს მაიორი ამბობდა, მართალია... — წამოიწყო კოროლიოვმა, მაგრამ ვასნეცოვი ინსტიქტურად ჩაეჭიდა, თვითონ მასაც რომ აწვალებდა იმ გადაუწყვეტელი საკითხისაგან თავის დაღწევის საშუალებას და შეაწყვეტინა:

— ეგ ზვიაგინცევი აშკარად პანიკიორობს. და, გარდა

ამისა, მან გადააჭარბა თავის რწმუნებულებას. რაც უნდა იყოს, აქ ათობით კაცი ესწრებოდა. სარდლობამ მას სრულიად ზოგადი ინფორმაციის გაკეთება დააკალა.

— ის, რაც ზვიაგინცევმა თქვა, ათობით კი არა ათასობით ადამიანს უნდა ვუთხრათ! — შეაწყვეტინა კოროლიოვმა. — და რაც უფრო მალე ვეტყვით, მით უკეთესი იქნება! როგორ გგონია, ჰიტლერი მანერჰაიმია?

— არ მესმის, ივანე მაქსიმოვიჩ, — მხრები აიჩეჩა ვასნეცოვმა და კვლავ ინსტიქტურად ცდილობდა საუბარი მთავარიდან მეორე ხარისხოვანზე გადაეყვანა, — რატომ ფიქრობ, რომ ჩვენ ვერ კხედავთ განსხვავებას? და რასთან დაკავშირებით...

— იმასთან დაკავშირებით, — ისევ შეაწყვეტინა კოროლიოვმა, — რომ მანერჰაიმის მოხრჩობა შეიძლებოდა ჯარით. აქ კი მხოლოდ ჯარით ვერაფერს გახდები! აქ, თუ რამე მოხდა, მთელი პარტია, მთელი ხალხი ფეხზე უნდა დავაყენოთ. მთელი ხალხი, გაიგე?

სიჩუმე ჩამოვარდა. იგი ისევ კოროლიოვმა დაარღვია.

— მომისმინე, ამხანაგო მდივანო, — თქვა მან და სასაწერი მაგიდის კიდეს მკერდით დაეყრდნო, — მე შენ ჯერ კიდევ კომკავშირელს გიცნობდი. შენი სიტყვაც არაერთხელ მომისმენია. ისიც მახსოვს, თუ როგორ მოგყავდა ვლადიმერ ილიას ძე ლენინის თხზულებებიდან ციტატები. მართალი გითხრა, მე ციტატები არ მემარჯვება. მაგრამ თვითონ მას, ლენინს ბევრჯერ მოვუსმინე. ჰოდა, როცა ჩვენ კორნილოვის გასანადგურებლად მივდიოდით, მან გზის დასალოცი სიტყვა გვითხრა. მაშინ ჯერ კიდევ ბნელი, უვიცი ვიყავი, მერე კი ცოტათი დავეკვიანდი. მთელი მისი მაშინდელი ნათქვამიდან მხოლოდ სამი სიტყვა დავიხსომე. გინდა გავიმეორო? „ამხანაგებო, რესპუბლიკა საფრთხეშია!"

იგი დადუმდა.

— მე გავიგე, მაქსიმოვიჩ, — ხმადაბლა უთხრა ვასნეცოვმა, — მაგრამ შგონია, ზოგი მეტად მნიშვნელოვანი რამე მხედველობიდან გეპარება. როცა თქვენ კორნილოვს ურტყამდით, ჩვენს ქვეყანაში, არსებითად, არ იყო არმია. ახლა კი იგი არის. იგი მსოფლიოში უძლიერესია, ივანე მაქსიმოვიჩ! და დარწმუნებული ვარ, თუ მართლაც ომი იქნება, მაშინ...

— აგიტაციას ნუ კი მიწევ, სერგეი! მე ჩვენი არმიისა შენზე ნაკლებად როდი მჯერა. მაგრამ ჰიტლერს მარტო

ჩვენი არმიის დამარცხება როდი სურს. მას ხომ ხალხის, ხალხის მუხლებზე დაჩოქება უნდა, დაჩოქება და აგრე დატოვება. მუხლებზე დაჩოქილად!

— მაგრამ ეგ შეუძლებელია! — წამოიყვირა ვასნეცოვმა და ხელისგული მაგიდას დაარტყა. მისი სიტყვები გაისმა წკრიალით, წინასწარგანუზრახველად, მთლად უმაწვილურად, თითქოს არა გონებიდან, არამედ გულის სიღრმიდან მოდიოდნენ.

ერთი წამით კეთილი, თითქმის ალერსიანი ღიმილი დაეჩნდა კოროლიოვის ხმელ-ხმელ, დანაოჭებულ სახეს, მაგრამ მაშინვე გაქრა.

— მაშ, ასე, — თქვა კოროლიოვმა, თითქოს ვასნეცოვის წამოძახილს ძნიშვნელობას არ აძლევს და შეწყვეტილ აზრს ავითარებსო, — თუ რამე იქნა, ჩვენთან, კიროვის ქარხანაში რაზმების შედგენას შეეუდგებით. სწორედ ეს მინდა განგიცხადო. იარაღი იქნება?

— მოიცა, მოიცა, მაქსიმოვიჩ! — აჩქარებით წამოიძახა ვასნეცოვმა, — ჯერ ხომ ომი არ დაწყებულა! და შესაძლოა არც დაიწყოს.

— მე პირველი როდი გავრბივარ საომრად, მაგრამ თუ დაიწყო?

— მაშინ პარტია მოგვცემს ყველა აუცილებელ დირექტივას!

— პარტია? — ხმამაღლა და მუქარაგარეული ხმით გაიმეორა კოროლიოვმა. — მე ვინღა ვარ, შენი აზრით, უპარტიო ვარ?

იგი წამოდგა. ვასნეცოვიც ადგა.

— მაშ, ასე, — თქვა მან გადაჭრით, — დაიმახსოვრე, თუ რამე იქნა, მუშათა რაზმები შედგება. არმიაში წაიყვანენ მათ, ვინც ყველა მუხლის მიხედვით ვარგისია. რაზმებში კი ვარგისობის ერთი მუხლია: ქვეყნის დაცვა გინდა? იარაღის ტარება შეგიძლია? აჰა შაშხანა და მიდი!

და მან ისე გაუწოდა ხელი ვასნეცოვს დასამშვიდობებლად, თითქოს შაშხანა ჩააბარაო.

...მარტოდ დარჩენილმა ვასნეცოვმა აიღო ტელეფონის ყურმილი და დარეკა ოლქის შტაბში. მას უპასუხეს, რომ ჯერ ყველგან სიწყნარეა, არავითარი ცვლილება არ მომხდარა. მაშინ მაღალი სიხშირის ტელეფონით მოსკოვში დარეკა. მოსკოვმა უპასუხა: „ჯერჯერობით ახალი არაფერია. იხელმძღვანელეთ მიღებული დირექტივებით. ქდანოვი ამ დღეებში დაბრუნდება ლენინგრადში...“

...ამ წუთიდან ყოველ საათში პარტიის ქალაქკომის მორიგე ურეკავდა ლენინგრადის სამხედრო ოლქის შტაბის ოპერატიულ მორიგეს:

მაგრამ პასუხები სტერეოტიპული იყო:

— ჯერჯერობით სიწყნარეა...

„ჯერჯერობით სიწყნარეა!" — დაახლოებით ასეთსავე პასუხს ღებულობდნენ იმ ღამეს გენშტაბის ოპერატორები, რომლებიც ოლქების შტაბებთან იყვნენ დაკავშირებული. „ჯერჯერობით სიწყნარეა!" — მოახსენებდნენ ისინი თავდაცვის სახკომსა და გენშტაბის უფროსს...

და ისინი მართალი იყვნენ. იმ, სულ უკანასკნელ საათებში საბჭოთა კავშირის დასავლეთის თვალუწვდენელ საზღვარზე, ბარენცის ზღვიდან შავ ზღვამდე, უცნაური, უჩვეულო სიჩუმე იდგა.

ჯერ კიდევ დღისით საზღვრის იქითა მხარეს რაღაც გამალებული მოქმედება ხდებოდა. გუგუნებდნენ ტანკები, მოტორები, ცაში აიჭრებოდნენ საზღვარს დასტრიალებდნენ და ხშირად კვეთდნენ მას თვითმფრინავები. საბჭოთა სათვალთვალო კოშკურებიდან დურბინდის გარეშეც შეიძლებოდა საზღვრისპირა გზებზე სამხედრო სატვირთო მანქანების ინტენსიური მოძრაობის დანახვა.

მაგრამ 22 ივნისის ღამეს მოულოდნელად ყველაფერი მიჩუმდა. ხმისდამჭერები არავითარ საეჭვო ხმაურს არ აღნიშნავდნენ. ამაოდ უსმენდნენ მესაზღვრეები. გერმანელთა გადალაპარაკების დაჭერით დასაქმებული რადიოოპერატორები მეთაურთა კითხვის გამომხატველი შემოხედვის პასუხად მხრებს იჩეჩდნენ და მოახსენებდნენ: „დუმან. თითქოს ყველაფერი ჩამკვდარა".

და ეს მართალი იყო. რადგან, თანახმად გერმანელთა უმაღლესი სარდლობის ბრძანებისა, 22 ივნისს ღამით, იმ მომენტამდე, სანამ მოცემული იქნებოდა სიგნალი, ყველა საველე შტაბს, საზღვრისკენ წინ წაწეულსა და გადამწყვეტი ნახტომისათვის მომზადებულ მთელ ჯარებს წინადადება ეძლეოდათ შეეწყვიტათ ყოველგვარი მოძრაობა და სრული სიჩუმე დაეცვათ.

გერმანელი ოფიცრები თავიანთ კარვებსა ან საშტაბო ავტობუსებში ისხდნენ და რუკებზე დახრილიყვნენ. ტელეფონებით სარგებლობა მხოლოდ უკიდურესი საჭიროებისას იყო ნებადართული. ეთერში სამარისებური სიჩუმე იდგა...

ოლქის შტაბში დაბრუნებულ ზვიაგინცევს თავისი განყოფილების თანამშრომელთა უმეტესობა იქ დახვდა.

როგორც ყოველთვის, სამუშაო დღის დაწყებამდე, დერეფანში ხმაური იყო. ქვის იატაკზე ჩექმების ბრაგუნს ადამიანთა ხმები ერთვოდა.

მოდიოდნენ სულ ახალი და ახალი მეთაურები. შემოსულთ სახეებზე შეშფოთებაც ეწერათ და გაკვირვებაც. ისინი გაოცებული სახით ეგებებოდნენ მათ, ვინც უფრო ადრე მოსულიყო, რომ გაეგოთ, რა მოხდა.

მაგრამ ადრე მოსულებმაც ჯერ რიგიანად არაფერი არ იცოდნენ. თანამშრომელთა კითხვის გამომხატველ მზერაზე ისინი მხოლოდ ხელებს ასავსავებდნენ.

სამმართველოში შეუვლელად ზვიაგინცევი, როგორც ტელეფონით ჰქონდა ნაბრძანები, შტაბის უფროსისაკენ გაემართა.

მუდამ გამოწკეპილმა ელეგანტურმა გენერალმა, რომელიც ზვიაგინცევს რამდენიმე კვირა იყო არ ენახა, ამჯერად მასზე უცნაური შთაბეჭდილება მოახდინა.

მაგიდის ლამპის შუქზე კარგად ეტყობოდა როგორ გაბურძგნოდა წვერი ოდნავ გაფიქვინებულ სახეზე. კიტელი დაჭმუჭნოდა, თითქოს გაუხდელად ძინებიაო. იგი სწერ მაგიდასთან იჯდა. მის ზემოთ კედელზე სტალინის, ვოროშილოვისა და ტიმოშენკოს პორტრეტები ეკიდა. კითხვით გართულმა წამით თავი ასწია, ზვიაგინცევმა თავისი მოსვლა რომ მოახსენა და ისევ კითხვას მისცა თავი.

მოხსენება რომ დაამთავრა, ზვიაგინცევი რამდენიმე წამს მდუმარედ იდგა. მერე ხმადაბლა ჰკითხა, რას მიბრძანებთო.

— მოიცადე, — თავაუღებლივ მოკლედ უპასუხა გენერალმა.

ზვიაგინცევი ადგილიდან არ იძვროდა. განცვიფრებით უყურებდა გენერლის დაბლა დახრილ თავს და ის იყო უნდა ეკითხა, ხელქვეითებს რა დავალებები მივცეო, რომ ამ მომენტში გენერალმა ჩაიბურტყუნა:

— ხელს ნუ მიშლი, შენთან წადი. ხომ გითხარი: მოიცადე-მეთქი.

ზვიაგინცევი უცბად შემოტრიალდა და კაბინეტიდან გავიდა. მაგრამ თავისთან კი არა, ოპერატიულ განყოფილებაში წავიდა. იქნებ სწორედ იქ ნაცნობობით გაეგო უეცარი გამოძახების მიზეზი.

იგი უკვე აპირებდა დერმატინგადაკრულ კარში შეს-

ვლას, როცა იქიდან პოლკოვნიკი კოროლიოვი გამოვიდა. დანახვისთანავე შუბლშეკრულმა უთხრა ზვიაგინცევს:

— გამოცხადდი? რატომ შენს სამმართველოში არა ხარ?

საერთო დაძაბულ-შფოთიან გარემოებას აყოლილმა ზვიაგინცევმა უპატაკა, რომ შტაბის უფროსთან იყო. არავითარი ბრძანება არ მიუღია გარდა მოცდისა და ახლა უნდოდა...

— ჩაგეტარებინა დამოუკიდებელი დაზვერვა ოპერატორებთან? — ერთგვარი ირონიით შეაწყვეტინა კოროლიოვმა.

ზვიაგინცევი დუმდა.

— კარგი, — უთხრა კოროლიოვმა, — წამოდი ჩემთან. ჯერ მე მაქვს შენთან შეკითხვა.

ისინი შევიდნენ პოლკოვნიკის ოთახში, რომელიც სავსე იყო თამბაქოს ბოლით. კოროლიოვი მაგიდას მიუჯდა, თავის დაქნევით სკამზე მიუთითა ზვიაგინცევს და უთხრა:

— რა გილაპარაკია იქ, სმოლნში?

„ჰო, ასეა, — გაიფიქრა ზვიაგინცევმა, — ეგ არის. მოუხსენებიათ".

მან ეს, შიშისა და წყენის გარეშე, მაგრამ რაღაცნაირი უიმედო დაღლილობის შეგრძნებით გაიფიქრა.

— მგონი, გასაგებად გეკითხები? — ხმის აწევით დაიწყო ისევ კოროლიოვმა. — ათი წუთის წინ შტაბის უფროსს დაურეკეს საგანგებო განყოფილებიდან. ამბობენ, რომ შენ იქ გაგიმეღავნებია საიდუმლო მონაცემები, მზვერავის მთელი ის აბდაუბდა. და საერთოდ, მთელი შენი გადმოცემის ტონი თურმე პანიკური იყო. კიდევ კარგი, რომ მე მომიხელთეს და არა გენერალი. თუმცა მას მაინც უნდა მოვახსენო. თვითონ იცი, ასეთი რამეები სახუმარო როდია. აბა, რას იტყვი?

— მოახსენეთ, ამხანაგო პოლკოვნიკო, — მშრალად და ოფიციალურად უპასუხა ზვიაგინცევმა.

— შენ მე ნუ მასწავლი! — უყვირა კოროლიოვმა და მაგიდას მუშტი დაჰკრა. — შენი ხათრი რომ არ მქონდეს, გენერლისთვის მოგიხდებოდა განმარტების მიცემა! შენ გესმის, რა შეუძლიათ გიყონ ცხელ გულზე და ისიც ასეთ მომენტში?!

იგი გაჩუმდა, სკამის საზურგეს გადაეყრდნო და რამდენიმე ხანს დაჟინებით უცქეროდა ზვიაგინცევს.

ზვიაგინცევი დუმდა.

— მაშასადამე ყველაფერი სიმართლეა, — დანანებით თქვა კოროლიოვმა და ხელი ჩაიქნია. — გადავწყვიტე მომეცადა, სანამ შენ გამოცხადდებოდი. მეგონა, თავის გასამართლებლად რამეს იტყოდი... რაღას გაჩუმებულხარ ლენჩიკით?! — ისევ იფეთქა მან. — თქვი, მოგიგონეს, თუ ყველაფერი სიმართლეა?

— ყველაფერი სიმართლეა, — გულგრილად თქვა ზვიაგინცევმა.

— ეშმაკმა უწყის, რა არის ეს! — წაიბუტბუტა კოროლიოვმა. წამოდგა და კაბინეტში რამდენჯერმე აჩქარებით გაიარ-გამოიარა. შემდეგ გაუნძრეველად მჯდომ ზვიაგინცევის წინ გაჩერდა. — მაგრამ შენ... როგორ გაბედე? — ისევ დაილაპარაკა მან. — ნერვებმა გიღალატა? პანიკამ შეგიპყრო?

ზვიაგინცევი სკამიდან წამოხტა. ამ წუთში მას სძულდა კოროლიოვი. იმიტომ კი არ სძულდა, რომ სასჯელის ეშინოდა. არა, ახლა მას სულ სხვა აზრები დაუფლებოდა...

— ამხანაგო კოროლიოვო, — მტკიცედ წარმოთქვა მან და, ალბათ, პირველად მიმართა მას არა წოდებით, არა სახელითა და მამის სახელით, — მე კომუნისტი ვარ. და მე გამგზავნეს სალაპარაკოდ კომუნისტებთან. ჩემი მოვალეობა იყო მათთვის სიმართლე შეთქვა. მე არ მესმის... როგორ შეგიძლიათ თქვენ?.. მაშინ რაღა ითქმის... რამდენიმე საათის შემდეგ ომი რომ დაიწყოს?!

ზვიაგინცევი იდგა შემართული, თითქოს მისი ყოველი ნერვი, ყოველი კუნთი უკიდურესობამდე დაძაბულიყო. შუბლზე ოფლის წვეთები დაასხდა. იგი ჩაშტერებით შესცქეროდა კოროლიოვს. სიჩუმე ჩამოვარდა.

კოროლიოვმა რაღაცნაირად დუნედ ჩაიქნია ხელი და ისევ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა კაბინეტში. შემდეგ მაგიდას მიუბრუნდა, დაჯდა, გიმნასტურის საყელო შეიხსნა, ცხვირსახოცი ამოიღო და მოკლე, დაძარღვული კისერი შეიმშრალა.

— კარგი, — თქვა მან ბოლოს, — ჩავთვალოთ, რომ საგანგებო განყოფილების თანამშრომლები უკიდურესობაში გადავარდნენ. გენერლისთვის მოხსენებას დილამდე გადავდებ. დაჯექი, დათვალიერებაზე ხომ არ დგახარ...

ზვიაგინცევი დაჯდა. და კვლავ ძლიერი დაღლა იგრძნო. იგი შვებას არ გრძნობდა იმის შეგნებისაგან, რომ გადაიდო საფრთხე, რომელიც პირადად მას ემუქრებოდა. ახლა ამაზე აღარ ფიქრობდა.

— წადი, შენთან მოიცადე, — ხმადაბლა უთხრა კოროლიოვმა.

— არა, — თავი გააქნია ზვიაგინცევმა, — უნდა გკითხო...

— რაღა უნდა მკითხო? — უკმაყოფილოდ წარმოთქვა კოროლიოვმა.

— უწინარეს ყოვლისა, პავლე მაქსიმოვიჩ, — უკვე ნაკლებად ოფიციალურად უთხრა ზვიაგინცევმა, — თუ შეიძლება გავიგო საერთო განგაშის კონკრეტული მიზეზი? რამე ხომ არ მოხდა?

— მერე.

— აბა... რას ნიშნავს ეს გაურკვეველი განკარგულება „მოიცადე"?

— კიდევ?

— ისევ და ისევ იგივე, პავლე მაქსიმოვიჩ, მაპატიე, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ საზღვარზე რაღაც მოხდა, მაგრამ ამას ჩვენ გვიმალავენ.

— გასაგებია, — ჩაიცინა კოროლიოვმა, — გიპასუხებ პუნქტების მიხედვით. განგაშის მიზეზი შენთვის ცნობილია — სახკომის დეპეშის შინაარსი ჯერ კიდევ დღისით ჩემგან გაიგე: „შესაძლებელია პროვოკაციები", ეს პირველი. მოცდა იმიტომ გაქვს ნაბრძანები, რომ მთელი აუცილებელი სამუშაო გეგმის მიხედვით შენ ჯერ კიდევ დღისით ჩაატარე. შენ მესამე კითხვაზე კი შეგიძლია გიპასუხო, რომ საზღვარზე ყველგან სიწყნარეა.

— სიწყნარეა? — განცვიფრებით გაიმეორა ზვიაგინცევმა.

— დიახ, დიახ, სიწყნარეა, მაგათი დედაც... — მოულოდნელად ხმამაღლა შეიგინა კოროლიოვმა. — მთელი თვის განმავლობაში პირველი ღამეა, რაც სიწყნარეა! სიჩუმე! თითქოს ყველანი ჩაძაღლდნენ.

იგი სავარძლიდან წამოხტა და ოთახში აჩქარებით დაიწყო სიარული.

— ნეტავ ვიცოდე, რა ხდება იქ, იმათთან!.. — ხმადაბლა, თითქოს თავისთვის წაიბუტბუტა კოროლიოვმა.

...მაგრამ ლენინგრადის სამხედრო ოლქის შტაბში არავინ არ იცოდა და არც შეეძლო სცოდნოდა, რა ხდებოდა იმ მომენტში, მოსკოვის დროით სამ საათსა და ოც წუთზე და შუაევროპული დროით პირველსა და ოც წუთზე, მოულოდნელად მიწყნარებულ, თითქოს ჩამკვდარ საბჭოთა კავშირ-ფინეთის საზღვარს იქით. სხვა სამხედრო

ოლქებშიც არ იცოდნენ და არც შეეძლოთ სცოდნოდათ, რას აკეთებდნენ იმ წუთებში გერმანელები.

მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩებოდა — გადალმა სამარისებური სიჩუმე სუფევდა. ტყეებს თითქოს ეძინათ. მინდვრები უკაცრიელი იყო. ბრესტის რკინიგზის ხიდზე ნელა მიცოცავდა და საბჭოთა კავშირ-გერმანიის საზღვარს ჰკვეთდა ხელშეკრულების თანახმად გერმანიაში გაგზავნილი სურსათითა და მინერალური ნედლეულით დატვირთული მატარებელი. საბაჟოს ორი მოხელე მიმავალ მატარებელს შეახტა. ყველაფერი ჩვეულებრივად იყო. მაგრამ ამდენი საათის დუმილის შემდეგ სწორედ ამ წუთებში ოპერატიული მუშაკების კარავში აწკრიალდა ტელეფონი და არმიის 24-ე კორპუსის ოპერატიული განყოფილების უფროსმა უპატაკა, რომ „ხიდი სრულ წესრიგშია".

არავითარი კომენტარი არ გაუკეთებიათ. არც ერთი განმარტებითი სიტყვა არ უთქვამთ. მაგრამ ტელეფონით მოლაპარაკეებმა იცოდნენ, ნათქვამი ეხებოდა იმ ხიდს, რომელზეც რაღაც ერთი საათის შემდეგ გუდერიანის ტანკები ბუგზე გადავიდოდნენ და ბრესტს ეძგერებოდნენ.

გადიოდა წუთები. გერმანელთა შტაბის ოფიცრების საგულდაგულოდ შემოწმებულ საათებზე ისრები შუაევროპული დროით ორს უახლოვდებოდა.

უეცრად გიგანტურმა ალმა დილაბინდის მრუმე გააპო. ყველა კალიბრი, გერმანულმა ზარბაზნებმა ბარენცის ზღვიდან შავ ზღვამდე ერთდროულად დაუშინეს ცეცხლი საბჭოთა ტერიტორიას.

ომი დაიწყო.

XII

1941 წლის 22 ივნისს განთიადისას ორასამდე გერმანულ-ფაშისტური დივიზია — ქვეითი, მოტორიზებული, სატანკო-საავიაციო ფუგასური ბომბებით წინასწარ გადახნულ საბჭოთა კავშირის სასაზღვრო რაიონებს მოედო. კორპუსებად, არმიებად, არმიულ ჯგუფებად გაერთიანებულ მილიონობით ჯარისკაცს ათეულ ათასობით ოფიცერი და ასობით გენერალი ხელმძღვანელობდა. ისინი აღჭურვილი იყვნენ მათ მიერვე დამორჩილებულ ევროპის ქარხნებში დამზადებული უახლესი იარაღით და გაბრუებულნი დასავლეთში ელვისებური გამარჯვებით. იმ საშინელ, მიწის ქარბორბალით ჩაბნელებულ, ნამწვის სუნით

გაქღენთილ დილით, როცა ჰიტლერის მიერ სინდისის კონტროლისაგან განთავისუფლებული და უმდიდრესი ნადავლის შოვნით ანთებული მილიონობით ფაშისტი თავს დაგვესხა, საეჭვოა ჩვენს ქვეყანაში ვინმეს სრულად წარმოედგინა მოვლენათა შემდგომი განვითარება და თავს დამტყდარი საშიშროების სიდიდე.

გავა რამდენიმე წელი, სისხლი მდინარეებად დაიღვრება და ოცი მილიონი საბჭოთა მეომარი შეეწირება მამაპაპათა მიწას, რათა მილიონებმა, მათმა ძმებმა შეძლონ საძულველი მტრის განდევნა და მის ბუნაგში შეჭრა. და მაშინ ცნობილი გახდება მსოფლიოსათვის გეგმა „ბარბაროსა“ და ისიც, რაც ამ სიტყვის უკან იმალება.

მაგრამ იმ მწარე დილას საბჭოთა კავშირში არავინ არ იცოდა ამ გეგმის შინაარსი. არ იცოდნენ და არც შეეძლოთ სცოდნოდათ ამის შესახებ იმ ადამიანებსაც — სამხედროებს და სამოქალაქოებს — რომლებიც ბალტიისპირეთისა და ლენინგრადის სამხედრო ოლქების ნაწილებს, ქვეგანაყოფებსა და ლენინის ქალაქის ათასობით კომუნისტს ხელმძღვანელობდნენ.

გაივლის დღეები, დაუსრულებელი, როგორც წლები, სანამ საშინელი საშიშროება სრულად იქნება შეგნებული და ისინი გაიგებენ, რომ შვიდასი ათასი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, 1500 ტანკი და 1200 თვითმფრინავი გამოეშურნენ ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთისაკენ ერთი მთავარი მიზნით — სვლის შეუჩერებლივ გაენადგურებინათ ლენინგრადი, ხოლო თორმეტი ათასი ზარბაზანი და ნაღმსატყორცნი მზად იყო ყველაფრის დამანგრეველი ცეცხლით აღეგავა იგი პირისაგან მიწისა.

მაგრამ ივნისის იმ დილას ეს ციფრებიც და ეს მიზანიც, გერმანელთა გარდა, ჯერ კიდევ არავინ არ იცოდა.

არ იცოდნენ ეს არც ქალაქის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელებმა, — მათ შორის ქალაქკომის ერთ-ერთმა მდივანმა სერგი ათანასეს ძე ვასნეცოვმაც.

ამ კაცს ჯერ ორმოცი წელიც არ შესრულებოდა. იგი მეტისმეტად გამხდარი იყო. სწორი, წაწვეტებული ცხვირი და მკვეთრად წამოწეული ღაწვები მის სახეს მკაცრ და გულჩათხრობილ გამომეტყველებას აძლევდნენ.

კომკავშირის ოლქკომის ერთ-ერთი ყოფილი მდივანი, იგი ცხრამეტი წლისა შევიდა პარტიაში. ოციანი წლების დასასრულს ლენინგრადის საგუბერნიო კომიტეტში წაიყვანეს ინსტრუქტორად. მერე პარტიის ერთ-ერთი სა-

ქალაქო რაიკომის მდივნად აირჩიეს. ერთი წლის შემდეგ კი ისევ დაბრუნდა სმოლნში, უკვე პარტიის ქალაქკომის მდივნის თანამდებობაზე. ამ პოსტზე მოუსწრო ომმა.

ბევრი მათგანი, ვისაც ვასნეცოვთან მოხდენია მუშაობა, ამ კაცს „ადამიან-ზამბარას" უწოდებდა: მას უსაზღვრო ენერგია და ძალ-ღონის დაუშრეტელი მარაგი ჰქონდა.

ადამიანებს უკვირდათ, როგორ შეეძლო ამ ასკეტური გარეგნობის კაცს მთელი ღამეობით უძილობა, ერთსა და იმავე დღე-ღამეში სრულიად სხვადასხვა და ერთმანეთისაგან დაშორებულ ადგილებში — ქარხნებში, სასწავლებლებში, სამხედრო ნაწილებში, გემებზე — მისვლა.

როგორც წესი, ვასნეცოვი მით უფრო მშვიდი, ადამიანებთან დამოკიდებულებაში აუჩქარებელი იყო, რაც უფრო დაძაბული იქნებოდა სიტუაცია. ბევრს ეჩვენებოდა, რომ იგი ეფანოვს ბაძავდა. მაგრამ თუ ეფანოვი ცდილობდა ხმისათვის არ აეწია (და ისინი, ვინც მას იცნობდნენ, დარწმუნებული იყვნენ, რომ იგი ბაძავდა სტალინს), ვასნეცოვი ხშირად „იფეთქებდა"—მასში თავს იჩენდა კომკავშირული დვრიტა. ასეთ შემთხვევაში უკიდურესობამდე მკაცრი, თითქოს სასტიკიც ხდებოდა. ეს მხოლოდ გარეგნულად, ისე კი ვასნეცოვი სასტიკი არასოდეს არ ყოფილა. უბრალოდ, იმ წლებში პარტიის მიერ აღზრდილი სხვა მრავალი ადამიანივით მას არ სწამდა არავითარი კომპრომისი, როცა საკითხი საქმისადმი დამოკიდებულებას ეხებოდა. და საქმის ინტერესებსა და ადამიანის ქცევას შორის წარმოქმნილ ყოველგვარ წინააღმდეგობას პირველის სასარგებლოდ გადაწყვეტდა ხოლმე.

დისციპლინას, ადამიანის უნარს — რადაც უნდა დაუჯდეს შეასრულოს დავალება, ვასნეცოვი ისეთ უმნიშვნელოვანეს თვისებათა გვერდით აყენებდა, როგორიცაა პატიოსნება, ერთგულება პარტიისადმი, მზადყოფნა მისთვის სრული თავდადებისათვის.

ამიტომ, როცა დილის ხუთის ნახევარზე ვასნეცოვის კაბინეტში, რომელიც მას პარტაქტივის დამთავრების შემდეგაც არ მიუტოვებია, ტელეფონის ზარი გაისმა და საოლქო შტაბის უფროსმა აცნობა, რომ გერმანელები ჩვენს ქალაქებს, მათ შორის ლენინგრადის მახლობლად მდებარე ბალტიისპირა რესპუბლიკების დედაქალაქებს ბომბავენო, ვასნეცოვის პირველი შეკითხვა იყო: „რა მითითებები მოვიდა?"

შტაბის უფროსმა მღელვარების დაუფარავად, აჩქარებით, მაგრამ იმავე დროს როგორღაც ყოყმანით უპასუხა,

რომ მიღებულია სახკომის ბრძანება — მოვიგერიოთ მტერი, გავრეკოთ ჩვენი ტერიტორიიდან, მაგრამ საზღვარი არ გადავლახოთ.

ვასნეცოვმა ჰკითხა, სარდალი სად არისო. უპასუხეს, ჯარებიდან მის მოსვლას ყოველ საათს ველოდებითო და ყურმილი დაჰკიდა.

ვასნეცოვს გონების თვალწინ წარმოუდგა ქალაქის პარტიული ორგანიზაციის მთელი ფართოდ განშტოებული ქსელი — ქალაქკომის ბიურო, რაიკომები, ქარხნების პარტიული კომიტეტები, ასობით პირველადი პარტიული კოლექტივები, მათი ხელმძღვანელები და იმის შეგნებამ, რომ ყველანი საბრძოლო მზადყოფნაში არიან და მითითებებს ელოდებიან წუთიერი კმაყოფილება აგრძნობინა.

მან ზარის ღილაკს დააჭირა ხელი და შემოსულ თანაშემწეს, — ახალგაზრდა კაცს, რომელიც ფინელებთან ომში მიღებული ჭრილობის შემდეგ ოდნავ კოჭლობდა, დაავალა — ქალაქკომის ბიუროს ყველა წევრი გაეფრთხილებინა, რომ ოცდაათი წუთის შემდეგ სმოლნში მოსულიყვნენ.

შემდეგ მან კედლის საათს შეხედა. ავტომატურად დაინიშნა დრო, და იმავ წუთს მოუსვენრობა დაეუფლა.

ვასნეცოვი დაფიქრდა იმაზე, რომ რაკი ჟდანოვი აქ არ არის, ბიუროს სხდომის ხელმძღვანელობა მას მოუხდება. მაშასადამე, პირველ რიგში სწორედ მას ეკისრება პასუხისმგებლობა ყველა იმ გადაწყვეტილებაზე, რომელსაც კი მიიღებენ.

რასაკვირველია, ვასნეცოვმა იცოდა რა უნდა გაეკეთებინა პირველ რიგში. ყველა საჭირო ღონისძიება იმ შემთხვევისათვის, თუ მდგომარეობა გამწვავდებოდა, გათვალისწინებული იყო არა მარტო ახლახან დამთავრებულ პარტაქტივის კრებაზე, არამედ უფრო ადრეც: საჰაერო თავდაცვის საშუალებათა საბრძოლო მზადყოფნაში მოყვანა, პარტიულ ხელმძღვანელთა სადღეღამისო მორიგეობა — უმსხვილეს საწარმოთა პარტკომებამდე და მათ ჩათვლით, ღონისძიებანი სახელმწიფო უშიშროების ორგანოთა ხაზით და სხვა მრავალი.

და მაინც იმის შეგნება, რომ ყოველივე დასახული არასაკმარისი იქნება, რომ ახლა საშიშროება თეორიული შესაძლებლობა კი აღარაა, არამედ საშინელი სიცხადე და საჭიროა რაღაც ახალი, მნიშვნელოვანი, მშვიდობიანობის დროს გაუთვალისწინებელი მოქმედებანი — ეს შეგნება თანდათანობით სავსებით დაეუფლა ვასნეცოვის გონებას.

ახლა იგი ცდილობდა წინასწარ მიხვედრილიყო, გამოეცნო, კიდევ რა იყო აუცილებელი. და მისდა შეუმჩნევლად ღრმა ფიქრებს მიეცა.

...ჯერ კიდევ ორი კვირის წინათ ვასნეცოვს ვერ წარმოედგინა, რომ ომი ასე მალე ატყდებოდა.

როგორც მილიონობით საბჭოთა ადამიანმა, მან სულ ახლახან წაიკითხა გაზეთებში საკდესის ცნობა. მოკლე და კატეგორიული გამოთქმები — მათში იგრძნობოდა სტალინის სტილი — ეს ცნობა უარყოფდა უცხოელ კორესპონდენტთა შტკიცებას საბჭოთა კავშირ-გერმანიის საზღვარზე გერმანელთა ჯარების კონცენტრაციის შესახებ, როგორც ბოროტად განზრახულსა და პროვოკაციულს.

ცნობაში ნათქვამი იყო, რომ გერმანია განუხრელად ასრულებს საბჭოთა კავშირ-გერმანიის პაქტიდან გამომდინარე თავის ვალდებულებებს, და ხმები სსრ კავშირზე მისი თავდასხმის განზრახვის შესახებ მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს.

ყოველივე ეს არა მხოლოდ არ შეესაბამებოდა შფოთიან ატმოსფეროს, რომელშიც ცხოვრობდა ჩვენი ქვეყანა, არამედ თითქოს პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა სიფხიზლისა და საბრძოლო მზადყოფნისაკენ მოწოდებით აღსავსე დირექტივებს, ცკ-დან რომ სისტემატურად მოდიოდა საოლქო კომიტეტში.

ვასნეცოვმა ჰკითხა ედანოვს, როგორ უნდა გაგებულიყო საკდესის ეს განცხადება.

ედანოვმა დინჯად და მეთოდურად განუმარტა ვასნეცოვს, რომ ამ განცხადებას აქვს ორი მიზანი: ჯერ ერთი, გაუფანტოს გერმანიას შესაძლებელი ეჭვები — დასავლეთის ბურჟუაზიული პრესა, რომელიც ფარულად ჯერ კიდევ იმედოვნებს აამხედროს ჰიტლერი ჩვენს წინააღმდეგ, რეგულარულად აქვეყნებს ყალბ ცნობებს იმის შესახებ, რომ სსრ კავშირი აპირებს პრევენტული ომის დაწყებას; მეორეც, საკდესის ეს განცხადება მიმართულია იმისკენ, რომ აიძულოს გერმანია გამოვიდეს ანალოგიური დოკუმენტით სსრ კავშირის მიმართ.

განმარტება დამაჯერებლად ჟღერდა და რამდენიმე დღის განმავლობაში ედანოვთან ლაპარაკის შემდეგ ვასნეცოვი განსაკუთრებული ყურადღებით კითხულობდა უცხოური პრესის ცნობებსა და ხელში ჩაგდებულ ფინურ და გერმანულ რადიოგადაცემებს იმ იმედით, რომ ნახავდა გერმანიის მთავრობის მოსალოდნელ განცხადებას.

მაგრამ ასეთი განცხადება არ მოჰყოლია. გერმანიაში თითქოს საერთოდ ვერ შეამჩნიეს საკდესის ცნობა.

ამ თემაზე ვასნეცოვს მეტი შეკითხვა აღარ მიუცია ედანოვისათვის, ვინაიდან ყოველი ასეთი შეკითხვა, რა ფორმითაც უნდა ყოფილიყო იგი დასმული, არა მარტო ვასნეცოვის ვარაუდით გამომხატველი იქნებოდა, რომ პუბლიკაციამ ვერ მიაღწია მიზანს, არამედ საერთოდ, განცხადების მიზანდასახულობასაც ეჭვის ქვეშ დააყენებდა.

ვასნეცოვი ასეთი ეჭვის გამოთქმის ნებას ვერ მისცემდა თავის თავს. თავისი მდგომარეობით მართალია, იგი ედანოვის ერთ-ერთ უახლოეს თანამშრომლად ითვლებოდა, მაგრამ მათ შორის მაინც უზარმაზარი დისტანცია არსებობდა, ვინაიდან ედანოვი პოლიტბიუროს წევრი და ცენტრალური კომიტეტის მდივანი იყო.

პარტიული დისციპლინა, ანუ, უფრო ზუსტად, „პარტიული ზრდილობა", როგორც ეს იმ წლებში პარტიული აპარატის ბევრ პასუხისმგებელ მუშაკს ესმოდა, იმაში მდგომარეობდა, რომ „ცხვირი არ ჩაგეყო" იმ საქმეში, რომლებიც ქვეყნის უმაღლესი ხელმძღვანელობის კომპეტენციაში შედიოდა.

იგულისხმებოდა — და თვითონ ვასნეცოვსაც სწორედ ასე მიაჩნდა — ვისაც ეხებოდა, ყველა თავის დროზე მიიღებდა საჭირო ინფორმაციას. საკუთარი ინფორმირებულობის სფეროს თვითნებურად გაფართოების ცდის მეტისმეტი ინიციატივა კი არ უნდა გამოეჩინა. ამას შეეძლო საბაბი მიეცა ცკ-სთვის არასწორად გაეგოთ მისი ქცევა. თვით ფიქრიც ამაზე ვასნეცოვის ხასიათს ეწინააღმდეგებოდა.

და განა იმიტომ, რომ თავისთვის რაიმე არასასიამოვნო შედეგებისა ეშინოდა — თუმცა ვასნეცოვის თვალწინ დამსხვრეულა ხოლმე იმ ადამიანთა ბედი, რომლებიც, როგორც მიაჩნდათ გადაჭარბებით აფასებდნენ თავიანთი პიროვნების მნიშვნელობას და პატივმოყვარეობის ოცნებებს ეძლეოდნენ, არა, შიში როდი აკავებდა, ცენტრალური კომიტეტის ნდობას ვასნეცოვი ყველაზე მეტად აფასებდა და მისი დაკარგვით დაკარგავდა იმას, რაც თავის ცხოვრებაში უმთავრესად მიაჩნდა.

ამიტომ ედანოვთან შემდგომი საუბრის დროს ვასნეცოვი უკვე აღარ უბრუნდებოდა საკდესის 14 ივნისის განცხადებას. მით უფრო, რომ ამ თარიღის შემდეგ ცენტრალური კომიტეტიდან მოსული დირექტივებიც სიფხიზლის კიდევ მეტად გაძლიერებას მოითხოვდა, თუმცა სავალდებუ-

ლო შენიშვნით—ჩასატარებელ ღონისძიებათა სრულიად საიდუმლოდ დაცვის აუცილებლობის შესახებ, რათა არ მიეცათ საბაბი პროვოკაციებისათვის. სწორედ ამ დირექტივების შესასრულებლად ხდებოდა ქალაქის უმსხვილეს საწარმოთა უმნიშვნელოვანესი ცენტრების — საოლქო კომიტეტის, ქალაქკომის, რადიოკომიტეტის, სატელეფონო კვანძის, ტელეგრაფის სამობილიზაციო გეგმების შედგენა და გადასინჯვა. ზუსტდებოდა რაიკომებისა და ძირეული პარტიული კომიტეტების თავდაცვის ღონისძიებათა სიები. ქალაქკომის ბიუროს სხდომები დღის წესრიგში სულ უფრო ხშირად შეჰქონდათ საჰაერო თავდაცვის ადგილობრივ ხელმძღვანელთა მოხსენებები.

ქალაქკომის ბიუროს წევრებისათვის ისიც კარგად იყო ცნობილი, რომ ანალოგიური დირექტივები, რომლებიც საბრძოლო მზადყოფნას მოითხოვდნენ, თავდაცვის სახალხო კომისარიატიდან ლენინგრადის სამხედრო ოლქის შტაბშიც მოდიოდა. სწორედ ერთ-ერთი ასეთი დირექტივის შესასრულებლად ოლქის ხელმძღვანელები ორი კვირის წინათ ფინეთთან მოსაზღვრე რაიონებში გაემგზავრნენ. უნდა ჩაეტარებინათ ჯარების ინსპექცია და ტაქტიკური მეცადინეობა, ვინაიდან თანახმად მოვლენათა ლოგიკისა, მხოლოდ სწორედ იქიდან, ჩრდილოეთიდან შეეძლო პოტენციურ მტერს დამუქრებოდა ქვეყნის დასავლეთი ზღუდეებიდან დაშორებულ ლენინგრადს.

მიუხედავად ამისა, გუშინდლამდე ვასნეცოვი ძნელად თუ წარმოიდგენდა მოახლოებული ომის რეალობას.

და არა მარტო იმიტომ, რომ საკდესის განცხადებამ მაინც მოახდინა მასზე გარკვეული ფსიქოლოგიური ზემოქმედება.

არა მარტო იმიტომ, რომ ცენტრალურმა კომიტეტმა ნება დართო ჟდანოვს შეებულებით გამგზავრებულიყო, და აქედან გამომდინარე, არ მოელოდა ომის საშიშროებას, ყოველ შემთხვევაში უახლოეს დროში...

იყო კიდევ ერთი, ფსიქოლოგიური, ოღონდ ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება, რომელიც ხელს უწყობდა იმ რწმენას, რომ ომი მოულოდნელად არ დაიწყებოდა: ვასნეცოვის, ისევე როგორც სოციალისტური მშენებლობის წინა რიგებში მდგომი ათეულ ათასობით ადამიანის ცნობიერებაში, უფრო კი, ქვეცნობიერებაში თვით ისტორიის მსვლელობით განმტკიცდა აზრი სტალინის ყოვლისშემძლეობის შესახებ.

ფაქტები, უცილობელი ფაქტები, ფიქრობდა ვასნეცოვი, აი უკვე მრავალი წლის მანძილზე გვაჯერებდნენ იმაში, რომ ურწმუნოთა — უკლონისტებისა და ოპოზიციონერების — წინააღმდეგ ჩვენი ქვეყნის ცხოვრება სწორედ ისე ვითარდებოდა, როგორც წინასწარ დასახული იყო პარტიის, ცენტრალური კომიტეტის, სტალინის მიერ.

აი უკვე მრავალი წელია, რაც ქვეყანა მშვიდობიანობის პირობებში ვითარდება და გამანადგურებელ წინააღმდეგობას უწევს გარედან შემოწმების ცალკეულ ცდებს. სტალინმა მოიგო ხანგრძლივი, წლობით გაგრძელებული შესვენება, — იგი მართალი აღმოჩნდა.

სტალინმა თქვა, რომ ჩვენი ქვეყნის უშიშროების ნამდვილად უზრუნველყოფის ერთადერთი შესაძლებლობა მდგომარეობს მძლავრი ინდუსტრიული ბაზის შექმნაში — „თორემ ჩვენ გაგვთელავენ".

და ურწმუნოებს საკმარისი რაოდენობით კვალიფიციური კადრების უყოლობისა და გარედან ფინანსური დახმარების გარეშე ისევ დაუჯერებლად, შეუძლებლად ეჩვენებოდა ამ ტიტანური ამოცანის გადაწყვეტა.

მაგრამ ეს ძირითადად გადაწყვეტილი იქნა ათ წელზე უფრო ნაკლებ დროში.

არ შეიძლება წარმატებით ვაშენოთ კომუნიზმი, როცა ქვეყანაში გვაქვს ორი წყობა: მძლავრი სოციალისტური ინდუსტრია და დაქუცმაცებული, კერძომესაკუთრული. წვრილმესაქონლური სოფლის მეურნეობა, — და სტალინმა დასახა მისი კოლექტივიზაციის ამოცანა.

და ისევ აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებსაც ეს ამოცანა განუხორციელებლად ეჩვენებოდათ, ყოველ შემთხვევაში თვალმისაწვდომი დროის პერიოდში.

მაგრამ სოფლის მეურნეობის მთლიანი კოლექტივიზაცია უდავო ფაქტად იქცა. სტალინმა ამჯერადაც დაამტკიცა თავისი სიმართლე...

არა, ვასნეცოვი სტალინში როდი ხედავდა უბრალოდ უცილობელი ძალაუფლებით აღჭურვილ კაცს, პიროვნებას, ვისი რკინისებური ნებისყოფაც იძულებულს ხდიდა ადამიანებს მის მიერ ნაჩვენები მიმართულებით წასულიყვნენ. სტალინის ასეთი შეფასება, დამახასიათებელი მათთვის, ვისაც მარქსიზმთან საერთო არაფერი არ ჰქონდა, მას სისულელედ მოეჩვენებოდა.

ვასნეცოვი დარწმუნებული იყო, რომ სტალინის ძლიერება მდგომარეობს მის მეცნიერულ წინასწარხედვის ნიჭში,

სხვა ადამიანებისათვის ურთულეს, ჯერ კიდევ ბუნდოვან სიტუაციაში ერთადერთი სწორი გადაწყვეტილების გამონახვის უნარში.

და როცა ვასნეცოვი მოსალოდნელ ომზე ფიქრობდა, ეს რწმენა ავტომატურად წარმართავდა მის აზრებს ჩვეული კალაპოტით.

თუ შესაძლებელია ომის აცილება, ამბობდა თავისთვის ვასნეცოვი, სტალინი შეძლებდა იმის გაკეთებას. თუ კი იგი, მიუხედავად მიღებული ზომებისა, უნდა ატყდეს, სტალინს ეცოდინება მაინც ამის შესახებ და შესაფერ მომენტში და დროულად მიუთითებს პარტიას, ხალხს, რა და როდის მოიმოქმედონ.

ასე ფიქრობდა ვასნეცოვი, და თუმცა ეს აზრები მის ცნობიერებაში ესოდენ ელემენტარულ-ლოგიკური წესით არ წარმოშობილა, ისინი მაინც ქმნიდნენ თავისებურ დამცველ ბარიერს. და სხვა, თითქოს და უდავო აზრს — იმის შესახებ, რომ ყოველგვარ ომში ორი ძალა ეჯახება ერთმანეთს და ერთი მათგანი თვით სტალინსაც არ ემორჩილება, — უკვე აღარ შეეძლო ამ ბარიერის გარღვევა.

... მაგრამ დღეს, 1941 წლის 22 ივნისის განთიადზე ეს უჩვეულო აზრი რამდენიმე ხნით დაეუფლა ვასნეცოვის გონებას.

იგი სდევნიდა ამ აზრს, არწმუნებდა თავის თავს იმაში, რომ უახლოესი მომავალი უსათუოდ დაადასტურებს, რომ სტალინი ამჯერადაც მართალი იყო. რომ მან ახლაც ყველაფერი გაითვალისწინა და მალე, შესაძლოა რამდენიმე საათის შემდეგ, თავხედი მტერი დამარცხებული და უკუგდებული იქნება...

მას თვალწინ დაუდგა ამას წინათ ნანახი იმ კინოფილმის ეპიზოდები, რომელმაც გაზეთების მაღალი შეფასება დაიმსახურა: ცა, თითქმის მთლად დაფარულია წითელვარსკვლავიანი თვითმფრინავების ესკადრილიებით. საკომანდო პუნქტში ბრიგადის მეთაური კითხულობს რადიოუწყებას: მტრის დედაქალაქი, რომელმაც გუშინ გაბედა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის დაწყება, ნანგრევებად არის ქცეული...

მას გულზე მოეშვა. „ასეც იქნება!“ — დარწმუნებით თქვა ხმამაღლა ვასნეცოვმა. თავისი ხმა გაიგონა და ახლა უკვე თავისთვის გაიმეორა: „ასეც იქნება!..“

მან საათს შეხედა. თხუთმეტი წუთის შემდეგ შეიკრიბებიან ბიუროს წევრები.

ვასნეცოვმა ოლქის შტაბთან პირდაპირი კავშირის ტელეფონის ყურმილი აიღო. უფროსის ნაცნობი ხმა ამჯერად ხრინწიანად ისმოდა, თითქოს გაციებულიყო.

— რა მდგომარეობაა? — მოკლედ ჰკითხა ვასნეცოვმა.

— ბომბავენ რიგას, ლიბავას, კაუნასსა და ვილნიუსს, — შეკავებული მღელვარებით უპასუხა შტაბის უფროსმა.

— ჩვენები? — მოუთმენლად შეაწყვეტინა ვასნეცოვმა.

— რა? — კითხვითვე უპასუხა გენერალმა.

— ჩვენი ჯარების შესახებ გეკითხებით! — ხმამაღლა, თითქმის უხეშად დაიყვირა ვასნეცოვმა.

პასუხი დუმილი იყო.

— თქვენ გესმით ჩემი ხმა? — უფრო ხმამაღლა წარმოთქვა ვასნეცოვმა. — მე გეკითხებით, როგორია ჩვენი ჯარების მდგომარეობა?

— ბალტიისპირეთის ოლქის ჯარები დაძაბულ ბრძოლებს ეწევიან, — შეყოვნებით უპასუხა გენერალმა.

ახლა ვასნეცოვი დადუმდა. შემდეგ მან ჩუმად წარმოთქვა.

— ასე... — და უკვე ჩვეული დინჯი, მშვიდი ხმით დაუმატა: — თხუთმეტი წუთის შემდეგ ბიუროს სხდომა შედგება. შეგიძლიათ, მობრძანდეთ?

— არის, — აჩქარებით უპასუხა გენერალმა, — ზუსტად ხუთზე მანდ ვიქნები.

ვასნეცოვმა ყურმილი ჩამოჰკიდა. შემდეგ წამოდგა და მივიდა კედელთან მდგარ პატარა მაგიდასთან, რომელზეც რადიომიმღები იდგა. სახელური დაატრიალა. გაისმა რბილი ტკაცანი. მწვანე ნათურა აინთო და შკალა გააშუქა; საიდანღაც, თითქოს სხვა სამყაროდან, თანდათანობით ზრდადი ზუზუნი მოისმა. მერე ეს თანაბარ, რბილ მოგუგუნე ფონად იქცა და ამ ფონზე გაისმა ხმამაღალი, მკვეთრად წარმოთქმული სიტყვები:

—...ოხოტის ზღვის მეთევზეებმა ვადამდე შეასრულეს თევზჭერის თვიური გეგმა. ორშაბათიდან მოყოლებული ზღვის მაშვრალნი — შორეულ აღმოსავლეთელები უკვე ივლისის გეგმის ანგარიშში იმუშავებენ. დღეს კი მათ კვირა დღის განწყობილება დაუფლებიათ, ბაღები და პარკები სავსეა ათასობით მეთევზეთა ოჯახებით...

ვასნეცოვი მიმღებზე დაიხარა. მწარე ფიქრმა იმაზე, რომ ქვეყანამ ჯერ კიდევ არ იცის უბედურების შესახებ, რომელიც მას დაატყდა თავს, გამსჭვალა მისი გონება, მაგრამ მაშინვე გაქრა. მეორე აზრმა მთლიანად მოიცვა იგი. ეს

ხმა, ეს სიტყვები ხომ გუშინდელი, ჯერ კიდევ მშვიდობიანი დღიდან ისმოდა. ისინი თითქოს ორ ნაწილად გაყოფილი დროის საზღვარს წარმოადგენდნენ. და ვასნეცოვს წამიერად მოეჩვენა, რომ დრო შეჩერდა და დღევანდელი საშინელი დილა ჯერ კიდევ არ დამდგარიყო.

დიქტორი კი სულ ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა... იგი უკვე ჩვეულებად ქცეულ სიტყვებს წარმოთქვამდა, მაგრამ ვასნეცოვისათვის ისინი ახლა ისე გაისმოდნენ, როგორც ღრმა, დაუვიწყარი აზრით აღსავსენი.

იგი მიეკრა რადიომიმღებს, თუმცა ხმა მშვენივრად ისმოდა და ხარბად იშერდა, თითქოს ისრუტავდა ყოველივე იმ ნაცნობს, საყოველდღეოს, მშვიდობიანს, რასაც დიქტორი იუწყებოდა...

შემდეგ აჩქარებული მოძრაობით გამორთო რადიომიმღები.

და მაშინვე გაიგონა ღია ფანჯრიდან შემოჭრილი ხმაური ქალაქისა, რომელიც იღვიძებდა: ავტობუსების წყვეტილი გუგუნი, ტრამვაის ზარის ჟღრიალი...

და არც ერთმა მათგანმა, ვინც გაჩერებაზე ტრამვაის უცდიდა, ვინც ავტობუსებით მიემგზავრებოდა, არც ერთმა მათგანმა, ვინც აჩქარებული ნაბიჯით მიდიოდა ტროტუარზე და სამუშაოზე მიეშურებოდა, — ჯერ კიდევ არაფერი არ იცოდა საშიშროებაზე, რომელიც თითოეულ მათგანს კარს მოადგა.

ამის გაფიქრებამ მოულოდნელად გააოცა ვასნეცოვი თავისი ტრაგიკულობით, და გული მეტისმეტად დაუმძიმდა, რომ მას — ერთ მათგანს, ვისიც სჯერათ და ვისზეც არიან დანდობილი ეს ადამიანები, არაფრის გაკეთება არ შეუძლია იმისათვის, რომ საშიშროებამ გვერდი აუაროს და არ შეეხოს მათ...

გაისმა მაღალი სიხშირის ტელეფონის აპარატის — მთავრობის საქალაქთაშორისო კავშირის — ძლიერი ზარი.

ვასნეცოვი ყურმილს ეცა იდუმალი, ქვეცნობიერი იმედით, რომ იმ აზრს თან მოჰყვება რაღაც ახალი, მნიშვნელოვანი, რაც სათანადო მსვლელობას მისცემს ყველა მოვლენას.

მან ხელი სტაცა ყურმილს, თავისი გვარი დაასახელა და სადენის მეორე ბოლოში წარმოთქმულ პირველსავე სიტყვაზე მიხვდა, რომ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ლაპარაკობდა.

ამ დროს კაბინეტში ერთიმეორის მიყოლებით დაიწყეს შემოსვლა გამოძახებულმა ბიუროს წევრებმა.

ვასნეცოვი ყურადღებით უსმენდა ყურმილიდან მომდინარე ხმას და დროგამოშვებით მოკლედ ამბობდა: „დიახ... გასაგებია... დიახ...“ — და გამაფრთხილებლად ასწევდა თითს, როცა ოთახში თათბირის მორიგი მონაწილე შემოდიოდა.

როგორც იქნა, მან დადო ყურმილი, მძიმედ მოავლო თვალი გრძელი მაგიდის გარშემო შემომსხდართ და თქვა:

— ამხანაგებო, დღეს თორმეტ საათზე რადიოთი გამოცხადებულ იქნება, რომ დაიწყო ომი. გადაწყვეტილება მობილიზაციის შესახებ უკვე მიღებულია. გარდა ამისა, რვა რესპუბლიკაში და თექვსმეტ ოლქსა და მხარეში, მოსკოვისა და ლენინგრადის ჩათვლით, საომარი მდგომარეობა ცხადდება. ცენტრალური კომიტეტი წინადადებას გვაძლევს, დაუყოვნებლივ შევუდგეთ თავდაცვის ღონისძიებათა გეგმის შესრულებას. ანდრეი ალექსანდრეს ძე ქალაქში ბრუნდება.

დღის თორმეტ საათზე ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის დავალებით, მოლოტოვმა წარმოთქვა მოკლე სიტყვა. იგი საბჭოთა კავშირის ყველა რადიოსადგურმა გადასცა...

და ოცდაორი ივნისის შუადღე საბჭოთა ადამიანების ცხოვრებაში ახალი ისტორიული პერიოდის დასაწყისი გახდა.

ამ მომენტიდან ყოველივე ის, რაც ადრე ქვეყნის, ოჯახის ან ცალკეული ადამიანის ცხოვრებაში ხდებოდა, აგონდებოდათ აუცილებელი წინსართით: „ომამდე“...

„ომამდე“, „ომის დროს“, „ომის შემდეგ“ — ეს სიტყვები მთელი ათეული წლობით შემოვიდა ხმარებაში.

მაგრამ ივნისის იმ ცხელ შუადღეს, როცა ათასობით მოედანსა და ქუჩაზე, მილიონობით სახლში, გემთა რადიოჯიხურებში, მფრინავთა შლემოფონებში გაისმოდა სიმწარითა და აღშფოთებით აღსავსე სიტყვა მტრის თავდასხმის შესახებ, ადამიანები ჯერ კიდევ არ ფიქრობდნენ იმაზე, რა დიდხანს მოუხდებოდათ ომი.

მათი ფიქრები, მათი გრძნობები იმ წუთებში ერთი ყოვლისმომცველი ფაქტის გავლენის ქვეშ იყო: მტერი თავს დაესხა საბჭოთა კავშირს, ომი დაიწყო. და სიტყვის

დამთავრების შემდეგ მათს ყურებში ჟღერდა მხოლოდ სამი ფრაზა: „ჩვენი საქმე სამართლიანია, მტერი დამარცხებულ იქნება, გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება!“

...ბიუროს სხდომა შედარებით მალე დამთავრდა. უკვე დილის შვიდ საათზე ქალაქკომის მდივნები, განყოფილებათა გამგეები აქეთ-იქით გაემგზავრნენ ქალაქში — წარმოებებში, სამხედრო ნაწილებში, თითოეული მასზე დაკისრებულ დავალებათა შესასრულებლად.

ხელმძღვანელთაგან სმოლნში დარჩა მხოლოდ ვასნეცოვი — რათა არ შეეწყვიტა კავშირი ოლქის სარდლობასთან და მოსკოვთან, მაგრამ ორი საათის შემდეგ, რაც მთავრობის ცნობა გაისმა ეთერში, ისიც ქალაქში გაემგზავრა.

უწინარეს ყოვლისა, ვასნეცოვს უნდოდა შემოევლო რამდენიმე სამხედრო კომისარიატი, რათა დარწმუნებულიყო მათს მზადყოფნაში სამხედრო ვალდებულთა მობილიზაციის დაწყებისათვის — ამის შესახებ განცხადებას ყოველ წუთს მოელოდნენ.

სმოლნთან ყველაზე მახლობელი სამხედრო კომისარიატი მეზობელ ქუჩაზე მდებარეობდა.

ვასნეცოვმა ჯერ კიდევ შორიდან დაინახა რიგი კვარტალის შუაში. იქ, სადაც სასურსათო მაღაზია იყო, — მანქანის სარკმლიდან კარგად მოჩანდა დიდი აბრა „ბაკალეია“. „აი, ომის პირველი შედეგიც“, — სიმწრით თქვა მან და გაიფიქრა, რომ, ალბათ, აუცილებელი გახდებოდა საბარათო სისტემების შემოღება.

ვასნეცოვის ნაფიქრალი არ გამართლდა. მაღაზიის შესასვლელთან ხალხი გროვდებოდა, მაგრამ რიგი მეზობელ კარს მიდგომოდა, რომელსაც რაიონის სამხედრო კომისარიატის პატარა აბრა ამშვენებდა.

„კი, მაგრამ ეს როგორაა, — განცვიფრებით, შვებითა და სიხარულით გაიფიქრა ვასნეცოვმა, — მობილიზაციის შესახებ ხომ ბრძანება ჯერ არ გამოცხადებულა!“

რიგში მდგომთა უკმაყოფილო წამოძახილების მიუხედავად ვასნეცოვმა ძლივს გაარღვია რიგი და სამხედრო კომისარიატის მისაღებ ოთახში მოხვდა. მერე ასევე ხალხით გაჭედილი კიბე გაჭირვებით აიარა და მეორე სართულზე მოთავსებულ სამხედრო კომისრის კაბინეტს მიაშურა.

ოთახის კარებთან ორი წითელარმიელი იდგა. ისინი ძლივს აკავებდნენ მოწოლილ ხალხს. ვასნეცოვი იძულე-

ბული გახდა თავისი ვინაობა დაესახელებინა, სანამ სამხედრო კომისართან შეუშვებდნენ.

ქაღალდის დასტებით დაზვინულ მაგიდასთან ხნიერი მაიორი იჯდა. მას ბამბის ქსოვილის გიმნასტურა ეცვა, რომელიც ოფლით დასველებოდა. ვასნეცოვი რომ დაინახა, სწრაფად წამოდგა და სასოწარკვეთილი ხმით უთხრა:

— რა ვქნათ, ამხანაგო ვასნეცოვ? თავბრუ მესხმის! მარტო ორი საათის განმავლობაში ათას ხუთასი განცხადება მივიღეთ!

— ვფიქრობ, უნდა გვიხაროდეს, — წამოიწყო ვასნეცოვმა, მაგრამ სამხედრო კომისარმა შეაწყვეტინა:

— დიახ, მაგრამ ბრძანება ხომ ჯერ არ გამოქვეყნებულა! რა ვქნათ, რა ვუპასუხოთ? —მან ხელი გაიქნია მაგიდაზე დაწყობილ ფურცლების დასტებისაკენ. — აქ ხომ მოხუცებიც არიან და ახალგაზრდებიც! გასაწვევი ასაკის ადამიანები, მოზარდებიც და მთლად ბებრებიც! არა, ერთი ნახეთ!

მაიორმა ერთი დასტა გადაქექა, ქაღალდის ფურცელი გამოაძრო, თვალი გადაავლო და ვასნეცოვს გაუწოდა. მან წაიკითხა ქიმიური ფანქრით ნაჩქარევად ნაწერი სტრიქონები:

„მე 1905 წლის რევოლუციური ბრძოლების მონაწილე ვარ. 1918-ში იუდენიჩს ვურტყამდი. სამოქალაქო ომში მეტყვიამფრქვევეთა ოცეულს ვმეთაურობდი. გთხოვთ დაუყოვნებლივ გამიწვიოთ სამხედრო სამსახურში...“

— ეს ხომ ძლიერ კარგია! — წამოიძახა ვასნეცოვმა და სამხედრო კომისარს ფურცელი დაუბრუნა.

— აბა რა არის კარგი, რა? — წამოიყვირა სამხედრო კომისარმა, ვასნეცოვს ხელიდან გამოსტაცა ფურცელი და მაგიდაზე დააგდო. — იცით რამდენი წლისაა ეს მეტყვიამფრქვევე? სამოცდაცამეტ წელშია დაბადებული — გესმით? დიდი ხანია, აღრიცხვიდან მოხსნილია!

— უმდა მიგეცათ განმარტება...

— რა განმარტება, — კვლავ შეაწყვეტინა სასოწარკვეთილებით სამხედრო კომისარმა, — ისეთი აურზაური ატეხა!

კარს უკან გაისმა ხმაური, რასაც ცალკეული წამოძახილები ფარავდა.

— გესმით, ამხანაგო ვასნეცოვ, — საცოდავად წარმოთქვა მაიორმა, — და ყველას მხოლოდ სამხედრო კომისართან უნდა შემოსვლა! განყოფილების გვერდის აე-

ლით! ჰგონია, რომ მე აქვე შევაიარაღებ მათ და ფრონტზე გავგზავნი. ამხანაგები უნდა დამახმაროთ, თორემ გავიგუდებით! უკვე სამჯერ მოვახსენე ქალაქის სამხედრო კომისარს. ათი კაცი მაინც მჭირდება, რომ ეს ნაკადი დავშალო!

— კარგი, ამხანაგო მაიორო, შევეცდები დაგეხმაროთ, — დინჯად უპასუხა ვასნეცოვმა, რომელსაც დიდი კმაყოფილება აგრძნობინა ახლახან მოსმენილმა სიტყვებმა.

...ვასნეცოვმა ძლივს გააღწია გასასვლელისაკენ, მანქანაში ჩაჯდა და შოფერს კიდევ ერთი სამხედრო კომისარიატის ძისამართი მისცა. აქ იგივე ამბავი ხდებოდა. ასობით ადამიანი მიკვროდა კარს. აქ იყვნენ ჭაბუკებიც, ქალიშვილებიც და მოხუცებიც. ვასნეცოვი არ შევიდა სამხედრო კომისარიატში, რადგან მიხვდა, რომ იმავე საჩივრებისა და იმავე მოთხოვნათა მოსმენა მოუხდებოდა. შოფერს უბრძანა, უახლოეს პარტრაიკომში წასულიყვნენ. რაიკომის მდივანი ადგილზე არ დახვდა. მორიგემ მოახსენა, რომ იგი დილიდანვე საწარმოებში წასულიყო.

ვასნეცოვი ტელეფონით დაუკავშირდა ქალაქის სამხედრო კომისარიატს. კომისარმა უპასუხა, რომ შეუდგნენ ყველა შესაძლებელი ზომის მიღებას. არა უგვიანეს ერთი საათისა სამხედრო კომისარიატები მიიღებენ საჭირო შევსებას, და დაუმატა, რომ წინასწარი მონაცემების მიხედვით ომის დაწყების შესახებ რადიოთი გამოცხადებიდან ერთი საათის განმავლობაში სამხედრო კომისარიატებში შემოვიდა ათასობით მოხალისის განცხადება.

ვასნეცოვი მხნე, ხალისიან გუნებაზე გამოვიდა რაიკომის შენობიდან, მანქანაში ჩაჯდა და შოფერს უთხრა:

— კიროვის ქარხანაში, კოლია.

მისი სიტყვები ისე ხმამაღლა და თავმომწონედაც გაისმა, რომ შოფერმა საყვედურით შეხედა მას და ჰკითხა:

— რა გიხარიათ, სერგი ათანასევიჩ?..

მაგრამ ვასნეცოვმა, ეტყობოდა, ვერ გაიგონა მისი შეკითხვა...

XIII

ისინი—ვერა და ანატოლი—ბელოკამენსკის ვაგზლის ბაქანზე იდგნენ.

ათი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც ანატოლი ავად გახდა. მთელი ეს დრო ვერამ მის სასთუმალთან გაატარა. ლე-

ნინგრადიდან მას დეპეშებით ბომბავდნენ, ვერა ასეთ პასუხს აძლევდა: „ავად გავხდი, სერიოზული არაფერი არ მჭირს, ამ დღეებში წამოვალ“. ნათესავები ჯავრობდნენ, აძალებდნენ ვერას, დაუყოვნებლივ დაბრუნებულიყო შინ და ნუ ანერვიულებდა მშობლებს. ქალიშვილი არ მიდიოდა. დღეებს და თითქმის მთელ ღამეებს ანატოლის საწოლთან ატარებდა.

ერთი კვირის შემდეგ ანატოლი თავს უკეთ გრძნობდა. ერთი დღის შემდეგ წამოდგომაც სცადა. მეათე დღეს მათ გამგზავრება გადაწყვიტეს. ანატოლიმ მშობლებს დეპეშა გაუგზავნა, რომ შინ ბრუნდებოდა. ვერამ იმ საღამოსვე იყიდა ბილეთები და მანაც გაგზავნა შინ დეპეშა. ნათესავები მას უგულოდ დაემშვიდობნენ. და აი ანატოლი და იგი მატარებლის მოლოდინში დილაადრიან დგანან ბაქანზე.

თითქოს ეს პატარა, წყნარი ფიცრული ბაქანი ცოტათი შეცვლილიყო. ოღონდ ახლა ვაგზლის კედლები ბრძანებებით, განცხადებებითა და პლაკატებით იყო დაფარული.

ბრძანება საყოველთაო მობილიზაციის შესახებ. სამხედრო წესების შემოღების შესახებ. შუქშენიღბვის შესახებ. განცხადებები მატარებლის ბილეთების გაყიდვის ახალი წესის შესახებ, მახლობელი ბომბსაფარის ადგილმდებარეობის შესახებ. პლაკატები: „სიკვდილი ფაშიზმს!“, „გავანადგურეთ მტერი!“

მაგრამ ყოველივე დანარჩენი თითქოს ძველებურად იყო. აუჩქარებლად მიჰყვებოდა ლიანდაგს მბზინავ სპეცტანსაცმელში გამოწყობილი ვაგონის ოსტატი, ერთ ხელში საზეთე ეჭირა, მეორეში გრძელი ჩაქუჩი. მოშორებით ჩემოდნებზე განმარტოებით იჯდა რამდენიმე მგზავრი. უკვე ამოვიდა მზე. უღრუბლო ცა თვალისმომჭრელად ლურჯი იყო.

ვერა და ანატოლიც თავიანთ ჩემოდნებზე ჩამოსხდნენ.

— თითქოს ომი არც კი არისო, — ჩაფიქრებით თქვა ვერამ.

— ოჰ, ომი აქედან შორსაა! — გაზვიადებით მხნედ უპასუხა ანატოლიმ.

— თავს როგორა გრძნობ, სიცხე ხომ არა გაქვს? — შეეკითხა ვერა და ანატოლის შუბლისაკენ გაიწვდინა ხელი.

მან უკმაყოფილოდ გაიწია განზე და თქვა:

— თავი დამანებე! ახლა ვინ ფიქრობს, სიცხე აქვს თუ არა?

— აბა, რაზე ფიქრობ ახლა?

— უაზრო შეკითხვაა! იმაზე, რომ მალე ჩავიდე ლენინგრადში და სამხედრო კომისარიატში გამოვცხადდე. ეს გაცილებით უფრო ადრე უნდა გამეკეთებინა.

— მაგრამ შენ ხომ ავად იყავი! ექიმის ცნობაც გაქვს.

— შესანიშნავი განმარტებაა! — გაღიზიანებით აიჩეჩა მხრები ანატოლიმ. — „სად იყავით თქვენ, როცა მობილიზაცია დაიწყო, ამხანაგო ვალიცკი?“ — „მე, უნდა მოგახსენოთ, ავად ვიყავი. უდროო დროს ვიბანავე მდინარეში. აი, დოკუმენტი, ინებეთ...“

იგი გაბრაზებული იყო ყველაზე: ვერაზე, ვის გულისათვისაც აქ ჩამოვიდა, ავადმყოფობაზე, რომელმაც ლოგინად ჩააგდო და უფრო კი თავის თავზე.

გამწარებული იყო და რცხვენოდა, რომ ის არ იყო ერთი პირველთაგანი, არა, ყველაზე პირველი მათ შორის, ვინც იმ კვირადღეს მოლოტოვის სიტყვის მოსმენისთანავე სამხედრო კომისარიატში გამოცხადდა.

მას ეჩვენებოდა, რომ მოშორებით მსხდომი მგზავრებიც და თვით ვერაც კი სიბრალულნარევი გაოცების გრძნობით უცქერიან მას — ახოვან, ჯანსაღ ჭაბუკს, გამოწყობილს სამოქალაქო პიჯაკითა და ჯერ კიდევ გაუწმენდავი ფეხსაცმელებით, რომლებზეც სანაპიროს ტალახი და შლამი მიმხმარიყო.

ვერა კი სულ სხვა რამეზე ფიქრობდა; თავის ბედზე კი არა, — ამაზე ფიქრი მას საერთოდ არ მოსვლია თავში, — არამედ იმაზე, თუ რა მოხდებოდა ამის შემდეგ...

მას ესმოდა: მოხდა რაღაც უზარმაზარი, გაუგონარი, ის, რასაც მას ყოველთვის ახსენებდნენ, რაზეც წლიდან წლამდე აფრთხილებდნენ ხოლმე გამოსვლებში, სტატიებში, წიგნებში, სიმღერებსა და კინოსურათებში... და, მაშასადამე, ახლა ცხოვრება უნდა შეიცვალოს, რაღაც სხვანაირი, წინანდელისაგან განსხვავებული უნდა გახდეს... სახელდობრ როგორი, ვერას ეს ვერ წარმოედგინა, მაგრამ შეგნებული ჰქონდა, რომ ყოველივე ამასთან შედარებით მისი პირადი ბედ-იღბალი იმდენად ნაკლებმნიშვნელოვანია, რომ მასზე ფიქრი უგუნურებაც კი იქნებოდა.

სულ ახლახან, ფინეთის ომის ამბების მოსმენისას, ვერა ცდილობდა ოცნებით თავი ,ამ ომის მონაწილედ წარმოედგინა, ვითომც ფრონტზე ყოფილა.

მაგრამ ახლა იგი ფიქრობდა დედაზე, მამაზე, ანატოლიზე, ფიქრობდა არა ანატოლის უმიზეზო სინდისის ქენჯნაზე, როგორც მას ეჩვენებოდა, არამედ მის მომავალზე, მის შემდგომ ბედზე. გასულ დღეებში ვერამ, რომელიც ავადმყოფ ანატოლის უვლიდა, ფიქრებისათვის უბრალოდ ვერ მოიცალა. რა თქმა უნდა, ისე როგორც ყველა, ისიც ომზე ფიქრებით ცხოვრობდა. ყოველ წუთს ახალ ცნობებს ელოდა და მეზობელ ოთახში კედელზე მიმაგრებულ შავ თეფშისებურ რეპროდუქტორს უსმენდა...

და მაინც იგი „კონკრეტულად" ომზე არ ფიქრობდა. შეიგრძნობდა მას უბრალოდ, როგორც უზარმაზარ, შეგნებისადმი დაუმორჩილებელ უბედურებას, რომელიც თავს დაატყდა ყველაფერს, რაც მის ცხოვრებას შეადგენდა.

ანატოლის სულ სხვა რამე აწუხებდა. იგი ომს არ აღიქვამდა, როგორც რაიმე მრისხანეს, სადაც ყველასათვის ისეთი შედეგები იმალებოდა, რომელთა გამოცნობა ამჟამად შეუძლებელი იყო. ანატოლი ამაზე არც ფიქრობდა. ყველა მისი ფიქრი განედევნა იმ მწარე შეგრძნებას, რომ სწორედ ის მოვლენა, რომლის შესაძლებლობაზე ამდენს წერდნენ და ლაპარაკობდნენ, რომელსაც უკავშირდებოდა ვაჟკაცობის, გმირობის, თავდადების ცნებები, ბოლოს და ბოლოს მოხდა, ანატოლი კი განზე დარჩა.

იგი არ ფიქრობდა ომთან დაკავშირებულ მომავალ მძიმე გასაჭირზე, ან შესაძლებელ სიკვდილზე, რომელიც ყველა ომში უხილავად დგას ყოველი ფრონტელის ზურგს უკან, არც იმაზე, რომ ომი ვერასთან დააშორებდა.

ანატოლის სტანჯავდა ის, რომ სამხედრო ფორმა არ ეცვა, აწუხებდა იმის შიში, რომ ასე სამოქალაქო ტანსაცმლით ლენინგრადში ჩასულს შეიძლებოდა უკვე სამხედრო ფორმაში გამოწყობილი რომელიმე მეგობარი შეხვედროდა.

თავისი შემდგომი მოქმედების მიმართულებაში ანატოლის ეჭვი არ ეპარებოდა, ეს ნათელი იყო: სამხედრო კომისარიატი, ფრონტი. წამით თვალწინ დაუდგა როგორ იტირებდა დედამისი, ვერ წარმოედგინა მხოლოდ როგორ მოიქცეოდა მამა. რა თქმა უნდა, მოხუცი თავს არ დაიმდაბლებდა და ცრემლს არ დაღვრიდა — სენტიმენტალობა მისთვის უცხო იყო. და მაინც საინტერესოა, როგორ მოიქცევა მამა, გაიფიქრა ანატოლიმ. ბოლოს და ბოლოს

მას აქამდე არასოდეს არ ჰქონია შემთხვევა შვილი სასიკვდილოდ გაეცილებინა.

ეს სიტყვა „სიკვდილი“ ანატოლიმ პირველად თქვა გულში, ისე, რომ ამ ცნებისათვის არავითარი მნიშვნელობა არ მიუნიჭებია, მაგრამ თან პირქუშ სიამაყეს განიცდიდა.

ანატოლიმ მალულად შეხედა ვერას. რა უცნაურად აეწყო ყველაფერი, გაიფიქრა მან. სულ რაღაც ერთი წლის წინათ აზრადაც არ მოუვიდოდა, რომ ვერა იქნებოდა სწორედ ის ქალიშვილი, რომელიც მას ომში გააცილებდა. მან იცოდა, რომ ვერას იგი გაგიჟებით უყვარდა.

ამის შეგნება ანატოლის საკუთარ თვალში ამაღლებდა. მან წარმოიდგინა ვერა სადგურის ბაქანზე, იმ მატარებელთან მდგომი, რომელიც რამდენიმე წუთის შემდეგ წაიყვანს მას იქით, დასავლეთისაკენ. და მას შეეცოდა ქალიშვილი. ეს მატარებელი ისეთად წარმოიდგინა, როგორიც კინოეკრანებზე უნახავს ომის თემაზე შექმნილ ფილმებში, — წითელარმიელებით გაჭედილი, უპლაცკარტო, სატვირთო ვაგონები, თამბაქოს ბოლი, გარმონის ხმები, ატირებული ქალები ბაქანზე...

იგი ჩაეფლობა ახალ ცხოვრებაში, რომელიც საშიშროებასაც და გმირობის ჩადენასაც პირდება. დარჩება კი მის გულში ადგილი ვერასათვის? საეჭვოა.

და მას მაინც ეცოდებოდა ვერა. ეცოდებოდა და სწყინდა, რომ სწორედ ვერა ხედავდა მას ამ ათი დღის განმავლობაში ასეთ უმწეო მდგომარეობაში.

ნეტავ ჩქარა ჩავიდეს ლენინგრადში! ახლა დიდხანს ლოდინი აღარ დასჭირდება.

— თხუთმეტი წუთის შემდეგ მატარებელიც მოვა, — მაჯის საათზე დაიხედა და სთქვა ანატოლიმ.

— ჰო, კიდევ თხუთმეტი წუთი დარჩა, — გაიმეორა ვერამ და ძანაც დახედა საათს.

ბაქანზე ნელა მიდიოდა უცნაური კაცი. მას ეცვა საავადმყოფოს ნაცრისფერი ხალათი, რომლის ქვემოდან წინდებში ჩატანებული ქვედა საცვლის თეთრი ნაწიბურები უჩანდა, თავზე სამხედრო პილოტურა ეხურა. მარჯვენა ხელი დოლბანდის სახვევზე ჰქონდა ჩამოკიდებული.

იგი მიდიოდა, თან ყურადღებით იცქირებოდა აქეთ-იქით. როცა ტოლიას და ვერას გაუსწორდა, მოულოდნელად ჰკითხა:

— მითხარი, ძამია, სად არის აქ ფარდული, სადაც ლუდს ყიდიან?

მას ხრინწიანი ხმა ჰქონდა.

— რაო? — კითხვითვე უპასუხა ფიქრებში გართულმა ანატოლიმ.

— „რაო, რაო!" — გამოაჯავრა ხალათში გამოწყობილმა კაცმა. — გეკითხები, ლუდი სად იყიდება-მეთქი? ბიჭები ამბობდნენ ვაგზალში ფარდული არისო.

ანატოლის უნდოდა მკვახედ ეპასუხა, რომ ახლა რა დროს ლუდიაო. მაგრამ უცბად თვალი თვალში რომ გაუყარა, გარკვევით მიხვდა, მის წინ იდგა დაჭრილი, რომელიც მოსულიყო იქიდან, ომიდან.

— თქვენ... ფრონტიდან ხართ? — აჩქარებით ჰკითხა მან.

— დეიდასთან ბლინებს შევექცეოდი და იქიდან მოვდივარ, — უხეშად მიუგო იმ კაცმა ღაწვმაღალი, გაუპარსავი პირისახის მანჭვით.

— მაშ, ვურტყამთ ფაშისტებს? — ისევ შეეკითხა ანატოლი და მისი ხმა რაღაც ლაღად და იმავე დროს პირფერულად გაისმა.

— ჯერჯერობით ისინი გვირტყამენ, — უპასუხა კაცმა და გადააფურთხა.

ანატოლის უნდოდა ჩაეჩუმებინა ეს არასასიამოვნო, აშკარა პანიკიორის ტიპი, მაგრამ კიდევ ერთხელ შეავლო თვალი მის შეხვეულ ხელს და განზრახვის წინააღმდეგ დაბნევით ჰკითხა:

— მაგრამ... რატომ?

— მთელი მიზეზი ისაა, ძამია, რომ შენ ფრონტზე არა ხარ, — თვალების ჭუტვითა და შეურაცხმყოფელი, ბოროტი ღიმილით უპასუხა ხალათიანმა კაცმა. ისევ გადააფურთხა და დიდი ჩუსტების ფლატუნით განაგრძო გზა ფიცარნაგზე.

ვერამ დაინახა, როგორ მყის შეუფაკლდა ანატოლის დაფიქრებული, გამხდარი სახე და აღშფოთებით მიაძახა ხალათიან კაცს, რომელიც მათ თანდათან შორდებოდა:

— თუ არ იცი, არც უნდა ილაპარაკო!

ეს სიტყვები სულელურად, საცოდავადაც კი გაისმა.

კაცი მოტრიალდა, რამდენსამე წამს ირონიულად შესცქეროდა ვერას და მერე გულცივად უთხრა:

— კარგი. არსად გაუშვა ეგ შენი... დაჯავშნული.

...ამასობაში ბაქანზე ხალხმა იმატა. გამოჩნდა რამდე-

ნიმე სამხედრო პირი. ქალები თოკებითა და ღვედებით შეკრული ფუთებით, მამაკაცები პორტფელებით...

მატარებელი კი მაინც არ ჩანდა. უკვე ოციოდე წუთი გადასცდა მატარებლის ჩამოდგომის დროს, ხალხი ბაქანზე იდგა და იმედით, რომ ორთქლმავლის კვამლს დაინახავდა, დაძაბულად გასცქეროდა იმ მხარეს, სადაც რელსები თითქოს ერთ ძლიეს გასარჩევ ხაზად ერწყმოდნენ ერთმანეთს.

მაგრამ მატარებელი არ ჩანდა.

...და უცებ მომინდა, რომ მატარებელს რაც შეიძლებოდა მეტ ხანს დაეგვიანებინა. სანამ მატარებელი არ მოსულა, ჩემთვის და ტოლიასათვის ხომ თითქოს ძველი ცხოვრება გრძელდებოდა, მერე კი შევალთ ახალში — უცნობსა და შფოთიანში, რომელშიც უკვე ერთად აღარ ვიქნებოდით.

მე გამახსენდა, როგორ ვიჯექი სულ ახლახან ჩემს „მანსარდაში" და ვფიქრობდი, მიყვარს ტოლია თუ არა. ახლა კი მსგავსი კითხვა პირმოთნედ და სულელურად მომეჩვენებოდა. იმიტომ, რომ ამ დღეების განმავლობაში ნამდვილად გავიგე, თუ როგორ მიყვარს იგი. რა უაზროა, რა საწყენია, რომ ნამდვილად ადამიანი სიყვარულს მხოლოდ მაშინ იწყებს, როცა მისი დაკარგვის შიში შეიპყრობს!..

მატარებელი კი ისევ არ ჩანდა.

მატარებელი მხოლოდ საღამო ხანს მოვიდა. და ბელოკამენსკის ბაქანზე მყოფი ადამიანები, რომლებიც მშვიდობიან დროს თავიანთ ვაგონებში წყნარად და ალიაქოთის გარეშე შევიდოდნენ, ახლა დიდი ხნის ლოდინით გაწამებულნი, გრძნობდნენ რა მათთვის ჩვეული ცხოვრების წესის დარღვევას, გააფთრებით ეცნენ ვაგონების კიბეთა საფეხურებს და შეიქმნა ერთი ჭყლეტა და გაწამაწია.

ვერა და ანატოლი პლაცკარტიან ვაგონს ეცნენ. მაგრამ კიბის ზემოთა საფეხურზე გამცილებელი იდგა, მოხურული კარის სახელურს ჩაჭიდებოდა და ყვიროდა, ვაგონში ადგილები აღარ არისო.

ანატოლიც პასუხად რაღაცას უყვიროდა, ბილეთებს

აფრიალებდა, მაგრამ მიხვდა, ვერაფერს გააწყობდა და ვერა სხვა ვაგონისაკენ წაიყვანა.

როგორც იქნა, ხალხით გაჭედილ საერთო ვაგონში შეაღწიეს.

ისინი ყველაზე ბოლოს აძვრნენ. მათ წინ კიბეზე აბობღდა გაბარდინის პლაშჩიანი ენერგიული ტიპი, რომელსაც ხელში პატარა ჩემოდანი ეჭირა. მან ოდნავ უბიძგა კიდეც ანატოლის, რომელიც ვერას ვაგონის მაღალ საფეხურზე ასვლაში შველოდა.

როცა ისინი ბოლოს და ბოლოს ვაგონში შეიჭედნენ, თავისუფალი ადგილები აღარ დახვდათ. ბარგის დასაწყობ ზემო თაროებზეც კი ხალხი იწვა. მაგრამ ანატოლი და ვერა ამან როდი განაცვიფრა. ორივეს უმგზავრია ხალხით სავსე ვაგონით.

არა, ეს მატარებელი განსხვავდებოდა სულ სხვა რაღაცით. იქნებ იმით, რომ ვაგონში სინათლის აუნთებლობის გამო სიბნელე მეფობდა, ან იმით, რომ ერთმანეთს მჭიდროდ მიკრული ადამიანები უჩვეულოდ დუმდნენ, ან სხვა რაღაც ნიშნით, რომელიც ანატოლის და ვერას ჯერ ვერ გამოეცნოთ, მაგრამ ორივემ უცბად იგრძნო, რომ ისინი მათთვის უცნობ, ბნელ, მდუმარე, შეშფოთებულ სამყაროს ზღურბლთან იდგნენ.

გავიდა რამდენიმე წუთი, ადამიანები „დაბინავდნენ", „ერთმანეთს შეეწყვნენ", როგორც ჩასხდომის შემდეგ ყოველთვის ხდება ხოლმე. და გასასვლელიც გათავისუფლდა. ანატოლიმ თავისუფალი ადგილების მოსანახად ვაგონის გასწვრივ გაიარა, მაგრამ დარწმუნდა, რომ ყველა ადგილი დაკავებული იყო. იგი ვერასთან დაბრუნდა. ისინი ტამბურში გამავალ კართან იდგნენ. ხნიერმა გამცილებელმა ქალმა, ხელში ტყავის ბუდეში ჩაწყობილი დახვეული ალმები რომ ეჭირა, უთხრა, იქით გაიარეთ და სადმე ჩაეჩხირეთო.

ანატოლიმ საკმაოდ მკვახედ უპასუხა, ვაგონში ადგილები არ არისო, მაგრამ გამცილებელმა შეაწყვეტინა: „ვაგონი საერთოა და აქ ადგილები არავისთვის არ არის დაჯავშნულიო". შემდეგ კი ურჩია, ბარგი ერთ-ერთ საწოლქვეშ დაეწყოთ, თვითონ კი როგორც მოახერხებდნენ ისე მოწყობილიყვნენ, ოღონდ კარებში ნუ გაჩერდებოდნენ.

ანატოლი გასასვლელში გავიდა. თავისი და ვერას ჩემოდნები ისე ეჭირა, რომ საწოლებიდან გადმოშვერილ

უკვე დაწოლილთა ფეხებს არ წამოსდებოდა. ბოლოს ალალბედზე ჰკითხა ქვემოთა საწოლზე მოთავსებულ ერთ მამაკაცს, თუ მისცემდა ნებას მის საწოლქვეშ დაედგა ჩემოდნები. მან მოკლედ უპასუხა, შეყარეო. როცა ანატოლი ჩემოდნების შეწყობას შეუდგა, მხოლოდ მაშინ შეამჩნია, რომ საწოლზე მოკალათებულიყო სწოდეს ის გაბარდინის პლაშჩიანი ტიპი, რომელმაც მატარებელში ამოსვლისას წინ გაუსწრო. მას თავქვეშ ჩემოდანი ამოედო და პლაშჩგაუხდელად იწვა.

ანატოლი ბრაზმა აიტანა. ეს თავხედი რომ არ გამოჩენილიყო, მას და ვერას საწოლი ექნებოდათ. ახლა კი მთელი ღამე გასასვლელში დგომა მოუხდებათ.

იგი ვერას მიუბრუნდა და უთხრა:

— აი, აქ, ფანჯარასთან დადექი, ვეროჩკა, ეს მოქალაქე იმდენად თავაზიანია, რომ ნებას გვაძლევს მის საწოლქვეშ შევაწყოთ ბარგი.

სიტყვები „მოქალაქე“ და „ნებას გაძლევს“ ანატოლიმ ხაზგასმული ირონიით წარმოთქვა.

მატარებელი დაიძრა. ერთი წუთის შემდეგ ვიღაც მამაკაცის უკმაყოფილო — მომთხოვნი ხმა გაისმა:

— გამცილებელო, შუქს რატომ არ ანთებენ?

მას დაუტატანეს. ვიღაცამ წყვეტილად, ნაღვლიანად ჩაიცინა.

— შუქი არ იქნება, მშვიდობიანობის დროს კი არა ვმგზავრობთ!

— უნდათ, დამაჯერონ რაღა... მონახეს სათამაშო... — ჩაიბურტყუნა პირველმა ხმამ, — ომობანას თამაშობენ... ფრონტი აქედან ათას კილომეტრზეა, ესენი კი...

ბორბლების დაგადუგმა ხმები ჩაახშო.

ანატოლი და ვერა გასასვლელში, მტვრით დაფარულ ფანჯარასთან იდგნენ. ჰაერი აუტანლად შეხუთული იყო. ანატოლიმ სცადა ფანჯრის გაღება, მაგრამ ამ დროს გამცილებელმა ქალმა, რომელმაც ვაგონში გაიარა, უთხრა:

— ფანჯარა არ გააღოთ. აკრძალულია.

— ეშმაკმა იცის, რა ხდება... — გაღიზიანებით თქვა ანატოლიმ, — შუქი არ აანთოთ, ფანჯრები არ გააღოთ... თითქოს ფრონტი აქვე იყოს.

— რა ვუყოთ, ტოლია, ალბათ ასეთია წესი, — შემრიგებლურად შეაწყვეტინა ვერამ.

ანატოლი გაჩუმდა.

ფანჯრის იქით ბინდში გაიელვეს ბელოკამენსკის უკა-

ნასკნელმა სახლებმა, მეისრის ფიცრულმა ჯიხურმა. დაიწყო ტყე.

ვერა ფიქრობდა, რომ სულ ცოტა ხნის წინათ იგი სწორედ ასე იდგა ფანჯარასთან და ყველაფერი ეს — სახლები, ჯიხური, ტყე — მიცურავდა მის თვალწინ, ოღონდ პირუკუ.

მაგრამ მაშინ ტყესაც, ჯიხურსაც და სახლებსაც ზაფხულის მზის სხივები ეფრქვეოდა და ნათლად და მხიარულად გამოიყურებოდნენ. ახლა კი ყველაფერი, რაც ვაგონის ფანჯრის იქით იყო, ვერას უცხოდ, შემაშფოთებლად, ფარული საშიშროებით სავსედ ეჩვენებოდა.

მან ფანჯარას ზურგი შეაქცია და ჩუმად, მხოლოდ იმ მიზნით, რომ ანატოლის ხმა გაეგონა, ჰკითხა:

— როგორ ხარ, ტოლია, თავი ხომ არ გტკივა?

— ეჰ... რა დროს თავია... — გაღიზიანებით უპასუხა ანატოლიმ.

— მალე შინ ვიქნებით... — თქვა ვერამ.

— ჰო, ჰო. შვიდ საათსაც კი არ მოგვიწევს ფეხზე დგომა, რომ შინ ვიქნებით, — ბრაზით დაეთანხმა ანატოლი.

— მაგრამ... ამაში ხომ დამნაშავე არავინაა ტოლია, რას იზამ, — უთხრა ვერამ და მის ხელს შეეხო.

ვაჟს უცებ შერცხვა. მან ხელი მოუჭირა ქალიშვილის ხელს და უთხრა:

— მაპატიე. მე მხოლოდ ჩემს თავზე ებრაზობ. ყველაფერი ისე ბრიყვულად, უაზროდ გამოვიდა. ეს სულელური ავადმყოფობა, ეს ხალხით გაჭედილი მატარებელი... ნაცვლად იმისა, რომ ახლა იქ ვყოფილიყავი...

ვაჟი გაჩუმდა.

— ქალიშვილს შეუძლია დაჯდეს, — გაისმა მოულოდნელად მის ზურგს უკან.

ანატოლი მკვეთრად შემოტრიალდა. ეს სწორედ იმ გაბარდინის პლაშჩიანმა ტიპმა თქვა. ახლა იგი უკვე ნახევრად მიწოლილიყო, თავქვეშ ხელი ამოედო და ფეხები იატაკზე ჩამოეშვა.

— გმადლობთ, თქვენი თავაზიანობის გარეშეც ადვილად წავალთ, — ღვარძლიანად მიუგო ანატოლიმ.

— თქვენ არც შემიპატიჟებიხართ, — მშრალად, პოზის შეუცვლელად უთხრა პლაშჩიანმა კაცმა.

— გმადლობთ, გმადლობთ, — აჩქარებით ჩაერია ვე-

რა, — ჩვენ ხომ ერთად ვართ. თქვენ ნუ წუხდებით გეთაყვა.

— თავაზიანობა მატარებელში ამოსვლისას უნდა გამოგეჩინათ, — არ ცხრებოდა ანატოლი, — მუჯლუგუნები კი არ უნდა გეკრათ, როგორც... — მას სიტყვის ძებნაში ენა დაება, — როგორც ბაზარში... აქტიურობა ფრონტზე გამოგეჩინათ...

ეს უკანასკნელი ფრაზა ანატოლის თავისდა უნებურად წამოსცდა.

— როგორც გატყობთ, არც თქვენ ხართ ჯერჯერობით გასაწვეკ ასაკს გადაცილებული, — გაისმა მშვიდი პასუხი.

— ეს თქვენი საქმე არ არის, — ჩაიბურტყუნა ანატოლიმ.

— რა თქმა უნდა, — გულგრილად დაეთანხმა პლაშჩიანი.

შემდეგ იგი მოულოდნელად წამოდგა. თავისი ჩემოდანი გვერდულად კედელს მიაყუდა, ჩამოჯდა, ჩემოდანზე ხელი ჩამოსდო და თქვა:

— დასხედით ორივენი.

— ჩვენ უკვე გიპასუხეთ, რომ... — ის იყო წამოიწყო ანატოლიმ, მაგრამ მან ბრძანების კილოთი შეაწყვეტინა:

— მე ვთქვი: დასხედით. ადგილი საკმარისია.

უცებ შუქის წვრილმა ნაკადმა გაიელვა. კაცს ხელში ჯიბის ფარანი ეჭირა. მან საწოლზე გათავისუფლებული ადგილი გაანათა, შემდეგ მოურიდებლად მიანათა სხივი ანატოლისა და ვერას და შუქი გამორთო.

— დავსხდეთ, ტოლია, — ხმადაბლა შემრიგებლურად უთხრა ვერამ, — თუკი ამხანაგი გვთავაზობს... — და უკვე მთლად ჩურჩულით დაუმატა: — მთელი ღამე ხომ მგზავრობაში უნდა გავატაროთ...

ახლა საწოლზე უკვე სამნი ისხდნენ: პლაშჩიანი კაცი, ვერა და ანატოლი. იგი ზედ ნაპირზე ჩამოჯდა, თითქოს უნდოდა ეჩვენებინა, რომ არ სურდა ამ ტიპთან რაიმე საერთო ჰქონოდა.

ისინი მდუმარედ ისხდნენ. მოპირდაპირე საწოლზე ვილაც ქალს თავქვეშ ბოღჩა ამოედო, პალტო გადაეხურა და ეძინა.

მთვარე ამოვიდა. ის სარკმლიდან არ ჩანდა, მხოლოდ რკინიგზის ორივე მხარეს გადაშიმული ტყე უკვე ისე პირქუშად აღარ გამოიყურებოდა და ხეებიც ერთმანეთისაგან გამოირჩეოდნენ. ვაგონშიც სინათლემ იმატა.

სიწყნარე იყო; ზოგნი დასაძინებლად დაწოლილიყვნენ, ზოგნი მდუმარედ ისხდნენ გასასვლელში ჩემოდნებზე.

ეს სიჩუმე, რომელსაც მხოლოდ ბორბლების დაგადუგი არღვევდა, ვერას გულს უღონებდა. მან თავი ჩაღუნა. და სცადა ჩაეთვლიმა. მაგრამ ძილი არ ეკარებოდა. ძალიან მოსწყინდა.

პლაშჩიანი კაცი ისევ თავის ჩემოდანზე იყო დაყრდნობილი და ნახევრად შებრუნებული ფანჯარაში იცქირებოდა. ახლა ვერას შეეძლო მისი პროფილის გარჩევა. მას. გამხდარი სახე ჰქონდა, მაღალ ღაწვებზე კანი გადაჭიმოდა. შესახედაობით ასე, ორმოციოდე წლისა იქნებოდა.

მოულოდნელად იგი ვერასაკენ მობრუნდა, ჯიბეში ხელი ჩაიყო და დიდი ვაშლი ამოიღო.

— არ გინდათ? — ჰკითხა მან და ვაშლი ვერას გაუწოდა.

— არა, არა, როგორ გეკადრებათ... — ჩაიბუტბუტა ქალიშვილმა და მალულად შეხედა ანატოლის, რომელიც უძრავად იჯდა, თავი ძირს დაეხარა და თითქოს თვლემდა.

— აიღეთ, — თქვა ისევ პლაშჩიანმა თავისი მშრალი, უხალისო ხმით, ვერას მუხლებზე დაუდო ვაშლი და კვლავ ფანჯრისკენ შებრუნდა.

ქალიშვილმა აიღო ვაშლი, ისევ შეხედა ანატოლის და ცოტა მოკბიჩა. ვაშლი წვნიანი იყო და ვერას კიდევ უფრო ძლიერ მოსწყურდა. იგი აჩქარებით შეუდგა ჭამას.

— სტუდენტები ხართ? — მოულოდნელად ჰკითხა მეზობელმა ისე, რომ არც მობრუნებულა.

— დიახ, — ჩუმად უპასუხა ვერამ.

— ლენინგრადელები?

— დიახ.

— რა გქვიათ?

მის მოკლე, მშრალ შეკითხვებში ერთდროულად ჟღერდა მბრძანებლურობაც და გულგრილობაც. იგი, როგორც წელან, არც ახლა უცქეროდა ვერას.

ქალიშვილმა უპასუხა:

— ვერა.

მერე გაუბედავად დასძინა:

— იმას კი — ანატოლი.

და უბრალოდ, თავაზიანობისათვის ჰკითხა:

— თქვენ?

— კრავცოვი, — მოკლედ თქვა პლაშჩიანმა.

ამჯერად იგი შემობრუნდა. ახლა ვერას შეეძლო დაკვირვებოდა. მას უხეში, არასასიამოვნო სახე ჰქონდა, თხელი, მოკუმული ტუჩები და მარჯვენა წარბს ზემოთ ნაიარევი.

ვერამ ვაშლის ჭამა დაამთავრა, ნარჩენი ხელში ეკავა და არ იცოდა, სად გადაეგდო.

— აქეთ მოიტათ, — მოულოდნელად თქვა კრავცოვმა და ვერას ხელს შეეხო. ქალიშვილმა იგრძნო, რომ მას ხმელი, ცივი თითები ჰქონდა.

მან ვაშლის ნარჩენი გამოართვა და სარკმელთან კედელზე მიმაგრებულ საფერფლეში შეტენა.

— არდადეგებზე გამოემგზავრეთ? — ჰკითხა კრავცოვმა და მის ხმაში ვერას ამჯერად რაღაც ირონიისმაგვარი მოესმა.

— დიახ, — უპასუხა მან.

— შეუფერებელი დროა, — თითქოს გაკიცხვით, თითქოს სინანულით შენიშნა კრავცოვმა.

— რაღას ვიზამთ? — აჩქარებით მიუგო ვერამ. — უბრალოდ ასე მოხდა. — მან ისევ მალულად შეხედა უძრავად მჯდომ ანატოლის, — ეს ავად გახდა, ჰოდა შევფერხდით. ფილტვების ანთება ჰქონდა.

— ქმარია?

— არა, რას ბრძანებთ! უბრალოდ ჩვენ... ერთად ვიმგზავრეთ...

— გასაგებია, — მოკლედ შენიშნა კრავცოვმა.

— ვერა, მოდი ადგილები გავცვალოთ, აქ მეტი ჰაერია, — მოულოდნელად და რაღაცნაირი მშრალი ხმით თქვა ანატოლიმ და წამოდგა.

ვერამ იგრძნო, რომ გაწითლდა. ანატოლის მოქმედება მას უზრდელად, უტაქტოდ მოეჩვენა, მაგრამ მორჩილად წამოდგა. მათ ადგილები გაცვალეს.

ახლა ანატოლი კრავცოვსა და ვერას შუა იჯდა უძრავად. მოპირდაპირე კედელს შესცქეროდა და მთელი თავისი გამომეტყველებით ხაზს უსვამდა, რომ უწინდებურად არ სურდა მეზობელთან რაიმე საქმის დაჭერა. ყველა დუმდა, მხოლოდ ბორბლების დაგადუგი ისმოდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ კრავცოვმა სარკმლის ქვეშ მიშაგრებულ თაროზე დააწყო ხელები და თითქოს ჩათვლიმა.

— ტოლია, — ჩურჩულით უთხრა ვერამ, — რატომ იქცევი ასე? შენ ხომ აწყენინე ამ კაცს!

— აიტანს, — ანატოლიმ მხრები აიჩეჩა და დააძინა: — იპოვა რაღა დრო, გაგთამაშებოდა.

— რა სისულელეა! — ისევ ჩურჩულით უთხრა ვერამ, უკმაყოფილოდ გაიწია ანატოლისაგან და კრავცოვს შეხედა, რათა გაეგო, გაიგონა თუ არა მისი სიტყვები. მას კი, ჩანდა, მართლაც ეძინა.

ერთხანს ისინი დუმდნენ...

— ვერა, — ჩუმად უთხრა ანატოლიმ და მისკენ მიიწია, — ნუ გამიწყრები!

ქალიშვილი დუმდა.

— მე ვიცი, რომ სულელურად ვიქცევი, — ჩურჩულით განაგრძობდა ანატოლი, — მაგრამ გამიგე... მე ძლიერ მწყინს... ძლიერ მედარდება... ასე მგონია, ყველა ისე მიყურებს, როგორც... თითქოს ომს თავს ვარიდებდე, გესმის?.. ის დაჭრილიც, ბაქანზე... მას ხომ შევეზიზღე! და მართალიც იყო. მე მისი დავიწყება არ შემიძლია. უკვე კვირაზე მეტია, ომია, მე კი... შენ, ალბათ, გრცხვენია, ჩემს მაგიერ?

იგი ჩუმად, თითქმის ჩურჩულით ლაპარაკობდა, ენა ებმოდა, მაგრამ მის ხმაში ტკივილი და წყენა ისმოდა. ვერას შეეცოდა იგი. მისი ხელისგული ლოყაზე მიიდო და აჩქარებითა და დაბნეულად ალაპარაკდა:

— არა, არა, ტოლენკა, რას ამბობ? ასეთი რამე ფიქრადაც როგორ მოგივიდა. მე ხომ ვიცი, ეს ყველაფერი ჩემს გამო მოხდა, მხოლოდ ჩემი გულისათვის. მე სულელი ვიყავი, ტუტუცი, უკარება. ეს იმიტომ, რომ მიყვარხარ, ისე მიყვარხარ, თქმაც კი არ შემიძლია. და ყოველთვის მეშინოდა შენი დაკარგვისა, ოღონდ ვერ გეუბნებოდი ამას, მრცხვენოდა, მაგრამ მეშინოდა იმ წუთიდანვე როცა ერთმანეთი გავიცანით, მაშინ, ნავში, გახსოვს?..

მას ეგონა, რომ იმას არ ლაპარაკობდა, რაც საჭირო იყო. ყველაფერი ეს, ახლა, როდესაც ომია, დროს არ შეეფერებოდა და მისი სიტყვები ისე ჟღერდა, თითქოს იგი ისევ ძველ, კეთილსა და ნათელ სამყაროში ცხოვრობდა. ხვალ კი შეიძლება ერთმანეთს დაშორდნენ და ახლა მთავარია, ტოლია ცოცხალი გადარჩეს. ყოველივე დანარჩენი უკვე უმნიშვნელოა და ამაზე ლაპარაკი სასაცილოა და სულელურიც... ვერამ იგრძნო, რომ ტოლიას ხელისგული, რომელსაც იგი სულ უფრო და უფრო მაგრად იკრავდა ლოყაზე, დასველდა, და მხოლოდ მაშინ მიხვდა, რომ ტიროდა.

— ვერა, ვეროჩკა, ნუ, ნუ ტირი, — იმეორებდა ანატოლი, და მის ხმაშიც ცრემლი გამოკრთოდა. ანატოლი ხელისგულით უმშრალებდა მას სახეს, მეორე ხელით კი თავისკენ იზიდავდა, ეხვეოდა და მათ გადააკიწყდათ ყველაფერი — ხალხით გაჭედილი ნახევრადჩაბნელებული, თამბაქოს ბოლით გავსებული ვაგონიც, გარშემო მყოფი ადამიანებიც, რომლებიც შეიძლება ხედავენ და ესმით მათი ლაპარაკი...

და ამ მომენტში სადღაც სულ ახლოს გამაყრუებელი აფეთქების ხმა გაისმა. ვაგონი მძლავრად შეირყა. ფანჯრის იქით ცეცხლმა იელვა და წამით თვალის მოკვრელი სიკაშკაშით გაანათა ვაგონში ყველაფერი. მოისმა გულგამგმირავი, გამწივანი ხმა და ვაგონის სახურავზე თითქოს სეტყვამ დაუშვა. გაიწკრიალეს ფანჯრის მინის ნამსხვრევებმა.

უეცარი, ძლიერი ბიძგისაგან მატარებელი გაჩერდა თაროებიდან ბარგის ჩამოცვენის გრუხუნი, ადამიანთა ყვირილი — ყველაფერი ერთმანეთს შეერწყა და სადღაც სულ ახლოს ისევ გაისმა აფეთქება...

— გადით ვაგონიდან! ჩქარა! ყველანი გადით ვაგონიდან! — დაიყვირა ვიღაცამ ხმამაღლა, მბრძანებლურად და ვერა, რომელიც გასასვლელში ჩახერგილ ჩემოდნებსა და ფუთებს შორის ხელჩაკიდებული მიჰყავდა ანატოლის, მიხვდა, რომ ეს კრავცოვის ხმა იყო.

ისინი შიშისაგან გონდაკარგულ ადამიანთა შორის მიიკვლევდნენ გზას გასასვლელისაკენ. მათ ესმოდათ ბავშვების ტირილი, დახშული რაღაც ახალი, საშინელი, მოგუგუნე ხმით, რომელიც წინათ არასოდეს არ გაეგონათ. ბოლოს მიაღწიეს ტამბურს, სადაც ზურგიდან მოწოლილმა ხალხის ტალღამ გამოაგდო ისინი გარეთ...

ანატოლი და ვერა მაღალ მიწაყრილთან წაიქცნენ და ძირს დაგორდნენ, გვერდით კი გარბოდნენ, ეცემოდნენ და ისევ მიგორავდნენ ადამიანები. მათ თავს ზემოთ კი ციდან, სულ ახლო მანძილიდან ისმოდა აუტანელი ძლიერი გუგუნი...

და უკვე იქ, მიწაყრილის ქვემოთ, ლაფში ჩაწოლილმა ანატოლიმ და ვერამ დაინახეს, როგორ იწვოდა ცეცხლის ენებში გახვეული ვაგონები.

— ვერა, ვერა, გავიქცეთ! — სულშეხუთვით ყვიროდა ანატოლი. ივი წამოხტა, ხელში სწვდა ვერას, წამოაყენა და გაიქცნენ. გარბოდნენ, თვითონაც არ იცოდნენ,

საით. ორმოებში ვარდებოდნენ, ბუჩქნარს მიარღვევდნენ, წინ ვერაფერს ვერა ხედავდნენ და მარტო ერთი ფიქრით იყვნენ შეპყრობილი: რაც შეიძლებოდა უფრო შორს გაქცეულიყვნენ ამ საშინელებისაგან.

მაგრამ დიდხანს არ ურბენიათ. მათ თავს ზემოთ ისევ გაისმა გუგუნი, რომელიც თანდათან ძლიერდებოდა. ამ საშინელმა ხმამ, რომელიც წინათ არასოდეს არ გაეგონათ, აიძულა ისინი პირქვე დამხობილიყვნენ მიწაზე. შემდეგ ტყვიამფრქვევის ჯერი გაისმა, ერთი წუთის მერე კი ყველაფერი მიწყნარდა.

ანატოლიმ თავი ასწია. ვერა მის გვერდით იწვა, ორიოდე ნაბიჯის იქით კი — კიდევ ვიღაც ქალი. იგი პირქვე დაცემულიყო. მას ხალათი ეცვა, რომელიც დაცემისას აწეოდა და მთვარის შუქზე შიშველი, მსხვილი, ძუქი ვენებით დასერილი ფეხები უჩანდა.

— ვერა, წამოდექი, ისინი გაფრინდნენ! — საკუთარი თავისა და ქალიშვილის გასამხნევებლად უკვე ხმამაღლა თქვა ანატოლიმ. — ჩვენ უნდა წავიდეთ. ისინი შეიძლება ისევ მოფრინდნენ.

მან შეხედა ქალს, რომელიც მათგან ორ ნაბიჯზე იწვა და გაიმეორა:

— წამოდექით, ყველაფერი გათავდა.

მაგრამ ქალი არ იძვროდა. ეტყობოდა, იგი ძიშისაგან ჯერ კიდევ გონს ვერ მოსულიყო.

— წამოდექით! — ისევ-უთხრა ანატოლიმ და ხის მხარს შეეხო.

მან იგრძნო რაღაც მწებარე, თბილი, შეძრწუნებულმა მოაშორა ხელი და დაიყვირა:

— ვერა, იგი მოკლულია!

ვერამ შიში დასძლია და ქალის თავს შეეხო. თითებით თბილი და რბილი სისხლიანი მასა შეიგრძნო.

იმავე წამს სადღაც შორიდან კვლავ მოესმა თვითმფრინავის გუგუნი.

და მაშინ ორივე — ანატოლი და ვერა — ისევ წამოვარდნენ და გაიქცნენ...

...ისინი მხოლოდ მაშინ შეჩერდნენ, როდესაც ვერას სირბილი აღარ შეეძლო და დაეცა. ანატოლი არწმუნებდა, უკანასკნელი ძალ-ღონე მოეკრიბა და გზა განეგრძოთ, მაგრამ ვერამ უთხრა, მეტი აღარ შემიძლიაო.

ანატოლი მის გვერდით მუხლებზე დაეშვა და ტალა-

ხითა და ცრემლებით დასველებულ სახეს ცხვირსახოცით წმენდდა.

ისინი პატარა წარაფის პირას იმყოფებოდნენ. აქედან მატარებელი უკვე აღარ ჩანდა, მაგრამ ხანძრის ანარეკლი ჯერ კიდევ ბრიალებდა ცაზე.

სიჩუმემ დაისადგურა. მათ უკვე აღარ ესმოდათ არც აფეთქება, არც ყურის გამაყრუებელი გუგუნი, არც ხალხის ყვირილი.

— ეს ავიაციის თავდასხმა იყო, გესმის, თავდასხმა! — ქოშინით უთხრა ანატოლიმ.

ვერა დუმდა. ისიც სულს ძლივს ითქვამდა და ჯერ კიდევ ვერ გარკვეულიყო იმაში, რა მოხდა.

მან ყური მიუგდო ანატოლის სიტყვებს. თავდასხმაა? ჰო, რასაკვირველია, ეს თავდასხმა იყო. მას კინოში უნახავს, თუ როგორ ხდება ეს, მაგრამ ის, რაც მოხდა, არც ერთ კინოფილმს არ ჰგავდა.

თითქოს ეშინოდა, მის ხმას სადმე ჩასაფრებული მტერი მოისმენდა, ვერამ ჩუმად ჰკითხა:

— რაღა ვქნათ, ტოლია?

— არ ვიცი... უნდა ვიაროთ, სანამ ვინმე არ შეგვხვდება. იქნებ აქ ახლოს სოფელი იყოს.

— არ შემიძლია სიარული, — შესაბრალისად თქვა ვერამ, — ფეხები აღარ მემორჩილება.

— ცოტა დავისვენოთ და გაგივლის.

— სისველემ ლამის ძვლებში გამატანა...

და ისინი მხოლოდ ამ წუთში მიხვდნენ, რომ თან არაფერი არ ჰქონდათ, ჩემოდნები ხომ ვაგონში დარჩათ.

— ეჰ, ცუდად არის საქმე, — დაბნევით თქვა ანატოლიმ, — მეც მთლად დავსველდი.

— ისევ ავად გახდები, — შეშფოთებით უთხრა ვერამ.

— ეგ არაფერია! განა ახლა ამაზე ფიქრის დროა!

ანატოლი თანდათან გონს იკრებდა, შოკიდან გამოდიოდა. მან მიმოიხედა. ღამე უკვე იწურებოდა. უცბად რომ ცა ღრუბლებს არ ჩამოებურათ, ერთი საათის შემდეგ უკვე მთლად გათენებული იქნებოდა. მაგრამ ახლა ისინი ბინდში იყვნენ გახვეული. ანატოლიმ საათს დახედა — ისრები ორის ნახევარს უჩვენებდა.

ისინი ნამიან ბალახზე ისხდნენ. მახლობლად ტანწვრილი თეთრი არყების ხშირი წარაფი მოჩანდა. სადღაც ბაყაყი ყიყინებდა. იმ მხარეს, სადაც მატარებელი იდგა, ხანძრის შუქი ჩაქრა.

— მისმინე, ტოლია, — გაუბედავად თქვა ვერამ, — იქნებ დავბრუნებულიყავით იქ... მატარებელთან? რაც უნდა იყოს, იქ ხალხია... იქნებ ჩვენი ბარგიც გადარჩა...

— ხომ არ გაგიჟდი, — მკვახედ უპასუხა ანატოლიმ, — მათ შეუძლიათ ისევ მოფრინდნენ! ჩვენ უნდა დავისვენოთ და გზა განვაგრძოთ. ჯერ ადრეა. ერთ-ორ საათში გათენდება, და უსათუოდ ვინმეს შევხვდებით. ბოლოს და ბოლოს ლენინგრადის ახლოს ვართ და არა უკაცრიელ კუნძულზე.

რამდენიმე ხანს ისინი ორივენი დუმდნენ.

— ტოლია, როგორ მოხდა ეს, — კითხვითა თუ ხმამაღლა ფიქრებით თქვა ვერამ, — როგორ შეძლეს მათ... აქამდე მოფრენა? ფრონტი ხომ იქ, სადღაც შორსაა?

— არ ვიცი, — პაუზის შემდეგ უპასუხა ანატოლიმ, — იქნებ... — მისი ხმა უფრო ყრუდ ისმოდა, — იქნება ამ ერთ დღე-ღამეში რაიმე შეიცვალა?

ამ საშინელი ვარაუდით გულდამძიმებულნი ისინი ისევ დადუმდნენ.

— აი, რა, — თქვა ბოლოს ანატოლიმ, — მოდი, წავიდეთ იქით, ხეებისაკენ. თორემ ვსხედვართ აქ... თვალში საცემ ადგილზე.

ვერა მორჩილად წამოდგა. ისინი წარაფისაკენ გაემართნენ. ანატოლი წინ მიდიოდა, ფეხებს ძლივს ადგამდა. ფეხსაცმელებზე ტალახის გუნდები მოსდებოდა. სველი შარვალი კანჭებზე ეკვროდა. ვერა ფეხშიშველა მდუმარედ მიჰყვებოდა. ქუსლებმომძვრალი ფეხსაცმელები ხელში ეჭირა. ისინი უკვე წარაფის პირს უახლოვდებოდნენ, რომ უცბად ბინდიდან ვიღაცის ხმა მოესმათ:

— ვინ მოდის?

ანატოლი შეკრთა და შეჩერდა. ხმა ხეების იქიდან, მაგრამ სადღაც ქვემოდან, თითქოს მიწიდან, მოისმოდა.

— ეს ჩვენა ვართ... — დაბნევით უპასუხა მან და იმ წამსვე დაინახა ხშირი ბალახით დაფარული კაცი, რომელმაც ხელზე დაყრდნობით წამოიწია. ვერამ და ანატოლიმ მაშინვე იცნეს კრავცოვი. მას ისევ ის ლურჯი გაბარდინის პლაშჩი ეცვა, ოღონდ ზედ ტალახი, ფოთლები და ბალახი მიწებებოდა.

ვერამ რამდენიმე სწრაფი ნაბიჯი გადადგა კრავცოვისკენ და შვებით, სიხარულითაც კი შესძახა:

— ეს თქვენა ხართ? თქვენ?

— მე ვარ, — მშვიდად მიუგო კრავცოვმა და ისევ ბა-

ლახზე დაეშვა. — აბა, ერთი ჯოხი მომიტეხე, — მიუბრუნდა იგი ანატოლის.

— რაო? — ვერ მიუხვდა ანატოლი.

— ჯოხი, — მკვეთრად გაიმეორა კრავცოვმა, — რაიმე ტოტი. მსხვილი იყოს, გასაგებია?

ჯერ კიდევ ერთი საათის წინ ანატოლი საკადრის პასუხს გასცემდა ამ კაცს, ასეთი კილოთი და „შენობით" რომ მიემართა.

მაგრამ ახლა იგი მოხარული იყო ყოველგვარი მითითებისა, ვისგანაც უნდა ყოფილიყო. ანატოლიმ არ იცოდა, თუ რად დასჭირდა ამ კაცს ჯოხი, ამაზე არ უფიქრია. იგი სწრაფი ნაბიჯით გაეშურა წარაფის სიღრმეში და რამდენიმე წუთში დაბრუნდა, თან დიდ ტოტს მოათრევდა.

მან დაინახა, კრავცოვი უწინდებურად იწვა, მუხლებზე დაჩოქილი ვერა კი თავზე ადგა.

მაგრამ ანატოლის ეს არ გაკვირვებია. იგი განაცვიფრა იმან, რომ კრავცოვის გვერდით იდო სწორედ ის პატარა ჩემოდანი ასე რომ დაამახსოვრდა მას. ანატოლის ამოუხსნელ ამოცანად მოეჩვენა, ამ კაცმა რომ ასეთ კატასტროფაში თავისი ჩემოდნის გადარჩენა შეძლო.

ანატოლის დანახვაზე ვერამ თქვა:

— ამხანაგი კრავცოვი დაჭრილია. ფეხში.

ტყის სიბნელეში ანატოლიმ ჭრილობა ვერ შეამჩნია. მხოლოდ ის დაინახა, რომ კრავცოვს ცალ ფეხზე შარვლის ტოტი შემოხეული ჰქონდა.

— არაფერია, — უთხრა კრავცოვმა. — ჯოხი მომიტანე?

— კი, კი, — აჩქარებით უპასუხა ანატოლიმ, თან ტოტი გაუწოდა.

— ეს ხარების გასარეკი წნელია, — უკმაყოფილოდ უთხრა კრავცოვმა, — მე ჯოხი მჭირდება. დასაყრდენად. გამიგე?

და დაბნეულ ანატოლის რომ შეხედა, დასძინა:

— მაშ, კარგი. შემოამტვრიე ნახევრამდე. გამოდგება. — და მოულოდნელად იკითხა: — რომელს გაქვთ ასანთი?

— ასანთი? მოსაწევად? — თავაზიანად გაეხმაურა ანატოლი. — სამწუხაროდ, არც ასანთი მაქვს, არც პაპიროსი. არ ვეწევი.

— თქვენს ჭრილობას შეხვევა უნდა, — უთხრა ვერამ, — მაგრამ რომ არაფერი არა გვაქვს. ყველაფერი იქ დარჩა, ეაგონში, იქნებ, თქვენს ჩემოდანში...

მან ხელი გაიწვდინა ლითონის კუთხედებით შემოჭედილი დერმატინის პატარა ჩემოდნისაკენ.

— ხელი არ ახლო, — მოულოდნელად მკვახედ უთხრა კრავცოვმა და შეშინებულმა ვერამ ხელი განზე გასწია.

— მე მინდოდა იქ ცხვირსახოცი ან პერანგი მეპოვნა, — დარცხვენით თქვა მან, — ნუ გეშინიათ, მე მედიკი ვარ, შემიძლია.

კრავცოვმა ჩაიცინა.

— რაკი მედიკი ყოფილხარ, მიმკურნალე, — უთხრა მან მისთვის არადამახასიათებელი გულგრილი ირონიით. — მომიწიე ჩემოდანი... ვერა.

ქალიშვილმა მისწია ჩემოდანი, რომელიც მთლად მსუბუქი აღმოჩნდა, და შეეცადა გაეღო, მაგრამ კრავცოვმა ხელით მოიცილა იგი, წამოიწია და ჩემოდანზე დაიხარა.

ბინდში საკეტებმა გაიჩხაკუნეს.

— აპა, — უთხრა კრავცოვმა. მან ისევ დახურა თავსახური და ვერას რაღაც თეთრი გაუწოდა.

ქალიშვილმა აკურატულად დაკეცილი თეთრი მართკუთხედი გაშალა და თქვა:

— პერანგია, სულ ახალია!

— ჯანდაბას. დახიე, — უთხრა კრავცოვმა.

მაგრამ ქალიშვილს ღონე არ ჰყოფნიდა, რომ პერანგი დაეხია. მას ანატოლი მიეშველა.

— ჭრილობის დამუშავებაა საჭირო, — თქვა ვერამ, თან ისევ კრავცოვის ფეხისკენ დაიხარა, — მაგრამ რით. იქნებ ოდეკოლონი გაქვთ?

— არა, — მოკლედ მიუგო კრავცოვმა.

— მაშინ კარგი იქნებოდა ჭრილობა მოგვებანა, ზედ ტალახი მიკვრია. მაგრამ წყალი რომ არა გვაქვს.

— წყალი არის! — სწრაფად თქვა ანატოლიმ. — აქ ათიოდე ნაბიჯზე რაღაც თხრილია თუ ტბორი. მე დავინახე.

— ტბორი? — იკითხა კრავცოვმა. — ღრმა არის?

— მე... მე არ ვიცი, — დაბნეულად უპასუხა ანატოლიმ.

— ტოლია, წადი და ეს დაასველე, — უთხრა ვერამ და პერანგის ნაფლეთი გაუწოდა.

— და გასინჯე, ღრმა თუა ის ტბორი, ჯოხით გაზომე! — დაუმატა კრავცოვმა.

ანატოლიმ გაოცებით აიღო ჯოხი.

— აბა, ჰა, ჩქარა! — უბრძანა კრავცოვმა.

ანატოლი ხეებში მიიმალა, ვერამ კი გაკვირვებით შეხედა კრავცოვს. მას მოეჩვენა, რომ იგი სრულებითაც არ ჰგავდა იმ კაცს, რომლის გვერდითაც სულ ცოტა ხნის წინათ ვაგონის მერხზე იჯდა. იქ ის მშვიდი, გულგრილი ჰანდა.

ეს კრავცოვი კი სულ სხვანაირი იყო. ვერას არ გაუკვირდებოდა იგი დაბნეული, შეშინებული რომ ყოფილიყო. ყოველივე ამის შემდეგ, რაც მოხდა, ასეთი ცვლილება ბუნებრივი იქნებოდა, მაგრამ ახლანდელი კრავცოვი მას ეჩვენა გაღიზიანებული, ბრაზიანი, რომელიც სიტყვის შებრუნებას ვერ იტანდა. ისე ექცეოდა მათ, როგორც ბავშვებს, მოწაფეებს.

— გტკივათ? — ჰკითხა ვერამ.

— რაო?

— მე გკითხეთ, ფეხი ხომ არ გტკივათ-მეთქი.

— ა... ა, მორჩი რაღა! — ხელი ჩაიქნია კრავცოვმა.

ვერა გაჩუმდა. წუთის შემდეგ ანატოლი დაბრუნდა.

— ფსკერამდე ვერ ჩავწვდი! — რატომღაც სიხარულით წამოიძახა მან. შემდეგ ჯოხი მიწაზე დადო და სველი ჩვრები ვერას გაუწოდა.

ქალიშვილმა მუხლებზე დაიჩოქა და ფრთხილად დაუწყო კრავცოვს ჭრილობის გარშემო კანის მოწმენდა.

— ეს ნატყვიარია? — შეეკითხა ქალიშვილი.

— მედიკმა უნდა იცოდეს ცეცხლმსროლელი იარაღებით მიყენებული ჭრილობების გამოცნობა. — დაცინვით უპასუხა კრავცოვმა. — არავითარი ტყვია. წვეტიან რკინას წამოვეგე. როგორც ჩანს ძველი სახნისი ეგდო. მაშ, ანატოლი, შენ ამბობ, ტბორი ღრმა არისო?

— ფსკერამდე ვერ ჩავწვდი! — სწრაფად გაიმეორა ანატოლიმ.

— მაშ, ასე, — კმაყოფილებით შენიშნა კრავცოვმა. იგი ორივე ხელით დაეყრდნო ჯოხს და ტკივილისაგან შეკმუხვნილი წამოდგა.

— აიღე ჩემოდანი, — უბრძანა მან ანატოლის, — აბა, წავიდეთ შენი ტბორისაკენ.

ანატოლიმ ხელი წაავლო ჩემოდანს და წინ გაეშურა, მაგრამ კრავცოვმა ხმადაბლა შეძახილით შეაჩერა იგი:

— გვერდით მომყევი!

კრავცოვი მიდიოდა ნელა, მთელი ძალით ეყრდნობო-

და ჯოხს და ფეხს მიითრევდა. რამდენიმე წუთი გავიდა სანამ წყალთან მივიდოდნენ.

ირგვლივ გადატეხილი ხეები, ჯირკვები და წვეტიანი ტოტები გამოშვერილიყვნენ.

კრავცოვი რამდენიმე წამს უცქეროდა სწორ მღვრიე ზედაპირს, შემდეგ ანატოლის მიუბრუნდა და უთხრა:

— ჩააგდე. ოღონდ მოშორებით, რომ შუა გულში მოახვედრო. გაიგე?

— რა... ჩავაგდო? — განცვიფრებით ჰკითხა ანატოლიმ.

— „რა, რა"! — გამოაჯავრა კრავცოვმა. — ჩემოდანი. აბა, შიგ შუაგულში გადააგდე. გეყოფა ღონე?

— მაგრამ არ მესმის... — წამოიწყო ანატოლიმ. კრავცოვმა თქმა არ აცალა:

— ჩააგდე, — უბრძანა მან, — აბა, ჩქარა. ერთი!..

და ანატოლი უნებურად დაემორჩილა. მოიქნია და ჩემოდანი წყალში გადააგდო.

გაისმა ძლიერი ჩქაფუნი და ჩემოდანი გაქრა.

კრავცოვი რამდენიმე ხანს უცქეროდა წყლის ზედაპირზე გაჩენილ რგოლებს.

— ტბორი ღრმაა, — თქვა ანატოლიმ, რადგან ინტუიციით გრძნობდა, რომ კრავცოვს სიამოვნებდა ამის მოსმენა.

— ტბორი, ტბორი... — ირონიულად გაიმეორა კრავცოვმა. — ეს ტბორი კი არა, ჭაობია. ჭაობია, რომელშიც ტონიანი ბომბი ჩავარდა. გაიგე?

...რამდენიმე ხანს სამივენი წყალთან იდგნენ. შემდეგ ანატოლიმ და ვერამ მორცხვად შეხედეს კრავცოვს, თითქოს მისგან განმარტებებს მოელოდნენ, მაგრამ იგი დუმდა. გეგონებოდა, მათი იქ ყოფნა სულაც გადააავიწყდაო.

კრავცოვი დაძაბულად გასცქეროდა წყალს, ღაწვებზე კანი თითქოს კიდევ უფრო დაჭიმოდა, ხოლო მარჯვენა წარბს ზემოთ ნაჭრილობევი უფრო ჩაღრმავებოდა.

ანატოლი პატივისცემისა და არაკეთილგანწყობილების შერეული გრძნობით შესცქეროდა ამ უცნაურ კაცს. იგი ინსტიქტურად გრძნობდა კრავცოვის უპირატესობას, თუმცა თავის თავს ანგარიშს არ აძლევდა, თუ სახელდობრ რაში და იმავე დროს ეს გრძნობა, როგორც მას ეჩვენებოდა, ამცირებდა მას ვერას თვალში. ანატოლის ეშვი არ ეპარებოდა, რომ კრავცოვს ვერ გაუტოლდებოდა. მან არ იცოდა, ამის შემდეგ რა უნდა ექნა, საით წასულიყო. კრავცოვმა კი, როგორც ეტყობოდა, იცოდა. ჩემოდნის

უცნაური, იდუმალებით მოცული ისტორია მხოლოდ ხაზს უსვამდა ამ კაცის საოცარ მოქმედებას. ვინ არის იგი? იქნებ ბნელი პიროვნება? რა იდო ჩემოდანში? იქნებ მოპარული ნივთები?.. მაგრამ ანატოლი გრძნობდა, რომ ვერაფრით ვერ გაბედავდა ეკითხა ამაზე კრავცოვისათვის. ოვითონაც არ იცოდა რატომ. გუნებაში იქნებ ეშინოდა კიდეც მისი.

და ამასთანავე კრავცოვის იქ ყოფნა ამშვიდებდა ანატოლის. იგი ინსტიქტით გრძნობდა, რომ შეიძლებოდა მასზე დაყრდნობა. ვინც უნდა იყოს ეს კაცი უთუოდ მიიყვანს მათ რომელიმე დასახლებულ პუნქტამდე. იქ კი მისი დავიწყებაც შეიძლება. შემდეგ ყველაფერი უფრო გაადვილდება. საკმარისია მხოლოდ გამორკვევა, რა მანძილით არის დაშორებული ლენინგრადს და არის თუ არა მახლობლად რკინიგზის სადგური ან გზატკეცილი.

ვერაც ერთგვარი გაკვირვებით ფიქრობდა კრავცოვზე. იგი უცნაურ, არაჩვეულებრივ კაცად ეჩვენებოდა, მაგრამ ყველაზე ძლიერ ვერას კრავცოვის ჭრილობა აფიქრებდა, ფეხზე მიყენებული დიდი გლეჯილი ჭრილობა, რომელსაც დაუყოვნებლივ სჭირდებოდა დამუშავება, შემდეგ გაშეშების საწინააღმდეგო შრატის შეშხაპუნება. მაგრამ ყოველივე ეს შეიძლება გაკეთდეს მხოლოდ მაშინ, როცა ისინი უახლოეს სოფელს მიაღწევენ. იქ, რა თქმა უნდა, მედპუნქტი იქნება. და ტოლიასაც დაუყოვნებლივ უნდა გაუსინჯონ სიცხე, კარგი იქნებოდა პროფილაქტიკისათვის კოტოშებიც დააყარონ. მედპუნქტში უთუოდ იქნებათ. პნევმონიასთან ხუმრობა არ შეიძლება. უნდა დააჩქარონ კრავცოვი, უთხრან, რომ დროის დაკარგვა არ შეიძლება. თუმცა საერთოდ საკვირველია, როგორ შეუძლია მას ასეთი ჭრილობით ფეხზე დგომა. უნდა უშველონ სიარულში. მხრებში ამოუდგნენ და ატარონ...

— როგორ გგონიათ... — მორცხვად წამოიწყო ვერამ, მაგრამ კრავცოვმა შეაწყვეტინა, მბრძანებლურად, თუმცა ხმადაბლა უთხრა:

— ჩუმად!

ვერამ და ანატოლიმ გაოცებით შეხედეს ერთმანეთს. შემდეგ დაძაბულად მიაყურეს და მაშინ გაიგონეს რაღაც შორეული ყრუ გუგუნი...

— რა არის ეს? — შეშფოთებით იკითხა ანატოლიმ. — შენ გესმის?

— კი; — ჩუმად მიუგო ვერამ.

— ვერ გამიგია, რა გუგუნია, — განაგრძო ანატოლიმ. — იგი რაღაცას მაგონებს, ხოლო ვერ გამიხსენებია რას. თითქოს რაღაც ზვავი ან ჩანჩქერია. — მან შეკითხვის გამომეტყველებით შეხედა კრავცოვს.

— წავიდეთ, — მოულოდნელად წარმოთქვა კრავცოვმა. უცბად მობრუნდა და დაეცა. ტკივილისაგან სახე დაეღმიჭა.

ვერა მივარდა მას, მკლავში ხელი სტაცა, შეეცადა წამოეყენებინა, თან სხაპა-სხუპით ეუბნებოდა:

— ხედავთ? ხედავთ? ხომ გტკივათ? ცხადია, გტკივათ! ეს მუდამ ასეა, პირველ ხანებში ტკივილს ვერ გრძნობ, მერე კი ყველაფერი იწყება. ტოლია, მოდი აქ, ტოლია, მივეშველოთ წამოდგომაში...

ანატოლი იდგა, კისერი წაეგრძელებინა, ყურს უგდებდა, ცდილობდა გაეგო, რას ნიშნავდა ეს შორეული გუგუნი. დარწმუნებული იყო, რომ არა ერთხელ მოესმინა იგი, მაგრამ ვერაფრით გაიხსენა, სად, რა დროს.

ახლა იგი ადგილს მოწყდა, კრავცოვს მივარდა, მეორე მხარში შეუდგა.

— დამეხსენ, — ხელის კვრით მოიშორა იგი კრავცოვმა.

მათ გაოცებულებმა დუშვეს იგი ბალახზე.

კრავცოვმა გულდასმით შოავლო თვალი გარშემო მდგარ ხეებს და უკვე მშვიდი და მეგობრული ტონით წარმოთქვა:

— მგონი, ცოტა დასვენება მჭირდება, ახალგაზრდებო, ა? აი, ძალ-ღონეს მოვიკრებ და ისევ გზას გავუდგებით მარტოდ ხომ არ მიმატოვებთ, არა? თანაც ჯერ ადრეა. ყველას სძინავს. ადგილი კი აქ კარგია, მყუდრო. დავისვენოთ?

და მან ვერასა და ანატოლის მუდარანარევი ღიმილით ახედა.

— კი, მაგრამ თქვენი ჭრილობა... — წამოიწყო ვერამ.

— ჯანდაბამდე გზა ჰქონია, — ისევ გაიღიმა კრავცოვმა, — ჰოდა, ჭრილობისთვისაც უკეთესია. ცოტა დამიამდება. აბა? დავსხდეთ.

ისინი მორჩილად დასხდნენ კრავცოვის გვერდით. ამ კაცში მოულოდნელად მომხდარი ცვლილება მათ თან ამშვიდებდა და თანაც აშფოთებდა.

— ჰოდა ძალიანაც კარგია, ყმაწვილებო, ძალიან კარგია, — ლაპარაკობდა კრავცოვი, — მაშ შენ ტოლია გქვია? — ჰკითხა მან, თუმცა ადრევე სახელით მიმართავდა ანატოლის.

ანატოლიმ თავი დაუქნია.

— სად სწავლობ, ტოლია? — ისევ ჰკითხა კრავცოვმა.

ანატოლიმ ნერვიულად აიჩეჩა მხრები. მას თვითონ უნდოდა ათობით შეკითხვა მიეცა ამ კაცისათვის და, უწინარეს ყოვლისა, ეკითხა, საიდან გაჩნდნენ აქ, ფრონტიდან რამდენიმე ასეული კილომეტრის დაშორებით, გერმანელთა თვითმფრინავები, მაგრამ იგი, კრავცოვში მომხდარი ცვლილებებით ჩაფიქრებული, გაჩუმებულიყო.

მან უპასუხა, რომ სწავლობს სამოქალაქო საინჟინრო ინსტიტუტში.

— გასაგებია, — თავი დაუქნია კრავცოვმა. — მაშ, არ-დადეგებზე გაემგზავრე და ავად გახდი?

— ფილტვების ანთება ჰქონდა, — ჩაერია ვერა.

— მაშ, ასე, — ჩაფიქრებით წარმოთქვა კრავცოვმა. — ვინ იცის, იქნებ ასე ჯობდა.

ვერამ განცვიფრებით ასწია წარბები.

— ამით რის თქმა გინდათ? — გაკვირვებით ჰკითხა ანატოლიმ და წყენით დაურთო: — მაგ წყეული ავადმყოფობის გამო სამხედრო კომისარიატში ვერ გამოვცხადდი.

— ჰოდა, ესეც იღბალი, მოგვიანებით გამოცხადდები, — შემრიგებლური ღიმილით თქვა კრავცოვმა. — გიამბობ ერთ შემთხვევას, რაც თავს გადამხდა. ერთხელ მივლინებაში გამგზავნეს. მე ვაჭრობის ქსელში ვმუშაობ. მივედი მოსკოვის ვაგზალში, ბილეთები არ არის — არც რბილის, არც პლაცკარტის, მხოლოდ საერთოსი აქვთ. ტაკიმასხარა ხომ არ ვიყავი, რომ სახბორეთი მემგზავრა. მაგრამ რაც გინდ მომხდარიყო უნდა გავმგზავრებულიყავი — სამსახურებრივი მოვალეობა მაკისრებდა. ტაქსში ჩავხტი და აეროდრომისაკენ გავქანდი. ბედმა გამიღიმა — უკანასკნელი ბილეთი ვიშოვნე! ჩასხდომამდე ერთი საათი დრო მქონდა. ვიფიქრე, მოდი, ბუფეტში შევიელი, ას გრამს გადავხუხავ და ლუკმას შევატან-მეთქი. და უცებ რადიოთი აცხადებენ „მოქალაქე კრავცოვ, მოდით სალაროსთან". ავდექი და მივედი. და იცით რა მითხრეს? წინადადება მომცეს, ეგ ბილეთი ჩაგვაბარეო. ვეკითხები, რათა? მოლარე ქალი კი, წარმოგიდგენიათ რაღაცას მიედ-მოედება, ეს ბილეთი დაჯავშნული იყო და შეცდომით მოგყიდეთო. არაფერსაც არ მოგცემ-მეთქი, ავტეხე ყვირილი, ვერაფერი გავაწყე. მეუბნება. ან ბილეთი ჩამაბარეთ და ფული დაა?რუნეთ, ანდა შეინახეთ ის როგორც სუვენირი, სულ

ერთია ამ ბილეთით არ ჩაგსვამენო. მიეაფურთხე ამ საქმეს, ფული დავიბრუნე და ისევ მოსკოვის ვაგზალში წავგრიალდი, იქ კი საერთოს ბილეთებიც აღარ იყო. ჰოდა, გადავწყვიტე მეორე დღეს გავმგზავრებულიყავი, აი, რა მოხდა!..

ანატოლი და ვერა განცვიფრებით უსმენდნენ ამ უაბრო და იმ ვითარებაში უადგილო მონათხრობს.

კრავცოვი გაჩუმდა, ანატოლიმ მხრები აიჩეჩა და ჰკითხა:

— მერე და რა?

წამით კრავცოვს ტკივილისაგან სახე ისევ დაეღმიჭა. მაგრამ მაშინვე ეშმაკურმა ღიმილმა გადაურბინა.

— ისა, რომ, — თქვა კრავცოვმა ჩაფიქრებით, — ის თვითმფრინავი დაიმსხვრა. გაზეთებში ეწერა. გაიგე? ასე გამოდის — ილბალია...

— ვერ გამიგია, —თქვა ანატოლიმ, — რა საერთო აქვს ყოველივე ამას...

— დამაცადე, — შეაწყვეტინა კრავცოვმა, — ახლავე გაიგებ. ფორტუნა — სულელია, ამბობს ანდაზა, ტყვია კი — ის უფრო სულელი რამ არის. ვინ იცის, პირველ დღესვე რომ ფრონტზე წასულიყავი, იქნებ უკვე ცოცხალი არ ყოფილიყავი. ახლა კი ცოცხლობ, გაიგე?

ანატოლის სახეზე სისხლი მოაწვა. მან მუშტები შეკუმშა და ხმამაღლა უთხრა:

— თქვენ... სისულელეს ამბობთ!

— ტოლია, აბა, ასე რატომ... — ჩაერია ვერა, თუმცა კრავცოვის ნაამბობით მასაც გუნება აემღვრა, — უბრალოდ, გეხუმრებიან!..

— მე კი ამნაირ ხუმრობას, ისიც ასეთ მომენტში, არა ვცნობ, — კიდევ უფრო გაცხარებით შესძახა ანატოლიმ, — თანაც, იცოდეთ, მე კომკავშირელი ვარ...

— ოხ-ხო-ხო-ხო! — დამცინავად წარმოთქვა კრავცოვმა. — განა კომკავშირელებს არ უნდათ სიცოცხლე? ამბობენ, პარტიულებიც კი ნიავქარს არ ატანენო სიცოცხლეს. — ერთი ზედმეტი დღის სიცოცხლეს ვინ არ ეპოტინება. თუ კი რასაკვირველია, თავი აბია.

— აი, რას გეტყვით, — გადაჭრით უთხრა ანატოლიმ და წამოდგა, — მე თქვენ გაგიგეთ. ჯერ კიდევ მაშინ, ბელოკამენსკში, ბაქანზე გაგიგეთ, როცა მუჯლუგუნის კვრით ვაგონიდან განზე მიგვაგდეთ. ახლა კი ჩემთვის ქველაფერი ნათელია! ესე იგი, ადამიანები ფრონტზე სისხლს ღვრიან, თქვენ კი თქვენს სავაჭრო ქსელში მაქინაციებით

ხართ გართული, მერე კი ჩემოდნებს წყალში ყრით! ჰოდა, იცოდეთ, მე ლაჩრები მეზიზღება და მე...

ანატოლი თავს ვეღარ იკავებდა. სულ უფრო მეტი გაცხარებით გაიძახოდა საწყენ სიტყვებს, ცდილობდა, რაც შეიძლება უფრო მეტად შეელახა თავმოყვარეობა კაცისათვის, რომელიც მის ფეხებთან გაწოლილიყო. ანატოლი ლანძღავდა მას, თან კმაყოფილების გრძნობას განიცდიდა, თითქოს უნდოდა თავისი თავისადმი რწმენა განეტკიცებინა, კვლავ მოეპოვებინა ფეხქვეშ ნიადაგი და ის, რომ ამას ვერაც უსმენდა, ანატოლის მით უფრო მეტ კმაყოფილებას გვრიდა.

— დიახ, დიახ, — ყვიროდა იგი, — მეზიზღება ლაჩრები, რომლებიც სხვებთან ერთად მღეროდნენ „ხვალე ომი თუ ატყდა", მაგრამ როცა ომი დაიწყო, კუნჭულებში მიიმალნენ! მე რომ ტრიბუნალის თავმჯდომარე ვიყო...

სიტყვების ნაკადმა მას სული შეუგუბა, გაჩუმდა, მძიმედ ამოისუნთქა და თითქოს ყველაფერი შეაჯამაო, გადაჭრით თქვა:

— წავიდეთ, ვერა!

მთელი ამ ხნის განმავლობაში კრავცოვი ყურადღებით უსმენდა ანატოლის, არ აშორებდა თავის წვრილ, უმოძრაო თვალებს. არც ერთხელ არ შეაწყვეტინა ლაპარაკი არც სიტყვით, არც ჟესტით.

და მხოლოდ ახლა, ანატოლის უკანასკნელი სიტყვების შემდეგ, წამოიწია და უკეთური ჩაცინებით თქვა:

— მაშ, მე აქ დამაგდებთ?

ანატოლი განზე მიბრუნებულიყო და დუმდა.

— არც დაჭრილთა მიტოვება აქვთ კომკავშირელებს წესად, — ჭკუის დარიგებით უთხრა კრავცოვმა.

— თქვენ დაჭრილი არა ხართ, — კრავცოვისათვის არც შეუხედავს, გაბრაზებით უპასუხა ანატოლიმ, — თქვენ უბრალოდ მოკურცხლეთ და შემთხვევით ფეხი დაიშავეთ.

— სწორია, — დაეთანხმა კრავცოვი, — მაგრამ მე მაინც ვეღარ ვივლი. ნუ მიმატოვებთ?

— არა, ტოლია, ასე არ შეიძლება, — თქვა ვერამ. — ჩვენ უნდა მივიყვანოთ... იგი. თუმცა, — მიუბრუნდა იგი კრავცოვს, — პირდაპირ უნდა გითხრათ, თქვენი მსჯელობა მეც... უცნაურად მეჩვენება.

— ჰოდა, აი, შევთანხმდით, — შემრიგებლურად თქვა კრავცოვმა და ისევ ზურგზე დაწვა.

გათენდა.. მოთეთრო ბინდი თანდათან იფანტებოდა. სა-

დღაც უხილავი, ღრუბლებს მოფარებული მზე ამოდიოდა. ქარმა გაინავარდა, ხეები აშრიალდნენ და ტბორის მღვრიე წყალი ჰაერებით დაიფარა, კრავცოვი ისევ პირალმა იწვა. ანატოლი ზურგშექცევით იდგა რამდენიმე ნაზიჯის მოშორებით და მთელი გამომეტყველებით ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ კრავცოვი მისთვის აღარ არსებობდა. დაბნეული ვერა ერთ ადგილზე წრიალებდა. ხან ანატოლის შესცქეროდა, ხან ბალახზე გაწოლილ, დაგლეჯილ, ტალახში ამოვლებულ გაბარდინის პლაშჩიან კაცს.

— აი, რას გეტყვით, — თქვა ბოლოს ანატოლიმ, — უნდა ვიაროთ. უახლოეს დასახლებამდე მიგიყვანთ. იქ კი, იმედია, უჩვენოდაც ივარგებთ.

ყოველივე ეს მან ისე წარმოთქვა, რომ კრავცოვისათვის ზედაც არ შეუხედავს, შემდეგ კი გარზე გადაგდებულ ჯოხს დასწვდა, კრავცოვს მიუგდო და ვერას კუშტად უთხრა:

— მოდი, წამოდგომაში ვუშველოთ.

— აი, გმადლობთ, — უწინდებურად მშვიდობიანად თქვა კრავცოვმა და სცადა წამოდგომა. ტკივილისაგან სახე ისევ დაემანჭა, მაგრამ მაშინვე გაიღიმა და თქვა: — აქედან ადამიანებამდე სულ ხუთასიოდე ნაბიჯი თუ იქნება. რა ვქნა, უმაწვილებო, მიშველეთ ინვალიდს.

ანატოლიმ და ვერამ გაოცებით გადახედეს ერთმანეთს: საიდან იცის ამ უცნაურმა ტიპმა, სად იმყოფებიან ისინი, ხოლო თუ იცის, აქამდე რატომ იყო ამაზე გაჩუმებული?

შემდეგ ვერამ მას ხელში ჯოხი შეაჩეჩა. ანატოლისთან ერთად წამოდგომაში უშველა. ასე, ნელ-ნელა სიარულით, ისინი ნაცნობ წარაფის პირას გავიდნენ. და უცებ ანატოლიმ დაინახა კაცი. ეს იყო წვეროსანი მამაკაცი, ჩექმები და განიერი, შარვლის ზემოთ ჩამოშვებული ლურჯი პერანგი ეცვა, ხელში ცული ეჭირა. იგი ბალახზე მიაბიჯებდა და ნელა უახლოვდებოდა მათ. ანატოლიმ პირველმა დაინახა იგი და გახარებულმა შეჰყვირა:

— ჰეი, ამხანაგო!

ლურჯპერანგიანმა კაცმა თავი ასწია, მიახლოებული ადამიანები დაინახა და ცულის რხევით შეჩერდა.

ანატოლი მისკენ გაექანა და სვლის შეუჩერებლივ შეეკითხა:

— გვითხარით, ამხანაგო, სად ვიმყოფებით?

კაცმა თავიდან ფეხებამდე შეათვალიერა ანატოლი,

ვერე მზერა გადაიტანა ოდნავ მოშორებით გაჩერებულ ვერასა და კრავცოვზე, ისევ ანატოლის შეხედა და უპასუხა:

— მიწაზე იმყოფებით, ჭაბუკო.

— მე მესმის, — მოუთმენლად უთხრა ანატოლიმ, — ჩვენ მატარებლიდან ვართ, მატარებელს თვითმფრინავები დაეხსნენ, ჩვენ კი ლენინგრადში მივემგზავრებოდით, ახლა კი არ ვიცით, სად ვიმყოფებით და ლენინგრადიდან შორს ვართ თუ...

— მაშ, ასე, — დინჯად უთხრა წვეროსანმა და აქამდე განზე მდგომ ვერას ხელზე დაყრდნობილ კრავცოვისაკენ გაემართა.

ანატოლი ფეხდაფეხ მიჰყვა, თან ეუბნებოდა:

— თქვენ, რა, განა არ იცით, რა ჰქვია ამ ადგილს? თქვენ ხომ აქაური კოლმეურნე ხართ, არა?

წვეროსანი კაცი მდუმარედ მიუახლოვდა კრავცოვსა და ვერას, ისევ ისე დაჟინებით შეათვალიერა ისინი, თან კრავცოვს მიუბრუნდა და ჰკითხა:

— ტყვიამ გაგკრა?

— არა, — უპასუხა კრავცოვმა, — რკინას დავეჯახე.

— ფეხი გაიჭრა, — აჩქარებით ჩაერია ვერა, — სასწრაფოდ უნდა წავიყვანოთ მედპუნქტში, აქ ახლოს არ არის საავადმყოფო ან მედპუნქტი?

— როგორ არა, — ისევ ისე დინჯად და დაფიქრებით უპასუხა წვეროსანმა, — კოლმეურნეობაში ყველაფერი გვაქვს. მედპუნქტიც გვაქვს...

იგი თან ლაპარაკობდა, თან დაჟინებით შესცქეროდა სახეში კრავცოვს და უცებ მოულოდნელად თქვა:

— აი თურმე, რა უსიამოვნება მოგსვლიათ, ამხანაგო კრავცოვ.

ვერამ და ანატოლიმ ერთმანეთს გადახედეს.

— თქვენ საიდან მიცნობთ? — შეეკითხა კრავცოვი, თან თავი გაითავისუფლა ვერას მიერ შეშველებული ხელისაგან, ჯოხს მძიმედ დაეყრდნო და წვეროსანი კაცისაკენ ნაბიჯი გადადგა.

— რაგორ არ გიცნობ, — კირზის ჩექმის მაგარ უდრეკ ყელზე ცულის მიბაგუნებით უპასუხა მან. — მე გიცნობთ და თქვენც უნდა მიცნობდეთ. ჩემი გვარია ეოგინი. ეოგინი კლეპიკიდან. გაგიგონიათ ასეთი სოფელი?

წუთით დუმილი ჩამოვარდა.

— ჰოდა, კარგი, ეოგინ, — უთხრა ბოლოს კრავცოვმა,

თან ორივე ხელით ჯოხს დაეყრდნო. — თუ აქ კლეპიკია, მაშ სოფლსაბჭომდე ორიოდე ნაბიჯი დაგვრჩენია. ლენინგრადიც ახლოსაა. სწორია?

— ერთი მხრით, ამხანაგო კრავცოვ, ეს სწორია, მეორე მხრივ კი — როგორ გითხრათ, — ნელა, გაჭიანურებით უპასუხა ეოგინმა. — აი მე გადავწყვიტე როკები ამექრიფა. ამბობენ, წუხელ აქ ისეთმა გრიგალმა გადაიარაო... ტყის გაჩეხვას ხომ საბჭოთა ხელისუფლება გვიკრძალავს. ჰოდა, თუ კი უჩვენოდ გაუჩეხიათ.

— როკებს სხვა დროს აკრეფ, — შეაწყვეტინა კრავცოვმა, — ახლა კი სოფლსაბჭოში მიგვიყვანე, უთხარი, რომ საზიდარი გამოგზავნონ.

— მაშ, გეჩქარებათ, ამხანაგო კრავცოვ? საჭიროა კი?

ისევ ხიჩუმე ჩამოვარდა. ახლა კრავცოვი და ეოგინი დაჟინებით, თვალმოუშორებლივ შესცქეროდნენ ერთმანეთს.

კრავცოვმა პირველმა ჩაღუნა თავი. რამდენიმე წამს იგი თავის ფეხებს დასცქეროდა, თითქოს ხშირ ბალახში რაღაცას აკვირდებაო, შემდეგ ანატოლის მიუბრუნდა და უთხრა:

— განზე გადექი, ტოლია. შენც ვერა. მე და ეოგინმა ცოტა უნდა მოვილაპარაკოთ.

ანატოლის უნდოდა უარი განეცხადებინა, ეთქვა, რომ სალაპარაკო დრო არ ჰქონდათ, და ბოლოს და ბოლოს, თუ მას, კრავცოვს, ამ ეოგინთან რაღაც საქმეები აქვს, თვითონ მოუაროს. იგი და ვერა კი წავლენ, ოღონდ ეოგინმა გზა უჩვენოს...

მაგრამ ამ დროს იგი კრავცოვის მზერას წააწყდა და დაინახა, უფრო კი მისი სახისა და თვალების გამომეტყველებამ ისეთი რამ აგრძნობინა, რამაც აიძულა უხმოდ დამორჩილებოდა.

მან და ვერამ რამდენიმე ნაბიჯი გადადგეს წარაფისაკენ.

— რას ნიშნავს ყოველივე ეს? — ჩუმად, მაგრამ შეშფოთებით ჰკითხა ვერამ.

— ეშმაკმა იცის მაგის თავი, — რაც შეიძლებოდა უდარდელად უპასუხა ანატოლიმ, — რაღაც ბოდვაა! — ერთი სიტყვით, ჩვენ ხუთ წუთს დაკუცდით, მეტს არა, და თვითონ წავალთ. ბოლოს და ბოლოს ამ კრავცოვს ახლა გამცილებელი ჰყავს. ჩვენ კი გზას უმისოდაც გავიგნებთ.

გაიგონე რა თქვა? აქედან სოფლამდე მხოლოდ ნახევარი კილომეტრი თუ იქნებაო.

ვერა დუმდა. ცაზე შავი, კიდეებში ოდნავ სხივდაკრული ღრუბლები მიცურავდნენ. მაღალი ბალახი ქარისაგან მიწაზე გართხმულიყო. ხეები შრიალებდნენ. სადღაც მათ ზემოთ ფრინველი ციცი ხმით გაჰკიოდა.

— როგორ გგონია, ისინი იქ რაზე საუბრობენ? — შეეკითხა ვერა ანატოლის, თან ცდილობდა მასავით მხნედ და უდარდელად ელაპარაკა. მაგრამ მას ეს არ გამოუდიოდა.

— წარმოდგენა არა მაქვს, — მხრების აჩეჩვით უპასუხა ანატოლიმ. — ეგ... ეოგინი უცნაური ვიღაცაა. თანაც რაღაც მიკიბ-მოკიბულად ლაპარაკობს... მაშ, ასე... — მან საათს დახედა. — მორჩა. ახლა კი ვეტყვი მაგათ.

მაგრამ ამ დროს ეოგინი მიბრუნდა და განზე გასწია. კრავცოვი კი, რომელიც მოკუზული და კვლავინდებურად ორივე ხელით ჯოხზე დაყრდნობილი იდგა, ადგილზე დარჩა.

ანატოლიმ და ვერამ მიირბინეს მასთან.

— აბა, რას გვეტყვით? — ჰკითხა ანატოლიმ. — დაამთავრეთ თქვენი სასწრაფო თათბირი? ბოლოს და ბოლოს შეგვიძლია ჩვენ წასვლა?

— ცოტა კიდევ მოგიხდებათ მოცდა, — პოზის შეუცვლელად მიუგო კრავცოვმა, თან ეტყობოდა, სხვა რაღაცაზე ფიქრობდა, — ახლავე საზიდარს გამოგზავნიან.

— აბა, რა ეშმაკად გვინდა საზიდარი, თუ კი სოფლის ახლოს ვართ? — შესძახა ანატოლიმ.

ვერამ ყვედრებით შეხედა მას.

მოულოდნელად კრავცოვი წელში გასწორდა, პირდაპირ შეხედა ანატოლის და მბრძანებლურად ოთხრა:

— ყმაწვილებო, ისევ ტყეში წავიდეთ.

კრავცოვი პასუხს არც კი დაელოდა და პირველი სხვის დაუხმარებლად გაემართა კოჭლობით ტყისაკენ.

— ეგ რაღა სისულელეა! — გაჯავრებით თქვა ანატოლიმ. იგი ადგილიდან არ დაძრულა და ვერას ხელი ეჭირა.

— ყმაწვილებო, მე მომყევით, — ისევ დაიინებით, მაგრამ უკან მოუხედავად, წარმოთქვა კრავცოვმა.

— ტოლია, მივყვეთ მას, — ჩუმად თქვა ვერამ და თან გაუბედავი ნაბიჯი გადადგა კრავცოვის კვალდაკვალ.

— ბოლოს და ბოლოს, მალე გათავდება ეს დეტექტუ-

რი ამბავი? — წამოიძახა ანატოლიმ. — არსადაც არ წავალ, სანამ არ ამიხსნიან...

კრავცოვი წამით შეჩერდა, შემობრუნდა და უთხრა:

— მომყევი, ანატოლი, ახლავე ყველაფერს აგიხსნი.

ისინი გაპყვნენ მას. შევიდნენ თუ არა წარაფის სიღრმეში, კრავცოვი შეჩერდა, ზურგით ხეს მიეყრდნო და ანატოლის ანიშნა, ჩემთან მოდიო.

— შენთან სალაპარაკო მაქვს, ტოლია, — უთხრა მან ხმადაბლა და გაიმეორა, — შენთან. ვერამ კი ცოტა გაისეირნოს.

და, ანატოლის პასუხისათვის არც კი დაუცდია ისე, უკვე ოდნავ ხმადაბლა უთხრა ვერას:

— თქვენ ნუ გეწყინებათ. უბრალოდ მამაკაცური საუბარი გვექნება.

ანატოლი მიუახლოვდა კრავცოვს, თან დაუფარავი არაკეთილგანწყობილებით შესცქეროდა.

კრავცოვი დაელოდა, სანამ ანატოლი სულ ახლოს მივიდოდა მასთან, და ჩუმად უთხრა:

— აქ გერმანელები არიან, ტოლია.

პირველ წუთს ანატოლიმ ვერ გაიგო ამ სიტყვების შინაარსი. შემდეგ მოეჩვენა, რომ კრავცოვი ხუმრობდა, აბუჩად იგდებდა მას და უნდოდა კრავცოვისთვის მშიშარა ან პანიკიორი ეწოდებინა, მაგრამ მისი თვალების გამომეტყველებაზე ხმა ჩაუწყდა.

კრავცოვი მას დაჟინებით, მკაცრადაც კი უცქეროდა. ახლა ანატოლის წინაშე თითქოს სხვა კაცი იდგა, რომელიც გასაოცრად არ ჰგავდა იმას, ვინც ახლახან ბალახზე იწვა და ეშმაკური ღიმილით ჰყვებოდა ანეგდოტებს.

ანატოლის მუხლები აუკანკალდა.

— თქვენ ამას... სერიოზულად? — უნებლიეთ ჩურჩულზე გადასვლით შეეკითხა იგი.

კრავცოვი დუმდა.

— მაგრამ საიდან გაჩნდნენ აქ გერმანელები? — განაგრძობდა შეკითხვას ანატოლი, თან ფარულად იმედოვნებდა, რომ რაღაც ვერ მიხვდა, კრავცოვის სიტყვებს სათანადო მნიშვნელობა ვერ მისცა, და ახლა ყველაფერი გაირკვეოდა. — ჩვენ თითქმის ლენინგრადთან ვართ, ხომ ასეა?

განა გუშინ არ მოვისმინე რადიოთი, ბრძოლები ჯერ კიდევ ტალინთან მიმდინარეობსო...

— არ ვიცი, ამბობენ, რომ ისინი სადღაც მახლობლად არიან, — მოუთმენლად შეაწყვეტინა კრავცოვმა, — თვით

კლეპიკში გერმანელები არ არიან, და ახლა ჩვენ იქით გავემართებით — ეოგინი საზიდარით მოვა. მაგრამ სენცი — კლეპიკიდან ხუთ კილომეტრზე მდებარე სოფელი — მათ წუხელ აუღიათ...

— ვერ მორჩით საუბარს? — დაუყვირა შორიდან მათ ვერამ.

— მ-მოიცა! — ენის ოდნავ ბორძიკით და მისკენ მიუხედავად მიაძახა ანატოლიმ.

— მაშ, ასე, ტოლია, ახლა ყურადღებით მომისმინე, — უთხრა კრავცოვმა და მის ხმაში კეთილი, გულითადობის კილოც კი მოისმოდა, — შემიძლია გენდოთ?

ანატოლი დაბნეულად აფახულებდა თვალებს. აჩქარებით უცემდა გული. იგი ჯერ კიდევ ვერ გარკვეულიყო იმაში, რაც ის-ის იყო გაიგონა, მაგრამ უკვე სჯეროდა, ესმოდა, რომ მათ ახალი, უფრო საშინელი უბედურება მოახლოებოდათ.

კრავცოვმა მოულოდნელად დაადო მხარზე ხელი ანატოლის და თავისკენ მიიზიდა.

— მაშ ასე, მე შენ გენდობი, — უთხრა მან და სახით თითქოს შეეხო ანატოლის სახეს, — შენ რომ შეიძლება გენდო, ამას ჯერ კიდევ მაშინ მივხვდი, როცა შენ იმ ამბის... თვითმფრინავის გამო გამლანძღე. მთელი ის აბდაუბდა მე გამოვიგონე. მაშ ასე, მისმინე. შესაძლოა, ჩვენ ცალ-ცალკე მოგვიხდეს ლენინგრადში ჩაღწევა. შესაძლოა, შენ ჩემზე ადრე აღმოჩნდე იქ. ასეთ შემთხვევაში ქალაქში ჩასვლის პირველსავე დღეს, პირველსავე საათს მიხვალ ლიტეინის პროსპექტზე. დიდ სახლში. გასაგებია? საშვთა ბიუროში აიღებ ყურმილს და ეტყვი, რომ მაიორ ტულიკოვთან დაგაკავშირონ. დაიმახსოვრე? ტუ-ლიკოვთან. ეტყვი, რომ კრავცოვისაგან ხარ. იგი დაუკვეთს შენთვის საშვებს. როცა ტულიკოვს შეხვდები, გადასცემ: „საქონელი შემოზიდულია, მაღაზია დადგენილ საათზე გაიღება". გასაგებია? გაიმეორე!

— ...მაღაზია დადგენილ საათზე გაიღება... — გამშრალი ტუჩების ოდნავი რხევით, მექანიკურად გაიმეორა ანატოლიმ.

— სწორი არ არის! — მოულოდნელად ბრაზით უთხრა კრავცოვმა და მხრებში მტკივნეულად მოუჭირა ანატოლის. — გამოგრჩა, რომ „საქონელი შემოზიდულია".

— არა, არა, მე მახსოვს!

— კარგი, ყოჩაღ, — აშკარა შვებით წარმოთქვა კრავ-

ცოვმა, თან ხელები დაუშვა, — მაგრამ ეს ყველაფერი როდია. რა გვარი ხარ?

— ვალიცკი.

— მამაშენი ვინ არის?

— არქიტექტორია. ლენსაბჭოს საარქიტექტორო სამმართველოში მუშაობს.

— არ ვარგა. შენი გვარია... ავილოვი. დაიმახსოვრე? გაიმეორე.

— ავილოვი.

— კარგი. მამაშენი მოკედა თვრამეტ წელს. იგი ოფიცერი იყო, შენ იცი, რომ იგი დახვრიტა ჩეკამ, გასაგებია?

— აბა, რას ამბობთ? — აღშფოთებით შესძახა ანატოლიმ.

— მამაშენი — ავილოვი, ყოფილი ოფიცერი, მონაწილეობდა შეთქმულებაში, თვრამეტში დახვრიტეს, — ანატოლის აღშფოთებისათვის ყურადღების მიუქცევლად, აუჩქარებლივ გაიმეორა კრავცოვმა. — შენ აღიზარდე საბავშვო სახლში. გძულს ჩეკა, შინსახკომი და ყოველივე სხვა ამგვარი. პატივს სცემ მამის ხსოვნას, თუმცა, ბუნებრივია, მის შესახებ დაწვრილებით არაფერი არ გახსოვს. მაშინ შენ ერთი წლისა იყავი. მისი ამბავი ბიძისაგან გაიგე. ბიძაშენი კი ხუთი წლის წინათ გარდაიცვალა. დაიმახსოვრე?

— მაგრამ... მაგრამ ყოველივე ეს ვის უნდა ვუთხრა? — სასოწარკვეთილებით ჰკითხა ანატოლიმ.

— გერმანელებს, — მკვახედ მიუგო კრავცოვმა, — თუ საჭირო გახდა. დოკუმენტები თანა გაქვს?

— მატარებელში დამრჩა, ჩემოდანში.

— ჰოდა, ასეც ეტყვი.

იგი ცოტა ხანს გაჩუმდა და დასძინა:

— შენ ნანობდი, რომ პირველსავე დღეს ფრონტზე არ მოხვედი. ჩათვალე, რომ ფრონტზე ხარ. მორჩა. ვერასთან არც ერთი სიტყვა არ წამოგცდეს ტულიკოვის შესახებ.

— თქვენ... თქვენ მას არ ენდობით?

— ასი პროცენტით ვენდობი. მაგრამ იგი გოგონაა. იქნებ... ვერ გაუძლოს. შენ კი მამაკაცი ხარ. გაიგე?... ახლა კი დაიმახსოვრე ყველაზე მთავარი... რაც უნდა დამემართოს მე, შენ უნდა ჩააღწიო ლენინგრადს და დაურეკო ტულიკოვს. ეს ფრიად, ფრიად მნიშვნელოვანია! აბა, რას იტყვი, შეასრულებ?

ანატოლი დაძაბულად დუმდა. ეს იქნებ საკვირველი იყო

მაგრამ ახლა იგი შიშს აღარ გრძნობდა. უფრო პირიქით, იყო განწყობილი. მოულოდნელმა დავალებამ იგი სიამაყით აავსო. ყველაფერმა, რაც ძან უკანასკნელ საათებში განიცადა და იმანაც, რაც უკანასკნელ წუთებში შეიტყო, მის შეგნებაში უკანა პლანზე გადაიხაცელა. მისთვის უკვე ნათელი გახდა, ვინ იყო კრავცოვი. და აზრმა იმის შესახებ, რომ იმ წუთიდან თვითთხაც ეზიარა დიდმნიშვნელოვან საიდუმლო საქმეს, რომელსაც მხოლოდ ყველაზე უფრო შემოწმებულ და ყველაზე უფრო ერთგულ ადამიანებს გაანდობენ, ახალი ძალები შთაბერა.

ის ფაქტი, რომ საღღაც ახლოს გერმანელები იმყოფებოდნენ, მას რეალურად ვერ წარმოედგინა. და მატარებელში განცდილი ის საშინელი წუთები რომ არა, რაც ახლა ხდებოდა, ყველაფერს ისე აღიქვამდა, როგორც მომავალი ომისადმი მიძღვნილი წიგნის ან კინოფილმის ეპიზოდს.

ანატოლის ეჭვი არ ეპარებოდა, რომ იგი და, რა თქმა უნდა, ვერაც მოახერხებდნენ ლენინგრადში ჩაღწევას. ისევე, როგორც ბევრმა ლენინგრადელმა, მან კარგად იცოდა რუხი ქვის შენობა — დიდი სახლი ლიტეინის პროსპექტზე. უკვე წარმოიდგინა, როგორ გულჩათხრობილი იერით შედის იმ სახლში, როგორ ხმადაბლა, მშრალად და მრავალსიტყვაობის გარეშე ლაპარაკობს ტელეფონით:

— მაიორი ტულიკოვი ხართ? მე ამხანაგ კრავცოვისგან ვარ. სასწრაფო საქმე მაქვს...

დიახ, იგი ყველაფერს გააკეთებს, ყველაფერს ზუსტად შეასრულებს. ახლა იგი საამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი უბრალო ყმაწვილი, ვიღაც სტუდენტი კი არ არის, მას ფრიადმნიშვნელოვანი საიდუმლო დავალება აქვს...

— მე ყველაფერი გავიგე, ამხანაგო კრავცოვ, — მტკიცედ და ზეიმურადაც კი წარმოთქვა ანატოლიმ, — ყველაფერი შესრულებული იქნება.

— ჰოდა, კარგი, — კმაყოფილებით და აშკარა შვებით თქვა კრავცოვმა. — ახლა ვერას დავუძახოთ. ვერა! — ხმამაღლა დაუძახა მან ქალიშვილს. და როცა იგი მოუახლოვდა, მშვიდად უთხრა: — მდგომარეობა ოდნავ გართულდა, ვეროჩკა. ხმები დადის, რომ გერმანელებმა მახლობლად დესანტი გადმოსხეს. რა თქმა უნდა, მას სულ მალე გაანადგურებენ. ჩვენ მოგვიხდება ამ დროის. განმავლობაში კლეპიკში დალოდება, იქ გერმანელები არ არიან. აი, სულ

ეს არის. მღელვარებისათვის განსაკუთრებული საფუძველი არ არსებობს. ერთადერთი, რაც შენ უნდა დაიმახსოვრო... ეს ისე, ყოველი შემთხვევისათვის, რომ შენ ტოლიას ადრე არ იცნობდი. თქვენ ერთმანეთი მატარებელში გაიცანით. მერე კი ერთად გაექეცით დაბომბვას. გაიგე?

ვერა დუმდა. იგი გაოგნებული იდგა, ლაპარაკის უნარი წართმეოდა.

— აი, რას გეტყვი, ვერა, — მტკიცედ და შთამაგონებლად უთხრა ანატოლიმ, — ყოველივე ამას ამხანაგი კრავცოვი უბრალოდ, ისე, ყოველი შემთხვევისათვის ამბობს. ასაღელვებელი აქ არაფერია. თუ გერმანელებმა, მართლაც, გადმოსხეს რაღაც დესანტი, რამდენიმე საათში მათი ხსენებაც აღარ იქნება. ჩვენ კი ჯერჯერობით იმ კლეპიკში მოვიცდით, დავნაყრდებით, შენც ჩასაცმელს იშოვი რამეს...

ანატოლი გაჩუმდა, რადგან დაინახა, რომ ვერა მას ფართოდ გახელილი, საშინელებით აღსავსე თვალებით უცქეროდა.

— შესაშფოთებელი აქ არაფერია. ბოლოს და ბოლოს მარტო ხომ არა ხარ! — უკვე გაჯავრებით დაუტატანა მან ქალიშვილს.

ვერამ მორჩილად დაუქნია თავი.

ანატოლი გაჩუმდა. იგრძნო, რომ ვერას თვალებში ჩამდგარი შიში მასაც გადაედო და აღარ შორდებოდა. მან ყური მიუგდო და ისევ ის შორეული და უცნაური გუგუნი გაიგონა.

— გამახსენდა! — მოულოდნელად ხმამაღლა შესძახა ანატოლიმ, და თითქოს თავის ხმისა თვითონვე შეეშინდაო, უკვე ჩუმად დაამთავრა:

— გამახსენდა. ჰო.... ეს გუგუნი! ეს ტანკებია! ეს ხმა დღესასწაულების წინა დღეებში შინ გამიგონია ხოლმე. ყოველ მაისსა და ნოემბერში! როცა ისინი პარადის რეპეტიციას გადიოდნენ. ეს ტანკებია, ტანკები!

თავისი მიხვედრით თავზარდაცემული იგი გაჩუმდა. მაგრამ წამის შემდეგ ახალმა აზრმა გონება გაუნათა და ისევ შესძახა:

— ჰოდა, რადგან ტანკებია, ეს ნიშნავს, რომ ჩვენებია, ხომ ასეა?

— მეც ეგრე მგონია, — ხმადაბლა და დაბნეულად უპასუხა კრავცოვმა, — და მაინც სიფრთხილეს თავი არ სტკივა.

— მაგრამ, გამიგონეთ, — გაოცებით თქვა ანატოლიმ, — ეს ხომ სისულელე იქნება! რატომ უნდა წავიდეთ კლეპიკში? რატომ არ შეგვიძლია მთელი დღე და მომდევნო ღამეც კი სადმე აქ, ტყეში, გავატაროთ? თუ საქმე ჭაბაზე მიდგა, მე შემიძლია მთელი დღე და ღამე უშმელად გავძლო, მოთმენა -ვერასაც შეუძლია, ხომ ასეა, ვერა?

კრავცოვი დუმდა. ყველაფერი, რაზეც ახლა ანატოლი ლაპარაკობდა, მან უკვე მოისაზრა და ყველა შესაძლებელ კითხვას გულში პასუხიც გასცა. არა, მას არ შეეძლო ტყეში უსუსურად მყოფი ამ ორი ქალაქელი ახალგაზრდისათვის აქ დარჩენა ან ნაწილობრივ გერმანელთა მიერ დაკავებულ ადგილებზე გავლით ლენინგრადისაკენ გაღწევა ერჩია. სამივეს ერთად იქნებ ეცადათ კიდეც, მაგრამ კრავცოვს ნატკენი ფეხით რამდენიმე ათეული მეტრის გავლაც კი არ შეეძლო.

— კარგი, — ისევ ალაპარაკდა ანატოლი, — რა ვქნათ მაშინ, თუ გერმანელები კლეპიკშიც მოვლენ?

— მაშინ ჩვენ კოლმეურნეები დაგვმალავენ, — უპასუხა კრავცოვმა.

— დაგვმალავენ? — ვეღარ ფარავდა შეშფოთებას ისე ჰკითხა ანატოლიმ. — მერე და თქვენ კარგად იცნობთ მაგ ეოგინს?

— კი, კარგად ვიცნობ... — ნელა წარმოთქვა კრავცოვმა.

მხოლოდ ამის თქმა შეეძლო მას. რადგან ყველაფერი რომ ეთქვა — ეს იმას ნიშნავდა, ეამბნა ისიც, რომ ათი წლის წინათ მან, კრავცოვმა, შინსახკომის მუშაკმა, საოლქო შტაბის რწმუნებულმა კულაკობის ლიკვიდაციის საქმეში, ეოგინის მდიდარ მამულს კონფისკაცია უყო, თვით იგი კი ოჯახითურთ ციმბირში გადაასახლა.

ეთქვა ყველაფერი—ეს ნიშნავდა, ეღიარებინა, რომ კრავცოვმა თვითონაც არ იცოდა, ეოგინი თავის მშობლიურ სოფელში ხელისუფლებასთან შერიგებულ კაცად დაბრუნდა თუ მტრად და თუ იგი მტერია, რა უფრო ძლიერი აღმოჩნდება მასში: სიძულვილი, რომელიც უბიძგებს გასცეს კრავცოვი, თუ აქედან გერმანელთა განდევნის შემდეგ სამაგიეროს გადახდის შიში. მაგრამ კრავცოვს არ შეეძლო ყოველივე ამის თქმა. მან ამ ჭაბუკს მხოლოდ ის გაანდო, რის ირთქმაც შექმნილ ვითარებაში არ შეეძლო. ყოველივე დანარჩენს ამ მთავართან კავშირი არ ჰქონდა და ყმაწვილების სულში მხოლოდ შიშის ჩანერგვა შეეძლო. კრავ-

ცოვმა მიაყურა, მათკენ მიმავალი ფორნის ბორბლების ხმაური გაიგონა და მსნედ, თითქმის მსიარულად თქვა:

— აბა, მგონი, კარეტა მოგვართვეს, წავიდეთ!

და ჯოხზე მძიმედ დაყრდნობილმა, ნაბიჯი გადადგა წინ...

XIV

ისინი, ვინც თევდორე ვასილის ძე ვალიცკის ზერელედ იცნობდნენ, მოხუც არქიტექტორს მკაცრი ზნის, ჯიუტ, ავადმყოფური თავმოყვარეობის ადამიანად, ერთი სიტყვით, ურთიერთობაში ნაკლებ სასიამოვნო კაცად თვლიდნენ.

ვალიცკის მცირერიცხოვანი მეგობრები კი ერთსულოვნად იმ აზრისა იყვნენ, რომ „თევდორე მძიმე ხასიათისაა", მაგრამ ნიჭიერი და პატიოსანი კაცია, თუმცა ამავე დროს თავისი თავის ყველაზე დიდი მტერია.

და მართლაც, ძნელად წარმოიდგენდით ისეთ პიროვნებას, რომელიც იქნებოდა უფრო „არათანაჟღერადი ეპოქასთან", ვიდრე არქიტექტურის აკადემიკოსი სამოცდახუთი წლის თევდორე ვასილის ძე ვალიცკი.

ოცდაერთ წლებში, კონსტრუქტივიზმის იდეებით არქიტექტორთა საერთო გატაცების პერიოდში, ვალიცკი, რომელიც პირადად იცნობდა კორბიუზეს, აფასებდა მას და არაერთხელ მიუღია სახელგანთქმული ფრანგისაგან წიგნები მეგობრული წარწერებით, მოულოდნელად საზღვარგარეთელი ნოვატორისა და განსაკუთრებით მის მიერ საბჭოურ მიმბაძველთა წინააღმდეგ მკაცრი კრიტიკით გამოდიოდა.

ვალიცკის ღვარძლიანი ხასიათი ჰქონდა. როცა ვინმეს ან რამეს აკრიტიკებდა, მოურიდებელი იყო გამოთქმებში. ძალზე თავგამოდებულ ავანგარდისტებს, რომლებიც კორბიუზეს სტილისა და ისტორიულად ჩამოყალიბებული დასახლებებისაგან მოწყვეტილი „მომავლის ქალაქების" ერთფეროვანი სახლ-კოლოფების მშენებლობას უწევდნენ პროპაგანდას, მაიმუნებს, თუთიყუშებსა და უმეცრებს უწოდებდა.

მისი კრიტიკა ემყარებოდა იმ სწორ აზრს, რომ კორბიუზეს იდეები და განსაკუთრებით საზღვარგარეთ მისი პროექტების განხორციელების პრაქტიკა, არ შეიძლებოდა საფუძვლად დასდებოდა მშენებლობას ომებით აოხ-

რებულ ჩვენს ქვეყანაში უახლოეს წლებში მაინც. ვალიცკი ამტკიცებდა, რომ საშენ მასალათა მრეწველობა ჩვენში ჯერ კიდევ არ იყო საკმაოდ განვითარებული და მშენებლობაზე დიდი სახსრების დაბანდება ეკონომიკის ყველა სფეროში არსებული ქრონიკული დეფიციტის პირობებში ჯერჯერობით არ შეგვეძლო. კორბიუზეს იდეების გამოდევნება მხოლოდ გარეგნულ, მიმბაძველობითს ხასიათს მიიღებდა და პრაქტიკაში არამტკიცე, საცხოვრებლად და სამუშაოდ მოუხერხებელ, ცივ, მყუდროებას მოკლებულ სახლების აგებას გამოიწვევდა.

ვალიცკის კოლეგები, განსაკუთრებით ახალგაზრდობა, მტრულად განეწყვნენ მის მიმართ. საქმე მარტო იმაში კი არ იყო, რომ ვალიცკი თავის კრიტიკულ გამოსვლას შეურაცხმყოფელ, სარკასტულ-დამამცირებელ ფორმას აძლევდა. მთავარი სხვა რამეში მდგომარეობდა. იმ შორეულ წლებში ძალიან ბევრი ადამიანი დარწმუნებული იყო, რომ „მშვენიერი მომავალი“ ცხრა მთას იქით კი არაა, არამედ სულ ახლოს, როგორც ახლოსაა ერთმანეთთან რეალური „დღეს“ და „ხვალ“.

ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ იმ „ხვალის“ დადგომა დამოკიდებული იყო მხოლოდ ძველი ტრადიციების დარღვევის ტემპებზე და შეგნება-ნებისყოფის დაძაბვით უმოკლეს ვადაში შეიძლებოდა ახალი ლიტერატურის, ახალი ფერწერის, ახალი არქიტექტურის შექმნა.

ვალიცკის კრიტიკულ გამოსვლას მტრულად შეხვდნენ. მას აგდებით შეარქვეს „აკადემიკოსი“, „ტრადიციონალისტი“, „რუტინიორი“, იმის შეუგნებელი, რომ ახალი სოციალური ეპოქა ახალ, მის თანახმიერ არქიტექტურულ ფორმებს მოითხოვს.

მაგრამ ოცდაათიან წლებსშუა როცა კორბიუზე შეაჩვენეს და მისი ყველაზე უფრო ჯიუტი მიმდევრები ფორმალისტებად გამოაცხადეს, ვალიცკიმ მოულოდნელად, გაბედულად იბრუნა პირი მოპირდაპირე მხრისაკენ.

ლენინგრადელ არქიტექტორთა კრებაზე მან მკაცრად გააკრიტიკა ახალი მიმართულება არქიტექტურაში, რომელიც გაბატონებას ლამობდა, უწოდა მას „ცრუკლასიკური“. „გაბერილ-პომპეზური“, „აზნაურული სტილი ღარიბებისათვის“

ვალიცკი ამტკიცებდა, არასწორად ვიქცევით, როცა დავიწყებას ვაძლევთ საერთოდ საზღვარგარეთის მშენებლობის გამოცდილებას და კერძოდ კორბიუზეს იდეებსო,

და ეს მით უფრო შეუწყნარებელია, სწორედ ამჟამად, როცა ჩვენი ქვეყანა გაცილებით მდიდარი გახდა, ვიდრე იყო წინანდელ ათწლეულში, და საკუთარი ინდუსტრიული ბაზა შექმნაო.

ვალიცკის „საკადრისი პასუხი" გასცეს.

ეს უკიდურესობათა ხანა იყო ყოველგვარ დავაში, ყოველი შეხედულება პროფესიულ-ტექნიკურ საკითხებზე ნახევრულად, ოპორტუნისტულად მიაჩნდათ, თუ პოლიტიკურ შეფასებას არ ეხამებოდა. ვალიცკის, რომელსაც თითქოსდა მართლაც უბედური ზნე სჭირდა, აემხედრებინა მის წინააღმდეგ არა მარტო ოპონენტები, არამედ თანამოაზრეებიც, მტკიცედ მიეკერა „ფორმალისტისა" და თავისი შეცდომების ჯიუტად დამცველის მეტსახელი.

და მაინც ვალიცკის ანგარიშს უწევდნენ. იგი იყო ქალაქის ერთ-ერთი ყველაზე მზცოვანი არქიტექტორი, რუსული ხუროთმოძღვრების უკვე განსვენებულ სახელგანთქმულ ხელოვანთა მოწაფე. ლენინგრადსა და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებში ვალიცკის მიერ აგებული რამდენიმე სახლი იხსენიებოდა სპეციალურ ლიტერატურაში.

პროფესიულ წრეში იცოდნენ, რომ ვალიცკი როგორც არქიტექტორი და როგორც მშენებელ-ინჟინერიც დიდი ცოდნის პატრონი იყო. ოღონდ ის ფაქტი, რომ მას მტკიცედ მიეკერა ჯიუტი, თვითკრიტიკის უნარს მოკლებული „ფორმალისტის" რეპუტაცია, გადამწყვეტი გახდა.

ვალიცკის სახელი საფრთხილოდ იქცა. ამიერიდან მას მხოლოდ მოხსენებაში თუ დაასახელებდნენ და, როგორც წესი, იმ მონაკვეთში, სადაც ლაპარაკი იყო საბჭოთა ხუროთმოძღვრებაზე უცხო გავლენათა შესახებ.

ვალიცკი უკვე აღარ აგებდა სახლებს. მას აღარ ანდობდნენ საზოგადოებრიობის ყურადღების მისაქცევ საპასუხისმგებლო პროექტებს. ლენინგრადის საბჭოთა და პარტიულ წრეებში იგი მიაჩნდათ მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტად, მაგრამ უაღრესად აპოლიტიკურ ადამიანად და ფრონდერადაც კი, რომელიც საჭირო ნდობას არ იმსახურებდა. ვალიცკის ცივად, თუმცა რამდენადმე პატივისცემითაც ეპყრობოდნენ.

მიუხედავად ამისა, მოხუცს საკმაოდ ხშირად მიმართავდნენ სხვადასხვაგვარი „შიდა", ტექნიკური კონსულტაციისა და ექსპერტიზისათვის, შეჰყავდათ ზოგიერთ კომისიაში. იგი შრომისთვის კარგ გასამრჯელოს ღებულობდა.

თევდორე ვასილის ძე ვალიცკის გარეგნობა საუკეთესოდ შეეფერებოდა მის, დროებასთან არათანხმიერი ადამიანის რეპუტაციას. იგი იყო მაღალი, გამხდარი. ეყვარდა თეთრი, სახამებელში გავლებული პერანგები, ჰალსტუხი — „პეპელა", მუქი ლურჯი კოსტიუმი და უსათუოდ წლის ყოველ დროს ჟილეტი. ამ ჟილეტის ჯიბეში ოქროს წვრილ ძეწკვზე მასიურ სახურავიან ძველებურ ოქროს საათს ატარებდა.

ვალიცკის ჰქონდა ხშირი ჭაღარა თმა, პირისახის კუთხოვანი ნაკვთები, მჭიდროდ თითქოს დამცინავად დამუწული ტუჩები და გრძელი ხელები მოყვითალო კანგადაკრული თითებით.

ცოლით, ვაჟიშვილითა და შინამოსამსახურე დეიდა ნასტიათი თევდორე ვასილის ძე ცხოვრობდა მოიკაზე, თვითონ მის მიერ აგებულ სახლში, დიდ ხუთოთახიან ბინაში. — მას არ შეხებია არც რეკვიზიცია, არც შემჭიდროება შეუვალობის სიგელის მეოხებით, რომელსაც ხელს აწერდა კაცი, ვისი სახელიც მილიონობით ადამიანისათვის უცილობელი ავტორიტეტისა და უმაღლესი სამართლიანობის სიმბოლოს წარმოადგენდა.

ვალიცკის ცოლს, წყნარ, უთქმელ, პატარა ხანშესულ ქალს მარიამ ანტონის ასულს ეძახდნენ, ვაჟიშვილს კი, ოცდასამი წლის სამოქალაქო ინჟინერთა ინსტიტუტის სტუდენტს — ანატოლის.

თევდორე ვასილის ძე ცოლს უგულისყუროდ ეპყრობოდა და იშვიათად ამჩნევდა იყო თუ არა იგი მასთან. ვაჟიშვილი კი, რომელიც მაშინ დაიბადა, როდესაც ვალიცკი ორმოც წელს იყო გადაცილებული, უცნაური, საგულდაგულოდ დაფარული სიყვარულით უყვარდა.

ცოლისგან განსხვავებით, იგი არასოდეს არ ეალერსებოდა მას, არც პატარაობისას, თუმცა აღელვებისაგან აქეთ-იქით აწყდებოდა როცა ტოლია — მართალია, ეს ხშირი შემთხვევა არ იყო — ავად გახდებოდა.

როცა შვილი წამოიზარდა, მამა იშვიათად აღირსებდა მას რამდენადმე მაინც სერიოზულ გასაუბრებას.

თევდორე ვასილის ძეს აბრაზებდა შვილის უცვლელი ოპტიმიზმი, მისი თავდაჯერებულობა და აგრეთვე სპორტით — არაინტელექტუალური საქმიანობით გატაცება. სუფრასთან ანატოლი იშვიათად ახერხებდა ეთქვა ისეთი ფრაზა, რომელსაც მამის ირონიული რეპლიკა არ გამოეწვია.

და მიუხედავად ამისა ვალიცკის ძალიან უყვარდა თავისი შვილი. თუმცა ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ანატოლი არ მიმხვდარიყო ამ სიყვარულს.

თეოდორე ვასილის ძე გულჩათხრობილი ადამიანი იყო. შემგუებლობის შემდეგ ყველაზე უფრო სძულდა სანტიმენტალობა. გულს არავის არ გაუხსნიდა და, შესაძლებელია, სწორედ ამიტომ არასოდეს არ უცდია ჩაეხედა ანატოლის შინაგან სამყაროში, ფიქრებში. იგი მხოლოდ შორიდან ადევნებდა თვალყურს, რომ შვილის ცხოვრება განვითარებულიყო, როგორც უყვარდა თქმა, „სწორი მიმართულებით“.

ეს ნიშნავდა, რომ ანატოლის კარგად უნდა ესწავლა სკოლაში, შემდეგ შესულიყო ინსტიტუტში და ცოლი არ შეერთო, სანამ ფეხზე არ დადგებოდა. ასეთი იყო პროგრამა-მინიუმი და მისი შესრულებისათვის თეოდორე ვასილის ძე თავის თავს პასუხისმგებლად თვლიდა.

როცა სკოლის დამთავრების შემდეგ ანატოლიმ განუცხადა, რომ განზრახული აქვს ჩააბაროს გამოცდები ინსტიტუტში, სადაც არქიტექტორებს ამზადებენ, თეოდორე ვასილის ძემ გულგრილად და თან ირონიულად აიჩეჩა მხრები. მაგრამ გულში გრძნობდა, რომ ეს მხოლოდ ჩვეულებრივი პოზა იყო. ფარულად მას დიდი ხნიდან ახარებდა სკოლაში შვილის წარმატებები ხატვაში, ხაზვასა და მათემატიკაში, და მამა კმაყოფილი იყო, როცა დაინახავდა მას მონოგრაფიებითა და ალბომებით გატენილ თავის კარადებთან.

არქიტექტურა ვალიცკისათვის იყო ღმერთი, ერთადერთი, რასაც თაყვანს სცემდა და რაც ურყევად მიაჩნდა დედამიწაზე. მას სიამოვნებდა, რომ მისი გრძნობები შვილს გადასცემოდა.

მაგრამ იგი იმდენად გულმოდგინედ, წმინდა გულით იყო განწყობილი ღვთაებისადმი. რომლის ქურუმად იმყოფებოდა, რომ მაშინვე არ იწამებდა ნეოფიტის განზრახვათა სიწმინდეს, თუნდაც იგი საკუთარი შვილი ყოფილიყო.

— არ გირჩევ, — მიაგება მოკლედ თეოდორე ვასილის ძემ, როცა ანატოლიმ თავშეკავებულად და თითქოსდა სხვათა შორის აცნობა მას თავისი განზრახვა — გამხდარიყო არქიტექტორი.

— რატომ? — ასევე მოკლედ შეეკითხა ანატოლი.

— ახლა მასში დიდძალი პოლიტიკაა შეტანილი, —

თხელი ტუჩების ღრეჯით უპასუხა თევდორე ვასილის ძემ. — ვშიშობ, რომ ეს პოლიტიკა შენი ცხოვრების განმავლობაშიც კი საკმაოზე მეტი იქნება. მოჰკიდე ხელი მედიცინას, ან ფიზიკას. პერსპექტივები დიდია, და ხელსაც უფრო ნაკლებ შეგიშლიან.

ახლა ანატოლის ჯერი დადგა, მხრები აეჩეჩა და ლმობიერად ჩაეცინა. იგი იცნობდა მამის ფრონდერულ შეხედულებებს ბევრ რამეზე და ამას ირონიულად შესცქეროდა, თუმცა არასოდეს მამას არ შედავებია.

ანატოლი კომკავშირელი იყო, სკოლაში აქტიურ საზოგადოებრივ მუშაკად ითვლებოდა და თუმცა ეს პარადოქსული, ყოველივე ამაში დიდი როლი შეასრულა სწორედ მამამისის იდიოზურმა რეპუტაციამ. შესაძლებელია მისდა შეუგნებლად ანატოლი ყოველნაირად ცდილობდა გამოევლინა თავისი დამოუკიდებლობა, დაერწმუნებინა მის ირგვლივ მყოფნი, რომ მამისაგან იდეურად დამოუკიდებელია.

თანდათანობით, უფრო სწორად თავისდაუნებლიედ იგი მივიდა იმ რწმენამდე, რომ მასზე სხვათა შეხედულება დამოკიდებულია მის მიერ ნათქვამ სიტყვებზე, ვინაიდან რაიმე განსაკუთრებით აღსანიშნავი საქციელის ჩასადენად როგორღაც ჯერ საბაბი არ მისცემია. რატომღაც ყოველთვის ისე ხდებოდა, რომ როცა მის თანაკლასელებს კოლმეურნეობაში კარტოფილის ასაღებად ან მილიციის დამხმარე საზოგადოების ბრიგადებში მილიცონერებთან ერთად ქუჩებში სამორიგეოდ გზავნიდნენ. ანატოლი ყოველთვის მათ შორის აღმოჩნდებოდა, ვინც აგზავნიდა, შესაბამის სიტყვას ამბობდა და მერე „ანგარიშს იბარებდა" და არა მათ შორის, რომლებსაც გზავნიდნენ და შემდეგ ანგარიშს აბარებდნენ.

თავისი თავისთვის ჩინებული რეპუტაციის შესაქმნელად მარტო სიტყვებიც სრულიად საკმარისი აღმოჩნდა.

ანატოლი კარგად სწავლობდა, კრებებზე სიტყვას ამბობდა კარგად და სწორად, გარშემომყოფთ იგი მიაჩნდათ ჭკვიან, მხიარულ და თავშეკავებულ ჭაბუკად და თანდათან თვითონაც დარწმუნდა იმაში, რომ სწორედ ასეთი იყო.

უფროსი ვალიკი ზოგჯერ დასცინოდა თავისი შვილის „უდრეკობას", რასაც ემოციურ შეზღუდულობასა და ინტელექტუალურ არმომთხოვნობას უწოდებდა. მაგრამ გულში იგი კმაყოფილი იყო კიდეც: მას სულაც არ უნდოდა,

რომ თავისი შფოთიანი და თავმოყვარეობის შელახვით აღსავსე ცხოვრების გზა შვილს გაემეორებინა.

...ომის დაწყება ვალიცკიმ გაიგო არა შუადღისას, როგორც ჩვენი ქვეყნის ადამიანთა უმრავლესობამ, არამედ რამდენადმე უფრო გვიან, ვინაიდან ვერ იტანდა რადიოს. ბინაში მიმღები არ ჰქონდა, ხოლო ადგილობრივი ტრანსლაციის უშნო, შავი თეფშის კედელზე დაკიდების ნებას, ალბათ, სიკვდილის მუქარითაც არ დართავდა.

ივნისის იმ კვირა დღეს თევდორე ვასილის ძემ ისაუზმა მდუმარებას მიჩვეულ ცოლთან ერთად, შევიდა თავის კაბინეტში, მაგრად მიიხურა კარი, ძველმოდური შავი ხის საწერ მაგიდას მიუჯდა და კითხვას მისცა თავი.

ეს მუშაობა კი არა, დასვენება იყო, რის ნებასაც თევდორე ვასილის ძე სწორედ კვირაობით აძლევდა თავის თავს.

თვით ის აზრი, რომ დასვენება შეიძლება არა საწერ მაგიდასთან, არამედ სადმე სესტრორეცკის პლაჟზე ან კუნძულების პარკებში, ხეივნებში მოხეტიალე ადამიანთა შორის, ბარბაროსულად ეჩვენებოდა.

ამ კვირისთვის თევდორე ვასილის ძემ გუშინ საღამოსვე გადასდო მძიმე ტომი ვიტრუვის შრომისა „ათი წიგნი არქიტექტურაზე" — მდიდრული იტალიური გამოცემა, რომელიც ჯერ კიდევ 1910 წელს რომში შეიძინა.

გუშინ, კაბინეტის ერთ-ერთი კედლის გასწვრივ განლაგებულ წიგნის კარადებში მოთავსებული წიგნების ყუებს რომ ათვალიერებდა, თვალი დაასო სწორედ ამ კლასიკურ ნაწარმოებს. თევდორე ვასილის ძეს გაახსენდა, რომ უკვე მრავალი წლის განმავლობაში არ გადაუშლია იგი. ამოიღო მძიმე, დიდძალი ფერადი ილუსტრაციებით შემკული ტომი, საწერ მაგიდაზე დადო და წინასწარ ტკბებოდა იმ სიამოვნებით, რომელიც ხვალინდელ დღეს მოელოდა.

კვირას მან აუჩქარებლად ისაუზმა, შევიდა თავის კაბინეტში, ჩაჯდა გახეხილ ტყავის სავარძელში, ჩვეული მოძრაობით გამორთო ტელეფონი, ალალბედზე გადაშალა წინა საღამოს გადადებული წიგნი და ანტიკური ორდერის ნახაზის ელემენტების — კარნიზების, ფრიზებისა და კაპიტელების თვალიერებას შეუდგა, ძალიან მალე ვალიცკის აზრები მისთვის ჩვეული მიმართულებით წარიმართა. მან, რომელიც ყველაზე უფრო აფასებდა არქიტექტურაში მიზანშეწონილობასა და პროპორციულობას, მისთვის დამახასიათებელი გაღიზიანებით წარმოიდგინა ის თანამე-

დროვე შენობები, რომელთა კოლონებსა და კაპიტელებს უკვე არაფერი საერთო აღარ ჰქონდათ მიზანშეწონილობასთან და ცუდი გემოვნების უაზრო მორთულობად ქცეულიყვნენ.

ორი საათი იქნებოდა, როცა კაბინეტის დახურულ კარს უკან, კითხვით გართულ ვალიცკის ქალების აღელვებული ხმები მოესმა. იგი გაოცებითა და უკმაყოფილოდ დაიღრიჯა და დაუცადა ხმაურის მიწყნარებას, მაგრამ ამ დროს კარი ფართოდ გაიღო და მოთქმითა და სლუკუნით აწყვეტინებდნენ რა ერთმანეთს სათქმელს, შემოირბინეს მარიამ ანტონის ასულმა და დეიდა ნასტიამ.

სწორედ ამ მომენტში გაიგო თევდორე ვასილის ძე ვალიცკიმ მაღაზიიდან დაბრუნებული შინამოსამსახურისაგან, რომ ხალხი ლაპარაკობდა რადიოთი გადმოცემულ რაღაც სიტყვაზე ომის შესახებ.

გაჯავრებულმა თევდორე ვასილის ძემ ქალებს დაუტატანა, უბრძანა გაჩუმებულიყვნენ. მას ეჭვი არ ეპარებოდა, დეიდა ნასტიამ რაღაც აურიაო. უკანასკნელ ხანებში იშვიათი პოლიტიკური სტატია თუ აუვლიდა გვერდს სიტყვას „ომი", მასთან დასავლეთში მართლაც უკვე თითქმის ორი წელიწადი იყო, რაც გერმანია სამხედრო მოქმედებებს აწარმოებდა, — შესაძლებელია, რომ პანიკიორები ვერ ჩასწვდნენ მორიგი რადიოგადაცემის აზრს და...

ერთი სიტყვით, თევდორე ვასილის ძემ უბრძანა ქალებს, გაჩუმებულიყვნენ.

მრავალი წლის განმავლობაში ქმრისა და ოჯახის პატრონისადმი აბსოლუტურ მორჩილებაში აღზრდილი ორივე დედაბერი ისევ ისე სლუკუნითა და მოთქმით კარისაკენ გაემართა, მაგრამ მარიამ ანტონის ასული ზღურბლთან რომ მივიდა, უეცრად მობრუნდა და ქმარს ყვირილით მივარდა: „ტოლია! ტოლენკა ხომ წასულია!"

ცხადია, ამ ამბავში ვალიცკისთვის ახალი არაფერი არ იყო, იგი ხომ პარასკევს დაემშვიდობა შვილს, რომელმაც უთხრა, რომ ჯერ კიდევ არ გადაუწყვეტია, სად გაატარებს არდადეგებს — სამხრეთში თუ ლენინგრადის ახლოს, ხოლო მაშინვე აცნობებს, როგორც კი სადმე „დაბინავდება".

თევდორე ვასილის ძემ ერთხელ კიდევ დაუტატანა ცოლს, უთხრა, ანატოლი ბავშვი არ არისო, და გააგდო თავისი კაბინეტიდან.

მარტო რომ დარჩა, ვალიცკი ფანჯარასთან მივიდა, გა-

მოალო იგი და ქუჩაში გაიხედა. არაფერი უჩვეულო არ დაუნახავს. ქუჩაში იმაზე მეტი ხალხი კი არ იყო, ვიდრე ზაფხულის ყოველ კვირა დღეს. ნევის პროსპექტზე, რომლის ნაწილი კარგად ჩანდა ფანჯრიდან, „ეშკები“ და „ზიუები“ დაქროდნენ. მოიკისა და ნევის პროსპექტის კუთხეში (ვალიცკი არასოდეს არ ხმარობდა გაქიმულ სახელწოდებას „25 ოქტომბრის პროსპექტი“) გაცხარებით ვაჭრობდა ყვავილების კიოსკი.

„ომი! — წარმოთქვა თავისთვის ვალიცკიმ. — აბა რა სისულელეა! რის ომი?!“

იგი დაბრუნდა მაგიდასთან, დაჯდა, გადაწყვიტა განეგრძო კითხვა, მაგრამ გადაიფიქრა და ტელეფონის მილაკი ჩამოხსნა. ტელეფონი დუმდა. ვალიცკის დავიწყებოდა, რომ იგი დილიდანვე გამორთო, როგორც ყოველთვის შვრებოდა ამას, როცა საწერ მაგიდას მიუჯდებოდა.

მან გადასწია ბერკეტი პატარა, კედელზე მიმაგრებულ ებონიტის პანელზე, დაელოდა სადგურის პასუხს და ერთერთი თავისი ძველი მეგობრის — ექიმ ანდრია გრიგოლის ძე ოსმინინის ნომერი დაასახელა.

იგი დიდიხანია იცნობდა ამ კაცს, თავის თანატოლს. მუდამ ეჩხუბებოდა და უყვარდა შარიანი, ეგოისტური სიყვარულით

კერძო პრაქტიკის მქონე ექიმ-თერაპევტი ოსმინინი ოდესღაც ვალიცკის მკურნალობდა — ეს ჯერ კიდევ რევოლუციამდე იყო. თანდათან ისინი დამეგობრდნენ. და მაშინ ოსმინინმა უთხრა:

— აი რა, თეოდორე, მონახე სხვა ექიმი, მე კი ამიერიდან შენი მკურნალი აღარ ვარ. შენ ჩემი უკვე აღარ გჯერა, არა არს წინასწარმეტყველი თავის სამშობლოსა შინაო. აქასთან, შენ გჭირდება ჯოხიანი წინასწარმეტყველი, რომ მისი გეშინოდეს და უჯერებდე. გეუბნები, დასაწყისი სტადიის ჰიპერტონია გაქვს-მეთქი, შენ კი ჯანდაბაში მაგზავნი. ერთი სიტყვით, შენთან ჩაის დაცლეც ხოლმე, თუ მარიამ ანტონის ასული შემომთავაზებს, ოღონდ სხვა ვინმემ გიმკურნალოს.

ასეც შეთანხმდნენ. ერთმანეთს ხშირად ხვდებოდნენ, მაგრამ წაუკინკლავებლად იშვიათ შემთხვევაში თუ დაშორდებოდნენ. და საბოლოო ანგარიშით ამის მიზეზი იმაში მდგომარეობდა, რომ ოსმინინი ძალიან კარგად იცნობდა ვალიცკის და უკვე დიდი ხნის წინათ შეამჩნია მისი ხასიათის ისეთი თვისებები, რომლებიც სხვებს ვერც წარმოედგინათ

ეს იყო — ცოტა რამით გულის დაწყვეტა, რასაც ვალიცკი გულგრილობისა და ქედმაღლობის ნიღბით ოსტატურად ფარავდა და მოღვაწეობის წყურვილი, რის დამალვასაც ასევე ცდილობდა იგი შექმნილი ვითარების გამო.

ექიმი ოსმინინი ქვრივი იყო. იგი პატარა ბინაში ცხოვრობდა შვილიშვილით ლენოჩკათი, რომლის მამაც — ოსმინინის ვაჟი — ფინეთთან ომში დაიღუპა. ლენოჩკას დედა ქმარს ქალიშვილის დაბადებიდან ორი წლის შემდეგ გაექცა და თავის შესახებ არაფერს იტყობინებოდა. თოთხმეტი წლის ლენა პაპის პატარა მეურნეობას უძღვებოდა; კვირაში ორჯერ მათ მომსვლელი შინამოსამსახურე აკითხავდა. დიდი ხანია, რაც ოსმინინმა თავი დაანება კერძო პრაქტიკას და, ბევრი ექიმისაგან განსხვავებით ნეპის პერიოდში არ დაბრუნებია მას. უკანასკნელ წლებში საავადმყოფოს განაგებდა ვასილის კუნძულზე.

... და აი ახლა, კვირას 22 ივნისს, დაახლოებით დღის ორ საათზე, ვალიცკიმ ოსმინინის ნომერი აკრიფა და ნაცნობი ყღრიალა ხმა რომ გაიგონა, სრულიად მშვიდად მისალმებისა და რაიმე წინასიტყვაობის გარეშე ჰკითხა:

— ...აბა... რა არის ახალი?

— შენ რა, ჭკუაზე ხომ არ შეიშალე, თეოდორე! აღშფოთებით შესძახა ოსმინინმა. — მოგინახავს რაღა დრო ახირებული ოხუნჯობისათვის!

— მაშ... — მოკლე პაუზის შემდეგ და მოულოდნელად ხმის დაწევით თქვა ვალიცკიმ. — მაშ, ეს მართალია?

— შენ რა, ყურები ბამბით გაქვს გამოტენილი? — არ ცხრებოდა ოსმინინის აღშფოთება. — ბოლოს და ბოლოს საზღვარი აქვს...

— ბოდიში, — შეაწყვეტინა ვალიცკიმ და მისი ხმა, როგორღაც დამნაშავის ხმასავით გაისმა, — ოღონდ მე ვერ დავიჯერე... უფრო მოგვიანებით დაგირეკავ...

ყურმილი ჩამოჰკიდა და წყნარად ხმამაღლა წარმოთქვა:

— მაშ, ყველაფერი ეს მართალია. ომია.

მან ხელი მიიდო მკერდზე, რადგან იგრძნო, როგორ ჩქარ-ჩქარა და ხმაურით უცემდა გული და რამდენიმე წუთს გაუნძრევლად იჯდა.

მერე ადგა, ძველი დროიდან შემორჩენილი, გაქუცული. მძიმე აბრეშუმისებრი მაუდისაგან შეკერილი ხიფთანი გაიხადა და ჩამოკიდებულ მაღალ სარკესთან მივიდა.

სარკესთან მან გულდასმით შეიკრა თავისი წვრილი, ხმელი თითებით „პეპელა-ჰალსტუხი", გაჭირვებით გაიკეთა

მაგრად გახამებული საყელო, ჩაიცვა ჟილეტი, მუქი ლურჯი პიჯაკი და კაბინეტიდან გავიდა.

ქმრის ნაბიჯები რომ გაიგონა, მარიამ ანტონის ასული მივარდა მას. ვალიცკიმ ხმის გაუცემლად მოიცილა ცოლი, საპარადო კარისაკენ გაემართა, კუთხეში მიყუდებული მსხვილი კაკლის ხის ჯოხი აიღო და ქუჩაში გავიდა.

არავითარი მიზანი არ ჰქონდა, არსაით წასვლა არ სჭირდებოდა. უბრალოდ უნდოდა გამოსულიყო გაშეშების მდგომარეობიდან, რომელმაც უეცრივ შეიპყრო.

მაღალი, მოუხრელი, ძველმოდური ვალიცკი ისე მიდიოდა ქუჩაზე, აქეთ-იქით არ იცქირებოდა, ოდნავ აჩხაკუნებდა ჯოხს ტროტუარზე და ჭაღარა თავი მაღლა აეწია.

საიდანღაც შორიდან რადიოს ხმა მოესმა. ნაბიჯის აუჩქარებლად — ვალიცკი ყოველთვის და ყოველგვარ ვითარებაში ერთი და იმავე ტემპით დადიოდა — იგი წავიდა იქითკენ, საიდანაც ხმა მოისმოდა.

ნევის პროსპექტზე გავიდა, მარჯვნივ გაუხვია და პროსპექტს გაჰყვა. სულ მალე მიხვდა, რომ რეპროდუქტორის ხმა იმ შესახვევიდან მოისმოდა, სადაც რადიოს სახლი იდგა.

შესახვევში ხალხი შეჯგუფულიყო და მდუმარედ ისმენდა ხმამაღალ ლაპარაკს, რომელიც მესამე სართულის ღია ფანჯრიდან გამოყოფილი უზარმაზარი გრამაფონის მილისმაგვარი რეპროდუქტორიდან ისმოდა.

ვალიცკი განზე დადგა ისე, რომ ხალხს არ შეერია. დაძაბულად მიუგდო ყური სიტყვებს, რეპროდუქტორიდან რომ მოისმოდა, ცდილობდა დაეჭირა მათი არსი, რაიმე ფრაზა, ინტონაცია, რითაც შეიძლებოდა გამართლებულიყო მის გულში ჯერ კიდევ ოდნავ მბჟუტავი იმედი იმისა, რომ ყველაფერი ეს — გაუგებრობაა, რომ რაღაც უხეიროდ შედგენილი ცნობა არასწორად გაიგეს. მაგრამ იმედი, რომელსაც იგი თავისი თავისთვის ანგარიშმიუცემლად ელოლიავებოდა, უკვე რამდენიმე წუთის შემდეგ დასამარებულ იქნა- იმ ულმობელ სიტყვათა სიმძიმის ქვეშ, ზევიდან რომ აცვივდებოდა დაბლა მდუმარედ მდგარ ხალხს.

დიახ, ეს იყო ომი. არა ის, გონებაში წარმონასახი, რომელიც უკვე პირველი წელიწადი როდი აწვა გულზე ადამიანებს, როგორც მოჩვენება, როგორც შავბნელი ლანდი, არამედ რეალური, დღევანდელ დღედ ქცეული ომი: დიქტორი ლაპარაკობდა გერმანელთა ჯარების უეცარ თავდასხმაზე სამხრეთიდან, დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან — ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე.

შემდეგ იგი გაჩუმდა, მაგრამ ხალხი მაინც არ იშლებოდა და ვალიცკიც იდგა, გაუნძრეველად, დარეტიანებული, გულდაწყვეტილი.

დიქტორმა ისევ დაიწყო ლაპარაკი, და ვალიცკი მაშინვე როდი მიხვდა, რომ იგი კვლავ იმავე სიტყვებს ამბობდა. იმეორებდა ცნობას, ხოლო როცა ამას მიხვდა, მუხლებში გაშეშებული ფეხებით ძლივს გასცილდა აქაურობას.

იგი კვლავ გავიდა ნევის პროსპექტზე და მექანიკურად გაუხვია თავისი სახლის მოპირდაპირე მხარისაკენ, ანიჩკინის ხიდისკენ.

ცოტა რომ გაიარა, თევდორე ვასილის ძემ სახბანკის კიდელთან შეჯგუფებული ადამიანები დაინახა. მათთან მიკიდა, გაჩერდა და მათ თავებს ზემოდან რომ გადაიხედა, სვეელი, იმ წუთში გაკრული განცხადება დაინახა.

მან წაიკითხა წითელი შრიფტით აწყობილი სტრიქონები — ეს იყო იგივე ფრაზები, წელან რომ გაისმოდა რადიოთი: „ჩვენი საქმე სამართლიანია. მტერი განადგურებული იქნება. გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება!"

ვალიცკის დასცხა, თავი მიატრიალ-მოატრიალა — ცდილობდა მოეშვა მაგრად გახამებული საყელო, რომელიც ძალიან უჭერდა, და იქვე სარკის ვიტრინაში თავისი გამოსახულება დაინახა. და თითქოსდა ცხოვრებაში პირველად მოეჩვენა, რომ იგი როგორღაც არათანამედროვეად, გარშემომყოფთათვის უცხოდ გამოიყურებოდა, მჭიდროდ ნაქსოვი „პეპელა" ყელსახვევის ბოლოები ერთობ გამომწვევად (გამოშვეროდა, (გახამებული პერანგი ჟილეტის ამონაჭრიდან ეფხორებოდა, ჭაღარა, კარგად დაბანილი თმა თავზე შარავანდედივით ადგა.

ვალიცკი მობრუნდა და თავისი სახლისაკენ გაემართა.

სადილობისას მარიამ ანტონის ასულმა კვლავ ანატოლის შესახებ წამოიწყო ლაპარაკი, მაგრამ თევდორე ვასილის ძემ ამჯერადაც ორი-სამი მოკლე ფრაზით იგი აიძულა გაჩუმებულიყო.

...მიუხედავად ამისა, ვალიცკის არ შეეძლო ახლა შვილზე არ ეფიქრა. მას უცბად მოუვიდა თავში აზრი, რომ მათი დამოკიდებულება მას შემდეგ, რაც ანატოლიმ შეგნებულად აზროვნება იწყო, და დღეანდლამდე მთლად ბუნებრივად არ ვითარდებოდა.

ანატოლი ცხოვრობდა თავისი ცხოვრებით, რომელიც მამისთვის ყოველთვის გასაგები როდი იყო. ზოგჯერ მას

უნდოდა ჩაწვდომოდა ამ ცხოვრებას. იყო შემთხვევები, როცა შვილთან თავს მოიყრიდნენ ხოლმე ამხანაგები — ქალიშვილები და ჭაბუკები, მაგრამ ვალიცკი მაშინ უფრო მჭიდროდ მიიხურავდა კაბინეტის კარებს, რომ ხმამაღალი სიცილი და პატეფონის გამაღიზიანებელი ხმა არ გაეგონა.

თუმცა ერთხელ იგი ცნობისმოყვარეობას აჭყვა. გაახსენდა თავისი ახალგაზრდობა, სტუდენტური შეკრებები, პუნში, „ჰაუდეამუს“, თანაკურსელი ქალები და ისეთი რამეები, რაც კარგა ხანია დავიწყებას მისცა და თევდორე ვასილის ძეს მოესურვა შესულიყო და შეეხედა, როგორ მხიარულობდა ახლანდელი ახალგაზრდობა.

იმ საღამოს ანატოლისთან შეკრებილიყვნენ მისი თანაკურსელი სტუდენტები. როცა ვალიცკი თავისი შვილის ოთახში გამოჩნდა, იქ უცებ სიჩუმე ჩამოვარდა.

იგი, გამოკოხტავებული, გახამებული, მიუკარებელი, მართლაც და შეუფერებლად გამოიყურებოდა მაისურებსა და კოვბოურებში გამოწყობილ ქოჩრიან ახალგაზრდებს შორის. ვინ სადაც იყო, იქ გაშეშდა, მარტო პატეფონი, რომლის გაჩერება ვერავინ მოიფიქრა, „რიორიტას“ დაკვრას განაგრძობდა.

როგორც ჩანდა, საქმე მარტო იმაში როდი იყო, რომ ვალიცკი თავისი შესახედაობით ახალგაზრდებს უხერხულობაში აყენებდა. ამ სტუდენტ-მშენებლებმა იცოდნენ, რა რეპუტაცია ჰქონდა დამსახურებულ არქიტექტორს, და იმ თავითვე საჩხუბრად იყვნენ განწყობილი მისდამი.

შესაძლებელია, ვალიცკიმ გაითვალისწინა ან ინტუიციით იგრძნო ეს, ხოლო ასე იყო თუ ისე, მან პირველმა დაიწყო „ჭინჭყლობა“, ირონიულად გამოკითხა — „რას ასწავლიან ახლა“.

მაგრამ იმ დროს, როცა სტუდენტები გულფიცხად პასუხობდნენ შეკითხვებზე, დარწმუნებულნი მის „შეუდრეკლობაში“, მოხუცი დიდ სიმწარეს განიცდიდა გულში. ისევ და ისევ იგრძნო მან, რომ არავის აღარ სჭირდებოდა, და ბოლოს რაღაც წაიბუტბუტა და წავიდა... და აი ახლა უცბად გაიფიქრა, მართლაც რომ მოუხდეს შვილთან განშორება, ალბათ, ვერც თვითონ და ვერც ანატოლი ვერ მონახავდნენ საჭირო და მნიშვნელოვან სიტყვებს. მაგრამ ამაზე ფიქრი მხოლოდ ერთი წამით ამოუტივტივდა ვალიცკის ცნობიერებაში, მისთვის ადვილი იყო ამ ფიქრის განდევნა, ვინაიდან ყველაფერი, რაც ახლახან მოხდა, სრულიად არარეალურად ეჩვენებოდა.

ვალიცკის ყველა ფიქრი, ყველა შეგრძნება ჯერ კიდევ გუშინდელ დღესთან იყო დაკავშირებული. მის ცხოვრებაში ჯერ კიდევ არ მომხდარა ის განსაკუთრებული, პირადი ამბავი, რომელიც აიძულებს ადამიანს არა მარტო დაიჯეროს, არამედ იგრძნოს კიდეც, რომ ამიერიდან იგი არსებობის სრულიად ახალ სტადიაში შევიდა და რომ გასულმა ღამემ არა მარტო, როგორც ჩვეულებრივ, გუშინდელი დღე გამოყო დღევანდელი დღისაგან, არამედ ცეცხლის ხაზით გადაჭრა ყველაფერი, რითაც ცოცხლობს ადამიანი: გრძნობები, იმედები, მისწრაფებები და ყველაფერი, რაც მას გარემოიცავს.

ამიტომ ცოლის აღგზნებული, ისტერიკამდე მისული მდგომარეობა აგულისებდა ვალიცკის: ამის საფუძველს იგი ვერ ხედავდა.

ომი მას წარმოდგენილი ჰქონდა, როგორც შორეული რამ, შეუმჩნეველი მოვლენა, რომელიც სადღაც „იქ" ხდება. იმასთან არც მას და არც მის „სახლს" არ შეიძლება ჰქონდეს და არც ექნება პირდაპირი დამოკიდებულება. ცხადია, ომთან დაკავშირებით ანატოლზე ფიქრი ეწვეოდა ხოლმე. მაგრამ თეოდორე ვასილის ძე დარწმუნებული იყო, რომ მის შვილს, როგორც უკანასკნელი კურსის სტუდენტს, არ გაიწვევდნენ არმიაში. მის ქვეცნობიერებაში ჯერ კიდევ ცოცხლობდა წარმოდგენა ომზე. რაღაც იმის მსგავსზე, რაც 1914 წელს ხდებოდა, როცა არა მხოლოდ დიდ ქალაქებში, არამედ ფრონტის ხაზიდან სულ ასიოდე ვერსტზე ცხოვრება ჩვეულებრივი, მშვიდობიანი გზით მიდიოდა. ის აზრი, რომ ომს შეუძლია თავისი საშინელი თათი ჩაჰკრას აქ, პიტერში, ვალიცკის არაბუნებრივად მიაჩნდა.

მაშასადამე, ანატოლის არაფერი არ ემუქრებოდა. რაკი ასე იყო, ცოლის თვალცრემლიან მოთქმას გამართლება არ ჰქონდა. ეს მხოლოდ ამცირებდა ანატოლის ღირსებას, თითქოს იგი პატარა ბავშვია, დედას ბიჭიაო. ხოლო ყველაფერი, რაც სინამდვილეში ან თეოდორე ვასილის ძის წარმოსახვაში ამცირებდა მას ან მისი ოჯახის, „სახლის" ღირსებას, მკვეთრ, საპროტესტო რეაქციას იწვევდა მასში.

თეოდორე ვასილის ძე მენტორულად, პედანტურად უხსნიდა ცოლს, რომ ანატოლი ჩრდილოეთის პოლუსზე კი არ გამგზავრებულა, არამედ დასახლებულ პუნქტში, სადაც უთუოდ იქნება რადიო, და მოისმენდა თუ არა ომზე, ცხადია, შინისაკენ გამოეშურებოდა.

მაგრამ მარია ანატონის ასული ვერ დამშვიდდა — მას

აშინებდა, აღონებდა ფიქრი იმაზე, რომ მისი შვილი შეიძ-ლებოდა ფრონტზე გაეგზავნათ, — და თეოდორე ვასილის ძეს არ შეეძლო მისთვის ეს ეპატიებინა. და თუმცა გულში დარწმუნებული იყო, რომ ანატოლის არ გაიწვევდნენ არ-მიაში და ეს ომიც უთუოდ ძალიან მალე დამთავრდებოდა გერმანელთა განადგურებით, მან გაჯავრებით თქვა, რომ მისი შვილი დოყლაპია და ლაჩარი არ არის და უკვე ოცდა-სამი წლის ასაკში დედის კალთებს არ ჩაეჭიდებოდა.

ამან მარია ანტონის ასულის ცრემლთა ახალი ნაკადი გამოიწვია, ვალიცკიმ უკმეხად შეუყვირა: „შეწყვიტე!" და თავის კაბინეტში შევიდა.

გვიან საღამოს ვალიცკისას მოულოდნელად გამოჩნდა ანდრია გრიგოლის ძე ოსმინინი. მან თქვა, რომ შემოვიდა ცოტა ხნით. ვინაიდან ერთი საათის შემდეგ საავადმყოფო-ში, რომელსაც იგი განაგებდა, საგანგებო საერთო კრება უნდა შემდგარიყო.

ვალიცკიმ მდუმარედ შეხედა თავის აჩაჩულად ჩაცმულ, მელოტ, ქოშინით დაავადებულ მეგობარს და უცბად სინ-დისის ქენჯნა იგრძნო. ოსმინინი როგორც ჩანდა, დაკავებუ-ლი იყო რაღაც სერიოზული და გადაუდებელი საქმით, თვითონ კი ისე იჯდა თავის კაბინეტში, თითქოს არაფერი არ მომხდარაო.

და, როგორც ყოველთვის ასეთ შემთხვევებში, ვა-ლიცკი ამჯერადაც შეეცადა გამოეყენებინა თავისი მხსნელი ირონია, დაავიწყდა რა, რომ ოსმინინთან ეს მას არ გამოუ-დიოდა.

— აბა, რა საკვირველია, უშენოდ საქმე ვერ მოგვარ-დება, — უთხრა ვალიცკიმ. — სიტყვამ მოიტანა, შენთვის ჯერ კიდევ არ მიუნიჭებიათ გენერლის წოდება?

— მე მეორე რანგის სამხედრო ექიმი ვარ, — მშრალად უპასუხა ოსმინინმა, — შენ ვინ-ღა ხარ?

ვალიცკიმ მხრები აიჩეჩა და გაიცინა.

— სხვათა შორის, მე სამოცდახუთი შემისრულდა. და ერთადერთი თოფი, რომელიც ამ სახლში მოიძებნება, ანა-ტოლის ეკუთვნის. იმით ხუთი წლისა რომ იყო, მაშინ თა-მაშობდა.

— ტაკიმასხარაობას თავი დაანებე, თეოდორე, — უთხრა ოსმინინმა. და პაუზის შემდეგ დასძინა: — თუმცა მე შენი მესმის...

ვალიცკი დაუყოვნებლივ ჩაწვდა ამ უკანასკნელი სიტყ-ვების მოწყალეობით-შეურაცხმყოფელ აზრს. მაგრამ სწო-

რედ ამჯერად მას წინააღმდეგობის გაწევა მოუნდა. პირდაპირ და გამომწვევად ჩახედა თვალებში თავის მეგობარს და ხმამაღლა უთხრა:

— მე პატიოსანი კაცი ვარ, ანდრია! და ჩემს თავს არაფერი არ შემიძლია ვუსაყვედურო.

ოსმინინს ამ სიტყვებში, ალბათ, არა მარტო თავმოყვარეობის შელახვა მოესმა, შესაძლებელია, მათში სიმწარეც იგრძნო და ტკივილიც და შეეცოდა ვალიცკი. რბილად უთხრა:

— ამაში ეჭვი არავის არ ეპარება, თეოდორე.

ცოტა ხანს სიჩუმე სუფევდა, და პირველად იგი ოსმინინმა დაარღვია:

— პირადად მე მიმაჩნია, რომ ყველაფერი ეს მალე დამთავრდება, — თქვა მან, განზრახ გასცილდა პირად თემას. — ამბობენ, ჩვენებმა დიდი დესანტი გადასხესო სადღაც ბერლინის ახლოს. ოღონდ ჯერ ამას საიდუმლოდ ინახავენ.

მაგრამ ვალიცკი მეტად თავმოყვარე იყო, რომ დაეფასებინა ოსმინინის დიდსულოვნება, უნდოდა გამოწოდებული ხელს წატანებოდა, მაგრამ მაშინვე ჩამოიცილა იგი. ვალიცკი ვერ შერიგებოდა იმას, რომ ოსმინინი მას დაბნეულობისა და დამცირების მდგომარეობაში ხედავდა.

— ვისგან საიდუმლოდ? — ჰკითხა მან კვლავ ჩვეული ირონიული ტონით. არავითარი საფუძველი არ ჰქონდა მას ეჭვი შეეტანა ასეთი დესანტის რეალობაში, მით უფრო, გულში ძალიან უნდოდა ამის დაჯერება. და, მიუხედავად ამისა, როდესაც ოსმინინმა მხრები აიჩეჩა, მან კვლავ უფრო დაჟინებით გაიმეორა თავისი შეკითხვა: — ვისგან საიდუმლოდ? გერმანელებისაგან თუ ჩვენებისაგან? ვფიქრობ, როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში საეჭვოა, ამას აზრი ჰქონდეს.

— ჰო, რასაკვირველია, შენ დიდი სტრატეგი და ტაქტიკოსი ხარ! — დაცინვით შენიშნა ოსმინინმა. მან სხვა ვერაფერი თქვა, ვინაიდან მართლაც ვერ მოენახა ასეთი საიდუმლოს შენახვის დამაჯერებელი მიზეზები, ხოლო ვალიცკის თვითდარწმუნება დღეს განსაკუთრებით ეჩოთირებოდა. იგი იჯდა სავარძელში და ბრაზით ჭმუხნიდა მოთეთრო წარბებს.

— მე არც სტრატეგი ვარ და არც ტაქტიკოსი, — თქვა ვალიცკიმ, კმაყოფილმა, რომ მისმა სარკაზმმა, ეტყობოდა, მიზანს მიაღწია, მაგრამ მეტად აღარ უნდოდა რისკი

გაეწია და ოსმინინი მოთმინებიდან გამოეყვანა, — მე მხოლოდ საღი გონების ლოგიკით ვმსჯელობ.

— გერმანელებს რამდენიმე დღეში დაამარცხებენ, — ხმამაღლა და გადაჭრით თქვა ოსმინინმა.

— უთუოდ, — დაეთანხმა ვალიცკი. — იმედი მაქვს, რომ ჩვენ შეგვიძლია ვიომოთ, ყოველ შემთხვევაში უკეთ, ვიდრე სახლები ვაშენოთ.

ეს არ უნდა ეთქვა. დღეს მაინც. ოსმინინი ადგა.

— აი რა, — უთხრა მან და, ვალიცკისთან ნაცნობობის მრავალი წლის განმავლობაში, მართლაც, პირველად შეხედა მას აშკარად მტრული თვალით, — მე არ მომწონს შენი ტონი. იჯდე სავარძელში და პროფესორის გამომეტყველებით მსჯელობდე, როდესაც ფრონტზე უკვე უთუოდ იღუპებიან ადამიანები...

— მაგრამ სამოცდახუთი წლისას მეტი რაღა დამრჩენია? — ჩაიცინა ვალიცკიმ. — რიგითი ჯარისკაცობისთვის მობერებული ვარ, გენერლობას არ მომანიჭებენ, როგორც, თუნდაც, შენც. მე მედიკი არა ვარ, მუცლებს ვერ გავკერავ, — მაშასადამე, ერთადერთი, რაც დამრჩენია, — სწორედ ესაა, რომ ვიმსჯელო! არ მესმის, რად გაცხარდი? რაგორც ვთქვი, ჩვენ, ალბათ, გავიმარჯვებთ...

— ალბათ?!

— ღმერთო ჩემო, ენთუზიასტი კომკავშირელის როლს ნუ კი თამაშობ! დიახ. ალბათ, ვინაიდან ომი ომია, და ყოველთვის რჩება რაღაც პროცენტი...

— შენ დასაშვებად მიგაჩნია ის აზრი, რომ ჰიტლერი...

— დაიცა! მე, როგორც შენ იცი, არავითარ სიმპათიას არ ვგრძნობ იმ კაცისადმი. მასში ძალზე კონცენტრირებული ფორმით თავი მოუყრია ყველაფერს, რაც მე მძულს. იგი დემაგოგია, ურჯულკია — ერთი სიტყვით, როგორც იტყვიან, რეაქციონერია.

— სწორედ ამიტომ იგი განწირულია!

— საკმაოდ გულუბრყვილო მსჯელობაა. შენ მხოლოდ მცირე განათლების ადამიანი ხარ, ანდრია! შენ რომ ისე გულმოდგინედ შეგესწავლა ისტორია, როგორც შენი პაციენტების დაავადებული გულები და კუჭები, გეცოდინებოდა, რომ კაცობრიობის განვითარებაში იყო პერიოდები, როდესაც ბარბაროსები საკმაოდ დიდი ხნით განუკითხავად ახშობდნენ შეუდარებლად უფრო მაღალ კულტურებს.

— შენ თვითკმაყოფილი პოზიორი ხარ, თევდორე, — უთხრა ოსმინინმა, — მე კი ახლა სულაც არა მცალია. საა-

ვადმყოფოში უნდა წავიდე. ვიმედოვნებ, ანატოლისთან შენ არ გექნება ასეთი საეჭვო საუბრები.

— ანატოლი შინ არ არის. იგი კურორტზე გაემგზავრა.

— მას მართებდა დღეს აქ ყოფილიყო.

მისი სიტყვები ვალიცკის ისევ შიგ გულში მოხვდა.

— ეგ შენ არ გეხება! — მედიდურად უთხრა მან.

ოსმინინმა კარი გაიჯახუნა და წავიდა. ვალიცკი მარტოდ დარჩა. და, მართლაც, მრავალი წლის განმავლობაში მათმა ხანმოკლე შეხვედრამ პირველად დაუტოვა ვალიცკის ხინჯი. ოსმინინის ფრაზამ, რომელსაც სხვა დროს იგი ყურადღებას არ მიაქცევდა: „შენ თვითკმაყოფილი პოზიორი ხარ, თევდორე", ამჯერად რატომღაც მტკივნეულად უჩხვლიტა.

ვალიცკი შეეცადა აღედგინა მეხსიერებაში, გაემეორებინა გულში ის სიტყვები, რომლებსაც მოჰყვა ეს ფრაზა.

დიახ, დიახ, მან რაღაც ფრაზა თქვა ისტორიის შესახებ. შესაძლებელია, ეს სულელურად გაისმა, და, მიუხედავად ამისა, იგი მართალი იყო, არავითარ, თვით უმწვავეს სიტუაციას არ შეუძლია, არ-უნდა შეუშალოს ხელი მოაზროვნე ადამიანს იმსჯელოს, გააანალიზოს, ერთმანეთს შეუპირისპიროს ფაქტები.

და მაინც არის სიტუაციები, როდესაც...

ვალიცკი შეეცადა არ ეფიქრა ამაზე. შეხედა დიდ დასადგმელ საათს, ისარი თერთმეტს აჩვენებდა. ღამდებოდა. იგი ფანჯარასთან მივიდა, ქუჩაში გაიხედა. იქ სიჩუმე იყო და ყველაფერი ისე გამოიყურებოდა, როგორც ჩვეულებრივ შუაღამისას, მაგრამ ძალიან ნაკლებად მოჩანდნენ ადამიანები — მხოლოდ ცალკეულ გამვლელებს მოჰკრავდი თვალს.

„ძნელია წარმოიდგინო, რომ სადღაც ბრძოლებია", — გაიფიქრა ვალიცკიმ.

და ამ მომენტში მას შორეული რადიოს ხმა მოესმა. თევდორე ვასილის ძემ თავი გაჰყო ფანჯარაში და ყური მიუგდო. დიქტორის სიტყვები ვერ გაარკვია, ხოლო მოეჩვენა, რომ დიქტორი დაჟინებით იმეორებდა რაღაც ერთსა და იმავე ფრაზას.

შემდეგ რადიო ჩაჩუმდა. წუთით სრული სიჩუმე ჩამოვარდა. და უცბად იგი მკივანა, ზუზუნა ხმამ გაარღვია.

თევდორე ვასილის ძემ ის იყო იფიქრა, სადღაც მახლობლად „სასწრაფო დახმარების" მანქანა მიქრის და საყვირის გუგუნით გზას ითავისუფლებსო.

მაგრამ ძლიერი ხმა ჰაერში, ყურებში, სახლების კედლებში რომ იჭრებოდა, არც ახლოვდებოდა და არც წყნარდებოდა, როგორც ეს სანიტარული მანქანის გავლისას ხდება ხოლმე.

გეგონებოდა, რომ ეს ხმა ყოველი მხრიდან მოედინებოდა და ყველაფერს ავსებდა.

თეოდორე ვასილის ძე ფანჯარასთან იდგა, გაკვირვებით გასცქეროდა მოსაზღვრე ქუჩებს, ცდილობდა გაეგო, მაინც რა ხდებოდა არსებითად.

მჩხვლეტავი ხმა უეცრად ჩაჩუმდა. ერთი წუთით სრული სიჩუმე დამყარდა. შემდეგ საიდანღაც გარედან ძალ ყვირილი გაიგონა:

— ჰეი, თქვენ მანდ! დაუყოვნებლივ ჩააქრეთ სინათლე! გესმით?

ვალიცკიმ თავი გაჰყო ფანჯარაში. მოპირდაპირე სახლის კედელთან იდგა სამოქალაქო კოსტიუმში გამოწყობილი ახალგაზრდა კაცი, რომელსაც მკლავზე წითელი სახვევი ეკეთა. ვალიცკი რომ დაინახა, კიდევ უფრო ხმამაღლა იყვირა:

— საჰაერო განგაშია! თქვენ რა, დაყრუვდით? დაუყოვნებლივ ჩააქრეთ სინათლე! თორემ...

და იგი მუშტით დაემუქრა.

ვალიცკიმ მოპირდაპირე სახლების ფანჯრებს შეხედა და ნახა, რომ არც ერთი მათგანში სინათლე არ ენთო.

იგი აჩქარებით მოსცილდა ფანჯარას, გადაატრიალა გამომრთველი და მთელი ბინა შემოიარა: ელექტრონი ყველგან გამორთული იყო, მხოლოდ, თეთრი ღამის შუქი შემოდიოდა ფანჯრებიდან. თეოდორე ვასილის ძემ შეამჩნია ცოლი, რომელსაც სასადილო ოთახში დივანზე ეძინა. არ გააღვიძა და ფრთხილი ნაბიჯებით დაბრუნდა კაბინეტში.

ამ დროს, სადღაც შორიდან ყრუ დარტყმის ხმამ მოაღწია. მას მოჰყვა მეორე, მესამე... ვალიცკი აჩქარებით მივიდა ფანჯარასთან და დაინახა, რომ ნაცრისფერ-მოთეთრო ცაზე პროექტორის მკრთალი, ძლივს შესამჩნევი ორი სხივი გამოჩნდა. და ორივე ნელა დაცოცავდნენ ცაზე, მერე გადაჯვარედინდნენ, როგორც რომაული ციფრი „X", იცვლ განცალკევდნენ და შემდეგ კვლავ შეხვდნენ ერთიმეორეს, მაგრამ უკვე სადღაც სიმაღლეში და წამახვილებული წვეროებით ოდნავ ეხებოდნენ ერთმანეთს.

კვლავ გაისმა შორეული დარტყმა და შემდეგ ტყვიამფრქვევის კაკანი. და ამ მომენტში პროექტორების სხივ-

თა გადაჯვარედინების ადგილზე თეოდორე ვასილის ძემ დაინახა ძლივს შესამჩნევი ვერცხლისებრი წერტილი. იგი ნელა, სულ ნელა მიცურავდა ცაზე.

კიდევ რამდენიმე წამი გავიდა, და უცებ საიდანღაც ქვემოდან სახლების კედლებიდან, ზევით წაცოცდნენ სხვადასხვა ფერის პუნქტირის ხაზები — წითლები, მწვანეები...

თითქოს ცის თეთრ-ნაცრისფერ გუმბათს ფატრავენო, ისინი მედგრად იკაფავდნენ გზას და სულ უფრო და უფრო უახლოვდებოდნენ მცურავ ვერცხლისებრ წერტილს, რომელიც პროექტორთა მოძრავ წვეროებში იყო მოქცეული.

უეცრად სადღაც სულ ახლოს გაისმა ქვემეხების გრიალი, გეგონებოდა, იმ სახლის სახურავიდან ისროდნენ, სადაც ვალიცკი იმყოფებოდა. ცაში თეთრი ღრუბლები აეკვეთნენ, ჰაერში ნამწვისა და თოფის წამლის სუნი დატრიალდა...

ვალიცკიმ საჩქაროდ მიხურა ფანჯარა და სასადილო ოთახში გაიქცა: მარიამ ანტონის ასულს წინანდებურად ეძინა. იგი იწვა და სახე ცრემლებით დასველებულ ბალიშში ჩაერგო. თეოდორე ვასილის ძემ ყური მიუგდო შის ძლივს შესამჩნევ სუნთქვას. არ იცოდა, რა ექნა: გამოეღვიძებინა ცოლი და გადაეყვანა მეორე ოთახში, რომლის ფანჯრები ეზოში გადადიოდა, თუ დაეტოვებინა მძინარე — ეხსნა შიშისა და ახალი განცდებისაგან.

მან აიღო სკამი, წყნარად დადგა ცოლის სასთუმალთან და იქვე დაჯდა, თითქოს მოახლოებული საშიშროებისაგან იცავდა. მაგრამ მოულოდნელად ყველაფერი მიჩუმდა.

თეოდორე ვასილის ძე გაუნძრევლად იჯდა და ყურს უგდებდა, ყოველ წამს ახალ ზალპებს მოელოდა.

მაგრამ არაფერი აღარ ისმოდა. თეოდორე ვასილის ძეს ჯერ კიდევ არ სჯეროდა უეცრად დამყარებული სიჩუმისა. ფრთხილად, რომ ცოლი არ გაეღვიძებინა, ფეხის წვერებზე დაბრუნდა თავის კაბინეტში და ფანჯარა უფრო ფართოდ გააღო.

მხოლოდ ახლა დაინახა, რომ დაცარიელებულ, თითქოსდა გაუკაცრიელებულ ნევის პროსპექტზე, შუა ქუჩაში მიჯაჭვულივით იდგნენ მანქანები.

ცაც მოწმენდილი, უდაბური და მდუმარე იყო. ვალიცკის მოეჩვენა, რომ იგი ერთადერთი ცოცხალი ადამიანია ამ უეცრად გაქვავებულ, გაციებულ ქალაქში და შიშმა აიტანა.

და ამ მომენტში მან კვლავ გაიგონა რადიოს შორეული ხმა. დიქტორი ისევ იმეორებდა რაღაც ერთსა და იმავე განურჩეველ ფრაზას. ეს რამდენიმე წუთს გრძელდებოდა. შემდეგ ხმა მიჩუმდა, და უცბად ყველაფერი ისე გამოცოცხლდა, როგორც ძველ ზღაპარში მძინარე მეფის ასულზე.

ამოძრავდნენ მანქანები, საიდანღაც, თითქოს პირდაპირ სახლების კედლებიდან ადამიანები გამოჩნდნენ, შორიდან ტრამვაის ჭრიალი და გრუხუნი მოისმა. და მხოლოდ ჰაერში კვლავინდებურად უჩვეულო სუნი იდგა — ეს იყო მწვავე, მწკლარტე სუნი.

ვალიცკიმ საშინელი დაღლილობა იგრძნო.

თეოდორე ვასილის ძე მძიმე ნაბიჯით მივიდა დივანთან და გაუხდელად მიწვა.

... როდესაც გამოეღვიძა, თენდებოდა. თავისი თავი ჩაცმული რომ დაინახა, შეეშინდა, შეიძლება ოთახში ცოლი შემოვიდეს და მიხვდეს, წუხელ რაღაც მომხდარაო.

საჩქაროდ ადგა, სასადილო ოთახში შევიდა და კმაყოფილება იგრძნო, რომ მარიამ ანტონის ასულს ჯერ კიდევ ეძინა. შევიდა საწოლ ოთახში, გაიხადა და ლოგინში ჩაწვა.

მძიმე ფიქრებში ჩაფლული იგი დილამდე თვალმოუხუჭავად იწვა.

რვა საათზე თეოდორე ვასილის ძე ადგა, ტანთ ჩაიცვა, ცოლს ბარათი დაუტოვა, საუზმისათვის დავბრუნდებიო, და ქუჩაში გავიდა. მოუთმენლად სურდა გაეგო, რა მოხდა, რა შეიცვალა ქალაქში წუხანდლის შემდეგ.

მაგრამ ყველაფერი მოწმობდა, რომ არაფერიც არ შეცვლილიყო. ქუჩები, როგორც ჩვეულებრივ, სავსე იყო ხალხით. თეოდორე ვასილის ძეს არ დაუნახავს ნგრევის არავითარი კვალი, შემაშინებელი ცვლილების რაიმე ნიშანი.

იგი ნელა მიდიოდა ნევის პროსპექტზე, და მალე უკვე ეჩვენებოდა, რომ ყველაფერი, რაც ღამით განიცადა, მხოლოდ სიზმარი იყო.

დილის გაზეთები, საიდანაც ახალი ამბების გაგება შეეძლო, სტენდებზე ჯერ კიდევ არ გამოეკიდათ. „იქნებ, ეს უბრალოდ სასწაული განგაში იყო?“ — ფარული იმედით გაიფიქრა თეოდორე ვასილის ძემ.

ძალიან მოუნდა ვინმეს გამოლაპარაკებოდა, გამოერკვია, თუ რა მოხდა. იმწამსვე მიიღო გადაწყვეტილება: წასულიყო არქიტექტურის სამმართველოში და იქ გაეგო მთელი ახალი ამბები.

ჩვეულებრივ დროს თეოდორე ვასილის ძე იშვიათად

დადიოდა დაწესებულებაში, სადაც კონსულტანტად ირიცხებოდა.ისე იცოდნენ, რომ იგი შინ მუშაობდა. საჭიროების შემთხვევაში ვალიცკის ტელეფონით ურეკავდნენ, რათა შეთანხმებულიყვნენ დეტალებზე რომელიმე მორიგი ექსპერტიზისა, რომელსაც მას მიანდობდნენ ხოლმე. მაშინ თევდორე ვასილის ძე საჭირო დოკუმენტაციის გასაცნობად ცოტა ხნით მიდიოდა სამმართველოში, ხოლო უფრო ხშირად კი შინ მიჰქონდა.

საკუთარი ინიციატივით კი ვალიცკი სამმართველოში არ დადიოდა. საერთოდ უკანასკნელ წლებში, ძალიან მცირე გამონაკლისის გარდა, ადამიანებთან ურთიერთობის მოთხოვნილებას არ გრძნობდა. იგი ცხოვრობდა საკუთარ სამყაროში — იმ წიგნებისა და ქანდაკებების სამყაროში, რომელსაც აგროვებდა ჯერ კიდევ რევოლუციამდე საზღვარგარეთ მოგზაურობისას, ცხოვრობდა მკაცრად დაცულ სიწყნარეში თავის დიდ ბინაზე, რომლის კედლები ცნობილი პეტერბურგელი მხატვრების სურათებით იყო დაფარული. ამ სურათებიდან ვალიცკის ზოგიერთი ოდესღაც საჩუქრად ჰქონდა მიღებული ავტორებისაგან, სხვები თვითონ მოეგროვა.

დღის განაწესი ერთხელ და სამუდამოდ ჰქონდა დამტკიცებული და არც ერთ შინაურთაგანს არ შეეძლო გაეგებინა მისი დარღვევა. მაგალითად, მისთვის დარეკვა მხოლოდ დილის ცხრასა და თერთმეტ საათებს შუა შეიძლებოდა, დღის სხვა დროს იგი ტელეფონთან არ მიდიოდა. და, რასაკვირველია, არავის არ შეეძლო აეძულებინა ვალიცკი წასულიყო არქიტექტურის სამმართველოში გამოძახების, სპეციალური მიწვევის გარეშე.

...და, აი, ახლა თევდორე ვასილის ძემ აუჩქარებლად გაიარა ნაცნობი დერეფანი, რომელიც ჩვეულებრივ, მასში არაკეთილგანწყობილებას იწვევდა. უმრავლესობა, ვისაც გზად ხვდებოდა, სახით იცნობდა მას; თავს უკრავდნენ, მაგრამ აჩქარებით გვერდზე გაუვლიდნენ ხოლმე.

შეეჩერებინა კაცი, რომელმაც თვითონ არ მოინდომა მასთან დალაპარაკება, ვალიცკის არ შეეძლო, — ეს მისი წესების საწინააღმდეგო რამ იქნებოდა. თუმცა ორჯერ თუ სამჯერ, ნაცნობი სახის დანახვისას თევდორე ვასილის ძემ ნაბიჯი შეანელა, მაგრამ ეს თითქოს არავის არ შეუმჩნევია.

მაშინ თევდორე ვასილის ძემ თავზე ძალდატანებით განიზრახა შესულიყო როსლიაკოვის კაბინეტში. როსლიაკო-

ვი სამმართველოს ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო. იგი თეოდორე ვასილის ძეს არ უყვარდა, ვინაიდან კარიერისტად და დემაგოგად მიაჩნდა, მაგრამ იძულებული იყო სხვადასხვა კონსულტაციისა და ექსპერტიზის დროს შეხვედროდა.

ვალიცკიმ დაუკაკუნებლად შეაღო კაბინეტის კარი. ზღურბლს გადააბიჯა და დაინახა, რომ როსლიაკოვი ხალხით გარშემორტყმულ მაგიდასთან იჯდა. ზოგიერთს უკვე სამხედრო ფორმა ეცვა. როცა ვალიცკი შევიდა, მან ლაპარაკი შეწყვიტა, თავი ასწია, და როგორც თეოდორე ვასილის ძეს მოეჩვენა, ისე უკმაყოფილოდ და გაოცებით შეხედა მას, თითქოს ვერ გაეგო, ასეთ დროს აქ რად გაჩნდაო. ვალიცკიმ თქვა. უფრო სწორად, წაიბუტბუტა: „ბოდიშს ვიხდი, მოგვიანებით შემოვალ", — და სწრაფად გავიდა კაბინეტიდან.

მან კიდევ ერთხანს იხეტიალა სამმართველოს დერეფნებში, რამდენიმე ოთახში შეიხედა. არავინ არ მიიწვია შესულიყო. არავის არაფერი უკითხავს. მაღალი, მხრებში მოუხრელი, მიუხედავად სიცხისა, ლურჯ ორბორტიან კოსტიუმსა და გახამებულ პერანგში გამოწყობილი, უაზროდ ხეტიალობდა აქ.

ომმა და ამ ღამის ამბებმა თითქოს კიდევ უფრო დააშორეს ვალიცკი ადამიანებს, და თუ ისინი წინათ ცივი პატივისცემით მიმართავდნენ მას, ახლა უბრალოდ ვერ ამჩნევდნენ. მაგრამ თუ წინათ განდგომილების შეგრძნება თეოდორე ვასილის ძის შეგნებაში საკუთარ მნიშვნელობასა და ინტელექტუალურ უპირატესობაში დარწმუნებასთან იყო დაკავშირებული, ახლა უცბად დამცირებულად და შეურაცხყოფილად იგრძნო თავი.

იგი ჭუჭაში გავიდა და დაინახა, რომ იმ დროის განმავლობაში, სანამ სამმართველოში იყო, სახლების კედლებზე ახალი პლაკატები და განცხადებები გაჩენილიყო. ერთი მათგანი იუწყებოდა, რომ გერმანულ-ფაშისტურმა ავიაციამ სცადა წინაღამეს ლენინგრადში შემოჭრილიყო, მაგრამ მოგერიებულ იქნა მტრის დიდი დანაკარგით. გვერდით მიკრული იყო უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება რიგ სამხედრო ოლქებში სამხედრო ვალდებულთა მობილიზაციის შესახებ. სია ლენინგრადის ოლქით იწყებოდა.

ვალიცკიმ საჩქაროდ გადაავლო თვალი ბრძანებულებას უკანასკნელ სტრიქონამდე, სადაც ნათქვამი იყო, რომ მობილიზაცია ეხება სამხედრო ვალდებულებს, რომლებიც დაბადებული არიან 1905 წლიდან 1918 წლამდე ჩათვლით.

„...1918 წლამდე ჩათვლით", — ისევ გადაიკითხა ვალიც-

კიმ ბრძანებულების უკანასკნელი სტრიქონი. და მუხლებში უჩვეულო კანკალი იგრძნო. მერე თავის თავს უთხრა: „რა თქმა უნდა, ტოლია — სამხედრო ვალდებულია. მაგრამ მას ვადა გაგრძელებული აქვს ინსტიტუტის დამთავრებამდე; ხომ არაფერია ნათქვამი იმაზე, რომ ვადების გაგრძელება გაუქმებულია...“

ვალიცკის ძხარზე მსუბუქი შეხება იგრძნო და გაიგონა ხმა: „ჩამოდექით რა, მოქალაქე!“

იგი განზე გადგა.

ქალმა, რომელსაც ცალ ხელში ვედრო ეჭირა, მეორე იღლიაში კი ქაღალდის რულონები, მისი ადგილი დაიკავა.

მან ტროტუარზე დადგა ვედრო, რომლიდანაც ფუნჯი ამოიღო და უმაღლესი საბჭოს ბრძანებულების გვერდით კედელს წებო წაუსვა.

შემდეგ აიღო ერთ-ერთი რულონი და ვალიცკის უთხრა:

— აბა, მოქალაქე, დაიჭირეთ!

იგი მაშინვე მიხვდა, რას მოითხოვდა მისგან. ორივემ ერთად, გაშალეს რულონი, რომელიც გრძელი ფერადი პლაკატი აღმოჩნდა და კედელს მიაკრეს. ქალმა პირის მხარეზე ერთხელ კიდევ გადაუსვა ფუნჯი პლაკატს, დაკვირვებით შეხედა მას, ვედრო აიღო, დარჩენილი რულონები მოაგროვა და ტროტუარს გაუყვა.

ვალიცკი პლაკატს დააცქერდა. მასზე გამოსახული იყო მატროსი უწინაფრო ქუდის მოფრიალე ლენტებითა და ზეაღმართულ ხელში გრანატით. გამოსახულების ქვეშ დიდი წითელი ასოებით ეწერა: „სამშობლოსათვის!“

სრულიად მექანიკურად თეოდორე ვასილის ძემ შენიშნა პლაკატის ნაკლი — მატროსის არაპროპორციულად დიდი ხელი და არც ისე ბუნებრივი მოქნევა.

იგი ტროტუარის გაყოლებით მიდიოდა და გუშინდელ ბრძოლებზე გამოკრულ დილისა და საღამოს ცნობებს კითხულობდა. ბევრი მოხუცის მსგავსად ვალიცკისაც წარსული ამბები უფრო კარგად ახსოვდა და ახლა გაიხსენა ცნობები საომარ მოქმედებათა შესახებ, პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში რომ იბეჭდებოდა.

არა, მათში არ იხსენიებოდა ის დასახლებული პუნქტები და მიმართულებანი, რომლებიც აღნიშნული იყო დღევანდელ ცნობებში.

ყველაფერი იმაზე მეტყველებდა, რომ ომი რუსების და არა გერმანელთა მიწაზე წარმოებდა.

და აი ეს გარემოება ჰგვრიდა ვალიცკის სიმწრის, ღირ-

სების შეურაცხყოფის, მძაფრი პროტესტის წმინდა ემოციურ მოზღვავებას, რაც ჯერ კიდევ საკუთარი შეგნებული არ ჰქონდა. „როგორ შეიძლება ეს? ვინ მისცა ნება?! რატომ?! ასე გამოდის, რომ გერმანელები ჩვენს მიწაზე არიან. თუმცა მხოლოდ ორი დღე-ღამეა, რაც ომი მიმდინარეობს. რუსეთის მიწაზე? მაგრამ ეს ხომ... ეს ხომ ეშმაკმა, ეშმაკმა უწყის, რას ნიშნავს!“

და მაშინვე ჩვეული არაკეთილგანწყობილებით გაიფიქრა, რომ ალბათ, ჩვენს ჯარებს სარდლობენ ისეთივე არაკომპეტენტური ადამიანები, როგორც ისინი, რომლებიც მრავალი წლის განმავლობაში არად აგდებდნენ აკადემიკოს ვალიცკის ჭკუას, ცოდნასა და გამოცდილებას.

ამ აზრმა მას თუმცა მწარე, მაგრამ მაინც ცოტაოდენი კმაყოფილება მოჰგვარა.

თევდორე ვასილის ძე შინ წავიდა.

როგორც კი გასაღები გააჩხაკუნა და კარი გააღო მარიამ ანტონის ასული მივარდა ქმარს და კითხვები მიაყარა: მართალია, რომ ღამით თავდასხმა ყოფილა — მას ხომ ტახტზე დასძინებია და არაფერი გაუგონია; რა დანგრეულა ქალაქში, ანატოლის ხომ არ დაურეკავს ღამით?

ვალიცკი შეეცადა სიმშვიდე შეენარჩუნებინა და უპასუხა, რომ არავითარი თავდასხმა არ ყოფილა — უბრალოდ სასწავლო განგაში გამოაცხადეს, ხოლო განგაშზე იმიტომ წერენ და ლაპარაკობენ, რომ სიფხიზლე დაიცვან; რაც შეეხება ანატოლის, არ დაურეკავს, რადგან, უთუოდ, უკვე ლენინგრადისაკენ გამოემგზავრა და დღეს თუ ხვალ შინ იქნება.

შემდეგ თევდორე ვასილის ძე გაშლილ სუფრას მიუჯდა, უმადოდ ჭამა და თავის კაბინეტში შეავიდა. ტელეფონი დუმდა.

საღამოს წყენა ძლივს შეიკავა და ოსმინინს დაურეკა. უნდოდა ეთქვა ყველაფერი, რასაც მასზე ფიქრობდა, მაგრამ ანდრია გრიგოლის ძე შინ არ აღმოჩნდა.

მისმა შვილიშვილმა ლენოჩკამ უპასუხა, რომ ბაბუა დილაადრიან წასული, არ დაბრუნებულა და ტელეფონით მითხრა, არც სადილად, არც ვახშმად არ დამელოდოთო.

ვალიცკიმ ისევ დაურეკა თავის მეგობარს, ამჯერად საშუაოზე, საავადმყოფოში. ოსმინინმა მაშინვე როდი აიღო ყურმილი, რამდენიმე წუთი გავიდა, სანამ მას მონახავდნენ და თევდორე ვასილის ძემ ნაცნობი ხმა გაიგონა.

— შენ რა, არ შეგეძლო დაგერეკა? — როგორც ჩვეულებრივ, არ მისალმებია, ისე ჰკითხა ვალიცკიმ.

— დაკავებული ვარ, თეოდორე, ძალიან დაკავებული ვარ! — მოისმა აჩქარებული პასუხი. — თვითონ გესმის...

ოსმინინის ამ უკანასკნელმა სიტყვებმა რატომღაც კიდევ უფრო გააღიზიანა ვალიცკი. მან გესლიანად უთხრა:

— ჰო, რასაკვირველია, როგორ არ უნდა მესმოდეს! იქნებ უკვე გენერლობა მოგანიჭეს? საომრად ამზადებთ ჯარებს?

მოკლე პაუზის შემდეგ — ამჯერად თითქოს შორიდან — ისევ მოისმა ოსმინინის ხმა:

— დაკავებული ვარ, თეოდორე, ძალიან დაკავებული ვარ, ადამიანები მიცდიან, ბოდიში...

ვალიცკი კიდევ რამდენიმე წამს ხელს უჭერდა ყურმილს, არ დადო ბერკეტზე. ოსმინინის სიტყვები გაისმა როგორც გამოწვევა, როგორც შეურაცხყოფა. მან მოიგონა თეოდორე ვასილის ძე, როგორც აბეზარი ბუზი. რა უნდოდა ეთქვა, ორჯერ რომ გაიმეორა, დაკავებული ვარო? ისევ ხაზი გაუსვა მისგან, ვალიცკისაგან, თავის განსხვავებულობას? თავის მონაწილეობას იმაში, რაც ხდება? რომ უიმისოდ საქმეს თავს ვერ ართმევენ?

თეოდორე ვასილის ძე წიგნის კარადასთან მივიდა, ალალბედზე გამოიღო ერთი წიგნი — ანდრია პალადიოს „ტრაქტატი არქიტექტურაზე“ აღმოჩნდა — იწყო გვიროვების ფურცვლა, ცდილობდა დამშვიდებულიყო, მაგრამ დამშვიდება ვერ შეძლო. ყურში ისევ ჩაესმოდა ოსმინინის ხმა, მისი უკანასკნელი ფრაზა: „დაკავებული ვარ, ძალიან დაკავებული ვარ, ადამიანები მიცდიან...“

თეოდორე ვასილის ძემ გულფიცხად ტლაშუნით დახურა წიგნი, კარადაში ჩატენა და კარზე გაუბედავი კაკუნი მოესმა. იგი გაკვირვებით მიბრუნდა. არც ცოლს, არც შვილს, არც შინამოსამსახურეს ნება არ ჰქონდა დაერღვია ამ საათებში მისი განმარტოება.

ვალიცკიმ კაკუნზე პასუხი არ გასცა, კართან მივიდა, ერთბაშად გააღო და დეიდა ნასტია დაინახა.

— რა გინდა? — ჰკითხა უკმაყოფილოდ.

— თქვენ გკითხულობენ, თეოდორე ვასილეიჩ, — გაუბედავად ხმადაბლა უპასუხა მან.

— ვინ „გკითხულობენ“, — ხაზგასმით ხმამაღლა გაუმეორა კითხვა ვალიცკიმ.

— არ ვიცი, ვიღაც მოქალაქეა. ამბობს, გვარად კოროლიოვი ვარო.

— კოროლიოვი? — გაოცებით გაიმეორა ვალიცკიმ. — საიდან არის?

— არ ვიცი, თეოდორე ვასილევიჩ, არ ვიცი საიდან არის, — ენის ტარტარით თქვა დეიდა ნასტიამ, — ქუჩიდან მოვიდა, საპარადო კარზე დარეკა და გავუღე... ამბობს, მნიშვნელოვანი საქმე მაქვსო...

— აბა, გეყოფა, — გულმოსულად შეაწყვეტინა მას ვალიცკიმ. — სთხოვე.

იგი საწერ მაგიდასთან მივიდა, მიბრუნდა და მოლოდინით შეაცქერდა კარს.

ერთი წუთის შემდეგ ზღურბლზე უცნობი კაცი გამოჩნდა. ვალიცკიმ გაოცებით შეათვალიერა ეს თითქმის მასზე უფრო მაღალი, ხანდაზმული მამაკაცი, მისი გახეხილი, ძველმოდური პიჯაკი, ოდნავ გადაკეცილი ლაცკანებით, მოთეთრო-ლურჯი, ალბათ, უთვალავჯერ განარეცხი პერანგი, მონაქსოვი, ჩალიჩად დაწნული ჰალსტუხი, დარწმუნდა, რომ არასოდეს წინათ არ შეხვედრია ამ მოხუცს, და მშრალად ჰკითხა:

— რით შემიძლია?..

— ჩემი გვარია კოროლიოვი, — თქვა უცნობმა კაცმა, — ივანე მაქსიმოვიჩს მეძახიან.

ეს თქვა და გაჩუმდა, თითქოს ვარაუდობდა, რომ მისი გვარი, სახელი და მამის სახელი ვალიცკისათვის რაიმეს მთქმელი უნდა ყოფილიყო.

თეოდორე ვასილის ძემ მხრები აიჩეჩა და გაიმეორა:

— ამრიგად, რით შემიძლია?..

კოროლიოვმა გულგრილად შეათვალიერა ოთახი, რომლის ზღურბლზეც იდგა, — ხავერდის მძიმე ფარდები, ბრისჯაოს მასიური ჭაღი, ტყავის სავარძლები, წიგნის კარადები — და მზერა კვლავ მიმართა გულჩათხრობილი, ქედმაღალი ვალიცკისადმი, რომელიც საწერ მაგიდასთან გაუნძრეველად იდგა.

— მე... ჩემი ქალიშვილის თაობაზე, — მოულოდნელად ყრუ ხმით თქვა კოროლიოვმა.

— მაპატიეთ, ვისი? — გაოცებით შეუბრუნა კითხვა ვალიცკიმ.

— ქალიშვილი, ჩემი... ვერა... — გაიმეორა კოროლიოვმა.

— მაგრამ მე... არა მაქვს პატივი... — დაიწყო ვალიცკიმ. ხოლო კოროლიოვმა მოულოდნელად შეაწყვეტინა, ამჯერად მკაცრად და ცივად:

— რა შუაშია აქ პატივი? მეგონა, რომ შვილმა გიამბოთ...

თავიდან ვალიცკიმ ვერაფერი გაიგო. მაგრამ მეორე წამს უკვე იგრძნო, როგორ წამოენთო სახე.

„ესლა მაკლდა!" — გაიფიქრა მან შიშისა და ზიზღის შერეული გრძნობით. ნუთუ მას მოუხდება მოსმენა რამე უხამსი ისტორიისა, რომელშიც გარეული იქნება მისი შვილი? დიახ, დიახ, რასაკვირველია!

ყველაფერი ეს როგორ უაზროა, სულელურია! ვალიცკის ყველაზე უფრო დაწყვიტა გული იმის გააზრებამ, რომ მან შეიტყო ეს სწორედ ახლა, ასეთ დროს!..

მიღება, რომელიც სამმართველოში აკადრეს მას, ოსმინინთან უსიამოვნო საუბარი ტელეფონით და ახლა ესეც, უეჭველად უხამსი ისტორია — ყოველივე ეს ვალიცკის ცნობიერებაში ერთმანეთს გადაეწნა და შექმნა ერთი მჩხვლეტავი ხლართი. თეოდორე ვასილის ძე გრძნობდა, რომ კიდევ ერთი წუთი — და იგი ვეღარ შესძლებდა თავის შეკავებას. მას უნდოდა ეყვირა ამ კაცისთვის, რომელიც ისევ ისე კართან იდგა და მთელი თავისი შესახედაობით სრულებით არ ეხამებოდა აქაურ ატმოსფეროს. გაეგდო იგი ყვირილით, რომ ეს საქმე მას არ ეხება, არავითარ შანტაჟს არ აჰყვება, ანატოლი სრულწლოვანია, და ამიტომ...

თუმცა ვალიცკი უკმეხიც იყო და დიდგულაც, მიღებული აღზრდა კრიტიკულ მომენტებში ზოგჯერ შეეღლოდა თავი შეეკავებინა, ახლაც ჩაიხშო ენის წვერზე მომდგარი სიტყვები, კრუნჩხვით ნერწყვი გადაყლაპა, ხელით გაურკვეველი ჟესტი გააკეთა და უთხრა:

— გთხოვთ დაბრძანდეთ...

XV

ისინი მთავარი შარაგზით კი არ შეეიდნენ სოფელში, არამედ ზურგიდან, ყამირიდან მოუარეს. როცა ჟოგინმა ცხენი დააყენა მესერთან, რომლის გადაღმიდან მაღალი მზესუმზირები მოჩანდა, კრავცოვმა უთხრა:

— ახალგაზრდები ქოხში წაიყვანე.

— თქვენ საით? — გაკვირვებით ჰკითხა ვერამ.

— მეც მალე მოვალ. სადღა წავალ ყავარჯნით? — გულკეთილი ჩაცინებით უპასუხა ფორანზე ნახევრად წამოწოლილმა კრავცოვმა.

ეოგინმა უხმოდ შეჰყო ხელი მესრეებს შუა, გასწია დაბალი კუტიკარის ურდული და თქვა:

— წამოდით, მესტუმრეთ. მე ახლავე, — მიაძახა კრავცოვს.

ანატოლი და ვერა ყოყმანით გაჰყვნენ ეოგინს სახლისაკენ, რომელსაც მაღალი ვაშლის ხეები ეფარებოდა და თითქმის არ ჩანდა.

ეოგინი კიბეზე ავიდა და ფეხი წაჰკრა მიხურულ კარს.

— თქვენ წინკარში დამიცადეთ. მე ახლავე, — თქვა მაშ. შიგ შესულ ანატოლისა და ვერას კარი მიუხურა და გაქრა.

მათ გაიხედ-გამოიხედეს. წინკარში გრილოდა და ბინდი იდგა. მაგრად მიხურული კარი, ალბათ, ოთახში გადიოდა. ძელურ კედელზე პირსაბანი ეკიდა. მის ქვემოთ ტაბურეტზე ტაშტი იდგა. როგორც ჩანდა, წინკარის შორეულ ბოლოში დაქანებული, ზევით მიმავალი კიბე უნდა ყოფილიყო.

ანატოლი და ვერა დუმდნენ, გარედან შემოჭრილ ხმებს ყურს უგდებდნენ და კრავცოვის მოსვლას უცდიდნენ.

მაგრამ როცა კარი გაიღო, მათ დაინახეს, რომ ეოგინი მარტოკა იყო...

— სადაა... — თითქმის ერთდროულად წამოიძახა ორივემ, მაგრამ ეოგინი კითხვის დასრულებას არ დაელოდა და უპასუხა:

— ამხანაგი კრავცოვი მეორე სასტუმროში წავიდა. თქვენი შეწუხება არ მოისურვა. თქვენ, მაშ, ჩემთან დარჩებით, ამხანაგმა კრავცოვმა კი ცალკე ყოფნა არჩია. მას კლეპიკში მრავალი ნაცნობი ჰყავს! მთხოვა სალამი გადმოგცეთ. ჰო, აგრეა.

ყოველივე ეს მან წარმოთქვა აუჩქარებლად, სვენებსვენებით და ძნელი იყო იმის გამოცნობა, დაკინვით ამბობდა ამას თუ არა.

„მაგრამ ჩვენ გვინდა ერთად ვიყოთ!" — კინაღამ წამოცდა ანატოლის, მაგრამ ეს სიტყვები დროზე ჩაიკლა გულში, კრავცოვის ინსტრუქცია რომ გაახსენდა.

ეოგინმა კიბეზე ანიშნა და თქვა:

— რაღას უცდით? ადით ზევით.

— გვითხარით, გეთაყვა, — მოკრძალებით უთხრა ვერამ, — ეს მართალია, რომ გერმანელები... — იგი ისე გაჩუმდა, რომ სათქმელი ვერ დაასრულა.

— თუ არ ცრუობენ, მაშ, სიმართლეა, — ამჯერად უკვე აშკარა ჩაცინებით უპასუხა ეოგინმა, — რაღაა აქ გაოცებული? — თითქოს თავის თავს ეკითხებაო და ხელების საკ-

სავით შენიშნა. — ომია! შეუძლიათ უნებართვოდაც მოვიდნენ, რაკი ძალა აქვთ. თქვენთან ბოდიში, რა ეროვნებისა ხართ? — მოულოდნელად იკითხა მან.

— ჩვენ რუსები ვართ, — სასწრაფოდ უპასუხა ანატოლიმ.

— ჰოდა კარგი. თუკი კომკავშირში ირიცხებით, არაკინ არ გაძალებთ თქვითო. ამხანაგ კრავცოვს კარგად იცნობთ? — ჰკითხა მან რაიმესთან დაკავშირების გარეშე.

— არა, არა, რას ამბობთ! — აჩქარებით უპასუხა ანატოლიმ. — საიდან? ჩვენ მატარებელში ერთად ვმგზავრობდით. ერთ საწოლზე. შემდეგ კი მატარებელი დაბომბეს...

— ჰოდა კარგი, — კმაყოფილებით, თითქმის სიხარულით დაეთანხმა ეოგინი. — აი ამხანაგი კრავცოვიც თქვენთან ნაცნობობაზე უარს ამბობს. ეს კარგია, — გაიმეორა მან. — ახლა კი მომყევით.

და იგი ნელა და მძიმედ პირველი შეუდგა კიბეზე ასვლას. წუთის შემდეგ ისინი უკვე სხვენზე იყვნენ. ღიად დარჩენილი კარიდან იატაკს განიერი ნათელი ზოლი ეკვმოდა. იატაკი თივის ნარჩენით იყო დაფარული. კუთხეში რაღაც ძონძების გროვა ეყარა. პატარა სარკმელი ფიცრებით იყო აჭედილი.

ეოგინმა წინ გაატარა ანატოლი და ეერა, თვითონ კი კართან დადგა. მერე თქვა:

— აი, რა. ახალგაზრდებო, — და ამჯერად მისი ხმა მშრალად და საქმიანად აჟღერდა, — მაშ, მდგომარეობა ასეთია. ჯერჯერობით თქვენ მანდ უნდა დარჩეთ. დიასახლისი ყანიდან მოვა — რაიმე საჭმელს მოგიტანთ. თქვენ რომ დაგინახონ — ეს საჭირო არ არის. არც თქვენთვის, არც ჩემთვის. მაშ, ისხედით აქ. თუ გარეთ გასვლა მოგინდეთ, ვთქვათ საჭიროებისათვის, ფეხით დააბრახუნეთ იატაკზე, ისე კი — უკეთესია არ იხმაუროთ.

— მაგრამ... მაგრამ გერმანელებს კი უსათუოდ მოსპობენ! — შესძახა ანატოლიმ.

— ეგ, რა თქმა უნდა, შესაძლებელია, — კვლავ თავისი წინანდელი მანერით — დინჯად და სვენებ-სვენებით თქვა ეოგინმა, — ოღონდ სიფრთხილეს თავი არ სტკივა. მე თქვენზე პასუხს ვაგებ ამხანაგ კრავცოვის წინაშე. კრავცოვი კი — სერიოზული კაცია. ხუმრობა არ უყვარს.

— მომისმინეთ, — აჩქარებით თქვა ანატოლიმ და ნაბიჯი წარდგა ეოგინისაკენ, — მე მინდა გკითხოთ... თქვენ ხომ ადგილობრივი ხართ და უნდა იცოდეთ... ჩვენი ჯარები აქ

არიან? აბა როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო, რომ გერმანელები....

მან ვერ გაბედა წარმოეთქვა ეს სიტყვები „აღმოჩნდნენ აქ“ — და გაჩუმდა.

— ჯარის შესახებ ვერაფერს ვიტყვი, არ მინახავს, — მზადყოფნით უპასუხა ჟოგინმა. — ხოლო როგორ შეიძლებოდა ეს მომხდარიყო, ჯობს თვით გერმანელებს ჰკითხოთ. თუ მოგიხდათ...

— ნუთუ თქვენ ფიქრობთ... — მღელვარებისაგან დახშული ხმით თქვა ვერამ და უნდოდა განეგრძო.

— ეს კი ქალიშვილო, ცხენმა იფიქროს, — მოულოდნელად უხეშად შეაწყვეტინა მას ჟოგინმა, — ამიტომ აქვს მას დიდი თავი. ჩვენ მაგივრად კი საბჭოთა ხელისუფლება ფიქრობს, ვინ როგორ იცხოვროს და ვინ რა აკეთოს. ჩვენ ამას შევეჩვიეთ. აბა... ახალმობინავეობას მოგილოცავთ.

იგი მკვეთრად მიბრუნდა, ზღურბლს გადაალაჯა და კარი მაგრად გაიხურა. ერთი წამის შემდეგ მისი მძიმე ნაბიჯებით კიბე აჭრაჭუნდა

ერთხანს ანატოლი და ვერა ჩუმად იდგნენ დაბნეულები. იმ ფიცრებს შუადაშუა ღრიჭეებში, რომლებითაც აჭედილი იყო სარკმელი, შუქის ვიწრო ზოლები იჭრებოდა. თანდათან მათი თვალები სიმრუმეს შეეჩვივნენ. ანატოლიმ გაქექა სარკმლის ქვეშ დაყრილი ძონძების გროვა, დახეული ლეიბი იპოვა და კედელთან, აჭედილი სარკმლის ქვეშ დააგო.

— დაჯექი, — უთხრა მან ვერას და პირველი დაეშვა ლეიბზე.

მაგრამ ვერა ისევ იდგა.

— დაჯექი, — გაუმეორა ანატოლიმ.

— შენ ვერ შეამჩნიე, რომ იგი იღიმებოდა? — წყნარად და გაკვირვებით ჰკითხა ვერამ.

— იღიმებოდა? ვინ? ჟოგინი? როდის?

— აი როცა შენ თქვი, რომ გერმანელებს უთუოდ მოსპობენო. და კრავცოვზეც იგი რაღაც უცნაურად ლაპარაკობდა.

— განა იგი კრავცოვზე რამეს ლაპარაკობდა? — ყურები ცქვიტა ანატოლიმ.

— რაღა თქმა უნდა, ნუთუ შენ არ გაგიგონია?

— ა, დარიგებაზე, — დამშვიდებით თქვა ანატოლიმ. — ჰო, ეგ ეტყობა, უბრალოდ ასეთი მანერა აქვს. მიედ-მოედება რაღა... დაჯექი რა, რას დგეხარ!

ვერა ნელ-ნელა დაეშვა ლეიბზე და დაჯდა, ფეხი მოიკეცა და ზურგით კედელს მიეყრდნო.

— ჭამა არ გინდა? — ჰკითხა ანატოლიმ.

— არა. შენ?

— არც მე. აი საოცრება! უკანასკნელად რომ ვჭამეთ, მას შემდეგ არანაკლები თორმეტიოდე საათი გავიდა, არ გეძინება?

— არა.

— არც მე. თვალზე ძილი არ მეკარება მიუხედავად იმისა, რომ მთელი ღამე ფეხზე გავატარეთ.

— სიცხე ხომ არა გაქვს?

— სიცხე კი არა და!..

ისინი ისხდნენ და, თითქოს შეთანხმდნენო, სრულიად უმნიშვნელო, ყოველივე იმისაგან, რაც მათ გადახდათ, დაშორებულ კითხვებს აძლევდნენ ერთმანეთს. ორივეს უნდოდა ერთი მეორის ხმა გაეგონა, და ორთავეს ეშინოდა, შეიძლება სიჩუმემ დაისადგუროსო.

ანატოლი ეკითხებოდა, ხომ არ სციოდა მას, თუმცა სხვენზე სიცხე და მხუთვარება იყო, ხომ არ გაეჭრა ფეხი, როცა გარბოდა, მოხერხებულად თუ ზის, და კვლავ — უნდა თუ არა ჭამა ან ძილი. ვერა კი მას ეკითხებოდა, თავი ხომ არ სტკივა. სიცხე ხომ არა აქვს, ეგებ წამოწოლა უნდა.

მაგრამ დაბოლოს დადგა წუთი, როცა კითხვები გამოელიათ და გაჩუმდნენ, ეშინოდათ სიმართლისთვის თვალი გაესწორებინათ.

ერთხანს ისინი ჩუმად ყურს უგდებდნენ საიდანღაც შორიდან მოღწეულ ბავშვების კანტიკუნტ ხმებს, ძაღლის ყეფას, გამვლელი ფორნის ბორბალთა რახრახს.

პირველად ვერამ ვერ შეიკავა თავი. ანატოლისთან უფრო ახლოს მიიწია და თითქმის ჩურჩულით ჰკითხა:

— ტოლია!.. როგორ ფიქრობ, რით დამთავრდება ყოველივე ეს?

ამ ჩურჩულმა მას გული დაუმძიმა. განგებ ხმამაღლა უპასუხა:

— რით-ღა უნდა დამთავრდეს? გერმანელებს უთუოდ გარეკავენ, თუ ჯერ კიდევ არ გაურეკავთ მე დარწმუნებული ვარ, რომ უკვე მათი ხსენებაც აღარ არის. გახსოვს, მაშინ ტყეში რომ გვესმოდა სროლა და ის გუგუნი? ახლა კი? ირგვლივ სიჩუმეა, მე დარწმუნებული ვარ, — განაგრძობდა იგი მხნე, მოღონიერებული ხმით, — რომ ყოველივე ეს საერთოდ ცრუ განგაში იყო. უკიდურეს შემთხვევაში, გერმა-

ნელებმა მოახერხეს გადმოესხათ სასიკვდილოდ განწირული პარაშუტისტთა ჯგუფი, იმისათვის, რომ პანიკა გამოეწვიათ. შენ თვითონ იფიქრე, რაღას გახდებიან რაღაც ერთი მეტი გერმანელი ჯარისკაცები აქ, ლენინგრადთან, სადაც მათ ყოველი მხრით გარს ერტყმის ჩვენი არმია? დიახ, ისინი თავიდანვე დასაღუპავად იყვნენ განწირული. სიფრთხილით, რასაკვირველია, არაფერი დაშავდება. რამდენიმე საათს მოგვიხდება ჯდომა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, დღეს საღამოსვე, ან, ძალიანაც რომ დაგვიანდეს, ხვალ დილით ლენინგრადში ვიქნებით.

ვერა დუმდა, მაგრამ ანატოლი გრძნობდა, რომ მისმა სიტყვებმა იგი დაამშვიდა.

— ნეტავ კრავცოვი რა იქნა? — მოულოდნელად იკითხა ვერამ.

ამ კითხვაზე თავისივე ნათქვამით თითქმის დამშვიდებული ანატოლი შემაშფოთებელ სინამდვილეს დაუბრუნდა. მას უკვე დააციწყდა კრავცოვი, დავალება, რომელიც მან დააკისრა, და არ უნდოდა ეფიქრა ამაზე. ცდილობდა ყოველივე ეს მეხსიერებიდან განედევნა: საზარელი ცეცხლმოდებული მატარებელიც, რკინიგზის ყრილზე მგორავი შიშისაგან გონდაკარგული ადამიანებიც, კრავცოვთან საუბარიც და თვით კრავცოვიც.

მას უნდოდა დაემშვიდებინა ვერა, მიეღო რაიმე ზომები, მდგომარეობიდან გამოსავალი მოენახა. მაგრამ ყველაზე უფრო მეტად უნდოდა დაებრუნებინა ჩვეული წოსასწორობა, კელავ მოეპოვებინა ის მდგომარეობა, როცა საერთოდ საჭირო არ არის რაიმე საპასუხისმგებლო გადაწყვეტილების მიღება.

იმ წუთებში ანატოლიმ ჯერ კიდევ არაფერი არ იცოდა ხეირიანად. არ იცოდა, მართლა ახლოს არიან თუ არა გერმანელები, არ იცოდა, როგორ მიეღწია ლენინგრადამდე, არ იცოდა, როგორ მოიქცეოდა ვერა შემდგომ...

მაგრამ ყველაზე მთავარი იქიდან, რაც მან ჯერ კიდევ არ იცოდა, თვითონ იგი, ანატოლი, იყო. რადგანაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების განმავლობაში გამბედავად, მტკიცედ, ადამიანთათვის ხელმძღვანელობის გაწევის უნარის მქონედ მიაჩნდა თავი. მაგრამ ამჟამად, როცა პირველად ცხოვრებაში რთულ, საშიშ სიტუაციაში აღმოჩნდა, უცებ მიხვდა, რომ არც ერთი გონივრული გადაწყვეტილების მიღება აღარ შეუძლია, და მხოლოდ იმაზე ოცნებობდა, ყოველივე ეს რაიმე სასწაულით თავისთავად შეცვ-

ლილიყო, თავის ძველ ჩვეულ ადგილას დამდგარიყო...

— რატომ წავიდა იგი ჩვენგან? — ისევ იკითხა ვერამ.

— აბა... მე საიდან ვიცი? იქნებ მას აქ კიდევ ჰყავს ნაცნობები.

— რატომ თქვა მან, რომ ჩვენ ერთმანეთს არ უნდა ვცნობდეთო? ვთქვათ, იმ შემთხვევაში...

მან შეაწყვეტინა ვერას, რათა არ მიეცა საშუალება ბოლომდე ეთქვა ეს ფრაზა.

— უბრალოდ, ელემენტარული სიფრთხილეა. ასეთ შემთხვევაში ყოველთვის ჯობია, რომ ერთმა... მეორე არ ჩაითრიოს.

— შენ კი ფიქრობ... რომ ასეთი შემთხვევა... შესაძლებელია?

— მე არაფერს არ ვფიქრობ, — უკვე რამდენადმე გაღიზიანებით განაცხადა ანატოლიმ. — უბრალოდ, შენ მკითხე, მეც გიპასუხე.

ვერა მიაშტერდა მას, და თუმცა სიმრუმეში ანატოლის არ შეეძლო გაერკვია მის თვალთა გამომეტყველება, იგრძნო, რომ იგი შიშითა და ყვედრებით შესცქეროდა.

მას შერცხვა. ჩაიხუტა ვერა და უთხრა:

— ნუ ღელავ, ნუ! მე დარწმუნებული ვარ, რომ მთელი ეს თავგადასავალი კეთილად დასრულდება.

— შენ... არ მიმატოვებ?

კითხვა მოულოდნელი იყო. მაგრამ უკვე ერთი წამის შემდეგ ანატოლი მიხვდა, რომ ვერასთვის ახლა იგი ერთად ერთი იმედი, მთავარი საყრდენი გახდა. მას ეცოდებოდა ქალიშვილი, და ამასთან ერთად სიამაყეს ჰგვრიდა იმის შეგნება, რომ ასეთ დიდ, ასეთ გადამწყვეტ როლს ასრულებდა მეორე ადამიანის ცხოვრებაში.

იგი სულ უფრო მაგრად იხუტებდა ვერას და ფიქრობდა იმაზე, რომ აწ უკვე არასოდეს არ მიატოვებდა მას, ყველაფერს გააკეთებდა იმისათვის, რომ დაეცვა იგი ყოველგვარი საშიშროებისაგან, რადაც უნდა დაჯდომოდა, თუნდაც საჭირო ყოფილიყო სიცოცხლის განწირვა. და რამდენადაც შეტს ფიქრობდა ამაზე, იმდენად უფრო უძლიერდებოდა რწმენა თავისი თავის, თავისი ძალების, თავისი გადაწყვეტილების — წინაღდგომოდა ყველაფერს, რაც კი შეიძლება შემთხვეოდა მათ.

ამ გრძნობამ მთლად შეიპყრო ანატოლი და ბოლოს გადმოხეთქა კიდეც.

— ვეროჩკა, ჩემო ძვირფასო, ნურაფრის გეშინია, მე

მუდამ შენთან ვიქნები, — ეუბნებოდა იგი, და სიტყვები თავისთავად წყდებოდა მის ბაგეებს. — ჩვენ მუდამ ერთად ვიქნებით — აქაც და იქაც, როცა დავბრუნდებით. მე მხოლოდ ახლა მივხვდი, რას ნიშნავხარ შენ ჩემთვის! დიახ, შენ მართალი იყავი იქ, ბელოკამენსკში, როდესაც ამბობდი... ჰო, შენ გახსოვს?.. ეგ სწორია, მაშინ მე თვითონაც არ მესმოდა, რომ შენ მიყვარდი, ვფიქრობდი, რომ ეს ისეა რაღაც, დროებითი... მაგრამ ახლა კი ვიცი, ამიერიდან ვიცი, რომ სხვა ვინმე არ იქნება ჩემთვის, რომ ჩვენ მუდამ ერთად ვიქნებით, როცა ფრონტზე წავალ, შენ დამელოდები, ხოლო წერილებს ყოველდღე მოგწერ ხოლმე...

იგი კიდევ და კიდევ ილაპარაკებდა, მაგრამ ამ დროს კარს უკან ვილაცის მძიმე ნაბიჯი და კიბის ჭრაჭუნი მოისმა.

ვერა გაუსხლტა ანატოლის, და მან თვითონაც შფოთიანი მოლოდინით წინ წაიწია, მაგრამ შვებით ამოისუნთქა, როცა კარი გაიღო და ზღურბლზე ეგორინი დაინახა.

დაბალ ზედა წირთხლზე თავი რომ არ მიერტყა, სხვენზე იგი მოხრილი ამოვიდა.

— აი საჭმელი მოგიტანეთ. — მან იატაკზე თიხის დოქი დადგა და ანატოლის პურის დიდი ნაჭერი გაუწოდა — რძე და პური. გლეხური საჭმელი. სადილს ჯერეს არ ვაკეთებთ. ვის ცხელა ახლა სადილისთვის...

ანატოლიმ პური გამოართვა.

ვერა მუხლებზე წამოდგა და გაუბედავად ჰკითხა.

— ხომ არაფერი მოხდა? გაიგეთ რამე... ცუდი?

ეგორინმა მაშინვე როდი უპასუხა. ერთხანს კარებთან ტოკავდა და მერე უთხრა:

— ამის თქმა კი, ქალიშვილო, წინასწარ ძნელია. ცუდი, კარგი — სხვადასხვა ადამიანისათვის სხვადასხვანაირად ითვლება. ვთქვათ, კატა თაგვს ეთამაშება, კატისთვის ეს სიხარულია, თაგვისთვის — ცრემლები. ქვეყანაზე ყველაფერი აი აგრე ხდება!

იგი გაჩუმდა.

ანატოლიც და ვერაც მოელოდნენ მისგან კიდევ რაღაც სიტყვებს, ახსნა-განმარტებებს, მაგრამ ამის მაგივრად ეგორინმა თქვა:

— მაშ, ასე, პირობა ძველი რჩება. ისხედით ჩუმად, საჭიროებისათვის კი — ფეხით დაბაკუნეთ იატაკზე. დავთქვათ, სამჯერ.

იგი მიბრუნდა და ზღურბლს გადააბიჯა, ისევ ისე მაგრად მიხურა კარი. კიბემ დაიჭრაჭუნა.

— უცნაურია, — ხმადაბლა თქვა ანატოლიმ, — ყოველივე რაღაცნაირად ძალიან უცნაურია...

— ჭამე, ტოლია, — წყნარად უთხრა ვერამ.

მან უარი თქვა.

— არა, შენ უსათუოდ უნდა ჭამო! — დაჟინებით გაუმეორა ვერამ. — ასე სულ დასუსტდები. ნუ გავიწყდება, რომ ნაავადმყოფარი ხარ.

ანატოლიმ მხრები აიჩეჩა, მექანიკურად მოაციცქნა პურის ნაჭერს პატარა ნატეხი და პირში ჩაიდო. პური ახალი იყო და გემრიელი. ამდენი ხნის განმავლობაში პირველად იგრძნო, რომ მშიერი იყო. აიღო მაღალი ვიწროყელიანი თიხის დოქი და რამდენიმე ყლუპი დალია. რძე თბილი და ოდნავ მოტკბო იყო. რამდენიმე წუთის განმავლობაში იგი მადიანად შეექცეოდა პურს და თან რძეს ატანდა.

როცა ანატოლის შიმშილის გრძნობა თანდათან დაუცხრა, ვერა მოაგონდა:

— ახლა შენ, — უთხრა მან ვერას და დოქი გაუწოდა. — აბა, ულაპარაკოდ...

მან მორჩილად გამოართვა დოქი ორივე ხელით, პირთან მიიტანა და ერთი ყლუპი მოსვა.

მერე დოქი იატაკზე დადგა და დამნაშავის გამომეტყველებით თქვა:

— მე არ მინდა ტოლია... სრულიად არაფერი არ მინდა. არც ჭამა, არც სმა.

— მაგრამ ეს როგორ შეიძლება? უკვე ოითქმის დღეღამე გავიდა, რაც შენ არ გიჭამია!

ვერამ არ უპასუხა მის კითხვას — იქნებ მნიშვნელობა არ მისცა ან იქნებ ვერ გაიგონა.

დაბოლოს მან ნელა, თითქოსდა თავისი სიტყვები, თავისი მიხვედრა უკვირსო, წარმოთქვა:

— მე მესმის ის, რაც მან წეღან თქვა... ყველაფერი მესმის. შენ?

ანატოლი შეკრთა. ის-ის იყო, სიმაძღრის საამო გრძნობის რამდენიმე წუთი განიცადა, და არაფერზე არ უნდოდა ეფიქრა; სურდა მხოლოდ მოეხუჭა თვალები და ჩუმად მჯდარიყო ანდა ჩაეთვლიმა ყველაფერი დაევიწყა.

— შენ გინდა თქვა, რომ... — წამოიწყო მან და უნდოდა განეგრძო.

— დიახ, დიახ, ტოლია, მე სწორედ ეგ მინდა ვთქვა, — დაბეჯითებით წამოიძახა ვერამ. — მან, ამ ყოვინმა, რაღაც

იცის. ოღონდ მე მეშინოდა მეკითხა მისთვის. ისე პირდაპირ, მიუხვევ-მოუხვევლად.

— მაგრამ... მაგრამ ეგ როგორ შეიძლება! — შესძახა ანატოლიმ და ფეხზე წამოხტა. — თუკი და მართლაც .. ისინი... ჰო, ისინი... — ენა დაეცა იმის შიშით, რომ ხმამაღლა არ ეთქვა სიტყვა — „გერმანელები", — თუ ისინი სადღაც აქ არიან, როგორ შეუძლია მას ასე დამშვიდებული იყოს?! იგი ხომ საბჭოთა კოლმეურნეა, მისთვის ისინი არანაკლებ საშიში არიან, ვიდრე ჩვენთვის?!

ვერა დუმდა.

— არა, შენ შეცდი, — უკვე უფრო მშვიდად განაგრძობდა ანატოლი, — უბრალოდ ამ ყოგინს ლაპარაკის ეკვეთი იეზუიტური მანერა აქვს. რაღაცნაირი ბუნდოვანი გადაკრული სიტყვებით ლაპარაკობს. თან მე მგონი, იგი ციტათი დაგვცინის კიდეც. ქალაქელი ახალგაზრდები ხომ იცი, მიჩვეული არიან კომფორტს... — ის კი — მიწის მუშაა, გლეხი — გუთნისდედა, როგორც წინათ იტყოდნენ.

— დაჯექი, ტოლია, მე მინდა, რომ ჩემს გვერდით იყო.

იგი მორჩილებით დაეშვა ისევ ლეიბზე.

— მე მინდა ერთი რამ გითხრა, — კვლავინდებურად მორიდებით თქვა ვერამ. — დაბოლოს მივხვდი, რასაც ახლა ვგრძნობ. ესაა მეოთხე განზომილება.

— რა? — გაკვირვებით გაეცინა კითხვა ანატოლიმ.

— დიახ, დიახ. აღარ მახსოვს, ეს სად წავიკითხე. ჰერბერტ უელსი? თუ... ჰოდა, მწვანე კუტიკარის შესახებ. ბიჭმა უცებ კუტიკარი დაინახა კედელში. შევიდა — და სხვანაირ სამყაროში აღმოჩნდა. სრულიად სხვანაირში. შემდეგ კი დაბრუნდა, და როდესაც ისევ მოუნდა იქ შესვლა, კუტიკარი უკვე აღარ იყო. არაფერი აღარ იყო.

— არ მესმის, რა კავშირია... — გაკვირვებით წამოიწყო ანატოლიმ, მაგრამ ვერამ შეაწყვეტინა:

— აბა როგორ არ გესმის? ეს ხომ ასე უბრალოა! მაშ, იგი არის, ის სამყარო. იყო და არის. მუდამ არის. სადღაც გვერდით. სრულიად სხვანაირი. ოღონდ იქ, მოთხრობაში, იგი ნათელია, კარგი. ჩვენ კი სხვაში აღმოვჩნდით. და გვეჩვენება, რომ ჩვენი სამყარო, აი იგი, რომელშიც ყოველთვის ვცხოვრობთ, აგრეთვე სადღაც აქვეა გვერდით, მაგრამ მასში შესვლა არ შეიძლება. არც კედელია, არც გალავანი, მაგრამ დაბრუნება კი არ შეიძლება.

ანატოლიმ მხრები აიჩეჩა და უკმაყოფილოდ თქვა:

— მონახე რაღა ფილოსოფოსობის დრო. რა სამყარო,

ეგ... მე შენ გითხარი, რომ სულ მალე ჩვენ ლენინგრადში ვიქნებით.

— შენ გჯერა ეს?

— შესწყვიტე! — შესძახა ანატოლიმ და ისევ წამოხტა. უნდოდა რაიმე სიტყვებით, მოძრაობით გაეფანტა, განედევნა შეშფოთების გრძნობა, რომელმაც კვლავ შეიპყრო იგი. ჩქარი ნაბიჯით იწყო აქეთ-იქით სიარული მის ფეხქვეშ მოშრიალე თივაზე.

—მომისმინე! — უთხრა მან ბოლოს, შედგა ვერას წინ და გრძნობდა, რომ ძალა არ შესწევდა დაეძლია შიში, რომელიც სულ უფრო ძლიერ იპყრობდა. — თუ შენ ფიქრობ... თუ შენ დარწმუნებული ხარ, რომ... მათ შეუძლიათ აქ მოვიდნენ, ჩვენ რაღაც უნდა მოვახერხოთ!.. ეს სისულელეა, ვისხდეთ აქ და ველოდოთ სანამ... სანამ ისინი მოვლენ, გესმის, სისულელეა! — იგი ხმამაღლა და გაანჩხლებით ლაპარაკობდა, თითქოს მის გამო, ვერას გამო, აღმოჩნდნენ ისინი აქ და იგია მიზეზი, რომ ისინი იძულებული არიან აქ იმალებოდნენ.

— მე არ ვაპირებ აქ თაგვივით დამალვას! ეს რაღაც უაზრობაა: ლენინგრადთან სულ ახლოს იყო და...

— შენ ფიქრობ, წავიდეთ? — შეაწყვეტინა ვერამ.

— დიახ, რა თქმა უნდა! ახლავე, დაუყოვნებლივ!

— მაგრამ საით წავიდეთ? მარჯვნივ, მარცხნივ? პირდაპირ?

— ჩვენ პატარები არა ვართ! არიან ადამიანები, შეგვიძლია ვკითხოთ და გზას გვასწავლიან.

— ხელში რომ ჩაუვარდეთ... მათ?

ერთი წამით ანატოლიმ წარმოიდგინა საშინელი სურათი თითქოსდა უახლოვდებიან უცხოურ ფორმაში გამოწყობილი შეიარაღებული ადამიანები, მოეჩვენა, რომ გერმანული ლაპარაკი ესმოდა. ტუჩები გაუშრა და ზედ ენა გადაისვა.

— აბა რა ვქნათ? — თქვა მან ყრუ ხმით.

— დაჯექი, ტოლია, — უთხრა ვერამ. — ხომ გითხარი, რომ არ შემიძლია, როცა შენ გვერდით არა მყევხარ. დაჯექი და თავი ჩემს მუხლებზე დადე, ჰო, დადე, ასე მირჩევნია.

იგი გვერდით მიუწვა და თავი მუხლებზე დაადო. ვერას კაბა გახეოდა და ანატოლიმ ლოყით შეიგრძნო მისი ფეხის შიშველი კანი. ვერამ მას თავზე ხელი დაადო და დაუწყო ნელა თმის ფუჩქვენა.

— ყველაფერი კარგად იქნება, ტოლია, ყველაფერი კარგად იქნება, — რაღაცნაირი მონოტონური, ნანინას ხმით

იმეორებდა იგი, და ყოველივე ეს — შეგრძნება ცოცხალი, თბილი კანისა, რომელსაც ლოყით ეხებოდა, ვერას ხმა, მისი სიტყვები, — ამშვიდებდა ანატოლის.

— ჩვენ დაღამებას უნდა დაველოდოთ, — ისევ ისე მშვიდად, თითქოს ისეთ რამეზე ლაპარაკობს, რაც თავისთავად იგულისხმებაო, ხმადაბლა თქვა ვერამ. — თუ წასვლაა, უმჯობესია, როცა ჩამობნელდება. იმ დროისათვის კი შესაძლოა ყველაფერი ნათელი გახდეს... მე მჯერა, რომ მალე მოვა ჟოგინი და გვეტყვის, რომ გარშემო ხიწყნარეა და ჩვენ შეგვიძლია აქედან გავიდეთ.

— შენ თვითონ არ გჯერა შენი სიტყვებისა, — უთხრა ანატოლიმ, მაგრამ უფრო იმისათვის, რომ ვერა შეგულიანებულიყო და განეგრძო.

— არა, არა, მე მჯერა! განა მე არ მესმის, რომ შენ ჩემს გამო ღელავ, მაგრამ მალავ ამას? ვიცი, რომ უჩემოდ შენ სრულიად დამშვიდებული იქნებოდი. აი მაშინ, მატარებელში მართლაც უნდა გეღელვა: ხომ შეიძლებოდა დავღუპულიყავით. ახლა კი?.. ჰოდა, ვისხდეთ კიდევ ერთი საათი, ორი, და ყველაფერი დამთავრდება...

ვერა ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა წყნარად იმეორებდა მთელ ამ უშფოთველ, დამამშვიდებელ სიტყვებს, და ანატოლიმ იგრძნო, რომ თვლემა ერეოდა.

მან საშინელი დაღლილობა იგრძნო, ფეხები დაუმძიმდა და თვალები მილულა...

ანატოლიმ გამოიღვიძა, თითქოს ვიღაცამ ძლიერ უბიძგაო. უკვე ბნელოდა.

— ვერა! — შეშფოთებულმა შეჰყვირა.

— ჩუმად! — მოესმა პასუხად.

მან აჩქარებით წამოიწია, გამოსწია ხელები და შეეხო მხარზე ვერას, რომელიც ზურგით კედელს მიყრდნობილი იჯდა.

— მე... მგონი, მეძინა, — უნებლიეთ ხმის დაწევით თქვა ანატოლიმ — შენ? შენც გეძინა?

— კი, — ჩურჩულით უპასუხა ვერამ. — უსმინე...

და მან გაიგონა გუგუნი. სწორედ ის ყრუ, ლითონის ღრენია გუგუნი, რომელიც ჯერ კიდევ იქ, ტყეში მოისმინეს... იგი შორიდან, თითქოს საიდანღაც ხიღრმიდან, მიწის წიაღიდან მოისმოდა.

ერთხანს ისინი ჩუმად ისხდნენ გაშეშებულები, განძრევის ეშინოდათ.

შემდეგ მათ სროლის ხმები მოესმათ. ეს ხმები თავდა-

პირველად შორეული იყო, საშობაო შუშხუნას აფეთქებას ჰგავდა. გავიდა კიდევ რამდენიმე წამი, და სადღაც აკაკანდა ტყვიამფრქვევი, ოღონდ ისინი მაშინვე ვერ მიხვდნენ, რომ ეს ტყვიამფრქვევი იყო და დაძაბულად უსმენდნენ დოლის ხშირი რაკარუკის მსგავს კაკანს.

უცებ სარკმელზე აკრულ ფიცრებშუა დარჩენილი ღრიჭეებიდან სინათლის პატარა ზოლები შემოიჭრა. ეს არ ჰგავდა დღის სინათლეს, არამედ უფრო წითელი ფანქრით გავლებული ხაზებისმაგვარი იყო.

ანატოლიც და ვერაც დაძაბულად, დაჰიპნოზებულებივით მიშტერებოდნენ ამ ზოლებს, სანამ ისინი არ ჩაქრნენ. მაგრამ ერთი წამის შემდეგ გაჩნდნენ სხვები, ამჯერად მწვანეები, და სადღაც შორს კვლავ გაისმა დოლის რაკარუკის მსგავსი ხმები.

უეცრად ანატოლი სარკმელს მივარდა, ხელი ჩასჭიდა ერთ-ერთ ფიცარს და მის აგლეჯას-შეუდგა.

— რას შვრები, ტოლია, რას?! — შესძახა ვერამ, მხარში ჩაებღაუჭა და ცდილობდა მოეცილებინა ტოლია სარკმელს.

— მე უნდა, მე უნდა შევხედო, — იმეორებდა ანატოლი და ვერას ხელს იშორებდა თავის მხრებიდან. იგი მთელი ძალით ცდილობდა აეგლეჯა ფიცარი და როცა იგი ოდნავ დაძრა ადგილიდან, წარმოქმნილ ღრიჭეში თითები შეყო, ფრჩხილები ემტვრეოდა, გადაყვლეფილი ხელები გასისხლიანებოდა და მაინც არ ეშვებოდა ფიცარს. და ბოლოს ფიცარი მოირყა, და ჭრიალით მოვარდა. სარკმელში ფართო ჭრილი გაჩნდა.

ისინი ჭრილს მიეკვრნენ და გაირინდნენ. მათ თვალწინ ცაზე ნელა მიცოცავდნენ ფერად-ფერადი ხაზები — წითლები და მწვანეები, თითქოს ვიღაც უხილავი გიგანტური ფანქრით ხაზავდა მათ ჩამობნელებულ ცისკიდეზე.

— რა არის ეს, ტოლია, რა არის ეს? — უჩურჩულა ვერამ ყურთან.

ანატოლი დუმდა. არც თვითონ იცოდა რა იყო ეს, ამის მსგავსი რამ წინათ არასოდეს არ ენახა.

ამ მომენტში მათ ახალი ხმა გაიგონეს. თითქოს სადღაც შორს, მაღლა ბავშვის საჰაერო დიდი ბურთი გასკდა და უეცრად ყველაფერი თეთრი, ლანდისებური შუქით განათდა.

ახლა მათ ყველაფერი დაინახეს: პატარა ქუჩის მოპირდაპირე მხარეზე მდგარი ხის სახლები; ჩაბნელებული ფანჯრებით, მზესუმზირები ბაღჩებში, ჭა ოწინარით, ტყე, რომელშიც თითოეული ხე ჩანდა...

ანატოლი და ვერა სწრაფად მოშორდნენ ფანჯარას, რადგან მოეჩვენათ, რომ მათაც ისევე ხედავდა ვინმე, როგორც ამ სახლებს, ჭას და მასზე აღმართულ ოწინარზე ჩამოკიდებულ ვედროს, ხეებს; მაგრამ ამ წამში ცაზე სინათლე ჩაქრა, ყველაფერი წყვდიადში ჩაიძირა, და კვლავ შორეული სროლა მოისმა.

— ეს ისინი არიან, ტოლია, ისინი არიან! — უჩურჩულა ვერამ და ანატოლის მაგრად მიეკრა.

იგი შეეცადა, შეემაგრებინა თავი და უთხრა:

— რატომ სწორედ „ისინი?" იქნებ ჩვენები არიან!

— არა... არა, ისინი არიან, — ძლივს გაიმეორა ვერამ.

ანატოლიმ ისევ მიუგდო ყური. მაგრამ ახლა ყველაფერი რაღაცნაირად ერთბაშად მიწყნარდა. არც ტანკების რიხროხი, არც სროლა აღარ ისმოდა.

— აი ხომ ხედავ, — დამრიგებლობითი ტონის ძალდატანებითი შენარჩუნებით თქვა ანატოლიმ, — ყველაფერი დაწყნარდა. ეს უთუოდ ჩვენები ამთავრებენ მათ განადგურებას...

ვერა დუმდა. იგი წინანდებურად მაგრად ჩასჭიდებოდა ანატოლის ხელს და თავისკენ იზიდავდა, ეშინოდა, ერთი წამითაც რომ დაეკარგა მისი ახლოს ყოფნის შეგრძნება.

კიდევ ორი, სამი, ხუთი წუთი გავიდა სრულ სიჩუმეში.

და ამ გრძელ, დაუსრულებელ წუთებში ვერას წინ მთელმა მისმა ცხოვრებამ გაიარა. ეს იყო ხანმოკლე, რაიმე ღირსშესანიშნაობას მოკლებული ცხოვრება ჩვეულებრივი საბჭოთა ქალიშვილისა. მაგრამ ახლა ვერას იგი ისე უჩვეულოდ, შუქფენილად, მხიარულად და ისე დაუბრუნებლად მოეჩვენა, როგორც ბავშვობა, როგორც უზარმაზარი, მთლად გაჩირაღდნებული და ზიზილ-პიპილებით მოელვარე ნაძვისხე პიონერთა სასახლეში... და ყველაფერი, რასაც იგი აკეთებდა იმ ცხოვრებაში, რომელიც უეცრად მიუწვდომლად შორეული და მშვენიერი გახდა — თუმცა ვერა ჯერ კიდევ გუშინ ცხოვრობდა ისეთი ცხოვრებით, — მისთვის უდიდესი შინაარსით აივსო. პიონერთა შეკრებები და კომკავშირული კრებები, წინათ ვერას მოსაწყენად და უმნიშვნელო რომ ეჩვენებოდა, ახლა ისე აგონდებოდა, როგორც მეტად მნიშვნელოვნები, რომელთა გარეშე მას არსებობა არ შეეძლო. ინსტიტუტის პედაგოგთა სახეები, სახლის ფასადი, სადაც ცხოვრობდა იგი, აკურატულად დაკეცილი, ჯერ კიდევ სტამბის საღებავის სუნით გაჟღენთილი გაზეთი,

უკვე საუზმისთვის გაშლილ მაგიდაზე რომ ელოდებოდა მამას, პირველი მაისისა და ნოემბრის დემონსტრაციები, ის ზვირთებზე მოქანავე ნავი, რომელშიც იდგა ანატოლი, — ყველაფერი ეს არეულ-დარეული თანმიმდევრობით, მაგრამ განსაკუთრებით მკაფიოდ წამოიშალა ვერას ცნობიერებაში.

შემდეგ კი ყველაფერი ერთმანეთს შეერია, რელიეფურობა დაკარგა, მხოლოდ ბუნდოვანი მოხაზულობა შერჩა, როგორც მოგონებას წელან ნანახ და უკვე ნახევრად გადავიწყებულ სიზმარზე, რომლის მეხსიერებაში აღდგენის ცდა ფუჭია. მაგრამ გაიდღაბნა საღებავები, გადაჭკნა ხასხაა. ძალზე მწვანე ბალახი, ნაცრისფერი ბოლი გადაეკრა უფსკერო, თვალის მომჭრელ ლაჟვარდ ცას, მაინც ის, რაც სიზმარში ნახე, ჯერ კიდევ შენს წინ დგას ბუნდოვან მოჩვენებად და გიხმობს ასე მახლობელ, თუ სამუდამოდ დაკარგულ სამყაროსაკენ. ახლა ასეთი სამყარო ვერასათვის იყო მშობლიური ლენინგრადი. იგი თითქოს მის წინ მიკურავდა თეთრ ღამეში, თავისი შპილ-ანძებით, გემბან-სანაპიროებით, გიგანტური საჰაერო ხომალდივით სულ უფრო და უფრო შორდებოდა.

შემდეგ კი ყველაფერი გაქრა, ყველაფერი წყვდიადმა მოიცვა და ვერას მოეჩვენა, რომ ახლა ათასობით კილომეტრი აშორებს მას იმ სამყაროდან, რომელშიც იგი ცხოვრობდა. როგორ დაბრუნდეს იქ, საით წავიდეს? ნეტავ იცოდეს!

მაგრამ მან ეს არ იცოდა. ვერას ეჩვენებოდა, რომ იმ ერთადერთი მისთვის შესაძლებელი ცხოვრებიდან მას ყრუ კედელი ყოფდა, და წარსულთან ცოცხალი კავშირის ერთად-ერთი განსახიერება ახლა ანატოლი იყო.

— შენ იცი, რა იყო ის? აი ის ფერად-ფერადი ჩირაღდნები ცაზე? — ჰკითხა ბოლოს ვერამ.

— არა. ალბათ, რაიმე პირობითი სიგნალიზაციაა.

— მე კი ახლა მგონია, რომ ეს იყო კიდევ ის სამყარო... ჰო, ის უხილავი, რომელიც ჩვენ გვერდითაა... ტოლია! — უეცრად მან კიდევ მეტი ძალით მიიზიდა ანატოლი თავისკენ. — მე სულ მეჩვენება, რომ ჩვენ ვერასოდეს, ვერასოდეს, ვერასოდეს დავბრუნდებით!

— გაჩუმდი!

— არა, არ გავჩუმდები! ვინ იცის, იქნებ ესაა ჩვენი ერთად ყოფნის უკანასკნელი საათები, უკანასკნელი წუთები! რატომ მიბრძანებ გაჩუმებას? ჩუმად ვისხდეთ და ველოდოთ? რატომ?

— მაშ რა გინდა... — წამოიწყო მან, მაგრამ ვერამ შეაწყვეტინა:

— არა, არა, შენ ნუ ილაპარაკებ, ჩუმად იყავი. მე ვილაპარაკებ, მე... მე ისე ბევრი რამ მინდა გითხრა, ისე ბევრი... მე მსურს იცოდე, თუ ერთად ყოფნა არ მოგვიხდება — ჰო, არ მოგვიხდება! — რომ შენ იყავი ჩემთვის ყველაზე ძვირფასი, ყველაზე საყვარელი. და ყველაზე დიდი ჩემი შეცდომა ის იყო, რომ მეშინოდა ჩემი სიყვარულისა, მეშინოდა შენი. არ მჯეროდა, რომ მეწვეოდა ბედნიერება, ახლა კი საკუთარი თავი მეცოდება, მეცოდება, და სულ ვეკითხები ჩემ თავს, აბა რისთვის, აბა რისთვის, რისთვის...

მას კიდევ რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ ამ წუთში სიჩუმე ერთბაშად გაიპო, ყველაფერი გარშემო აივსო რაღაც ხმაურით, ტკაცანით...

ანატოლი სარკმელს მივარდა, ღრიჭეს აეკრა და დაინახა, რომ სახლთან ქუჩაზე კაშკაშა ფარეგებით გზას ინათებდნენ და მიქროდნენ მოტოციკლები, რომლებშიც ისხდნენ ნაცრისფერ-მწვანე უცხო ფორმაში გამოწყობილი, ლითონის მუზარადიანი კაცები.

— ისინი არიან, ვერა, ეს... გერმანელები არიან! — თავზარდაცემით შეჰყვირა ანატოლიმ, უკან გადახტა და კიდელს აეყუდა გაშეშებული.

... მას არ ახსოვდა რამდენ ხანს იყო რეტდასხმული — ერთ წუთს, ათ წუთს, ნახევარ საათს. ოღონდ რაღაც დროს რომ გაიარა, ისევ გარკვევით გაიგონა საიდანღაც ქვევიდან წამოსული გერმანელთა ხმამაღალი წამოძახილები, მოტოციკლის ხმაური, ბავშვის ტირილი.

გავიდა კიდევ ერთი წუთი, ორი, და გერმანული ლაპარაკი სულ ახლოს გაისმა, მერე მოისმა კარზე კაკუნი, იქ. დაბლა, იატაკის ქვეშ — ხმაური, ფეხების ბრაგუნი და კიბის ჭრაჭუნი.

უეცრად კარი გაიღო, ფარნის თეთრი შუქი ანატოლის თვალებში ეცა და მან თვალები მოჭუტა. როცა ისევ გაახილა, დაინახა, მისგან ორ ნაბიჯზე ლითონის მუზარადიანი კაცები იდგნენ.

იმან, რომელიც წინ იდგა, ფარნის სხივი ვერას მიანათა. ქალიშვილი მოკუნტული იჯდა, თავი უკან გადაეხარა და სხივი დაცოცავდა ზედ — გადარბოდა შიშველი ფეხებიდან სახეზე, სახიდან ისევ ფეხებზე და ბასრი პირით თითქოს გესლავდა. რომელიღაც გერმანელმა გაიცინა. მერე ისინი ერთად ალაპარაკდნენ .და მათი ლაპარაკი უცხო, საშინელ

ღრიალად იქცა. შემდეგ იმან, რომელიც წინ იდგა, უზარმაზარმა, მხარბეჭიანმა კაცმა, თავისი ფარანი მის გვერდით მდგომს გადასცა და სწრაფად გადადგა ნაბიჯი ვერასაკენ.

ანატოლი ანგარიშმიუცემლად გაექანა გერმანელისათვის გზის გადასაჭრელად, მაგრამ მას არც კი შეუხედავს მისთვის ისე, წიხლისკვრით განზე მიაგდო. ანატოლი ტკივილისაგან სუნთქვაშეკრული იატაკზე გაგორდა.

საზარდულის საშინელი ტკივილი დაძლია ანატოლიმ, და იყვირა, წამოდგა, მაგრამ მაშინვე ორი გერმანელი ეცა, ხელები ზურგზე გაუკრეს და კარისაკენ წაათრიეს.

... იგი თრევით წაიყვანეს ქუჩაში, ძალით აიყვანეს ორსაფეხურიანი ჩუქურთმიანი კიბის თავზე და შემდეგ ხელისკვრით შეაგდეს ოთახში.

ძლიერმა შუქმა ანატოლის თვალი მოსჭრა, ხოლო როცა გაახილა, მოპირდაპირე კედელთან დაინახა მაგიდა, რომელსაც მაღალი ქერათმიანი სამხედრო ფორმაში გამოწყობილი გერმანელი უჯდა. ცარიელ მაგიდაზე მაღალციანი ქუდი იდო. მაგიდის ორივე მხარეს ისეთივე ფორმაში გამოწყობილი სხვა გერმანელები ისხდნენ.

ყოველივე ამან ანატოლის ვერა გადააკვიწყა. შიშთან შერეული სიძულვილი გერმანელებისადმი, ფიქრი მტკიცედ თავის დაჭერის აუცილებლობაზე, საკუთარი უმწეობის, ძიუსაფრობის შეგრძნება, — ყველაფერი ეს იმწამსვე დაეუფლა ანატოლის მთელ არსებას.

ამ მომენტში ერთმა ტანმორჩილმა, ჩასუქებულმა, ჭორფლიანმა გერმანელმა ანატოლის მიმართა:

— Сделайт три шаг вперед!

ანატოლი მაშინვე ვერ მიხვდა, რომ ეს მას ეხებოდა, და გაუნძრეველად იდგა. მაგრამ იმ წუთში ვიღაცამ უკნიდან ღონივრად წაჰკრა. მან ბორძიკით რამდენიმე ნაბიჯი გადადგა ოთახის სიღრმეში, მაგრამ შუამდე ვერ მიაღწია და დაეცა.

— Вставайт! — დაუყვირა ჭორფლიანმა გერმანელმა.

ანატოლი ნელა წამოდგა. უნებურად მზერა მაგიდაზე დადებულ ქუდზე შეაჩერა. იგი რაღაც უშველებლად დიდი და რაღაც ცოცხალ, აფხორილ, გომბეშოსავით გაბერილ არსებად მოეჩვენა. იგი თითქოს აჰპანოზებდა და მისთვის თვალი ვეღარ მოეწყვიტა.

— Смотреть на господин майор! — ისევ გაისმა ჭორფლიანი გერმანელის ხმა.

ეს იყო სწორედ იმ მომენტში, როცა ანატოლი მხედვე-

ლობის დაძაბვით ცდილობდა გამოეცნო ქუდზე გაკეთებული ემბლემა და ბოლოს გამოიცნო — არწივი, რომელსაც კლანჭებში სვასტიკა ეჭირა. ამიტომ მან მაშინვე როდი შეასრულა ბრძანება და მაშინვე კი ვერ მიხვდა, მათ შორის რომელი იყო მაიორი. მაგრამ დიდხანს დაფიქრება არ დასცალდა. ვიღაც უხილავმა უკნიდან ხელი გამოსწია, განიერი ხელისგული ანატოლის ნიკაპს ქვემოდან ამოსდო და თავი მაღლა აუწია.

— Сидящий за стол офицер есть майор Данвиц — მონდომებით დამარცვლა ჭორფლიანმა — Он приказывает говорить тебе одна правда. Иначе расстрел. Ты понял? Расстрел!

ეს სიტყვები თითქოს შორიდან მოესმა ანატოლის, ყველა სიტყვა, გარდა ერთისა — „დახვრეტა". ამ სიტყვამ იგრგვინა მის ყურებში. სულ რაღაც რამდენიმე წამის წინათ ანატოლი ანგარიშმიუცემლად, შეუცნობლად, მაგრამ მაინც ფიქრობდა, როგორ გამკლავებოდა უბედურებას, როგორ დაეჭირა თავი ღირსეულად მტრის წინაშე, როგორ დარჩენილიყო ისეთად, როგორადაც ყოველთვის წარმოიდგენდა თავს განსაცდელის ჟამს, მაგრამ ახლა შიშის გრძნობამ მასში ყველაფერი დაჩრდილა. ანატოლი მიხვდა, რომ ახლა მას მოკლავენ, სულ ცოტა ხანი გაივლის და ყველაფერი გათავდება, იგი უკვე აღარ იქნება ქვეყანაზე.

— არა, არა! — ხმამაღლა წამოიძახა მან. — მე სიმართლეს ვიტყვი.

— Я говорить правда! — გაიმეორა და თვითონაც ვერ შეამჩნია, რომ ჭორფლიანი გერმანელის მიბაძვით სიტყვებს ამახინჯებდა.

ჭორფლიანი დაიხარა მაგიდასთან მჯდომი ოფიცრის მხარზე და ჩუმად რაღაც უთხრა. მან თავის მიუბრუნებლად უპასუხა.

— Ты знайт этот человек? — ისევ მიმართა ანატოლის ჭორფლიანმა.

ანატოლიმ დაბნეულად მიმოავლო თვალი მაგიდასთან მდგომ გერმანელებს.

— Смотреть там! — უბრძანა ჭორფლიანმა და თავისი გრძელი საჩვენებელი თითი გაიშვირა.

ანატოლი მიბრუნდა და კრავცოვი დაინახა. იგი კედელთან იდგა, კართან ახლოს, სწორედ იმ ჯოხს დაყრდნობილი, რომელიც მაშინ ტყეში მისთვის ანატოლიმ მოტეხა. კრავცოვს სახე სისხლით ჰქონდა მოსვრილი, ერთი წამით მათი

თვალები ერთმანეთს შეხვდნენ, და ანატოლის მოეჩვენა, რომ კრავცოვი მეგობრულად, გამამხნევებელი ღიმილითაც კი უცქეროდა. კრავცოვისაგან ორ ნაბიჯზე, ზედ კართან იდგა ჟოგინი, რომელსაც მუხლებამდე დაგრძელებული ხელები ძირს დაეშვა.

ანატოლიმ ისევ გადაიტანა მზერა კრავცოვზე და უცებ გულზე მოეშვა იმის შეგნებისაგან, რომ კრავცოვი თითქოს უწონებდა ანატოლის სიცოცხლის წყურვილს, უბრძანებდა გადაერჩინა თავი რადაც უნდა დაჯდომოდა.

და თუ ერთი წუთის წინათ ანატოლის ცნობიერებაში შიშის გრძნობას სირცხვილის გრძნობა ერთვოდა იმის გამო, რომ არ შეუძლია დასძლიოს ეს შიში, ახლა მისი აზრი სიკვირველი სიცხადით ამუშავდა. მას სურდა სიცოცხლე, მხოლოდ სიცოცხლე. წარმოუდგა, რომ ჭაში ჩავარდა და მის საშინელ, ბნელ, ნესტიან ფსკერზე აღმოჩნდა, მაგრამ მაღლიდან ლურჯი ცის ნაჭერი მოჩანდა. იგი — ეს ცა, იყო, არსებობდა და ანატოლი მზად იყო ეცოცა, ებრძოლა, მოლიპულ, ლორწოვან და ობიან ჭის კედლებზე, ოღონდ ზევით ამოსულიყო. იგი მზად იყო ეხვეწნა, ემუდარნა... და ამის არ რცხვენოდა, ვინაიდან იმის გააზრება, რომ კრავცოვთან ერთსულოვნებით, მისი მოწონებით მოქმედებდა, სირცხვილის გრძნობას უხშობდა.

იგი კვლავ მიბრუნდა მაგიდისაკენ, მაგრამ ამ მომენტში მაიორი, რომელიც სკამზე იჯდა, ადგა და გასცილდა მაგიდას. იგი მაღალი იყო და ძალიან წვრილ წელზე ქამარი მაგრად შემოეკრა. მაიორი აუჩქარებლად მიუახლოვდა ანატოლის. ჭორფლიანი მას კვალდაკვალ მიჰყვა. კედელთან ორი ჯარისკაცი იდგა. მათ მაღლა ასწიეს შავი ავტომატები.

ჭორფლიანმა ანატოლი პირით ისევ კრავცოვისკენ მიაბრუნა. ახლა ისინი ერთმანეთის პირისპირ იდგნენ, ხოლო მაიორი და ჭორფლიანი თარჯიმანი — ცოტა გვერდით.

— Ты знайт этот человек? — ჰკითხა თარჯიმანმა და თითი გაიშვირა კრავცოვისკენ.

— ჩვენ... ჩვენ მატარებელში შევხვდით ერთმანეთს... — ძლივს გასაგონად უპასუხა ანატოლიმ, — ერთად ვმგზავრობდით... შემთხვევით.

მან გაუბედავად ჩახედა თვალებში კრავცოვს, და ისევ მოეჩვენა, რომ იგი თანაგრძნობით, წაქეზებითაც კი შეჰყურებდა მას.

— დიახ, დიახ, მატარებელში, — უკვე მტკიცედ გაიმეო-

რა ანატოლიმ. — როცა თავდასხმა იყო და ვაგონს ცეცხლი წაეკიდა, გავიქეცით. მერე ერთმანეთს შევხვდით ტყეში. სრულიად შემთხვევით.

უცებ იგრძნო მან, რომ ლაპარაკი გაუადვილდა.

— Ты знайт, кто он есть такой? — კვლავ ჰკითხა თარჯიმანმა და ისევ კრავცოვზე მიუთითა.

— ეშმაკმა უწყის, ვინ არის იგი! — აჩქარებით უპასუხა ანატოლიმ და თან გაუკვირდა, რომ მისი ხმა ასე ბუნებრივად და ძალდაუტანებლად ეღერდა.

— ისინი ტყეში იყვნენ, თქვენო კეთილშობილებავ, ყველანი ერთად, — უცბად ალაპარაკდა აქამდე გაჩუმებული ეოგინი და მოკლე ნაბიჯით წარდგა წინ. — ყველანი ერთად, გაიმეორა მან. — ეს ორი და გოგო.

— ჰო, რა თქმა უნდა, — საჩქაროდ შეაწყვეტინა მას ანატოლიმ. — მე ხომ ვამბობ, ჩვენ ერთად ვმგზავრობდით...

— Кто есть девка? — მკაცრად შეაწყვეტინა ჭორფლიანმა ანატოლის.

ამ მომენტში ერთი იმ გერმანელთაგანი, რომლებმაც ანატოლი აქ მოიყვანეს, მივიდა თარჯიმანთან და ღიმილით ჩუმად რაღაც უთხრა: თარჯიმანმაც გაიღიმა და ხმადაბლა შესძახა: „ო-ო!“ მაგრამ ანატოლისათვის ყველაფერი ეს თითქოს ბურუსში ხდებოდა, იგი მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, თუ როგორ დაეჯერებინა გერმანელები, რომ სიმართლეს ეუბნებოდა.

— ჩვენ მატარებელში, მატარებელში გავიცანით ერთმანეთი, მე ხომ ვამბობ, — კვლავ გაიმეორა ანატოლიმ, — მერე კი ერთად გავიქეცით. ჩვენ...

მას ხმა ჩაუწყდა და შიშით რომელმაც ხელახლა შეიპყრო, გაიფიქრა: რა შეეძლო ეთქვა ვერას დაკითხვაზე, ახსოვს თუ არა, რომ უნდა უარყოს თავისი წინასწარი ნაცნობობა ანატოლისთან.

— Продолжайт! — უბრძანა ჭორფლიანმა.

— დიახ, დიახ, რა თქმა უნდა, — დაუზარებლად თქვა ანატოლიმ, გამხნევებულმა იმით, რომ ლაპარაკის ნებას აძლევენ. — მე არდადეგებზე ჩავედი ბელოკამენსკში, გესმით? იგიც — მას ვერა ჰქვია — იქ იყო, გესმით? ოღონდ წინათ ერთმანეთს არ ვიცნობდით, მატარებელში გავიცანით... ვაგონი, გესმით, ხალხით იყო გაჭედილი და ჩვენ შემთხვევით ერთ საწოლზე აღმოვჩნდით...

— Кто ты есть?

— მე? მე სტუდენტი ვარ. ჩვეულებრივი სტუდენტი, — აჩქარებით უპასუხა ანატოლიმ. — ვსწავლობ ლენინგრადში, ინსტიტუტში, მესამეზე...

— Большевик? Комсомол? — შეაწყვეტინა ჭორფლიანმა.

— არა, რასა ბრძანებთ! — შესძახა ანატოლიმ.

ჭორფლიანმა რაღაც უთხრა მაიორს. იმანაც რაღაც უპასუხა და მერე მიუახლოვდა ანატოლის, ოდნავ შეეხო მის მხარს და უთხრა:

— Ка-ро-шо.

ეს სიტყვა ანატოლის ყველაზე სასურველად, ყველაზე უკეთესად მოეჩვენა რაც კი ოდესმე სმენია თავის სიცოცხლეში. მოელანდა, რომ ერთი წუთის წინათ მიუწვდომელი ლურჯი ცის ნაჭერი მიუახლოვდა მას.

მაგრამ შეცდა. მაიორმა, რომელმაც ის-ის იყო კეთილმოსურნედ მოუთათუნა მხარზე, მოულოდნელი მოძრაობით ნიკაპქვეშოდან ამოარტყა ანატოლის ხელის ზურგი და თითქოს დაიჩხავლაო, სწრაფად რაღაცა წარმოთქვა.

— Господин майор утверждаль, что ты есть лгун, თქვა თარჯიმანმა — Ты из одной шайки с этот чекист. Ты есть его помощник.

— მაგრამ მე... მაგრამ მე... ვინ არის ჩეკისტი? — სასოწარკვეთილებით წამოიყვირა ანატოლიმ. მას სიკვდილის ეშინოდა და ამ შიშმა მის წამოძახილს ნამდვილი გაოცებითი უმწეობის ელფერი მისცა.

და მაშინ ჟოგინი კვლავ ალაპარაკდა. აქამდე იგი გაუნძრევლად იდგა კართან და ორივე ხელით დაჭმუჭნული კეპი ეჭირა. იმაშიც, როგორ იდგა იგი — მხრებდაშეებული და მლიქვნელურად თავჩაღუნული, როგორ ჭმუჭნიდა დიდრონი მსხვილი თითებით კეპს, ანატოლისთვის რაღაც ახალი, აქამდე უცნობი იყო. მას მხოლოდ თეატრში უნახავს მორჩილების პოზაში მდგომი ასეთი ადამიანები, უნახავს ისინი სცენაზე, კლასიკურ პიესებში, — ძველი რევოლუციამდელი გლეხები მემამულეს რომ ეახლებოდნენ ხოლმე თაყვანის საცემად... და თუმცა ანატოლის მთელი გრძნობები აფორიაქებული ჰქონდა, უნებლიედ, ავტომატურად დაიჭირა ჟოგინის ეს უცნაური თეატრალური გარდაქმნა.

— მაშ, არ იცნობთ, ყმაწვილო, კრავცოვს — ამხანაგს? — ხმადაბლა, დათაფლულად წარმოთქვა ჟოგინმა. — ჩვენ კი მას კარგად ვიცნობთ. სამუდამოთ დაგვახსომდა. მას შემ-

დეგ რაც ჩვენს ძმაკაცებს ფორნებზე დასვამდა და შორეულ გზას გაუყენებდა ხოლმე, ათი წელიწადი გავიდა, ჩვენ კი სულ გვახსოვს...

მან მზერა გაუნძრევლად მდგომ კრავცოვზე გადაიტანა და განაგრძო:

— შენ კი მოქალაქე უფროსუკავ, წყეულო გეპეუშნიკო, გახსოვს? როგორ მოთქვამდნენ ჩვენი დედაკაცები, როგორ მოსდევდნენ სირბილით ფორნებს პატარა ბავშვები? — ხმას აუწია მან და განაგრძო — როგორ გამითოკე ხელები, როდესაც ცულით შეგიტიე, როგორ გადაათრიეს შენი ბრძანებით ჩემი დოვლათი ჩემი ქოხიდან საკოლმეურნეო ეზოში, ხომ არ დაგავიწყდა?

მან თავის კეპს ისე ძლიერ მოუჭირა ხელები, რომ დაბერილი ვენები გამოუჩნდა, და კრავცოვისკენ გადადგა ნ-ბიჯი.

— ჰალტ! — დაუყვირა მაიორმა, და ეოგინი ადგილზე გაქვავდა.

ანატოლიმ იგრძნო, როგორ დაუარა მთელ ტანში ერუარ-ტელმა. შეძრწუნებული მიხვდა, რომ კრავცოვსა და ამ გაცოფებულ წვეროსან კაცს შორის არსებობს საშინელი, შეურიგებელი მტრობა და ეს მტრობა მასზეც, ანატოლიზეც, როგორღაც ვრცელდება და კიდევ უფრო უიმედოს ხდის მის მდგომარეობას. და ამ მომენტში შეხედა კვლავ კრავცოვს.

ახლა კრავცოვის გასისხლიანებულ პირსახეზე ვერაფერს ვერ გაარჩევდით, გარდა თვალებისა, ხოლო ეს თვალები ანატოლის წინანდებურად მტკიცედ და გამამხნევებლად შესცქეროდნენ. მაშინ მან სულმოუთქმელად ტირილით შეჰყვირა ჭორფლიან ოფიცერს:

— მაგრამ, ბატონო ოფიცერო, ბატონო ოფიცერო, დამიჯერეთ, დამიჯერეთ, მე არ ვცრუობ, არაფერი არ ვიცოდი ამ კაცზე. მე იგი პირველად ვნახე მატარებელში! და თუ ჩეკისტია, მე მძულს იგი. გამიგეთ, მე არ შემიძლია მასთან ვიყო, იმათ ხომ მამაჩემი დახვრიტეს, დახვრიტეს! მე არ ვცრუობ, მე სიმართლეს ვამბობ, სიმართლეს, სიმართლეს!..

მაიორმა რამდენადმე გაოცებით შეხედა ჭორფლიანს და, როცა თარჯიმანი სხაპასხუპით ალაპარაკდა გერმანულად, მან გაკვირვებით ასწია წარბები.

გადათარგმნას რომ მორჩა, — ჭორფლიანი ისევ მიუბრუნდა ანატოლის.

— Когда был расстрелян твой отец? — ჰკითხა მან

ნაწყვეტ-ნაწყვეტად და თან ანატოლის პირდაპირ თვალებში შესცქეროდა.

— თქვენ გაიგეთ, გაიგეთ, — ისევ სლუკუნით თქვა ანატოლიმ, — მე არ შემიძლია ზუსტად გითხრათ. მაგრამ ბე ვიცი, ბიძისაგან ვიცი, ეს იყო რევოლუციის დროს. თვრამეტში, მგონი... მათ ბრალი დასდეს შეთქმულებაში.. ოფიცერთა შეთქმულებაში... მე შემდეგ საბავშვო სახლში ვიზრდებოდი... მე...

— Как есть твой фамилий? — კვლავინდებურად მკაცრად და მუქარით შეაწყვეტინა ჭორფლიანმა.

— ავილოვი, ავილოვი! — აჩქარებით უპასუხა ანატოლიმ, — დოკუმენტსაც გიჩვენებდით, მაგრამ ყველაფერი მატარებელში დარჩა, ხომ თავდასხმა იყო, ყველაფერი გადაიბუგა...

— Интересный ситуаций, — უკვე უფრო რბილად და თითქოს თავისთვის თქვა ჭორფლიანმა. შემდეგ მაიორს რაღაცაზე სხაპასხუპით დაუწყო გერმანულად ლაპარაკი. იგი ჩუმად უსმენდა, მერე რამდენიმე ფრაზა მიახალა ნაწყვეტ-ნაწყვეტად.

— Господин майор говорит, что ты все это враль, — — თქვა ჭორფლიანმა, — ты есть молодой чекист!

— არა, არა! — იყვირა ანატოლიმ. — მე მძულს ჩეკისტები, მე მზადა ვარ ისინი მოვკლა, მე არ შემიძლია ვიყო ჩეკისტი, მე... — ენა დაება მას და სიტყვებს ვერ პოულობდა.

მათ — მაიორმა და თარჯიმანმა ერთმანეთთან დაიწყეს ლაპარაკი.

„რაზე, რაზე ლაპარაკობენ ისინი? — შეძრწუნებით იმეორებდა თავისთვის ანატოლი. — აბა რატომ არ მესმის ეს სიტყვები, მე ხომ ვსწავლობ გერმანულს ინსტიტუტში, მაგრამ არაფერი მესმის. ღმერთო, უთუოდ უნდა დამხვრიტონ! როგორ არის გერმანულად „დახვრეტა“? მგონი, „erschießen“ გულშეღონებული ცდილობდა ჩასწვდომოდა გერმანული ლაპარაკის შინაარსს, ძრწოლით მოელოდა. იტყოდნენ თუ არა ამ საშინელ სიტყვას, მაგრამ ყველა სიტყვა მისთვის უცნობი იყო.

და იგი უცებ შეკრთა, თითქოს მდუღარე გადაასხესო. მაიორმა სწორედ ეს სიტყვა წარმოთქვა. დიახ, დიახ, ვარ თქვა „erschießen“ ეს ნიშნავს, რომ მას დახვრეტენ. დაუყოვნებლივ, ახლავე!..

— Слюшай, — უთხრა ჭორფლიანმა, — мы делаем

тебе маленький испытаний. Ты говоришь, что есть сын царский офицер Авилов?

— დიახ, დიახ!

— И ненавидишь люди из Чека?

— მძულს!

— Тогда немецкий армия дает тебе хороший возможность отомстить за твой отец. Стреляй этот человек.

ამ სიტყვებისთანავე ჭორფლიანმა ამოიღო პისტოლეტი და ღიმილით გაუწოდა ანატოლის. მან თითქმის მექანიკურად გამოართვა პისტოლეტი. იგი ისეთი მძიმე იყო, კიბალამ დაუვარდა.

ანატოლიმ შიშით შეხედა ჯერ პისტოლეტს და შემდეგ ჭორფლიანს, მან ალბათ, არასწორად გაიგო მისი შემოხედვა და უთხრა:

— Это есть парабеллум, немецкий оружий. Это есть автомат. Ничего не надо делат. Только нажимай пальцем... паффі

და მან კრავცოვისაკენ გაიშვირა საჩვენებელი თითი და ენა გააწკლაპუნა.

ანატოლი გაშეშებული იდგა და ორივე ხელით მძიმე, ცივი პისტოლეტი ეჭირა. მხოლოდ ამ წუთში მიხვდა, რასაც მოითხოვდნენ მისგან. „არა, არა, არასოდეს"! — შესძახა გულში ანატოლიმ. — სხვა რამ, სრულიად სხვა რამ უნდა ქნას, პისტოლეტი მაიორს დაუმიზნოს და სასხლეტს დააჭიროს... მაგრამ ამავე წამში გაუელვა ფიქრმა თუ რა მოელის მას, ეს რომ ჩაიდინოს. და დაებადა სურვილი დაეგდო პისტოლეტი და მოეკურცხლა — მივარდნოდა კარს ან გადამხტარიყო ფანჯრიდან, სულ ერთია საით, ოღონდ გაქცეულიყო!

მაგრამ არსაით არ შეეძლო გაქცევა. კართან ჯარისკაცები იდგნენ, ფანჯარა დაკეტილი იყო.

ანატოლის შუბლზე ცივმა ოფლმა დაასხა, როდესაც გაიფიქრა, უკვე მკვდარი იქნებოდა, თუნდაც ერთი ნაბიჯი რომ გადაედგა.

— Schnell! — მკაცრად, თითქოს ანატოლის მათრახი გადაუჭირაო, შეჰყვირა მაიორმა.

ანატოლი უაზროდ იყურებოდა წინ და ისევ ისე ძირს დაშვებული ხელში ეჭირა პისტოლეტი.

მაიორმა რამდენიმე გერმანული ფრაზა წარმოთქვა, და ჭორფლიანმა ანატოლის მიმართა:

— Ты есть негодный лгун. Ты не есть сын царский офицер. Господин майор приказал взять писталет назад. А тебя — расстрелять. Дай!

და მან ხელი გამოსწია.

— არა, არა! — შესძახა ანატოლიმ და უკან დაიხია. და ანგარიშმიუცემლად, მოწყვეტით აღმართა პისტოლეტი გულმკერდის სიმაღლეზე და კრავცოვს მიუბრუნდა.

და ამ მომენტში კრავცოვმა თავი უკან გადასწია და ხრინწიანი, ჩახლეჩილი ხმით წარმოთქვა:

— აბა, მესროლე, არამზადავ, მესროლე! მე კი არ ვიცოდი, ვინ იყავი შენ, თეთრგვარდიელთა ნაბოლარავ! მესროლე, ოფიცრის ნაძირალავ! აბა მომარტყი, შეჩვენებულო ღვთის გლახავ!

თავზარდაცემული ანატოლი ყურს უგდებდა მის სიტყვებს. ეს იყო ყველაზე უფრო აბუჩად ამგდები, შეურაცხმყოფელი სიტყვები, რომელთა თქმაც კი შეიძლებოდა საბჭოთა ადამიანის მისამართით. ანატოლის მოეჩვენა, რომ მას წვრილი, კანისმჭრელი მათრახით სცემენ სახეში. იგი ფიზიკურ ტკივილს განიცდიდა კრავცოვის მიერ წარმოთქმული კი არა, თითქოს გადმოფურთხებული ყოველი სიტყვის შემდეგ. უნდოდა ეყვირა ახლავე, დაუყოვნებლივ, რომ ყველაფერი ეს სიცრუეა, იგი არასოდეს არ ყოფილა და არც იქნება თეთრგვარდიელთა ნაბოლარა, რომ იგი პატიოსანი საბჭოთა ადამიანია, კომკავშირელი... მაგრამ მაშინვე თვითონ შეეშინდა თავისი სურვილისა, ვინაიდან ამის შესრულება მის სიკვდილს ნიშნავდა. გაოგნებულს პირველ წამებში, გადაავიწყდა კიდეც ყველაფერი, რაც მას იქ, ტყეში უთხრეს. როცა მიხვდა, რომ კრავცოვი განაგრძობდა თამაშს, საშინელ თამაშს არა სიცოცხლეზე, არამედ სიკვდილზე, და ამ თამაშზე იყო დამოკიდებული ანატოლის შესაძლებელი ხსნა, ერთბაშად შვება იგრძნო. იდგა კრავცოვისკენ მიმართული ზეაღმართული პისტოლეტით, კრავცოვი კი შეუჩერებლივ ლაპარაკობდა:

— ლაჩარო, ყურდღლისგულავ, გეშინია თითი გაანძრიო! მოეცათ ჩემთვის საშუალება, მე უპისტოლეტოდაც გაგათავებდი! აბა, რაღას უცდი, უხერხემლო, საძაგელო ნაძირალავ?..

„რა ვქნა, როგორ მოვიქცე, როგორ?!“ — ფიქრობდა ანატოლი, თავისდაშეუმჩნევლად სულ უფრო და უფრო მაგრად უჭერდა ხელს პისტოლეტის ტარს, ინსტიქტურად გრძნობდა, რომ მისი ხსნა სწორედ მასზეა დამოკიდებული.

კრავცოვი კი არ ჩუმდებოდა. მან გადააგდო ჯოხი, წინ გადადგა ნაბიჯი, მიუახლოვდა ანატოლის, სახიდან სახელოთი მოიწმინდა სისხლი და თითქოს კიდევ უფრო მეტი ბრაზით განაგრძო:

— აბა, მესროლე, დასხლიტე ჩახმახი, შენ ხომ გიბრძანეს!..

იგი ბარბაცით წაიხარა წინ.— გეგონებოდა ეს-ეს არის დაეცემაო და შეაშტერდა ანატოლის, მათი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ, და ანატოლიმ კრავცოვის დაბეჟილ, გასისხლიანებულ სახეზე დასივებულ ქუთუთოებში ჩამჯდარ თვალების სიღრმეში დამალული უთქმელი ვედრება დაინახა.

მაგრამ ეს როდი იყო ვედრება სიცოცხლის შენარჩუნებაზე. ანატოლის მოეჩვენა, რომ კრავცოვი თვალებით, შაგრად მოკუმული დახეთქილი ტუჩებით თითქოს ეუბნებოდა: „მესროლე, აბა, მესროლე, ტოლია, ნუ გეშინია! სხვა გამოსავალი არ არის. ასეა საჭირო. ამას მე გიბრძანებ. ნუ გეშინია!“

ამ დროს ანატოლიმ თვალი მოჰკრა, რომ მისგან რამდენადმე განზე მდგომმა მაიორმა ნელა გახსნა ბუდე, ამოიღო იქიდან პატარა, ლაპლაპა სადაფით მოპირკეთებული პისტოლეტი, ანატოლის დაუმიზნა და ხმამაღლა თქვა:

— Schnell!..

და ანატოლიმ იმ წუთში თვალები მოჭუტა, აცახცახებული ხელით დაუმიზნებლად, ისე რომ არც კი იცოდა საით ისროდა, პისტოლეტის სასხლეტს გამწარებით დააჭირა ხელი.

სროლის ხმამ დაიგრიალა, უკუცემა იმდენად ძლიერი იყო, რომ ანატოლის პისტოლეტი ხელიდან გაუვარდა.

როცა მან თვალები გაახილა, დაინახა, რომ კრავცოვი განზე გაშლილი ფეხებით გაშხლართულიყო იატაკზე. ანატოლიმ შეძრწუნებით დახედა მას. ვერ გრძნობდა, ვერ შეეცნო კავშირი იმ გასროლასა, რომელიც ეს-ეს იყო გაისმა და იმას შორის, რასაც ახლა ხედავდა. გაყინული თვალებით ახლა მხოლოდ პირდაპირ იყურებოდა და ეშინოდა, რომ თავი დაეხარა და კრავცოვისათვის შეეხედა.

— Плохо стреляйт! — შეჰყვირა ჭორფლიანმა, და ამჯერად მისმა სიტყვებმა ანატოლის ნამდვილი სიხარული გამოიწვია. „მე არ მომიკლავს იგი, არ მომიკლავს, არც კი დამიჭრია! — სიხარულით, შვებით შესძახა მან გულში. იგი სხვა რაღაც მიზეზით დაცემულა: ჯოხმა ვერ გაუძლო და

გადაუტყდა, ან უბრალოდ დაღლილობისა და ტკივილისაგან ფეხები ჩაეკეცა, მაგრამ ეს ხომ მე არა ვარ, მე არა ვარ!"

და ამ მომენტში ჟოგინის ხმა გაისმა:

— ნება მომეცით მე, თქვენო კეთილშობილებავ, მე შევ-ძლებ...

და დასტურის დაუცდელად მივიდა ანატოლისთან, აიღო პარაბელუმი, რომელიც მას ხელიდან გაუვარდა, პერანგის კალთით ფრთხილად გაწმინდა, აუჩქარებლად დაუმიზნა თავში მწოლარე კრავცოვს და ესროლა.

XVI

გენერალ ჰეპნერის სატანკო და მოტორიზებული დივიზიების რუსეთში შემოჭრიდან ათი დღე-ღამის განმავლობაში მაიორი არნიმ დანვიცი და მისი ჯარისკაცები პირველად შეფერხდნენ მიყრუებულ პატარა სოფელში, რომელიც გერმანიაში დამზადებულ არც ერთ საშტაბო რუკაზე არ იყო აღნიშნული.

წინ ფსკოვია. მაგრამ დანვიცის ტანკები, ავტომანქანები და მოტოციკლები უკვე მოწყდნენ ჰეპნერის მთავარ ძალებს და თავიანთ ბენზინით მომმარაგებლებს. დანვიცს საწვავი უთავდება და ეს იძულებითი დასვენება ახელებს მას, მაგრამ უნდა დაელოდოს...

და იგი ზის მაგიდასთან კოლმეურნეობა „კრასნი ლუჩის" ყოფილ კანტორაში.

იგი მარტოა, ღამეა. ოთახის ფანჯრებზე მჭიდროდაა აფარებული ჯარისკაცური საბნები. რუსთა ავიაცია დროდადრო ბომბავს ამ რაიონს. იატაკზე ახალდაღვრილი სისხლის ლაქაა: აქედან სულ ახლახან გაიტანეს ყოფილი კულაკის, გერმანულად „გროსბაუერის" მიერ დახვრეტილი ჩეკისტის გვამი. ყველგან რაღაც უწყებების, დახეული საკანტორო წიგნების ნაფლეთები ყრია — ყველაფერი ეს მაგიდებიდან პირდაპირ იატაკზე გადმოუბერტყავთ დანვიცის მეავტომატეებს. კედელზე გერმანული დანით გაფხრეწილი სტალინის სურათი ჰკიდია.

კანტორის კარებსა და ფანჯრებთან გუშაგები დგანან. დანვიცი მაგიდასთან ზის სქელ რვეულზე დახრილი. პირველ გვერდზე ჯერჯერობით მხოლოდ დღევანდელი თარიღი აწერია. ეს დღიურია.

იქვე დევს ავტოკალამი.

მაგრამ სანამ წერას შეუდგებოდეს, დანვიცს სურს აზ-

რები მოიკრიბოს. სურს გაიხსენოს ყველაფერი იმ წუთიდან, როცა მიიღო ბრძანება გამოცხადებულიყო გენერალ ფელდმარშალ რიტერ ფონ ლეებთან, „ჩრდილოეთის“ არმიის ჯგუფის სარდალთან.

...იმ საათებში ფელდმარშალის შტაბი ჯერ კიდევ გერმანელთა მიწაზე, აღმოსავლეთ პრუსიის ტერიტორიაზე იმყოფებოდა, რამდენიმე კილომეტრზე საბჭოთა საზღვრიდან. მაგრამ სანიღბავი ფერებით შეღებილი, რადიოსადგურით, რუკების დასაწყობი გრძელი მაგიდებით, რბილი სავარძლებითა და საძინებელი კაბინით გაწყობილი საშტაბო ავტობუსი უკვე შტაბის შენობის ახლოს იდგა. ამ ავტობუსში გადასახლება სარდალს განზრახული ჰქონდა საომარი მოქმედების დაწყებამდე ორი საათით ადრე.

ფელდმარშალი დანვიცს არაერთხელ უნახავს ჰიტლერის მისაღებ ოთახში, მაგრამ პირადად არ იცნობდა და ქედმაღალი სარდლისადმი განსაკუთრებულ სიმპათიას არ გრძნობდა. მისადმი ასეთი ანტიპათიის რეალური მიზეზები დანვიცს არ ჰქონდა. უბრალოდ იგი იმ უნდობლობასთან შერეული, გულში ჩამარხული შურის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, რასაც ნაციონალ-სოციალისტური წრეები ძველი კადრის ოფიცრობის მიმართ განიცდიდნენ. უნდა ითქვას, ასეთი უნდობლობისთვისაც არსებითი მიზეზები არ არსებობდა, რადგანაც გენერალიტეტი არა თუ მხარს უჭერდა ფიურერს, არამედ მნიშვნელოვანი როლიც შეასრულა, რომ იგი ხელისუფლების სათავეში მოქცეულიყო. მიუხედავად ამისა, მდიდარი ოჯახებიდან გამოსული ეს პრუსიელი არისტოკრატები, პოლკოვნიკები და გენერლები, რომელთა მამა-პაპებიც აგრეთვე პოლკოვნიკები და გენერლები ყოფილან, ზოგჯერ თავს ნებას აძლევდნენ ირონიული შენიშვნები გაეკეთებინათ ფიურერისა და მისი გრემოცვის მისამართით. ეს კაიზერის ოფიცრები გუნებაში უკმაყოფილო იყვნენ, რომ ამჟამად მათ მბრძანებლობდა უთვისტომო ადამიანი, ყოფილი ეფრეიტორი. აბა, რომელი მათგანი დაიჯერებდა, რომ ფიურერი ფრიდრიხ დიდის, ნაპოლეონისა და მოლტკეს სამხედრო ხიბს ითავსებდა მთლიანობაში.

მაგრამ ფიურერის აგენტურა უზადოდ მოქმედებდა და, მაშასადამე, გენერალთა ბუზღუნს დროგამოშვებით გებულობდნენ ისინი, რომელთაც ამის ცოდნა ევალებოდათ.

ამან განსაზღვრა კიდეც ნაცისტური წრეების მხრიკ კადრის გენერლებისადმი რამდენადმე იჭვნეული დამოკი-

დებულება, მიუხედავად იმისა, რომ ესენი სულითა და გულით ემსახურებოდნენ ფიურერს.

რიტერ ფონ ლეები სწორედ ამ ძველი ფორმაციის მხედართმთავრებს ეკუთვნოდა, რაც არა თუ ხელს არ უშლიდა, ყოფილიყო ფიურერის ყველა სამხედრო გეგმის თანამონაწილე, არამედ ამ გეგმათა რეალიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელიც გამხდარიყო. დასავლეთის ფრონტზე ფონ ლეები არმიების ჯგუფს სარდლობდა. მის სახელს უკავშირებდნენ „მაჟინოს ხაზის" გარღვევას. ამისათვის იგი რაიხ-დის ჯვრით იქნა დაჯილდოებული, თუმცა, არსებითად, არავითარი „გარღვევა" არ ყოფილა — გერმანელებმა უბრალოდ ხაზს გვერდი აუარეს.

სწორედ ამ გარემოებათა მეოხებით დაინიშნა ფონ ლეები არმიების ჯგუფის „ჩრდილოეთის" სარდლად, რომელსაც ჰიტლერმა ამოცანად დაუსახა სვლის შეუჩერებლივ დაეპყრო ბალტიისპირეთი, ფინეთის არმიასთან ურთიერთმოქმედებით დაეპყრო ლენინგრადი და აღეგავა იგი პირისაგან მიწისა.

მაღალი, გამხდარი, სამოცი წლის დინჯი ფელდმარშალი არა მარტო გამოცდილი სამხედრო პირი იყო, დიპლომატიაც ემარჯვებოდა.

ულმობელ, ძალაუფლების მოყვარულ ფელდმარშალს, რომელიც არც თუ ისეთ გულგრილობას იჩენდა ხელმძღვანელ ნაცისტურ წრეებში რეპუტაციის შესაქმნელად, კარგად შეესწავლა ჰიტლერის ხასიათი. იცოდა, ყოველი უმაღლესი ოფიცერი, რომელიც ფიურერს ეჰვს აღუძრავდა, სცენას დატოვებდა. დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება და უკანასკნელი შვიდი წლის დაკვირვება უკარნახებდა მას, როცა გენერალთა ძველი თაობა ერთგულ ქვეშევრდომულად შეასრულებს თავის როლს ნაცისტური გეგმების განხორციელებაში, თანდათან განიდევნება ახალი თაობის მხედართმთავრების მიერ — ისეთების, როგორიც არიან მოდელი, რომმელი, ბერნერი, და, რასაკვირველია, იოდლი, — რომლებმაც საკუთარი ბედი თავიდანვე ნაციონალ-სოციალიზმს დაუკავშირეს.

რიტერ ფონ ლეებს ეს კარგად ესმოდა. ოღონდ გერმანელი მილიტარისტის ლოგიკით დაბრმავებული, იგი განუხრელად მიდიოდა იმ გზით, რომელსაც ეს ლოგიკა უკარნახებდა.

მაგრამ ამასთანავე ფონ-ლეები ფრთხილიც იყო. როცა შეიტყო, ჰიტლერის ერთ-ერთი რჩეული ახალი ადიუტანტ-

თაგანი, ვინმე მაიორი დანვიცი მიეკლინილია არმიების იმ ჯგუფის შტაბში, რომელსაც იგი მეთაურობდა, საჭიროდ მიიჩნია სათანადო ზომები ძიეღო.

ეს დანვიცი რომ ფიურერის მსტოვარის როლს შეასრულებდა შტაბში, ამაში ფონ ლეებს ეჭვი არ ეპარებოდა.

რა თქმა უნდა, იგი შეიძლება მოისყიდოს ასე თუ ისე მაღალ და შედარებით უსაფრთხო საშტაბო თანამდებობაზე დანიშვნით. მაგრამ ცნობები, რომლებიც მიღებული ჰქონდა ლეებს დანვიცის შესახებ, მოწმობდნენ, რომ ამ მაიორის სახით უბრალოდ მორიგ ნაცისტურ კარიერისტთან, უწინარეს ყოვლისა, წოდებათა და ორდენთა მიღებითა და საკუთარი უსაფრთხოებით დაინტერესებულთან როდი აქვს საქმე, არამედ, იდეურ ნაციონალ-სოციალიზმის დოქტრინათა აუცილებლობაში დარწმუნებულ და უდავოდ გამბედავ ადამიანთან. ფონ ლეებს მოახსენეს, რომ დანვიცმა უარი თქვა საშტაბო თანამდებობაზე და მიზეზად დაასახელა დაპირება, რომელიც ჯერ კიდევ იოდლის შტაბში მიეღო, — რომ იგი ერთ-ერთი ბატალიონის მეთაურად დაინიშნებოდა რუსეთზე შეტევის დროს.

ჩვეულებრივ პირობებში ვიღაც მაიორის ბედი არასოდეს არ დააინტერესებდა ისეთი მაღალი რანგის მხედართმთავარს, როგორიც ფონ ლეები იყო.

მაგრამ ამჯერად განსაკუთრებული შემთხვევა იყო... მას, ფონ ლეებს, თვითონ მოუხდებოდა ბედის გამოცდა ფიურერის მიერ განზრახულ ლაშქრობაში...

ფონ ლეები გაეცნო დანვიცის პირად საქმეს. იგი მისი პოლიტიკური კეთილსაიმედოობის ბრწყინვალე დახასიათებასა და ჩინებულ სამხედრო ატესტაციებს შეიცავდა და მიიღო გადაწყვეტილება, რის შედეგად მაიორი სარდალთან იქნა გამოძახებული.

როცა დანვიცის ნაცისტურ მისალმებას ნახევრად მოხრილი ხელის აგდებული აქნევით უპასუხა და მისი მოკლე პატაკი მოისმინა, ფონ ლეები ერთხანს დუმდა და დაჟინებით ჩასცქეროდა მაიორს. „ასეა, ასე, — ფიქრობდა ლეები, — ეს ახალგაზრდა კაცი ძალიან ეფექტურად გამოიყურება. ტანადია, მშვენიერი გამართულობისა. ცოტა ტლანქი სახე რომ არ ჰქონდეს და დუელის ნაიარევები აჩნდეს, იგი ადვილად შეიძლებოდა მიგეჩნია ჩემი ყმაწვილობის დროის ოფიცრად, კადრის სამხედრო პირის კარგი პრუსიული ოჯახიდან გამოსულად... თუმაც მის სახეში არის სახელდობრ ის, რაც განსაკუთრებით ფასობს სწორედ ჩვენს დროში:

ქერა, მძიმე ნიკაპი, ტუჩების წვრილი ხაზი, დაჟინებული, გაშტერებული, ნაცრისფერი თვალები. აბა, შეეუდგეთ"...

— მე გადავწყვიტე, — დაიწყო ფონ ლეებმა და რამდენიმე ნაბიჯი წარდგა დანვიცისაკენ, — დაგაკისროთ თქვენ, მაიორო, საპასუხისმგებლო დავალება.

ახალი, მკრთალად მოპრიალე ჩექმები ოდნავ ჭრაჭუნებდნენ, როცა ფელდმარშალი მოძრაობდა ხოლმე პარკეტზე. ჩექმის თხელი ყელი მჭიდროდ ეკვროდა კანჭებს. ფონ ლეები დანვიცისაგან რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით შედგა და გაჩუმდა, თითქოს უნდოდა შეეხედა, რა შთაბეჭდილება მოახდინა მაიორზე მისმა სიტყვებმა.

მაგრამ დანვიციც დუმდა. იგი გაუნძრევლად იდგა და გალაქული წინაფრით ეჭირა ქუდი, რომელიც ნახევრად მოხრილ ხელზე ედო. დაჟინებული, გაშტერებული მზერით შესცქეროდა ფელდმარშალს სახეში, ცდილობდა აღბეჭდოდა მთელი მისი შესახედაობა — გრძელი, ვიწრო პირისახე, მუქი რგოლები ნაცრისფერი ციცა თვალების ქვემოთ, ცხვირის ორივე მხრიდან თითქმის ნიკაპამდე ჩამოყოლებული, ორი ღრმა ნაოჭი-კვალი, ჯაგრისებრი ულვაშები, თვალისმომჭრელად თეთრად გახამებული საყელოს ნაწიბური, რომელიც ოდნავ იყო ამოწეული კიტელიდან, მქრქალად მბრწყინავი რაინდის ჯვარი.

ფონ ლეებს მოეწონა, რომ ახალგაზრდა ოფიცერი თავდაჭერას იჩენდა და არ წარმოუთქვამს მაღალფარდოვანი ფრაზები ფიურერისა და დიადი გერმანიისადმი თავის ერთგულებაზე, სანამ ჯერ კიდევ არ მოესმინა დავალება, რომელიც მას დაეკისრებოდა.

მან ტუჩები დაღმიჭა — ფელდმარშალს აღიზიანებდა ახლახან გაკეთებული კბილის პროტეზი — და თქვა:

— არ დაგიმალავთ, ეს დავალება არა მარტო საპასუხისმგებლოა და საპატიო, არამედ საშიშიც. თქვენ ხომ არაფერი გსურთ თქვათ ამასთან დაკავშირებით?

— არა, ბატონო გენერალ-ფელდმარშალო, — მოკრძალებით წარმოთქვა დანვიცმა.

— ძალიან კარგი, — აგრეთვე მოკლედ თქვა ფონ ლეებმა და წამის შემდეგ დასძინა: — მივიდეთ რუკასთან.

იგი პირველი მივიდა კედელთან, რომელსაც მძიმე ფარდები ჰქონდა აფარებული, და ერთბაშად მოსწია ფუმფულა ბოლოფოჩიანი ზონარი. ფარდები გასწია და გამოჩნდა დიდი, კედელზე მიმაგრებული რუკა შავი სწორი და გაღუნული ისრებით.

— აქ, — მან გაიშვირა რუკისკენ საჩვენებელი თითი და ერთ ისარზე გადაატარა გრძელი, წვეტიანი და ბოლოში ოდნავ მოკაუჭებული ფრჩხილი, — ნაჩვენებია ჩვენი ჯგუფის ჯარების მთავარი დარტყმის მიმართულება. რუსთა ძირითადი ძალები ფრონტის ჩვენს უბანზე თავმოყრილია ლიტვაში, ლატვიასა და ესტონეთში.

ფონ ლეები წამით მიბრუნდა მის ზურგს უკან მდგომი დანვიცისაკენ, დარწმუნდა, რომ მისი მზერა რუკაზე იყო მიჯაჭვული, და განაგრძო:

— ჩვენ გავარღვევთ ბალტიისპირეთის ოლქის თავდაცვის ზღუდეებს, რომელსაც ბოლშევიკები „განსაკუთრებულს“ ეძახიან...

მან პაუზა გააკეთა, თითი გადაანაცვლა განიერ შავ ისარზე, რომელიც ნახევარწრიდ მოემართებოდა გერმანიის საზღვრიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ და შემდეგ მკვეთრად უხვევდა ჩრდილოეთისაკენ, და ოდნავ ხმის აწევით განაგრძო:

— ... შემდეგ კი სამხრეთიდან ერთდროულივე დარტყმით გამოვალთ აქეთ, ქალაქისაკენ, რომელსაც ოსტროვი ეწოდება. მე გავაპობ მთელი საბჭოთა ჯარების საზღვრისპირა დაჯგუფებას და მერე მოვჭრი ბალტიისპირეთში თავმოყრილ მთელ ძალებს. ხელთ რომ ჩავიგდებთ ოსტროვს და შემდეგ ფსკოვს, სრულ ოპერატიულ სივრცეს მოვიპოვებთ ლენინგრადზე დასარტყმელად, ლენინგრადს ავიღებთ სვლის შეუჩერებლივ!..

იგი მოუბრუნდა დანვიცს.

— თქვენთვის გასაგებია ჩანაფიქრი, მაიორო?

მაგრამ მაიორი ხმას არ იღებდა.

„რატომ დუმს?“ — ჰკითხა თავის თავს ფონ ლეებმა. ახლა იგი უკვე უკმაყოფილო იყო ოფიცრის დუმილით. ფიქრობდა იმაზე, რომ ამ დანვიცს, ალბათ, თავი გატენილი აქვს უფრო ნაციონალ-სოციალისტური დოქტრინებით, ვიდრე ტაქტიკური ცოდნით. უბრალოდ, არ შეუძლია იაზროვნოს ოპერატიული ხელოვნების კატეგორიებით. მას კი, რიტერ ფონ-ლეებს, აქ ოცდათორმეტი რჩეული დივიზია ჰყავს და მთელი საჰაერო ფლოტი!

იგი დუმდა, აღიზიანებდა იმის შინაგანი განცდა, რომ ვიღაც მაიორს გადაუშალა თავისი ჩანაფიქრები. მაგრამ ამ მომენტში ალაპარაკდა დანვიცი:

— მე ვიცი, ბატონო ფელდმარშალო, რომ ოსტროვის რაიონში გადის სტალინის ხაზი. ჩვენ გავარღვევთ მას ტან-

ქების ტარანით... — თქვა მან და, როგორც მოჯადოებული, თვალმოუწყვეტლად განაგრძობდა რუკაზე ცქერას. — ფსკოვიდან ლენინგრადამდე უკვე მხოლოდ სამასი კილომეტრია. ისევ ტარანი — და ლენინგრადს ავიღებთ!..

მოულოდნელად მკვეთრად მიაბრუნა თავი ფონ ლეებისაკენ და შეესძახა:

— ეს ჩინებულია!

რაიმე ემოციური შეფასება, თუნდაც დადებითი, უმაღლესი სარდლობის გეგმებისა რიგითი ოფიცრის მიერ ტაქტობად გაისმოდა, და ფონ ლეებს ეჩოთირა კიდეც. მაგრამ ამავე დროს ხალასი აღტაცება, რაც დანვიცის სიტყვებში გამოიხატა, ელაციცებოდა ფელდმარშლის თავმოყვარეობას. მან ისიც შენიშნა, რომ ეტყობოდა, დანვიცს ყურადღებით შეუსწავლია მომავალ მოქმედებათა რუკა, იცის „სტალინის ხაზის" შესახებ და ასე თუ ისე, სწორად განსაზღვრა მანძილი ფსკოვიდან ლენინგრადამდეო. მაგრამ ფონ ლეებმა გარეგნულად მაინც არაფრით არ გამოამჟღავნა თავისი კმაყოფილება და განგებ მშრალად წარმოთქვა:

— გარღვევის ამოცანა გენერალ-პოლკოვნიკ ჰეპნერის მეოთხე სატანკო ჯგუფს დაევალა.

იგი კვლავ გაჩუმდა. დანვიციც დუმდა. რამდენიმე წუთის წინათ იგი დარწმუნებული იყო, რომ ახლავე გაიგებდა, რად გამოიძახა ფელდმარშალმა. მაგრამ ამჟამად?.. რა შუაშია იგი აქ? მართლაც, იმისათვის ხომ არ გამოიძახა ფონ-ლეებმა, რომ გაეგო მისი აზრი თავისი გეგმების შესახებ. მაშინაც კი, თუ დავუშვებთ, რომ ფიურერმა შეასრულა თავისი დაპირება და გააგებინა ფელდმარშალს, მაიორი დანვიცი ჩემი ნდობით სარგებლობსო, იმ შემთხვევაშიც ვარაუდი, რომ სახელგანთქმული სარდალი თავს დაიმდაბლებდა და თავის ჩანაფიქრთა განხილვაში ვიღაც მაიორს მიაღებინებდა მონაწილეობას, უცნაური რამ იქნებოდა.

ამიტომ დანვიცი დუმდა. იგი უკვე ნანობდა, რომ თავი ვერ შეიკავა მგზნებარე გაკვირვებისაგან, რაც ეწინააღმდეგებოდა სამხედრო სუბორდინაციას, მაგრამ იცოდა, ეს არ შეიძლებოდა გამხდარიყო მის მიმართ ფელდმარშლის რაიმე განზრახვის შეცვლის მიზეზი.

— ვერ ხვდებით, მაიორო, რად გიბრძანეთ გამოცხადებულიყავით? — თითქოს დანვიცის ფიქრი ამოიკითხა. ჰკითხა ფონ ლეებმა.

— არა, ბატონო, გენერალ-ფელდმარშალო! —მკაფიოდ

უპასუხა დანვიცმა და დასძინა — ყველა შემთხვევაში ჩემთვის ეს დაუმსახურებელი პატივია.

— თქვენ კიდევ უფრო მეტი პატივი მოგელით, — ძლიეს შესამჩნევი ღიმილის მალვით თქვა ფონ ლეებმა. — მე ვუბრძანე გენერალ ჰეპნერს შექმნას მეწინავე რაზმი — ოსტროვთან, სიღრმეში გამაგრებული რაიონის ხელში ჩამგდები ჯგუფი. მასში ყველა საჭირო მოძრავი საშუალება იქნება — სატანკო ქვეგანაყოფები, ამფითქებლები და ცეცხლმტყორცნები. მე უნდა გადავწყვიტო: ვის მივანდო ამ რაზმის მეთაურობა?..

დანვიცს მთელი ნებისყოფის დაჭიმვა დასჭირდა, რომ სახის გამომეტყველების სიმშვიდე დაეცვა და არ წამოსცდენოდა თავში მოსული პირველივე სიტყვები.

მთელი მისი არსება სიხარულმა, აღტაცებამ შეიპყრო. იგი ხომ უკვე მიხვდა, სრულად მიხვდა, რას ეხებოდა საუბარი!

მთელ ამ დღეებში დანვიცი, რომელიც დროებით მივლენილი იყო „ჩრდილოეთის" ჯგუფის ჯარების შტაბში, უცდიდა შეპირებული ბატალიონის მიღებას და ევედრებოდა — ღმერთს კი არა, რელიგიურობას გასავალი არ ჰქონდა ნაციონალ-სოციალისტურ პარტიაში, იმ ძველ ტევტონთა სულის განმასახიერებელ უმაღლეს არსებას, იმ იდუმალ ძალებს, ფიურერის ყოველ ნაბიჯს რომ ხელმძღვანელობენ, მისცეს დანვიცს შესაძლებლობა ჩაიდინოს საგმირო საქმე დიადი გერმანიის სასახელოდ. და აი ახლა...

— რადა ხართ გაჩუმებული? — მონოკლი გაიკეთა, დაჟინებით შეაცქერდა დანვიცს და ჰკითხა ფონ ლეებმა.

— როდესაც გერმანელთა არმიის ოფიცერი დგას თავისი გენერალ-ფელდმარშლის წინაშე, მას აქვს უფლება მხოლოდ უპასუხოს და მორჩილებდეს, — უკიდურესად დაჭიმა კუნთები და ისე უპასუხა დანვიცმა.

— კარგი, — უთხრა ფონ ლეებმა და ოდნავ შესამჩნევად აამოძრავა წარბები. თვალის ფოსოდან მონოკლი გამოუვარდა და შავ აბრეშუმის ზონარზე ჩამოეკიდა. ხელები უკან შემოიწყო, თავი უკან გადახარა და წაწვეტებული ნიკაპი კიდევ უფრო გაუწვრილდა. მერე დინჯად და გარკვევით წარმოთქვა: — მაიორო დანვიც, მზადა ხართ მიიღოთ ამ რაზმის მეთაურობა?

დანვიცმა ენის სწრაფი მოძრაობით გაილოკა გამშრალი ტუჩები და უპასუხა:

— მე ამას უდიდეს პატივად მივიჩნევ, ბატონო გენერალ-ფელდმარშალო.

–ფონ ლეებმა ოდნავ დაუქნია თავი:

— მე მოველოდი ასეთ პასუხს. თქვენ უნდა გამოცხადდეთ გენერალ ჰეპნერთან და ყველა შემდგომ ბრძანებას მისგან მიიღებთ. წაბრძანდით...თუმცა... დაიცათ. გზის დასალოცად მინდა გითხრათ რამდენიმე სიტყვა, თქვენ ისიც უნდა იცოდეთ, რომ ლენინგრადის აღება ჩვენმა ფიურერმა პირველ მიზნად წამოაყენა იმ გრანდიოზულ ბრძოლაში, რომლის დაწყებამდე ახლა მხოლოდ საათები დარჩენილა.

თქვენს რაზმს უდიდესი როლის შესრულება მოუხდება რუსეთის წინააღმდეგ საომარი ოპერაციების დაწყებიდანვე. როგორც მახვილის პირით, ჩვენ გავაპობთ მოწინააღმდეგის მთავარ ძალებს, გამაგრებულ რაიონში კი თქვენ გაუხსნით შემდგომ გზას გამრღვევ ძალებს. თქვენ გრძნობთ პასუხისმგებლობას, რომელიც გეკისრებათ?

— ჩემი სიცოცხლე ეკუთვნის ფიურერსა და დიად გერმანიას, — უპასუხა დანვიცმა და თან მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, რომ რაიმე უხერხული სიტყვით ან მოძრაობით საბაბი არ მიეცა ფელდმარშლისათვის შეეცვალა თავისი გადაწყვეტილება.

— ყველა ჩვენგანის სიცოცხლე ეკუთვნის ფიურერსა და დიად გერმანიას, — წარბების ოდნავ ერთმანეთთან მიახლოებით, დამრიგებლურად წარმოთქვა ფონ ლეებმა.

რამდენიმე ხანს დუმდა, ტანის რხევით ოდნავ აიწია ფეხის წვერებზე, მერე ქუსლებზე დაეშვა და თქვა:

— მე ვიცი, რომ თქვენ ფიურერის ნდობით სარგებლობთ. თქვენზეა დამოკიდებული კიდევ ერთხელ დაამტკიცოთ, რომ ღირსი ხართ ამ ნდობისა. ოპერაციის წარმატება თქვენი, ახალგაზრდა ოფიცრის წინაშე... განუსაზღვრელ პერსპექტივებს გადაშლის.

დანვიცს უნდოდა ეპასუხა, თვით ნდობა ფიურერისა ჩემთვის უმაღლესი ჯილდო არისო, მაგრამ მაშინვე მიხვდა, ფონ ლეებს შეეძლო არასწორად გაეგო მისი ნათქვამი. ამიტომ ხმა არ ამოუღია.

ფელდმარშალმა კიდევ ერთხელ თავიდან ფეხებამდე დაჟინებით შეათვალიერა დანვიცი და უთხრა:

— შეუდექით შესრულებას, მაიორო. გისურვებთ წარმატებას.

...როდესაც დანვიცმა კაბინეტი დატოვა, ფონ ლეები ერთხანს შეჰყურებდა კარს, რომელშიც ის-ის იყო გავიდა

მაიორი. იგი თავისი თავით კმაყოფილი იყო. ფონ ლეებს, რომელიც ინტრიგათა სამყაროში მუდმივი ეჭვიანობის ატმოსფეროში ცხოვრობდა და იცოდა გენერლების უცილელი მისწრაფება — დაემსახურებინათ ჰიტლერის ნდობა და წყალობა, ესმოდა, რომ მაიორისათვის პერსონალური ოპერატიული დავალების მიცემა, ასე ვთქვათ, ფორმალური განკარგულების ჩვეულებრივ ჩარჩოებს სცილდებოდა. რა თქმა უნდა, იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა გარღვევის სიღრმეში სიმაგრეთა ხელში ჩაგდების ჩანაფიქრს და, მაშასადამე, იმასაც, ვინ იქნებოდა ასეთი რაზმის მეთაური. იგი ყოველთვის გამოუძახებდა თავისთან ამ როლის კანდიდატს, რომ შექმნოდა მასზე თავისი შეხედულება.

მაგრამ ამ შემთხვევაში მან სხვა, არანაკლები მნიშვნელობის გარემოებებიც გაითვალისწინა. ფონ ლეებს არ უნდოდა თავის შტაბში ჰყოლოდა ჰიტლერის მსტოვარი. დანვიცი რომ ორდინარული ბატალიონის მეთაურის პოსტზე დაენიშნა, შეიძლებოდა თავის წინააღმდეგ აემხედრებინა ეს მაიორი. ფონ ლეები დარწმუნებული იყო იმაში, რომ მსგავსად დანარჩენი თავგამოდებული ნაცისტებისა, დანვიციც ალბათ, ჩუმად ოცნებობს ისეთ უსაფრთხო თანამდებობაზე, რომელიც იმავე დროს მისცემს უფლებას მებრძოლ ოფიცრად ითვლებოდეს. ცოტა კი არ ეგულებოდა ასეთები.

ფონ ლეებმა დანვიცი დანიშნა რა გარღვევის ჯგუფის მეწინავე რაზმის მეთაურის საპატიო პოსტზე, ამით თავის შტაბსაც მოაცილა, მაგრამ მას, სულით ხორცამდე სამხედრომ კაცს, ესმოდა, რომ ჰეპნერისა და მისი მოწინავე ნაწილების წარმატება წინასწარ განსაზღვრავდა ლენინგრადის აღების მთელი გეგმის წარმატებას და მაშასადამე, ფელდმარშალ რიტერ ფონ ლეების წარმატებასაც. იგი არასოდეს არ დანიშნავდა ასეთი რაზმის მეთაურად ისეთ ოფიცერს, რომლის ძალაშიც დარწმუნებული არ იქნებოდა.

დანვიცის პირადი საქმის შესწავლამ და იმ ადიუტანტების მოხსენებებმა, რომლებსაც მან დაავალა — დაკვირვებოდნენ ახალგაზრდა მაიორს, ფონ ლეები იმ დასკვნამდე მიიყვანეს, რომ იგი არ ცდებოდა, ანდობდა რა მას ამ რაზმის მეთაურობას. როგორც ყველაფრიდან ჩანდა, იგი ნიჭიერი, გულცივი და, გამბედავი იყო.

ოპერაციის წარმატების შემთხვევაში დანვიცს ჯილდოები და დაწინაურება მოელის. როცა იგი ამას მიაღწევს, არ შეიძლება არ გაიხსენოს, უწინარეს ყოვლისა, ვისგან არის ამით დავალებული. უეჭველია მაიორი ბევრჯერ მო-

ხვდება ჰიტლერის ბანაკში. ჰყავდეს იქ ისეთი კაცი, რომელ-საც მან გზა გაუხსნა კარიერისაკენ, ფონ ლეებს მეტად მნიშვნელოვნად მიაჩნდა.

თუ დანვიცს ვერ გაუმართლდა და მოკლეს?.. რა ვუყოთ, ომი ომია, რაზმის მეთაურის შეცვლა ძნელი არ არის მხოლოდ ერთი დანვიცი დააკლდება მის შტაბს...

... და აი გავიდა ათი დღე. ათი დღე მას შემდეგ, რაც დანვიცი იყო ფონ ლეებთან. ათი დღე იმ დროიდან, რაც გერმანელ-პოლკოვნიკ ჰეპნერის ბრძანებით ფორმირებულ იქნა მოტორიზებული დივიზიის მეწინავე რაზმი, გაძლიერებული ორი სატანკო ასეულით, მოტოციკლისტ-მეტყვეიამფრქვევიებით, აღჭურვილი დამატებითი ქვემეხებიანი და ნაღმსატყორცნებიანი ავტომანქანებით. რაზმში შევიდნენ ცეცხლმტყორცნი ტანკებიც და ამფეთქებლებიც.

ათი დღე-ღამე გავიდა იმ დროიდან, რაც ჰეპნერმა დანვიცს დაუსახა ამოცანა: საზღვრის გარღვევის შემდეგ იაროს სულ წინ, უეცარი ნახტომით ხელთ იგდოს პლაცდარმი გამაგრებულ რაიონში ქალაქ ოსტროვთან.

და ათი დღე-ღამეა მიმდინარეობს შეუწყვეტელი სისხლისმღვრელი ბრძოლები, რომლებსაც აწარმოებდნენ ჰეპნერის მთავარი ძალებიც და დანვიცის რაზმიც.

ის, რასაც გერმანელები მაღალფარდოვნად „სტალინის ხაზს“ უწოდებდნენ და გაზეთებში აზვიადებდნენ როგორც ისეთ რამეს, რომელიც თავისი მიუვალობით აღემატებოდა „მაჟინოს ხაზს“ და „მანერჰაიმის ხაზს“ ერთად აღებულს, სინამდვილეში წარმოადგენდა ნაწილობრივ დემონტირებულ თავდაცვითს ნაგებობას ძველ სახელმწიფო საზღვარზე. 1940 წლის შემდეგ საბჭოთა სარდლობა მას მეორეხარისხოვნად მიიჩნევდა. მთელი ძალ-ღონე ხმარდებოდა გამაგრებული რაიონების მშენებლობას გერმანიასთან ახალ საზღვარზე, საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შესული სამი ბალტიისპირა რესპუბლიკის ტერიტორიაზე. ეს ახალი გამაგრებული რაიონები, ბუნებრივია, არ შეიძლებოდა დასრულებულიყვნენ ესოდენ მოკლე ვადაში და 1941 წლის ივნისისათვის, მხოლოდ მშენებლობის სტადიაში იმყოფებოდნენ. გერმანიის სარდლობამ ეს კარგად იცოდა.

22 ივნისის საღამოთი გენერალ-პოლკოვნიკ ჰეპნერის მე-4 სატანკო ჯგუფის მოტორიზებული კორპუსები, დაძლიეს რა იმ საზღვრისპირა ჯარების ძერათა წინააღმდეგობა,

რომლებსაც თორმეტი საათის წინ მოულოდნელად თავს დაატყდათ გერმანელთა ძლიერი საარტილერიო და საავიაციო ცეცხლი, უკვე კაუნასის ჩრდილო-დასავლეთით გაიჭრნენ. გენერალ ზოტის მე-3 სატანკო ჯგუფის ჯარებმა კი მოახერხეს ნემანის ფორსირება. რადგან ვერაგული თავდასხმის გამო საბჭოთა ნაწილებმა ვერ მოახერხეს ხიდების აფეთქება.

მაიორ დანვიცის მეწინავე რაზმი გარღვევის ადგილას მაშინვე შევიდა სამხრეთ აღმოსავლეთიდან. დანვიცი მთელი ძალებით მიისწრაფოდა ოსტროვის რაიონისკენ — თავისი მიზნისკენ, და კიდევაც მიაღწია მას. ივლისის დამდეგს მან შეძლო ამ გამაგრებულ რაიონში ხელთ ეგდო რამდენიმე ბეტონის დოტი-ბუნკერი. მათი უმეტესობა შეიარაღებასა და გარნიზონს მოკლებული იყო. ბალტიისპირეთიდან უკან დამხევმა საბჭოთა ჯარებმა და რეზერვებმა, რომლებიც მიეშურებოდნენ ამ რაიონში, ვერ მოასწრეს აქ დავდაცვის ხაზის შექმნა.

დანვიცს შეეძლო ეთქვა, რომ ბრწყინვალედ შეასრულა დავალება. მაგრამ, როცა კიდევ რამდენიმე კილომეტრი წაწია ფსკოვის მიმართულებით, იგი იძულებული გახდა შეჩერებულიყო. ტანკებსა და ავტომანქანებს საწვავი უთავდებოდა. დანვიცმა ჰეპნერის შტაბში რადიოგრამა გაგზავნა და ბენზინის გამოგზავნამდე სულის მოთქმის საშუალება მიეცა.

მაგრამ არა მარტო საწვავის ნაკლებლობამ შეაჩერა მეწინავე რაზმის სვლა. უფრო სწორად რომ ითქვას, თვით ეს ნაკლებობა შედეგი იყო მდგომარეობისა, რომელიც არ გაუთვალისწინებიათ არც მაიორს და არც იმ პოლკოვნიკებსა და გენერლებს, რომლებიც რამდენადმე უფრო ნელა მოძრაობდნენ მთავარ ძალებთან ერთად, უკან მიჰყვებოდნენ დანვიცის რაზმს.

როცა ომის მეორე კვირის ბოლოს დანვიცი შეიჭრა იმ ბეტონის სიმაგრეთა რაიონში, რომლებიც ოდესღაც რუსებს აეშენებინათ საზღვარზე ბალტიისპირეთის სახელმწიფოებთან, მას ეშვი არ ეპარებოდა, რომ სვლის შეუჩერებლივ აიღებდა მათ. რადიოთი მიღებული საჰაერო დაზვერვის მონაცემები მოწმობდა, რომ საბჭოთა ჯარების დიდი გადაადგილება აქ არ შეიმჩნეოდა. ყოველ შემთხვევაში დაზვერვა იმ დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლეოდა, რომ, თუ უკანდამხევ საბჭოთა ნაწილებს განზრახული ჰქონდათ გამაგრებულიყვნენ ამ ბეტონის დოტებში, დანვიცის რაზმის გამალებულმა რეიდმა გაუსწრო ასეთ გან-

ზრახვას. რაზმმა უფრო ადრე მიაღწია გამაგრებულ რაიონს, ვიდრე საზღვრიდან უკან დამხევმა საბჭოთა ჯარებმა. საკითხავია, ითვალისწინებდნენ თუ არა ბოლშევიკთა გენერლები ძველი დოტი-ბუნკერების გამოყენებას? შესაძლებელია, ახლა ისინი მიზნად ისახავდნენ ძთელი თავიანთი შენარჩუნებული ძალების კონცენტრირებას უშუალოდ ლენინგრადის დასაცავად.

ასე იყო თუ ისე, როცა დანვიცს გზად პირველი ისეთი მცირე თავდაცვითი ნაგებობები შეხვდა, რომ თითოეულ მათგანში ხუთ-ექვს რუს ჯარისკაცზე მეტი არ შეიძლებოდა ყოფილიყო, მან ამ დაბრკოლებას არავითარი მნიშვნელობა არ მიანიჭა. დარწმუნებული იყო, რომ სვლის შეუჩერებლივ აიღებდა. არავითარი „სტალინის ხაზი" ჯერჯერობით მას არ დაუნახავს.

დანვიცის გულდაჯერებულობა კიდევ უფრო განმტკიცდა მას შემდეგ, რაც მისდა სასიხარულოდ, დარწმუნდა, რომ პირველი ბუნკერები ცარიელი იყო. ორ მეტრამდე სისქის კედლებიან რკინა-ბეტონის კოლოფებს ხახასავით დაეღოთ ცარიელი ამბრაზურები!

შტაბის ავტობუსიდან დანვიცი ერთ-ერთ თავის ტანკზე გადაჯდა, დაივიწყა სიფრთხილე, საძვრენიდან ნახევრად ამოიწია, რომ უკეთ წარემართა ტანკების, ჯავშნოსნებისა და მოტოციკლისტების მოძრაობა, და გასცა ბრძანება შემდეგი გამალებული ნახტომის გასაკეთებლად. მისი რაზმი კოლონად შემჭიდროვდა.

და აი ამ მომენტში ერთ-ერთმა შორეულმა ბუნკერმა, დანარჩენებივით ცარიელი რომ ეგონათ, მოტოციკლისტების წინააღმდეგ, რომლებსაც ყოველგვარი სიფრთხილე დავიწყებოდათ, უცბად ტყვიამფრქვევის საშინელი ცეცხლი გახსნა.

დანვიცმა მოასწრო დაენახა, როგორ ეცემოდმენ ძირს მოტოციკლისტები, როგორ ეხეთქებოდნენ აქეთ-იქით მართვას მოკლებული მანქანები, მოესმა ტყვიების ხშირი რაკარუკი თავისი ტანკის ჯავშანზე. სასწრაფოდ მიაჯახუნა საძვრენი და რადიოთი გადასცა ბრძანება საბრძოლო წესით გაშლილიყვნენ.

დაუდევრობის გამო, რასაც მისი ათეული მოტოციკლისტის სიცოცხლე შეეწირა, დანვიცი ცოფებს ყრიდა და ბრძანა წყეული ბუნკერისათვის რამდენჯერმე ესროლათ სატანკო ზარბაზნები.

ბუნკერი ჩაჩუმდა. დანვიცმა გადაწყვიტა, რომ მას ბო-

ლო მოეღო და თუ ერთი მუჭი რუსი ჯარისკაცები სიკვდილს გადაურჩნენ, ყოველ შემთხვევაში ბრძოლის უნარი აღარ ექნებათო. ორ ჯავშნოსანს დოტთან ახლოს მისვლა უბრძანა.

დოტი კვლავინდებურად დუმდა. მაგრამ დატოვეს თუ არა ჯარისკაცებმა ჯავშნოსანი, რათა ნაგებობა დაეთვალიერებინათ, ისინი პირწმინდად მოცელა ტყვიამფრქვევის ახალმა გააფთრებულმა ჯერმა.

მთელ ამ სურათს დანვიცი დურბინდით უცქეროდა. მან უკვე შეიყვანა თავისი ტანკი რაზმის საბრძოლო წესის სიღრმეში. ამ რაღაც რამდენიმე წუთში მომხდარმა ამბავმა იგი დაარეტიანა და ლანძღვა დაიწყო. დგას რაღაც ეული ბუნკერი გზების გასაყარზე და მისთვის ვერ შემოგვივლია! მარცხნივ მოტოკოლონისთვის გაუვალი ტყეა გადაჭიმული, მარჯვნივ — უსასრულო საფლობი ჭაობები.

შექმნილი მდგომარეობის უაზრობას, დამამცირებლობას დანვიცი მოთმინებიდან გამოჰყავდა. ყველაფრიდან ჩანდა, რომ ბუნკერში მყოფ ადამიანებს გარედან რაიმე დახმარების იმედი არ უნდა ჰქონოდათ. მეზობელი ტყე დუმდა, მაშასადამე, საბჭოთა ნაწილები მახლობლად არ იმყოფებოდნენ. დაზვერვის მონაცემების მიხედვით ამ გზების გასაყრიდან სადღაც ჩრდილო-დასავლეთით გაწლაგებული სხვა დოტებიც დუმდნენ. შესაძლებელია ისინი ცარიელებია, როგორც ის ბუნკერები, რომლებიც დანვიცის რაზმმა უკვე ზურგში მოიტოვა. ისიც შესაძლებელია, რომ მათ მიახლოებას უცდიან? ასე იყო თუ ისე, დანვიცის შემდგომ წინსვლას აფერხებდა მხოლოდ ერთი უმნიშვნელო ბუნკერი. ამის შეგნება სამარცხვინო და დამამცირებელი იყო.

იმაში, რომ კიდევ რამდენიმე ხანი გაივლიდა და იგი მოსპობდა რუსებს, დანვიცს ეჭვი არ ეპარებოდა. მაგრამ ისიც აფიქრებდა, რომ ხუთიოდე საბჭოთა ჯარისკაცთან მის ამ უსახელო „ბრძოლაზე“ გენერალ ჰეპნერის შტაბში გაიგებდნენ. სწორედ ამაზე ფიქრი აშმაგებდა დანვიცს. მან გამოიძახა სატანკო ესეულის მეთაური და უბრძანა, რომ გამოეყო ცეცხლმტყორცნებით შეიარაღებული ორი მანქანა და ამოეწვა ბუნკერებში მყოფი ყოველი ცოცხალი არსება. დე, ცეცხლში ჩაიფერფლონ თვითმკვლელები!

ამ წუთში დანვიცს მოახსენეს, რომ მეკავშირეებმა აღმოაჩინეს ტელეფონის ხაზი, რომელიც შეიძლება ამ ბუნკერს სხვებთან აკავშირებდეს. ტელეფონისტებმა უკვე

ჩართეს ამ ხაზთან და რუსების რაღაც დალაპარაკებას ისმენენო.

ამ ცნობამ შეაჩერებინა დანვიცს გაცემული ბრძანების შესრულება. იგი ახალმა აზრმა შეიპყრო: შესაძლებელია ხელთ ვიგდო ცოცხლად ის ველურები, ის ფანატიკოსები? დავანახო ისინი ჩემ ფეხქვეშ გართხმულნი გერმანელ ჯარისკაცებს? ეს მართლაც, მოულოდნელი შეცდომისა და დანაკარგის კომპენსაცია იქნებოდა. ჰო, ეს იდეაა. დანვიცმა ბრძანა გამოეძახათ თარჯიმანი, ხანშესული კაპიტანი ზაიდინგერი, რომელმაც საკუთარ რიგიანად იცოდა რუსული ენა: რამდენიმე წლის წინათ მას თითქმის მთელი წელიწადი ემუშავა მოსკოვში გერმანიის საელჩოს სამხედრო ატაშესთან.

დანვიცს კაპიტანი მოუყვანეს და ისინი ერთად წავიდნენ ტყეში, მეკავშირეებთან.

ჩამუხლული გერმანელი ეფრეიტორი დახრილიყო ხშირ ბალახში ძლივს შესამჩნევ მავთულზე და ყურზე ტელეფონის მილაკი მიეკრა. სულსწრაფი მოძრაობით დანვიცმა იგი ხელიდან გამოსტაცა ეფრეიტორს და ყური მიუგდო. ხმაურის, ტკაცანის და სხვა დაბრკოლებათა ფონზე დროგამოშვებით მოისმოდა ხმები. ეს ჩახლეჩილი, გულამოსკვნილი, ეტყობოდა, უკიდურესი აღელვების გამომხატველი ხმები იყო. რამდენიმე წამს დანვიცი დაძაბულად უგდებდა ყურს უცნობ სიტყვებს, თითქოს ცდილობდა ჩაწვდომოდა იმ მეორე, მისთვის მტრული სამყაროს საიდუმლოებას, და მერე ყურმილი ზაიდინგერს გადასცა. თარჯიმანი ჩაცუცქდა და მილაკი ყურზე მიიკრა...

— ...ისინი დახმარებას თხოულობენ, — თქვა ზაიდინგერმა ერთი წუთის შემდეგ, ყურმილი დაუშვა და მუხლებს შუა ჩაიჭირა. — ამბობენ, რომ საბრძოლო მასალები უთავდებათ...

— მერე, მერე! — მოუთმენლად მოითხოვა დანვიცმა.

ზაიდინგერმა ისევ მიიკრა ყურმილი.

— ...მათ უბრძანებენ, დატოვონ ბუნკერი და დაიხიონ... — თქვა მან ბოლოს.

— ძალიან კარგი! — შესძახა დანვიცმა და ბრძანა დაეწესებინათ საგულდაგულო თვალთვალი ბუნკერზე და რადაც უნდა დაჯდომოდათ ცოცხლად ჩაეგდოთ ხელში საბჭოთა ჯარისკაცები, როგორც კი ისინი შეეცდებოდნენ გასცლოდნენ იქაურობას.

მაგრამ გავიდა კიდევ ნახევარი საათი, და იქიდან არავინ

არ გამოსულა. ღამე ახლოვდებოდა. დანვიცმა ბრძანა ჩაერთოთ ფარები ბუნკერის ახლოს მდგარ მანქანებში. არ შეიძლებოდა იმის მოთმენა, რომ რუსები გამომძვრალიყვნენ. მაგრამ შუქი აინთო თუ არა, ბუნკერიდან კვლავ იმრავლა ტყვიამფრქვევის ჯერმა და ერთიანად ჩაამსხვრიეს ფარები. ყველაფერი ისევ სიბნელემ მოიცვა.

დანვიცის მოუთმენლობამ და სიშმაგემ უკიდურეს საზღვარს მიაღწია. მან ისევ უბრძანა თარჯიმანს ჩართულიყო რუსთა სატელეფონო კავშირში და გადაეცა მათთვის წინადადება, დანებებულიყვნენ.

ზაიდინგერმა მიკროფონი პირზე მიიკრა და დინჯად და მკაფიოდ დაიწყო ლაპარაკი: Русские солдаты в бункерах! Вы окружены! Вы должны убить каждый свой командир и комиссар и потом выходить! Вы сдаетесь и живете. Иначе вы будете сожжен немецкий огнемет!

ზაიდინგერს რუსული ლაპარაკი შეეძლო, მაგრამ გრამატიკა არასოდეს არ უსწავლია. იცოდა, რომ ბევრ შეცდომას უშვებდა და ინსტიქტურად ამის კომპენსირებას სიტყვების მაგრად და მკაფიოდ წარმოთქმით ცდილობდა. ერთი და იგივე სიტყვები რამდენჯერმე გაიმეორა და შემდეგ ყურმილი მიიკრა. ერთხანს მავთულის მეორე ბოლოდან არაფერი ისმოდა. ალბათ, რუსები დააბნია უცხო კაცის ხმამ, რომელიც უეცრად გაისმა.

შემდეგ კი ზაიდინგერს თავს გადაევლო სიტყვათა ნაკადი. მან გულდასმით მიუგდო ყური და შეეცადა ხმაურში და ტკაცანში ჩაწვდომოდა მათ შინაარსს, და ბოლოს მიხვდა, ეს იყო მხოლოდ ლანძღვა-გინება! გერმანელისათვის უაღრესად შეურაცხმყოფელი, უაღრესად უხეში ლანძღვა-გინების ნიაღვარი.

მან ყურმილი დაუშვა და მოახსენა მაიორს რუსების პასუხი. დანვიცს სახე აელეწა. სატანკო ასეულის მეთაურს უბრძანა დაუყოვნებლივ, ახლავე გადაებუგა ბუნკერი. გაშმაგებული თავის ტანკში დაბრუნდა.

იგი აღიმართა ტანკის ჯავშანზე და შესცქეროდა, როგორ დაბორგავდნენ ალის ჭავლები ბუნკერის ამბრაზურებზე. დაინახა, როგორ უპასუხეს რუსმა ჯარისკაცებმა ტყვიამფრქვევის ცეცხლით. ერთ-ერთი ცეცხლმტყორცნი ტანკი უცებ დადგა — ალბათ, ტყიამფრქვევის ჯერი საჭვრეტ ჭიჭრუტანას მოხვდა. მეორე ტანკი თითქმის ზედ მიადგა ბუნკერს, ცეცხლის ჭავლი ისევ შეიჭრა ამბრაზურა-

ში... და ამ მომენტში გაისმა ყრუ, თითქოს მიწისქვეშა აფეთქება. ცეცხლმტყორცნი ტანკი თითქოს შეხტა და შეტრიალდა ადგილზე: მას მუხლუხო გადაუტყდა ან რაღაც ჩაიჭედა.

ჩამობნელებული ცისა და მავთულხლართების ცეცხლმოკიდებული პალოების ჩირაღდნების ფონზე დანვიცმა დაინახა, როგორ ავარდნენ ჰაერში ბეტონის ნამსხვრევები და მიწის ქარბორბალები.

რა არის ეს? ვინ ააფეთქა ბუნკერი? დანვიცის ტანკებიდან რომელმა შეძლო ზარბაზნის მარჯვე გასროლით შეენგრია ამბრაზურა და გაენადგურებინა დოტი?

მაგრამ დანვიცის არც ერთ მანქანას, გარდა ცეცხლმტყორცნი ტანკებისა, ამ მომენტში ცეცხლი არ ჰქონდა მიმართული ბუნკერისადმი.

რუსმა ჯარისკაცებმა, რომლებსაც ბრძოლის გაგრძელების საშუალება აღარ გააჩნდათ, თვითონვე აიფეთქეს თავი.

... და აი დანვიცი ზის ამ მკვდარ სოფელ კლეპიკში. მას მაინც მოუხდა განზე გადგომა რადგანაც საწვავი გამოელია. შეიძლება იგი ყოფნოდა კიდევ რამდენიმე კილომეტრზე, ამდენი დრო და ძალა რომ არ შეელია ამ წყეულ ბუნკერისათვის.

ახლა იგი ზის ბენზინის მოლოდინში და ისევ და ისევ იხსენებს ახლახან გადახდილ მის დამამცირებელ ბრძოლას...

ვინ იყვნენ ისინი, ეს ფანატიკოსები? რამდენი იყვნენ? ექვსი, რვა, ათი?..მათი გვამები დამახინჯებულია, ნაკუწნაკუწებად დაგლეჯილია. არც ერთი რუკა, არც ერთი დოკუმენტი არ დარჩენილა ბუნკერის ნანგრევებში, ყველაფერი დაიწვა, განადგურდა ცეცხლითა და აფეთქებით.

არა, ყველაფერი არ განადგურებულა. რაღაც ლითონის ყუთი იპოვეს, რომელსაც სახურავი გვერდზე მიდუღებოდა და ყუთი რომ გაეღოთ, საჭირო გახდა იგი ავტოგენით ამოეწვათ.

ყუთში აღმოჩნდა რამდენიმე ფურცელი ქაღალდი და ორი წითელი წიგნაკი. ისინი დაბრეცილან, ნახევრად ჩაფერფლილან. ზაიდინგერმა გაჭირვებით გაარჩია ფურცლებზე დაწერილი სიტყვათა ნაწყვეტები. ეს იყო ჯარისკაცთა — ბუნკერის დამცველთა გვარები. ფურცლები გრაფებად იყო დაყოფილი: გვარები, დაბადების წელი, პარტიულობა, საიდან მოვიდა. სტანდარტული რუსული

გვარები: ივანოვი, ვასილიევი, კოროსტილევი... შვიდიდან ორი გვარის პირდაპირ იყო აღნიშვნები: «Член ВКП (б), Канд. ВКП (б)», სხვების პირდაპირ — «Б/п».

და ეს ნახევრად ჩაფერფლილი მუყაოსა და ქაღალდის ნაგლეჯები ოდესღაც პარტბილეთები იყო. მათ შორის — მოყვითალო ფურცელი, გაზეთის ნაფლეთი. მასზე წარწერა „სიკვდილი გერმანელ“...

ეს იყო ყველაფერი, რაც დარჩა ბუნკერისაგან, მასში მყოფი ადამიანებისაგან. რამ აიძულა ისინი, სიცოცხლის შენარჩუნების ცდას სიკვდილი რომ არჩიეს? შიშმა კომისრების წინაშე? მაგრამ, დოკუმენტების მიხედვით, აქ იყო მხოლოდ ორი კომისარი თუ კომუნისტი. დანარჩენებს ხომ შეეძლოთ მოეკლათ ისინი და ამით დაეხსნათ თავი: მათ ხომ მოსსმინეს დანვიცის მიმართვა.

მაგრამ ყველამ სიკვდილი არჩია. თვითმკვლელობა. და მათი წინააღმდეგობა ორ ათეულ ჯარისკაცად და ერთი ტანკის დაზიანებად დაუჯდა გერმანიას. ამან რაზმის წინსვლა რამდენიმე საათით შეაფერხა.

რისთვის განაგრძობდნენ ეს ადამიანები უაზრო წინააღმდეგობას? განა ცხადი არ იყო მათთვის, რომ დამარცხდებოდნენ?..

დიახ, ფიურერი მართალია. მხოლოდ სიკვდილი. მხოლოდ მოსპობა უნდა იყოს საბჭოთა ჯარისკაცების ხვედრი. არა მარტო კომისრებისა. არა. ყველასი. მხოლოდ მკვდარი რუსია კარგი. მხოლოდ მკვდარი.

დანვიცმა სხვა შემთხვევებიც გაიხსენა. ბრძოლის დროს ისინი ერთმანეთში ითქვიფებოდნენ, მაგრამ ახლა, დღიურში ჩასაწერად მათზე დაფიქრების წუთებში, ერთიმეორის მიყოლებით ამოტივტივდებოდნენ ხოლმე დანვიცის მეხსიერებაში. ვიღაც ჯარისკაცმა, რომელმაც ვერ მოასწრო ხიდის დანაღმვის დამთავრება გერმანელთა ტანკების გამალებით მიახლოებისას.... ხიდთან ერთად საკუთარი თავიც აიფეთქა. ასაფეთქებელი ნივთიერებით დაფლეთილი მისი ტანის ნაგლეჯების მონახვაც შეუძლებელი გახდა... მიღებული ცნობების მიხედვით, ვიღაც ფანატიკოსმა გლეხმა წყალი მოწამლა, ჩაყარა ჭაში ქიმიკატები იმ მომენტში, როცა წყურვილით გულშეღონებული დანვიცის ჯარისკაცები ჭუჭყიან პატარა სოფელში შევიდნენ.... დანვიცმა ბრძანა, იქვე, ჭის ოწინარზე ჩამოეხრჩოთ ის გლეხი.

დიახ, რომ დაუფიქრდე, მსგავსი შემთხვევა ბევრი იყო.

ტყვეობას რუსები სიკვდილს არჩევდნენ. თუმცა განა მას, დანვიცს, აქვს შესაძლებლობა ეჯახიროს ტყვეებს? მან უნდა გასწიოს წინ და მხოლოდ წინ!..

როდესაც დანვიცს მოახსენეს, რომ ერთი, წარსულში შდიდარი გლეხის — ბოლშევიკთა ტერმინოლოგიით ყოფილი „კულაკის“ — თქმით აქ, კლეპიკში ჩეკისტი იმალებაო, ესე იგი ნამდვილი კომისარი, და კიდევ ვილაც ლენინგრადელი ბიჭი, დანვიცმა ბრძანა, ორივე მოენახათ და მოეყვანათ.

ცუდად როდი გამოიყენა რუსის მიერ რუსის დაბეზღება... კომისრის გვამი ეს-ეს არის გაიტანეს ოთახიდან. სისხლის ლაქები იატაკზე ჯერ კიდევ არ შემშრალა.

ეს ბიჭი კი — ლაჩარია, რომელსაც ჯერ ხელში იარაღი არ სჭერია, მაგრამ თავის ტყავის შესანარჩუნებლად მზად იყო დაეხვრიტა კომისარი, შეწყნარებას იმსახურებს. მართალია კანკალებდა, დააცდინა. მისმა ტყვიამ ნახევარი მეტრით თავს ზემოთ გადაუარა კომისარს, ნატყვიარი კედელს ახლაც აჩნია...

დანვიცმა ინება ბიჭის შეწყალება. ბრძანა გაეშვათ იგი ტყეში, სადაც შესაძლებელია, დაეხეტებიან მარტოხელა რუსი ჯარისკაცები.

რასაკვირველია, მან ეს ბიჭი შეიწყალა არა გულკეთილობით — ასეთი უაზრო სიტყვა ჭეშმარიტ გერმანელს არ სჭირდებოდა. ეს ტევტონური ეშმაკობაა. ჩავიდეს ეს ცინგლიანი ლენინგრადში. უამბოს ყველა შემხვედრს გერმანელთა არმიის ძლიერებაზე. ერთი კვირის შემდეგ ხომ არმია ლენინგრადში შევა. ეს დოყლაპიაც, როგორც სხვა მისთანები, იქ გამოგვადგება, როცა პასუხს მოვთხოვთ ლენინგრადის კომისრებს...

ამბობენ, რომ მასთან ერთად ვილაც გოგო იყოო, მაგრამ იგი სადღაც გამქრალა. რა თქმა უნდა, შორს ვერ წავა.

ჰო, ახლა იგი სამი-ოთხი საათი თავისუფალია, სანამ ბენზინს მოუტანენ...

და აი იგი ზის თავის დროებით შტაბში, საკოლმეურნეო გამგეობის ყოფილ კანტორაში, და მთელი ამ დღეების განმავლობაში პირველად მიეცა საშუალება ჩაუფიქრდეს შეიგნოს ყველაფერი, რაც მოხდა...

... დიახ, ფიურერი მართალია, მართალი, როგორც ყოველთვის. დარტყმა, რომელიც მათ რუსებს მიაყენეს, უეცარი და თავზარდამცემი იყო. ეს ბელადის ღირსების შე-

საფერი გენიალური ჩანაფიქრია — დავცხოთ რუსეთს სწორედ ახლა, სანამ მას ჯერ კიდევ ვერ მოუსწრია თავისი ახალი, დასავლეთის საზღვრის გამაგრება, არმიის ახლად შეიარაღება.

და მოხუცი ფონ ლეებიც თავისი მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა. მისი გეგმა — ბალტიისპირეთში თავმოყრილ ჯარებზე დარტყმა და ერთდროულადვე ამ ჯარების შემოვლა სამხრეთ-აღმოსავლეთიდან — გერმანელი სარდლის ღირსია. შედეგად შევძელით ერთბაშად ოპერატიული სივრცის მოპოვება და პირდაპირი მიმართულებით მოკლე მანძილზე აღმოვჩნდით მთავარ მიზანთან — ლენინგრადთან. დიახ, ყველაფერი კარგად მიდის...

და მაინც იყო ისეთი რამ, რაც დანვიცის ბუნდოვან, ანგარიშმიუცემელ მოუსვენრობას იწვევდა. მაგრამ საჭიროა ამაზე წერა თუნდაც დღიურში?..

მას თითქოს არ ჰქონდა შფოთის მიზეზი. იგი ფონ ლეებისა და ჰეპნერის მიერ დასახულ ამოცანას ასრულებდა. მისი რაზმი მიისწრაფოდა წინ როგორც გრიგალი, როგორც ქარბორბალა... ეს იყო საუკეთესო დღეები დანვიცის ცხოვრებაში. იგი შუაში მიჰყვებოდა შემტევ რაზმს შტაბის მანქანით. დროდადრო გადაჯდებოდა ხოლმე მეთაურისთვის განკუთვნილ ტანკში, როცა რაზმი მოწინააღმდეგეს შეხვდებოდა, და დანვიცს შეეძლო დარწმუნებულიყო ფიურერის ოფიცრებისა და ჯარისკაცების საბრძოლო თვისებებში. უნდოდა, რომ ამ წუთებში იგი ენახა თვით ფიურერს! ენახა იმ მომენტში როცა იგი, დანვიცი, ტანკის საძერენიდან ნახევრად თავამოყოფილი, გაუპარსავი, დამტვერილი თმით, ბენზინისა და თოფის წამლის ნამწვით გაჟღენთილი მიქროდა მტრის მიწაზე.

სადაც კი გაივლიდნენ, ისინი სრესდნენ და ცეცხლს უკიდებდნენ, ტყვიას უშენდნენ ყველაფერს: სოფლებს, განმარტოებით მდგარ ტყის სადარაჯო ჯიხურებს, ადამიანებს, რომლებიც გარბოდნენ მათი მოახლოვებისას... ისინი მიბრჯნით ესროდნენ ქვემეხებსა და ტყვიამფრქვევებს, პირდაპირ მანქანებიდან უშენდნენ ნაღმტყორცნთა ცეცხლს, ტანკთა მუხლუხოებით ჭყლეტდნენ ლტოლვილებს, რომლებიც ხელს უშლიდნენ სწრაფად წინსვლაში. ფიურერის სიტყვებმა, რომ რუსეთი — ესაა სახელმწიფო, რომელიც არ სჭირდება მსოფლიოს და არა მხოლოდ დაპყრობილი უნდა იქნეს, არამედ მოისპოს, წაიშალოს გეოგრაფიულ რუკაზე, დანვიცისათვის კონკრეტული, ხილული

და ხელშესახები შინაარსი მიიღო. მან ძლევამოსილების, ყოვლისშემძლეობის უდიდესი სიტკბოება იგემა.

მისი ოცნებები ახდა. მას წილად ხვდა ბედნიერება — ყოფილიყო ფიურერის ერთ-ერთი პირველი ჯარისკაცი, მისი ჰეროლდი, რომელიც ადამიანებს დიადი გერმანიის ბელადის ნებას ამცნობს. მოსწონდა მას ასეთი ცხოვრება, როგორც საკუთარ სახლში, ისე გრძნობდა იგი თავს თავის ჭუჭყმოდებულ, გაუპარსავ, დაღლილ, ტლანქ, ქარისაგან გარუჯულ, და სროლისაგან გავარვარებულ ავტომატიან ჯარისკაცთა შორის. მას აცხარებდა ბენზინისა და გადამეტხურებული ზეთის სუნი, მოტორების გუგუნი. სიამოვნებას ჰგვრიდა მბრძანებლობა უცხო მიწაზე, მის მცხოვრებლებზე, რომელთა სიკვდილ-სიცოცხლე მხოლოდ მასზეა დამოკიდებული...

და მაინც...

და მაინც გრძნობა ბუნდოვანი, აუხსნელი, შფოთისა კი არა, უფრო გაოცებისა, გაუგებრობისა, — რად იბრძოდნენ ასე გაშმაგებით მოწინააღმდეგეები, ეს უკვე განწირული ადამიანები, — ართულებდა დანეიცის აზრთა ნათელ თანმიმდევრულ მიმდინარეობას.

იგი წერდა, მაგრამ დროგამოშვებით კალამს განზე გადადებდა ხოლმე.

ესეც უნდა მოიხსენიოს თუ არა? რა მოხდება, მისი დღიური რომ ვინმეს ჩაუვარდეს ხელში?

უფლება აქვს თუ არა გადაიტანოს რუსების ფანატიკური წინააღმდეგობის ეპიზოდები, რაც არაფერს არ განსაზღვრავს გერმანიის დიდ ომში, თუ არმია მთლიანად ასე ძლევამოსილად მიიწევს წინ? გერმანიის რადიოს ყველა ცნობა მხოლოდ ადასტურებს ფიურერის ვარაუდებს...

ჯერ კიდევ რამდენიმე დღის წინათ რადიომ გადასცა ოტო დიტრიხის — გერმანიის მთავრობის ბეჭდვითი სიტყვის უფროსის პრესკონფერენცია. ფიურერის სახელით მან აუწყა მთელ მსოფლიოს, რომ რუსთა არმია განადგურებულია. „სამხედრო თვალსაზრისით, — თქვა დიტრიხმა, — საბჭოთა კავშირს ბოლო მოეღო".

...მაიორმა არნიმ დანეიცმა იცოდა, რომ ჯერ კიდევ პოლონეთთან, საფრანგეთთან და ბელგიასთან ლაშქრობებში ვერმახტის ბევრი ოფიცერი და გენერალი, სურვილით ანთებული, რათა დაეტოვებინა ისტორიისათვის თვითმხილველი დამოწმება დიადი გერმანიის ისტორიულ გამარჯვე-

ბებზე, დღიურის წერას შეუდგა. მასაც ცოტა ხომ არ აქვს დასაწერი...

იმ ხანებში არ იცოდა, რომ ყოველდღე წერს დღიურს გერმანიის სახმელეთო ჯარების შტაბის უფროსიც — გენერალ-პოლკოვნიკი ჰალდერი.

ივლისის პირველ დღეებში იგი წერდა: „გადაჭარბებული არ იქნება ითქვას, რომ კამპანია რუსეთის წინააღმდეგ მოგებულ იქნა 14 დღის განმავლობაში"... მაგრამ ცოტა მოგვიანებით ჰალდერმა ახალი ჩანაწერები შეიტანა: „ფრონტიდან მიღებული ცნობები ადასტურებენ, რომ რუსები ყველგან უკანასკნელ კაცამდე იბრძვიან... „ჩრდილოეთის" არმიების ჯგუფის ფრონტზე გენერალ ჰეპნერის ტანკები ნელა მიიწევდნენ წინ..."

ეს იყო ლაკონიური საომარ ჩანაწერი. მაგრამ ჰალდერს რომ გაებედა უფრო დაწვრილებით შეხებოდა გერმანელთა გამაფრთხილებელ აზრს, რომელსაც ეს ჩანაწერები შეიცავდა, ბევრ რამეზე მოუხდებოდა წერა...

და, უწინარეს ყოვლისა, იმაზე, რომ მიუხედავად ფაშისტური ჯარების წინსვლისა მთელ ფრონტზე, ამ წინსვლის ტემპები საგრძნობლად შენელდა.

და შენელდა ტემპი არა იმიტომ, რომ გერმანელთა ჯარებს აკლდათ ტანკები, ავტომანქანები და თვითმფრინავები. არა იმიტომ, რომ წვიმებისაგან ტლაპოდ ქცეული გზები უარესი აღმოჩნდა, ვიდრე სარდლობა ვარაუდობდა. არა იმიტომ, რომ დროზე საწვავს ვერ ღებულობდნენ. და არა იმიტომ, რომ ტაქტიკურ გაანგარიშებებში რაღაც კერძო ხასიათის შეცდომები გაპარულიყო.

ეს ტემპები შენელდა იმიტომ, რომ საბჭოთა ჯარები, რომლებმაც ომის პირველ საათებში თითქოს ომის გამანადგურებელი დარტყმა განიცადეს, დღითიდღე, როგორც ჩანდა, სულ ახალ-ახალ ძალებს იკრებდნენ.

ყველაფერი, რითაც გერმანელები აპირებდნენ გაესრისათ ეს ჯარები და მათ უკან მდგომი ხალხი — ჟურვებით, ფუგასური ბომბებით, სახრჩობელებით, ტანკების, თვითმფრინავებისა და ავტომატების მხრივ უპირატესობით — არა თუ ვერ სრესდა მათ, არამედ მტრისადმი წინააღმდეგობის გაწევისა და სიძულვილის გრძნობას უძლიერებდა. და როცა კვდებოდა საბჭოთა მებრძოლი ამ სიძულვილს მეორე მებრძოლს გადასცემდა, და იგი, ცოცხალი, ორჯერ უფრო ძლიერი ხდებოდა.

აძლევდა თუ არა ჰალდერი თავის თავს ანგარიშს ყო-

ველივე ამაში ივლისის იმ დღეებში?... ესმოდა თუ არა, რომ ბის მიერ ჩაწერილი სიტყვები: „რუსები ყველგან უკანასკნელ კაცამდე იბრძვიან"... — შეიცავდა გერმანიის არმიისათვის მრისხანე აზრს, რომლის მთლიანად შეცნობა მოუხდება მას არც ისე შორეულ მომავალში? საეჭვოა. ამის დრო ჯერ კიდევ არ დამდგარიყო. ჯერჯერობით გერმანიის სახმელეთო ჯარების შტაბის უფროსი გერმანული მეთოდურობით, ბუღალტრული სიზუსტით მხოლოდ ადასტურებდა ფაქტს, რომელიც საერთოდ აღმოსავლეთის ფრონტიდან, კერძოდ კი არმიების ჯგუფის „ჩრდილოეთის" სარდლის შტაბიდან მიღებული ცნობებიდან გამომდინარეობდა. იმ დღეებში, ცხადია, ჰალდერი ამ ცნობებს რამდენადმე მაინც სერიოზულ, გადამწყვეტ მნიშვნელობას არ ანიჭებდა.

ბედმა არგუნა მას გადაეკითხა თავისი ჩანაწერი ცოტა მოგვიანებით. გადაეკითხა და ბოლომდე გაეგო მისი მრისხანე მნიშვნელობა.

XVII

ვალიცკი და კოროლიოვი ერთიმეორის პირისპირ იდგნენ. კოროლიოვი კარგა ხანს ადგილიდან არ დაძრულა, შემდეგ ნელა გაიარა მკრთალად მოელვარე მუქ-ყვითელ პარკეტზე და ტყავის ღრმა სავარძელთან გაჩერდა.

— დაბრძანდით! — მბრძანებლურად უთხრა ვალიცკიმ, ხოლო როცა კოროლიოვი დაჯდა, თვითონ ისევ ისე იდგა. — ჰოდა, — განაგრძობდა იგი და ზემოდან დაჰყურებდა მჯდომარე კოროლიოვს, — მე არა მაქვს სურვილი მოვისმინო... ჰმ... დაწერილებით. თქვენი თქმით, ჩემი ვაჟი და თქვენი ქალიშვილი... ერთი წუთი! — ძან გამაფრთხილებლად ასწია ხელი, რადგან იფიქრა, კოროლიოვს სურს, შემაწყვეტინოსო. — მე ჯერ კიდევ ყველაფერი არ მითქვამს! თავს მოვალედ ვთვლი გაუწყოთ, რომ ჩემი ვაჟი ამჟამად ლენინგრადში არ იმყოფება, თორემ მერჩივნა, რომ თქვენთვის პირადად მიეცა განმარტება. კიდევ ერთხელ ვამბობ: არა მაქვს სურვილი დაწერილებით ჩავწვდე. გჯეროდეთ, დამიბრუნდება თუ არა ვაჟიშვილი, ვაუწყებ თქვენს... ვიზიტზე.

თევდორე ვასილის ძეს ეგონა, რომ ეს უფერული მოხუცი თავს დახრიდა მის მიერ წარმოთქმული დამამცირებელი სიტყვებით გულდამძიმებული, მაგრამ გაკვირვებით

შენიშნა, რომ კოროლიოვმა ოდნავ მოჭუტა თავისი ისე-დაც ნაოჭთა ქსელით გარემოცული თვალები და რაღაცნაირი ცნობისმოყვარეობით, და ამავე დროს აგდებული გაოცებით ათვალიერებდა მას, როგორც იშვიათ საკვირველებას.

ვალიცკის არ ახსოვს, რომ მას ვინმე აგრე მიშტერებოდეს. მისთვის ახალი არ იყო მტრობით, პატივისცემით თუ სიხარბით შემოხედვა, მაგრამ ეს კაცი შეჰყურებდა მას, როგორც სამხეცეში მისული დამთვალიერებელი, რომელიც გალიის გისოსთან დგას და ცხოველთა სამყაროს რომელიმე ეგზოტიკურ ეგზემპლარს ათვალიერებს. მან ვერ გაუძლო კოროლიოვის მიშტერებულ, აბუჩად ამგდებ მზერას. მიბრუნდა და მშრალად უთხრა:

— ვფიქრობ, ამით შეიძლება დამთავრებულად ჩავთვალოთ ჩვენი საუბარი.

— მე ახლავე წავალ, — მშვიდად თქვა კოროლიოვმა. — არცა მაქვს დრო ლაპარაკი გავაბა. მხოლოდ იმისთვის მოვედი, რომ მეკითხა... თქვენი შვილისაგან რაიმე ცნობა ხომ არა გაქვთ?

— ჩემი შვილი დასასვენებლად წავიდა არდადეგებზე, — კოროლიოვისთვის არ შეუხედავს, ისე უპასუხა ვალიცკიმ, — ხოლო ეჭვი არ მეპარება, რომ იგი სულ მალე დაბრუნდება, თუ მხედველობაში მივიღებთ... ექსტრაორდინარულ ამბებს.

— მაშ, თქვენ არ იცით, სად არის იგი?

— მე თქვენ გითხარით, რომ იგი დაბრუნდება ხვალ ან ზეგ! — ხმას აუწია ვალიცკიმ. — ხომ არ გგონიათ... — მას უნდოდა ეთქვა „მოწყალეო ხელმწიფევ", მაგრამ დროზე მიხვდა, რომ ეს არა მხოლოდ უაზროდ, არამედ კომიკურადაც აჟღერდებოდა, — ხომ არ გგონიათ, — გაიმეორა მან, — რომ ჩემი შვილის ადგილსამყოფელს გიმალავთ?

კოროლიოვი მოულოდნელად ადგა და მიუახლოვდა ვალიცკის.

— მომისმინეთ, — უთხრა მან მოზრდილი ადამიანის საყვედურის ტონით, რომელიც გადამეტებით ანც მოზარდს ანამუსებს, — თქვენი ანატოლი ჩემს ვერასთან ერთად გაემგზავრა ბელოკამენსკში. მე ამის შესახებ არ ვიცოდი. როგორც ვხედავ, არც თქვენ გცოდნიათ. ქალიშვილი ნათესავებთან წავიდა. ისინი ტელეფონით გამოვიძახე. მითხრეს, ვერა წავიდაო. თქვენი ანატოლი მათ ადრე უნახავთ. ახლა კი ისიც არ მოდის. ჰო-და... მე შემოგიარეთ გასაგე-

ბად, რამე ხომ არ იცით-მეთქი. ეგეთი დროა... თქვენ კი სპექტაკლს მიმართავთ, როგორც თეატრში.

მან ხელი ჩაიქნია, მიბრუნდა და კარისკენ გაემართა.

— დაიცათ! — შესძახა ვალიცკიმ, და უნებურად ხმაში ხრინწი შეეპარა. — დაიცა, — უკვე უფრო წყნარად გაუმეორა

კოროლიოვი შედგა და მხარს ზემოდან ისე გადმოხედა ვალიცკის, როგორც შარვალზე ჩაბღაუქებულ გოშიას.

— ნება მიბოძეთ რამდენიმე კითხვა მოგცეთ, — მისთვის უჩვეულო თხოვნის ტონით წარმოთქვა ვალიცკიმ, რომელიც შიშობდა, ეს კაცი ახლავე წავა და ვერ გავიგებ, ანატოლის რა დაემართაო.

მაგრამ როგორც კი კოროლიოვი უკან მობრუნდა შუა კაბინეტში, ვალიცკიმ ისევ მისთვის ჩვეული ქედმაღლური ლაპარაკის მანერას მიმართა.

— მე მაინც მინდა ვიცოდე, — თქვა მან და მარჯვენა ხელის ცერი ჟილეტის ჯიბეში ჩაიყო, — სახელდობრ ვისთან მაქვს პატივი...

გამომწვევად შეხედა მან კოროლიოვს.

— რა გნებავთ თქვენ? სად ვმუშაობ, თუ? — შეუბრუნა მან კითხვა და გამხდარი მხრები აიჩეჩა. — აჰა, ინებეთ. — კოროლიოვმა ეს სიტყვა „ინებეთ" ძლივს შეკავებული დაცინვის ინტონაციით წარმოთქვა. — ოსტატად ვმუშაობ კიროვის ქარხანაში, ასეთი ქარხანა თუ გაგიგონიათ. თქვენთვის რომ უფრო გასაგები იყოს, ყოფილ პუტილოვის ქარხანაში, — დასძინა მან უკვე აშკარა დაცინვით.

ქვლავ შეათვალიერა ვალიცკი თავიდან ფეხებამდე, მერე მხრები აიჩეჩა და უთხრა:

— ბოდიში, ქარხანაში უნდა დავბრუნდე. დღეიდან ყაზარმულზე გადავედით.

— ყაზარმული? როგორ უნდა გავიგოთ ეს ქარხნის მიმართ? — მოულოდნელად ჰკითხა ვალიცკიმ. მას ხომ ყოველთვის ჰქონდა ქვეცნობიერი სურვილი, გაეგო რაიმე დაწვრილებითი ამბები, თუ რა ხდებოდა ქვეყანაზე, რომლისგანაც იგი არსებითად მოწყვეტილი იყო.

კოროლიოვმა მხრები აიჩეჩა:

— რა უნდა მაგის გაგებას? კიდევაც ვცხოვრობთ და კიდევაც ვმუშაობთ ქარხანაში.

— მაგრამ... რა მიზნით? — წამოცდა ვალიცკის. მაგ-

რამ იმ წამში მიხვდა, რომ მისი კითხვა სულელურად ჟღერდა, მაგრამ შესწორების შეტანა უკვე აღარ შეეძლო, რადგან კოროლიოვმა მაშინვე ცივად უპასუხა:

— იმ მიზნით, რომ გერმანელები დავამარცხოთ.

იგი კარისკენ წავიდა.

— დაიცათ! — კვლავ და ამჯერად უკვე აშკარად დაბნეულად შესძახა ვალიცკიმ. — თქვენ... თქვენ მაინც არაფერი არ მითხარით... ანატოლის შესახებ!

— რაც ვიცოდი, გითხარით, — მშრალად უპასუხა კოროლიოვმა. — მეგონა, რომ თქვენ ჩემზე მეტი გეცოდინებოდათ.

— არა, არა, ეგრე არ შეიძლება, — აჩქარებით ამბობდა ვალიცკი, თან კოროლიოვის გვერდით მიაბიჯებდა, ზოგჯერ წინ გაუსწრებდა კიდეც და სახეში შეჰყურებდა. — გთხოვთ დაბრძანდეთ... მე უნდა გავარკვიო... ახლავე ვეტყვი, მოგართვან ყავა ან ჩაი, რომელიც გირჩევნიათ... მაშა! ნასტია! — გასძახა და მისი ხმა ისევ ისე წივანა ფალცეტით აჟღერდა.

— არა, ბოდიშს ვიხდი, არა მცალია, — ისევე მშრალად უთხრა კოროლიოვმა, — ყავა თქვენ თვითონ მიირთვით. მე კი უნდა ვიმუშაო...

და იგი გავიდა კაბინეტიდან. ერთ წუთის შემდეგ საპარადო კარის ჯახუნი მოისმა.

ვალიცკი მარტოდ დარჩა. მას რცხვენოდა. ერთი წამით წარმოიდგინა, წელან რა თავის დამცირებით ეხვეწებოდა კოროლიოვს დარჩენილიყო.

„სირცხვილია, სირცხვილი! — ეუბნებოდა თავის თავს თეოდორე ვასილის ძე. — ყველაფერი ისეა, როგორც ცუდ ოდეევილში... ბოლომდე არ მომისმენია და უმალ რა არ წარმოვიდგინე... ცხადია, ანატოლი რაღაც ინტრიგაში გაება, მაგრამ ეგ კოროლიოვი, ეტყობა, აქ არაფერ შუაშია. და მოვიდა არა იმისთვის, რომ... ახ, სირცხვილი, დიდი სირცხვილი!“

მაგრამ თეოდორე ვასილის ძე ვალიცკის თავისი ქცევის უფრო ობიექტურად შეფასების უნარი რომ ჰქონოდა, მიხვდებოდა, სირცხვილის გრძნობა, რომელიც აწუხებდა, წარმოიშვა არა მხოლოდ მისი უტაქტობისაგან. ეს უფრო სხვა რამით იყო გამოწვეული. თეოდორე ვასილის ძეს ამცირებდა ის, რომ ასეთ დროს, როცა ყოველი ადამიანი რაიმე მნიშვნელოვან საქმიანობაშია ჩაბმული, იგი, ვალიცკი, არავის აღარ სჭირდება, ყველას გადააავიწყდა. და ერ-

თადერთი საბაბი, რომლის გამო მას ვიღაცამ მიმართა, მისი ვაჟიშვილის სატრფიალო ინტრიგა აღმოჩნდა.

სირცხვილისა და დამცირების გრძნობას ამძაფრებდა იმის შეგნება, რომ ეს მუშა — პუტილოვის ქარხნის ოსტატი უფრო თავდაჭერით და ღირსეულად იქცეოდა, ვიდრე იგი. ყველაფრით ეტყობოდა, კოროლიოვს მხოლოდ ერთი რამ აინტერესებდა: სად იმყოფებოდა მისი ქალიშვილი. ვალიცკიმ კი, იფიქრა...

— სირცხვილია! — თქვა ხმამაღლა თეოდორე ვასილის ძემ და იმ წამსვე ცოლის ხმა მოესმა:

— ფედია, ვინ იყო ის კაცი?

მარია ანტონის ასული კაბინეტის ზღურბლზე იდგა. მიუხედავად სიცხისა, დიდ ორენბურგულ შალში იფუთნებოდა და რაც იყო, იმაზე უფრო პატარა ჩანდა.

— შენი საქმე არ არის! — უპასუხა ვალიცკიმ.

— არა, ჩემი საქმეა! — მისთვის უჩვეულო დაჟინებით შეეპასუხა მარია ანტონის ასული. — მან რაღაც თქვა ტოლიაზე, მე გავიგონე!

— ყურს გვიგდებდი?! — გაცხარებით შესძახა ვალიცკიმ. — ჰო, თქვა! მოვიდა ეცნობებინა, რომ შენი შვილი გაება რაღაც... რომანულ ისტორიაში. ღმერთმა უწყის, ვის გადაეკიდა! რომ იგი..

— არ გაბედო აგრე ლაპარაკი, არ გაბედო! — მოულოდნელი ხმის აწევით შეაწყვეტინა მარია ანტონის ასულმა. — მას ხომ სიკვდილთან შებრძოლება მოელის, შენ კი...

დედას თვალები ცრემლებით აევსო. იგი უხმოდ ტიროდა: მის ქმარს ხომ ეჯავრებოდა მწუხარებისა თუ სიხარულის მძაფრად გამოხატვა. მარია ახლა აფეთქებას ელოდა, მაგრამ მისდა გასაკვირად თეოდორე ვასილის ძე ხმას არ იღებდა.

იგი შუაკაბინეტში იდგა გრძლად ჩამოკიდებულ ბრინჯაოს ჭაღის ქვეშ, რომელსაც თითქმის წვდებოდა ჭაღარა თავით, იდგა გაუნძრევლად გაშეშებული.

მოულოდნელად — თითქოს მისდა შეუცნობად, თეოდორე ვასილის ძე ცოლთან მივიდა და ვიწრო მხრებზე ხელი დაადო.

ქმარმა იგრძნო, როგორ შეაკრთო იგი ამ უჩვეულო შეხებით და მრავალი განვლილი წლის განმავლობაში პირველად შეეცოდა ცოლი.

— ტოლიას არაფერი არ ემუქრება, მაშა, — უთხრა მან,

— მას გაგრძელებული აქვს ვადა ინსტიტუტის დამთავრებამდე.

— არა, ფედია, არა, — უიმედოდ თქვა მან. — ეს ხომ ომია!

— სისულელეს ნუ ამბობ! — ისევ ჩვეულ ტონზე გადავიდა თეოდორე ვასილის ძე და შეაწყვეტინა მას. — ეს ომი რამდენიმე დღეში დამთავრდება. მათ არ დასჭირდებათ ოცდასამი წლის გაუწვრთნელი ბიჭუნა, რომელსაც არასოდეს შაშხანა არ სჭერია ხელში.

— არა, ფედია, არა, — ისევ იმავე უიმედო დაჟინებით გაიმეორა მარია ანტონის ასულმა. — შენ თვითონ არა გჯერა, რასაც ამბობ.

— შეწყვიტე! — შეჰყვირა ვალიცკიმ და მაშინვე მიბრუნდა, რადგანაც თავისი უკმეხობისა შერცხვა.

— კარგი, გავჩუმდები, — მორჩილად თქვა მარია ანტონის ასულმა. — მხოლოდ ერთი რამ მითხარი: იმ კაცმა იცის, სად არის ტოლენკა?

— იმან არაფერი არ იცის. მას ჰგონია, რომ ანატოლი მის ქალიშვილთან ერთად გაემგზავრა. მოვიდა გასაგებად, ხომ არ დაბრუნებულაო.

— ეს როგორ...

— არ ვიცი! — აშკარა სასოწარკვეთილების კილოთი შესძახა თეოდორე ვასილის ძემ. — შეგიძლია გაიგო. მე არაფერი არ ვიცი! ახლა კი, გეთაყვა, თავი დამანებე .

და იგი არც შემობრუნებულა, ისე ნელ-ნელა წავიდა საწერი მაგიდისაკენ.

გავიდა კიდევ ორი დღე. არავინ არ მოსულა ვალიცკისთან, არც ტელეფონით არავის არ დაურეკავს. იმ საღამოს თეოდორე ვასილის ძე გაუნძრევლად იჯდა თავის კაბინეტში სავარძლის ზურგზე გადაწოლილი. ხელები, ფეხები, თავი უცბად უჩვეულოდ დაუმძიმდნენ. „რა უნდა ვქნა?“ — დაუსვა თავს კითხვა. მაგრამ პასუხს ვერ პოულობდა. ნელ-ნელა მოავლო თვალი თავისი კაბინეტის კედლებს, მძიმე მუქმწვანე ფარდებს, მომინულ წიგნის კარადებს, მოვარაყებულ ძველმოდური ჩარჩოებში ჩასმულ სურათებს — ყველაფერს, რაც ყოველთვის იწვევდა მასში სიმშვიდეს, გულდაჯერებულობის, საკუთარი მნიშვნელობის შეგნების შეგრძნებას, რითაც იგი განცალკევებული იყო იმ ადამიანთა ფუჭი, მყვირალა, უვიცი, უსამართლო სამყაროსაგან, რომელთაც პატივს არ სცემდა.

მაგრამ ამჯერად სასიამოვნო გრძნობა აღარ ეკარებო-

და. თევდორე ვასილის ძემ უცებ პირველად შეამჩნია, რომ ფარდებს მტვერი დასდებოდა, რომ სურათების ჩარჩოებს ბევრ ადგილას ვარაყი მოსცლოდა, ბრინჯაოს ჭაღის მქრქალ პლაფონებს მინები აკლდა.

მან თავი ჩაღუნა, არ სურდა მათი ცქერა, და კვლავ დაუსვა თავს კითხვა: „რა უნდა ვქნა?" უეცრივ მის ცნობიერებაში გაისმა პასუხი: „არაფერი". „რასაკვირველია, არაფერი! ვის უნდიხარ შენ? ვის სჭირდები?"

ვალიცკი იდაყვებით დაეყრდნო მაგიდას, ხელისგულები მჭიდროდ მიიჭირა ყურებზე, ცდილობდა რა ჩაეხშო ხმა, რომელიც თითქოს საიდანღაც ჩაესმოდა. ვინმეს რომ შესძლებოდა ენახა იგი ამ მომენტში! არა მარტო ენახა, არამედ ჩაწვდომოდა ფიქრებს, გრძნობებს ამ თითქოსდა ცივი, ეგოისტი ადამიანისა, რომელიც იჯდა თავის ფართო, ძველმოდურ, მოჩუქურთმებულ ინკრუსტაციებით შემკულ შავი ხის მაგიდასთან და ხელები თავზე შემოეხვია.

იგი სასოწარკვეთილებისა და დამცირების წუთებს განიცდიდა. ჯერ კიდევ სულ ახლახან დარწმუნებული იყო, რომ ქვეყნად არ არის და არ შეიძლება არსებობდეს რაიმე, რასაც ძალუძს გამოიყვანოს იგი წონასწორობიდან, დაურღვიოს აზრთა ჩვეული მსვლელობა, შეფასებათა სისტემა, რომლითაც უდგება ადამიანებს, ამბებსა და საგნებს, ახლა კი თავს დათრგუნვილად, მოტეხილად გრძნობდა, თავისი უსარგებლობის, ზედმეტობის შეგნება აწუხებდა.

უცებ მიხვდა, რომ დღესა და გუშინ როდი გამოერია თავისი სურვილით გარემომცველ სამყაროს, ადამიანებს, ყველაფერს, რითაც ისინი ცოცხლობდნენ.

ამ წუთებში მას სძულდა თავისი თავი, წლების განმავლობაში დარწმუნებულმა, რომ იგი მის ირგვლივ მყოფთათვის შურისა და ფარული, მაგრამ მაინც პატივისცემის ობიექტია, უცბად შეიგრძნო, რომ ასეთად მხოლოდ საკუთარ წარმოდგენაში არსებობდა. და მას მოუნდა მოენახა გამოსავალი, მოეფიქრა, გაეკეთებინა ისეთი რამ, რომ ერთბაშად გაერღვია კედელი, რომელსაც ასე გულმოდგინედ, ასე მანიაკური სიჯიუტით აშენებდა წლების მანძილზე საკუთარ თავსა და ადამიანებს შუა. შეიძლება მას მოენახა ეს გამოსავალი, გვერდით რომ ჰყოლოდა თავისი შვილი, ანატოლი. შეიძლება მისი საშუალებით მონაწილე გამხდარიყო იმ მრისხანე ამბებისა, რომლებიც შეიჭრნენ ადამიანთა ცხოვრებაში. ანატოლი ხომ ცხოვრობდა იმ

ცხოვრებით, იმ ინტერესებით, იმ საზრუნავებით, რომლებსაც იგი ყოველთვის ირონიით უყურებდა, როგორც „ამაოებათა ამაოებას“, შეუთავსებელს იმ ნამდვილ ცხოვრებასთან, როგორიც თავისთვის გამოიგონა. ანატოლი რომ გვერდით ჰყავდეს!.. ახლა შეეძლო დალაპარაკებოდა მას, მოენახა საერთო ენა. მაგრამ ანატოლი არ იყო. სადაა იგი? რატომ დეპეშას არ აგზავნის, რატომ არ ბრუნდება?! ვისღა მოველაპარაკო? ოსმინინს? მაგრამ იგი შორს არის მისგან, მიუხედავად იმისა, რომ ფიზიკურად აქ არის, ქალაქში, სადღაც გვერდით. დიახ, დიახ, იგი უკვე იქაა, „მაშ რაღა ვქნა?! — ისევ და ისევ სიმწრით ეკითხებოდა თავს თეოდორე ვასილის ძე და ისევ ის ცივი, გულგრილი ხმა უპასუხებდა: „ახლა უკვე გვიანაა“.

იგი რამდენიმე ხანს ასე იჯდა. ხმა მიწყდა და მის მაგივრად ახლა რაღაც წყვეტილი რეკვა მოისმოდა.

ამ ხმებისაგან თავის დასაღწევად თეოდორე ვასილის ძემ ყურები უფრო მაგრად დაიცო, და უცბად ვერ მიხვდა, რომ ტელეფონი რეკავდა.

მან სწრაფად სტაცა ხელი ყურმილს და იმისი შიშით, დროზე თუ არ ვუპასუხე, ვაითუ ყურმილი დამიკიდონ, ხმამაღლა ჩასძახა: „გისმენთ!“

— ამხანაგი ვალიცკია? — მოისმა მამაკაცის უცნობი ხმა.

— მე ვარ ტელეფონთან, — უპასუხა ვალიცკიმ და ყურმილი მჭიდროდ მიიკრა ყურზე.

— გელაპარაკებით საარქიტექტორო სამმართველოს მორიგე. ამხანაგი როსლიაკოვი გთხოვთ, გამოცხადდეთ მასთან ხვალ დილის ცხრა საათისათვის. გესმით ჩემი ნათქვამი?

სხვა დროს მხოლოდ ერთი სიტყვა „გამოცხადდეთ“ საკმარისი იყო, რომ ვალიცკი გაცეცხლებულიყო. ჩვეულებრივ მას „იწვევდნენ“, სთხოვდნენ: „შემოიარეთ“, თვითონ დანიშნეთ თქვენთვის მოხერხებული დრო...

მაგრამ ახლა თეოდორე ვასილის ძემ ამ სიტყვას ყური აარიდა.

— დიახ, დიახ, მესმის თქვენი ნათქვამი, — საჩქაროდ უთხრა მან და გაუმეორა: — ხვალ ცხრაზე. — მერე გაუბედავად ჰკითხა: — თქვენ არ იცით, რაზე?

— ადგილზე გეტყვიან, — უპასუხა ხმამ.

გაისმა ტკაცუნი. ყურმილი ჩამოკიდეს.

ვალიცკიმ დადო ყურმილი, მერე ამოიღო ჯიბიდან

ცხვირსახოცი და შუბლზე ოფლის წვეთები მოიწმინდა.

„რაში დავეჭირდი როსლიაკოვს?“ — გაიფიქრა ვალიცკიმ, ამჯერად არა გაღიზიანებით, არაკეთილგანწყობილებით, არამედ რაღაცნაირი გულთბილობითაც.

მაგრამ აქვე გაახსენდა, რა აგდებით შეხვდა მას დღეს დილით როსლიაკოვი.

ამ მოგონებამ მისი აზრთა მსვლელობა მაშინვე ჩააყენა ჩვეულ კალაპოტში. ხოლო ის ფაქტი, რომ ასეთი უაღრესად სამოქალაქო პირი, რომელსაც არავითარი სამხედრო ცოდნა არ გააჩნია, არ დაივიწყეს ასეთ დღეებში, ნიშნავდა, რომ იგი შეუნაცვლებელია, რომ არ შეიძლება მას გვერდი აუარონ არა მარტო მშვიდობიანობისას, არამედ ომიანობის დროსაც!

მაშასადამე, მთელ მის მწარე ფიქრებს არავითარი საფუძველი არ ჰქონდა? მაშასადამე, იგი უბრალოდ გატეხა წუთიერმა სისუსტემ, თავისი თავის შეუფასებლობა გამოიჩინა?

იმის შეგნებამ, რომ მან ამჯერადაც გაიმარჯვა, თეოდორე ვასილის ძეს სიამაყის გრძნობა მოჰგვარა. იგი წამოდგა, წელში გასწორდა, რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა ოთახში, კაბინეტის ღია კარიდან გასძახა, რომ ყავა გაემზადებინათ, და იმწამსვე საპარადო კართან ზარის ხმა მოესმა. ერთი წუთის შემდეგ კაბინეტში შემოირბინა აღელვებისაგან სუნთქვაშეკრულმა მარია ანტონის ასულმა და რაღაც ქაღალდი გაუწოდა. ვალიცკიმ ხელიდან გამოსტაცა მას ნაცრისფერი ფურცელი. ეს იყო დეპეშა.

„ნუ ღელავთ ცოტა გავციცდი ჩამოვალ რამდენიმე დღის შემდეგ ანატოლი“.

ვალიცკიმ შვებით ამოისუნთქა — მის მხრებს კიდევ ერთი ტვირთი ჩამოსცილდა.

იმ დღეს, როგორც ჩვეულებრივ, იგი რვის ნახევარზე ადგა და ჩვეული გულმოდგინებით, აუჩქარებლივ ჩაიცვა.

თუ მაშინ, როდესაც თეოდორე ვასილის ძე სამმართველოში მიდიოდა, გაუელვა აზრმა, იქნებ ჯობდა „პეპელას“ ნაცვლად ჰალსტუხი და ჯიბის ოქროს საათის მაგიერ მაჯის საათი გამეკეთებინაო. დღეს განსაკუთრებული კმაყოფილებით სწორედ ისე ჩაიცვა, როგორც ყოველთვის იცვამდა.

ფიქრი იმაზე, რომ ადამიანები იძულებული არიან, ისეთად სცნონ იგი, როგორიც არის, — თუმცა არასოდეს

და არაფერში ოდნავაც არ დაუთმია მათთვის — ვალიცკის დღეს განსაკუთრებით სიამოვნებდა.

დრო ზუსტად მოზომა. შინიდან რომ გავიდა, ცხრას ოცი უკლდა და სწორედ ცხრაზე უხმაუროდ შეეიდა საარქიტექტორო სამმართველოს უფროსის მოადგილის კაბინეტში.

ვალიცკი თავის ოდნავ დაკვრით მიესალმა როსლიაკოვს — არ შეეძლო ეპატიებინა მისთვის გუშინდელი მიღება — და შეთავაზების დაუცდელად საწერ მაგიდასთან მდგარი ორი სკამიდან ერთ-ერთზე დაჯდა. შინაგანი კმაყოფილების გრძნობით შეამჩნია, რომ როსლიაკოვი, ეს ჩვეულებრივ თვითდარწმუნებული და მედიდური, ჩასუქებული, ხანდაზმული კაცი, დღეს გაუპარსავი იყო და თვალის ქუთუთოები დასივებოდა. იგი მოქანცული და დაბნეული ჩანდა.

— რით შემიძლია გემსახუროთ? — ცივად ჰკითხა ვალიცკიმ. იგი მსუბუქად დაყრდნობოდა ხის ჯოხს და თხოვნის მოსმენით წინასწარ ტკბებოდა.

როსლიაკოვმა უხმოდ აიღო მაგიდიდან რაღაც საქაღალდე და გახსნა, პლასტმასის ჭიქაში ჩაწყობილი ფანქრებიდან ერთი ამოიღო და ისე, როგორც ექიმი მიმართავს ხოლმე მრავალრიცხოვან პაციენტებიდან მორიგს, გულგრილი, უფერული ხმით ჰკითხა:

— თქვენი ოჯახი, თევდორე ვასილევიჩ, სამი კაცისაგან შედგება, ხომ ასეა?

— მაპატიეთ, რა? — გაოცებით შეუბრუნა კითხვა ვალიცკიმ, რომელსაც მოეჩვენა, რომ კითხვა ვერ გაიგო.

— მე გეკითხებით ოჯახის შემადგენლობაზე, — უფრო ხმამაღლა და ამჯერად მკაფიოდ ხაზგასმულად გაუმეორა როსლიაკოვმა. — სიაში აღნიშნული ხართ: თქვენ, თქვენი მეუღლე მარია ანტონის ასული, სამოცი წლის და ვაჟიშვილი ანატოლი, ოცდასამი წლის, სამხედრო ვალდებული, ხომ ასეა?

— თქვენ აბსოლუტურად მართალი ხართ, — ცივად და გაკვირვებით უპასუხა ვალიცკიმ, — მაგრამ მე არ მესმის, საქმე რას ეხება.

როსლიაკოვმა თავი ასწია, დახურულ კარს შეხედა, მზერა კვლავ ვალიცკიზე გადაიტანა და ხმადაბლა უთხრა:

— ევაკუაციას.

— რას? — შეუბრუნა კითხვა ვალიცკიმ.

— მე ხომ გითხარით, ევაკუაციას, — უილაჯოდ უპა-

სუხა როსლიაკოვმა. — პარტიის საოლქო კომიტეტის გადაწყვეტილებაა. რასაკვირველია, თქვენს შვილს ეს არ ეხება. უახლოეს დღეებში გაცნობებენ თქვენი ახალი საცხოვრებელი ადგილის შესახებ, აგრეთვე აქედან გამგზავრების რიცხვსა და საათს.

— მაგრამ... მაგრამ მე არსაით არ ვაპირებ გამგზავრებას! — აღშფოთებით შესძახა ვალიცკიმ, თუმცა ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ მიეცა ანგარიში თავისი თავისთვის როსლიაკოვის მიერ ახლახან ნათქვამი სიტყვების კონკრეტულობაზე, მაგრამ მათს აზრს უკვე მიხვდა.

როსლიაკოვმა საყვედურით გადააქნია თავი და მოქანცული ხმით უთხრა:

— ეხ, თევდორე ვასილევიჩ, როდის-ღა გაიგებთ, რომ თქვენ გსურთ თუ არა გსურთ, ყოველთვის როდია გადამწყვეტი! მე ხომ გითხარით: ოლქკომის ბიუროს გადაწყვეტილება არის-მეთქი. ასეთი დაწესებულება, მგონი, გაგიგონიათ?

ვალიცკი სკამიდან წამოხტა.

— თუ თქვენ, — თქვა მან მაღალი, წვრილი ხმით, როგორც ყოველთვის იცოდა ძლიერი აღელვების დროს, — მხოლოდ გადამცემი ინსტანცია ხართ, კეთილი ინებეთ, მითხარით. მისამართი... ხელისუფალთა! თქვენ კი, პატივცემულო.... ამხანაგო, უნდა მოგახსენოთ, რომ მე დავიბადე და გავიზარდე ამ ქალაქში. მასში ჩემი სახლები დგანან! და თქვენ ვერ შეძლებთ...

ბრაზისაგან, შეურაცხყოფისაგან მას სუნთქვა შეეკრა, გულამომჯდარმა ნერწყვი გადაყლაპა, უნდოდა კიდევ რაღაც ეთქვა, მაგრამ ერთი სიტყვით ვერ წარმოთქვა, ჯოხი მაგრად დააბრახუნა იატაკზე, შებრუნდა და თითქმის გაიქცა კაბინეტიდან.

...იგი სკვერით მიდიოდა ნევის პროსპექტისაკენ და ჯოხს მძიმედ მიაქნევდა.

—მზე კაშკაშებდა. ვიღაც კაცები თხრილს აკეთებდნენ. „გასაოცარი გატაცებაა ყველაფრის თხრა და გადათხრა! — გაიფიქრა თევდორე ვასილის ძემ, — დღეს მოასხამენ ასფალტს, ხვალ ამოამტვრევენ და გადათხრიან ხოლმე“.

გაოცებულმა ერთი თვალის მოკვრით შეამჩნია, რომ მთხრელები არ ჰგავდნენ ჩვეულებრივ მშენებელ მუშებს: ამათ, ახალგაზრდებს თუ ხანდაზმულებს, პიჯაკები ეცვათ, ბევრ მათგანს ფარფლიანი ქუდი ან კეპი ეხურა.

მაგრამ ვალიცკის ამ უჩვეულო დეტალებისათვის მნი-

შვნელობა არ მიუცია, მხოლოდ ავტომატურად აღიქვა ისინი და ისევ ისე აღშფოთებისაგან გონდაკარგულმა გასწია წინ.

იგი ისეთ მდგომარეობაში იყო, რომ არც კი უცდია ბოლომდე გაეაზრებინა როსლიაკოვის ნათქვამი. თევდორე ვასილის ძემ მხოლოდ ერთი რამ გაიგო: მას და მის ცოლს წინადადებას აძლევდნენ აბარგულიყვნენ ლენინგრადიდან, სადაც ისინი არავის აღარ სჭირდება.

იგი მიდიოდა და გულმოსულად აკაკუნებდა ჯოხს, მწარე შეურაცხყოფის გრძნობით დაბრმავებული, არაფერს არ უყურებდა და ვერავის ამჩნევდა, სანამ განიერმა, ახალამოთხრილმა თხრილმა გზა არ გადაუღობა.

თევდორე ვასილის ძე კინაღამ შიგ ჩავარდა, რადგან თავაწეული მიდიოდა.

— ეშმაკმა უწყის ეს რაა! თხრიან სულელურ თხრილებს ქალაქის ცენტრში! — მისდა მოულოდნელად ხმამაღლა წამოიძახა მან და ძლივს დაიცვა წონასწორობა, უკან დაიწია და შორიახლო თხრილზე გადადებული ხის ბოგა დაინახა. ხალხიც სწორედ მასზე გადადიოდა.

— ძია, ეს თხრილი კი არა, ტრანშეა! — გაისმა ბიჭუნას ხმა სადღაც თევდორე ვასილის ძის ზურგს უკან. — რომ შიგ თვითმფრინავებს დაემალო!

ვალიცკი მიბრუნდა და დაინახა თორმეტიოდე წლის ბიჭი, რომელიც აგდებითა და შემწყნარებლობით შეჰყურებდა მას.

— ეშმაკმა უწყის რაა! — უკვე წინანდელი დაჯერებულობის გარეშე წაიბურტყუნა ვალიცკიმ.

იგი ხალხის ნაკადს შეერია, ბოგა გადაიარა და ნევის პროსპექტზე გავიდა. ლიტეინის პროსპექტის კუთხეში შედგა და შეეცადა თავისი თავისათვის ანგარიში მიეცა, სახელდობრ, საით მიდიოდა.

წასვლითაც სად უნდა წასულიყო. დადგა კუთხეში და დაფიქრდა, დაბრუნდეს თუ არა უკან სამმართველოში და უთხრას იმ როსლიაკოვს — ახლა უკვე მშვიდად და მოფიქრებულად, — რომ იგი არსად არ წავა. და მოვიდა იმის გასაგებად, განზრახული ხომ არა აქვთ ქალაქიდან მისი ძალით გასახლება.

თევდორე ვასილის ძე უკან უნდა შემობრუნებულიყო, მაგრამ მაშინვე უთხრა თავის თავს: „ტყუილი ამბავია. როსლიაკოვი აღმასრულებელია, მეტი არაფერი. იგი ყოველთვის მხოლოდ აღმასრულებელი იყო. იგი პაიკია. მაგ-

რამ მე, მე არა ვარ პაიკი, რომელიც შეიძლება გადასწიო ანდა ხელის ერთი გაქნევით გადააგდო დაფიდან!...“

გადაწყვეტილება უეცრად იქნა მიღებული. რაღა თქმა უნდა, უმაღლეს უფროსობასთან უნდა მიხვიდე! იმათთან, რომელთა გადაწყვეტილება დაიმოწმა როსლიაკოვმა!.. მაგრამ შეუშვებენ, მოუსმენენ?

მაგრამ მარტო იმის ვარაუდმა, რომ ვიღაცას შეუძლია უარი თქვას მასთან, ვალიცკისთან დალაპარაკებაზე, კვლავ თევდორე ვასილის ძის ძლიერი გულისწყრომა გამოიწვია. მან ჯოხი მოიქნია, თითქოს ვინმეს ემუქრებაო, გადაჭრით გასწია გაჩერებისკენ, დაელოდა ავტობუსს, შეაღწია შიგ... და მხოლოდ კონდუქტორის ხმამ: „სმოლნი!“ — შეაწყვეტინა ფიქრები ვალიცკის.

იგი ავტობუსიდან გადმოვიდა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, კუთხეში შეუხვია და სრულიად გაოცებული შედგა. უზარმაზარ, ფართოდ გადაჭიმულ სმოლნში თეთრი ქვის შენობას, რომელიც ორ ფრთად გაშლილიყო, გიგანტური მწვანე ბადე ჰქონდა აფარებული. ამგვარი ბადეები მათზე დაწებებული ბუტაფორული ფოთლეულითა და ხეთა სილუეტებით ვალიცკის მხოლოდ თეატრში ენახა.

მაგრამ აქ ყველაფერი გაოცებდათ თავის მასშტაბებით. ბადე მიფარებული ჰქონდა ბევრ ასეულ კვადრატულ მეტრ ფართობს. ისეთ გამოცდილ არქიტექტორსა და ფერწერის ოსტატს, როგორიც ვალიცკი იყო, არ გაუჭირდებოდა წარმოედგინა, რომ ზევიდან სმოლნის უბანი ახლა უზარმაზარ ტყის ან პარკის მასივად მოჩანდა.

ერთხანს იგი უძრავად იდგა, ამ შენიღბვის მასშტაბითა და ჩანაფიქრის ეშმაკურობით გაოგნებული, მაგრამ სულ მალე მისი აქ მოსვლის მიზანი გაახსენდა და შენობისკენ გასწია.

მრავალი წელი გავიდა, რაც თევდორე ვასილის ძე აქ არ ყოფილა.

მის წარმოდგენაში სმოლნი იყო სიმბოლო იმ, ვალიცკისადმი მტრულად განწყობილი ძალებისა, რომელთა ნება-სურვილით იგი აი უკვე წლების განმავლობაში „შერისხულად“ ითვლებოდა და ასე თუ ისე საპასუხისმგებლო სამუშაოზე არ უშვებდნენ. ეს ძალები, თევდორე ვასილის ძის ტერმინოლოგიით, ნაცვალსახელით „ისინი“ აღინიშნებოდა. ზოგჯერ ამას დასძენდა სიტყვას „იქ“. „ამას უკვე „ისინი გადაწყვეტენ, „განა „იქ“ ნებას მოგვცემენ!..“ —

იტყოდა ხოლმე სარკაზმით ვალიცკი და გაურკვევლად ჩაიქნევდა ხელს.

იგი დიდ, მკრთალად განათებულ ვესტიბიულში შევიდა და დაბნეულად მიმოიხედა. მისგან ათიოდე მეტრზე დაბალი განიერი ქვის კიბის გადამტიხრავ ხის ბარიერში მხოლოდ ვიწრო გასასვლელი იყო დატოვებული. გასასვლელთან იდგა სამხედრო პირი. რომელსაც ლურჯციანი ქუდი ეხურა.

— „მაინც ვის უნდა მივმართო?" — ახლა პირველად გაიფიქრა ვალიცკიმ. ყველა იმ სახელთაგან, რომელიც კი „სმოლნის" ცნებას უკავშირდებოდა, მისთვის ერთადერთი ედანოვის სახელი იყო ცნობილი. იგი ამ კაცს არ იცნობდა, თუმცა დაუშვებლად მიაჩნდა, რომ ედანოვისათვის ვალიცკის გვარი არაფრის მთქმელი ყოფილიყო. ამიტომ გადაწყვიტა მისვლა უშუალოდ ედანოვთან.

და, გადასწია რა ოდნავ თავი და მთელი თავისი შესახედაობით უნდოდა ეჩვენებინა, რომ იგი მნიშვნელოვანი და დამოუკიდებელი პიროვნებაა, თეოდორე ვასილის ძე თამამად შეუდგა კიბეზე ასვლას.

როცა იგი ბარიერს მიუახლოვდა, სამხედრო პირმა ნაბიჯი გადმოდგა, გზა გადაუჭრა და კითხვის გამომეტყველებით შეხედა მისთვის ასე უჩვეულოდ ჩაცმულ უცნაურ კაცს, რომელსაც ხელში ჯოხი ეჭირა.

— თქვენი საშვი, — უთხრა სამხედრო პირმა.

— მე ედანოვთან მივდივად, — თავის მოუბრუნებლად უთხრა ვალიცკიმ.

— საშვი მიბოძეთ, — თავაზიანად გაუმეორა სამხედრო პირმა და მთლად შეკრა გასასვლელი.

— მე არქიტექტურის აკადემიკოსი ვალიცკი გახლავართ! — მრავალმნიშვნელოვნად წარმოთქვა თეოდორე ვასილის ძემ და ზემოდან გადმოხედა სამხედრო პირს, რომელიც მას მხრამდე ძლივს წვდებოდა.

— თქვენ გელოდებიან? — ცოტა ყოყმანის კილოთი ჰკითხა მან, მაგრამ ერთი ნაბიჯიც არ დაუხევია.

ვალიცკიმ პასუხი დაუგვიანა, იმაზე ფიქრობდა, დასაშვებია თუ არა წვრილმანი სიცრუით თავი დავიმცირო.

— არა, — ქედმაღლურად მიახალა მან, — მაგრამ მე მნიშვნელოვან, გადაუდებელ საქმეზე ვარ.

— მიმართეთ კომენდატურას, — უთხრა სამხედრო პირმა, სადღაც ქვევითკენ ანიშნა ხელით და დასძინა: — გთხოვთ გზა მისცეთ.

ვალიცკიმ ავტომატურად გადადგა განზე ნაბიჯი და გზა დაუთმო მის უკან მდგომ მეთაურებს, რომლებსაც ხელში პლანშეტები ეჭირათ, და ნელა ჩავიდა ქვევით.

საშვთა ბიუროს სარკმლიდან მას უთხრეს, ამხანაგ ედანოვს სამდივნოს ტელეფონით უნდა დაურეკოთო და მისცეს ნომერი. ტელეფონები იქვე კედელზე ეკიდა, მაგრამ იქ ადამიანები შეჯგუფულიყვნენ. ვალიცკიმ რიგს დაუცადა, ნომერი დაასახელა, მთელი თავისი წოდებები ჩამოთვალა და თქვა, ედანოვთან ლაპარაკი მინდაო.

მამაკაცის ხმამ თავაზიანად და მშვიდად უპასუხა, რომ ედანოვი ამჟამად ადგილზე არ არის და საეჭვოა იგი დღეს იქნეს სმოლნში.

— მაშ როგორ მოვიქცე? — დაბნეულად წარმოთქვა ვალიცკიმ. — მე უაღრესად საჭირო საქმე მაქვს...

ეტყობოდა, გაყვანილობის მეორე ბოლოს მდგომი კაცი პასუხზე ფიქრობდა, მოკლე პაუზის შემდეგ ვალიცკიმ გაიგონა:

— ერთ წუთს დაიცადეთ ტელეფონთან.

ყურმილში შორეული ხმა გაისმა, ვალიცკიმ ვერაფერი გაარკვია იმ აშკარად და არა მისი მისამართით წარმოთქმული სიტყვებიდან.

— მისმენთ? — კვლავ ხმამაღლა და გასარკვევად გაისმა ყურმილში.

— დიახ, დიახ! — საჩქაროდ დაუმოწმა ვალიცკიმ.

— მე შევუთანხმდი ამხანაგ ვასნეცოვს. იგი მიგიღებთ. მიბრძანდით საშვთა ბიუროს სარკმელთან. რიგს გარეშე.

„ამხანაგი ვასნეცოვი ვინღაა?“ — უნდოდა ეთქვა ვალიცკის, მაგრამ მაშინვე გაახსენდა, რომ ქალაქის ხელმძღვანელთა ჩამოთვლისას არაერთხელ შეხვედრია ეს გვარი „ლენინგრადსკაია პრავდაში“.

— დიდად გმადლობთ! — შესძახა ვალიცკიმ გაცილებით უფრო გულითადად, ვიდრე ეს მას სურდა.

მან ყურმილი ჩამოკიდა და სარკმლისკენ გაემართა, ხოლო აქაც რიგი იყო. უცებ ხმა მოესმა: „ამხანაგი ვალიცკი!“ და ერთდროულადვე გაიწიეს იმ ადამიანებმა, რომლებიც სარკმელთან იდგნენ, და თეოდორე ვასილის ძემ დაინახა სამხედროქუდიანი კაცის თავი. ვალიცკი სარკმელს მიადგა.

— თქვენი პარტბილეთი, — უთხრა და სკამიდან წამომდგარი ისევ სკამზე დაეშვა. და როცა ვალიცკი შეაცქერდა, შეამჩნია, რომ იგი სამხედრო პირი იყო, რომელსაც სალი-

ლეებზე სამი კუბი ეკეთა. იმავე დროს იგი გადაიხარა მაგიდაზე და გამოსწია ხელი სარკმლისკენ, რომელთანაც ვალიკკი იდგა.

— მაპატიეთ... მაგრამ მე არ ვირიცხები... — უნდოდა განეგრძო მას, მაგრამ სამხედრო პირმა შეაწყვეტინა:

— მაშინ პასპორტი.

— მაგრამ... მაგრამ პასპორტიც თან არა მაქვს, — კიდევ უფრო დაბნეულად წარმოთქვა ვალიკკიმ. — მე არქიტექტურის აკადემიკოსი გახლავართ! მთელი ქალაქი მიცნობს!..

სამხედრო პირმა თავი ასწია, გაოცებით შეხედა სახეზე „პეპელა“ — ჰალსტუხიან ჭაღარა კაცს. ადგა, მეორე მაგიდასთან მივიდა, ერთ-ერთი ტელეფონის ყურმილი ჩამოხსნა, მიკროფონს ხელი მიაფარა და რაღაც ილაპარაკა.

მერე იგი სარკმელთან მივიდა და ვალიკკისთვის არ შეუხედავს, ისე უთხრა:

— თქვენ ამხანაგ ვასნეცოვთან მიგაცილებენ. მოიცადეთ შესასვლელთან.

რამდენიმე წუთის შემდეგ თარჯთან მდგომ ვალიკკისთან ჩამოეშვა გიმნასტურასა და ჩექმებში გამოწყობილი ახალგაზრდა კაცი, რომელიც ცოტათი კოჭლობდა. მან რაღაც უთხრა საშვების შემმოწმებელ სამხედრო პირს, და მოულოდნელად მიმართა ვალიკკის სახელითა და მამის სახელით, თითქოს მისი დიდი ხნის ნაცნობი ყოფილიყო:

— თევდორე ვასილევიჩ, გთხოვთ წამობრძანდეთ.

...დიდი, ნათელი ოთახის ბოლოში ორ განიერ ფანჯარას შუა მოთავსებულ მაგიდასთან იჯდა გამხდარი, შავთმიანი, გადაბმულწარბებიანი კაცი, რომელსაც უსაღილეებო გიმნასტურა ეცვა.

როდესაც ვალიკკიმ ოთახის ზღურბლზე ფეხი გადადგა, ეს კაცი წამოდგა, მაგიდას გამოსცილდა და მის შესახვედრად რამდენიმე ნაბიჯი გადმოდგა.

— გამარჯობათ, თევდორე ვასილევიჩ, — უთხრა მან ვალიკკის და თავისი ძარღვიანი ხელი გაუწოდა.

ის, რომ ვასნეცოვმაც იცის მისი სახელი და მამის სახელი, ეამა მას. ერთგვარი უხერხულობის გრძნობით გაიფიქრა, რომ არ გაიგო წინასწარ, რა ჰქვია ვასნეცოვს, მაგრამ ეს გრძნობა იოლად ჩაახშო, როცა კვლავ მოიკრიბა მთელი აზრები თავისი აქ მოსვლის მიზნის ირგვლივ.

ვალიკკიმ შენიშნა, რომ ვასნეცოვი, ორჯერ უფრო ახალგაზრდა იყო მასზე, და იმ ფაქტმა, რომ მისი ბედი ასე-

თი ძუძუმწოვარას ხელშია, იგი კვლავ შეიპყრო დაძაბულობის გრძნობამ.

მაგრამ ჯერ კიდევ ერთი სიტყვაც არ ეთქვა. უხმოდ და ცივად, ღირსეული თავის დაჭერით ჩამოართვა გამოწოდებული ხელი, თუმცა არა მაშინვე, არამედ ცოტა შეყოვნების შემდეგ. ეს ჩვეულება ადრიდანვე ჰქონდა ვალიცკის შეთვისებული და ეხმარებოდა იმაში, რომ მაშინვე დამყარებულიყო დისტანცია მასა და თანამოსაუბრეს შორის. ძერე დინჯად მიმოავლო თვალი კაბინეტს, რომ მოენახა ადგილი ჯოხის მისაყუდებლად.

— გთხოვთ, — უთხრა ვასნეცოვმა და მაგიდისკენ წავიდა.

ვალიცკიმ ვერ გადაწყვიტა, სად დაეტოვებინა ჯოხი და გაჰყვა ვასნეცოვს. ტყავის სავარძელში ჩაეშვა, რომელზეც ვასნეცოვმა ანიშნა და ფეხებშუა მოქცეულ ჯოხს დაებჯინა.

ვასნეცოვი მაგიდას მიუჯდა და ვალიცკისკენ ოდნავ გადახრილმა, მშრალად, მაგრამ სავსებით თავაზიანად უთხრა:

— მითხრეს, რომ თქვენ მნიშვნელოვანი საქმე გაქვთ.

— მე არა ვარ დარწმუნებული, რომ საქმე, რომელიც მნიშვნელოვნად მიმაჩნია, თქვენც ასეთად მოგეჩვენებათ, ვინაიდან ის ჩემს მოკრძალებულ პიროვნებას ეხება, — თავდაჭერილად და ოფიციალური ხაზგასმით დაიწყო ვალიცკიმ. — მე იძულებული გავხდი მოვსულიყავი ვიზიტად თქვენთან იმასთან დაკავშირებით, რომ ჩემი... — მან გაკეთა პაუზა და შეეცადა, მოენახა უჩვეული, ახლახან გაგონილი სიტყვის რაიმე შემცვლელი, მაგრამ ვერ მონახა და იგივე გაიმეორა. — ჩემი ევაკუაციის შესახებ.

ვასნეცოვმა წარბები ოდნავ შეიკრა — ახლა მათ სრულად დაუფარეს ცხვირის ფუძე, — ხელი ოდნავ ასწია, და უთხრა:

— მაპატიეთ, ერთი წუთი.

მან გამოსწია ხელი მაგიდის კიდისაკენ, იქ მდებარე საქაღალდე გროვიდან ერთი საქაღალდე ამოიღო, გახსნა, ისევ დახურა და უთხრა:

— ეს საკითხი უკვე გადაწყვეტილია, თეოდორე ვასილევიჩ! თქვენ პირველ რიგის ჯგუფში იქნებით ევაკუირებული. თქვენ არ გჭირდებათ თავის შეწუხება.

ეს სიტყვები მან მშვიდი, მაგრამ რაღაც გულგრილი ტონით წარმოთქვა:

— ამხანაგო ვასნეცოვ, — ფიქრობს იატაკი უნდა გაბუ-
რღოსო, ისე მაგრად აყრდნობდა ჯოხს ვალიცკი, — მე არ
ვიმედოვნებ, რომ ჩემს სახელს რაიმე მნიშვნელობას ანი-
ჭებდეთ. ამიტომ გავბედავ მოგახსენოთ, მე გახლავართ
არქიტექტურის აკადემიკოსი, რომელსაც მომენიჭა ეს
წოდება ჯერ კიდევ ათას ცხრაასა თხუთმეტ წელს. ჩემი
პროექტებით თავის დროზე, — ეს ორი უკანასკნელი სიტ-
ყვა განსაკუთრებული მახვილით წარმოთქვა, — ამ ქალაქ-
ში აშენდა სახლები! მე გახლავართ — თუ ეს ჩემს სასარ-
გებლოდ მეტყველებს, — სარკაზმულად შენიშნა მან, —
საპატიო წევრი უცხოეთის რიგ საარქიტექტურო საზოგა-
დოებათა და...

იგი უცებ გაჩუმდა, როცა ვასნეცოვის სახეზე ოდნავ
შესამჩნევი მოთენთილი, შემწყნარებელი ღიმილი დაინა-
ხა. მაგრამ ეს მაშინვე გაქრა, როგორც კი ვალიცკი გაჩუ-
მდა.

— ჩვენთვის ეგ ცნობილია, — კვლავინდებურად მშვი-
დად და განრიდებულად წარმოთქვა ვასნეცოვმა, — და,
მერწმუნეთ, ჩვენ შევეცადეთ ყველაფერი ეს მხედველობა-
ში მიგვეღო. თქვენ და თქვენს მეუღლეს დაგეთმობათ კუ-
პე საერთაშორისო ვაგონში. შეგიძლიათ თან წაიღოთ
თქვენთვის საჭირო... ნივთები, მთავრობა გააკეთებს ყვე-
ლაფერს იმისათვის, რომ ახალ საცხოვრებელ ადგილზე
— რომელიც, ალბათ, იქნება სვერდლოვსკი — შეიქმნეს
თქვენთვის მაქსიმალური კეთილმოწყობილობა, — დასძი-
ნა მან უკვე მწარე ღიმილის დაუფარავად, — მასთან,
თქვენ გაემგზავრებით პირველ რიგში. სხვებზე ადრე. არ
გვგონია, უფრო მეტი მოგვთხოვოთ.

ვასნეცოვმა გადაიწია გიმნასტურის მარცხენა სახე-
ლო, დახედა საათს და თქვა ისე, რომ ვალიცკის აღარ უყუ-
რეზდა:

— ახლა კი უკაცრავად, ძალიან დაკავებული ვარ.

ვალიცკი მას უფრო და უფრო მზარდი გაოცებით უს-
მენდა. მან უკვე რამდენჯერმე დააღო პირი, რომ შეეწყვე-
ტინებინა ვასნეცოვისათვის, მაგრამ იგი ყოველთვის გამა-
ფრთხილებლად ასწევდა ხელს, როცა კი თევდორე ვასი-
ლის ძე შეეცდებოდა რამე ეთქვა. დაბოლოს ვასნეცოვი
გაჩუმდა, ვალიცკი კი შესცქეროდა მას ფართოდ გახელი-
ლი თვალებით. მძიმედ სუნთქავდა, რეტი ეესხმოდა. უნ-
დოდა დაეყვირა: „ბოდვაა!", „სისულელეა!" — მაგრამ
ამის ნაცვლად მან დაბნეულად წარმოთქვა:

— მაგრამ... მაგრამ... მე არსად მინდა გავემგზავრო! თქვენ შეგიძლიათ ეს გამიგოთ? არსად!

მაგრამ მას მოეჩვენა, რომ ვასნეცოვმა ვერ გაიგონა მისი სიტყვები ან უბრალოდ მათ არავითარი ‍ძნიშვნელობა არ მისცა. მაშინ ვალიცკი წამოხტა, მთელი თავისი უზარმაზარი ტანით გაიჭიმა, იატაკზე ჯოხი დააბრახუნა და იყვირა:

— მე არ მინდა თქვენი საერთაშორისო ვაგონები! არაფერი არ მინდა, შეგიძლიათ ეს გაიგოთ?! — მთელი ძალით მოისროლა ჯოხი და კიდევ უფრო ხმამაღლა განაგრძო: — მე მხოლოდ ერთსა გთხოვთ, რომ თავი დამანებოთ! მე არა ვარ ხარახურა, ძველმანი, რომელიც შეიძლება ნიჩბით მოხვეტო და სადღაც გაგზავნო! თქვენ არა გაქვთ უფლება! მე... მე სტალინს ვუდეპეშებ! ეგ თვითნებობაა! მე...

მას ხმა ჩაუწყდა, როცა შეამჩნია ვასნეცოვის დაჟინებული და, როგორც მას მოეჩვენა, კუშტი მზერა. მიხვდა, რომ ზედმეტის თქმა მოუვიდა. კიდევ ერთი სიტყვა — და ეს ასკეტური გამომეტყველების გულქვა ადამიანი, რომელიც უეჭველად დიდი ძალაუფლებით სარგებლობს, ბოლოსდაბოლოს უბრძანებს დატოვოს კაბინეტი. დუმილი რამდენიმე წამს გაგრძელდა. ვალიცკი გაუნძრეველად იდგა, მაგრამ მთელი ტანით გამართული კი აღარა, უცებ მოხრილიყო წელში, ბებრულად, უნებისყოფოდ ჩამოეშვა გრძელი ხელები.

— კარგი, — თქვა მან ბოლოს ყრუდ, ძლივს გასაგონად. — ალბათ, ხელს გიშლით მუშაობაში. მაპატიეთ. ყველაფერი, რაც ვთქვი... უადგილოა. მე მხოლოდ მსურდა... სიმართლე გამეგო, ახლა კი წავალ.

მან თვალით მოიძია თავისი გადაგდებული ჯოხი. ის ახლოს ეგდო, მაგრამ ვალიცკიმ იგრძნო, რომ ძალა აღარ შესწევდა დაღუნულიყო მის ასაღებად. იგი ნელა მიბრუნდა გაჭირვებით გადადგა ფეხები, რომლებსაც ვერ ხრიდა და კარისკენ წავიდა.

— მოიცათ! — ვაისმა მის ზურგს უკან დაბალი ხმა.

ვალიცკი მობრუნდა და დაინახა, რომ მაგიდასთან მჯდომი ვასნეცოვი ამდგარიყო და ჩქარი, მოქნილი სიარულით მისკენ მოდიოდა.

იგი სულ ახლოს მივიდა ვალიცკისთან, პიჯაკის სახელოზე შეეხო და მოულოდნელად რბილად უთხრა:

— ბოდიში, ჩვენ, ალბათ, ერთმანეთს ვერ გავუგეთ.

არავინ არ გაიძულებთ დატოვოთ ქალაქი. და მაინც... თქვენთვის უკეთესია გახვიდეთ.

— ვითომ რატომ? — კვლავ მიეცა ღონე და შესძახა ვალიცკიმ.

— იმიტომ, რომ ქალაქს... საშიშროება ელის. ჩვენი მატერიალური და... ინტელექტუალური ფასეულობის ლენინგრადიდან ევაკუირებით მათ მომავლისათვის დავიცავთ. გამიგეთ, ეს ემოციის საკითხი არ არის, ეს ომის დროის მოთხოვნაა.

იგი ლაპარაკობდა დაბეჯითებით, მაგრამ ნელა, პაუზების დაცვით, ყოველ სიტყვას გულდასმით წონიდა.

და სწორედ ეს მდგომარეობა, სწორედ იმის შეგრძნება, რომ ვასნეცოვი ბოლომდე არ ამბობდა რაღაც მეტად მნიშვნელოვანს, გადამწყვეტს, ვალიცკის ყველაზე მეტად აოცებდა.

ბოლოს მან წყნარად ჰკითხა:

— მდგომარეობა ამდენად სერიოზულად მიგაჩნიათ?

— დიახ, — თვალში გაუყარა თვალი ვასნეცოვმა, ცოტა ხანს გაჩუმდა და დასძინა: — თქვენ ხომ სიმართლის თქმა მთხოვეთ.

— მაგრამ რატომ-ღა... — ლამობდა დაეწყო ვალიცკის, მაგრამ დადუმდა. უეცრივ ფიქრები გუნდებად დაეხვიენენ. უნდოდა ეკითხა, რატომ ვიხევთ უკან, სადაა ჩვენი ტანკები, ზარბაზნები, თვითმფრინავები, ვინაა დამნაშავე, რომ გერმანელები ჩვენს მიწა-წყალზე აღმოჩნდნენ, რას ფიქრობენ მარშლები, გენერლები, დაბოლოს, რას აკეთებს სტალინი... მაგრამ ვერ შეძლო. არა იმიტომ, რომ ეშინოდა. უბრალოდ იგრძნო ვალიცკიმ, რომ მას არა აქვს ზნეობრივი უფლება ყველა ამ კითხვის დასმისა. იგი მიხვდა, რომ არავინ და არაფრით არ არის ვალდებული ანგარიში ჩააბაროს მას, რომ ამჟამად არ არიან და არ შეიძლება იყვნენ „შეკითხვების მიმცემნი" და „პასუხების გამკემნი" და ყველა ისინი, მათ შორის თვითონაც, ამიერიდან გაერთიანებული არიან საერთო უბედურებითა და საერთო პასუხისმგებლობით.

იმ წამში კარი გაიღო და ვიღაცამ ხმამაღლა მოახსენა ზღურბლიდან:

— სერგი ათანასეევიჩ, სამხედრო საბჭოს სხდომა ორი წუთის შემდეგ დაიწყება.

ახალგაზრდა სამხედრო პირი კარებში წელში გამარ-

თული იდგა და მოლოდინით შესცქეროდა ვასნეცოვს.

— მოვდივარ, — მოკლედ თქვა მან. აჩქარებით დაბრუნდა მაგიდასთან. აიღო სქელი წითელი საქაღალდე, გახსნა, გადააავლო თვალი რაღაც ქაღალდს, საქაღალდე ისევ დახურა, თავი ასწია და თქვა: — მე უნდა წავიდე, თევდორე ვასილევიჩ, მაპატიეთ.

მან რამდენიმე ნაბიჯი გადადგა კარისაკენ, მერე შეჩერდა, ვალიცკის მიერ დაგდებული ჯოხი აიღო, თევდორე ვასილის ძეს გაუწოდა და უთხრა:

— მე მგონია, თქვენთვის ჯობია გაემგზავროთ აქედან. იმისათვის კი რომ დარჩენა გსურდათ, მადლობა გეთქმით. ეს არის ყველაფერი, რის თქმაც შემიძლია ამჟამად.

...მისაღებ ოთახში ვალიცკის უცდიდა იგივე ყმაწვილი კაცი, რომელმაც იგი აქ მოიყვანა. მან ხელის მოძრაობით მიიწვია თევდორე ვასილის ძე, კარებში წინ გაატარა და დერეფანში გვერდით გაჰყვა.

ისინი დაეშვნენ კიბით ხის ბარიერთან. ვალიცკი უცებ შეჩერდა.

— მაპატიეთ, — მიმართა მან კაცს, რომელიც მას მიაცილებდა, — რამდენი წლისა ხართ?

— მე? — დაბნეულად გაუმეორა კითხვა, მაგრამ მაშინვე უპასუხა: — ოცდაშვიდის.

— თქვენ... არმიაში არა ხართ?

ვალიცკიმ დაინახა, რომ მისი თანამგზავრი წამოწითლდა.

— არა-ა... — უპასუხა მან. და დასძინა: — აი მე ფეხი... მაგრამ ხვალ მივდივარ აქედან. საჰაერო თავდაცვის რაზმში.

„სისულელეა, სისულელეა, უტაქტობაა! — გაიფიქრა ვალიცკიმ. — ხომ შეეამჩნიე, რომ იგი კოჭლობს".

ისინი ბარიერთან მივიდნენ. გიმნასტიორიანი ყმაწვილი კაცი და ბარიერთან მდგომი სამხედრო პირი ერთმანეთს შეაცქერდნენ. სამხედრო პირმა ხელისგული მიიდო ქუდის წინაფრაზე და თქვა:

— გთხოვთ.

ერთი წუთის შეყოვნების შემდეგ ვალიცკი მიუბრუნდა თავის გამცილებელს და უთხრა:

— მაპატიეთ. მე მოხუცი ვარ და სულელი.

და პასუხის დაუცდელად დაეშვა კიბეზე... ჯოხზე მძიმედ დაბჯენით რამდენიმე ნაბიჯი გადადგა ხეივანში, რომელსაც შესანიღბავი ბადე ჰქონდა მიფარებული.

—„აგრეა — თქვა გულში თეოდორე ვასილის ძემ, — მაშ, მოვხუცდი. მეტისმეტად მოვხუცდი. ეს აგრეა".

მან კიდევ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და უცბად გულის არეში ტკივილი იგრძნო.

— ცუდად ხომ არა ხართ? — მოესმა ხმა ზურგს უკან.

ვალიცკი მიბრუნდა, დაინახა მის უკან მომავალი ხანშესული, სამხედრო პირი და ნაწყვეტ-ნაწყვეტ მიახალა:

— არა! აბა ვინ გითხრათ?

იგი წელში გასწორდა, თავი გადასწია და ჩვეულებრივი, ზომიერი ნაბიჯებით განაგრძო გზა, ცდილობდა რა ჩაეხშო გულისტკივილი...

XVIII

...უკვე ცეცხლი მოსდებოდა ჩვენი ქვეყნის დასავლეთ ზღუდეებს. ხელში ჩაგდებულ ქალაქებში, დაბებსა და სოფლებში გერმანელები უკვე ამყარებდნენ „ახალ წესრიგს" — ჩვენი ხალხისათვის ამ ორი საშინელი სიტყვის ასოებიდან ადამიანის სისხლი მოწვეთავდა. უკვე ათასობით საბჭოთა ჯარისკაცმა და მეზღვაურმა სიკვდილი ამჯობინა დაჩოქილ სიცოცხლეს — და ათეულობით მფრინავმა უკვე აიღო სტარტი თავისი აეროდრომიდან უკვდავებისაკენ.

ისინი ეთხოვებოდნენ სიცოცხლეს როგორც მეომრები, როგორც მებრძოლები, როგორც გმირები.

მაშინაც კი როცა მათ შეიარაღება აკლდათ, იდგნენ სასიკვდილოდ თავგანწირულნი, ებრძოდნენ მტერს უკანასკნელ ჭურვამდე, უკანასკნელ ვაზნამდე, და არა იშვიათად თავიანთვის ინახავდნენ ამ უკანასკნელ ტყვიას.

ისინი როდი იჩოქებდნენ მტრის წინაშე, მიწაში როდი ძვრებოდნენ ტანკთა ზვავების გამოჩენისას, როგორც ამას მოელოდა ჰიტლერი, არა! საბჭოთა მებრძოლებმა, რომლებიც ჯერ კიდევ გუშინ შეჰყურებდნენ მშვიდობიან ცას, ჯერ კიდევ მტრის ქვემეხთა გრუხუნსა და ფუგასური ბომბების აფეთქებას მიეჩვეველებმა, ახლა, ამ საშინელ საათებში, განსაკუთრებული, ყოვლისჩამწვდომი ძალით იგრძნეს, შეიგნეს რა ძვირფასია მათთვის სამშობლო...

ომის ალი დასავლეთ რაიონებში ბრიალებდა, მაგრამ მთელ ქვეყანას უკვე შეეცვალა სახე — ქალაქების ქუჩებმა, გზატკეცილებმა, სოფლის შარაგზებმა პირქუში გამომეტყველება მიიღეს.

მშვიდობის დროს არმიის ცხოვრება, ჩვეულებრივ, ადამიანთა მილიონების თვალთაგან დაფარულია. ის მიმდინარეობს ყაზარმათა მაღალ ქვის კედლებს შიგნით, დასახლებული პუნქტებიდან დაშორებულ პოლიგონებზე, ველთა და ტყეთა მიდამოებში, სადაც ტარდება მანევრები, აეროდრომებზე ზღვის სივრცეებზე, შტაბების კაბინეტებში.

წელიწადში მხოლოდ ორჯერ — სამაისო და სანოემბრო დღესასწაულებზე — არმიის ცხოვრება, თითქოს გარედ გადმოსჩქეფაო, დასანახი ხდებოდა ქალაქის ცენტრალურ მოედნებზე, ზღვის სანაპიროს წყლებზე, მშვიდ ცაზე.

ომი სახეს უცვლის ქალაქს. ჩვეულებრივი მილიციელების მაგივრად გზაჯვარედინებზე მდგომი სამხედრო მარეგულირებლები, მწყობრად მიმავალი წითელარმიელები, საბარგულები, კაცმა არ იცის საიდან გაჩენილი ტანკები და ქვემეხები ავსებენ ქალაქის ქუჩებს. ტროტუარზე მდგარი ადამიანები შეშფოთებითა და იმედით შესცქერიან ამ უჩვეულო მოძრაობას. გრძნობენ, რომ დაიწყო სრულიად სხვა ცხოვრება და ვინ იცის, რას უქადის მათ.

არა მარტო ქუჩები იცვლიან სახეს. ქარხნებსა და ფაბრიკებში, დირექტორთა კაბინეტებში, პარტიული კომიტეტების შენობებში გახშირდა სამხედრო პირების მიმოსვლა. ზოგ მათგანს ზომაზე დიდი ფორმის ტანსაცმელი აცვია და ეს ადამიანები რომ ჯერ კიდევ გუშინ სამოქალაქო პიჯაკსა და ჩაშვებულ შარვალს ატარებდნენ, სიარულზეც ეტყობათ და ლაპარაკის მანერაზეც.

ერთი შეხედვით თითქოს ამიერიდან არმიამ აიღო ხელში ხალხის ყოველდღიური ცხოვრების ხელმძღვანელობა და აწმყოსაგან წარსულის მოკვეთით მას ახალ, პირქუშშფოთიან ყოფას უკარნახებდა. სინამდვილეში ათასობით პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელი რჩებოდა თავის პოსტზე, ან სცვლიდა ფრონტზე წასულს და პარტიულ ორგანიზაციებს წინანდებურად აწვათ ორგანიზაციისა და პასუხისმგებლობის მთელი ტვირთი, რომელიც ომის დღეებში ერთი ასად უფრო მძიმე ხდება.

თვალდათვალ იცვლიდა სახეს ლენინგრადიც.

პირველად ეს შენიშნეს მფრინავებმა, რომლებიც პატრულირებდნენ ქალაქის თავზე, — მათ წინათ ხილვადი ორიენტირები ეკარგებოდათ. გიგანტური სანიღბაკი პა-

დით დაფარული სმოლნი თითქოს გაქრა და აქოჩრილი მცენარეულობის პარკად გადაიქცა.

გეგონებოდა ურიცკის მოედანიც თავისი ზამთრის სასახლითა და ოლქის შტაბითურთ გაქრაო.

გაქრა ხაკისფერით შთანთქმული ისაკის ტაძრის გუმბათის ოქროს ელვარება, შუქი დაეკარგათ პეტროპავლოვსკის ციხე-სიმაგრისა და საადმირალოს შესანიშნავ წეტებს...

უკვე მრავალი კომუნისტი და კომკავშირელი წავიდა არმიაში პარტიული საგზურებით. უკვე ათობით გამანადგურებელი ბატალიონი — ლენინგრადელ მოხალისეთა პირველი რაზმები, შექმნილი მტრის პარაშუტისტებთან და დივერსანტებთან საბრძოლველად, — მთელი დღე-ღამით მორიგეობდნენ ლენინგრადისკენ მიმავალ გზებზე, ქალაქის ქუჩებში და თავდაცვითი მნიშვნელობის საწარმოებთან. საღამოობით ათასობით ლენინგრადელი, პიჯაკებზე და სპეცტანისამოსზე წითელი სამკლაურებით, იკავებდა პოსტებს სახლების შესასვლელებთან, სხვენებზე და სახურავებზე.

და ამავე დროს გეგონებოდათ, გარეგნულად ლენინგრადის ცხოვრება ომის იმ პირველ დღეებში არ შეცვლილა და ქალაქის ქუჩებში მშვიდობა და სიწყნარე სუფევს და არ არის და არც შეიძლება არსებობდეს ძალა, რომელსაც შეეძლოს ჩაახშოს უქრობი სიცოცხლეგამძლეობა და რწმენა მომავლისადმი, რაც ასე მძლავრად ჩქეფს ამ ქალაქში.

წინანდებურად ვაჭრობდნენ ყვავილებით კიოსკები ნევის პროსპექტის კუთხეებში. საღამოობით წინანდებურად სავსე იყო ხალხით პარკები, რესტორნები და კაფეები.

და, ჩანდა სიფხიზლისაკენ მომწოდებელ შემაშფოთებელ ცნობებს, ფერად პლაკატებს, ახლა სახლების კედლებს რომ ფარავდა, ადამიანები ჯერ კიდევ აღიქვამდნენ, როგორც დროებითს, რომელსაც არ შეეძლო შეეცვალა ის, რაც ჯერ კიდევ გუშინ მათ ცხოვრებას შეადგენდა

შეიძლება ყველაფერი ეს ასე იმიტომ იყო, რომ ომი ჯერჯერობით სადღაც შორს, ასეული კილომეტრის იქით მიმდინარეობდა — ყოველ შემთხვევაში ასე ფიქრობდნენ ლენინგრადელები, რომლებიც ინფორმბიუროს დაგვიანებულ ცნობებს კითხულობდნენ. ძალზე დიდი იყო მათი რწმენა წითელი არმიის ძლიერებისადმი და სურვილი იმისა, რომ ყველა მისი წარუმატებლობა ჩაეთვალათ,

როგორც არაარსებითი რამ, სარდლობის მიერ წინასწარ გათვალისწინებული და მაშასადამე არ შეიძლებოდა მას სერიოზული შედეგები მოჰყოლოდა. დადიოდა ხმები ჩვენი ჯარების მიერ უკვე მოპოვებულ გადამწყვეტ გამარჯვებათა შესახებ, რომელსაც რაღაც მოსაზრებით ჯერ არ აცხადებდნენ.

და თუ ამ გამარჯვებების შესახებ ადამიანები ვერაფერს პოულობდნენ ინფორმბიუროს დილის ცნობებში, მაინც სწამდათ, რომ საღამოს ცნობებიდან გაიგებდნენ რამეს...

მხოლოდ სანიღბავბადეაფარებულ სმოლნში, რომლის ჩაბნელებული ფანჯრებიდანაც ღამით ოდნავი სინათლე არ გამოკრთოდა, მხოლოდ ყოფილ დვორცოვაიას მოედანზე, მდებარე ლენინგრადის სამხედრო ოლქის შტაბის შენობაში მყოფ სამხედრო და სამოქალაქო პირებს ესმოდათ რამდენად დიდი იყო საშიშროება და რა სწრაფად გვიახლოვდებოდა იგი.

ამ ადამიანებს უკვე სამი დღე-ღამე არ უძინიათ და ტელეფონზე ლაპარაკით ხმა ჩახლეჩოდათ. ისინი ლენინგრადისაკენ მიმართული ისრებით აჭრელებულ რუკაზე დახრილიყვნენ და თან გაფაციცებით ადევნებდნენ თვალს როგორ მოცოცავდნენ ქაღალდის ვიწრო ლენტები „ბოდოს“ და „სტ-ს“ ტიპის აპარატებიდან.

მაგრამ ჯერ არც ერთმა არ იცოდა, რომ შეტევაზე გადმოსულ გერმანელთა ჯარებისადმი გაცემულ ბრძანებაში ლენინგრადი პირველი რიგისეულ მიზნად იყო აღნიშნული.

ის კი უკვე იცოდნენ, რომ 22 ივნისის საღამოსათვის გერმანელთა სატანკო დივიზიებმა გაარღვიეს ბალტიისპირეთის სამხედრო ოლქის სასაზღვრო ზღუდეები, რომ ფაშისტები კაუნასის ჩრდილო-დასავლეთით იმყოფებიან, რომ მათ მოახერხეს მდინარე ნემანის ფორსირება.

არც მომდევნო ორმა დღემ მოიტანა იმედისმომცემი ამბები: გერმანელთა არმიების ჯგუფის „ჩრდილოეთის“ ჭარბ ძალთა მოწოლით საბჭოთა ჯარებმა ბალტიისპირეთში ბრძოლით დაიხიეს უკან გაშლილი მიმართულებებით — რიგისკენ და კაუნასიდან ვილნიუსისკენ და შემდგომ პოლოცკზე. ამასთან, ცენტრალური მიმართულება: ვილნიუსი, დაუგავპილსი, ოსტროვი — მოწინააღმდეგის მოტორიზებული და სატანკო დივიზიებისათვის გასარღვევად მისაწვდომი აღმოჩნდა.

ოცდაოთხ ივნისს, დაახლოებით შუაღამისას, ზვიაგინცევი შტაბის უფროსის მოადგილემ (ახლა უკვე ფრონტის და არა ოლქის) პოლკოვნიკმა კოროლიოვმა გამოიძახა. ომის პირველი დღიდანვე მაიორი საბოლოოდ ოპერატიულ სამმართველოს მიამაგრეს და არსებითად კოროლიოვს ექვემდებარებოდა.

მიუსალმებლად — ის სამი უძილო დღე-ღამე ხომ ისე გაფრინდა, როგორც რამდენიმე საათი, — აცნობა კოროლიოვმა, რომ სმოლნში, საიდანაც იგი ეს-ეს არის დაბრუნდა, მიღებულ იქნა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება. სარდლის მოადგილე და საინჟინრო სამმართველოს უფროსი ჯერაც იქ არიან. ისინი შეაყოვნა ჟდანოვმა. ზვიაგინცევისათვის კი არის სასწრაფო დავალება...

პოლკოვნიკმა ამაზე მაიორს მშრალად უთხრა. მათი ურთიერთობა რამდენადმე დაძაბული გახდა, იმის შემდეგ, რაც ზვიაგინცევმა ომის პირველ დღეს პატაკი მისცა თხოვნით, გაეგზავნათ იგი შტაბიდან ჯარში და შეეცადა წინასწარ მიეღო თავისი განზრახვის განსახორციელებლად შეპირება შტაბის უფროსის მოადგილისაგან. კოროლიოვმა შეურაცხმყოფელი ფორმით უთხრა უარი, ზოგჯერ სილაჩრეც სიმამაცის სამოსელში გვევლინებაო. მაშინ ზვიაგინცევი უხმოდ შებრუნდა და აცახცახებული გავიდა კაბინეტიდან. ახლა, როცა კოროლიოვმა გამოიძახა მან გადაწყვიტა ისე დაეჭირა თავი, როგორც მიღებულია, ოფიციალურ დისტანციაზე.

კოროლიოვმა აიღო მაგიდიდან ერთ-ერთი რუკა და ჟესტით მიიწვია მაიორი ახლოს მისულიყო.

— აი... შევქმნით თავდაცვის ზღუდეს ფრონტით სამხრეთისაკენ.

— საითკენ? — წამოცდა ზვიაგინცევს.

— მე ვთქვი — სამხრეთისაკენ! — მკვეთრად გაიმეორა კოროლიოვმა. რუკას ფრჩხილი გააყოლა და დასძინა: — აი ასე .. მდინარე ლუგით.

კოროლიოვმა დაჟინებით და ერთგვარი გაკვირვებითაც შეხედა ზვიაგინცევს. ის უკვე შეეჩვია ზვიაგინცევის სიბრაზის დაცხრომას.

ზვიაგინცევი კი დუმდა. ამას წინათ კოროლიოვის მიერ მიყენებულმა შეურაცხყოფამ და მასთან დაკავშირებულმა ფიქრებმა უკან დაიხიეს, წარმოთქვა თუ არა კოროლიოვმა სიტყვები: „მდინარე ლუგით"...

ერთხანს ისინი მდუმარედ მიაშტერდნენ ერთმანეთს.

და ზვიაგინცევს მოეჩვენა, რომ წვრილ, განსაკუთრებულ გამომეტყველებას მოკლებულ კოროლიოვის თვალებში ახლა თხოვნა ამოიკითხა: „ნუ მომცემ ზედმეტ შეკითხვებს, ისედაც გამწარებული ვარ“.

შემდეგ კოროლიოვმა საქმიანი ტონით ისე, რომ არ უცქეროდა ზვიაგინცევს, განაგრძო:

— სამხედრო საბჭომ დაამტკიცა ამ ზღუდის მშენებლობის ძირითადი დებულებები, რომლებიც მოხსენებულ იქნა სარდლის მოადგილის გენერალ პიადიშევის მიერ. ხელმძღვანელობა დაეკისრა საინჟინრო სამმართველოს უფროსს. ჩვენ ვიწყებთ დაუყოვნებლივ რეკოგნოსცირებას სექტორების მიხედვით. ოპერატიულ სამმართველოდან რამდენიმე მეთაური გაეგზავნება. შენ დანიშნული ხარ მათთან. დილიდან გაეგზავნები. შეკითხვები გაქვს?

მაგრამ ზვიაგინცევი კვლავინდებურად დუმდა. რადგან თუმცა მას ერთი სიტყვაც არ გამორჩენია კოროლიოვის ნათქვამიდან და რუკებს მიჩვეულ მის წარმოდგენაში უკვე წარმოისახა წამოყენებული ამოცანის ტექნიკური მხარე, მაინც ვერ შეძლო შეეთვისებინა ის საშინელი აზრი, რომელსაც შეიცავდა კოროლიოვის ნათქვამი სიტყვები: „მდინარე ლუგით“.

„ლუგით, ლუგით!“.. — იმეორებდა თავისთვის ზვიაგინცევი. არც მას და, რასაკვირველია, არც თვითონ კოროლიოვს არასოდეს აზრადაც არ მოუვიდოდა, რომ ეს ადგილი საომარ მოქმედებათა ასპარეზი გახდებოდა! საოლქო შტაბის მუშაკთა მთელი გულისყური და შფოთიანი მზერა ყოველთვის მიპყრობილი იყო მხოლოდ ჩრდილოეთისაკენ, ფინეთის საზღვრისაკენ! რამდენიმე დღის წინათ წინადადება მდინარე ლუგაზე სიმაგრეთა აშენების შესახებ, ესე იგი აზრი თითქმის რუსეთის ცენტრში მტრის შემოჭრის შესაძლებლობაზე, სისულელედ ჩაითვლებოდა.

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ზვიაგინცევმა ძალა მოიკრიბა და ჰკითხა:

— მაგრამ... მაგრამ ეს როგორ, პავლე მაქსიმოვიჩ? იქ ხომ ჩვენ აბსოლუტურად არაფერი არა გვაქვს! არც ნაწილები, არც... ეთელი ჩვენი გეგმა ხომ ჩრდილოეთის მიმართულებაზეა გათვალისწინებული! ბალტიისპირეთის ოლქი კი?..

კოროლიოვი სწრაფად მიბრუნდა მისკენ.

— ლაყბობა შეწყვიტეთ, მაიორო ზვიაგიხცევ! — დაიყვირა მან მოულოდნელი ბრაზით. — ხომ არ გგონია, რომ

მე და შენ სასტუმრო „მოსკოვის“ ნომერში ვსხედვართ? ომი მიმდინარეობს და მისი ბედი ტრიბუნაზე კი არ წყდება! შეგიძლია შენ ეს გაიგო?!

— მე ყველაფერი შემიძლია გავიგო, ამხანაგო, პოლკოვნიკო! — გამწარებით თქვა ზვიაგინცევმა და დაჟინებით შეჰყურებდა კოროლიოვს, — სწორედ ამიტომ მე ახლა უფრო მეტად ვარ დარწმუნებული, რომ ჩემი ადგილი არა შტაბის კაბინეტშია, არამედ არმიაში! მე ხომ ფინეთის ომის გამოცდილება მაქვს, მწყობრის მეთაური ვარ...

მას ენა დაება და გაჩუმდა, როცა შეამჩნია როგორ მოეკუმშა უშველებელი მუშტები კოროლიოვს და შეშუპებული სახე წითლად აფორეჯებოდა.

— აჰა, აი თურმე რა ყოფილა!.. — დინჯად თქვა კოროლიოვმა, ერთი ნაბიჯი განზე გადგა და მძიმე, ხარისებრი მზერით დაცინვით გაზომა ზვიაგინცევი თავიდან ფეხებამდე. — რა გვარისა ხართ, ამხანაგო მაიორო? სუვოროვი? თუ კუტუზოვი? ჯარების ხელმძღვანელობა ინებეთ? იქნებ გსურთ, თეთრ ცხენზე შემჯდარი, ხმალამოწვდილი ჭენებით დაედევნოთ ტანკებს — მარშ-მარშ?! მე უკვე გითხარით: ლაჩრები სხვადასხვაგვარია...

— ამხანაგო პოლკოვნიკო, — აღშფოთდა ზვიაგინცევი, — თქვენ... უფლება არა გაქვთ! მე კომუნისტი ვარ და წითელი არმიის მეთაური! მე ვიცი ჩემი ადგილი და მზადა ვარ მივიღო ბატალიონი, თუნდა მესანგრეთა ასეული!

— შემდეგ? — ისევ გესლიანი დაცინვის ტონით წარმოთქვა კოროლიოვმა.

— შემდეგ? თქვენ ნუღარ გედარდებათ! — შეჰყვირა ზვიაგინცევმა შეურაცხყოფითა და აღშფოთებით დაბრმავებულმა, დაივიწყა რა სუბორდინაცია, — ყოველ შემთხვევაში მე მტერს არ გავექცევი, როგორც ზოგიერთები, და თუ საჭირო იქნა, შევძლებ იქ სიკვდილს, სადაც ვიდგები, ჩემს ზღუდეზე! და თქვენ არა გაქვთ უფლება მე ლაჩარი მიწოდოთ!

— მაქვს! — ისევ იყვირა კოროლიოვმა. — შენ გგონია, მაღალფარდოვანი ფრაზით შეიძლება ჩემი მოტყუება? გგონია, რომ შენს მოკლე აზრში ვერ ჩავწვდები? გინდა, მე მას ახლავე ხმამაღლა განგიმარტავ? შენ საყვედურების, პასუხისმგებლობის გეშინია! შენ დიდმნიშვნელოვან საქმეს განდობენ — თავდაცვითი ზღუდე ააშენო, რომ ასეულ ათასობით საბჭოთა ადამიანს აეფაროს და მტრისაგან დაიცვას! შენ კი საკუთარ რეპუტაციაზე ზრუნავ! ეს

ბე არა — სხვები იხევენ-თქო! მე არა მსურს პასუხისმგებლობა ვიკისრო წითელ არმიაზე, პასუხს ვაგებ მხოლოდ ჩემზე, ჩემს ასეულზე! სასიკვდილო თავგანწირვით ვიდექი, სიკვდილის არ შემშინებია: ჩემმა სიკვდილმა მტერი ვერ შეაჩერა, — ამისათვის რაღა მომეთხოვება!

— ვის შეუძლია თქვას, რომ სიკვდილის პირისპირ დგომა ლაჩრობაა?! — კვლავ აღშფოთებით შესძახა ზვიაგინცევმა.

— შენ კი დადექი და მოკვდი იქ, სადაც პარტიამ დაგაყენა! ადგილს ნუკი ირჩევ! — შეაწყვეტინა მას კოროლიოვმა, ხელი ჩაიქნია და დასძინა: — ეჰ შენც! ასეთს ჩვენ პარტბიუროში ვირჩევდით!..

პოლკოვნიკი ზვიაგინცევისაგან ორიოდე ნაბიჯის მოშორებით იდგა და ისევ მძიმედ სუნთქავდა. გიმნასტურის საყელო შეიხსნა, და მოკლე კისერზე დაბერილი ვენები გამოუჩნდა.

— მერე რა უნდა გავაკეთო? — ავტომატურად ჰკითხა ზვიაგინცევმა.

— ბრძანებას შეასრულებ ხოლმე, — ნაწყვეტ-ნაწყვეტად მიახალა კოროლიოვმა. მერე თავი შეატრიალ-შემოატრიალა, საყელო შეიბრუნა, შეისწორა გიმნასტურა, მივიდა ზვიაგინცევთან და მხარზე ხელი დაადო. — ნუ მიბრაზდები. რაც დაიმსახურე, მიიღე კიდეც, — უთხრა მოულოდნელად რბილად, — სიკვდილისათვის მზადყოფნით თავს ნუ იწონებ. ჩვენ ის უნდა ვისწავლოთ, როგორ გავიმარჯვოთ და არა როგორ მოვკვდეთ... და რეფლექსებს თავი დაანებე. მშვიდობის დროს ეს, ასე თუ ისე კიდევ მოსათმენია. ზოგ ვინმეს მოსწონს კიდეც, — აი იგი როგორიაო! ბურბონი არ არის — ფილოსოფოსიაო! ახლა კი — ომია, ულმობელი მოვლენა. დამთავრდება და სამხედრო-სამეცნიერო სამმართველოში გაგგზავნით. გაანალიზება მოგიხდება ხოლმე. ამჟამად კი... საკუთარ თავს მხოლოდ გაკრიტიკებისა და მოთხოვნის უფლებას ნუკი ანიჭებ ალექსი! მოთხოვნა ყოველთვის უფრო ადვილია ვიდრე პასუხისგება. გაიგე?..

იგი დაჟინებით შესცქეროდა თვალებში ზვიაგინცევს. და მას მოეჩვენა, რომ ისევ ამოიცნო კოროლიოვის მზერაში იდუმალი აზრი: „გაიგე, არც მე, არც შენ დამნაშავეები არა ვართ, რომ ყველაფერი ასე მოეწყო. და ყოველივე ამის გამორკვევა ახლა საჭირო არაა. საამისო დრო არ არის.მიიღე ბრძანება — შეასრულე კიდეც. და ჩვენი ცხო-

ვრების უმაღლესი აზრი ამჟამად — ესაა შენი მოვალეობის შესრულება. და მეტი სათქმელი არა მაქვს შენთან. დღეს მეტი რაზე გელაპარაკო".

— ნებას მაძლევთ წავიდე? — წყნარად ჰკითხა ზვიაგინცევმა.

— წადით, — უპასუხა კოროლიოვმა.

ზვიაგინცევი სამწყობრო ნაბიჯით შებრუნდა და კაბინეტიდან გავიდა.

მარტო ზვიაგინცევმა კი არა, შტაბისა და საინჟინრო სამმართველოს ბევრმა მეთაურმაც ასე გვიან ღამით მიიღო ბრძანება დაუყოვნებლივ შედგომოდნენ რეკოგნოსცირებასა და ლენინგრადის სამხრეთით ზღუდეთა მშენებლობის გეგმის შემუშავებას.

ზვიაგინცევს მისცეს ქალაქ ლუგის რაიონი — მიმართულების ცენტრში ფსკოვის მხრიდან.

ზვიაგინცევი დაბრუნდა თუ არა თავის პატარა ოთახში, რომელსაც ერთადერთ ფანჯარაზე სქელი შესანიღბავი ქაღალდის ფარდა ჰქონდა ჩამოფარებული, საათს დახედა, სეიფი გააღო, რუკა ამოიღო და მაგიდაზე გაშალა.

როგორც ოლქის საინჟინრო სამმართველოს ბევრი სხვა მეთაური, ზვიაგინცევიც საკმაოდ კარგად იცნობდა თავდაცვით ნაგებობათა მდგომარეობას ფინეთის საზღვარზე. ვიბორგის ახალი გამაგრებული რაიონი, რომელიც ლენინგრადს ყველაზე ახლო მიმართულებით იცავდა, საბრძოლო მზადყოფნის მდგომარეობაში რომ იყო, ამაში იგი ამასწინ>ო თვითონვე დარწმუნდა.

მაგრამ სამხრეთით ლენინგრადს ასეთი საფარი არ ჰქონდა. ფსკოვთან და ოსტროვთან გამაგრებულ რაიონებზე — ლატვიისა და ესტონეთის ყოფილ საზღვარზე — ზვიაგინცევმა მხოლოდ ის იცოდა, რომ ორი წლის წინათ მათი კონსერვაცია მოხდა, ხოლო მოწყობილობისა და შეიარაღების ნაწილი დემონტირებულ იქნა.

ზვიაგინცევს დიდმასშტაბიანი რუკა ჰქონდა, და იგი კაი ხნის ფიქრისა და მასზე წინასწარი ნახაზების გაკეთების შემდეგ ადგა, კედელზე დაკიდულ ლენინგრადის ოლქის მცირე მასშტაბიან რუკასთან მივიდა და მის საერთო მოხაზულობას, მასზე განლაგებულ ქალაქებს, მდინარეებს, ტბებს დაკვირვებით დაუწყო თვალიერება.

ოსტროვი, ფსკოვი, მდინარე პლუსსა, ლუგა, ილმენის

ტბა... ზვიაგინცევი ნამყოფი იყო ამ ადგილებში და ახლა ცდილობდა წარმოედგინა ზღუდეთა სხვადასხვა ვარიანტი რელიეფის, ქალაქთა განლაგების მიხედვით, რომ უცებ შეკრთა და, თითქოს უხილავი ძაფით მიიზიდესო, სულ ახლოს მიიტანა სახე რუკასთან. დაინახა შავი, ძლივს შესამჩნევი წერტილი, რომლის ქვეშ მიკროსკოპული, მაგრამ გარკვეული ასოებით იყო წარწერა: „ბელოკამენსკი“.

„ვერა!“ — თქვა გულში და გაოცებით გაიმეორა, თითქოს თავის თავს არ უჯერისო: „ეს როგორ? ვერა ხომ იქაა!“.

ზვიაგინცევი დაძაბულად დააცქერდა პატარა შავ წერტილს და თვალწინ წარმოუდგა ყრუ პროვინციული პატარა ქალაქის ბურუსიანი სურათები, — ხეებჩარიგებული მოუკირწყლავი ქუჩები, ჭები, ბაღჩები, დარაბებიანი პატარა სახლები...

და ერთ მათგანში არის იგი, ვერა, რომელიც სულაც არ ფიქრობს მოსალოდნელ საშიშროებაზე.

ზვიაგინცევმა შეხედა რუკის მასშტაბს და ისევ შავ წერტილს მიაჩერდა. ამ ერთი საათის წინათ ეს ადგილები მას ჯერ კიდევ ღრმა თუ არა, ყოველ შემთხვევაში საკმაოდ შორეულ ზურგად მიაჩნდა. ეხლა ყველაფერი შეიცვალა! დავალება, რომელიც მას მისცეს, მოწმობდა, რომ სარდლობას ერთობ სერიოზული საფუძველი აქვს, მთელი ეს რაიონი საომარ მოქმედებათა შესაძლო თეატრად მიიჩნიოს.

რა ვქნა? როგორ გავაფრთხილო ვერა, რომ დაუყოვნებლივ დაბრუნდეს? მამამისის მეშვეობით? მაგრამ მათ ხომ ორი დღის წინათ ნახეს ერთმანეთი სმოლნში და ილაპარაკეს იმაზე, რომ ვერა უნდა დაბრუნებულიყო... იქნებ იგი უკვე დაბრუნდა?.. და თუ არა? იქნებ ფაშისტური ავიაციის მხრივ ლენინგრადზე თავდასხმის ცდების შესახებ გაზეთებში გამოქვეყნებული ცნობების შემდეგ ვერას მშობლებსა და თვითონ მასაც ჰგონია, რომ ბელოკამენსკი უფრო უსაფრთხოა და იქ შეიძლება დაელოდო ომის დამთავრებას?..

„დაელოდო ომის დამთავრებას!“ — მწარე ჩაცინებით გაიმეორა მან გულში. არა, დაუყოვნებლივ უნდა გამოარკვიოს, დაბრუნდა თუ არა ვერა. და თუ არა, გააფრთხილოს მამამისი. რა თქმა უნდა, გაფრთხილება საჭიროა მშვიდად, ზედმეტი შიშისა და შეკითხვების გამოუწვევლად. ერთი სიტყვაც არ უნდა ითქვას ლუგაზე თავდაცვი-

თი ზღუდეების აშენების გადაწყვეტილების შესახებ — ჯერ ეს სამხედრო საიდუმლოებაა, — მაგრამ უნდა გააგებინოს მას, რომ ვერასათვის უკეთესი იქნება, თუ დაუყოვნებლივ დაბრუნდება ლენინგრადში.

ასეა თუ ისე, საჭიროა სასწრაფოდ მოელაპარაკოს უფროს კოროლიოვს. ვერას ტელეფონის ნომერი ზვიაგინცევმა იცოდა, აპარატი მაგიდაზე ედგა, უყოყმანოდ გადასწია ყურმილს..

მაგრამ ამ მომენტში მეორე აზრმა აიძულა იგი ხელი ჩამოეშვა: „გვიანაა! ღამის პირველის ნახევარია!" ზარი ასეთ დროს უთუოდ ალიაქოთს გამოიწვევს კოროლიოვების ოჯახში.

მაშ რა ქნას? მაინც უნდა დარეკოს... გამორიცხული არ არის, რომ ვერა უკვე დაბრუნდა და თვითონვე მოვიდეს ტელეფონთან. მაშინ შეუძლია არ დაასახელოს, ვინც არის და დამშვიდებით ჩამოჰკიდოს ყურმილი. თუ მისი დედა უპასუხებს? როგორ შეძლებს მას აუხსნას? სთხოვოს გააღვიძოს ივანე მაქსიმეს ძე?..

რამდენიმე წამს ზვიაგინცევი განაგრძობდა მერყეობას — ფიქრობდა: ღირს თუ არა, სწორედ ახლა დავურეკო, თუ დავიცადო დილამდეო. დახედა მაგიდაზე გაშლილ რუკას, სადაც შავად უკვე მონიშნა მომავალ რეკოგნოსცირებათა და სამუშაოთა რაიონი და საზღვრები, მერე უყოყმანოდ ჩამოხსნა ყურმილი და დაასახელა ნაცნობი ნომერი. ერთხანს არავინ არ გასცა პასუხი. ზვიაგინცევი უფროდაუფრო მაგრად უჭერდა ხელს ყურმილს იმ იმედით, რომ გაივლის ერთი-ორი წამი და პასუხს თვითონ ვერა გამცემსო, მაგრამ ყურმილში სიჩუმე სუფევდა. უეცრად გაისმა ტკაცანი და მამაკაცის დაგუდულმა ხმამ წარმოთქვა:

— გისმენთ.

— ამხანაგი კოროლიოვი ხართ? ივანე მაქსიმეს ძე? — გაუბედავად ჰკითხა ზვიაგინცევმა, თუმცა მისი ხმა მაშინვე იცნო.

— მე ვარ.

— მაპატიეთ, რომ გაგაღვიძეთ, — დაიწყო ზვიაგინცევმა, რომელიც გრძნობდა, რომ მისი ხმა აღელვებით ქღერდა, თუმცა ძალიან ცდილობდა დამშვიდებულად ელაპარაკა, — ზვიაგინცევი ვარ.

— ვინ? — გაოცებით გაუმეორა კითხვა კოროლიოვმა.

— მე, მე ალექსი ზვიაგინცევი!.. ალბათ გაგაღვიძეთ?

— ა-ა. მაიორი! — გაისმა ყურმილში. — რა მოხდა?

— არა, არა, არაფერი, — აჩქარებით უპასუხა ზვიაგინცევმა, რომელიც ძალიან ცდილობდა თავისი ხმისათვის ჩვეული ყღერადობა მიეცა. — ხომ არ გაგაღვიძეთ? — კვლავ გაუმეორა მან და თანაც გრძნობდა, რომ ამჯერად მისი კითხვა სულელურად ყღერდა.

— სულაც არ გამაღვიძე, — ბუზღუნით უპასუხა კოროლიოვმა. — მე ყაზარმულად ვცხოვრობ. საცელების გამოსაცვლელად მოვედი შინ. რა მოხდა-მეთქი, გეკითხები?

— არა, არა, არაფერი! მხოლოდ მინდოდა გამეგო... ვერა დაბრუნდა?

— ჯერ არა. — უპასუხა კოროლიოვმა მოკლე პაუზის შემდეგ.

— იგი კიდევ იქ არის?.. ბელოკამენსკში? — ჰკითხა ზვიაგინცევმა გულდაწყვეტილი ხმით.

— მომისმინე, მაიორო! — კოროლიოვის ხმა მკაცრად ყღერდა და მასში აშკარად მოისმოდა შეშფოთების კილო. — მე შენ გეკითხები, რა მოხდა?

— ივანე მაქსიმოვიჩ, იგი უნდა დაბრუნდეს! თქვენ გეხსომებათ, ჩვენ ჯერ კიდევ იქ, ქალაქკომში, ვლაპარაკობდით ამაზე! თქვენ უნდა უბრძანოთ, სასწრაფოდ დაბრუნდეს ლენინგრადში.

— უბრძანო! — დაცინვის კილოთი გაიმეორა კოროლიოვმა. — როგორ არა! შენ ყოველთვის იმას აკეთებდი, რასაც მშობლები გიბრძანებდნენ?

— მაგრამ გამიგეთ, ეს ძალიან სერიოზული ამბავია! — უკვე აღარ ფიქრობდა დაემალა თავისი აღელვება და თითქმის იყვირა ზვიაგინცევმა. — ახლა ხომ ომია!

— გმადლობთ, რომ ამიხსენი, — სიმწრით უპასუხა კოროლიოვმა, ცოტა ხანს გაჩუმდა და მერე უთხრა: — ჩემთვისა და შენთვის ომია, იმისთვის კი... ვილაც ავად გაუხდა. ჰო, მისი ბიჭი, გაიგე? მე დღეს ნათესავებს საქალაქთაშორისო ტელეფონით ველაპარაკე.

— მაგრამ... განა იგი მარტო არ წავიდა?! — წამოსცდა ზვიაგინცევს.

— ასე გამოდის, რომ არ წასულა მარტო.

— დიახ, დიახ... მე მესმის, — აბნეულად წაიბუტბუტა ზვიაგინცევმა და ოფლიანი შუბლი გიმნასტერის სახელოთი მოიწმინდა, — მაგრამ თქვენ მაინც უთხარით... უთხარით მას, რომ უსათუოდ უნდა დაბრუნდეს...

პასუხის დაუცდელად მან ნელა დადო ყურმილი ბერკეტზე.

„ჰოდა, აი ასე... — თქვა გულში ზვიაგინცევმა, — ყველაფერი ცხადია. საჭირო არ ყოფილა თავის შეწუხება“...

ვინაა ის ბიჭი? რა ჰქვია? ნიკოლოზი? არა, ანატოლი. სწორედ ის სტუდენტი. ჰო, რასაკვირველია, იგი მასთან ერთად გაემგზავრა. მაშ, მას საიმედო დამცველი ჰყავს. მაღალია, მხარბეჭიანი... თუ საჭირო იქნა, ხელით გაიყვანს... ავად გახდაო? რა უნდა დამართოდა იმ აყლაყუდას?

მაგრამ უცნაური ის იყო, რომ მიუხედავად სიმწრის გრძნობისა, რასაც განიცდიდა ზვიაგინცევი, მას შვებას ჰგვრიდა იმის შეგნება, რომ ასეთ დროს ვერა მარტო არ არის. მის გვერდით იმყოფება ადამიანი, რომელსაც შეუძლია მძიმე წუთებში დაეხმაროს და დაიცვას.

გაისმა ტელეფონის ზარი. ზვიაგინცევმა საჩქაროდ აიტაცა ყურმილი იმ იმედით, რომ კელავ უფროს კოროლიოვის ხმას გაიგონებდა. არ უფიქრია იმაზე, რომ მას არ შეეძლო დაერეკა, ვინაიდან მისი სამსახურის ტელეფონი არ იცოდა, და ზვიაგინცევმა საჩქაროდ ჰკითხა:

— ამხანაგი კოროლიოვი ბრძანდებით?

—მე ვარ, — უპასუხა ცოტათი გაკვირვებულმა პოლკოვნიკმა. — შენ რა, კედლების მიღმა ხედავ?

— არა, არა, მაპატიეთ, — არეულად უპასუხა ზვიაგინცევმა, — მე ხომ თქვენს დავალებაზე ვმუშაობ და...

— ჰოდა კარგი, რომ მუშაობ, — კმაყოფილებით თქვა პოლკოვნიკმა, — გაფრთხილებ: გენერალმა პიადიშევმა სმოლნიდან დარეკა საქმის ვითარების გასაგებად. მალე დაბრუნდება და მაშინ გამოიძახებს ყველას, ვინც დავალებაზე მუშაობს. მეტი არაფერი მაქვს სათქმელი. იმოქმედე!

— მესმის, — უთხრა ზვიაგინცევმა, ყურმილი ჩამოჰკიდა და შეშფოთებით დახედა საათს...

ზვიაგინცევი სარდლის მოადგილესთან ღამის ორ საათზე გამოიძახა ადიუტანტმა. გენერალმა მოისმინა მშენებლობის გეგმაზე მომუშავეთა მოკლე ცნობები, შეიტანა საჭირო კორექტივები, შეახსენა, რომ დავალება მეტად საპასუხისმგებლოა და ბრძანა განეგრძოთ ყველა გაანგარიშებათა დაზუსტება.

ბინაზე დაბრუნებულმა ზვიაგინცევმა ერთი კი შეხედა კედელთან მიდგმულ გაშლილ საწოლს, რომელზეც უკვე მესამე ღამეა აღარ წოლილა და მუშაობაში ჩაეფლო.

იგი მუშაობდა გულდასმით, მონდომებით, მაგრამ რაც უფრო ღრმად იჭრებოდა გაანგარიშებაში, მით უფრო ძლიერ იპყრობდა შეშფოთება.

ახლა, დავალების შესრულებით შთანთქმულს, ლუგასთან სიმაგრეთა აგების აუცილებლობის თვით ფაქტი კი არ აღელვებდა, ამას იგი უკვე შეეჩვია. მეორე აზრი, მეორე კითხვა გარდაუვალად აღიმართა მის წინაშე: როგორ, რა საშუალებებით შეიძლება ამ დავალების რეალიზება, რეალიზება არა რუკებზე, არა გაანგარიშებებში, არამედ რეალობაში? საიდან მოიყვანს სარდლობა მთელ არმიას? იმისათვის, რომ ხორცი შეასხა ყველა გაანგარიშებას ბეტონით, ლითონით, ააგო დზოტები, ესკარპები, ბლინდაჟები, მიწური სიმაგრეები, ხომ საჭიროა ათეულ ათასობით ადამიანი, ათასობითა და ათასობით ხელი!

იქნებ სარდლობა შეთანხმებულია მოსკოვთან და ამ დამატებითს არმიას რეზერვებიდან გადმოისვრიან აქეთ, ლენინგრადთან?..

...ღამე იწურებოდა, როცა ზვიაგინცევმა იგრძნო, რომ რუკაზე მოხაზული აღნიშვნები და ციფრები მის თვალწინ იდღაბნებოდნენ. მაგიდიდან წამოდგა, საწოლზე ჩამოჯდა, ჩექმები გაიხადა, ქამარი მოიხსნა გიმნასტერის საყელო გაიხსნა და მოემზადა ერთი საათით მაინც წამოწოლილიყო, რომ ტელეფონის ზარი ისევ აწკრიალდა.

ამჯერად პირადად გენერალი პიადიშევი რეკავდა. მან უბრძანა ზვიაგინცევს, წაეღო თან რუკა, გაანგარიშებები და დაუყოვნებლივ გამგზავრებულიყო სმოლნში, ედანოვთან.

რამდენიმე წამს ზვიაგინცევი დაბნეულად დუმდა. მერე შეეკითხა გენერალს. სწორად გაიგო თუ არა ნაბრძანები და მართებს თუ არა მას გამოეცხადოს პირადად ედანოვს.

— დროს ნუ კარგავთ, ამხანაგო მაიორო, თქვენს წამოსაყვანად მანქანა გამოგზავნილია, — უთხრა გენერალმა და დასძინა: — სამხედრო საბჭოს წევრს ედანოვს სურს მოელაპარაკოს გაანგარიშებათა ერთ-ერთ უშუალო შემსრულებელს. წახვალთ თქვენ.

— მაგრამ რა უნდა მოვახსენო ამხანაგ ედანოვს? — ისევ ისე დაბნეულად ჰკითხა ზვიაგინცევმა.

— უპასუხებთ კითხვებზე, რომლებსაც, მოგცემენ, — ცოტა მოუთმენლად უთხრა გენერალმა და დასძინა: — თქვენი კომპეტენციისა და თქვენი დავალების ფარგლებში. მეტი არაფერი.

გაისმა გამთიშველი ტკაცანი.

ზვიაგინცევმა ჩამოჰკიდა ყურმილი და რამდენიმე წამის ყოყმანის შემდეგ აჩქარებით შეუდგა რუკებისა და გაანგარიშებათა პორტფელში ჩალაგებას. თან ცდილობდა წარმოედგინა, სახელდობრ, რა კითხვებს მისცემდა მას ჟდანოვი, პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ოლქკომის მდივანი, ფრონტის სამხედრო საბჭოს წევრი.

...რუხ-მწვანე ფერებით შეღებილი „ემკა" უკვე უცდიდა ზვიაგინცევს. ახალგაზრდა წითელარმიელმა, რომელიც საჭესთან იჯდა, შესასვლელიდან გამოსული მაიორი რომ დაინახა, კაბინის მოპირდაპირე კარისკენ წაიწია და გაუღო. ზვიაგინცევი მძღოლის გვერდით დაჯდა, პორტფელი მუხლებზე დაიდო და აჩქარებით უთხრა:

— სმოლნში. სწრაფად!..

შოფერმა გასაღები გადაატრიალა, სიჩქარე ხმაურით ჩართო და მანქანა დაიძრა.

მხოლოდ ახლა შეამჩნია ზვიაგინცევმა, რომ ცას პროჟექტორები ზვერავდნენ. ყური მიუგდო. საიდანღაც, ძალიან შორიდან მოისმა საზენიტო არტილერიის სროლა, რომელსაც მოტორის ხმაური ახშობდა.

— ახლა განგაშს გამოაცხადებენ, — თქვა მან.

— უკვე ორი საათია, რაც გამოცხადდა! — არხეინად გამოეხმაურა შოფერი.

„მაშ ეგრე?" — გაკვირვებით გაიფიქრა ზვიაგინცევმა, მუშაობაში გართულს, მას არც კი გაუგონია რადიოთი გადაცემული გაფრთხილებები.

— მიყვარს ღამით მანქანის ტარება, — განაგრძო სიტყვაუხვმა მძღოლმა, — სულ გაქანება გინდა! არ გიშლიან არც ადამიანები, არც მანქანები! მიქრიხარ, როგორც გზათა მეფე! ჰე-ჰეი! — გამაფრთხილებლად შესძახა მან, როცა დაინახა, რომ მილიონერი მანქანისათვის გზის გადასაჭრელად ტროტუარიდან გადმოვიდა. — უნდა გაიხედო! — და თითი ატაკა საშვს — მუყაოს კვადრატს, რომელიც საქარე მინაზე იყო მიმაგრებული.

ზვიაგინცევმა ღიმილით შეხედა მძღოლს. და გაიფიქრა, რომ ეს რუხთვალებიანი, წარბზე თავმომწონედ ჩამოწეულ პილოტურიანი ახალგაზრდა, ალბათ, ჯერაც ისე აღი-

ქვამს ომს, როგორც რაღაც რომანტიკულს, შემაშფოთებელ-ამაღელვებელს, მაგრამ სრულიადაც არასაშიშარს. „შენ რომ იცოდე, რა დავალებით მივდივარ სმოლნში!“ — გაიფიქრა ზვიაგინცევმა.

— ამხანაგო მაიორო! — ისევ ალაპარაკდა შოფერი, — მართალს ამბობენ, რომ ჩვენებმა ბერლინთან დესანტი გადასხეს? მაშასადამე ზურგიდან?

— არ ვიცი, არ გამიგონია, — უპასუხა ზვიაგინცევმა.

—ქალაქში კი ამბობენ! — არ ჩუმდებოდა მძღოლი. — აი მე ამ საღამოს ერთი გენერალი მიმყავდა, იმასაც ვკითხე. დუმს! სახეზე ვატყობ, რომ იცის, მაგრამ დუმს. თქვენ კი, გამოდის, არ იცით?

ეს უკანასკნელი სიტყვები მან მოწყალე კილოთი თქვა, აშკარად სურდა შეეგნებინებინა მაიორისათვის, რომ გენერალის წოდებასთან შედარებით ასეთი დაბალი მეთაურისაგან სხვანაირ პასუხს არც ელოდა.

იგი მიაქროლებდა მანქანას დაცარიელებულ ქუჩებში, ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ, არ იცავდა მოძრაობის წესებს და აშკარად სიამოვნებდა თავისი შეუზღუდველი შესაძლებლობებით.

მანძილი შტაბიდან სმოლნამდე რაღაც თხუთმეტ წუთში გაიარეს. ჭიშკრიდან ოცდაათიოდე მეტრის დაშორებით შოფერმა ერთბაშად შეაჩერა მანქანა, — მუხრუჭებმა შესაბრალისად დაიხრჭიალეს.

— მოვედით, ამხანაგო მაიორო! იქით მეტი არ შეიძლება — ახალი ბრძანება გამოვიდა. მე კუთხის იქით დავიცდი, სადაც ტრამვაის რკალია და იქ მობრძანდებით, — თქვა შოფერმა.

ზვიაგინცევი მანქანიდან გადმოვიდა და უკვე კარი უნდა მიეხურა, რომ ისევ მოესმა შოფრის ხმა. იგი საჯდომზე გადმოწვა.

— ამხანაგო მაიორო! — ისევ ალაპარაკდა შოფერი, — უფროსებისაგან აი, დესანტის შესახებ. მანდ ხომ, — სმოლნისკენ გაიქნია თავი, — ალბათ, ყველაფერი იციან. ნუ გეფიქრებათ, როცა საჭიროა, კრინტს არ ვძრავ. სამსახური ვიცი...

სულ სამი დღე-ღამე გავიდა, რაც ზვიაგინცევი სმოლნიდან გამოვიდა, მაგრამ ახლა ისე მოეჩვენა, თითქოს დიდი ხანია, აქ არ ყოფილა. და არა მარტო იმიტომ, რომ ამ ხნის

განმავლობაში გარეგნულად შეიცვალა და ძნელი საცნობი გახდა სმოლნი, და იქ შესასვლელი, რომელსაც გიგანტური სანიღბავი ბადე ჰქონდა მიფარებული. შენობაში შესაღწევად ზვიაგინცევს, ჭიშკრიდან დაწყებული, სამჯერ მოუხდა თავისი მოწმობის წარდგენა პოსტებზე. დაცვის ოფიცერმა სამჯერ გულდაგულ შეადარეს მისი გვარი თავიანთ სიებთან. შეცვლილიყო თვით ატმოსფერო შიგ სმოლნში. ჩვეულებრივ, სიჩუმე სუფევდა მის უსაზღვრულო დერეფნებში და ადამიანები თითქოს იკარგებოდნენ შიგ, შეუმჩნეველნი ხდებოდნენ.

თუმცა ომის წინა ღამეს, როცა ზვიაგინცევი ვასნეცოვთან თათბირზე მიდიოდა, მეორე სართული უჩვეულო გამოცოცხლებას მოეცვა.

ახლა კი უკვე მთელი სმოლნი, მთელი მისი დერეფნები, რაღაცით აგონებდნენ ზვიაგინცევს იმ ძველ სმოლნს, რომელსაც იგი იცნობდა მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციისადმი მიძღვნილი კინოფილმების მიხედვით. დერეფნებში მიმოდიოდნენ შეფიქრიანებული ადამიანები, ბევრი მათგანი არმიელისა და მეზღვაურის სამხედრო ფორმაში იყო, და ზვიაგინცევმა, როგორც კადრის მეთაურმა მაშინვე შეამჩნია, რომ ეს ფორმა მათ სულ ახლახან ჩაეცვათ. მებრძოლიმეკავშირეები იდგნენ კიბეებზე და კედლებზე კარნიზის ქვემოთ ტელეფონის მავთულს ჭიმავდნენ. სხვებს სწრაფად უელიდნენ გვერდს და წინ უსწრებდნენ ფელდეგერები. მათი ცნობა ადვილი იყო ლურჯციანი ქუდებითა და ერთნაირი მუშამბის დიდი პორტფელებით. ზვიაგინცევი მიაბიჯებდა გრძელ დერეფანში. დროდადრო იღებოდა კარები და ოთახებიდან გამოდიოდნენ ადამიანები, რომლებიც გზადაგზა რაღაც ქაღალდებს ან ტელეგრაფის ვიწრო ლენტებს კითხულობდნენ. მათ უკან კი საწერი მანქანების რბილი კაკუნი ისმოდა. ჩვეულებრივ გლუვსა და თითქოს ყოველთვის ახალშეღებილ კედლებზე ახლა ფერადი სამხედრო პლაკატები ეკიდა... ზვიაგინცევმა არ იცოდა, რომელ სართულზე იყო ჟდანოვის კაბინეტი. მას აზრად არ მოსვლია ეკითხა გენერალ პიადიშევისათვის. ახლა დაეხეტებოდა სმოლნის დერეფნებში და იმედი ჰქონდა მის კაბინეტს კარებზე დაკიდული წარწერით იპოვიდა. როგორც ახსოვდა ზვიაგინცევს ასეთი წარწერა სამიოდე დღის წინათ ყოველ კარზე ეკიდა.

მაგრამ ახლა წარწერები აღარ იყო. მათ ადგილას კა-

რებზე მხოლოდ ღია ფერის ვიწრო ზოლები დარჩენილიყო.

ამ გაფაციცებულ, შეფოთიან-საქმიან ატმოსფეროში ზვიაგინცევს ვერ გადაეწყვიტა პირველი შემხვედრისთვისვე ეკითხა, რომელი იყო ჟდანოვის კაბინეტი. იგი უკვე აპირებდა დაცვის პოსტზე დაბრუნებას, რომ გაეგო მისთვის საჭირო ოთახის ნომერი, შემობრუნდა და პირდაპირ შეეჩეხა ვასნეცოვს, რომელიც იმ წამში ოთახიდან გამოდიოდა.

ვასნეცოვს პირქუში, ფიქრიანი სახე ჰქონდა. ხშირი წარბები ცხვირის ფუძეზე ჩამოწეწოდა. ერთი წამიც და იგი გვერდს აუვლიდა ზვიაგინცევს.

— ამხანაგო ვასნეცოვ! — წყნარად დაუძახა მას ზვიაგინცევმა. მაშინვე მხედრულად გამოექიმა და უკვე ხმამაღლა უთხრა: — ნება მიბოძეთ, მოგმართოთ...

ვასნეცოვი შეჩერდა, ფიქრებში გართულმა დაბნეულად შეხედა ზვიაგინცევს და უთხრა:

— ა-ა, ამხანაგო მაიორო!..

მერე ოდნავ შესამჩნევად გაუღიმა და დასძინა:

— მინდოდა, რომ მაშინ შენ მართალი არ გამომდგარიყავი. ჩვენ ყველას გვინდოდა...

ღიმილი გაუქრა სახეზე, წარბები კვლავ პირქუშად შეიკრა და თქვა:

— თუმცა ახლა ამაზე არ ღირს ლაპარაკი.

და სანამ ზვიაგინცევი მოისაზრებდა, რას ეხებოდა მისი სიტყვები. მან უფრო მშრალად დასძინა:

— ამხანაგ ჟდანოვთან?

— დიახ... მაგრამ არ ვიცი, სადაა მისი კაბინეტი! — აჩქარებით წარმოთქვა ზვიაგინცევმა.

— აქ არის, — უთხრა ვასნეცოვმა და უჩვენა კარი, საიდანაც ის იყო თვითონ გამოვიდა და დასძინა: — მოახსენეთ მის თანაშემწეს პოლკის მეთაურს კუზნეცოვს, რომ მოხვედით.

პატარა ოთახში ყვითელ, გადაწეულ გოფრირებულ საბურავიან სეკრეტერთან იჯდა საშუალო ხნის კაცი, რომელსაც გიმნასტურა ეცვა. მის მარცხნივ მაგიდაზე ტელეფონები ეწყო.

ზვიაგინცევი ზღურბლზე შედგა და დამკვიდრებული სამხედრო ჩვეულებისამებრ ხმამაღლა წარმოთქვა:

— ნებას მომცემთ?..

კუზნეცოვმა ასწია თავი ქაღალდიდან, რომელსაც იმ

წუთში კითხულობდა. დ› კითხვა-დასტურის კილოთი უპასუხა:

— ამხანაგი ზვიაგინცევი?.. ახლავე მოვახსენებ ანდრია ალექსანდრეს ძეს.

იგი ადგა, სეკრეტერის მარცხნივ მოთავსებულ ტყავგადაკრულ კართან მივიდა, ბოქლომიდან გამოშვერილი პატარა ბრტყელი გასაღები გადაატრიალა და კარს უკან თვალს მიეფარა. ერთი წამის შემდეგ დაბრუნდა და უთხრა:

— ცოტა დაიცადეთ. ამხანაგი ედანოვი ახლავე დაამთავრებს... დაბრძანდით.

ზვიაგინცევმა ვერ გაიგო, სახელდობრ, რას დაამთავრებდა ედანოვი — თათბირს თუ ტელეფონით ლაპარაკს, მაგრამ, ბუნებრივია, ხომ არ შეეკითხებოდა და კედლის გასწვრივ ჩარიგებულ ერთ-ერთ სკამზე ჩამოჯდა.

მან მოულოდნელად გაიფიქრა: „რა წოდება აქვს ედანოვს? ამჟამად იგი ხომ სამხედრო საბჭოს წევრია...“

მაგრამ ზვიაგინცევს უხერხულად ეჩვენა, რომ ეკითხა კუზნეცოვისათვის, რომელიც ისევ ჩაეფლო ქაღალდების კითხვაში. მოთმინება მოიკრიბა და უცდიდა, თან გულში იმეორებდა თავისი მოხსენების სიტყვებს, რომლის შინაარსი ჯერ კიდევ მანქანით მგზავრობის დროს მოიფიქრა. დიდხანს ცდა არ დასჭირვებია. სულ რამდენიმე წუთი გავიდა, ტყავგადაკრული კარი ისევ გაიღო და იქიდან აჩქარებით გამოვიდა ზვიაგინცევისათვის უცნობი გენერალი. ზვიაგინცევი წამოხტა და გამოეჭიმა. კუზნეცოვიც ადგა.

კარი გაიღო და კონტრ-ადმირალი და ორი პოლკოვნიკი გამოვიდნენ. მათ სწრაფად გაიარეს მისაღები ოთახი და თვალს მიეფარნენ.

— მიბრძანდით, ამხანაგო მაიორო, — უთხრა კუზნეცოვმა.

ზვიაგინცევმა კარი შეაღო და უკვე ემზადებოდა წესის მიხედვით ეუწყებინა თავისი გამოცხადება, მაგრამ დაინახა, რომ პატარა ბნელ ტამბურში აღმოჩნდა. ხელი გაიშვირა, შემდეგი კარი მოსინჯა და ოდნავ მიაწვა მას...

დიდ, სინათლით გაჩახჩახებულ, ნოხით მოფენილ ოთახში, შუაში დადგმული გრძელი მაგიდის გასწვრივ, რომელზედაც რუკები ეწყო, დაბალი ტანის ჩასუქებული კაცი ბოლთას სცემდა. ეცვა ყველა ღილზე შეკრული ფრენჩი გარედან დაკერებული ჯიბეებით და ჩექმებში ჩატანებული სამოქალაქო თარგის შარვალი, რომელიც ოდნავ ჰქონდა გადმოწეული ჩექმის ყელებზე.

„როგორც სტალინს!“ — გაუელვა გონებაში ზვიაგინცევს. იგი ჯერ კიდევ ზღურბლთან მდგომი გამოეშვა და მოემზადა პატაკის მისაცემად, მაგრამ სწორედ ამ წამს ედანოვი შეჩერდა, ყურადღებით შეხედა მაიორს ოდნავ წამობურცული მუქი თვალებით და მიესალმა:

— გამარჯობათ, ამხანაგო ზვიაგინცევ.

— ამხანაგო სამხედრო საბჭოს წევრო, სარდლის მოადგილის ბრძანებით... — დაიწყო მოხსენება ზვიაგინცევმა, მაგრამ ედანოვმა, რომელიც უკვე გამოემართა მისკენ, პატაკი შეაწყვეტინა, ხელი გამოუწოდა და ისევ უთხრა:

— გამარჯობათ.

მარჯვენა ხელში ზვიაგინცევს პორტფელი ეჭირა, ამიტომ იგი დაიბნა, შეეცადა სწრაფად გადაენაცვლებინა პორტფელი მარჯვენა ხელიდან მარცხენაში. მაგრამ ედანოვმა ეტყობა, შეამჩნია მისი დაბნეულობა, და უთხრა:

— ამხანაგმა პიადიშევმა დაგასახელათ თქვენ, როგორც ლუგის მიმართულებით სამუშაოთა გეგმის მომზადების ერთ-ერთი უშუალო შემსრულებელი. ვიცით მისი აზრი დასახულ სამუშაოთა შესახებ. გვინდა შემსრულებელთა აზრიც მოვისმინოთ. მაგალითად, თქვენი, ამხანაგო ზვიაგინცევ.

ედანოვს დაბალი, მაგრამ წკრიალა ტენორი ჰქონდა. სიტყვებს წარმოთქვამდა მშვიდად, დინჯად და თითქოს გარკვევით ერიდებოდა სამხედრო გამოთქმებს ლაპარაკში. ისინი ისევ ისე კართან იდგნენ. მაგრამ ლაპარაკი რომ დაამთავრა ედანოვმა, პასუხს კი არ დაუცადა, ჟესტით ანიშნა ოთახის ცენტრში მდგარი მაგიდისაკენ და თქვა:

— ლუგის რაიონის რუკა იქ დევს. თუმცა თქვენ შეიძლება თვენი რუკის გამოყენება უფრო გიმარჯვებოდეთ.

ზვიაგინცევს უნდოდა აზრების მოსაკრებად დრო მოეგო, ამიტომ უხმოდ და ნელ-ნელა ამოიღო პორტფელიდან რუკა, დადო მაგიდაზე, მერე გაანგარიშებები სადაც იწერა, ის ბლოკნოტი მიუდო გვერდზე. მაგრამ როცა შეამჩნია, როგორი მოთმინებით და დაჟინებით ადევნებდა თვალს ედანოვი მის მზადებას, მიხვდა, მეტი გაჭიანურება უხერხული იყო. პლასტმასის ჭიქიდან წვერწათლილი ფანქარი ამოიღო და დაიწყო.

— ამხანაგო სამხედრო საბჭოს წევრო... მთელი ზღუდე გათვალისწინებულია, რამდენადაც მე ვიცი, მდინარე ლუგის ნაპირის გაყოლებით ფინეთის ყურეში მისი შესართავიდან ილმენის ტბამდე. უფრო წინა — ქალაქ ლუგის წინ,

მდინარე პლუსსის ზღუდეზე იქნება ხლართთა ზოლი, რომელსაც ზოლისწინეთს ვეძახით.

ედანოვი რუკაზე დაიხარა და თვალს ადევნებდა ფანქრის მოძრაობას, და ზვიაგინცევი ხედავდა ახლა მის სწორ, გვერდზე გაყოფილ თმას.

— მე დამევალა მომემზადებინა სამუშაოთა გეგმა და გაანგარიშებანი ცენტრალური ნაწილის მთელი ზოლისა ქალაქ ლუგის რაიონში. — მას ენა დაება და გაჩუმდა, როცა შეამჩნია, რომ ედანოვი თვალს კი აღარ ადევნებდა მისი ფანქრის მოძრაობას, არამედ წელში გამართული იდგა და ზვიაგინცევის დახრილ თავს ზემოთ სადღაც იყურებოდა.

და მაშინ ზვიაგინცევიც გასწორდა წელში და კითხვის გამომეტყველებით შეხედა ედანოვს.

— ამხანაგო ზვიაგინცევ, — გაისმა ედანოვის მშვიდი ხმა, — ყველა მიმართულება უკვე განვიხილეთ სარდლობასთან ერთად...

იგი ცოტა ხანს გაჩუმდა, თითქოს სხვა რამეზე ფიქრმა გაიტაცაო და მოულოდნელად ჰკითხა:

— პირადად თქვენი აზრი როგორია, ამხანაგო ზვიაგინცევ?

ზვიაგინცევმა გაკვირვებით შეხედა ედანოვს, ცდილობდა დასმული შეკითხვის ზუსტი აზრი გამოეცნო. ნუთუ შეიძლება, ფიქრობდა იგი, რომ მას მართლაც აინტერესებდეს ვიღაც მაიორის აზრი იმის შემდეგ, რაც გასამაგრებელ ზოლთა ყველა რაიონი უკვე დასახულია და განხილული უმაღლეს სარდლობასთან ერთად! მაშ რაღად მეკითხება? ედანოვი კი დაჟინებული მოლოდინით შეჰყურებდა ზვიაგინცევს და მან გაუბედავად თქვა:

— მეც აგრე ვფიქრობ, ამხანაგო სამხედრო საბჭოს წევრო. თუ სიმაგრეები ლენინგრადის სამხრეთით უნდა აშენდეს, ყველაზე უფრო ხელსაყრელად ჩაითვლება ის ზღუდეები, რომელთა შესახებ თქვენ უკვე მოგახსენეს.

— ეს დიპლომატის პასუხია, — თვალების ოდნავ მოჭუტვით თქვა ედანოვმა, ოღონდ მის მშვიდ ხმაში არც უკმაყოფილება, არც გაკიცხვა არ იგრძნობოდა.

— მაპატიეთ, ამხანაგო სამხედრო საბჭოს წევრო, — შეცბუნებით წაიბუტბუტა ზვიაგინცევმა, — მაგრამ მე არულად ვერ გავიგე.

— თქვენ თქვით: „თუ სიმაგრეები ლენინგრადის სამხრეთით უნდა აშენდეს“... თქვენ ეჭვი გეპარებათ, რომ საჭიროა მათი აშენება?

— მე... მე არ ვიცი, — თქვა საბოლოოდ თაეგზაებნეულ-მა ზვიაგინცევმა, — ამას სარდლობა სწყვეტს... ფრონტებზე არსებული მდგომარეობა კარგად არ ვიცი.

ედანოვმა დაყინებით შეხედა ზვიაგინცევს, ცოტა ხანს გაჩუმდა და თქვა:

— თქვენ მართალი ხართ. ნუ გეწყინებათ. მე ეს კითხვა იმიტომ მოგეცით, რომ გამეგო განწყობილება... — მან გააკეთა პაუზა, თითქოს არ დაკმაყოფილდა ამ სიტყვით და ეძებდა სხვას, — ...შტაბის მუშაკის ფსიქოლოგიური მდგომარეობა. თქვენ ხომ მონაწილეობდით ომში თეთრფინელებთან. ხომ ასეა? — მოულოდნელად ჰკითხა მან.

— დიახ. დასაწყისიდანვე.

— ასე... — ჩაფიქრებით თქვა ედანოვმა, მაგიდის გასწვრივ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, მერე ზვიაგინცევს მიუბრუნდა და თქვა: — თქვენ უნდა შეიგნოთ, უფრო სწორი იქნება, ჩვენ ყველამ უნდა შევიგნოთ, — გაიმეორა მან ამჯერად საგანგებოდ მახვილის დასმით, — რომ ეს ომი განსაკუთრებულია, არ ჰგავს არც სამოქალაქოს, არც ხალხინგოლს, არც ფინეთისას. ეს ომი... სიკვდილ-სიცოცხლის საკითხის გადამწყვეტია.

ასეთი ზუსტად ფორმულირებული სიტყვები ომის შესახებ, რომელიც უკვე მეოთხე დღე-ღამე მიმდინარეობდა. ზვიაგინცევს ჯერ კიდევ არავისაგან არ სმენია.

და თუ ჯერ კიდევ რამდენიმე წუთის წინ მას სურდა სწორედ ედანოვისათვის მიეცა ის კითხვა, რომელსაც ამაოდ აძლევდა თავის თავსაც და კოროლიოვსაც, ახლა კი ედანოვის მიერ ხმადაბლა, მაგრამ მკლერ და გრდემლზე ურის დარტყმასავით წარმოთქმული მძიმე სიტყვების შემდეგ, ზვიაგინცევი მიხვდა, რომ ყველა მისი შეკითხვა ზედმეტია.

ისევ გაიგონა მან ედანოვის დინჯი ხმა:

— ჩვენ უნდა ველოდოთ თავდასხმას ყოველი მხრიდან. ზღვიდან და ჰაერიდან, ჩრდილოეთიდან, დასავლეთიდან და სამხრეთიდან. და ამიტომ ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ წინ აღვუდგეთ მტერს თავით ფეხამდე შეიარაღებული საიდანაც უნდა გამოჩნდეს.

ედანოვი მაგიდასთან მივიდა და რამდენიმე ხანს რუკას დაჰყურებდა. მერე მიუბრუნდა ზვიაგინცევს და ჰკითხა:

— რამდენი დრო დასჭირდება სამუშაოს შესრულებას და რამდენი კაცი მოუნდება? თქვენ ეს გაიანგარიშეთ საინჟინრო სამმართველოში?

იმ მომენტიდან, როცა გაიგო, რომ ედანოვმა გამოიძახა, ყველაზე ძლიერ სწორედ ეს აფიქრებდა. მან ხელი დააკლო ბლოკნოტს, მაგრამ მაშინვე განზე გადადო. „რათა? — გაიფიქრა ზვიაგინცევმა. — ეს ციფრები ხომ ზეპირად ვიცი".

— ამხანაგო ედანოვ, — თქვა მან, პირველად მიმართა რა გვარით, — სიმაგრეთა აშენებას ჩემი საინჟინრო ჯარების ძალებით დასჭირდება არანაკლებ სამი თვისა...

— უნდა დამთავრდეს კი არა უგვიანეს ორი-სამი კვირისა, — წყნარად, თითქოს მის ფრაზას აგრძელებსო, თქვა ედანოვმა.

— მაგრამ... მაგრამ ეს შეუძლებელია! — მტკიცედ თქვა ზვიაგინცევმა. — ისე უამრავი ხალხი დასჭირდება, რამდენიც ჩვენ არ გვყავს! რასაკვირველია, თუ მთავარსარდლობა გამოგვიყოფს დამატებით არმიას, მაშინ...

— ეს გამორიცხულია, — მკაცრად მაგრამ წინანდებურად ხმის აუწევლად შეაწყვეტინა მას ედანოვმა.

— მაგრამ გამიგეთ, — წამოიძახა ზვიაგინცევმა დაივიწყა რა სუბორდინაცია და მხოლოდ იმას ფიქრობდა, რომ ედანოვს — პარტიულ ხელმძღვანელს — არა აქვს წარმოდგენილი საინჟინრო სამუშაოთა მასშტაბები და სირთულე — ამას ხომ დასჭირდება ათეულ ათასობით ადამიანი, შეიძლება ასი ათასიც! საიდან მოვიყვანოთ ისინი? ჩრდილოეთის ზღუდეები გავაშიშვლოთ? ვინ მოგვცემს ამ ხალხს?

— პარტია, — მშვიდად, ყოველგვარი პათოსის გარეშე თქვა ედანოვმა. — მშენებლობაზე გამოვა ლენინგრადის პარტიული ორგანიზაციის ათასობით კომუნისტი. ათასობით უპარტიო. ყველა, ვისთვისაც ძვირფასია საბჭოთა ხელისუფლება. ყველა, ვინც არმიაში არ არის. ვისაც შეუძლია ხელში ნიჩბის დაჭერა. სამხედრო ამხანაგების ხელმძღვანელობით, მათ შორის, ალბათ, თქვენი ხელმძღვანელობითაც, ამხანაგო ზვიაგინცევ, ისინი ააშენებენ ამ სიმაგრეებს...

ზვიაგინცევი ჩუმად უსმენდა. მართლაც და, რატომ მან თავის გაანგარიშებებში ამოსავლად მიიჩნია მხოლოდ ერთი წყარო — არმია, სამხედრო ნაწილები, რატომ გამორიცხა მთელი მოსახლეობა, ხალხი? დაავიწყდა?

— ვიცი, თქვენ კიდევ გაქვთ შეკითხვა, — ისევ ალაპარაკდა ედანოვი: — თქვენ, ალბათ, გსურთ მკითხოთ: აბა, მაშინ რად გამომიძახეთ? ოლქკომის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე საკმარისია ეცნობოს სარდლობას... აგრეა? ზვიაგინცევი ისევ დუმდა.

— არა, არ არის საკმარისი, — განაგრძობდა ედანოვი. —

არა მარტო უმაღლესმა მეთაურებმა, არამედ ყველამ, წითელარმიელის ჩათვლით უნდა იცოდეს, რომ ამ ომში არმია და ხალხი მხარდამხარ იბრძოლებენ. თქვენ მითხარით ზღუდეზე ჩასატარებლად სამუშაოთა მასშტაბებზე. მე კი მინდა, რომ თქვენ ომის მასშტაბებზე აზრით განიმსჭვალოთ. თქვენს გაანგარიშებებში მხედველობაში გყავთ მხოლოდ არმია. შეცვალეთ ისინი. გაითვალისწინეთ სახალხო მეურნეობების მთელი ძალები და სახსრები.

— დიახ, ამხანაგო სამხედრო საბჭოს წევრო, — ავტომატურად უპასუხა ზვიაგინცევმა. იგი ფიქრებით თითქოს შტაბში, გისოსდატანებულ ფანჯრიან პატარა ოთახში დაბრუნდა, უკვე გაიტაცა სხვა მოსაზრებებმა. უნდოდა დაეყოვნებლივ დაეწყო გამოთვლა რამდენი კაცი და ტრანსპორტი იქნებოდა საჭირო პირველ დღეს, მეორეს, მესამეს, რომ უცებ ისევ გაიგონა ქდანოვის ხმა:

— მაგრამ, ამხანაგო ზვიაგინცევ, მე გამოგიძახეთ არა მხოლოდ იმისათვის, რომ მეთქვა დღეს ის, რაც სულ ერთია ხვალ გეცოდინებათ.

იგი სულ ახლოს მივიდა მასთან და ჰკითხა:

— მოგეპოვებათ თქვენ ცნობები თქვენს საწყობებში შენახული ნაღმებისა და ასაფეთქებელ ნივთიერებათა რაოდენობის შესახებ?

ამ სრულიად ახალმა შეკითხვამ ზვიაგინცევი, რომელაც ეგონა, საუბარი უკვე დამთავრებულიაო, თავისი მოულოდნელობით დააბნია. მან როგორღაც მექანიკურად უპასუხა, რომ ასაფეთქებელი ნივთიერებები და ნაღმები საინჟინრო სამმართველოს განკარგულებაში შედარებით ცოტაა.

— ასე, — თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია ქდანოვმა. — მით უფრო, თუ მოგვიხდა ბაზების შექმნა პარტიზანთა რაზმებისათვისაც ტყეებსა და ჭაობებში გდოვსა და ლუგას შორის?.. თუმცა ცოტა რამ ჩვენ უკვე გავაკეთეთ... — დასძინა მან თითქოს თავისთვის.

— პარტიზანთა რაზმები? — განცვიფრებით გაიმეორა ზვიაგინცევმა.

— რად გაკვირვებთ სიტყვა „პარტიზანები", თუ კი ცხადია, რომ არა მარტო არმიამ უნდა იომოს, არამედ ხალხმაც? მითხარით, თქვენ შეგიძლიათ მიგვითითოთ რუკაზე, სადაც, თქვენი აზრით, უნდა შეიქმნას ასეთი ბაზები? თავდაცვის ზღუდეთა მოხაზულობის გათვალისწინებით.— ქდანოვის ხმა მშრალად და მკაცრად გაისმა.

ზვიაგინცევი რუკაზე დაიხარა და ცოტა ხნის დაფიქრების შემდეგ ორი პატარა რგოლი აღნიშნა მასზე.

ედანოვი ყურადღებით დააცქერდა მათ, მერე აიღო ჭიქიდან წითელი ფანქარი და ეს რგოლები შემოხაზა.

— ასე. დავუშვათ, რომ აქ უნდა იყოს, — თქვა მან თითქოს თავისთვის, — მე გთხოვთ, — მოახსენოთ ამაზე პირადად თქვენს უფროსს. პირადად, — ხაზი გაუსვა. — გადაეცით, დამატებით საჭირო ასაფეთქებელ ნივთიერებათა მისაღებად მიმართოს ასაფეთქებელ ნივთიერებათა მრეწველობის სამმართველოს. სანამ ომს არ დავამთავრებთ სამოქალაქო სამუშაოების შეწყვეტა მოგვიხდება. — დასძინა მან.

— მესმის, — უკვე მკვეთრად, მწყობრულად თქვა ზვიაგინცევმა. — თქვენს მითითებას დაუყოვნებლივ გადავცემ პირადად საინჟინრო სამმართველოს უფროსს. ჩემთვის ყველაფერი ცხადია, ამხანაგო სამხედრო საბჭოს წევრო...

— არა, ამხანაგო ზვიაგინცევ, არა, — გადააქნია თავი ედანოვმა, — თქვენთვის ცხადია ამოცანის მხოლოდ პირველი ნაწილი. აქ მეორეც არის. თქვენ მოგიხდებათ ამ ბაზების საძირკვლის ჩაყრასაც უხელმძღვანელოთ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სიმაგრეთა მშენებლობა რაც შეიძლება ფარულად უნდა ჩატარდეს. სარდლობამ კი გვირჩია მაიორი ზვიაგინცევი, როგორც ისეთი კაცი, რომელსაც შეიძლება დაენდო. თქვენ, მგონი, ფრონტისაკენ მიგიწევთ გული. ეს მართალია?

— მაგრამ... მაგრამ, ამხანაგო ედანოვ, — შესძახა ზვიაგინცევმა, — მე ვთხოვე გავეგზავნე მოქმედ ნაწილში და უარი მივიღე!

— ასე რომ, შესაძლებელია ეს გახდეს თქვენი ფრონტი, ამხანაგო ზვიაგინცევ, — თქვა ედანოვმა და რიგრიგობით ანიშნა ფანქრით წითელ რგოლებზე. — შესაძლებელია ძალიან მნიშვნელოვანი ფრონტი.

სიჩუმე ჩამოვარდა.

— ნებას მაძლევთ წავიდე? — ჰკითხა ზვიაგინცევმა.

— დიახ, რაღა თქმა უნდა, — სრულიად სამოქალაქო ტონით უპასუხა ედანოვმა. — თუმცა ერთი წუთი...

იგი ახლოს მივიდა მასთან და უთხრა:

— მე თქვენ მახსოვხართ, ამხანაგო ზვიაგინცევ, ძალიან კარგად მახსოვხართ. და თქვენი სიტყვაც დამახსომდა მაშინ კრემლში... აი ისიც — ომი, დაიწყო კიდეც. სიკვდილ-სიცოცხლის საკითხის გადამწყვეტი...

... თენდებოდა როცა ზვიაგინცევი სმოლნიდან გამოვიდა. მოედანზე სხვა მანქანებს შორის მისი რუხ-მწვანე „ემ-

კა“-ც იდგა. შოფერმა შორიდან დაინახა ზვიაგინცევი, ღია კარიდან თავი გამოყო და დაუძახა:

— აქეთ, ამხანაგო მაიორო!

გიგანტური ქალაქი იდგა მშვიდად და პირქუშად. გადაღეთრებულ ცაზე პროჟექტორების ფერდაკარგული სხივები დაცოცავდნენ.

— ...გასაყარი ნაღარა ჯერაც არ დაუკრავთ, — კვლავ მხიარულად ალაპარაკდა მძღოლი,—მე კი მანქანიდან არ გამოვსულვარ. ფეხები დაგაცვდება თუ ყოველი განგაშისა სარდაფში იხტუნე! სხვა შოფერები მიიმალნენ, მე კი ვეუბნები: მაშასადამე ინვალიდებთან და ძუძუმწოვარ ბავშვებთან ერთად ჰიტლერს უნდა ემალოთ? ისინი კი მეუბნებიან: ბრძანება არისო!

იგი ცოტა ხნით გაჩუმდა და როცა დაინახა, საკუთარ ფიქრებში გართული ზვიაგინცევი სრულიად არ რეაგირებდა მის სიტყვებზე, თქვა:

— ამხანაგო მაიორო! დესანტის შესახებ ვერაფერი გამიგეთ? აქ ზოგიერთი შოფერი, ეშმაკმა უწყის, რას არ მიქარავს! მთელი ბალტიისპირეთი უკვე გერმანელმა ჩაიგდო ხელშიო... მე კი გუნებაში ვამბობ, გეყოთ, კაჭკაჭებო, ეი ჩემი მაიორი დაბრუნდება და ყველაფერს მეტყვის... როგორაა საქმე, ამხანაგო მაიორო, იყო ჩვენი დესანტი ბერლინთან?

და მან წამით ახალგაზრდული, ჭორფლიანი სახე ზვიაგინცევისკენ მიაბრუნა. ზვიაგინცევმა მას მუხლებზე ხელი დაადო და ხმამაღლა, გაგულისებით უთხრა:

— დესანტი არ ყოფილა, მეომარო! არ ყოფილა, მაგრამ იქნება! ამას მარტო მე კი არ გეუბნები, ეს სმოლნში მითხრეს! იქნებიან ჩვენები ბერლინში! გესმის? იქნებიან!.. ახლა კი წავედით შტაბში.

პირველი წიგნის დასასრული

Чаковский Александр Борисович

БЛОКАДА

книга первая
Издание второе

ალექსანდრე ბორისის ძე ჩაკოვსკი

ბლოკადა

რომანი

წიგნი პირველი
გამოცემა მეორე

Ответств. редактор *И. Н. Угулава*
Редактор *М. Б. Цховребова*
Художник *С. В. Дзеранов*
Худож. редактор *А. Д. Ванеев*
Техн. редактор *В. А. Тедеева*
Корректор *М. В. Джавахишвили*

Сдано в набор 10. IX. 1974 г. Подписано к печати 25. XI. 1974 г.
Формат бумаги 84x108 1/32. Уч.-изд. л. 19,7. Усл.-печ. л. 19,8.
Тираж 50.000 экз. Заказ № 1771. Цена 65 коп.

Типография № 10 Государственного комитета Совета Министров Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, г. Цхинвали, ул. Московская, 5.

Издательство «Ирыстон», г. Цхинвали, ул. Ленина, 3.